თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ისტორიის კათედრა
სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის შემსწავლელი ცენტრი

სამხრეთ კავკასია და ანატოლია

3

გამომცემლობა არტანუჯი

სერიის მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი

სერიის სარედაქციო კოლეგია: გუგა კუდავა
გონდო კუპატაძე
გოჩა საითიძე
ჯაგა სამუშია
თემო ჯოჯუა

ISBN 99940-11-58-8 (სერიის)
ISBN 99940-11-94-4 (დ. ხოშტარია, ალარკეთის ეკლესიები და მონასტრები)

© გამომცემლობა „არტანუჯი", 2005, 2009.
© დ. ხოშტარია

დავით ხოშტარია

კლარჯეთის

ეკლესიები და მონასტრები

თბილისი

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

შესავალი 13

თავი I.

თუხარისი – კლარჯეთის პირველი პოლიტიკური და საეკლესიო ცენტრი 24

თავი II.

მშენებლობა ვახტანგ გორგასლის ეპოქაში 29

თავი III.

მეექვსე-მერვე საუკუნეები 37

თავი IV.

გრიგოლ ხანძთელი და ადრეული მშენებლობა „საქართველოს სინაზე“ 46

თავი V.

არტანუჯი – ბაგრატიონთა პირველი საგახტო ქალაქი 70

თავი VI.

ოპიზა – „უპირველესი ათორმეტთა უდაბნოთა“ 80

თავი VII.
ხანძთა – გრიგოლის პირველი საეანე 93

თავი VIII.
დოლისყანა – ადარნესე ქართველთა მეფის ძეთა აღმშენებლობა 111

თავი IX.
შატბერდი – „დიდებული ლავრა“ 126

თავი X.
კლარჯეთის გუმბათიანი ეკლესიების ტიპოლოგიისათვის 160

თავი XI.
გუმბათი და გუმბათქვეშა კონსტრუქცია კლარჯეთის
არქიტექტურაში 182

თავი XII.
მეცხრე-მეათე საუკუნეთა უგუმბათო ეკლესიები კლარჯეთში 202

თავი XIII.
საეკლესიო მშენებლობა მეთერთმეტე საუკუნის შემდეგ 221

დასკვნა 226
დანართი: შავშეთის ეკლესიები 233
შემოკლებათა სია 263
ბიბლიოგრაფია 264
სურათების სია 274
ტაბულების სია 276
საკუთარ სახელთა საძიებელი 278
ტაბულები 293

წინასიტყვაობა

ამ წიგნის მიზანია შეძლებისდაგვარად სრულად წარმოაჩინოს ერთ ისტორიულ ქართულ პროვინციაში – კლარჯეთში მიმდინარე საეკლესიო მშენებლობა და გააშუქოს კლარჯეთის არქიტექტურის ისტორია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სულიერი, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ფონზე. ბუნებრივია, ძირითადი ყურადღება წიგნში ეთმობა სამონასტრო მშენებლობის აღმაელობის პერიოდს – IX-X საუკუნეებს. ეკლესია-მონასტრები ხომ დღემდე შემორჩენილი ყველაზე თვალსაჩინო მატერიალური კვალია ამ ხანებში კლარჯეთში განვითარებულ მოვლენებისა, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი ქვეყნის შემდგომი ისტორიისათვის საეკლესიო, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თუ ეროვნულ-კულტურული თვალსაზრისით.

ალბათ, ზედმეტია საუბარი კლარჯეთის არქიტექტურის კვლევის აქტუალობასა და საჭიროებაზე. ახლა, როცა ცხადად არის გარკვეული ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საერთო როლი ეროვნული ხუროთმოძღვრების განვითარებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ დიდი მხარის ცალკეული რეგიონებისა თუ სუბრეგიონების არქიტექტურის დეტალური შესწავლა, რათა სრულად წარმოჩნდეს არა მხოლოდ მათი ადგილი ქართული ხელოვნების საერთო სურათში, არამედ მიმართებაც ერთმანეთთან, საქართველოს სხვა მხარეებთან და მეზობელ ქვეყნებთან. ამ რეგიონებს შორის ერთ-ერთი უპირველესი თავისი ისტორიული როლით არის კლარჯეთი – მხარე, რომლიდანაც დაიწყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურული და პოლიტიკური აღმაველობა IX საუკუნის დამდეგს.

სიძველეთმცოდნეობითი ინტერესი კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების მიმართ XIX საუკუნეში გაჩნდა. პირველი მოკლე ცნობები მათ შესახებ მოგვაწოდეს კარლ კოხმა[1], დიმიტრი ბაქრაძემ[2],

---

[1] K. Koch, *Wanderungen im Oriente während der Jahre 1843 und 1844, Reise im pontische Gebirge und türkischen Armenien*, Weimar, 1846, გვ. 190-194.

[2] Д. Бакрадзе, Об археологической поездке совершенной в 1879 году по поручению Академии Наук в Чорохский бассеин, Батум, Артвин и Артанудж, *Записки Императорской Академии Наук, т. 37, кн. 1*, С.-Петербург, 1880; მისივე,

გიორგი ყაზბეგმა[3] და პრასკოვია უვაროვამ[4]. საკუთრივ არქიტექტურის კვლევას საფუძველი დაუდო ალექსანდრე პავლინოვმა[5]. ცალკე უნდა ითქვას ნიკო მარის „შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურის“ შესახებ[6]. ეს ერთგვარი რეგიონალური ენციკლოპედია, რომელშიც აისახა მკვლევრის გასაოცრად მრავალმხრივი ინტერესები და ცოდნა, დღესაც შეუცველელი წიგნია კლარჯეთისა და შავშეთის ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, არქიტექტურის თუ ეპიგრაფიკის შემსწავლელთათვის[7]. პარალელურად – პირველ რიგში, ექვთიმე თაყაიშვილის ძალისხმევით[8] – მუშავდებოდა „თურქეთის საქართველოს“ სხვა რეგიონების – ტაოს, კოლა-არტაანის, ჩრდილ-ერუშეთის სიძველენიც.

უკვე ქართული ხელოვნებათმცოდნეობის სკოლის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა, როგორც პრიორიტეტული საკვლევი თემა, ბუნებრივად იყო შემზადებული და თავის დროზე ჯეროვნად ვერ დამუშავდა მხოლოდ მეცნიერებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ჯერ კიდევ გიორგი ჩუბინაშვილის 1930-40-იანი წლების ნაშრომებში[9] გამოიკვეთა

Записки о Батумской области, *Известия Кавказского отделения Императорского русского географического общества, т. VI*, 1879-1881, გვ. 153-167.

[3] Г. Казбек, Три месяца в Турецкой Грузии, *Записки Кавказского отделения Императорского русского географического общества, кн. X, ч. I*, Тифлис, 1876, გვ. 1-140 (იგივე ნაშრომი ქართულად: გ. ყაზბეგი, *სამი თვე თურქეთის საქართველოში*, ბათუმი, 1995. ქვემოთ ყველგან მითითებულია ამ გამოცემის მიხედვით).

[4] П. Уварова, *Путевые записки. Кавказ: Аджария, Шавшетия, Посховский участок, ч. II*, Москва, 1891, გვ. 300 და შემდგომ.

[5] А. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года, *Материалы по Археологии Кавказа, вып. III*, Москва, 1893, გვ. 1-91, ტაბ. XXIII-XLVII.

[6] Н. Марр, Дневник поездки в Шавшию и Кларджию, წიგნში: Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра, *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн.VII*, С.-Петербург, 1911.

[7] ნ. მარის „დღიურის“ სამეცნიერო მნიშვნელობის შესახებ იხ.: Ю. Марр, *Поездка Н. Я. Марра в Южную Грузию*, Тбилиси, 1949, გვ. 7-21.

[8] Е. Такаишвили, Христианские памятники. Экскурсия 1902 года, *Материалы по археологии Кавказа, вып.XII*, Москва, 1909, გვ. 1-117; მისივე, *არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს*, პარიზი, 1938; მისივე, *Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии*, Тбилиси, 1952.

[9] გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, *ქართული არქიტექტურის გზები*, ტფილისი, 1936, გვ. 88; გ. ჩუბინაშვილი, ტაოსა და კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები და მათ მიერ წამოჭრილი პრობლემები, *საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ-ბის XXII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები*, თბილისი, 1946, გვ. 8-10.

მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ტაო-კლარჯეთს განსაკუთრებული როლი ეკუთვნოდა განვითარებული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ფორმირების პროცესში. შემდგომში ეს როლი მთელი სისრულით წარმოაჩინა ვახტანგ ბერიძემ, რომლის სპეციალურ გამოკვლევაშიც პირველად გაშუქდა ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის მრავალი ასპექტი[10]. იმავე ხანებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლების შესახებ დაგროვილი ცოდნა შეჯამდა პარმენ ზაქარაიას ნაშრომში[11]. გამორჩეულად უნდა აღინიშნოს ასევე ვახტანგ ჯობაძის წიგნი „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში"[12], აგრეთვე სხვა ევროპელი და ამერიკელი ავტორების – ნიკოლ და ჟან-მიშელ ტდერის[13], დევიდ უინფილდის[14], რობერტ ედვარდსის[15], ბრუნო ბაუმგარტნერის[16] და სხვათა ნაშრომები. ამ

---

[10] В. Беридзе, *Архитектура Тао-Кларджети*, Тбилиси, 1981. იხ. აგრეთვე: V. Beriże, Les monuments d'architecture du T'ao-K'larǰeti, *Revue des études géorgiennes et caucasiennes, no 5*, 1989, გვ. 169-202.

[11] П. Закарая, *Зодчество Тао-Кларджети*, Тбилиси, 1990.

[12] W. Djobadze, *Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klardjeti and Šavšeti*, Stuttgart, 1992. კლარჯეთის ხუროთმოძღვრების სხვადასხვა საკითხები განხილულია აგრეთვე ვ. ჯობაძის შემდეგ წერილებ'ში: The Georgian Churches of Tao-Klarjet'i: Construction Methods and Materials, *Oriens Christianus*, 62, 1978, გვ. 114-134; Observations on the Architectural Sculpture of Tao-Klarjet'i Churches around One Thousand A. D., *Studien zur spätantiken und byzantischen Kunst, Friedrich Wilhelm Deichmann Gewidmet, Teil II*, Mainz, 1986, გვ. 81-100; A Brief Survey of the Monastery of St. George in Hanzt'a, *Oriens Christianus, Bd. 78*, 1994, გვ. 145-176 (ამ წერილის ქართული თარგმანი: ვ. ჯობაძე, ხანძთის წმ. გიორგის მონასტერი /მოკლე მიმოხილვა/, *არტანუჯი*, 4, 1995, გვ. 55-73).

[13] ცოლ-ქმარმა ტდერიმ „თურქეთის საქართველოს" სიძველეებს მრავალი ნაშრომი მიუძღვნა. აქ ვუთითებ მხოლოდ იმ წერილებს, რომლებიც მთლიანად თუ ნაწილობრივ კლარჯეთის არქიტექტურას ეხება: N. et J.-M. Thierry, Notes d'un voyage en Géorgie turque, *Bedi karthlisa: Revue de karthvélologie, vol. VIII-IX, No 34-35*, 1960, გვ. 10-29; მათივე, Notes d'un nouveau voyage en Géorgie turque, *Bedi Karthlisa: Revue de karthvélologie, vol. XXV*, 1968, გვ. 51-65; M. Thierry, Topographie et état actuel des monuments géorgiens en Turquie orientale, *Revue des études géorgiennes et caucasiennes 5*, 1989, გვ. 129-167; მისივე, Notes sur les monuments de la valleé du Karçkal, *Revue des études géorgiennes et caucasiennes 8-9*, 1992-1993, გვ. 233-235.

[14] D. Winfield, Some Early Medieval Figure Sculpture from North-East Turkey, *Journal of the Warburg and Courtearld Institutes, vol. 31*, 1968, გვ. 33-72.

[15] R. W. Edwards, The Fortifications of Artvin: A Second Preliminary Report on the Marchlands of Northeast Turkey, *Dumbarton Oaks Papers 40*, 1986, გვ. 165-182.

[16] B. Baumgartner, Drei Fergessene Georgische Klöster in der Nordostturkei: C'q'arostavi, Nuka Kilise, Mižnaȥori, *Revue des études géorgiennes et caucasiennes 8-9*,

მკვლევართა ღვაწლი მით უფრო დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1950-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული სამი ათეული წლის მანძილზე – მაშინ, როცა ქართველ მეცნიერთათვის „თურქეთის საქართველო" მიუწვდომელი იყო – სწორედ მათ იტვირთეს ამ რეგიონის სიძველეთა ადგილზე კვლევა და თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის ძეგლთა გამომზეურება-შესწავლაში. 1980-იანი წლებიდან ამ საქმეში აქტიურად ჩაებნენ თურქი მეცნიერებიც (პირველ რიგში მინე ქადიროღლუ[17] და შემდეგ სხვებიც).

ინტერესი კლარჯეთის ისტორიისადმი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" პირველად წაკითხვისას გამიჩნდა. დიდწილად ამ ინტერესმა განაპირობა 1980-იან წლებში ჩემი პირველი სერიოზული საკვლევი თემის შერჩევაც. რაკი თვით კლარჯეთი იმხანად მიუწვდომელი იყო, შევეცადე შემესწავლა ბორჯომის ხეობის IX-X საუკუნეთა ეკლესიები – კვალი სამონასტრო მშენებლობისა, რომლის სათავეშიც გრიგოლ ხანძთელის მოწაფენი თეოდორე და ქრისტეფორე დგანან. გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და ის, რაც მანამდე აუხდენელ ოცნებად ჩანდა, უცებ რეალობად იქცა – „რკინის ფარდის" დაცემისა და საზღვრების გახსნის შედეგად შესაძლებელი გახდა „თურქეთის საქართველოში" სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა და ისტორიული ქართული პროვინციების სიძველეთა ადგილზე შესწავლა. საშუალება მომეცა ჩემი თვალით მენახა „საქართველოს სინა" და ამის შემდეგ დიდი ხნის მანძილზე ჩემი კვლევის ძირითადი საგანი კლარჯეთის ხუროთმოძღვრება გახდა.

1992-1993, გვ. 193-221. 1996 წელს ბ. ბაუმგარტნერმა ვენაში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ტაო-კლარჯეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე (B. Baumgartner, *Studien zur historischen Geographie von Tao-Klarženi*. Dissertation zur Erlangung des Doktorgrades der Philosophie eingereicht an der Geistes wissenschaftlichen Fakultät der Universität Wien, Wien, 1996). ეს რეაასგვერდიანი ნაშრომი, რომელშიც შეეიდა ერცელი მასალა „თურქეთის საქაროველოს" უამრავი არქიტექტურული ძეგლის შესახებ, ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია.

[17] M. Kadiroğlu, Z. Karaca, T. Yazar, 1995 yılı Tao-Klardjeti yüzey araştırması, *XIV Araştırma Sonuçları Toplantısı*, t. 1, Ankara, 1996, გვ. 397-421; მათივე, Ortaçağ Gürcü mimarisi 1996 yılı yüzey araştırması, *XV Araştırma Sonuçları Toplantısı*, t. 1, Ankara, 1998, გვ. 97-125; მათივე, Ortaçağ Gürcü mimarisi 1997 yılı yüzey araştırması, *XVI Araştırma Sonuçları Toplantısı*, t. 1, Ankara, 1999, გვ. 129-142. M. Kadiroğlu, Untersuchungen am mittelalterlichen georgischen Baudenkmälern in Nordost-Anatolien, *Georgica. Zeitschriften für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens*, H. 22, 1999, გვ. 8-19.

ეს წიგნი ეფუძნება 1990-1995 წლებში მოწყობილი ხუთი ექსპედიციის მუშაობის შედეგებს. 1990 წლის ივნისში ნანა ალექსიძესთან ერთად პირველად ვიმოგზაურე ტაო-კლარჯეთში. იმ ჯერზე ჩვენი მიზანი იყო ძირითადი ძეგლების მონახულება და შეძლებისდაგვარად ვრცელი ფოტო- და ვიდეომასალის შეგროვება. მეცნიერულ კვლევა-ძიებას არსებითად წინასწარული ხასიათი ჰქონდა.

იმავე წლის ოქტომბერში ჩვენ მოვაწყეთ მეორე ექსპედიცია, რომელიც უკვე კონკრეტულ კვლევით მიზნებს ისახავდა. მისი ძირითადი ობიექტები იყო შავშეთ-კლარჯეთის დიდი ეკლესიები — დოლისყანა, ოპიზა, შატბერდი (ენი-რაბათი) და ტბეთი.

1993 წელს სატელევიზიო შემოქმედებით გაერთიანება „საღამო მშვიდობისა“-ს გადამღებ ჯგუფთან ერთად მოვიარე თურქეთის რამდენიმე რეგიონი. ჩემს ამოცანას, ჯგუფის კონსულტირებასთან ერთად, შეადგენდა დაწყებული კვლევის გაგრძელება და გაღრმავება. დაგეგმილი იყო ვიდეოფილმის გადაღება ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესახებ, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ აკრძალა გადაღება და ჯგუფს ისტორიული ქართული მხარეების დატოვება მოუწია. მოვასწარი მხოლოდ დოლისყანის, სვეტისა და არტანუჯის მონახულება.

კვლევის შემდგომ გაგრძელებას ძლიერ უშლიდა ხელს სრული და ზუსტი გრაფიკული დოკუმენტაციის არარსებობა. ამ ვითარებიდან გამომდინარე დადგა აზომვითი სამუშაოების ჩასატარებლად საგანგებო ექსპედიციების მოწყობის საკითხი. 1994 წლის ივნისსა და 1995 წლის ივნის-იელისში გაიმართა ორი ასეთი ექსპედიცია: პირველი გიორგი ჩუბინაშვილის ფონდის (ვახტანგ ჯობაძის, მეელუდ გაბისკირიასა და ალექსეი ელასოვის შემოწირულობებით), ხოლო მეორე ჯორჯ სოროსის ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველო“-ს მატერიალური შემწეობით. ორსავე ექსპედიციაში ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ ნინო და გიორგი ბაგრატიონები და ნიკოლოზ ვაჩეიშვილი (პირველ ექსპედიციაში შემოგვიერთდნენ ასევე ნანა ალექსიძე. ელისო ახელედიანი, გიორგი ლეჟავა, ბესიკ მაცაბერიძე და კახა ხიმშიაშვილი).

ამ ორი ექსპედიციის შედეგად მოხერხდა „თურქეთის საქართველოს“ ისტორიული მხარეების — კლარჯეთის, შავშეთის, ტაოს, ჩრდილ-არტაანისა და დასავლეთ ჯავახეთის მრავალი არქიტექტურული ძეგლის (პრაქტიკულად ყველა ასე თუ ისე გადარჩენილი გუმბათიანი და ბაზილიკური ნაგებობის, აგრეთვე ბევრი დარბაზული ეკლესიის, სატრაპეზოების, სასახლეების, ციხეების და სხვათა) ადგილზე შესწავლა. ამის წყალობით უფრო ნათელი გახდა რეგიონის არქიტექტურის საერთო სურათი, ის ფონი, რომელმაც რელიეფურად წარმოაჩინა კლარჯეთის ხუროთმოძღვრების

მხატერული და ტექნიკური თავისებურებები. ექსპედიციების უმთავრესი მონაპოვარი კი იყო მდიდარი გრაფიკული დოკუმენტაცია. დეტალურად აიზომა „თურქეთის საქართველოს“ მრავალი ნაგებობა, მათ შორის კლარჯეთის ეკლესიები – წყაროსთავი, მიინაძორი, არტანუჯი, ოპიზა, ხანძთა, დოლისყანა, შატბერდი (ენირაბათი), პარეხი, სვეტი, ნუკა-საყდარი. ამ დოკუმენტაციის შექმნაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს გ. და ნ. ბაგრატიონებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ აზომვით სამუშაოებს. შემდგომ მათვე შეასრულეს ნახაზებიც. წიგნში შესული გრაფიკული საილუსტრაციო მასალა თითქმის მთლიანად ამ ექსპედიციების მუშაობის შედეგს წარმოადგენს.

ამ წიგნს საფუძვლად უდევს ჩემი სადოქტორო დისერტაცია, რომლის დაცვაც 2004 წლის 30 აპრილს შედგა გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოზე. მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს ოფიციალურ ოპონენტებს ნათელა ალადაშვილს, დეკი ბერძენიშვილსა და გურამ ყიფიანს სასარგებლო შენიშვნებისათვის. განსაკუთრებით მადლიერი ვარ დიმიტრი თუმანიშვილისა, რომელიც აქტიურად მეხმარებოდა კლარჯეთის არქიტექტურაზე ჩემი მუშაობის წლების მანძილზე და მრავალი საყურადღებო რჩევა მომცა.

წიგნის ერთგვარად ეკლექტური სტრუქტურა განსაზღვრა, ერთი მხრივ, გადმოსაცემი მასალის დიდმა მოცულობამ და, მეორე მხრივ, მისი სხვადასხვა ასპექტით გაშუქების სურვილმა. ტექსტის თავებად დაყოფაში ერთიანი პრინციპი არ არის აღებული: II, III და XIII თავები მშენებლობის ისტორიის ცალკეული ეტაპების შესახებ მოგვითხრობს; I და V-IX თავები ეძღვნება კლარჯეთის უმთავრესი მონასტრებისა (ოპიზა, ხანძთა, დოლისყანა, შატბერდი) და ციხე-ქალაქების (თუხარისი, არტანუჯი) ისტორიასა და არქიტექტურას; XII თავი ეთმობა ტიპოლოგიური ნიშნით გაერთიანებულ ნაგებობათა ჯგუფს (უგუმბათო ეკლესიებს); ხოლო X და XI თავებში გაშუქებულია კლარჯეთის არქიტექტურის სპეციფიკური საკითხები ფართო ზოგადქართულ კონტექსტში. შესაბამისად, ზოგიერთი თავი უფრო ისტორიულია, ზოგი – „არქიტექტურისმცოდნეობითი“, ზოგიც – შერეული ხასიათისა. მიხედავად ამისა, იმედს ვიტოვებ, რომ მკითხველს მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება არ გაუჭირდება.

შესავალი

კლარჯეთი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარეა. ის მოიცავს მდინარე ჭოროხის ქვემო დინების აუზს არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე, მდინარეების იმერხევისა და არტანუჯისწყლის ხეობების ჩათვლით. პროვინციის სახელწოდება ბოლო დრომდე შემორჩა არტანუჯიდან 10-იოდე კმ-ით სამხრეთით მდებარე სოფელ კლარჯეთს, რომელიც დღესაც არსებობს (ახლანდელი ბერექეთ ქოი, Bereket köy)[18].

კლარჯეთი კლდოვანი ხეებით დასერილი მთიანი მხარეა. რთული რელიეფი და ტყის მასივები, ერთი მხრივ, ხელს უშლიდა სამეურნეო ცხოვრების გაშლას, მეორე მხრივ ბუნებრივ ბარიერს უქმნიდა მომხდურ მტერს და იცავდა მოსახლეობას. ლეონტი მროველის შენიშვნით, „ვერავინ შევიდოდა მავნე კლარჯეთს. რამეთუ შეუვალი და მაგარი იყო ტყითა და კლდითა, და მკჯდრნი კლარჯეთისანი იყვნეს კაცნი მკჯრცხნი და მჭედარნიცა“[19]. „კლარჯეთის კლდენი“ ქართულ წყაროებში თითქოს ერთგვარი მეტაფორაა, რომელიც თავისთავად გულისხმობს დამპყრობთაგან ძნელად მისადგომობას.

სამწუხაროდ, ჩვენ ცოტა რამ ვიცით კლარჯეთის უძველესი ისტორიის შესახებ. არქეოლოგიური გათხრები აქ არსებითად არასოდეს წარმოებულა, ამიტომ კლარჯეთის ისტორიის ადრეული ეტაპის შესახებ მსჯელობისას მხოლოდ მწირ წერილობით ცნობებს შეიძლება დავეყრდნოთ.

ქართული საისტორიო ტრადიცია კლარჯეთს ქართლის ნაწილად განიხილავს. თარგამოსის მიერ შვილებს შორის ქვეყნის

---

[18] J.-M. Thierry, Topographie et état actuel des monuments géorgiens en Turquie orientale, *Revue des études géorgiennes et caucasiennes 5*, 1989, გვ. 144. სოფელთან არის ციხე, რომლისგანაც შემორჩენილია კედლების და კოშკების ნაწილი. აქვე იყო დარბაზული ეკლესიაც, რომელიც 1979 წელს ჟ.-მ. ტიერის უკვე დანგრეული დახვდა (იქვე). ამ სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდების მიხედვით მ. ქადიროღლუ კლარჯეთის პროვინციასაც ბერექეთს უწოდებს. ტაო-კლარჯეთის პარალელურად ის ხმარობს ხელოვნურ ტერმინს „ოლთუ-ბერექეთი“ (Oltu-Bereket) (M. Kadiroğlu, *The Architecture of the Georgian Church at Işhan*, EUS - XXVIII, vol. 121, 1991, გვ. 2, 5, 6 და შემდგომ).

[19] *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 48.

განაწილების შემდეგ კლარჯეთი ქართლოსს ერგო[20]. ქართლოსის ძემ მცხეთოსმა თავის შვილს ოძრჯოსს გადასცა "ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, ქუეყანა კლდოვანი"[21], ე. ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციები და მათ შორის კლარჯეთი. ოძრხოსს მიეწერება დაარსება ციხე-ქალაქ თუხარისისა, რომელიც კლარჯეთის უძველესი პოლიტიკური ცენტრია.

ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე, როცა ჩამოყალიბდა იბერიის (ქართლის) სამეფო, კლარჯეთი მის შემადგენლობაში შევიდა, თუმცა, როგორც ჩანს, ეს იოლად არ მომხდარა. ლეონტი მროველის მიხედვით, ფარნავაზს განსაკუთრებული ძალისხმევა დასჭირებია ამ მხარის შესაერთებლად. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა" მოგვითხრობს, რომ ფარნავაზმა ერთ წელიწადში შეძლო მთელი ქართლის დაკავება, ვერ შევიდა მხოლოდ კლარჯეთში — მისი მოწინააღმდეგე, ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის ერისთავად დატოვებული აზონ პატრიკი გამაგრდა „სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა". ფარნავაზს, რომლის მხარესაც უკვე იყვნენ მისი მომავალი სიძე — ეგრისის ერისთავი ქუჯი, აგრეთვე ოსები, ლეკები და აზონისგან განდგომილი ათასი რჩეული მხედარი, მოუწია დახმარების თხოვნა სელევკიდი მეფის ანტიოქე I სოტერისათვის (ძვ. წ. 293-261), რათა მას თავისი ჯარი მიეშველებინა. მხოლოდ ამ გაერთიანებული ლაშქრით შეძლო მან მომდევნო წელს აზონის დამარცხება და კლარჯეთის დაპყრობა[22]. ამ ისტორიაში, ცხადია, ყველაფერი სარწმუნო არ არის (საგულისხმოა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ"ში" აზო-აზონისა და ფარნავაზის კონფლიქტი საერთოდ არ ჩანს[23]), მაგრამ ის უთუოდ ასახავს ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების პროცესში მიმდინარე ბრძოლის რეალიებს[24].

---

[20] იქვე, გვ. 4.

[21] იქვე, გვ. 9.

[22] *ქართლის ცხოვრება, ტ. I*, გვ. 22-23.

[23] „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ქრონიკით, აზო ქართლის პირველი მეფეა, რომელიც მშვიდად მეფობს და თავისი სიკვდილით კუდება. მის შემდეგ ჯდება ტახტზე ფარნავაზი (*ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 82). კლარჯეთი აქ საერთოდ არ არის ნახსენები, მაგრამ საგულისხმოა აზოს წარმოშაელობა — ის მოხსენიებულია, როგორც არიან-ქართლის მეფის ძე, ეს კი, საყოველთაო აზრით, სამხრეთ-დასავლეთი კავკასია ან ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიაა, ანუ მხარე, რომელიც ან მოიცავდა კლარჯეთსაც, ან უშუალოდ ემეზობლებოდა მას. ნ. ხაზარაძე ფიქრობს, რომ კლარჯეთი იყო აზოს ქვეყანა (ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ერთი ასპექტისათვის, *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები*, №3 /414/, 1997, გვ. 391-392; მისივე, ლეონტი მროველი და არიან-

ფარნავაზმა თავისი სამეფო რვა ადმინისტრაციულ ერთეულად დაპყო და მათ სათავეში ერისთავები ჩაუყენა. ერთ-ერთი მათგანი იყო კლარჯეთის ერისთავი, რომელსაც, გარდა საკუთრივ კლარჯეთის პროვინციისა, ექვემდებარებოდა შავშეთი და ამიერ-ტაო.

ძვ. წ. II საუკუნეში, სომხეთის გაძლიერებისა და იბერიის წინააღმდეგ წარმატებული ექსპანსიის შედეგად, ორ სამეფოს შორის საზღვარმა ჩრდილოეთისაკენ გადმოიწია და მთელი რიგი პროვინციები სომხეთის ფარგლებში შეივიდა. არსებობს მოსაზრება, რომ ამ პროვინციათა შორის იყო კლარჯეთიც. საფუძველს ამგვარი დასკვნის გამოსატანად ნახულობენ სტრაბონისა და კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობებში, მაგრამ მათ ინტერპრეტაციაში მკვლევართა შორის აზრთა საკმაო სხვადასხვაობაა, კერძოდ, საკამათოა ამ ავტორებთან კლარჯეთის მოხსენიების თვით ფაქტიც კი.

კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ. წ. 100-178) „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში" (წიგნი 5, თავი 12, პარაგრაფი 9) ნათქვამია, რომ არმენიის (სომხეთის) ის ნაწილი, რომელიც მდინარეებს ევფრატს, კიროსსა (ე. ი. მტკვარსა) და არაქსს შორის მდებარეობს, სხვა ოლქებთან ერთად მოიცავს კატარძენეს. აქვე დაზუსტებულია მისი ლოკაცია – მოსხურ მთებთან, ე. წ. ბოხების ზეეით[25]. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჰ. კიპერტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კატარძენე არის გვიანდელი გადამწერის მიერ დამახინჯებული კალარძენე, რაც შეესაბამება კლარჯეთს[26]. ეს მოსაზრება კარგა

ქართლის ლოკალიზაციის საკითხი, *Dedicatio: ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი*, თბილისი, 2001, გვ. 324-326).

[24] გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ აქ ასახულია ქართლისა და პონტოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები. იგი ადარებს ქართული წყაროების მონაცემებს მოსე ხორენელის ცნობას, რომლის მიხედვითაც ალექსანდრე მაკედონელმა იბერიის მმართველად დარიოსის ყოფილი სატრაპი მიხრდატი (მითრიდატე) დასვა და მიდის საინტერესო დასკვნამდე, რომ შესაძლოა „ქართლის ცხოვრებაში" აზონთან გაიგიჟდა პონტოს პირველი ფაქტობრივად დამოუკიდებელი მმართველი მითრიდატე I (337-302), ან მისი შვილი, მეფე მითრიდატე II (296-266), რეალურად კი ის იყო პონტოსთან კავშირში მყოფი არიან-ქართლის მმართველი (Г. Меликишвили, *К истории древней Грузии*, Тбилиси, 1959, გვ. 47, 277-278). ამ საკითხზე იხ. აგრეთვე: გ. მამულია, *კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში*, თბილისი, 1979, გვ. 102-113.

[25] კლავდიოს პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი და განმარტებები ნ. ლომოურისა, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 32*, თბილისი, 1955. გვ. 49.

[26] H. Kippert, *Lehrbuch der alten Geographie*, Berlin, 1878, გვ. 97. იხ. აგრეთვე იქვე Atlas Antiquus №4.

ხნის მანძილზე უკამათოდ იყო მიღებული. ის გაიზიარეს კ. მიულერმა[27], ი. მარკვარტმა[28] და ჰ. ჰიუბშმანმა[29]. მაგრამ შემდგომ კატარძენეს „კალარძენედ“ წაკითხვასა და კლარჯეთთან გაიგივებას ბევრმა მკვლევარმა ეჭვის თვალით შეხედა. ის ნაძალადევად და უსაფუძვლოდ მიიჩნია გ. ღაფანციანმა[30]. განსაკუთრებით მძაფრად გაილაშქრა ამგვარი გაიგივების წინააღმდეგ ჰ. ინგოროყვამ, რომელმაც კლავდიოს პტოლემაიოსის აღნიშნულ ცნობას ერცელი პასაჟი მიუძღვნა[31]. დ. მუსხელიშვილი[32] და ნ. ხაზარაძეც[33] ასევე ფიქრობენ, რომ კატარძენე არ არის კლარჯეთი. ჩამოთვლილი ავტორები კატარძენეს ათავსებენ კლარჯეთზე ბევრად უფრო სამხრეთით, მდ. ევფრატის სათავეების მიდამოებში (ჩვენოვის ამჟამად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს დაზუსტებულ ლოკალიზაციას – ამ საკითხზე შეხედულებანი ნაწილობრივ სხვაობს). მომხრეები კვლავ ჰყავს ტრადიციულ თვალსაზრისსაც – მას გარკვეული სიფრთხილით იზიარებს გ. მელიქიშვილი[34], აგრეთვე ნ. ლომოური[35] და თ. ყაუხჩიშვილი[36].

---

[27] ვუთითებ ნ. ლომოურის მიხედვით: *Claudii Ptolemaei Geographia*, e codicibus recognovit, prolegomenis, annotatione, indicibus, tabulis instruxit Carolus Müllerus, Vol. I, 2, Parisiis, 1901, გვ. 937.

[28] I. Marquart, *Eranšahr nach der Geographie des Ps. Moses Xorenac'i*, Berlin, 1901, გვ. 116.

[29] H. Hübschmann, *Die altarmenischen Ortsnamen*, Straßburg, 1904, გვ. 212.

[30] Г Гафанцян, *Историко-лингвистическое значение топономики древней Армении*, Москва, 1940, გვ. 19.

[31] ჰ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, თბილისი, 1954, გვ. 427-432.

[32] დ. მუსხელიშვილი, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, I, თბილისი, 1977, გვ. 60. აქ გამოთქმულია აზრი, რომ სწორი უნდა იყოს „კატარძენეს“ ადგილას „კორაძენეს“ წაკითხვა, როგორც ეს არის „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ ზოგიერთ ხელნაწერში. ამ შემთხვევაში ტოპონიმი შეიძლება გაიგივდეს სტრაბონის ხორძენესა და აპიანეს ხოტენესთან (იხ. ქვემოთ, შენიშვნები 43-44).

[33] ნ. ხაზარაძე, *საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები*, თბილისი, 1984, გვ. 54-55.

[34] Г.Меликишвили, *К истории древней Грузии*, გვ. 114, 210, 212. აქ, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ კატარძენეს უნდა უკავშირდებოდეს ტოპონიმი „გოდერძი“, შემონახული როგორც უღელტეხილის სახელწოდება.

[35] კლავდიოს პტოლემაიოსი, გვ. 61.

[36] თ. ყაუხჩიშვილი, *საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები*, თბილისი, 1976, გვ. 165-166. შეუსაბამობას, რომელიც თავს იჩენს პტოლემაიოსის ცნობებში, თუკი კატარძენეს კლარჯეთად მივიჩნევთ, თ. ყაუხჩიშვილი გეოგრაფოსის მიერ სხვადასხვადროინდელი წყაროების გამოყენებით ხსნის: ცნობა იმის თაობაზე, რომ კატარძენე-კლარჯეთი არმენიის ფარგლებში შედის, მისი აზრით, მომდინარეობს ძვ. წ. II

სტრაბონის (დაახლოებით ძვ. წ. 64-ახ. წ. 24) „გეოგრაფიაში“ იმ მხარეთა შორის, რომლებიც სომხეთმა იბერიას წაართვა, ნახსენებია ხორძენე[37]. ი. მარკვარტმა გამოთქვა აზრი, რომ ეს არის დამახინჯებული „ხოლარძენე“, რაც შეიძლება გაიგივდეს პტოლემაიოსის კატარძენე-კალარძენესთან, ანუ კლარჯეთთან[38]. ეს აზრი გააკრიტიკა პ. ინგოროყვამ, რომელმაც აჩვენა, რომ სინამდვილეში ხორძენე არის სომხური პროვინცია ზემო ევფრატის აუზში[39]. ხორძენესა და კლარჯეთის იგივეობის ვერსია უარყვეს აგრეთვე ი. მანანდიანმა[40], ს. ჯანაშიამ[41], თ. ყაუხჩიშვილმა[42], დ. მუსხელიშვილმა[43] და ნ. ხაზარაძემ[44].

საერთოდ, ძვ. წ. II-I საუკუნეებში კლარჯეთის სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხი საკმაოდ ბუნდოვანია. სტრაბონი წერს, რომ მის დროს (და ალბათ ცოტა უფრო ადრეც) მოსხების ქვეყანა, რომელიც შეესაბამება ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, სამადაა გაყოფილი: „ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს“[45]. როგორც ვნახეთ, სტრაბონისა და პტოლემაიოსის ცნობების საფუძველზე შეუძლებელია დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ამ პერიოდში კლარჯეთი სომხეთის ფარგლებში შედიოდა. ასევე „არა გვაქვს ზუსტი ცნობა, კოლხეთის ნაწილს შეადგენდა იგი ამ დროს, თუ იბერიისას“[46]. დ. მუსხელიშვილი ფიქრობს, რომ შავშეთ-კლარჯეთი აჭარასთან

საუკუნის წყაროდან, ხოლო ცნობა, რომლის მიხედვითაც არტანისა (ე. ი. არტანუჯი – კლარჯეთის ცენტრი) იბერიის ქალაქია – უფრო გვიანდელი, სავარაუდოდ ახ. წ. I საუკუნის წყაროდან.

[37] თ. ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, თბილისი, 1957, გვ. 188.

[38] I. Marquart, *Eranšahr*, გვ. 168-169.

[39] პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 432-434.

[40] И. Манандян, Маршруты понтийского похода Помпея и путь отступления Митридата в Колхиду, *Вестник древней истории*, №3, 1940, გვ. 98-99.

[41] ს. ჯანაშია, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ, *შრომები*, II, თბილისი, 1952, გვ. 93.

[42] თ. ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 299-300.

[43] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 55. ავტორისთვის მისაღებია აზრი, რომ სტრაბონის ხორძენე და პტოლემაიოსის კატარძენე ერთიდაიგივე მხარეა (იქვე, გვ. 60). მასთანვე აიგივებს იგი აპიანეს ხოტენესაც. მაგრამ ეს არის არა კლარჯეთი, არამედ ევფრატის სათავესა და ჭოროხს შორის მდებარე რეგიონი.

[44] ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 55. ავტორი ასევე იზიარებს აზრს, რომ კატარძენე-ხორძენე-ხოტენე ერთიდაიგივეა და ათავსებს მას „ბვიანდელი ხანის სპერსა და ტაოს დასავლეთ რაიონში“.

[45] *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 125.

[46] პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 439.

ერთად, ე. ი. ქვემო ჭოროხის აუსი მთლიანად კოლხეთს უნდა მიეერთებინა[47], მაგრამ ამ მოსაზრებას არსებითად არ ასაბუთებს.

ახ. წ-ის I საუკუნიდან იბერიის სამეფო თანდათან ძლიერდება და კოლხეთის ტერიტორიის ნაწილს იპყრობს. ფლავიუს არიანეს (დაახლოებით 95-175) „პერიპლუსის" ცნობით, 131 წელს, შავიზღვისპირეთში მისი მოგზაურობის დროს, ზღვისპირა კლარჯეთში მცხოვრები ძიდრიტების ტომი იბერიის მეფე ფარსმან II-ს ემორჩილებოდა[48]. უეჭველია, რომ იბერიასვე ეკუთვნოდა მთელი კლარჯეთიც. მას კვლავ ერისთავები განაგებდნენ, რომელნიც, როგორც ჩანს, ყოველთვის ლოიალურნი არ იყვნენ სამეფო ხელისუფლებისადმი. მატიანეთა ძუნწი ცნობებით იქმნება შთაბეჭდილება, რომ კლარჯეთი ტრადიციულად გამოირჩეოდა ურჩობით და ხშირად უქმნიდა პრობლემებს მცხეთის კარს. ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი აზონზე, რომელიც კლარჯეთში გამაგრდა და იქიდან უპირისპირდებოდა მცხეთაში გაბატონებულ ფარნავაზს. ახ. წ. I საუკუნის შუახანებში კლარჯეთის ერისთავმა მის სამფლობელოში ჩასული წმ. ანდრია მოციქულისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების გამო მეფე ადერკის რისხვა დაიმსახურა[49]. III საუკუნის შუახანებში კლარჯეთის ერისთავი დასავლეთის ოთხ სხვა ერისთავთან ერთად აუჯანყდა მეფე ამაზასპს[50]. 368 წელს, როცა

---

[47] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

[48] ფლავიუს არიანე, *მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო*, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა, თბილისი, 1961, გვ. 90; *ბერძული მწერლები საქართველოს შესახებ*, V, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1983, გვ. 158. ანალოგიური ცნობა აქვს V საუკუნის ანონიმ ავტორსაც (იხ. *გეორგიკა*, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 8).

[49] *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 42. აქ არ შეეუდგები ბჭობას, მართლა იყო თუ არა საქართველოში წმ. ანდრია მოციქული. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი პასუხის გაცემა (იხ., მაგალითად, კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, IV, თბ., 1957, გვ. 252-257) დღეს ალბათ აღარ შეიძლება. ბოლოხანს ამ საკითხს არქეოლოგიური თვალსაზრისით შეეხო ვ. ლიჩელი (V. Licheli, St Andrew in Samtskhe - Archaeological Proof?, წიგნში: T. Mgaloblishvili /ed./. *Ancient Christianity in the Caucasus, Iberica Caucasica*. vol.1, Richmond 1998, გვ. 25-37). მას არ მოუტანია წმ. ანდრია მოციქულის სამცხეში ჩასვლის დამადასტურებელი არგუმენტები, მაგრამ მის მიერ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით ნანვლები კულტურულ-ისტორიული ვითარება სავსებით შეესაბამება იმ სურათს, რომელსაც გვიხატავს ქართული წყაროები სამცხეში წმ. ანდრია მოციქულის მოგზაურობასთან დაკავშირებით

[50] *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 57.

მეფე ვარაზ-ბაქარმა სპარსეთის დახმარებით თითქმის მთელი მერმინდელი საქართველო – ქართლი, ჰერეთი და ეგრისი – დაიმორჩილა, „განდგნეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა. და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღუთგან არსიანთამდე“[51]. ამ ცნობას არსებითად ადასტურებს ლაოინურენოვანი ბერძენი ისტორიკოსი ამიანე მარცელინეც, როცა წერს, რომ რომაელებმა ქართლის იმ ნაწილში, რომელიც არმენიასა და ლაზეთს ესაზღვრება, ხელისუფლება თავიანთ მომხრე უფლისწულს – საერომაკს (საურმაგს) გადასცეს[52]. საზღვარი ასფაგურის (ვარაზ-ბაქარის) და საერომაკის სამფლობელოებს შორის, ამიანეს თქმით, მტკვარზე გადიოდა. სწორი უნდა იყოს დ. მუსხელიშვილი, როცა შენიშნავს, რომ აქ მტკვარი მცხეთამდე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ საზღვრად, არამედ მხოლოდ ზემო დინებაში და, შესაბამისად, საერომაკის სამფლობელოდ უნდა ვიგულისხმოთ კლარჯეთი, სამცხე, აჭარა და ჯავახეთ-არტაანის ნაწილი მტკვრის დასავლეთით[53]. ამრიგად, 370 წლის ახლოს კლარჯეთი გამოეყო სპარსეთის ვასალ ქართლს და აღმოსავლეთ რომის იმპერიას დაექვემდებარა.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების კლარჯეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხზე. გ. მელიქიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ სამხრეთ საქართველოს მხარეთაგან (ჯავახეთი, კოლა, არტაანი, სამცხე, აჭარა, კლარჯეთი) მხოლოდ კლარჯეთის მცხოვრებნი – კლარჯები მოიხსენიებიან საკუთარი ეთნონიმით[54]. ლეონტი მროველსა და ჯუანშერთან „კლარჯნი“ აშკარად ისეთივე ეთნიკური მნიშვნელობის სიტყვაა, როგორც „ქართველნი“ (ე. ი. ქართლელები, იბერიელები) და „მეგრელნი“. ამასთან, როგორც ჩანს, თვით კლარჯებს შორისაც გარკვეული სუბეთნიკური ჯგუფები არსებობდა. შესაძლოა, ერთ-

---

[51] იქვე, გვ. 136-137. ადრეულ ხანაში (VIII საუკუნემდე) „კლარჯეთი“, როგორც წესი, გულისხმობს არა მხოლოდ საკუთრივ მერმინდელ კლარჯეთის პროვინციას, არამედ მეზობელ მხარეებსაც, კერძოდ, შავშეთს, ნიგალს და ამიერ-ტაოს (იხ. ამის თაობაზე: ჰ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 440).

[52] *გეორგიკა*, ტ. I, თბილისი, 1961, გვ. 130.

[53] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 202. ამიანე მარცელინეს აღნიშნული ცნობა სხვაგვარადაც არის ინტერპრეტირებული. იხ. ლ. ჯანაშია, *ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ*, თბილისი, 1962, გვ. 78-79, შენ. 17 (ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა) და შემდგომ, გვ. 83.

[54] Г. Меликишвили, *К истории древней Грузии*, გვ. 136.

ერთ ასეთ ჯგუფს, კერძოდ, ზღვისპირა კლარჯებს გულისხმობს ფლავიუს არიანეს მიერ მოხსენიებული ძიდრიტების ტომი, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, ახ. წ. II საუკუნის I ნახევარში ფარსმან II-ს ემორჩილებოდა.

წერილობით წყაროებში არ არის რაიმე მინიშნება კლარჯების ეთნიკურ წარმომავლობაზე. ამ საკითხის გასარკვევად არსებითი მნიშვნელობა აქვს კლარჯეთის ტოპონიმიკას. ისეთი უძველესი ტოპონიმები, როგორიცაა ოპიზა და არტანუჯი, საკმარის საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ კლარჯები ჭანური მოდგმის ტომი იყო. ეს აზრი პირველად გამოთქვა ნ. მარმა, რომელიც წერდა: „კლარჯეთი და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ტაოს მხარე თავისი ისტორიული ცხოვრების გარიჟრაჟზე წარმოგვიდგება თუბალ-კაინური ანუ ივერულ-ჭანური (иверо-чанский) მოსახლეობით, რომელიც ქართულს (грузинский или картский) ენათესაეება“ (იქვე განმარტებულია, რომ иверы-ში მერმინდელი მეგრელები იგულისხმებიან)[55]. ოპიზის მონასტრის შესახებ მსჯელობისას ნ. მარი შენიშნავდა: „ოპიზის დამაარსებლები იყვნენ თუბალ-კაინები, სახელდობრ ან ივერები (მეგრელები), ან ჭანები (ლაზები)“[56]. რამდენადაც ოპიზის მონასტრის დაარსება V საუკუნეზე ადრე წარმოუდგენელია (არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჯუანშერი, როგორც ენახეთ, ამას ვახტანგ გორგასალს მიაწერს, არამედ იმიტომაც, რომ მანამდე მონასტრები საქართველოში საერთოდ არ ჩანს), უნდა ვიგულისხმოთ, რომ ნ. მარი ივერ-მეგრელებსა თუ ჭან-ლაზებს ამ დროისთვისაც კლარჯეთის მოსახლეობის ძირითად და წამყვან ნაწილად მიიჩნევდა. ეს შესაძლოა სწორიც იყოს, მაგრამ საფიქრელია, რომ კლარჯეთის ჭანურმა მოსახლეობამ ადრეეე განიცადა ძლიერი ქართიზაცია. გ. მელიქიშვილის აზრით, უკვე ანტიკურ ხანაში კლარჯები შეერწყნენ მესხეთის ქართველ (картский) ტომებს და ამ ტერიტორიაზე ქართული (картский) ელემენტი წამყვანი გახდა როგორც პოლიტიკური, ისე კულტურულ-ეთნიკური თვალსაზრისით[57].

რა ხდება შემდეგ? ნ. მარი ფიქრობდა, რომ VI საუკუნეში კლარჯეთის „თუბალ-კაინური“, ე. ი. ქართველური მოსახლეობა

---

[55] *Житие св. Григория Хандзтийского*. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, С-Петербург, 1911, გვ. II და იქვე შენ. 1. თუბალ-კაინების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ იხ.: თ. მიქელაძე, *ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან*, თბილისი, 1974, გვ. 128-149.

[56] *Житие св. Григория Хандзтийского*, გვ. XXII.

[57] Г. Меликишвили, *К истории древней Грузии*, გვ. 136-137.

გასომხდა (перерождается в армян)[58]. ეს პროცესი ნ. მარს, თავისივე აღიარებით, საკმაოდ ბუნდოვნად ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ როგორც მისი მსჯელობიდან შეიძლება მივხვდეთ, გადამწყვეტ ფაქტორად იგი მიიჩნევდა სომხების მასობრივ ჩამოსახლებას კლარჯეთში. ნ. მარმა სცადა მოეძებნა ამ მოვლენის დადასტურება წერილობით წყაროებში და შეჩერდა ერთადერთ წყაროზე – სომეხი მემატიანის ჰოვან მამიკონიანის თხზულებაზე, რომელშიც VII საუკუნის დასაწყისის ამბებია აღწერილი. ნ. მარმა აქ სრულიად ნებისმიერად ამოიკითხა „ცნობა უკვე შემდგარი (о совершившемся уже) სომხური ემიგრაციული მოძრაობის შესახებ ივერთა ამ ქვეყანაში (იგულისხმება კლარჯეთი – დ. ხ.)“[59]. ქვეყანა რომ „ივერთაა“, თხზულებაში მართლაც კარგად ჩანს – მისი მმართველი ეაშდენი აქ „ივერთა მთავრად“ მოიხსენიება. რაც შეეხება „სომეხთა ემიგრაციულ მოძრაობას“, ამის თაობაზე მატიანეში არც პირდაპირი და არც ირიბი მინიშნება არ მოიპოვება. პ. ინგოროყვამ დაწერილებით განიხილა ჰოვან მამიკონიანის ცნობები და დამაჯერებლად აჩვენა ნ. მარის მოსაზრების სრული უსაფუძვლობა[60]. დღეს, ვფიქრობ, VI საუკუნეში კლარჯეთის არმენიზაციის თაობაზე სერიოზული ლაპარაკი აღარ შეიძლება. სხვა საქმეა, რომ გარკვეულ პერიოდში კლარჯეთში, როგორც ჩანს, მართლაც გაჩნდა სომხური მოსახლეობა. მათ აქ ყოფნას 530-40-იანი წლებში ადასტურებს პროკოპი კესარიელი, რომელიც De bello gothico-ში წერს, რომ ათინას, არქაბესა და აფსაროსის მარჯვნივ აღმართული მთების გადაღმა, იბერიის საზღვრებამდე, ბიზანტიის ქვეშევრდომი პერსარმენები და არმენები ცხოვრობენ[61] (აქ უთუოდ უნდა ვიგულისხმოთ ბიზანტიის

---

[58] *Житие св. Григория Хандзтийского*, გვ. III-IV

[59] იქვე.

[60] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 422-426. დაეძენ, რომ ჰოვან მამიკონიანის მიერ მოთხრობილი ამბავი ძლიერ ზღაპრულ ელემენტებს შეიცავს (თავად ნ. მარი მათ „ნახევრადლეგენდარულს“ უწოდებს), თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ის არ შეიძლება ასახავდეს რეალურად მომხდარ მოვლენებს. სამწუხაროდ, არც მოთხრობილი ამბავი, არც მოქმედი პირები და არც მოქმედების ადგილი (ქალაქი ტამბური შავი ზღვის პირას და შემდეგ მის ადგილას აგებული ქალაქი ჰამამაშენი) სხვა წყაროებიდან ცნობილი არ არის, რაც დიდად აძნელებს ამ ცნობების კრიტიკულ ანალიზს.

[61] *გეორგიკა*, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 123-125. უნდა ითქვას, რომ პროკოპის ცნობები სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის შესახებ ზოგჯერ ცოტა ბუნდოვანია და ძნელი გასაგებია, რომელი ტომი სად ცხოვრობს. მაგალითად, მესხების თაობაზე ნათქვამია: „ამ ქვეყნის (იგულისხმება ლაზეთი – დ. ხ.) გვერდით, სახელდობრ იბერიის გასწვრივ ცხოვრობენ ძველთაგანვე იბერთა ქვეშევრდომი მესხები, რომელთაც მთებში აქვთ საბინადრო ადგილები... ამ ქვეყანაში მთები მეტად მაღალია, უსარმაზარი

ვასალ გუარამის სამფლობელო, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, გამოეყო ქართლს 523 წლის შემდეგ, როცა იქ მეფობა გაუქმდა და სპარსელთა უშუალო ხელისუფლება დამყარდა). ძნელია დანამდვილებით ითქვას, მაგრამ მე მგონია, რომ სომხები კლარჯეთში ძირითადად ჩასახლდნენ IV საუკუნის ბოლოსა და, განსაკუთრებით, V საუკუნეში. საფიქრელია, რომ ისინი წამოვიდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ სომხეთიდან, რომელიც ბიზანტიისა და სპარსეთის მიერ სომხეთის გაყოფის შემდეგ (387 წელი) სპარსეთის მფლობელობაში მოხვდა. 428 წელს სასანიდებმა თავიანთ წილ სომხეთში მეფობაც გააუქმეს და საკუთარი ადმინისტრაცია შექმნეს. ქრისტიანი მოსახლეობა აქ ძლიერ რელიგიურ შეეიწროებას განიცდიდა, რამაც 450-451 წლებში დიდი აჯანყებაც გამოიწვია. ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორიიდან" ჩანს, რომ სპარსელებთან მებრძოლი სომხები ხშირად აფარებდნენ თავს ტაოს – კლარჯეთის მეზობელ ძნელადმისადგომ მთიან მხარეს[62]. საფიქრელია, რომ მათი ნაწილი – პრობიზანტიური ორიენტაციის სომხური არისტოკრატიული ოჯახები თავიანთი ქვეშევრდომებითურთ – ტაოდან გადავიდა და დამკვიდრდა კლარჯეთში, რომელიც ტრადიციულად ბიზანტიის ერთ-ერთი დასაყრდენი იყო ქართლსა და, ზოგადად, კავკასიაში სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმხანად კი უშუალოდ „ბერძნებს" ეკავათ. ძნელი წარმოსადგენია, ამ სომხების წილი მხარის მოსახლეობაში არსებითი ყოფილიყო, მაგრამ ეტყობა ისინი აქტიურად ჩანდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც აისახა კიდეც პროკოპი კესარიელის ზემოთმოტანილ ცნობაში[63].

უეჭველია, რომ უკვე V-VI საუკუნეებში ინტენსიურად მიმდინარეობდა კლარჯეთის სომხობის მკვიდრ მოსახლეობასთან დაახლოების პროცესი, ოღონდ ის წარიმართა არა ისე, როგორც ნ. მარს წარმოედგინა, არამედ საპირისპიროდ – მცირერიცხოვანმა სომხებმა კი არ გაასომხეს კლარჯეთის მთელი ქართველური მოსახლეობა, არამედ თავად განიცადეს მისი ეთნოკულტურული გავლენა. ეს ტენდენცია მკვეთრად გაძლიერდა VII საუკუნის დასაწყისიდან,

---

და საშინლად მიუვალი. და ისინი გავრცელებულია ვიდრე კავკასიის მთებამდე. ამათ უკან აღმოსავლეთით არის იბერია" (იქვე, გვ. 127).

[62] ლ. ჯანაშია, *ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ*, გვ. 188, 236, 248, 257.

[63] ადრეული შუა საუკუნეებში სომხები ცხოვრობდნენ სომხეთთან მოსაზღვრე სხვა ქართულ პროვინციებშიც, კერძოდ ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. იხ.: დ. ბერძენიშვილი, *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვეთი I*, თბილისი, 1979, გვ. 103-106; მისივე, *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი – თორი, ჯავასეთი*, თბილისი, 1985, გვ. 125-126.

სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ, როცა ტერიტორიულად და კონფესიურად ძირითად ეთნიკურ ბირთვს მოწყვეტილი ქალკედონიტი სომხები კლარჯეთში კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ ეთნიკურად განსხვავებულ, მაგრამ ერთმორწმუნე ქართულ გარემოცვას. ნ. მარის მოსაზრება, თითქოს კლარჯეთის სომხობის ქართიზაცია მხოლოდ VIII საუკუნის შუახანებში დაიწყო და ლამის XI საუკუნემდე გაგრძელდა, აშკარად მცდარია. სინამდვილეში ეს პროცესი დაიწყო ძალიან ადრე და არსებითად დასრულდა უკვე VII საუკუნის ბოლოს. რა თქმა უნდა სავსებით შესაძლებელია, რომ ცალკეულ სოფლებში თუ თემებში სომხებს ამის შემდგომაც კარგა ხანს შეენარჩუნებინათ ეთნიკური წარმომავლობის მიმანიშნებელი ელემენტები (თუნდაც სასაუბრო ენა), მაგრამ ამის გამო არც სხვები მიიჩნევდნენ მათ უცხო ტომად და არც თვითონ აღიქვამდნენ თავს განსხვავებულად, მათი თვითიდენტიფიკაცია იგივე იყო, რაც საკუთრივ ქართველებისა.

ადრეული შუა საუკუნეების კლარჯეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ მსჯელობისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ტოპონიმიკა. ძველი წერილობითი წყაროებით კლარჯეთში სულ ორი სომხური წარმომავლობის ტოპონიმი დასტურდება – შატბერდი და მიძნაძორი. ქართველური ტოპონიმები გაცილებით მეტია[64], რაც მოწმობს, რომ რაოდენობრივად სომხობა კლარჯეთში მკვიდრ ქართველურ მოსახლეობაზე ბევრად ნაკლები იყო.

---

[64] ვრცლად ამის შესახებ იხ: პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 434-436. აქ მოტანილია საისტორიო წყაროებიდან ამოკრებილი 50-ზე მეტი გეოგრაფიული სახელწოდება, რომლებიც სავსებით ნათელ სურათს გვიხატავს: „ეს სახელწოდებანი, გარდა, შესაძლოა, ერთი-ორისა, ეკუთვნიან ქართულ სამყაროს (ძირითადად დედა-ქართულს, ნაწილობრივ მეგრულ-ჭანურს, აგრეთვე ნაწილობრივ არქაულ კავკასიანურ ენობრივ წრეს)“ (იქვე). რ. ედვარდსიც აღნიშნავს, რომ „შატბერდი არის ერთ-ერთი თითო-ოროლა ამოცნობად სომხურ ტოპონიმთაგანი (one of the few recognizable Armenian toponyms) ქვედა არსიანის მთების დასავლეთით“ (R. W. Edwards, The Fortifications of Artvin: A Second Preliminary Report on the Marchlands of Northeast Turkey, *Dumbarton Oaks Papers*, 40, 1986, გვ. 167, შენ. 4). ძნელი სათქმელია, რას გულისსმობდა ე. თაყაიშვილი, როცა წერდა, რომ „ძველი სომეხთა მოსახლეობის გავლენა კლარჯეთშიაც ცხადად მოჩანს მრავალს გეოგრაფიულს სახელებში“ (ე. თაყაიშვილი, სამუსულმანო საქართველო, *ქართლოსი, №20*, გვ. 37).

თავი I.

თუხარისი – კლარჯეთის პირველი პოლიტიკური და საეკლესიო ცენტრი

მატიანეში ასახული პირველი ფართომასშტაბიანი მშენებლობა კლარჯეთში ციხე-ქალაქ თუხარისის აგებაა. როგორც ითქვა, ლეონტი მროველი მას ლეგენდარულ ოძრხოსს უკავშირებს: „ამან ოძრჯოსს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ოძრჯე და თუხარისი“[65]. თუხარისი ამის შემდგომაც, „ისტორიულ დროშიც“ ხშირად ფიგურირებს ქართულ მატიანეებში. ის მოიხსენიება ქართლის უძველესი ციხე-ქალაქების – მცხეთის, სარკინეს, ურბნისის, კასპის, უფლისციხის, რუსთავის, სამშვილდეს გვერდით[66]. ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ თუხარისი მდებარეობდა მდ. ჭოროხის ხეობაში, კლარჯეთისა და ამიერ-ტაოს საზღვრის მიდამოებში, მაგრამ ზუსტი ლოკალიზაცია ვერ ხერხდება – ტოპონიმი დიდი ხანია დაკარგულია. ქართველებმა უკვე XVIII საუკუნეში აღარ იცოდნენ, თუ სად არის თუხარისი. ვახუშტიმ შეცდომით გააიგივა თუხარისთან ციხე, რომელიც 1030 წლის ახლო ხანებში ააშენა (ვახუშტის აზრით – განაახლა) საბა მტბევარმა შავშეთში, ტბეთის მახლობლად[67]. შესაძლოა თუხარისი იყოს გვიანდელი ხერსი ჭოროხის მცირე მარჯვენა შენაკადის მდ. ხერსისწყლის ხეობაში, თუმცა ლეონტი მროველთან თითქოს ისე ჩანს, რომ თუხარისი ზედ ჭოროხზეა[68].

თუხარისის ციხის აგების ზუსტი თარიღის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ უეჭველია, რომ ის ძველი დროიდან არსებობდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ციხის აგება სამხრეთქართულ ტომთა ეთნარქს – ოძრხოსს მიეწერება. ამ გადმოცემაში უთუოდ აისახა ხსოვნა თუხარისის ციხის სიძველის

---

[65] *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 9.

[66] იქვე, გვ. 17-18.

[67] *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, გვ. 679. ამ ციხეს ახსენებენ „მატიანე ქართლისაც“ და სუმბატ დავითის-ძეც (*ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 292, 386), მაგრამ, ცხადია, არცერთი არ აკავშირებს მას თუხარისთან. სუმბატის მიხედვით, ამ ციხეს ერქვა „სუეტი“.

[68] *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 17. თუხარისის მდებარეობის საკითხზე იხ.: პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 362.

შესახებ. აბულისა და შაორის ციხეები, რომლებიც სავარაუდოდ ძვ. წ. II ათასწლეულს განეკუთვნება[69], ცხადყოფს, რომ დიდი საფორტიფიკაციო კომპლექსები სამხრეთ საქართველოში ძალიან ადრეული ხანიდან შენდებოდა. შესაძლოა, თუხარისის ციხეც იმავე ხანებში ყოფილიყო აგებული.

ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან მაინც თუხარისი კლარჯეთის ერისთავთა რეზიდენციას წარმოადგენდა. მემატიანეს გამოთქმა „თუხარისი და ყოველი კლარჯეთი“[70] მოწმობს, რომ მას გამორჩეული სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა – თუხარისის ციხის ფლობა თავისთავად გულისხმობდა კლარჯეთის ფლობას. ციხე, როგორც ჩანს, მასშტაბური ნაგებობა იყო. V საუკუნეში მან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ვახტანგ გორგასალზე (მემატიანის სიტყვით, ვახტანგს „შეუყუარდა ციხე“[71]).

IV საუკუნის შუახანებიდან კლარჯეთში ქრისტიანობა ვრცელდება. მართალია, მოსე ხორენელი აგათანგელოსზე დაყრდნობით გვამცნობს, რომ წმ. ნინომ „იქადაგა კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე“[72], მაგრამ ეს ერთგვარი ჰიპერბოლა უნდა იყოს. ქართული წყაროებით არ ჩანს, რომ წმ. ნინო კლარჯეთში ჩასულიყოს. ასეა თუ ისე, ლეონტი მროველი კლარჯეთში პირველი ეკლესიის აგებას და „მოძღუართა დადგენას“ ვარაზ-ბაქარის მამას – მეფე მირდატს მიაწერს[73]. ეს დაახლოებით 350 წლის ახლო ხანებია.

კლარჯეთის პირველ საეკლესიო ცენტრადაც თუხარისი იქცა. ლეონტი მროველი ბაზს უსვამს, რომ მირდატმა ეკლესია „თუხარისის ციხესა შინა“ ააგო[74], რაც ალბათ ნიშნავს, რომ ის შიგ ერისთავთა რეზიდენციაში დგას და ალბათ მათი კარის ეკლესიაა. ამ თვალსაზრისით თუხარისი IV საუკუნის ეკლესიათა შორის უნიკალურია – არცერთი სხვა ადრეული ეკლესიის მდებარეობის განსაზღვრისას ლეონტი მროველი ციხეს არ ახსენებს, იგი უთითებს ზოგადად გეოგრაფიულ პუნქტს (მცხეთა, ერუშეთი, წუნდა, მანგლისი, წილკანი, რუსთავი, ნეკრესი, ბოლნისი) და არა ამ პუნქტში მდებარე ციხეს. ამ გამორჩეულობის მიზეზი,

---

69 დ. ბერძენიშვილი, ი. ელიზბარაშვილი, ნ. ვაჩეიშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი, *ჯაყეთი: ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკელევი*, თბილისი, 2001, გვ. 18-19, 49-50.

70 *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 137, 177.

71 იქვე, გვ. 177.

72 მოსეს ხორენაცი, *სომხეთის ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბილისი, 1984, გვ. 172.

73 *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 131.

74 იქვე, გვ. 131.

ვფიქრობ, ისაა, რომ თუხარისი, თუმც კი მატიანეში „ციხე-ქალაქად“[75] მოიხსენიება, მაგრამ არსებითად ქალაქი არ ყოფილა – ეს იყო საკუთრივ სიმაგრე-რეზიდენცია, რომელშიც ცხოვრობდა ერისთავი თავისი მსახურებით და რაზმით. თუხარისმა, რომელიც, როგორც ითქვა, უძველეს დროში ჩანს დაარსებული, ადრექრისტიანულ ხანაშიც შეინარჩუნა საგვარეულო გამაგრებული საცხოვრისის არქაული სახე, ნამდვილი საქალაქო ცხოვრება მის ირგვლივ არ განვითარებულა.

თუხარისის შესახებ უაღრესად საინტერესო ცნობებს შეიცავს ბერთის ოთხთავის ერთ-ერთი ვრცელი მინაწერი[76]. მასში მოთხრობილია ამბავი ქართველი ბერისა, რომელიც ერთხანს ცხოვრობდა მდ. იორდანეს პირას, იერუსალიმის მახლობლად და შემდეგ გადავიდა კონსტანტინოპოლში, წმ. გიორგის მონასტერში. აქ ყოფნის შვიდი წლის თავზე მას ეჩვენა წმ. გიორგი. მისი მითითებით ბერმა აიღო მთავარმოწამის ხატი და ორ სხვა ბერთან – ანდრიასა და ილარიონთან ერთად გადაასვენა საქართველოში, პუნქტ სალიჯვარში. რამდენიმე წლის შემდეგ ამ ადგილს „ბარბაროსები“ შეესივნენ და ბერმა – კვლავ წმ. გიორგის ჩვენებით – ხატი გადაიტანა „თუხართა, რომელ არს ჭოროხის პირსა“. ის დაასვენეს კლდეზე, რომელსაც ეწოდებოდა ტანიგარა (ტანიგორა?). ხატის სანახავად მოსული ვახტანგ გორგასლის ნებით მას ეწოდა „თუხართა მთავარმოწამე“. უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქვე აშენდა ეკლესიაც.

რ. ბლეიკი და ს. დერ ნერსესიანი მინაწერის გაკეთების თარიღს XII-XVI საუკუნეებს შორის აქცევენ, უფრო XV-XVI საუკუნეებისკენ, რაც სწორი უნდა იყოს[77]. მათი სამართლიანი შენიშვნით, ეს არის თუხარისის ეკლესიის დაარსების ლეგენდა (Stiftungslegende)[78]. საინტერესოა, რომ ბერთის ოთხთავის ერთ-ერთ გვიანდელ

---

[75] ტერმინ „ციხე-ქალაქის“ შესახებ იხ.: შ. მესხია, შენიშვნები მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის შესახებ, *მაცნე. ისტორიის სერია*, №2, 1960, გვ. 22-39; ა. აფაქიძე, *ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში*, თბილისი, 1963, გვ. 160; ლ. ჭილაშვილი, *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში*, I, თბილისი, 1968, გვ. 81-83. დ. ხახუტაიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ტერმინი „ციხე-ქალაქი“ მოგვიანებით, IX-X საუკუნეებში შეიქმნა (დ. ხახუტაიშვილი, *იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები*, თბილისი, 1966, გვ. 28), გაზიარებული არ არის.

[76] R. P. Blake and S. Der Nersessian, The Gospels of Bert'ay: an Old-Georgian MS. of the Tenth Century, *Byzantion, vol. XVI*, 1942-1943, გვ. 233-234, საკმაოდ არაზუსტი ინგლისური თარგმანი – გვ. 234-236.

[77] იქვე. გვ. 232.

[78] იქვე. გვ. 237.

საეედრებელ მინაწერში კვლავ იხსენიება „თუხართა მთავარმოწამე“, როგორც ეკლესია თუ მონასტერი – მინაწერში ლაპარაკია მის მამულებზე[79]. ვფიქრობ, ეჭვს არ იწვევს, რომ თუხარისის წმ. გიორგის ეკლესია ნამდვილად არსებობდა ოსმალთა მიერ კლარჯეთის დაპყრობამდე. ეს იყო ცნობილი სალოცავი, რომელშიც წმ. გიორგის განთქმული ხატი ესვენა. მინაწერის მიხედვით ეკლესია ვახტანგ გორგასლის დროს აუგიათ. როგორც ჩანს, ლეგენდამ, რომელიც აისახა გვიანდელ მინაწერში, ვახტანგ გორგასლის სახელს დაუკავშირა თუხარისის ძველი, ჯერ კიდევ IV საუკუნეში აშენებული ეკლესია. საფუძველი ამისათვის ნამდვილად არსებობდა – ჯუანშერის ცნობით, ვახტანგის ერისთავი არტავაზი ბევრს აშენებდა კლარჯეთში (იხ. ქვემოთ). სხვათა შორის, გამორიცხული არაა, მას რაღაც სამუშაოები თუხარისის ძველ ეკლესიაზეც ჩაეტარებინა – განეახლებინა ან სულაც თავიდან აეშენებინა ის. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ჯუანშერი ამის შესახებ არაფერს წერს – მის მიხედვით, ვახტანგი და არტავაზი მხოლოდ თუხარისის ციხის დათვალიერებით შემოიფარგლნენ.

VI საუკუნიდან თუხარისმა, როგორც ჩანს, დაკარგა უწინდელი მნიშვნელობა. კლარჯეთის ადმინისტრაციული ცენტრი არტანუჯი გახდა, საეკლესიო ცენტრები – ახიზა (საეპისკოპოსო კათედრა) და ოპიზა (კლარჯეთის პირველი მონასტერი). IX-X საუკუნეებში თუხარისს კლარჯი ბაგრატიონები ფლობდნენ. ფანასკერტის დარბაზობის შემდეგ, 1010-იანი წლებიდან, ციხემ მფლობელი შეიცვალა – XI საუკუნის შუახანების ამბების თხრობისას „მატიანე ქართლისა“ იხსენიებს თუხარისის ერისთავე ბეშქენ ჯაყელს[80]. 1080-იან წლებში გადაწერილ ფსალმუნთა განმარტებათა მინაწერში ჩანს ბერი საბა სულაიხსძე თუხარელი[81]. ძნელი სათქმელია, აქ ეს სამოღვაწეო ადგილის მიხედვით შერქმეული სახელია თუ საგვარეულო.

უფრო მოგვიანებით, 1392 წლის ერთ საბუთში მოხსენიებულია „თუხარს საყდარი მოციქულთა“[82]. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ წმ. გიორგის ძველ ეკლესიას ამ დროისთვის სახელობა შეუცვალეს, მაგრამ ეს ნაკლებადსარწმუნო მგონია – XII-XIII საუკუნეებიდან საქართველოში ხშირი იყო ეკლესიების ხელახლა კურთხევა სწორედ წმ. გიორგის სახელზე (სამწევრისი, ტბეთი, ალბათ ბოდბე),

---

79 იქვე, გვ. 247.

80 *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 298. ბეშქენი წყაროებში მოხსენიებული პირველი ჯაყელია. ის იხსენიება ურავლის აგარის მონასტრის სატრაპეზოს წარწერაშიც.

81 თ. ჟორდანია, *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, ტფილისი, I, 1893, გვ. 214.

82 თ. ჟორდანია, *ქრონიკები*, II, გვ. 196.

პირიქითი მაგალითი კი არცერთი არ მახსენდება. ამდენად, წმ. მოციქულთა ეკლესია სხვა უნდა იყოს. ამას ირიბად ადასტურებს მცხეთის საკათალიკოსო მამულების ნუსხაც 1516 წლის ახლო ხანებისა. მასში მოიხსენიებიან „თუხარელნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“[83], რაც გვაფიქრებინებს რომ აქ სულ ცოტა ორი ეკლესია მაინც უნდა ყოფილიყო – მონასტრისა და კარისა.

[83] *სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.)*, ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბილისი, 1961, გვ. 35.

თავი II.

მშენებლობა ვახტანგ გორგასლის ეპოქაში

როგორც ზემოთ ითქვა, 370 წლის ახლოს კლარჯეთი განუდგა ქართლის მეფე ვარაზ-ბაქარს და „მიერთნეს ბერძენთა“. ქართლის მეფეები ამას იოლად არ შეგუებიან. 400 წლის ახლოს მეფე მირდატი ცდილობდა მამამისის მიერ დაკარგული პროვინციის მიერთებას, მაგრამ უშედეგოდ[84]. კლარჯეთის დაბრუნება მხოლოდ ვახტანგ გორგასალმა შეძლო. ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ ვახტანგის მცირე აზიაში ლაშქრობის შემდეგ მას „უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი“[85]. ვ. გოილაძის მიხედვით ეს 456 წლის ბოლოს მოხდა[86]. რასაც არ უნდა ვფიქრობდეთ ჯუანშერის თხზულების შესახებ (იხ. ქვემოთ), უნდა ვაღიაროთ, რომ მისი ცნობა ვახტანგის მიერ კლარჯეთის ხელახლა შემოერთების შესახებ სავსებით სარწმუნოა — V-VI საუკუნეთა მიჯნიდან მაინც კლარჯეთი სხვა წყაროებითაც კვლავ ქართლის შემადგენლობაში ჩანს.

ვახტანგმა კლარჯეთის ერისთავად თავისი ძუძუმტე — არტავაზი დანიშნა. მეფემ და ერისთავმა ერთად მოიარეს ახლადმიერთებული პროვინცია და დიდი მშენებლობა დაგეგმეს. როგორც ჯუანშერის მონათხრობიდან ჩანს, კლარჯეთში იმხანად ორი დიდი ციხე იყო — თუხარისისა და ახიზისა, რომელიც მეფეს დაზიანებული დახვდა. ვახტანგის ბრძანებით არტავაზმა განაახლა ახიზა და ააშენა კიდევ ერთი ციხე არტანუჯში. ჯუანშერი არაფერს წერს მეფისა და ერისთავის მიერ მონახულებული ეკლესიების თაობაზე, რითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ V საუკუნის II ნახევარში კლარჯეთში კვლავ მხოლოდ ერთი ეკლესია იყო — მირდატ მეფის მიერ აგებული თუხარისის ციხეში. ვახტანგმა ამ სფეროზეც იზრუნა — მისი მითითებით არტავაზმა ააშენა მონასტერი ოპიზაში და სამი ეკლესია: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა[87]. არსებობდა ასევე ტრადიცია, რომელიც ვახტანგ მეფეს უკავშირებდა თუხარისის წმ. გიორგის ეკლესიის აშენებას (იხ. ზემოთ).

---

[84] *ქართლის ცხოვრება, ტ. I*, გვ. 138.

[85] იქვე, გვ. 177.

[86] ვ. გოილაძე, *ვასტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი*, თბილისი, 1991, გვ. 141-145.

[87] იქვე, გვ. 178.

ვახტანგამდე კლარჯეთში საეპისკოპოსო კათედრა არ ჩანს. რამდენადაც მანამდე თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე ეს მხარე აღმოსავლეთ რომის იმპერიას ეკუთვნოდა, საფიქრელია, რომ ის იყო ნაწილი იმპერიაში შემავალი პოლემონის პონტოს ეპარქიისა და ექვემდებარებოდა ტრაპეზუნტის კათედრას. V საუკუნის II ნახევარში ქართლის სამეფოს სხვა მხარეებთან ერთად კათედრა კლარჯეთშიც დაარსდა. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგმა „დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა"[88]. დვინის 506 წლის საეკლესიო კრების დამსწრე ქართლის ეპისკოპოსთა ჩამონათვალში არც „ეპისტოლეთა წიგნში" და არც უხტანესის „ისტორიაში" ახიზელი ეპისკოპოსი არ გვხვდება, მაგრამ ეს შეიძლება სახელთა დამახინჯებით აიხსნას. ს. კაკაბაძისა[89] და კ. კეკელიძის[90] ვარაუდით, ახიზად უნდა ვიგულისხმოთ ჩამონათვალში ნახსენები კისდადი[91]. ეზრა, კისდადის ეპისკოპოსი, სიაში წყაროსთაველსა და კუმურდოელს მოსდევს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისი სამწყსოც სამხრეთ-დასავლეთ ქართლია, ე. ი. ის მართლაც შეიძლება ახიზელი იყოს[92].

ახიზის ციხე, რომელსაც კ. კოხი გოჯიბორეთს უწოდებს[93], დგას ახლანდელ სოფელ ფერათლი ქოიდან (Ferhatlı Köy) 2-იოდე კმ-ით ჩრდილოეთით. მის მახლობლად მდებარე საეპისკოპოსო ტაძარი ამუამად მთლიანად განადგურებულია. კლარჯეთის სიძველეთა ადრეული მკვლევარები — დ. ბაქრაძე, ა. პაელინოვი, პრ. უეაროვა და ნ. მარი მის შესახებ არაფერს წერენ. ერთადერთი მოკლე ცნობა დაგვიტოვა თბილისელმა მხარეთმცოდნემ ა. ფლორენსკიმ, რომელიც ახიზაში 1910-იან წლებში იმყოფებოდა. მისი მოწმობით, იმხანად შენობა უკვე ძლიერ დანგრეული იყო, თუმცა კედლების ნაწილი ჯერ კიდევ იდგა. ტაძრის აფსიდში ა. ფლორენსკიმ ნახა

---

[88] იქვე, გვ. 198.

[89] ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, *საისტორიო მოამბე*, I, 1924, გვ. 51-52; მისივე, *ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა*, თბ., 1994, გვ. 332.

[90] კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, IV, თბ., 1957, გვ. 333-334.

[91] *ეპისტოლეთა წიგნი*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ს. ალექსიძემ, თბ., 1969, გვ. 97. უხტანესს თავის ჩამონათვალში ეს ეპისკოპოსი გამიტოვებული ჰყავს.

[92] ი. ჯავახიშვილისა და დ. მუსხელიშვილის აზრით, კისდადი არის გიში — ჰერეთის საეპისკოპოსო ცენტრი (ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, ტ. I, თბ., 1979, გვ. 302, შენ. 3; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 223).

[93] K. Koch, *Wanderungen im Oriente während der Jahre 1843 und 1844*, გვ. 184 და შემდგომ.



სურ. 1. ახიმის ციხე. გეგმა. რ. ეღვარდსის მიხედვით

ორანტას ტიპის ღმრთისმშობლის მოზაიკური გამოსახულების ფრაგმენტები[94]. ცნობილია ორი ანტეფიქსი ახიზის ტაძრიდან. ერთზე გამოსახულია ორი განედლებული ჯვარი, მეორეზე – ჯვარი და ირემი. იკონოგრაფიული თავისებურებებით ანტეფიქსები ადრეული შუა საუკუნეებით თარიღდება[95]. როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასლის დროს აგებულ ტაძარს შემდგომ ხანებში რაიმე არსებითი აღდგენა-

---

[94] ზ. სხირტლაძე, ახიზის ეკლესიისა და მისი მოზაიკის გამო, *ლიტერატურა და ხელოვნება, 1991, №3,* გვ. 155-156.

[95] იქვე, გვ. 156-160.

გადაკეთება არ განუცდია. ახიზის მიდამოებში არის რამდენიმე უფრო მოგვიანო ხანის დარბაზული ეკლესიის ნაშთებიც[96].

დვინის კრების დამსწრე ეპისკოპოსთა სიასთან დაკავშირებით ჰ. ინგოროყვამ კლარჯეთის საეკლესიო ისტორიის სხვა საკითხიც წამოჭრა. სიის მიხედვით, კრებას ესწრებოდა თეოდოროს ფორთის ეპისკოპოსი[97]. სხვა წყაროებით ეს კათედრა ცნობილი არ არის. თვით ტოპონიმი ფორთაც შუა საუკუნეების ტექსტებში არსად გვხვდება. ჰ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ ესაა გვიანდელი სოფელი ფორთა კლარჯეთში, კარჩხალას ხეობაში, სადაც, მისი აზრით, V-VII საუკუნეებში ასევე არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა[98]. მაგრამ, ვფიქრობ, გასათვალისწინებელია, რომ ფორთის ეპისკოპოსი ნახსენებია კახეთ-ჰერეთის ეპისკოპოსებს – ბოდბელს, კაწარელს, ჭერმელსა და ხუნანელს შორის, რაც ალბათ იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ მისი კათედრაც ამ მხარეშია საძებნელი. მე სწორი მგონია ს. კაკაბაძისა და კ. კეკელიძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „ფორთა“ არის დამახინჯებული ჩელეთი[99] – ერწოთიანეთის ეპარქიის ცენტრი, მოხსენიებული ჯუანშერის ჩამონათვალშიც ვახტანგის მიერ დაარსებულ საეპისკოპოსოებს შორის.

ამრიგად, კლარჯეთი შეადგენდა ერთ ეპარქიას, რომლის პირველი ცენტრი იყო ახიზა. მალე, როგორც ჩანს, ახიზამ დაკარგა უწინდელი საეკლესიო მნიშვნელობა და კათედრა ანჩში გადავიდა. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ IX საუკუნის I ნახევარში კლარჯეთის საეპისკოპოსო ცენტრი ანჩია, მაგრამ მისი

---

[96] W. Djobadze, *Monasteries*. გვ. 22-23.

[97] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 97; უხტანესი, *ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან,* სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ. თბ., 1975, გვ 138.

[98] ჰ. ინგოროყვამ ამ საეპისკოპოსოს კათედრალად მიიჩნია ნუკა-საყდრის სახელით ცნობილი ეკლესია (მდ. კარჩხალის ხეობაში, სოფელ შუა ფორთის მახლობლად) და არაბობამდელი ხანით დაათარიღა ის. ჰ. ინგოროყვას აზრით, ნუკა-საყდარი „წარმოადგენს არქაული ტიპის ბაზილიკას, იგი თავისი სახეობით იმეორებს მე-5-7 საუკუნეთა უგუმბათო ბაზილიკების ტიპს“ (*გიორგი მერჩულე,* გვ. 315.). ეს მოსაზრება აშკარად მცდარია. თუნდაც ფორთის ეპარქია მართლაც არსებულიყო (რაც ოავისთავად ლიდად საეჭვოა), წარმოუდგენელია ნუკა-საყდარი, რომელიც მიუდგომელ შვეულ კლდეზე დგას, საეპისკოპოსო ტაძარი ყოფილიყო – ასეთ მიუვალ ადგილებში კათედრალები არ შენდებოდა. რაც მთავარია, არქიტექტურულად ნუკა-საყდარს V-VII საუკუნეების ეპოქას ვერ დაუკავშირებთ – ის გარდამავალი ხანის ტიპიური ნაგებობაა (იხ. ქვემოთ).

[99] ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, გვ. 51-52; მისივე, *ვახტანგ გორგასალი და მისი სანა,* გვ. 332; კ. კეკელიძე, *კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში,* გვ. 333-334.

დაწინაურება უნდა მომხდარიყო ბევრად უფრო ადრე. საფიქრელია, რომ კათედრა აქ დაფუძნდა ჯერ კიდევ არაბობამდე, VI საუკუნეში თუ არა, VII საუკუნის I ნახევარში მაინც.

ცნობა არტავაზის მიერ V საუკუნის II ნახევარში ოპიზაში მონასტრის აშენების შესახებ მკვლევართა უმეტესობას ერთხანს სარწმუნოდ არ მიაჩნდა – ძირითადად გამომდინარე მოსაზრებიდან, თითქოს ასურელი მამების მოსვლამდე, ე. ი. VI საუკუნის შუახანებამდე საქართველოში მონასტრები არ არსებობდა[100]. „არავითარი საბუთი იმისა, რომ ჩვენში ეგრეთ წოდებული ათცამეტ ასურელ მამათა მოსვლამდე მონასტრები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ყოფილიყო, არ არსებობს. პირველი მონასტრები ჩვენში დააარსეს აღნიშნულმა მამებმა“ – წერდა ოთხმოციოდე წლის წინ კ. კეკელიძე[101]. ეს შეხედულება დიდი ხნის მანძილზე დომინირებდა ქართველოლოგიურ მეცნიერებაში. ბოლო ათწლეულებში გამოვლენილი მასალები სხვაგვარად წარმოაჩენს ქართული მონასტიციზმის ისტორიის ადრეულ ეტაპს და, ეფიქრობ, ამ თვალსაზრისით საფუძველი აღარა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ ჯუანშერის ცნობის სისწორეში[102].

ეჭვს ოპიზის მონასტრის ადრეული თარიღის გამო დიდწილად კვებავდა უნდობლობა თვით „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ მიმართ – მას 1910-იანი წლებიდან მტკიცედ დაუმკვიდრდა უკიდურესად არასანდო ისტორიული წყაროს რეპუტაცია. ამგვარი დამოკიდებულება დიდად განაპირობეს ისეთმა ავტორიტეტებმა, როგორებიც იყვნენ ი. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ თხზულება „ზღაპარს უფრო მიაგავს, ვიდრე ნამდვილ ისტორიას“ და რომ ის „ვახტანგის დროის ისტორიისათვის, ზოგიერთ მცირეოდენ ცნობას გარდა, თითქმის გამოუსადეგარია“[103].

---

[100] კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 88, 93, 147; ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. I, ნაკვეთი II, თბილისი, 1962, გვ. 385-386. ბოლოდროინდელ მკვლევართაგან ოპი'ხის დაარსების ადრეულ თარიღს უარყოფს ე. ჯობაძე (W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 15-16).

[101] კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტომი I, ტფილისი, 1923, გვ. 72. ეს აზრი განმეორებულია ნაშრომის მომდევნო გამოცემებშიც (იხ. ბოლო, მეხუთე გამოცემა, თბილისი, 1980, გვ. 88).

[102] ერცლად ამის შესახებ იხ.: დ. ხოშტარია, *უძველესი მონასტრები საქართველოში, არქიტექტურული მემკვიდრეობა*, I, თბილისი, 2001, გვ. 49-55.

[103] ი. ჯავახიშვილი, *ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.)*, თბილისი, 1945, გვ. 187, 191.

ბოლოხანს მკვლევართა დამოკიდებულება „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისადმი“ შესამჩნევად შეიცვალა. ახლა უკვე ბევრი მათგანი იზიარებს ჯერ კიდევ საუკუნეახევრის წინ მ. ბროსეს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ამ თხზულებაში მოტანილი ზღაპრული ამბების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი სავსებით რეალური ისტორიული მოვლენების ანარეკლია[104]. მ. ბროსემ თავის დროზე სწორად შენიშნა, რომ, მაგალითად, ჯუან-შერის მონათხრობში ვახტანგისა და ხუასრო მეფის ბრძოლების შესახებ ჯორჯანთა, ჰინდთა, სინდთა და აბაშთა წინააღმდეგ ასახვა პოვა სპარსეთის 460-იანი წლების ომებმა ჰუნებთან. მ. ვან ესბროკისა და ვ. გოილაძის აზრით, რეალური საფუძველი აქვს ისეთ – ერთი შეხედვით ფანტასტიკურ – ეპიზოდსაც, როგორიცაა ვახტანგ მეფის ლაშქრობა მცირე აზიაში[105]. ეს ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ზემოთმოტანილი ცნობა ოპიზის მონასტრის დაარსების შესახებ უშუალოდ მოჰყვება ამ ლაშქრობის ამბავს და გარკვეულად დაკავშირებულია მასთან – ისე ჩანს, რომ ოპიზის აგება ვახტანგ გორგასალს ლაშქრობისას ნანახმა მონასტრებმა შთააგონა: „...უბრძანა (არტავაზს), რათა გამონახოს ჭეესა მას შინა ადგილი სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია, და ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი... ხოლო არტავაზ აღაშენა... მონასტერი, რომელ არს ოპიზა“[106]. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული ცნობის კონტექსტი – ვახტანგ მეფის აღმშენებლობა კლარჯეთში: არტანუჯის ციხის აგება და ახიზის ციხის განახლება – სავსებით რეალურია.

ოპიზის მონასტრის შესახებ მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს „სერაპიონ ზარზმელის ცხორება“. აქ აღნიშნულია, რომ „აღეშენა... წმიდაჲ და დიდი უდაბნოჲ ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი“[107]. სამწუხაროდ, ამ თხზულების შექმნისა და, შესაბამისად, მასში აღწერილი მოელენების დრო დანამდვილებით დადგენილი არ არის (იხ. ქვემოთ) და ვერ ვიტყვი, V საუკუნეში მონასტრის დაარსებას უნდა მივაკუთვნოთ აღნიშნული ცნობა თუ მის განახლებას (ხელახლა აშენებას) VIII საუკუნეში.

---

[104] M. Brosset, *Histoire de la Géorgie*, S.-Pétersbourg, 1849, გვ. 189.

[105] ვ. გოილაძე, *ვახტანგ გორგასალი და მისი ეპოქა*, გვ. 105-107. მ. ვან ესბროკს ეს აზრი გამოთქმული აქვს გამოუქვეყნებელ ნაშრომში. ცნობა ამის შესახებ მომაწოდა თ. მგალობლიშვილმა.

[106] *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 178.

[107] [ბასილ ზარზმელი], ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I*, ი.აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963, გვ. 322 და შემდგომ.

ასეა თუ ისე, ეფიქრობ, მატიანის ცნობა ვახტანგ მეფის დროს ოპიზის მონასტრის დაარსების თაობაზე სანდოა. სხვათა შორის, ოპიზის მონასტრის ადრეული ხანით დათარიღებას არსებითად ემხრობოდა ნ. მარიც. კერძოდ, იგი მონასტრის დაარსებას აკუთვნებდა კლარჯეთის ისტორიის ადრეულ, მის მიხედვით — არმენიზაციამდელ ხანას, ე. წ. თუბალ-კაინურ პერიოდს, ანუ იმავე V საუკუნეს[108]. ამგვარი დათარიღების საფუძველს ნ. მარი ხედავდა ტოპონიმ „ოპიზის“ („ოპიჯის“) ზანურ წარმომაელობაში. კლარჯეთის ისტორიის ნ. მარისეული კონცეპციის ხელოვნურობა საესებით ცხადია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოპიზის ადრეული დათარიღების სასარგებლოდ მის მიერ მოხმობილი არგუმენტი უთუოდ ყურადღებას იმსახურებს.

ოპიზის მონასტერი რამდენჯერმე განახლდა მომდევნო ხანებში (იხ. ქვემოთ). ამჟამად აქ IX საუკუნეზე ადრინდელი არაფერი ჩანს და ვახტანგისდროინდელი მონასტრის არქიტექტურის შესახებ რისამე თქმა შეუძლებელია.

კიდევ უფრო ძნელია მსჯელობა არტავაზის მიერ აგებული ორი ეკლესიის — დაბა მერისა და შინდობის შესახებ. ეს სახელწოდებები აქ მომაქვს „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილი ტექსტის მიხედვით. „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ხელნაწერებში ისინი ძლიერ სხვაობს. ორ უძველეს — ანასეულ და ჭილაშვილისეულ ნუსხებში „დაბა მერის“ ნაცვლად გვაქვს „ბაბამერისა“, მარიამისეულ, ასევე ერთ-ერთ უადრეს ნუსხაში — „შაბასა მერისა“. „შინდობის“ ნაცვლად ანასეულ ნუსხაში წერია „შინდობნისა“, მარიამისეულში — „ბიდონიასა“[109]. როგორც ჩანს, გვიანდელ გადამწერებს ეს სახელწოდებები აღარაფერს ეუბნებოდა. ჰ. ინგოროყვას კონიექტურით, აქ უნდა წაეიკითხოთ „დაბისა, მერისა და შინდობისა“ და სამი პუნქტი უნდა ვიგულისხმოთ[110]. ამათგან შინდობა-შინდობანთან შეიძლება გაიგივდეს გვიანდელი სინდობა-წინობა-წინობანი შავშეთში, სოფ. აგარის მახლობლად. ნ. მარის ცნობით[111], აქ იდგა კარგად ნაგები მომცრო (დაახლოებით 9,7 × 6,6 მ) დარბაზული ეკლესია. მისი აღწერისას (მე თვითონ ეს ეკლესია არ მინახავს) ნ. მარი საგანგებოდ აღნიშნავს თხელ (70-80 სმ სისქის) კედლებს და პერანგის თლილი ქვების დიდ ზომებს. ამ ნიშნებით ნაგებობა უფრო X საუკუნის ბოლოსი ჩანს, ვიდრე V საუკუნის II ნახევრისა.

---

[108] "Первыми основателями Опизы, очевидно, были тубал-кайны, именно или иверы (мингрельцы), или чаны (лазы)" (Георгий Мерчул, *Житие св. Григория Хандзтийского*, გვ. XXII).

[109] *ქართლის ცხოვრება*, I, გვ. 168.

[110] ჰ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 324.

[111] Н. Марр, Дневник, გვ. 5-6.

მერე (მერწ) კლარჯეთის ისტორიაში კარგად ცნობილი ადგილია. ის მდებარეობს მდ. კარჩხალას ხეობაში, წყაროსთავსა და მიძნაძორს ზემოთ. 820 წლის ახლო ხანებში სამცხიდან მოსულმა მონაზონმა ფებრონიამ აქ დააარსა დედათა მონასტერი, რომელიც ხშირად იხსენიება „გრიგოლ ხანძთელის ცხოერებაში". ეს მონასტერი, როგორც ჩანს, მთლიანად განადგურებულია – ისე, რომ მისი კვალიც აღარ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ნ. მარიდან მოყოლებული დღემდე ვერცერთმა მკვლევარმა ვერ შეძლო მისი მოძებნა.

რაც შეეხება დაბას, თუ პ. ინგოროყვას კონიექტურა სწორია და ჯუანშერთან დაბა მართლაც ცალკე პუნქტის სახელწოდებაა, შესაძლოა ის გაიგივდეს მდ. იმერხევის ხეობაში, ჯმერკის მახლობლად მდებარე დაბასთან. 830-40-იან წლებში აქ წმ. გიორგის მონასტერი გაშენდა, რომელიც, – ისევე, როგორც მერე, – მოიხსენიება კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთა" შორის. უკვე 1904 წელს, ნ. მარის კლარჯეთში მოგზაურობის დროს, დაბის მონასტერი მთლიანად დანგრეული იყო. ნ. მარმა ნამონასტრალზე ნახა მხოლოდ ეკლესიის უმნიშვნელო ნაშთი[112]. V საუკუნის დროინდელი მშენებლობის რაიმე კვალის მოძებნა აქ შეუძლებელია. სხვათა შორის, კლარჯეთში, იმავე მდ. იმერხევის ზედაწელში არის სხვა სოფელიც დაბის სახელწოდებით. მის მახლობლად ასევე შემორჩა გაურკვეველი დროის მოზრდილი დარბაზული ეკლესიის ნანგრევი[113].

---

[112] იქვე, გვ. 180.
[113] იქვე, გვ. 74.

თავი III.

მეექვსე-მერვე საუკუნეები

523 წელს ქართლში მეფობა გაუქმდა[114] და თითქმის მთელი ქვეყანა სპარსელთა უშუალო მმართველობას დაექვემდებარა. ჯუანშერი გვამცნობს, რომ სპარსელთაგან დამოუკიდებლობა შეინარჩუნა მხოლოდ ორმა განაპირა მთიანმა მხარემ — კახეთის მთიულეთმა, სადაც თავი შეაფარეს ბაკურ მეფის შვილებმა, და კლარჯეთ-ჯავახეთმა, სადაც „ქლდეთა შინა კლარჯეთისათა“ მთავრობდა ვახტანგ გორგასლის შთამომავალი გუარამი, „დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატოანი“[115], „მამა ბაგრატიონთა“, როგორც მას სუმბატ დავითის-ძე უწოდებს[116]. ბიზანტია-სპარსეთის

---

[114] ცნობა ქართლში მეფობის გაუქმების შესახებ აქვს პროკოპი კესარიელს (*გეორგიკა*, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 94). ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობდა, რომ ქართლში 523 წლის მერეც დარჩა მეფე-მამასახლისის ინსტიტუტი შეზღუდული უფლებებით (*გეორგიკა*, ტ. IV, ნაკვეთი I, თბილისი, 1941, გვ. 80-84; ტ. V, თბილისი, 1963, გვ. 16-22). საბუთად მან, სხვათა შორის, მიუთითა იოანე მალალას, თეოფანე ჟამთააღმწერლისა და გიორგი კედრენეს თხზულებებზე, რომლებშიც იხსენიება ზამანაზი-ძამანარძე — იბერიის მეფე 520-30-იან წლებში (*გეორგიკა*, ტ. III, 1936, გვ. 268; ტ. V, გვ. 16).

[115] *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 217-218.

[116] იქვე, გვ. 373. სუმბატ დავითის-ძე გუარამის კლარჯეთში მთავრობის შესახებ არაფერს წერს. ის ჰყვება ბაგრატიონთა გვარის ოფიციალურ ისტორიას, რომლის მიხედვითაც გუარამი, დავით მეფის შთამომავალი ებრაელი, ძმებთან ერთად ჩამოვიდა პალესტინიდან ანატოლიაში, მივიდა ქალაქ ეკლეციში (ძველ ბერძენ ავტორთა აკილისენე-აკელესენე, სომეხ მემატიანეთა ეკეღეაცი, მდ. ეუფრატის ზედაწელში), სადაც ნათელ-იღო რაქაელ დედოფლისაგან და შემდეგ დამკვიდრდა ქართლში, სადაც „განაჩინეს ერისთავად“. ბაგრატიონთა წარმომავლობის თაობაზე რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული. იხ., მაგალითად: Н. Адонц, *Армения в эпоху Юстиниана*, С.-Петербург, 1908, გვ. 307-308, 412-413; პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 76-99; C. Toumanoff, *Studies in Christian Caucasian History*, Georgetown, 1963, გვ. 316-328; მ. ლორთქიფანიძე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები*, თბილისი, 1966, გვ. 144-149; მ. სანაძე, ბაგრატიონთა წარმოშობის საკითხისათვის (ლეგენდა და სინამდვილე), *პროფესორ ოთარ გიგინეიშვილის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები*, თბილისი, 2002, გვ. 41-45. ამ საკითხს ახალ შუქს ჰფენს სინას წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილი ახალი კოლექციის

გამუდმებულმა ბრძოლამ სამხრეთ კავკასიაში გაბატონებისათვის გუარამი დიდი პოლიტიკის ასპარეზზე გამოიყვანა. მას სავსებით სამართლიანად აიგივებენ თეოფანე ბიზანტიელის მიერ ნახსენებ გურგენთან[117], რომლის წინამძღოლობითაც ქართლი 571 წელს სომხეთში სპარსეთის წინააღმდეგ დაწყებულ დიდ აჯანყებას შეუერთდა. აჯანყებულები და, კერძოდ, გუარამი ბიზანტიის აქტიური მხარდაჭერით სარგებლობდნენ. იმპერატორმა იუსტინე II-მ (565-578) მას ქართლის მმართველობა ჩააბარა და კურაპალატის ტიტული უბოძა.

VI საუკუნის ბოლო და VII საუკუნის პირველ ათწლეულებში დაპირისპირება ბიზანტიასა და სპარსეთს შორის კვლავ გრძელდებოდა. 580-იან წლებში სპარსეთმა ნაწილობრივ აღიდგინა პოზიციები ქართლში, 590-იან წლებში ისევ დათმო, 600-იან წლებში კვლავ აღიდგინა, ხოლო 627 წელს, იმპერატორ ჰერაკლე II-სთან ნინევიის ბრძოლაში კატასტროფული მარცხის შემდეგ საბოლოოდ დაუთმო ქართლი ბიზანტიას[118]. ჩვენ არ ვიცით, რა ხდებოდა ამ ხანებში კლარჯეთში, მაგრამ თითო-ოროლა ძუნწი ცნობა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იმ არეულ დროშიც „კლდენი კლარჯეთისანი“ არაერთხელ გამხდარა დამარცხებულთა უკანასკნელი თავშესაფარი. ჯუანშერის მიხედვით, აქ დამკვიდრდნენ სპარსელთა მოკავშირე სტეფანოზის (გუარამის ძის) შვილები 628 წლის შემდეგ, როცა „სხუა ყოველი ქართლი“ იმპერატორ ჰერაკლეს მიერ ერისმთავრად აღდგენილ ადარნასეს ეპყრა[119].

ცნობები სამშენებლო საქმიანობის შესახებ VI-VII საუკუნეების კლარჯეთში პრაქტიკულად არ მოიპოვება. გამოთქმულია აზრი, რომ ამ დროს უნდა იყოს დაარსებული პარეხის (პარეხთას) მონასტერი მდ. დუგანალას ხეობაში, ბერთის ზემოთ. ასეთი მოსაზრების საფუძველს იძლევა „სერაპიონ ზარზმელის ცხორება“, რომელშიც ნათქვამია, რომ წმ. შიოს ერთ-ერთი მოწაფე მიქაელი ჩავიდა კლარჯეთში, ერთი ხანი, როგორც ჩანს, დაჰყო ოპიზაში და შემდეგ „აღაშენა უწყებითა საღმრთოჲთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათაჲ ადგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდიან“[120]. მეორე მხრივ, „გრიგოლ ხანძთელის

ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები (Z. Alexidze, New Collection of Mount Sinai and its Importance for the History of Christian Caucasus, *Armenia and Christian Orient*, Yerevan, 2000, გვ. 177).

[117] *გეორგიკა*, III, გვ. 257.

[118] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. 2, თბილისი, 1973, გვ. 268-283 (თაეის ავტორი – ა. ბოგვერაძე).

[119] *ქართლის ცხოვრება*, გვ. 226.

[120] ცხორება სერაპიონ ზარზმელისა, გვ. 322.

ცხორების“ მიხედვით, „რაჟამს ხანცთაჲ იქმნა სახელოვან მადლითა და სიხარულევან სულიერთა შვილთაგან, მას ჟამსა მიძნაძოროთ ხანცთად მოვიდა დიდი მეუდაბნოე მიქელ მამაჲ, რომელიცა დაუმკუდრა პარეხთა, რამეთუ იყო იგი მეგობარ ნეტარისა მამისა გრიგოლისა. და ეძიებდა მარტოდ-მყოფებასა და პოვა თავისა თუსისა სამკუდრებელი ბერთისა პარეხთა“[121].

ამ ორი ცნობის შეჯერებით მიღებული შედეგი პირდაპირ კავშირშია „სერაპიონ ზარზმელის ცხორების“ დათარიღებასთან, რომელიც მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მათი ნაწილი, რომელიც თხზულებაში აღწერილ მოვლენებს VI-VII საუკუნეებით ათარიღებს[122], ფიქრობს, რომ პარეხის მონასტერი მართლაც დააარსა წმ. შიოს მოწაფემ მიქაელმა VI საუკუნის შუახანებში; შემდეგ, არაბობის ხანაში, მონასტერი დაიცალა; მოგვიანებით, 830-40-იან წლებში ნამონასტრალზე დამკვიდრდა მარტომყოფი ბერი მიქაელი; ის, რომ ორსავე წერილობით ცნობაში სამონასტრო ცხოვრების დაწყების ინიციატორს ერთიდაიგივე სახელი – მიქაელი ჰქვია, უბრალო დამთხვევაა, მითუმეტეს, რომ მათი წარმომავლობა და ცხოვრების წესი წყაროებში სხვადასხვაგვარი ჩანს.

მკვლევართა მეორე ჯგუფი, რომელიც სერაპიონ ზარზმელს IX საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევს[123], თვლის, რომ მიქაელ პარეხელის მოხსენიება წმ. შიოს მოწაფედ ტექსტის გვიანდელი დამახინჯების შედეგია; ორსავე თხზულებაში მოხსენიებული მიქაელი ერთიდაიგივე პირია, გრიგოლ ხანძთელის თანამედროვე; შესაბამი-

---

[121] იქვე, გვ. 280.

[122] P. Peeters, *Histoires monastiques géorgiennes*, Analecta Bollandiana, t. XXXVI-XXXVII, 1923, გვ. 165; ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, გვ. 54; პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 324-339, 345-346; Г. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, Тбилиси, 1959, გვ. 29-31; ე. ბერიძე, *სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII-XVI საუკუნეები*, თბილისი, 1955, გვ. 118-123; ა. ბოგვერაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების თარიღისათვის, *მაცნე, ისტორიის სერია*, №3, 1964, გვ. 50-69; დ. თუმანიშვილი, ბასილ ზარზმელი ტაძართმშენებლობის შესახებ, *ლიტერატურა და ხელოვნება*, №1-6, 1996, გვ. 57-58.

[123] ი. ჯავახიშვილი, *ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-VXIII სს.)*, ტფილისი, 1916, გვ. 61-72; ე. თაყაიშვილი, ‘შენიშენები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა ‘შესახებ, *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე*, №1, 1919, გვ. 105-124; კ. კეკელიძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I, პირველი გამოცემა, ტფილისი, 1923, გვ. 145-148 (1980 წლის მეხუთე გამოცემაში – გვ. 146-152); ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. I, გვ. 423-427, 490-494; ნ. ვაჩნაძე, *სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო*, თბილისი, 1975, გვ. 5-30; W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 52-53.

სად, VI-VII საუკუნეში პარეხის მონასტერი არ არსებობდა, ის დაარსდა IX საუკუნეში.

რამდენადაც „სერაპიონ ზარზმელის ცხორებაში" ასახული ისტორიული რეალიები, ეფიქრობ, მაინც უფრო ადრეული დათარიღების სასარგებლოდ მეტყველებს, შესაძლებელია პარეხის მონასტერი მართლაც VI საუკუნის II ნახევარში იყოს დაარსებული, თუმცა გადაჭრით ამის მტკიცება არ შეგვიძლია. არქიტექტურა ამ მხრივ ვერაფრით გვეხმარება, ვინაიდან პარეხში შემონახულ ნაგებობათაგან IX საუკუნეზე ადრეულ ხანას ვერცერთს ვერ მივაკუთვნებთ (იხ. ქვემოთ).

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხანს ფეხმოკიდებული იყო მოსაზრება, თითქოს არაბობამდელ ხანაში კლარჯეთში სომხებმა რაღაც მონასტრები ააშენეს. ეს აზრი მომდინარეობს ნ. მარისგან, რომელსაც, როგორც ზემოთ იქვა, სჯეროდა, რომ VI-VII საუკუნეებში კლარჯეთს სომხური ემიგრაციის დიდი ტალღა მოაწყდა, რამაც შედეგად მთელი მხარის არმენიზაცია გამოიღო. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში ნ. მარი წერდა გრიგოლისა და მის მოწაფეთა მოღვაწეობის დასაწყისის შესახებ: „ქართველ ბერებს კლარჯეთში სომხური სამონასტრო ნაგებობები რაღაც ნგრევის შემდეგ სრულიად გაპარტახებული და მოშლილი დახვდათ"[124]. VIII საუკუნის შუახანებში ოპიზის აღდგენასთან დაკავშირებით კი შენიშნავდა: „პირველი ქართული სამონასტრო კოლონია კლარჯეთში დაფუძნდა ერთ-ერთი სომხური სავანის ახალთახალ ნაფერფლარზე (на одном из совершенно свежих пепелищ армянских обителей)"[125]. მოგვიანებით იგივე აზრი უფრო რელიეფურად ჩამოაყალიბა კ. კეკელიძემ: „სომხებს გაუშენებიათ მონასტრები, როგორიცაა ოპიზა, ხანძთა, იშხანი, მიძნაძორი, შატბერდი და სხვა, სადაც კულტურულ-შემოქმედებითი და ლიტერატურული მოღვაწეობა დუღდა და გადმოდუღდა"[126].

---

[124] *Житие*, გვ. XV.

[125] იქვე, გვ. XXII.

[126] კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I, მეორე გამოცემა, თბილისი, 1941, გვ. 84. გვიანდელ გამოცემებში ამოღებულია მონასტრების ჩამონათვალი, ხოლო „დუღდა და გადმოდუღდა" უფრო ზომიერი გამოთქმით არის შეცვლილი, მაგრამ აზრი იგივე დარჩა (იხ. მეხუთე გამოცემა, თბილისი, 1980, გვ. 97: „VI-VII საუკუნეებში აქ, როგორც ქალკედონიტურ ქვეყანაში, თავი შეუფარებიათ სამშობლოდან დევნილ ქალკედონიტ-სომხებს, რომელთაც გაუშენებიათ აქ რიგი მონასტრები, სადაც კულტურულ-შემოქმედებითისა და ლიტერატურულ მოღვაწეობას ჰქონდა ადგილი").

ნ. მარის კონცეპცია VI-VII საუკუნეებში კლარჯეთის არმენიზაციის შესახებ კარგა ხანია უარყო საისტორიო მეცნიერებამ[127]. ზემოთ მეც შეეეცადე მეჩვენებინა, რომ გარკვეული რაოდენობის სომხური მოსახლეობის არსებობა კლარჯეთში, რაც დასტურდება წერილობითი ცნობითა და ტოპონიმიკით, არამცდაარამც არ ნიშნავს მთელი მხარის გასომხებას. მითუმეტეს არავითარი საფუძველი არ არსებობს კლარჯეთში სომხური მონასტრების დაარსებასა და სომეხთა კულტურტრეგერულ როლზე სალაპარაკოდ. არ მოიპოვება არცერთი წერილობითი ცნობა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად დაადასტურებდა სომხების მიერ კლარჯეთში თუნდაც ერთი მონასტრის აგებას[128]. ის ფაქტი, რომ რამდენიმე ადგილს სომხური წარმოშობის სახელწოდება აქვს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ამ ადგილებში აუცილებლად უნდა ყოფილიყო სომხური მონასტრები. კლარჯეთში სომხური მწიგნობრული კერების არსებობას არაფერი ადასტურებს. არ არის ცნობილი კლარჯეთში იმხანად შექმნილი თუნდაც ერთი სომხური ხელნაწერი. იმ პუნქტებში, სადაც ნ. მარი და კ. კეკელიძე ვარაუდობდნენ VI-VII საუკუნეებში სომხური მონასტრების არსებობას, არ ჩანს სომეხთა სამშენებლო მოღვაწეობის არავითარი კვალი.

აქვე შევნიშნავ, რომ თუ ნ. მარისა და კ. კეკელიძის მიხედვით სომეხთა აქტივობა კლარჯეთში VI-VII საუკუნეებით იფარგლება და VIII თუ არა IX საუკუნიდან მაინც ეს მხარე ქართულ კულტურულ ორბიტაში ექცევა, ზოგიერთი ავტორი კიდევ უფრო შორს მიდის და ცდილობს კლარჯეთი ტაოსთან ერთად მთლიანად მოსწყვიტოს საქართველოს. ასეთი მცდელობები ადრეც ყოფილა, ბოლოხანს კი მათ განსაკუთრებით ტენდენციური ხასიათი მიეცა. ჩნდება პუბლიკაციები, რომლებშიც ტაო-კლარჯეთი ისტორიული სომხეთის ნაწილად, ხოლო სამხრეთ საქართველოს IX-X საუკუნეთა

---

[127] საგულისხმოა, რომ ლ. მენაბდე, რომელიც ყველა საკამათო საკითხში, როგორც წესი, ემხრობა კ. კეკელიძის აზრს, ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „დღეს არავინ იზიარებს აზრს ოპიზის მონასტრის სომხური წარმომაელობის შესახებ და ის ფაქტი, რომ ოპიზის ტაძარი ქართველთა მიერაა აშენებული ადრეულ ხანაში, საყოველთაოდ აღიარებულია“ (ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. I, გვ. 385).

[128] აქ, ცხადია, არ ვგულისხმობ ტაოში მდებარე იშხანს, რომელსაც კ. კეკელიძე კლარჯეთის მონასტრებს შორის ახსენებს. კარგად არის ცნობილი, რომ იშხანში პირველი კათედრალი ქალკედონიტმა სომეხმა კათალიკოსმა ნერსემ ააგო VII საუკუნის შუახანებში. მაგრამ ტაოსა და კლარჯეთის აღრევა არ შეიძლება, IX საუკუნემდე მათი ისტორიული ბედი სხვადასხვაგვარი იყო.

კულტურა „სომხურ-ქალკედონიტურად“ ცხადდება[129]. არქიტექტურული ასპექტი ასეთ პუბლიკაციებში, როგორც წესი უკანა პლანზეა, ვინაიდან ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით ტაო-კლარჯეთის საქართველოსაგან მოწყვეტისა და სომხეთზე „მიბმის“ აბსურდულობა მეტისმეტად აშკარაა. თუმცა თითო-ოროლა მცდელობა თვით არქიტექტურის ისტორიკოსთაგანაც ყოფილა. ისინი ძირითადად ტაოსკენ არის მიმართული, მაგრამ შიგადაშიგ ავტორები კლარჯეთსაც სწვდებიან. ზოგიერთ გამოცემაში სომხური არქიტექტურის ფარგლებში განიხილება არა მხოლოდ ხახული, ოშკი, ოთხთა ეკლესია და პარხალი, არამედ ოპიზაც, დოლისყანაც, ტბეთიც და იენი-რაბათიც[130]. ასეთი „მიგნებები“ მთლიანად ლოკალური რუსულ-სომხური მეცნიერების ფარგლებში რჩება და

---

[129] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციის უკანასკნელი გახმაურებული მაგალითია პარაგრაფი Искусство армян-халкидонитов (ავტორი: ა. კაზარიანი) სტატიაში: Армения, *Православная энциклопедия, т. III*, Москва, 2002, გვ. 314-316.

[130] ტაოსა და ასევე ნაწილობრივ შავშეთ-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების სომხურად გამოცხადებას შეეცადა ნ. ტოკარსკი (Н. Токарский, *Архитектура древней Армении*, Ереван, 1946), რომელიც მკაცრად გააკრიტიკა ს. ჯანაშიამ (С. Джанашия, *Об одном примере искажения исторической правды*, Тбилиси, 1947). ავტორის სიკვდილის შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა ნ. ტოკარსკის იმავე სულისკვეთებით დაწერილი სპეციალური ნაშრომი ტაოს არქიტექტურის შესახებ (Н. Токарский, *Из истории средневекового строительства в Тайкском княжестве*, Ереван, 1988). მოგვიანო ხანის ავტორთაგან აღსანიშნავია ტ. მარუტიანი, რომელმაც რამდენიმე სომხურენოვანი ნაშრომის პუბლიკაციის შემდეგ რუსულად გამოსცა ერთგვარი შემაჯამებელი წიგნი (იხ. Т. Марутян, *Архитектурные памятники - Звартноц, Аван, Собор Анийской богоматери*.., Ереван, 1989). მისი მესამე, ყველაზე დიდი ნაწილი (გვ. 144-239) – მას ეწოდება Архитектурные памятники Глубинной Армении – პრაქტიკულად მთლიანად ეძღვნება ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურას. აქ განხილულია უმეტესად ტაოს საეკლესიო ნაგებობები, თუმცა აქა-იქ ავტორი აპარებს კოლა-არტაანისა და კლარჯეთის ეკლესიებსაც. ასე, ცალკე თავი ეთმობა იენი-რაბათს, რომელიც თურმე ოდითგანვე ანტიქალკედონიტ სომეხთა ეკლესია ყოფილა (გვ. 220-221). ერთგან დოლისყანის შესახებ ნათქვამია, რომ მისი გუმბათი დაანგრიეს არაბებმა (?) და შემდეგ ის აღდგენილი იქნა „ზუსტად სომხური არქიტექტურის ძეგლების მსგავსად“ (купол восстанавливался по точному подобию памятников армянской архитектуры, გვ. 218). მეორეგან ტ. მარუტიანი ზოგადად ახსენებს „კლარჯეთის სომხურ საკულტო ნაგებობებს“ (გვ. 213). საერთოდ, იგი ცდილობს გაატაროს აზრი, რომ IX-XI საუკუნეების კლარჯეთის არქიტექტურა მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც სომხურია.

უფრო შორს გასაეალი არა აქვს. მათ არ ძალუძს გაელენა იქონიოს საერთაშორისო სამეცნიერო აზრზე, რომელიც მტკიცედ ჩამოყალიბდა მკვლევართა რამდენიმე თაობის მრავალწლიანი შრომის საფუძველზე. არცერთ სერიოზულ ავტორს არ შეუტანია ეჭვი იმაში, რომ ტაო-კლარჯეთის შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია.

VII საუკუნის II ნახევრიდან საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. 654 წელს ქართლის ერისმთავარი წინააღმდეგობის გაუწეელად დამორჩილდა საზღვარზე მომდგარ არაბებს, რაც გაფორმდა არაბთა სარდლის მასლამას მიერ გაცემული „დაცვის სიგელით". სიგელში აღნიშნულია, რომ იმავე პირობით არაბებს დამორჩილდნენ ქართლის ცალკეული მხარეები და მათ შორის კლარჯეთიც. ეს საგანგებო აღნიშვნა მოწმობს, რომ ერისთავები საკმაოდ დამოუკიდებელნი იყვნენ არა მხოლოდ შინაურ, არამედ საგარეო საქმეებშიც.

არაბთა ბატონობა საქართველოში განსაკუთრებით დამძიმდა VIII საუკუნის I ნახევარში, ხალიფა ხიშამის (724-743) ხეობის წლებში. 735 წელს აჯანყებით მოცული კავკასიის დასამორჩილებლად ხიშამმა თავისი ბიძაშვილი მარვან-იბნ-მუჰამადი (საქართველოში მურვან-ყრუდ წოდებული) გამოგზავნა დიდი ლაშქრით. მისი სამხედრო ძალით შეძრწუნებული „მთავარნი და პიტიახშნი, ნათესავნი ერისთავთა და წარჩინებულთანი შეიმეოტნეს კავკასიად, და დაიმალნეს კლდეთა და ღრეთა"[131]. შემოსევას, რომელიც ორ წელს გაგრძელდა, უზარმაზარი მსხვერპლი, ნგრევა და გაპარტახება ახლდა თან.

ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, იყო თუ არა კლარჯეთი მურვან-ყრუს მიერ დალაშქრულ მხარეთა შორის. ამის პირდაპირ დადასტურებას მხოლოდ სუმბატ დავითის-ძესთან ვპოულობთ. მისი ცნობით, „ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა ყოველნი ციხენი და მოელო შავშეთიცა და ღადონი"[132]. „ღადონი" – ხეობებით დასერილი მთები მდ. იმერხევის მარჯვენა ნაპირზე – კლარჯეთის ნაწილია, გვიანდელი „საქართველოს სინას" ტერიტორია. სუმბატი ასევე წერს, რომ აშოტ კურაპალატმა განაახლა არტანუჯის ციხე, რომელიც „აოჴრებულ იყო ბაღდადელისა მით ყრუობითგან"[133]. სხვა წყაროთა ცნობები განსხვავებულ სურათს იძლევა. „დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში" აღწერილ მურვან ყრუს მარშრუტში არც კლარჯეთი ჩანს და არც შავშეთი – დამპყრობელი სამცხიდან

---

[131] *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 234.
[132] იქვე, გვ. 376.
[133] იქვე, გვ. 377.

(ოძრხიდან) არგვეთში გადადის[134]. ასევეა შესაბამის ჩანართშიც ჯუანშერთან[135]. სხვაგან ჯუანშერი არაბთა მიერ „განრყუნილ“ ქვეყნებს შორის ასახელებს ქართლს, სომხითსა და რანს[136], „არჩილის წამებაში“ ქართლთან ერთად დასახელებულია კახეთიც[137], მაგრამ შავშეთ-კლარჯეთი ნახსენები არსად არის. გიორგი მერჩულეს მიხედვით, 780-იან წლებში, როცა გრიგოლ ხანძთელი ხანძთაში ჩავიდა, „კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირენი იპოვებოდეს დაშენებული ტყეთა შინა ადგილ-ადგილ“[138]. ეს შეიძლება მართლაც ჰგავდეს სასტიკი მტრის მიერ აოხრებული მხარის სურათს (ასეც აღიქვამს ბევრი მკვლევარი), მაგრამ თვითონ გიორგი მერჩულე არაბთა ლაშქრობის შესახებ არაფერს წერს. საგულისხმოა, რომ სუმბატ დავითის-ძე – ერთადერთი ავტორი, რომელიც შავშეთ-კლარჯეთში მურვან-ყრუს შემოჭრის შესახებ მოგვითხრობს – ამ რეგიონში მოსახლეობის შემცირებას („მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“[139]) უკავშირებს არა არაბთა შემოსევას, არამედ „სატლობას“ – ქოლერის ეპიდემიას. კ. კეკელიძის სწორი შენიშვნით, ეს უნდა ყოფილიყო ქოლერის 746-747 წლების დიდი ეპიდემია, რომელმაც უამრავი ხალხი იმსხვერპლა ბიზანტიის იმპერიაში[140].

---

[134] *საქართველოს სამოთხე: სრული აღწერაჲ ღუაწლთა და ენებათა საქართუელოს წმიდათა*, შეკრებილი და გამოცემული გობრონ (მიხაილ) საბინინის მიერ, პეტერბურღი, 1882, გვ. 324-325.

[135] *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 234.

[136] იქვე, გვ. 239.

[137] იქვე, გვ. 245.

[138] გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ, და მის თანა ჴსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტაროაჲ, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963 (ქვემოთ: ცხორება გრიგოლ ხანძთელისა), გვ. 257.

[139] *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 376. ეს ფრაზა და გიორგი მერჩულეს ნათქვამი „მცირენი იპოვებოდეს დაშენებული ტყეთა შინა ადგილ-ადგილ“ ისე წააგავს ერომანეთს, რომ შესაძლოა მათ საერთო წყარო პქონდეს.

[140] კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 93, შენ. 1. კარგად არის ცნობილი რა კატასტროფული შედეგები პქონდა შუა საუკუნეებში ეპიდემიებს, რომლებსაც მეტი ხალხი ეწირებოდა, ვიდრე ყველაზე სისხლიან ომებს. იმ დაავადებათა შორის, რომელთაც ევროპაში განსაკუთრებით დიდი სიკვდილიანობა მოჰყვა, მკვლევარები ასახელებენ ქოლერასა და შავ ჭირს (В. Самаркин, *Историческая география западной Европы в средние века*, Москва, 1976, გვ. 84).

ეპიდემია, როგორც ჩანს, შეეხო კლარჯეთის უძველეს (და იმხანად, შესაძლოა, ერთადერთ) მონასტერსაც[141] – ოპიზა დაიცალა. 750-60-იან წლებში ის კვლავ აღდგა. როდესაც 780 წლის ახლო ხანს გრიგოლ ხანძთელი კლარჯეთში ჩავიდა, აქ მას ოპიზის გარდა სხვა მონასტერი არ დახვედრია. ოპიზაში იჯდა აღდგენის შემდეგ რიგით მესამე წინამძღვარი, იყო მცირერიცხოვანი თემი და წმ. იოანე ნათლისმცემლის პატარა ეკლესია.

მთლიანად, დამოუკიდებლად იმისა, გადაურჩა თუ არა კლარჯეთი მურვან-ყრუს ლაშქარს, მდგომარეობა აქ უკიდურესად მძიმე იყო. რეგიონს მძიმე კვალი დაამჩნია გამანადგურებელმა ეპიდემიამ და იმ საერთო პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც VIII საუკუნეში მთელი საქართველო მოიცვა. ჩამკვდარი სულიერი და სამეურნეო ცხოვრება, გამეჩხერებული მოსახლეობა, მოშლილი ადმინისტრაცია – ასეთი იყო ვითარება კლარჯეთში VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე, როცა აქ დაახლოებით ერთდროულად ორი დიდი პიროვნება, სასულიერო და საერო წინამძღოლები გრიგოლ ხანძთელი და ა'შოტ ბაგრატიონი გამოჩნდნენ.

VI საუკუნეში შავი ჭირის ეპიდემიის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობა ბევრგან განახევრდა. დასავლეთ ევროპის ზოგიერთ რაიონში „შავი სიკვდილის" სახელით ცნობილ ოთხ ეპიდემიას 25 წლის მანძილზე (1348-1350, 1360-1361, 1369 და 1374 წლებში) მოსახლეობის 80-90% ემსხვერპლა. (იქვე, გვ. 88-90). უმძიმესი შედეგები ჰქონდა 1474 წელს შავი ჭირის ეპიდემიას თბილისში (ეს ტრაგედია მეტ-ნაკლებად არის აღწერილი თბილისში გადაწერილი ერთი სომხური სახარების მინაწერში, იხ.: *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების /ბიშტაკარანების/ ცნობები საქართველოს შესახებ*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბილისი, 1978, გვ. 85-86).

[141] ეპიდემიებს შუა საუკუნეებში განსაკუთრებით მაღალი სიკვდილიანობა მოჰყვებოდა ადამიანთა კონცენტრაციის ადგილებში, კერძოდ, ქალაქებსა და მონასტრებში (В. Самаркин, *Историческая география западной Европы в средние вѣка*, გვ. 84).

თავი IV.

გრიგოლ ხანძთელი და ადრეული მშენებლობა „საქართველოს სინაზე“

როგორც ზემოთ გამოჩნდა, კლარჯეთის IX საუკუნემდელი საეკლესიო არქიტექტურა ჩვენთვის პრაქტიკულად უცნობია. არის წერილობითი ცნობები სხვადასხვა დროს აქ ჩატარებული რამდენიმე მშენებლობის თაობაზე, მაგრამ ამ ცნობების დაკავშირება კონკრეტულ ნაგებობებთან ვერ ხერხდება. მთლიანად, ჩვენი დღევანდელი ცოდნის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ კლარჯეთში არ მოიპოვება IV-VIII საუკუნეებით დათარიღებული არცერთი ასე თუ ისე გადარჩენილი საეკლესიო ნაგებობა. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის სპეციფიკური პირობები, რომლებიც შეიქმნა კლარჯეთში თურქების მიერ ამ მხარის დაპყრობის შემდეგ, განსაკუთრებით კი XIX-XX საუკუნეებში – გამაჰმადიანებული მოსახლეობა ეკლესიებს აღარ უვლიდა, პირიქით, ხშირად ანგრევდა კიდეც. მაგრამ ამ უკიდურესად არახელსაყრელ პირობებშიც კი შემოინახა IX-X საუკუნეთა რამდენიმე ათეული ნაგებობა, ხოლო უფრო ადრინდელი, როგორც ითქვა – არცერთი. როგორც ჩანს, IX საუკუნემდე კლარჯეთში საეკლესიო მშენებლობას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, ეკლესიები აქ ცოტა იყო, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით ნაკლები, ვიდრე ქართლსა და კახეთში. ფართომასშტაბიანი აღმშენებლობა კლარჯეთში IX საუკუნიდან იწყება და დაკავშირებულია შუა საუკუნეების საქართველოს ყველაზე დიდი სამონასტრო მოძრაობის ინიციატორის – გრიგოლ ხანძთელის დაუცხრომელ მოღვაწეობასთან.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია – რომ არა იერუსალიმის წიგნთსაცავში იღბლად გადარჩენილი ერთადერთი ხელნაწერი, საქართველოს სულიერი ისტორია მისი ერთი-ერთი უმთავრესი მონაწილის გრიგოლ ხანძთელის მოუხსენიებლად დაიწერებოდა. ერთხანს ასეც იწერებოდა. დღევანდელ მკითხველს უთუოდ მოხედება თვალში, რაოდენ უფერულია გრიგოლ ხანძთელის გარეშე IX საუკუნის საქართველოს ისტორიის სურათი მარი ბროსეს „საქართველოს ისტორიაში“ ან რაოდენ ნაკლულია სამონასტრო ცხოვრებისადმი მიძღვნილი თავი მიხეილ თამარაშვილის ნაშრომში „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“, მაგრამ ეს, ცხადია, ავტორთა ბრალი არ არის – მათ უბრალოდ არაფერი იცოდნენ გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის

შესახებ. მხოლოდ 1911 წელს ნ. მარის მიერ გიორგი მერჩულის თხზულების სრული ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ შეიძლო ჩვენი ცოდნა ეროვნული კულტურის ისტორიის იმ ფურცლით, რომლის გარეშეც IX საუკუნის საქართველოს სულიერი ცხოვრება საკვირველად ღარიბი ჩანდა. ამ ფურცლის გარეშე გაუგებარი (ან, ყოველ შემთხვევაში, ძნელად ასახსნელი) იქნებოდა შემდგომი მოვლენებიც, კერძოდ მწიგნობრობის, არქიტექტურისა და ხელოვნების არნახული აყვავება და ზოგადად, განსაკუთრებული სულიერი აღმავლობა X საუკუნის კლარჯეთსა და ტაოში.

ქართლის წარჩინებული ოჯახის შთამომავალი, ნერსე ერისთავის ოჯახში აღზრდილი გრიგოლი ახალგაზრდობაშივე ეკურთხა მღვდლად. ერისთავის კარი მას ეპისკოპოსობისთვის ამზადებდა, მაგრამ გრიგოლმა „ხორციელ დიდებას“ მეუდაბნოება ამჯობინა. მან ფარულად დატოვა ქართლი და თავისი განზრახვის აღსასრულებლად კლარჯეთს გაემგზავრა. ჰაგიოგრაფი არ წერს, თუ რით იყო განპირობებული გრიგოლის არჩევანი, რატომ არ წავიდა ის რომელსამე სხვა მხარეში. როგორც ჩანს, გრიგოლს იზიდავდა მკაცრი ბუნებით ცნობილი შორეული, იდუმალი მხარე, სადაც სამონასტრო ცხოვრება, მიუხედავად შესაფერისი პირობებისა, სუსტად იყო განვითარებული: სწორედ აქ უნდა ეღვაწა მას, „რაითა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესს დაუვსებელი...“[142]

გრიგოლი კლარჯეთში 780 წლის ახლო ხანებში ჩავიდა[143]. მას ახლდა სამი თანამგზავრი, რომელთაც შემდგომში თავისი წელილი შეიტანეს სამონასტრო მშენებლობაში – საბა, თეოდორე და ქრისტეფორე. მათი პირველი თავშესაფარი ოპიზის ახლადაღდგენილი მონასტერი იყო, იმხანად კლარჯეთის ერთადერთი სავანე. აქ გრიგოლმა ორი წელი დაჰყო და შემდეგ ანაქორეტი ბერის ხუედიოსის ჩაგონებით ახალი მონასტრის დაარსება გადაწყვიტა. ასე ჩაეყარა საფუძველი ხანძთის წმ. გიორგის მონასტერს – გრიგოლის პირველ სავანეს, რომელთანაც იყო დაკავშირებული მისი შემდგომი ცხოვრების დიდი ნაწილი და რომლიდანაც წარმოდგა მისი წოდება „ხანძთელი“.

ხანძთის მონასტრის დაარსების ამბის შემდეგ გიორგი მერჩულის თხრობაში დიდი ქრონოლოგიური წყვეტილია. ჰაგიოგრაფი ძალიან მოკლედ გვიამბობს, თუ რა ხდებოდა ამ ხნიდან, ე. ი. დაახლოებით 782 წლიდან 810-იან წლებამდე – გარდაიცვალა ბერი ხუედიოსი, ხანძთის ძმობა იზრდებოდა. არსებითად ეს არის და ეს. როგორც ჩანს, ეს სამი ათწლეული კლარჯეთის ბერების

---

[142] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 252.

[143] თარიღისათვის იხ. პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 341.

ცხოვრებაში მოვლენებით მდიდარი არ ყოფილა. სამაგიეროდ, 810-იანი წლებიდან სურათი მკვეთრად იცვლება: თხზულებაში პირველად ჩნდებიან კლარჯეთის საერო ხელისუფალნი — ჯერ აზნაური გაბრიელ დაფანჩული და შემდეგ თავად აშოტ კურაპალატი, რომლის დახმარებასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამონასტრო მშენებლობის ფართოდ გასაშლელად.

სუმბატ დავითის-ძის მიხედვით აშოტ ბაგრატიონი თავიდან ქართლის ერისმთავარი ჩანს[144]. კლარჯეთში იგი 813 წლის ახლო ხანს გადავიდა[145]. ეს არსებითად გაქცევა იყო — ხალიფა ალ-მამუნის (813-833) მმართველობის დასაწყისში გაძლიერებულმა არაბებმა აშოტი ქართლში ისე შეავიწროვეს, რომ მას აქ, როგორც ჩანს, აღარ დაედგომებოდა. ახალ სამფლობელოში აშოტი ბიზანტიის იურიდიულ-პოლიტიკური მხარდაჭერით დამკვიდრდა („მისცა ღმერთმან და განამტკიცა ჴელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა“[146]) და კურაპალატის ტიტულიც მიიღო. რამდენიმე წლის შემდეგ აშოტმა ისარგებლა სახალიფოში დაწყებული არეულობით და არაბებთან ბრძოლა განაახლა. ეს ბრძოლა დიდწილად წარმატებული იყო — 820 წლისთვის აშოტის ხელისუფლება უკვე ქართლზეც ვრცელდებოდა[147].

აშოტ კურაპალატი ჭკვიანი და ენერგიული მმართველი იყო. მან შექმნა ცენტრალიზებული სახელმწიფო მტკიცე ადმინისტრაციითა და ძლიერი სამხედრო ძალით, ზრუნავდა მოსახლეობის მოზიდვაზე, სოფლების „განმრავლებასა“ და სამეურნეო ცხოვრების აღდგენაზე. სუმბატ დავითის-ძე განსაკუთრებით აღნიშნავს აშოტ კურაპალატის აღმშენებლობას: მან აღადგინა არტანუჯის ციხე,

---

[144] *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 376.

[145] თარიღისათვის იხ.: პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 43.

[146] *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 376.

[147] „მატიანე ქართლისას“ ცნობით, „დაიპყრა აშოტ კლარჯეთიდან ვიდრე ქსნამდე“ (იქვე, გვ. 253), მაგრამ შესაძლოა აქ 813 წლამდელი ვითარება იგულისხმება, ვინაიდან „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ ნუსხაში სწორედ ამ ფრაზას მოკვეცა ჩანართი სუმბატ დავითის-ძის ქრონიკიდან, სადაც მოთხრობილია აშოტის კლარჯეთში გადასვლის ამბავი. „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, კლარჯეთი აშოტს თავიდანვე მემკვიდრეობით ეკუთვნოდა, ვინაიდან აქ ჯერ კიდევ მამამისი ადარნასე დამკვიდრდა (იქვე, გვ. 251). სუმბატ დავითის-ძე აშოტს არა მარტო ქართლის, არამედ ალბანეთის ნაწილის მიერთებასაც მიაწერს „ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა“ (იქვე, გვ. 377), რაც მ. ლორთქიფანიძის სამართლიანი შენიშვნით, გაზვიადება უნდა იყოს (იხ *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II, თბილისი, 1973, გვ. 450). გიორგი მერჩულე ზოგადად აღნიშნავს, რომ „აშოტ კურატპალატმან დაიპყრნა მრავალნი ქუეყანანი“ (ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 296)

ააშენა მის ქვეშ ქალაქი, შიგ ციხეში კი – თავისი საცხოვრებელი და კარის ეკლესია წმ. პეტრეს და პავლეს სახელობისა, რომელშიც საფლავიც გაიმზადა[148]. აშოტმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა თავის სამფლობელოში მოღვაწე ბერებთან და, კერძოდ, გრიგოლ ხანძთელთან, რომელშიც, როგორც ჩანს, იმთავითვე დაინახა დიდი სამონასტრო მოძრაობის პოტენციური წინამძღოლი. აშოტისა და გრიგოლ ხანძთელის პირველი შეხვედრა, რომელიც ცოცხლად აქვს აღწერილი გიორგი მერჩულეს, საქართველოს სულიერი ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო ეპიზოდია. ამის შემდეგ სამონასტრო მშენებლობა კლარჯეთში ახალ მასშტაბებსა და გაქანებას იძენს. თვით აშოტმა ამ თვალსაზრისით ბევრი ვერაფერი მოასწრო, მაგრამ მან საფუძველი ჩაუყარა კლარჯეთის ბერ-მონაზვნობისა და საერო ხელისუფალთა ურთიერთმხარდაჭერისა და თანამშრომლობის ტრადიციას, რომელსაც მტკიცედ მისდევდნენ მისი შვილები და შემდეგ მათი შთამომავალნი.

აშოტის მმართველობის პერიოდში აზნაურ გაბრიელ დაფანჩულის შემწეობით აშენდა ქვის ახალი ეკლესია ხანძთაში და დაარსდა დედათა მონასტერი გუნათლის ვანი. აქ კრძალავდნენ ქალებს დაფანჩულთა გვარიდან. გუნათლეს აიგივებენ შავშეთში მდებარე სოფელ გურნათელთან, სადაც შემოინახა მომცრო დარბაზული ეკლესია, სავარაუდოდ IX საუკუნისა (სხვა ვერსიით, გუნათლეს ვანი არის გვიანდელი ნუკა-საყდარი. იხ. ქვემოთ). ეს მონასტერი, როგორც ჩანს, პატარა და ნაკლებადცნობილი იყო. გიორგი მერჩულეს შემდეგ მის შესახებ რაიმე ცნობა არ მოიპოვება. კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთა“ შორის ის არ იგულისხმება.

ამავე ხანებში ან ცოტა უფრო ადრე დაარსდა დედათა მონასტერი მერეში. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ამ პუნქტში ვახტანგ გორგასლის ერისთავმა არტავაზმა ეკლესია ააგო. შესაძლოა ეს ეკლესია IX საუკუნეშიც მთელი იყო. ყოველ შემთხვევაში, მერეში მონასტრის მშენებლობის შესახებ გიორგი მერჩულე არაფერს წერს, იგი უბრალოდ აღნიშნავს, რომ დედა ფებრონია „მოიწია სამცხით და დაემკჳდრა მერეს შინა“[149]. ამის შემდეგ ჰაგიოგრაფი უკვე იხსენიებს მერეს მონასტერს, რომელიც ეტყობა ფართოდ იყო ცნობილი. კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთა“ შორის ეს ერთადერთი დედათა მონასტერია. მისი ზოგადი ადგილმდებარეობა, როგორც ითქვა, ცნობილია, მაგრამ თვით ნამონასტრალი ნაპოვნი არ არის.

---

[148] *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 377.

[149] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 261.



სურ. 2. კლარჯეთის ეკლესიებისა და მონასტრების რუკა

826 წელს აშოტი არაბებთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა[150]. მას დარჩა სამი ძე — ადარნასე, ბაგრატი და გუარამი. თავიდან ისინი ერთად განაგებდნენ ქვეყანას. შემდეგ შუათანა ძმამ ბაგრატმა იმპერატორისგან კურაპალატის ტიტული მიიღო და

[150] ეს თარიღი აქვს მითითებული სუმბატ დავითის-ძეს (*ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 377). მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ აშოტი გარდაიცვალა უფრო გვიან, დაახლოებით 836 წელს (იხ.: ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, ტ. II, გვ. 91; კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 137).

უზენაესი ხელისუფალი გახდა, თუმცა მისი მმართველობა, როგორც ჩანს, არ იყო ისეთი ერთპიროვნული, როგორც აშოტისა: გიორგი მერჩულე სამსავე ძმას „ხელმწიფეებად“ მოიხსენიებს[151].

აშოტის გამარჯვებების წყალობით მოპოვებული ტერიტორიები მისი სიკვდილის შემდეგ მალე დაიკარგა – არაბთა სარდალმა ხალილ იბნ იაზიდმა 829-830 წლებში ქართლი დაიპყრო[152]. 850-იან წლებში არაბთათვის ქართლის დათმობა საბოლოოდ გაფორმდა ბაგრატ კურაპალატისა და თბილისის ამირა მუჰამედ იბნ ხალილის შეთანხმებით. ბაგრატიონთა სამფლობელო – „ქართველთა საკურაპალატო“[153] – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციებით შემოიფარგლა. აშოტის მემკვიდრეები ერთხანს ხარკსაც უხდიდნენ არაბებს, მაგრამ ყოველივე ამას ქვეყანაში დაწყებული ეკონომიკური და სულიერი აღმაველობის პროცესი, როგორც ჩანს, დიდად არ შეუფერხებია. ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ინტენსიური სამონასტრო მშენებლობის პერიოდი კლარჯეთში სწორედ ბაგრატ აშოტის ძის ნახევარსაუკუნოვან მმართველობაზე (826-876) მოდის.

IX საუკუნის შუახანებში ბაგრატ კურაპალატმა და მისმა ძმებმა გრიგოლ ხანძთელის თხოვნით მოიარეს კლარჯეთის მონასტრები. გიორგი მერჩულეს მონათხრობში ამ მოგზაურობის შესახებ გვხვდება რამდენიმე ახალი მონასტერი, რომლებიც მანამდე თხზულებაში არ ჩანს[154]. კერძოდ, ბაგრატიონების მიერ მონახულებულ მონასტრებს შორის ნახსენებია ჯმერკის ღმრთისმშობელი, ბერთის ღმრთისმშობელი და დაბის წმ. გიორგი. გარდა ამისა, ხანძთაში შეჩერებულ ხელმწიფეთა სანახავად მოსულან მიქნაძორის წინამძღვარი „დიდი მამაა“ დავითი და მისი მოწაფეები – წყაროსთავის მონასტრის მაშენებელი ილარიონი და ბარეთელთას მონასტრის მაშენებელი ზაქარია. ყველა ეს მონასტერი დაარსდა 830-40-იან წლებში. მოგვიანებით მათ დაემატა პარეხისა და დოლისყანის მონასტრებიც[155].

---

[151] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 275.

[152] ამ ფაქტს უნდა გულისხმობდეს სუმბატი, როცა წერს: „რომელ გარეთ ქუეყანა ჰქონდათ ძეთა აშოტისათა – წარუღეს სარკინოზთა“ (*ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 378).

[153] ამ სახელმწიფოს ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგჯერ „ტაო-კლარჯეთის სამთავროს“ უწოდებენ, რაც პირობითი სახელწოდებაა – გამოთქმა „ტაო-კლარჯეთი“ შუა საუკუნეებში არ იხმარებოდა. როგორც მ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, უფრო მისაღებია ამ პოლიტიკური ერთეულის მოხსენიება „ქართველთა საკურაპალატოდ“ (იხ. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II, გვ. 446, შენ. 1).

[154] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 275.

[155] გრიგოლ ხანძთელის აქტივობა „საქართველოს სინათი“ არ იფარგლებოდა. აფხაზეთის მეფის დემეტრე II-ს თხოვნით და შეწევნით მან ააშენა უბეს (უბისის) მონასტერი იმერეთში. საეკლესიო აღმშენებლობაში

ამრიგად, დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში კლარჯეთის ნაწილში, რომელსაც შუა საუკუნეების ავტორები აღფრთოვანებით მოიხსენიებენ „საქართველოს სინად“, დაარსდა ან განახლდა თორმეტი დიდი მონასტერი – კლარჯეთის „ათორმეტი უდაბნო“: ოპიზა, ხანძთა, მერე, შატბერდი, მიძნაძორი, წყაროსთაკი, ბარეთელთა, ბერთა, ჯმერკი, დაბა, პარეხი და დოლისყანა. ყოველ მონასტერს თავისი წინამძღვარი ჰყავდა, მაგრამ ამასთანავე ისინი შეადგენდნენ ორგანიზაციულ ერთობას (ნ. მარის გამოთქმით, „ბერების რესპუბლიკას“, монашеская республика), რომელსაც სათავეში ედგა გრიგოლ ხანძთელი. 830-იანი წლებიდან იგი კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთა“ არქიმანდრიტად იწოდება, მაგრამ მისი გამორჩეული მდგომარეობა განპირობებული იყო არა იმდენად ამ წოდებით, რამდენადაც საყოველთაოდ აღიარებული განსაკუთრებული ღვაწლით და პიროვნული თვისებებით. სიწმინდითა და სიბრძნით მას უფლის მოციქულებს ადარებდნენ[156]. „სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან ირწყვოდეს ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანი. და მრავალ გზის მოვიდიან წმიდანი იგი მამანი წინამძღუარნი მონასტერთანი მრავალთათჳს მიზეზთა და სიბრძნითა მისითა პოვიან განსუენებაჲ ყოველსა ზედა საქმესა“ – წერს გიორგი მერჩულე[157]. კლარჯეთში გრიგოლი ათწლეულების მანძილზე უდიდესი საეკლესიო ავტორიტეტი ჩანს, რომელსაც გადამწყვეტი სიტყვა აქვს არა მხოლოდ სამონასტრო საქმეებში, არამედ, ეოქვათ, ქართლის კათალიკოსის გადაყენებასთან დაკავშირებულ კამათშიც.

დღესდღეობით ძალზე ცოტა რამ შემორჩა საიმისოდ, რომ ვიმსჯელოთ „ათორმეტ უდაბნოთა“ გრიგოლისდროინდელი არქიტექტურის შესახებ. სავარაუდოდ თავდაპირველი, ე. ი. 830-40-იანი წლების ეკლესიების ასე თუ ისე მოზრდილი ნაშთები შემოინახა მხოლოდ წყაროსთაკსა და მიძნაძორში.

კლარჯეთის გარეთ თავისი წელილი შეიტანეს გრიგოლის პირველმა მოწაფეებმაც. საბამ განაახლა იშხნის ტაძარი ტაოში და აღდგენილი კათედრის პირველი ეპისკოპოსიც გახდა. თეოდორე და ქრისტეფორე ქართლში წავიდნენ და ტაშისკარის მიდამოებში დააარსეს ორი მონასტერი – ნეძვი და კვირიკეწმიდა. ამის თაობაზე იხ.: ჯ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 219, 384-391, 393-399; დამატებით, იშხნის შესახებ: იხ. ქვემოთ, შენიშვნა 427; უბისის შესახებ: Р. Шмерлинг. К вопросу датировки храма в Убиси, *Сообщения АН ГССР*, т. XVI, №2, 1955, გვ. 169-174; ნეძვის შესახებ: რ. მეფისაშვილი, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა საალმშენებლო მოღვაწეობა ქართლში, *საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. განყ-ბის მოამბე*, №4, 1963, გვ. 232-240; კვირიკეწმიდის შესახებ: დ. ხოშტარია, კვირიკეწმიდის მდებარეობის საკითხისათვის, *მაცნე, ისტორიის სერია*, №1, 1985, გვ. 70-82.

[156] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 282.

[157] იქვე.



სურ. 3. წყاროსთავის მონასტერი. გეგმა

წყاროსთავი კლარჯეთის ერთ-ერთი უმშვენიერეს და უდიდეს მონასტერთაგანია[158]. ის, როგორც ითქვა, დააარსა ილარიონმა, რომელიც შემდგომ „კათალიკოს იქმნა მცხეთას"[159]. წერილობითი ცნობები მოწმობს, რომ სავანე სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. XI საუკუნის განმავლობაში აქ მოღვაწეობდნენ ღვთისმეტყველი ექვთიმე გრძელი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დამაარსებელი გიორგი-პროხორე, ეგნატი ხუცეს-მონაზონი[160]. წყاროსთავიდან მომდინარეობს XII-XIII საუკუნეთა რამდენიმე ხელნაწერი, მათ შორის წყاროსთავის ცნობილი სახარება (1195 წელი) ბექა ოპიზარის მიერ მოჭედილი ყდით და ანჩის (იგივე წალკის) სახარება (1193-1207 წლებს შორის), რომელსაც იმავე ოსტატის ნახელავი ჭედური ყდა დაკარგული აქვს[161].

---

[158] არ აეურიოთ ამავე სახელწოდების სხვა ეკლესიაში, რომელიც დასავლეთ ჯავახეთში მდებარეობს და ამჟამად ასევე თურქეთის ფარგლებშია მოქცეული. ამასთან დაკავშირებით იხ.: Е. Такаишвили, Экскурсия 1902 года, გვ. 51; ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკვეთი მეორე*, ობილისი, 1962, გვ. 431-432.

[159] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 275.

[160] ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები, I*, გვ. 432-435.

[161] იქვე, გვ. 435-436; პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 355; Г. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, Тбилиси, 1959, გვ. 617.

სამეცნიერო ლიტერატურაში წყაროსთავი ცნობილი გახდა ნ. მარის წყალობით. 1904 წელს, როდესაც მკვლევარმა „გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ ტექსტის პირველ გამოცემასთან დაკავშირებით საგანგებოდ დაიარა შავშეთ-კლარჯეთი, იგი ეწვია წყაროსთავსაც. მისი მოგზაურობის დღიური შეიცავს სამონასტრო ნაგებობების დაწერილებით აღწერას და ორ ფოტოსურათს[162]. ეს მასალა განსაკუთრებით ძვირფასია, ვინაიდან მასში დაფიქსირებულია მონასტრის მთავარი შენობების – დიდი ეკლესიისა და სატრაპეზოს მოგვიანებით განადგურებული ნაწილები. მათი არქიტექტურული სახის წარმოდგენა მხოლოდ ნ. მარის მონაცემების დახმარებით არის შესაძლებელი[163].

წყაროსთავი მდებარეობს კარჩხალას ხეობაში, მისი მარცხენა შენაკადი ნაკადულის პირას. გრუნტის ვიწრო სამანქანო გზა, რომელიც ართვინ-შავშათის ტრასიდან ხელმარცხნივ უხვევს და ხეობაში შედის, მონასტერს არ ადგება – მანქანით 5 კმ-ის გავლის შემდეგ (პუნქტ ვერანაბაღამდე) კიდევ დაახლოებით ერთი საათი ბილიკით უნდა იაროს კაცმა, სანამ წყაროსთავს მიაღწევს.

ნამონასტრალის შორიახლოს ახლა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი დგას. ეს არის იმერხეეის გაღმა მდებარე სოფელ ჭედილის საზაფხულო სადგომი (დაღლა), რის გამოც თვით ამ პუნქტსაც ზოგჯერ ჭედილს (თურქულად „ჩიდილ“, Çidil) ეძახიან. შემორჩენილია სახელწოდება წყაროსთავიც. თურქები ოდნავ ამახინჯებენ მას და ამბობენ „საროთავს“ ან „ქაროთავს“[164].

---

[162] H. Марр, Дневник поездки в Шавшию и Кларджию, გვ. 119-123, ტაბ. 38-39.

[163] წყაროსთავის ეკლესიის გეგმის ორი ურთიერთგანსხვავებული რეკონსტრუქცია გაკეთებული აქვთ ბ. ბაუმგარტნერს (B. Baumgartner, Drei Fergessene Georgische Klöster in der Nordosttürkei: C'q'arostavi, Nuka Kilise, Mižnazori, *Revue des études géorgiennes et caucasiennes, No 8-9*, 1992-1993, გვ. 194-203, ნახ. 1, სურ. 1-6) და ჟ.-მ. ტიერის (J.-M. Thierry, Topographie et état actuel des monuments géorgiens en Turquie orientale, *Revue des études géorgiennes et caucasiennes, No 5*, 1989, გვ. 165, სურ. 18). ორივე გეგმა არასწორია, ისინი არ შეესაბამება არა მხოლოდ ნ. მარის აღწერასა და ფოტოსურათს (ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ მათ უბრალოდ შევადარებთ ერთმანეთს), არამედ შენობის დღემდე შემორჩენილ ნაშთსაც.

[164] საერთოდ, ქართული ტოპონიმიკა კარჩხალას ხეობაში უხვად არის შემონახული (თავის დროზე ის დაწერილებით აღწესსა ნ. მარმა: Дневник, გვ. 117-119, 131, 137-139.). ვერანაბაღი, დიდვენახი, ახალთა, ცხუმრი, მერე, დიდვაკა, გოგა, სიმონდიდი, ჩიხორი, კახაბერი – ამ და მრავალ სხვა პუნქტსა და ადგილს მოსახლეობა (როგორც თურქები, ისე ქართველები) დღესაც ისტორიული სახელებით იხსენიებს.



სურ. 4. წყაროსთავის ეკლესია. გეგმა (რეკონსტრუქცია)

მონასტრის ბირთვი განლაგებულია დამრეც ფერდობზე. ზედა ნაწილში დგას მთავარი ეკლესია, მის სამხრეთით, რამდენიმე მეტრის მოშორებით — მცირე დარბაზული სამლოცველო, სამხრეთ-დასავლეთით — დიდი სატრაპეზო, რომლის სუბსტრუქციაშიც ოთახებია მოწყობილი; ჩრდილო-დასავლეთიდან სატრაპეზოს ორი მაროკუთხა სათავსი ებმის. ამ ძირითად ბირთვს ზღუდე ერტყმის. მის ირგვლივ ვრცელ ტერიტორიაზე გაფანტულია სხვადასხვა დანიშნულების შენობები.

მთავარი ეკლესიისგან დარჩენილია მკლავის კედლები, ნაწილობრივ დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთი კედელი და საკურთხეველის მიმდებარე ჩრდილოეთის სათავსი, რომელმაც დიდწილად გადახურვაც შეინარჩუნა — მთელია მისი აფსიდის კონქი და კამარის შუა და ჩრდილოეთი ნაწილები. სხვაგან კამარები ყველგან ნაქცეულია. შენობის ნაშთები დაფარულია ნაყარი ქვებითა

და მიწით, რომლებიც ალაგ-ალაგ 2-3 მეტრის სიმაღლის ბორცვებს ჰქმნის. ნაყარი მიწა ფარავს შენობის მეტნაკლებად გადარჩენილ ჩრდილოეთ ფასადსაც (ის ფერდობისკენაა მიმართული) — ისე, რომ ჩრდილოეთის მკლავის სარკმლის რაფა მიწის დონეზე მოდის. ეკლესიის დასავლეთი კედელი და მთელი სამხრეთი მხარე დანგრეულია. აქ გაუთხრელად რაიმეს გარჩევა შეუძლებელია.

წყაროსთაკის ეკლესიის არქიტექტურული კომპოზიციის გასარკვევად მოვიშველიებ ნ. მარის აღწერას — მას, როგორც ითქვა, ნაგებობა რამდენადმე უკეთეს მდგომარეობაში დახვდა. მისი მონაცემების დახმარებით ხერხდება ეკლესიის გეგმისა და გრძივი ჭრილის გრაფიკული რეკონსტრუქციაც, თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს რეკონსტრუქციები ნაწილობრივ ჰიპოთეტურია — გუმბათი ჭრილზე და შენობის სამხრეთი მხარე გეგმაზე სრულიად პირობითად არის დატანილი. მათი ფორმების დასადგენად ხელმოსაჭიდი არაფერი გაგვაჩნია, 1900-იან წლებში შენობის ეს ნაწილები უკვე დანგრეული იყო[165].

შენობის გეგმას საფუძვლად უდევს ჯვარი არათანაბარი სიგრძის მკლავებით. განივი მკლავები (უეჭველია, სამხრეთის მკლავი ჩრდილოეთისას ტოლი იქნებოდა) მოკლეა, ხოლო დასავლეთისა — მკვეთრად წაგრძელებული. მის გრძივ კედლებზე ერთი წყვილი პილასტრია, რომელსაც კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობოდა (თაღიც და კამარაც უკვე დიდი ხანია ჩაქცეულია). მკლავების გადაკვეთაზე იდგა გუმბათი (ნ. მარმა ნახა მხოლოდ მისი ყელის ძირის რამდენიმე გარეთა ქვა ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში[166]), რომელიც კედლის კუთხეებს ეფუძნებოდა. ამ ძირითადი ჯვრული სტრუქტურის მკლავებსშორის არეებს (ყოველ შემთხვევაში, მათ ჩრდილოეთის წყვილს) ავსებს უფრო დაბალი სათავსები, შესაბამისად დაფერდებული თითოკალთიანი სახურავებით. ჩრდილო-დასავლეთ მკლავებსშორისი კუთხე ორსართულიანი იყო: ზედა სართული წარმოადგენდა ძალიან ვიწრო და გრძელ სათავსს, როგორც ჩანს, მთლიანად გამოცალკევებულს ძირითადი სივრცისაგან; ქვედა შედგებოდა ორი მონაკვეთისგან, რომლებიც თითო დაბალი თაღით იხსნებოდა დასავლეთის მკლავისკენ. ნ. მარი მათ განიხილავს, როგორც ღრმა ნიშებს და აღნიშნავს, რომ კამაროვანი გადახურვა აქვთ[167], მაგრამ არ აზუსტებს, თუ სახელდობრ, როგორია ეს კამარები. ვფიქრობ, რომ ისინი განივი ღერძით უნდა ყოფილიყო გადაყვანილი თაღების დონეზე — სხვა შემთხვევაში მათს ზემოთ სრულფასოვანი მეორე სართულის

---

165 Н. Марр, Дневник, გვ. 119, 121.

166 იქვე, გვ. 119-120.

167 იქვე.

მოწყობა გაჭირდებოდა. „ნიშები“ ერთმანეთსაც უკავშირდებოდა მცირე კარით. ახლა აქ თითქმის ყველაფერი ჩანგრეულია, ხოლო რაც გადარჩა, ნამსხვრევებითა და მიწით არის ამოვსებული, მაგრამ შემორჩა აღმოსავლეთის კომპარტიმენტის („ნიშის“) კამარის მცირე ამორფული ფრაგმენტი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში და ზედა სართულის იატაკის ნაშთი მის თავზე, რაც ადასტურებს ნ. მარის აღწერის სისწორეს. კამარა თითქოს მთლიანად დულაბისა იყო. გარდა ამისა, ჩანს, რომ ჩრდილოეთის მკლავის დასავლეთი კედელი ზედა სართულის არეში ქვედაზე უფრო თხელია, ალბათ ზედა სათავსის ფართობის გასაზრდელად.

საკურთხეველის აფსიდის ჩრდილოეთით მდებარე სათავსი (ქვემოთ მას პირობითად, ტრადიციისამებრ – სამკვეთლოს ვუწოდებ, თუმცა აშკარაა, რომ მისი ფუნქცია უფრო ფართო იქნებოდა) უჩვეულოდ დიდია. ის არა მხოლოდ ავსებს მკლავებსშორის კუთხეს, არამედ შესამჩნევად წინაც არის გამოწეული ძირითადი კორპუსის აღმოსავლეთ და, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ ფასადთა სიბრტყეებიდან. სამკვეთლო კარით უკავშირდება ჩრდილოეთის მკლავს. საკურთხეველის აფსიდისკენ ის გახსნილი იყო ფართო გასასვლელით, რომელიც ახლა აღარ არსებობს. მისი სიგანე სამკვეთლოს მხარეს 210 სმ-ს შეადგენდა, საკურთხეველის მხარეს – 187 სმ-ს, სიმაღლე ორმეტრნახევარს აჭარბებდა[168]. ეს უზარმაზარი ღიობი აფსიდის თითქმის მთელ ჩრდილოეთ ნაწილს მოიცავდა.

სამკვეთლოს აქვს ძლიერ გაბრტყელებული, გეგმაში მშვილდისებრი რკალის მოხაზულობის აფსიდი. მის სატრიუმფო თაღს (დარჩა ჩრდილოეთ ნახევარი) იმპოსტი არ აქვს, პირდაპირ ამოიზრდება აფსიდის მხარიდან. აფსიდში დიდი (210 × 103 სმ. ზომის) სარკმელია, რომელიც ღრმად იჭრება კონქის არეში. სარკმელს აქვს ძლიერ დამრეცი რაფა – მისი გარე წიბო შიდაზე ერთი მეტრით მაღლაა. თაღი, პირიქით, გარეთკენ სულ ოდნავ დაბლდება, ე. ი. სარკმლის სიმაღლის შემცირება ფასადისკენ თითქმის მთლიანად რაფის აწევის ხარჯზე ხდება.

შესასვლელი – უთაღო, არქიტრავიანი კარი – ნ. მარის ცნობით, ეკლესიას ჰქონდა დასავლეთიდან, შესაბამისი მკლავის დასავლეთ კედლის სამხრეთ მონაკვეთში[169]. ახლა შენობის ეს ნაწილი, როგორც ითქვა, მთლიანად დანგრეულია და კარის კვალიც არსად ჩანს.

ეკლესიის შემორჩენილი ნაშთებითა და ძველი ფოტოსურათით საკმარისად სრული წარმოდგენა შეიძლება შევიქმნათ სამშენებლო ტექნიკაზე. როგორც შიდა, ისე გარე წყობას შეადგენს დიდრონი, უხეშად დამუშავებული ქვები, რომლებიც ღრმად სხედან კედელში.

---

[168] იქვე, გვ. 120-121.
[169] იქვე.

კედლის გული ამოყვანილია წვრილი და საშუალო ზომის ნატეხი ქვით დუღაბზე. ინტერიერის წყობა შემოინახა სამკვეთლოსა და ჩრდილოეთის მკლავში. მასალა შერეულია – მორუხო-მოყვითალო ქვიშაქვა და ადგილობრივი კლდოვანი ჯიშის ქვა. ბლოკები ზოგადად მართკუთხაა, მკაფიოდ გამოუყვანელი წიბოებით. ისინი საკმაოდ მჭიდროდ არის ერთმანეთთან მორგებული, მაგრამ მცირე ღრეჩოები მაინც რჩება. ქვების ზედაპირი სახელდახელოდ არის მოსწორებული. წყობის ჰორიზონტალური რიგები ხშირად ირევა, ერთი-ორგან მასში ვეებერთელა ფილებია ჩართული. კედლები შიგნით ბათქაშით იყო დაფარული (ფრაგმენტები შემორჩა ჩრდილოეთის მკლავში), მაგრამ ძნელია ითქვას, ისინი მშენებლობის დამთავრებისთანავე შეილესა თუ მოგვიანებით. ნ. მარმა საკურთხევლის აფსიდში ბათქაშზე შენიშნა წითელი საღებავის კვალიც[170].

საფასადო წყობის ფრაგმენტი – 10 რიგი, თითოში 2-დან 8 ქვამდე – შემოინახა სამკვეთლოს აღმოსავლეთ კედელზე. აქ ყველა ბლოკი ქვიშაქვისაა, ძირითად ღია-მორუხო ტონს ალაგ-ალაგ მოწითალოც ერევა. მასალა ისეეა დამუშავებული, როგორც ინტერიერისათვის, მაგრამ ჰორიზონტალურ რიგებს უფრო მონდომებით იცავენ (მხოლოდ ერთგან „ხტება“). მათი სიმაღლე ძირითადად 40-45 სმ-ია. ასეთივე ქვებით არის გამოყვანილი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეც, მხოლოდ თვით კუთხეზე ისინი უფრო წესიერად გაუთლიათ (აქ სულ სამი ქვაა შემორჩენილი, ამათგან ერთი გამორჩეულად დიდი ზომისა: 81 × 65 × 26 სმ). იგივე ითქმის სამკვეთლოს სარკმლის შესახებაც – ღიობის მხარეს ქვები სუფთადაა გათლილი და გეომეტრიულად მკაფიო, სწორ ფორმას შემოწერს.

ნ. მარის ფოტოსურათზე, რომელიც ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადს ასახავს (შეუდარებლად უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე ის დღეს არის), ჩანს ასეთივე მოზრდილი ბლოკების კარგი წყობა, გულმოდგინედ, წესიერად გამოყვანილი რიგებით[171]. მთლიანად, მშენებლობის ხარისხი საკმაოდ მაღალია.

კამარა ამჟამად, როგორც ითქვა, აქვს მხოლოდ სამკვეთლოს, ისიც ნაწილობრივ ჩაქცეული. კამარის ქვედა ნაწილი ჩრდილოეთ კედელთან ამოყვანილია ბრტყელი (15-20 სმ-ის სიმაღლის) უხეშად დათლილი ქვების ექვსი რიგით. უთუოდ ასევე იქნებოდა სამხრეთის მხარესაც. კამარის ნაწილი დუღაბისაა და ქარგილებზეა დასხმული – მას მკაფიოდ ატყვია მრგვალი მორების კვალი. ჩრდილოეთ კედლის კიდეებში კამარის ქუსლთან არის ორი ერთნაირი ოთხკუთხა (მიახლოებით 15 × 15 სმ) ღრმული – ეს უთუოდ ქარგილების კონსტრუქციის განიეი კოჭების ჩასამაგრებელი ბუდეებია.

---

170 იქვე.

171 იქვე, ტაბ. 38.



სურ. 5. წყაროსთავის ეკლესია.
ვრძიეი ჭრილი, ხედი ჩრდილოეთისაკენ (რეკონსტრუქცია)

ქვაზე კვეთილი შემკულობა შემოინახა მხოლოდ სამკვეთლოს სარკმელმა. აღმოსავლეთ ფასადზე მას აგვირგვინებს მორუხო ქვიშაქვის მართკუთხა (73 × 53 სმ) ფილა. სარკმლის თაღი მთლიანად ამ ქვაშია გამოყვანილი. მის ზემოთ სარკმელს აქვს სადა თავსართი ბრტყელი წარბით და მოკლე გადანაკეცებით. მათ ებმის მართკუთხა ჩარჩო, რომელიც ფილის მთელ პერიმეტრს შემოწერს. თავსართიცა და ჩარჩოც ურელიეფოა, კედლის სიბრტყიდან არ ამოდის, მხოლოდ ორი ღარის კონტურით მოიხაზება. უფრო განვითარებული სახე უნდა ჰქონოდა ჩრდილოეთის მკლავის სარკმლის ამუამად დაკარგულ დეკორს, რომელსაც აღწერს ნ. მარი[172]. ამ სარკმლის თაღოვანი დაბოლოება ასევე ერთ დიდ მოთეთრო ქვაში იყო გამოკვეთილი. ამავე ქვაზე ორმაგი ოდნავ

[172] იქვე, გვ. 120.

ამობურცული ლილვით გამოყვანილი იყო თავსართი (ის ჩანს ფოტოსურათზეც). სამკვეთლოს სარკმლის თავსართისაგან განსხვავებით, მას ჰქონდა საკმაოდ შემაღლებული შუა „თაღი". ჩუქურთმა ამკობდა სარკმლის წირთხლებსაც – მათ აუყვებოდა „ერთმანეთზე გადახლართული შეწყვილებული კონცენტრული წრეების ჯაჭვის ორნამენტი" („Орнамент - цепь переплетающихся друг с другом парных концентрических кругов"). სამწუხაროდ, ფოტოსურათზე ეს მოტივი არ განირჩევა და ძნელია ზუსტად წარმოდგენა, თუ რას გულისხმობს ნ. მარი.

როგორც ვხედავთ, წყაროსთავის მონასტრის მთავარი ეკლესია საკმაოდ თავისებური ნაგებობაა. მისი არქიტექტურული კომპოზიცია ენათესავება ე. წ. „გუმბათიანი დარბაზის" (Kuppelhalle) ტიპს[173], მაგრამ ამ ტიპის არცერთი ქართული (და, მითუმეტეს, არც სომხური) ეკლესია წყაროსთავის უშუალო კომპოზიციურ პარალელად არ გამოდგება. შეიძლება ასევე აღინიშნოს გარკვეული სიახლოვე ტაო-კლარჯეთის IX-X საუკუნეთა ნაგებობების ერთ ჯგუფთან, რომელიც მოიცავს არტანუჯის (ქალაქის და არა ციხის), დოლისყანისა და დადაშნის[174] ეკლესიებს. ყოველი ამ შენობათაგანი შედგება ძირითადი ჯვრული ნაწილისა და დამატებითი მკლავებშორისი სათავსებისაგან ოთხსავე კუთხეში (ვრცლად ამის შესახებ იხ. X თავში). მათგან განსხვავებით, წყაროსთავში განცალკევებული სათავსი ჩრდილო-დასავლეთ კუთხის ნაწილის თავზე, მეორე სართულად არის გაკეთებული. სხვათა შორის, ნ. მარის ვარაუდით, მეორე სართული მოგვიანებით უნდა იყოს დამატებული[175]. მისი ფოტოსურათიდანაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს სათავსი ძირითადი კორპუსის უკვე ამოყვანილ კედელზე მიშენდა. მაგრამ, ეფიქრობ, უდავოა, რომ ის თავიდანვე იყო დაგეგმილი. ყოველ შემთხვევაში, მის გარეშე ჩრდილო-დასავლეთი კუთხე გაუმართლებლად დაბალი გამოდის, გაცილებით დაბალი, ვიდრე ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე, ე. ი. სამკვეთლო (ეს ფოტოსურათითაც

---

[173] ამ ტიპის ნიმუშებს შორის განიხილავს წყაროსთავს ნ. გენგიური (იხ.: მისი *„კუპელპალეს" არქიტექტურული ტიპი ქართულ ხუროთმოძღვრებაში, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი*, თბილისი, 2004, გვ. 6, 14-15), თუმცა აღნიშნავს, რომ „საერთო გადაწყვეტის თავისებურება არ გვაძლევს საშუალებას წყაროსთავი მის (Kuppelhalle-ს – დ. ხ.) ტიპიურ ნიმუშად გამოვაცხადოთ" (იქვე, გვ. 14)..

[174] *ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი*, შედგენილი პროფ. ექ. თაყაიშვილის მიერ, ტფილისი, 1924, ტაბ. 27-c; ე. თაყაიშვილი, *კოლა-ოლთისი*, გვ. 10-12.

[175] Н. Марр, *Дневник*, გვ. 120.

სავსებით ნათელია). როგორც ჩანს, ზედა სათავსი გაკეთდა უშუალოდ ძირითადი კორპუსის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, მეორე რიგად, მაგრამ თავდაპირველი ჩანაფიქრის შესაბამისად.

რაც შეეხება ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ქვედა ნაწილს, მისი გადაწყვეტა ძალიან წააგავს აკურის მამადავითის ეკლესიის (IX საუკუნე, შესაძლოა 855 წელი) ჩრდილოეთ ნავისას – იქაც ორი ერთნაირი ღრმა უბისებური ნიშა გვაქვს, ოღონდ მათ შორის კარი არ არის გაკეთებული[176].

სხვა თავისებურებათაგან უნდა აღინიშნოს შენობის მოცულობიდან მკვეთრად გამოშვერილი დიდი სათავსი საკურთხეველის ჩრდილოეთით. როგორც ზემოთ ითქვა, მას მარტო სამკვეთლოს დანიშნულება არ უნდა ჰქონოდა, აქ ალბათ გარკვეული სახის ღვთისმსახურებაც ტარდებოდა. უცნაურია სათავსის საკურთხეველთან დამაკავშირებელი უზარმაზარი თაღი. მსგავსი რამ ქართულ ეკლესიებში არსად გვხვდება, მაგრამ მგონია, რომ ამავე რიგის მოელენას უნდა ჰქონდეს ადგილი წყაროსთავიდან რამდენიმე კილომეტრის დაცილებით მდებარე ნუკა-საყდარში (IX საუკუნე)[177]. ამ მომცრო ზომის ეკლესიაში ჩრდილოეთის ნახევრადქვაბულ სათავსს, რომლის სიგრძე სულ სამიოდე მეტრია, საკურთხეველისკენ ორი კარი აქვს (ერთი გადის აფსიდში, მეორე – უშუალოდ მის წინ). ვფიქრობ, რომ ჩრდილოეთის სათავსის აქტიური დაკავშირება საკურთხეველთან – ერთი დიდი ან ორი ჩვეულებრივი კარის მეშვეობით – უნდა ასახავდეს კლარჯეთის ზოგიერთ მონასტერში მიღებულ ღვთისმსახურების სპეციფიკურ წესს[178]. მოულოდნელი ამაში არაფერია – უკანასკნელი ხანების გამოკვლევებმა თვალნათლივ წარმოაჩინა ლიტურგიკული ქმედების ნაირგვარობა საქრისტიანოს სხვადასხვა ქვეყნებში და ზოგჯერ ერთი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებშიც არა მხოლოდ ადრექრისტიანულ ხანაში, არამედ გაცილებით გვიანაც[179]. სამწუხაროდ, ძველ ქართულ წერილობით

---

[176] Г. Чубинашвили, *АК*, გვ. 110-123.

[177] Н. Марр, Дневник, გვ. 127-129; W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 45-46; B. Baumgartner, Drei Fergessene Georgische Klöster.., გვ. 203-209; *ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა და კედლის მხატვრობა: გრაფიკული დოკუმენტაცია*, გამოფენის კატალოგი, თბილისი, 1996, გვ. 5, ტაბ. 3.

[178] შესაძლოა, ეს არც იყო მხოლოდ ლოკალური კლარჯული მოვლენა. ამ საკითხთან დაკავშირებით დ. თუმანიშვილმა მიმითითა საბერეების გამოქაბული მონასტრის №5 და №6 ეკლესიებზე, რომლებიც IX საუკუნით თარიღდება. ორივე ეკლესიაში საკურთხეველის აფსიდიდან ფართო გასასელელია მოწყობილი მის სამხრეთით გამოკაფული დამხმარე საკავსისაკენ.

[179] დ. თუმანიშვილი, *ქართული ხელოვნებათმცოდნეობა 1989-1994 წლებში*, ხელნაწერი, გვ. 6-7.

წყაროებში პრაქტიკულად არ მოიპოვება ცნობები, რომლებიც მიგვანიშნებდა ჟამისწირვის რიგის თავისებურებებსა და სხვადასხვა სათავსოთა ფუნქციებზე და ნათელს მოჰფენდა ამ ეკლესიათა საკურთხეველების უჩვეულო არქიტექტურული გადაწყვეტის მიზანს.

ჩამოთვლილი ნიშნები მტკიცედ შემოფარგლავს წყაროსთავის ეკლესიის აგების ხანას IX-X საუკუნეებით. ზედა ქრონოლოგიური ზღვარის დასაზუსტებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ნაგებობის საშენი მასალისა და დეკორაციული შემკულობის ხასიათს. წყაროსთავში არსად გეხვედება სუფთად გათლილი, გლუვზედაპირიანი კვადრები გეომეტრიულად სწორი წიბოებით. შენობის ყველა ნაწილისათვის დაახლოებით ერთნაირად ზოგადად დამუშავებული ქვებია ნახმარი – მაშინ, როცა X საუკუნის I ნახევრისა და შუახანების კლარჯეთის ეკლესიებში უკვე თვალშისაცემია აშკარა სხვაობა ნაგებობის სხვადასხვა ნაწილებისათვის განკუთვნილი მასალის ხარისხში: უხეშად დამუშავებული ქვები გამოიყენება კედლის საერთო წყობისათვის, ხოლო კუთხეები, ღიობთა წირთხლები, თაღები, პილასტრები გამოპყავთ სუფთად თლილი კვადრებით (სვეტის ბაზილიკა – X საუკუნის I ნახევარი, ხანძთა – 910-20-იანი წლები, ოპიზა – განახლებულია 945-954 წლებში, დოლისყანა – 937-958 წლები). ამდენად, წყაროსთავის ეკლესიის სამშენებლო ტექნიკა IX საუკუნეზე მიგვანიშნებს. კიდევ უფრო მკაფიო ქრონოლოგიური მაჩვენებელია ქვაზე კვეთილი მორთულობა. X საუკუნიდან კლარჯეთში უკვე ჩნდება მაღალრელიეფური პლასტიკური დეკორი, ამასთან, პირველ რიგში სწორედ მძლავრი, „ხორციანი“ თავსართების სახით (იგივე სვეტი, ხანძთა, ოპიზა, დოლისყანა). წყაროსთავის თავსართებს მათთან შედარებით ბევრად უფრო არქაული იერი აქვთ – ისინი პატარებია, ერთგვარად სქემატური და მსუბუქად, გრაფიკულად არის ამოჭრილი ქვაში. კიდევ უფრო ზედაპირულად იყო ნაკვეთი ჩუქურთმა ჩრდილოეთის მკლავის სარკმლის წირთხლებზე. ის, როგორც ითქვა, ფოტოსურათზე არც ჩანს.

აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით წყაროსთავის ეკლესია IX საუკუნით უნდა დათარიღდეს. დანამდვილებით თქმა შეუძლებელია, მაგრამ ალბათ საკმარისი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ის არის მონასტრის თავდაპირველი ეკლესია, აშენებული თეით ილარიონის მიერ სავანის დაარსებისას, 830-40-იან წლებში.

ეკლესიის დასავლეთით დგას სატრაპეზო[180], რომელიც ამ სახის ნაგებობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში უნდა ყოფილიყო. „სიხალ-

---

[180] ლ. მენაბდის აზრით, ეს სემინარია-სასწავლებელია და არა სატრაპეზო. იხ. მისი *დასახ. ნაშრ.*, გვ. 431.

ვათით, სამუშაოს შესრულების სისუფთავეით, არქიტექტურული მორთულობის ზომიერებით, წყობის გულმოდგინებითა და ქვის ნათელი ფერით მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს“ – წერდა ნ. მარი მისი ინტერიერის შესახებ[181]. შენობა აღმართულია ზედ ხეობის პირას, ძლიერ დამრეც ფერდობზე. მის მოსასწორებლად აუშენებიათ უზარმაზარი სუბსტრუქცია (მისი წინა კედლის სიმაღლე 9 მეტრს აჭარბებს), რომელშიც დამხმარე სათავსები მოუწყვიათ ორ იარუსად. ქვედა ოთახი (თუ ოთახები?) ახლა შეუღწეველია – მის არსებობაზე მიგვანიშნებს ოთხი სარკმელი ხეობის მხარეს. სუბსტრუქციის ზედა სართულს შეადგენს 8,0 × 3,4 მ-ის ზომის კამაროვანი სათავსი, რომელსაც ერთი სარკმელი ანათებს.

თვით სატრაპეზო დიდი მართკუთხა ნაგებობაა. მისი გეგმა კვადრატს უახლოვდება, მხოლოდ ოდნავ არის წაგრძელებული ხეობის გასწვრივ (შიდა ზომა: 15,05 × 13,90 მ). გადახურვა, სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლები ამჟამად თითქმის მთლიანად განადგურებულია; სამხრეთ-დასავლეთ კედლისაგან (ის ხეობას გადაჰყურებს) უკეთ შემოინახა შუა ნაწილი, ჩრდილო-დასავლეთ კედლისგან – დაახლოებით ნახევარი, ხეობის მხარეს. ამ კედელზე შემორჩა ორი წაკვეთილი შეკიდული პილასტრი, რომლებიც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ სატრაპეზოს შიდა არქიტექტურული დანაწევრება. მისი სივრცე ოთხი წყვილი თაღით დაყოფილიყო სამ ნავად. თაღები, როგორც ჩანს, მრგვალ სვეტებს ეყრდნობოდა. ერთი ასეთი სვეტის ფრაგმენტი ახლა იქვე გდია. მისი დიამეტრი 61 სმ-ია. ცენტრში სვეტს აქვს 8 სმ-ის დიამეტრის ხვრელი. ასეთ ხვრელებში ჩასმული იყო ლითონის სპეციალური სამაგრები სვეტების შემადგენელი ცილინდრული ქვების გადაბმის სიმტკიცის უზრუნველსაყოფად (ეს ძველთაძველი სამშენებლო ხერხია, კლარჯეთში ის გვხვდება ნუკა-საყდარშიც). კამარებს სვეტების ღერძებზე საბჯენი თაღები ჰქონდა. მთავარი შესასვლელი, რომლისგანაც ახლა მხოლოდ კვალიღა განირჩევა საძირკვლის დონეზე, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იყო[182]. სარკმლები აქაც, ისევე, როგორც სუბსტრუქციის სათავსებში, მოწყობილია ხეობის მხარეს, სამხრეთ-დასავლეთის კედელ'ში. სულ იყო რვა სარკმელი – ქვემოთ შუაში ერთი დიდი, მის აქეთ-იქით ორი მომცრო, ერთი შედარებით მოზრდილი ზემოთ შუაში, ორი მომცრო აქეთ-იქით და კიდევ ორი სულ პაწია (ერთი მრგვალი, მეორე უცნაური გვირგვინისებრი ფორმისა) მათ შორის[183]. ახლა ზედა რიგის სარკმლები ნაწილობრივ მორღვეულია. ყველა სარკმელი

---

[181] Н. Марр, Дневник, გვ. 122.

[182] იქვე.

[183] იქვე.

შიგნიოკენ ფართოვდება, გარდა ქვედა რიგის ცენტრალური ღიობისა, რომელიც პარალელურწირთხლებიანია. შესაძლოა, ეს კარია და არა სარკმელი. ამ შემთხვევაში მის წინ ხის აივანი უნდა ყოფილიყო მოწყობილი.

სატრაპეზოს ჰქონდა ორკალთიანი სახურავი[184], სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ფასადებზე ფრონტონებით.

ჩრდილო-დასავლეთიდან სატრაპეზოს ეკერის ორი მართკუთხა სათავესი. ნ. მარი მათ ერთგან სენაკებს უწოდებს, ხოლო მეორეგან სასტუმრო ოთახებს[185], რაც ეფიქრობ სწორი არ უნდა იყოს. ესენი ალბათ სატრაპეზოს დამხმარე სადგომებია – საკუჭნაო, სამზარეულო ან სხვა რამ მსგავსი. მათი გადახურვაც მთლიანად ჩანგრეულია. ოთახები ერთმანეთს თაღოვანი გასასელელით უკავშირდებოდა. გარდა ამისა, სატრაპეზოს მომიჯნავე სათავესს აქვს თითო კარი სატრაპეზოსა და ხეობის მხარეს. ასეთი ყოველმხრივ გახსნილი საცხოვრებელი, ცხადია, ძნელი წარმოსადგენია.

წყაროსთავის მონასტრის სატრაპეზოსა და მისი მიმდებარე სათავსების დათარიღება რთული საქმეა. საფიქრელია, რომ ისინი ეკლესიაზე გვიან უნდა იყოს აგებული, კერძოდ, X საუკუნეში.

მონასტრის დასავლეთით, რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით, კლდოვან კონცხებზე სამი პატარა დარბაზული ეკლესია დგას. ამათგან ზედა და შუა (მას სამხრეთიდან მინაშენიც აქვს) ძლიერ დაზიანებულია, გადარჩა მხოლოდ მათი აღმოსავლეთი ნაწილები. ქვედა შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, თუმცა კამარა მასაც ჩანგრეული აქვს. ამ სამლოცველოების სამშენებლო ტექნიკა დიდი ეკლესიისას ჰგავს. შესაძლოა, ესენიც IX საუკუნისა იყოს. გარდა ამისა, მონასტრის მიდამოებში ნ. მარმა ნახა არქიტექტურულად გაფორმებული ძველი წყარო, ქვის კედლებითა და კამარით[186], საწნახელი[187] და სხვა ნაგებობები.

მიძნაძორის მონასტერი იმავე მდ. კარჩხალას ხეობაში წყაროსთავიდან 7-იოდე კმ-ზე მდებარეობს. სოფელი ახალთა (თურქულად ჲენიქოი, Yenikoy, რაც ქართული ტოპონიმის თარგმანია), რომლის განაპირასაც მოექცა ნამონასტრალი, ამჟამად შეადგენს სოფელ ალაბალიქის (Alabalık) ერთ-ერთ უბანს. ნამონასტრალის ადგილს უწოდებენ ქილისალარს (Kilisalar – „ეკლესიები"). შემონახულია ძველი სახელწოდებაც – თურქული გამოთქმით „მიზნაზოლ" (Miznazol). „მიძნაძორ / მიჯნაძორ" სომხური წარმომაველობის ტოპონიმია და

---

[184] იქვე, გვ. 123.

[185] იქვე, გვ. 118, 122; შეადარე: W. Djobadze, The Georgian Churches in Tao-Klardjet'i: Construction Methods and Materials, *Oriens Christianus, 62*, 1978, გვ. 117.

[186] Н. Марр, Дневник, გვ. 119.

[187] იქვე, გვ. 123.

„შუა ხეობას“ ნიშნავს. ქართულ წყაროებში უფრო ხშირად გვხვდება ფორმა „მიძნაძოროდ“ ან „მიჯნაძოროდ“.



სურ. 6. სამი სამლოცველო წყაროსთავის მონასტრის მიდამოებში. გეგმები

მიძნაძორი როგორც ჩანს, თავიდანვე კლარჯეთის ერთ-ერთი გამორჩეულად მნიშვნელოვანი სავანე იყო. ბაგრატ IV-ის მიერ 1054-1072 წლებს შორის გაცემული სიგელის მიხედვით[188], იმხანად მიძნაძორის მონასტერი ფლობდა მიწებსა და ტყეებს, რომლებიც მას უბოძეს გურგენ ერისთავთ-ერისთავმა, გურგენ მეფეთ-მეფემ, ბაგრატ III-მ და გიორგი II-მ. ამავე სიგელის მოწმობით, აქ ინახებოდა წმ. ბართლომეს ნაწილები. მონასტრის ეკლესია წმ. მოციქულთა სახელობისა იყო. ცნობილია რამდენიმე მიძნაძორელი მოღვაწე, მათ შორის კვირიკე (X საუკუნე), რომელიც შემდგომ გადავიდა სინას მთაზე და იქ გადაწერა რამდენიმე ხელნაწერი.

მონასტერი გაშენებულია დაფერდებულ მინდორზე მდ. კარჩხალას პირას, მის მარცხენა ნაპირზე. ამჟამად აქ შემონახულია ძლიერ დანგრეულ ნაგებობათა მცირე ნაშთები. მონასტრის

188 სიგელი ბაგრატ მეფისა ოპიზარ და მიჯნაძოროელ მამებისადმი, *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, IX-XIII სს.*, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1984, გვ. 32-34

ეკლესიისაგან გადარჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთის მკლავი, დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთ კედელი და დასავლეთ კედლის მცირე მონაკვეთი და სამკვეთლოს ნაწილი. შენობის მთელი სამხრეთ ნაწილი და საკურთხეველის აფსიდი გამქრალია[189]. გადახურვა შემოინახა მხოლოდ სამკვეთლოში. ეკლესიის არქიტექტურული კომპოზიციის სრულად წარმოდგენა ხერხდება ნ. მარის აღწერის[190] მონაცემების მოშველიებით – მისი მოგზაურობის დროს, 1904 წელს შენობა შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, კერძოდ, ჯერ კიდევ განირჩეოდა საკურთხეველის აფსიდის კვალი.

ეკლესია „ნახევრადთავისუფალი ჯვრის" ტიპისაა. ძირითადი კორპუსი წარმოადგენს ჯვრულ მოცულობას შესამჩნევად წაგრძელებული დასავლეთის მკლავით. საკურთხეველის აფსიდის ორსავ მხარეს მოწყობილია აფსიდიანი პასტოფორიუმები. დასავლეთიდან, დასავლეთის მკლავის მთელ სიგანეზე, ეკლესიას აქვს თანადროული კარიბჭე. როგორც ჩანს, მთავარი შესასვლელი აქედან იყო. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში კიდევ ერთი დამატებითი სათავსია. ის უაფსიდოა, გეგმით კვადრატს უახლოვდება. ეს სათავსი თავიდანვე იყო ნავარაუდევი (მისი კამარის დასაყრდნობად ეკლესიის კედელში ქუსლი დაუტანებიათ), მაგრამ აშენდა მეორე რიგად, ძირითადი კორპუსის ამოყვანის შემდეგ. ეკლესიასთან მას აკავშირებს კარი, რომელიც ახლა წირთხლებშემოძარცული და ფორმადაკარგულია.

დასავლეთის მკლავის გრძივი კედლები გაფორმებული იყო სამსამი თაღით, რომლებიც ეფუძნებოდა შეკიდულ პილასტრებს. გადარჩენილ ჩრდილოეთ კედელზე პილასტრები მთლიანად ჩამოშლილია, მაგრამ წყობაზე ნათლად იკითხება მათი მოხაზულობა. პილასტრები წაკვეთილი იყო იატაკიდან დაახლოებით 1,5 მ-ის სიმაღლეზე. უფრო ზემოთ ჩატანებულია კრონშტეინები – ისინი კამარის საბჯენ თაღებს იკავებდნენ.

ეკლესია ნაგებია ადგილობრივი მორუხო-ქვიშისფერი კლდოვანი ქვით. საშუალო ზომის, უხეშად დამუშავებული ბლოკები წესიერ რიგებად არის დალაგებული (რიგების სიმაღლე – ძირითადად 25-30 სმ). შემკულობა ამჟამად ნაგებობაზე არ ჩანს, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ის არც ყოფილა. ეკლესიიდან 30-იოდე მეტრის მოშორებით, თანამედროვე სამეურნეო ნაგებობის კიბეში ჩატანებულია სუფთად თლილი მოწითალო ქვა, რომელსაც რკალური ფორმა აქვს და დაახლოებით 60 სმ-ის სიგრძისაა. ის, როგორც ჩანს, დიდი თაესართის ფრაგმენტია. პირითი მხრიდან ქვას ამკობს

---

[189] ნგრევა ბოლოხანებშიც გრძელდებოდა. 1995 წელს, როცა მე მიძნაძორში მივედი, ადგილობრივი მცხოვრები სახლს იშენებდა ზედ ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადთან და ქვებს პირდაპირ ეკლესიიდან იღებდა.

[190] Н. Марр, Дневник, გვ. 132-133, ტაბ. 45



სურ. 7. მიძნაძორის ეკლესია. გეგმა (რეკონსტრუქცია)



სურ. 8. მიძნაძორის ეკლესია. გრძივი ჭრილი,
ხედი ჩრდილოეთისაკენ (რეკონსტრუქცია)

ნატიფი ფოთლოვანი ორნამენტი. კვეთილობა გრაფიკულია, სიბრტყობრივი. მეორეგან სხვა კიბეში ჩანს 40 სმ-ის სიგრძის მოთეთრო ქვა შეწყვილებული გრეხილი ლილვით.

გეგმითა და საშენი მასალის დამუშავების ხასიათით მიძნაძორის ეკლესია IX საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს. როგორც უკვე ითქვა, შესაძლოა ეს არის მონასტრის თავდაპირველი, თვით დავით მიძნაძორელის მიერ აგებული ეკლესია. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ ეკლესიის გარეთ შემორჩენილი არქიტექტურული ფრაგმენტები უფრო გვიანდელ ხანას მიეკუთვნება (თავსართის ფოთლოვანი ჩუქურთმა – X საუკუნის I ნახევარს ან შუახანებს, გრეხილი ლილვები – უფრო მოგვიანო პერიოდს). ეტყობა თავდაპირველი ეკლესია X საუკუნეში აღადგინეს ან გადააკეთეს (შესაძლოა არაერთხელ) და კვეთილი დეკორით შეამკეს. ქვემოთ ვნახავთ, რომ ანალოგიური სურათია კლარჯეთის სხვა დიდ მონასტრებშიც – სწორედ X საუკუნეში ჩატარდა ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოები ხანძთაში, შატბერდსა და ოპიზაშიც.

ეკლესიიდან ექვსიოდე მ-ით ჩრდილოეთით მდ. კარჩხალის პირას იდგა სატრაპეზო, რომლისგანაც ახლა თითქმის აღარაფერია დარჩენილი. ნ. მარის აღწერისა და ფოტოსურათის მიხედვით[191], ეს იყო დიდრონი ქვებით ნაგები, მართკუთხა გეგმის კამაროვანი შენობა.

ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან, ათიოდე მეტრის მოშორებით გაურკვეველი დანიშნულების პატარა მრგვალი სათავსია (ახლა სანახევროდ მიწაში ზის). რამდენიმე სამონასტრო ნაგებობის ფრაგმენტები არის ეკლესიის სამხრეთითაც. მათ შორის უკეთ შემორჩა საძველე, რომელიც წარმოადგენს ერთ რიგზე გამწკრივებულ ოთხ პატარა, მოგრძო კამაროვან ოთახს[192]. მონასტრის შორიახლოს არის ასევე გამოქვაბულები.

აქვე ორიოდე სიტყვით შეეხები ჯმერკის ღმრთისმშობლის მონასტერსაც, რომელიც ასევე 830-40-იან წლებში დაარსდა[193] და იხსენიება კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთა“ შორის.

მონასტერი განლაგებულია ძლიერ დამრეც ფერდობზე ახლანდელ სოფელ ჩიმენლის (Çimenli) ახლოს. აქ სამონასტრო ნაგებობებისათვის მოუწყვიათ სუბსტრუქციებით ამოშენებული ოთხი ტერასა, ერთი მეორის ზემოთ. სულ ზედა ტერასაზე იდგა ეკლესია, მომდევნოზე – რაღაც მოზრდილი შენობა, ალბათ სატრაპეზო. ორ ქვედა ტერასაზე საერთოდ აღარაფერი დარჩა. დიდწილად განადგურებულია ეკლესიაც: მთლიანად ჩაქცეულია

---

[191] Н. Марр, Дневник, გვ. 134, ტაბ. 46.

[192] J.-M. Thierry, Topographie et état actuel des monuments géorgiens en Turquie orientale, *Revue des études géorgiennes et caucasiennes, No 5*, 1989, გვ. 143, სურ. 17.

[193] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 275.

მისი გადახურვა და შიდა კედლები; გარე კედლებიდან დასავლეთისა ასევე მთლიანად დანგრეულია, ჩრდილოეთისა – 0,7-1,3 მ-ის სიმაღლის ზემოთ, არათანაბრად; სამხრეთ კედლისაგან შემოინახა განაპირა ნაწილები 2-3 მ-ის სიმაღლეზე. საკურთხეველის აფსიდი თითქმის მთლიანად გამქრალია, მაგრამ ჩანს მისი მიმდებარე სათავსების პატარა აფსიდები, რომელთაც გეგმაში უცნაური ოვალურ-ნალისებრი მოხაზულობა აქვთ. პირითი წყობა შერჩა მხოლოდ ჩრდილოეთ კედლის ფრაგმენტს. ის შედგება სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვისაგან. ჰორიზონტალური რიგები დაცული არ არის. ასეთივე ხასიათისაა სუბსტრუქციის წყობაც, ოღონდ მასში სჭარბობს უფრო დიდი (50 × 100 სმ ზომისა და მეტიც) ქვები.

ამ ნაშთიდან ჩანს, რომ ჯმერკის ეკლესია იყო მართკუთხა ნაგებობა და ჰქონდა სამნაწილიანი საკურთხეველი. რაიმე დამატებით ინფორმაციას არც ნ. მარის აღწერა იძლევა – მისი მოგზაურობის დროს ეკლესია არსებითად უკვე ისეთსავე მდგომარეობაში იყო, როგორშიც დღესაა[194]. მისი არქიტექტურული ტიპის დანამდვილებით დადგენა შეუძლებელია, მაგრამ ის ფაქტი, რომ შემორჩა მხოლოდ გარე კედლები, უფრო ბურჯებიანი (სვეტებიანი) სტრუქტურების – სამნავიანი ბაზილიკის ან „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის გუმბათიანი შენობის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს. კედლის წყობის მიხედვით ეკლესია IX საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. შესაძლოა, ისიც მონასტრის თაედაპირველი, ე. ი. 830-40-იან წლებში აგებული ეკლესიაა.

---

[194] Н. Марр, Дневник, გვ. 181-182.

თავი V.

არტანუჯი – ბაგრატიონთა პირველი სატახტო ქალაქი

არტანუჯი კლარჯეთის უძველესი ქალაქია. როგორც დასახლებული პუნქტი, ის უკვე ქრისტიანობამდელ ხანაში არსებობდა. კლავდიოს პტოლემაიოსი (ახ. წ. II საუკუნის შუახანი) იხსენიებს იბერიის ქალაქ არტანისას (Artanissa), რაც ძველი არტანუჯი უნდა იყოს[195]. V საუკუნის ბოლოს თუხარისიდან აქ გადმოვიდა ადგილობრივ ერისთავთა რეზიდენცია. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა „იხილა კლდე შუა კლარჯეთსა, რომელსა სოფელსა ერქუა არტანუჯი და მოუწოდა არტავაზს, ძეძუსმტესა მისსა, და დაადგინა იგი ერისთავად; და უბრძანა, რათა ააგოს ციხე არტანუჯისა... ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა"[196]. VIII საუკუნეში ციხე, როგორც ჩანს მიტოვებული იყო. 810-იან წლებში ის აღადგინა აშოტ I კურაპალატმა. სუმბატ დავითის ძის მიხედვით, „აშოტ კურატპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელ პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი; და აოჭრებულ იყო ბაღდადელისა მით ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა-კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი. და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თჳსი, და დაემკჳდრა ციხესა მას შინა

---

[195] W. Tomaschek, Artanissa, *Paulys Real-Encyclopädie der classischen Altertumswissenschaft*, 2, Stuttgart, 1896, გვ. 1305-1306. კონსტანტინე პორფიროგენეტი, De administrando imperio, *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ნაკვ. II*, გამოცემა, თარგმანი და განმარტებები ს. ყაუხჩიშვილისა, თბილისი, 1952, გვ. 280 (შენიშვნა); კლავდიოს პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი და განმარტებები ნ. ლომოურისა, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32*, თბილისი, 1955, გვ. 46, 59-60. ამ საკითხზე არსებობს სხვა მოსაზრებებიც. ს. კაკაბაძის მიხედვით პტოლემაიოსის „არტანისსა" არის არტაანი (ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, *საისტორიო მოამბე, I*, 1924, გვ. 34), ლ. ჭილაშვილის მიხედვით – თიანეთის არტანი, ე. წ. „დეკების ნამოსახლარი" (ლ. ჭილაშვილი, *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I*, თბილისი, 1968, გვ. 56-58).

[196] *ქართლის ცხოვრება, ტ. I*, გვ. 177-178.

ცხორებად"[197]. ციხის აღდგენას აშოტ კურაპალატის მიერ ადასტურებს გიორგი მერჩულეც[198]. ამის შემდეგ არტანუჯი იქცა აშოტის მემკვიდრეთა საუახტო ქალაქად და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცენტრად. ამ გარემოებისა და მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო ქალაქი სწრაფად დაწინაურდა. კონსტანტინე პორფიროგენეტის აღწერით, ის მსხვილი სავაჭრო ცენტრიც ჩანს[199].

IX საუკუნის ბოლოდან არტანუჯი დაუმკვიდრდა აშოტ I-ის უფროსი ძის ადარნასეს შთამომავლებს, რომლებიც „არტანუჯელებად" მოიხსენიებიან. პირველი, ვინც ეს წოდება მიიღო, იყო ადარნასეს ძე სუმბატ მამფალი (†889). მის შემდეგ არტანუჯს ფლობდნენ მისი ძე, ბაგრატ მამფალი (889-909 წლებში) და ბაგრატის მამფლის ძე გურგენი (909-923 წლებში). გურგენს გარდაცვალებისას მემკვიდრე არ ჰყოლია (მისი ძე, ისიც სახელად გურგენი, მამის სიკვდილის შემდეგ დაიბადა) და არტანუჯი მისი ძმის — აშოტის (კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ კისკასად წოდებულის) ხელში გადავიდა. ამავე დროს კლარჯეთის მთავარი ციხე-ქალაქის დაუფლებას ესწრაფვოდა მისი სიძე (ქალიშვილის ქმარი) — ენერგიული და დაუნდობელი გურგენ ერისთავთ-ერისთავი. მისი შიშით აშოტმა, რომელიც, ეტყობა, მებრძოლი სულით არ გამოირჩეოდა, არტანუჯი ერთხანს ბიზანტიის იმპერატორსაც კი გადასცა და ციხეში ბერძენი მხედართმთავრის კონსტანტი პატრიკიოსის სამასკაციანი რაზმი შეუშვა. ამას ბაგრატიონთა მხრიდან მძაფრი პროტესტი მოჰყვა და იმპერატორმა გართულებების თავიდან ასარიდებლად თავისი რაზმი ციხიდან გაიყვანა. არტანუჯი ისევ აშოტ კისკასს დაუბრუნეს, მაგრამ გურგენმა მალევე წაართვა ის სიმამრს და თავად დაისაკუთრა. 941 წელს გურგენი უძეოდ გარდაიცვალა და არტანუჯი დარჩა მის ცოლს, რომელიც ამასთანავე აშოტ კისკასის ასული და კანონიერი მემკვიდრე იყო. მაგრამ ბაგრატიონებმა დაუშვებლად მიიჩნიეს ქალის მიერ ციხის ფლობა, ძალით ჩამოართვეს მას არტანუჯი და აშოტ კისკასის ბიძაშვილს, სუმბატ ერისთავთ-ერისთავს (†988) გადასცეს. სუმბატისგან ციხე მემკვიდრეობით მიიღო მისმა ძემ ბაგრატმა, რომელმაც მამის გარდაცვალების მერე სულ ორმოცი დღე იცოცხლა, და შემდეგ ბაგრატის ძემ სუმბატმა. 1010 წელს მეფე ბაგრატ III-მ სუმბატ არტანუჯელი ძმასთან ერთად ფანასკერტში დარბაზობაზე მიიწვია და ციხეში გამოამწყვდია. ერთი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა. სუმბატის მემკვიდრე კონსტანტინოპოლში გაიქცა,

---

[197] იქვე, გვ. 377.

[198] ცხორება გრიგოლ სანძთელისა, გვ. 296.

[199] *გეორგიკა, IV, ნაკვ. II*, გვ. 278-279.

დარჩენილმა კლარჯმა ბაგრატიონებმა პატიმრობაში დალიეს სული. არტანუჯი მეფის საკუთრება გახდა[200].

ამის შემდეგ არტანუჯმა ნაწილობრივ დაკარგა უწინდელი პოლიტიკური როლი, თუმცა დარჩა მნიშვნელოვან ქალაქად. ის ხშირად იხსენიება XI საუკუნის მოვლენების ამსახველ ქართულ მატიანეებში. 1080 წელს, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, ქალაქი გადაწვეს თურქ-სელჯუკებმა[201]. XIII საუკუნიდან არტანუჯი ათაბაგთა გამგებლობაში იყო. 1553 წელს ათაბაგ ქაიხოსრო II-ს არტანუჯი ერზერუმის მმართველმა ისქენდერ ფაშამ წაართვა. ვახუშტის თქმით, „...არს არტანუჯი, ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილშენი"[202].

შუა საუკუნეების ბოლომდე ქალაქის მოსახლეობა, როგორც ჩანს, დიდწილად ქართული იყო. XVII-XVIII საუკუნეებში არტანუჯელი ქართველები ძირითადად გამაჰმადიანდნენ, ნაწილმა კათოლიკობა მიიღო[203]. ამავე ხანებიდან იწყება აქ კათოლიკე სომხების ჩამოსახლება. XIX საუკუნის შუახანებში ისინი, სომხურენოვანი რიტის კათოლიკე ქართველებთან ერთად (სტატისტიკა მათ არ ასხვავებდა), არტანუჯში უკვე აშკარა უმრავლესობას შეადგენდნენ.

ქალაქმა, რომელიც ამჟამად ილჯეს ცენტრია, მცირეოდენ შეცვლილი ფორმით შეინარჩუნა ძველი სახელწოდება – არდანუჩი (Ardanuç). დღევანდელი არტანუჯი მკაფიოდ იყოფა ორ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთისაგან ორიოდე კმ-ითაა დაშორებული. ახალი უბანი (ჲენი არდანუჩი, Yeni Ardanuç) გაშენებულია XX საუკუნეში არტანუჯისწყლის მარჯვენა დაბალ ნაპირზე, შედარებით სწორ ადგილას. ძველი უბანი (ესკი არდანუჩი, Eski Ardanuç. მას უწოდებენ ადაქალეს, Adakale) მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე აღმართული გრანდიოზული კლდოვანი მთის ერცელ, დამრეც ბაქანზე. ეს არის ისტორიული ქალაქი არტანუჯი, რომელსაც ზღუდე ერტყა (ახლა მისგან მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი). მის ზემოთ

---

[200] არტანუჯის X საუკუნის ისტორიის ეპიზოდები ვრცლად აქვს მოთხრობილი კონსტანტინე პორფიროგენეტს (*გეორგიკა IV, ნაკე. II*, გვ. 274-287). თარიღებისათვის ძირითადი წყაროა სუმბატ დავითის-ძე (*ქართლის ცხოვრება, ტ. I*, გვ. 378-382). იხ. აგრეთვე: ს. ჯანაშია, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, *შრომები, V*, თბილისი, 1987, გვ. 246-266.

[201] *ქართლის ცხოვრება, ტ. I*, გვ. 319.

[202] იქვე, ტ. IV, გვ. 681.

[203] 1784 წლით დათარიღებულ ერთ კათოლიკურ ქადაგებათა წიგნს აქვს მინაწერი: „მე მონა მონათა მსახურმა პაელე ართანუჯელმა დიაკონმა დაეწერ ეს უმცირესი ნაწერი" (შ. ლომსაძე, *გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები*, თბილისი, 1979, გვ. 236).

იწყება გაშიშვლებული პიტალო კლდე თითქმის ვერტიკალური კალთებით. კლდის თავზე დგას ციხე[204] – არტანუჯის ბობოქარი ისტორიის ყველაზე თვალსაჩინო მატერიალური ნაშთი. მას უჭირავს კლდის მთელი ზედა მოედანი, რომელსაც სამხრეთ-ჩრდილოეთის ღერძზე ძლიერ წაგრძელებული ფორმა აქვს და ციტადელიც, შესაბამისად, სიგრძეშია გაჭიმული დაახლოებით 220 მ-ზე. სიგანე ყველაზე ფართო ადგილას 55 მ-ს აღწევს. ციხის კედლები რელიეფის მოხაზულობას მიჰყვება, მრუდხაზოვანია. როგორც ჩანს, ციცაბო კლდე ისეთ საიმედო დაცვას უზრუნველყოფდა, რომ კედლებში კოშკების ჩართვა საჭიროდ არ მიუჩნევიათ – მათი კვალი არსად ჩანს. ციხის სათავდაცვო სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბუნებრივი გამოქვაბულები, რომლებიც ციხეს გვირაბებით უკავშირდება. ბოლო დრომდე შემოინახა გადმოცემა, რომ საიდუმლო გვირაბი ციხიდან არტანუჯისწყლამდეც ჩადიოდა, რაც უზრუნველყოფდა ციხის წყლით მომარაგებას ხანგრძლივი ალყის დროს[205].

ციხის შიგნით ახლა რამდენიმე შენობის უმნიშვნელო ნაშთი განირჩევა. მათი არქიტექტურული სახისა და დანიშნულების გარკვევა შეუძლებელია. შედარებით მეტი რამ შემორჩა ციტადელის შუა ნაწილში მდგარი ეკლესიისაგან. ის მომცრო დარბაზული ნაგებობაა თანადროული მინაშენით ჩრდილოეთიდან. მოგვიანებით მას იმავე ჩრდილოეთ მხრიდან კიდევ ერთი სათავსი მიადგეს, ხოლო დასავლეთიდან – ერთგვარი ნართექსი. ახლა შენობის დასავლეთ მხარე თითქმის მთლიანად დანგრეულია. აღმოსავლეთით კედლები მეტწილად 2-3 მ-ის სიმაღლეზე შემოინახა. ჩანს საკურთხეველის აფსიდის სარკმელი. შესასვლელები ძირითად ნაწილსაც და ჩრდილოეთის სათავსსაც, როგორც ჩანს, დასავლეთიდან ჰქონდა. გადახურვისაგან არაფერი შემორჩა.

ეკლესია ნაგებია ადგილობრივ მოპოვებული მოთეთრო-სპილოს-ძვლისფერი მკვრივი კლდოვანი ქვით, რომელიც უხეშად არის დატეხილი. ქვები უმეტესად თითქმის დაუმუშავებელია, შემთხვევითი ფორმისა. დიდრონი ღრიჭოები მათ შორის წვრილი ნატეხებით შეუვსიათ. ქვები ძირითადად დიდებია, ზოგიერთი მათგანის ზომა 1 × 2 მ-ს აღწევს. არანაირი კვეთილი შემკულობა არ ჩანს. შიგნით კედლები შელესილი იყო და ალბათ მოხატულიც. ერთგან შემორჩა წითელი და ლურჯი პიგმენტის კვალი.

---

[204] არტანუჯის ციხე გამოკვლეული აქვს რ. ედვარდსს: R. W. Edwards, The Fortifications of Artvin, გვ. 174

[205] M. Pereira, *East of Trebizond*, London, 1971, გვ. 196.



სურ. 9. არტანუჯის ციხე. გეგმა. რ. ედეარდსის მიხედვით



სურ. 10. არტანუჯი. ციხის სამლოცველო.
გეგმა. ე. ჯობაძის მიხედვით

სტილისტური ნიშნებით ნაგებობა IX საუკუნეს შეიძლება მიეკუთვნოს[206]. ის უნდა იყოს აშოტ კურაპალატის მიერ 810-20-იან წლებში (ციხის განახლების შემდეგ) აგებული წმ. პეტრესა და პაველეს ეკლესია, რომელსაც იხსენიებს სუმბატ დაეითის ძე. ამ ეკლესიაში დაკრძალეს თავად აშოტი, ვერაგულად მოკლული 826 წლის 29 იანვარს.

ქალაქის უძველესი ნაგებობაა ადაქალეს ჩრდილოეთ კუთხეში მდგარი ეკლესია. ის აგებულია კლდოვან კონცხზე, რომელიც არტანუჯისწყლის ღრმა ხეობას გადაპყურებს. ტაძრის ჩრდილოეთ კედლიდან ქარაფამდე ათიოდე მ-ია. შენობა დგას სპეციალურად მოსწორებულ და ნაწილობრივ სუბსტრუქციით ამოშენებულ კლდოვან ბაქანზე.

---

[206] W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 20-21.



სურ. 11. არტანუჯი, ქალაქის ეკლესია. გეგმა (რეკონსტრუქცია)

ეკლესია ამჟამად თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩა მისი ჩრდილოეთ კედელი და დასავლეთ კედლის ჩრდილოეთ ნაწილი 0,4-0,9 მ-ის სიმაღლეზე, ერთი უზარმაზარი ქვა ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, სამხრეთ კედლის შუა ნაწილი (ის ახლა უცნაური სვეტივით აღიმართება დაახლოებით 5 მ-ზე) და სამკვეთლოს ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლები. შესაძლოა, გადარჩენილია შიდა კედლების ქვედა ნაწილებიც, მაგრამ მათ მთლიანად ფარავს ნაყარი ქვები და მიწა. შენობის არქიტექტურული სახის წარმოდგენა შეიძლება მხოლოდ ძველ ავტორთა – დ. ბაქრაძის[207], პრ.

[207] Д. Бакрадзе, Об археологической поездке совершенной в 1879 году по поручению Академии Наук в Чорохский бассеин, Батум, Артвин и Артанудж, *Записки Императорской Академии Наук, т. 37, кн. 1*, С.-Петербург, 1880, გვ. 91-94.

უვაროვასა[208] და, პირველ რიგში, ნ. მარის[209] აღწერების მოშველიებით. მათ შენობას შეუდარებლად უკეთეს მდგომარეობაში მოუსწრეს, თუმცა დაზიანება უკვე მათი ვიზიტების დროსაც დიდი იყო. დგინდება, რომ ეკლესია იყო ჯვარგუმბათოვანი ნაგებობა მართკუთხა გეგმით. ცენტრალურ კვადრატს უკავშირდებოდა ოთხი მკლავი: ერთი აფსიდური – აღმოსავლეთისა და სამი მართკუთხა. მკლავებშორის არეებს აესებდა უფრო დაბალი სათავსები, რომელთაც გარედან თითო ქანობი ხურავდა. ამათგან დასავლეთის წყვილი თავისებურად იყო გადაწყვეტილი – დასავლეთის მკლავს სათავსები კედლებით გამოეყოფოდა (სამხრეთ-დასავლეთ კუთხის ოთახს ამ კედელში კარი ჰქონდა, მოგვიანებით ამოქოლილი), ხოლო განივი მკლავებისაკენ ისინი მთლიანად იხსნებოდა თაღებით, რომლებიც სათავსთა სივიწროვის გამო არსებითად დიდ კარებს წააგავდა. ვიწრო და გრძელი იყო პასტოფორიუმებიც, რომლებიც თითო კარით უკავშირდებოდნენ შესაბამის განივ მკლავებს. სამკვეთლოს დღემდე შემონახულ კარს შიგნით თაღი აქვს, მკლავისკენ – ზღუდარი. აფსიდები პასტოფორიუმებს არა ჰქონია. საკურთხევლის აფსიდში იყო ორი სარკმელი ერთი მეორის ზემოთ. თითო დიდი სარკმელი იყო სამხრეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მკლავებში. ეკლესიას ჰქონდა ორი ფართო შესასვლელი – ერთი დასავლეთის მკლავიდან, მეორე სამხრეთ-დასავლეთ კუთხის სათავსიდან. გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი კარი სამხრეთის კედლის შუაში, სხვა ორ კარზე გაცილებით დაბლა. აქედან ჩადიოდნენ ეკლესიის იატაკის ქვეშ მდებარე კრიპტაში. რამდენადაც სუბსტრუქცია ამ ადგილას არცთუისე მაღალია, უნდა ვივარაუდოთ, რომ კრიპტა ნაწილობრივ კლდეში იყო ნაკვეთი ან – რაც უფრო სარწმუნოა – მოიცავდა ბუნებრივ მღვიმეს.

ეკლესიის გუმბათის შესახებ რისამე თქმა შეუძლებელია, XIX საუკუნის ბოლოს ის უკვე მთლიანად ჩანგრეული იყო.

ქვაზე კვეთილი შემკულობიდან ნ. მარი ასახელებს მხოლოდ ეკლესიის შესასვლელთა ზღუდარებზე გამოსახულ ჯერებს (გასათვალისწინებელია, რომ სარკმლები მას უკვე თაღმორღვეული დახვდა – შესაძლოა, ყოფილიყო თაესართებიც). ისინი მკრქალად განირჩევა ფოტოსურათზეც. სამხრეთის კარის თავზე გამოკვეთილი ჯვარი უფრო დიდია, აქვს თანაბარი სიგრძის მართკუთხა მკლავები და ჩასმულია მრგვალ medალიონში, რომელსაც შემოწერს დიდი ნახევარწრიული თავსართი მოკლე გადანაკეცებით. ჯვარი და თავსართი ოდნავ არის ამოწეული ფონიდან, მათი შემომწერი კონტურის ღარი კედელშია ჩაჭრილი. იგივე ითქმის დასავლეთის

---

[208] П. Уварова, *Путевые записки*, გვ. 304-305.

[209] Н. Марр, Дневник, გვ. 95-97, ტაბ. 30-31.

კარის ზღუდარის კომპოზიციაზეც, ოღონდ ჯვარი აქ უფრო პატარაა და სადა. ექსტერიერის მხატვრული სახის შექმნაში არსებით როლს ასრულებდა უზარმაზარი ლოდების საფასადო წყობა. ისინი გამოყენებული იყო კედლების ქვედა ნაწილებში (დაახლოებით 4 მ-მდე). სხვადასხვა კონფიგურაციის, ძალზე ზოგადად დამუშავებული ქვები (მასალა იგივეა, რაც ციხის ეკლესიისა – ძალიან მაგარი მოთეორო კლდოვანი ჯიში) შეძლებისდაგვარად მორგებული იყო ერთმანეთზე, თუმცა, ცხადია, არა მჭიდროდ, რჩებოდა დიდი ღრიჭოები. ფასადთა ზედა ნაწილებზე საპირე წყობას ქმნიდნენ გაცილებით უფრო პატარა, თანაბარზომიერი, უხეშად დამუშავებული ქვები, რომლებიც 30-40 სმ სიმაღლის რიგებად იყო დალაგებული. ინტერიერის წყობა – მეტწილად ასევე საშუალო ზომის ქვებით ამოყვანილი – ხარისხით ჩამოუვარდებოდა საფასადოს. ალბათ თავიდანვე ივარაუდებოდა კედლების შიგნიდან შელესვა (ნ. მარმა ადგილზე ნახა ბათქაშის ფრაგმენტები და ერთგან მოხატულობის მკრთალი კვალიც). დამახასიათებელია, რომ ასეთივე უხეშად დატეხილი, არასწორ-ზედაპირიანი ქვებით არის გამოყვანილი სამკვეთლოს კარის შემორჩენილი თაღიც. სუფთად თლილი ქვები, როგორც ჩანს, არსად უხმარიათ.

არტანუჯის ეკლესიის კომპოზიცია (ჯერული სტრუქტურა გამოცალკეებული სათავსებით ოთხსავე კუთხეში) უკავშირდება ჯვარგუმბათოვანი თემის ერთ-ერთ ვარიანტს, რომელიც ქართულ ხუროთმოძღვრებაში წარმოდგენილია ტაო-კლარჯეთის კიდეე ორი ნაგებობით – დადაშნისა (X საუკუნე) და დოლისყანის (937-958) ეკლესიებით (ვრცლად ამის შესახებ იხ. ქვემოთ, X თავში). დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია მასალის დამუშავებისა და გამოყენების ხასიათი. ასეთ დიდ, უხეშად გათლილ ქვებს ქართველი მშენებლები უპირატესად X საუკუნეში ხმარობდნენ. მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილებიც (კერძოდ, თაღი) ნატეხი ქვითაა გამოყვანილი, თარიღს უფრო IX საუკუნისაკენ წევს. ამასვე გვიჩვენებს ეკლესიის რელიეფური დეკორიც – ის უფრო განუვითარებელია, ვიდრე X საუკუნის I ნახევრისა და შუახანების კლარჯეთის სხვა გუმბათიანი ტაძრებისა (ხანძთა, ოპიზა, დოლისყანა). ამ ნიშნების გათვალისწინებით არტანუჯის ეკლესია IX-X საუკუნეთა მიჯნას უნდა მიეკუთვნოს.

ძველ უბანში, პირველი ეკლესიიდან მცირეოდენ მოშორებით იდგა მეორე ეკლესიაც, რომელიც გვიანი შუა საუკუნეებისათვის დაინგრა. მის ადგილას 1864 წელს არტანუჯის იმდროინდელმა

მმაროველმა სულეიმან ფაშამ[210] ააგო ისქენდერ ფაშას (1553 წელს არტანუჯის დამპყრობლის) ჯამე – მართკუთხა შენობა ხის გადახურვით. მასში ჩართულია ეკლესიის კედლების ნაშთები. გარდა ამისა, ჯამეს მშენებლობისას უხმარიათ ეკლესიის ჩამოცვენილი ქვებიც. ჯამეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ნ. მარმა ნახა თაედაყირა ჩადგმული ორსტრიქონიანი ფრაგმენტი ქართული წარწერისა[211]. მასზე იკითხებოდა:

წ(ი)ნ(ა)მძღ(უა)რს
და მ(ის)სა დას

ამუამად წარწერა აღარ ჩანს.

არტანუჯის სხვა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ნაგებობათაგან ძველი ავტორები ასახელებენ სომხურ კათოლიკურ ეკლესიას (აშენდა 1790-იან წლებში, დაანგრიეს 1920-იან წლებში), მედრესეს, ქარვასლას (დაიწვა XIX საუკუნის II ნახევარში და აღარ აღუდგენიათ) და ჰამამს (აბანოს). ეს უკანასკნელი დღემდე შემოინახა ადაქალეზე. ჰამამი სავარაუდოდ XVIII საუკუნეში აგებული მოგრძო მართკუთხა შენობაა. ძირითად ნაწილს ტრადიციული უყელო გუმბათი ადგას[212]. ქალაქში იყო აგრეთვე დახურული შადრევნიანი აივნები. შემოინახა XIX საუკუნის ორსართულიანი ქვის სახლები გადმოკიდებული ხის აივნებით[213].

---

[210] პ. უვაროვას ცნობით, ამ სულეიმან ფაშამ დაანგრია არტანუჯის პირველი ეკლესიაც და მისი ქვებით თავისი საცხოვრებელი სახლი ააშენებინა (П. Уварова, *Путевые записки*, გვ. 304).

[211] Н. Марр, *Дневник*, გვ. 95, ტაბ. 29.

[212] O. Aytekin, გვ. 135-142.

[213] იქვე, გვ. 242-243, ტაბ. 155.

თავი VI.

ოპიზა – „უპირველესი ათორმეტთა უდაბნოთა“

ოპიზის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი კლარჯეთის უძველესი სავანეა. მისი ადრეული ისტორიის ძირითადი ეპიზოდები ზემოთ, შესაბამის თავებში, უკვე იყო მოტანილი და აქ მათზე ვრცლად აღარ შევჩერდები, მხოლოდ ორიოდე სიტყვით შევახსენებ მკითხველს, რომ მონასტერი V საუკუნის მეორე ნახევარში დააარსა ვახტანგ გორგასლის ერისთავმა არტავაზმა; 730-იან წლებში ის დაიცალა ქოლერის ეპიდემიის შედეგად; 750-60-იან წლებში კვლავ აღდგა. 780 წლის ახლოს აქ ერთხანს ცხოვრობდა წმ. გრიგოლ ხანძთელი თავის პირველ მოწაფეებთან – საბასთან, თეოდორესა და ქრისტეფორესთან ერთად.

IX საუკუნიდან ოპიზა კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთა“ შორის მოიხსენიება, მაგრამ მის განსაკუთრებულ სიძველეს არ ივიწყებენ. „ამათ ყოველთა უდაბნოთა უწინარეს აღშენებულ არს ოპიზაი, და არა განვაგებ ოპიზასა ზედა“ – ამბობს თვით გრიგოლ ხანძთელი, როცა ოპიზის წინამძღვრისადმი გამორჩეული დამოკიდებულების მიზეზს ეკითხებიან.

ოპიზა მნიშვნელოვანი მწიგნობრული კერა იყო. აქ შეიქმნა მრავალი ხელნაწერი, მათ შორის 913 წლის ცნობილი სახარება და 1093 წლის პარაკლიტონი, რომელიც „დაიწერა... დიდებულსა ლავრასა შინა ოპიზას“[214]. ანტონ კათალიკოსის ცნობით, ერთხანს აქ, „მონასტერსა წმიდა იოანე წინამორბედისასა“, მოღვაწეობდა იოანე პეტრიწი[215]. მოგვიანებით ოპიზაში იყო საოქრომჭედლო

---

[214] ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I,* გვ. 392-393.

[215] ანტონ I კათალიკოსი, *სპეკალი,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. დედაბრიშვილმა, თბილისი, 1991, გვ. 331. ი. ლოლაშვილის მიხედვით, იოანე პეტრიწი ოპიზაში ცხოვრობდა მანგანის დატოვების შემდეგ, შაე მთაზე წასვლამდე, 1083-1091 წლებს შორის (იოანე პეტრიწი, *სათნოებათა კიბე,* გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1968, გვ. 42-43). კ. კეკელიძე იოანეს ბიოგრაფიის გადმოცემისას ოპიზას არ ახსენებს (*ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I,* მეხუთე გამოცემა, თბილისი, 980, გვ. 285-286). ანტონ კათალიკოსის ცნობას სკეპტიკურად უყურებს ლ. მენაბდეც (*ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I,* გვ. 396, შენიშნა 2).

სახელოსნო, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ XII საუკუნის II ნახევრის ცნობილი ოსტატები ბეშქენ და ბექა ოპიზარები[216].

ოპიზის ისტორიაში ყურადღებას იქცევს აქაური ბერების წვლილი საეკლესიო მშენებლობაში საკუთარი მონასტრის გარეთ. 780-იან წლებში ისინი დაეხმარნენ გრიგოლს ხანძთის პირველი ეკლესიის აშენებაში[217]. 1160 წლის ახლოს ქვითხურო ბოლოკ ბასილმა, რომელიც წმ. გიორგის ეკლესიის აგებას იწყებდა, ოპიზელი ბერისგან მიიღო სამუშაო იარაღების დასამზადებლად საჭირო რკინა და ჯორი საშენი მასალის საზიდად[218]. მარტვილის ტაძრის აწ დაკარგულ, სავარაუდოდ 996 წლით დათარიღებულ წარწერაში იხსენიებოდა „მიქაელ გალატოზი ოპიზარი“[219].

ჟამთააღმწერლის ცნობით, ოპიზის მონასტერში ინახებოდა ძვირფასი რელიკვია – წმ. იოანე ნათლისმცემლის ხორხი[220]. მემატიანე მოგვითხრობს, რომ ოპიზის დასარბევად მოსულ მონღოლთა ლაშქარს წმ. იოანე ნათლისმცემელმა საშინელი ქარიშხალი მოუელინა და ასე იხსნა მონასტერი განადგურებისაგან (“მოხედნა წყალობით სამკუდრებელსა თუსსა“)[221].

XVI საუკუნეში კლარჯეთის ოსმალთა მიერ დაპყრობის შემდეგ ოპიზა დაცარიელდა. ვახუშტის თქმით, ნათლისმცემლის მონასტერში „აწცა არს დიდ-შენებულებანი, არამედ უქმ-ცარიელ არს“[222].

ოპიზის მონასტერი გაშენებულია დამრეც ფერდობზე, ერცელ ტერიტორიაზე, რომელიც ნაშენი სუბსტრუქციების მეშვეობით ტერასებად არის დაყაკებული. 1874 წელს, როცა ის გ. ყაზბეგმა

---

[216] შ. ამირანაშვილი, *ბექა ოპიზარი*, თბილისი, 1956, გვ. 32 და შემდგომ.

[217] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 257.

[218] აბუსერისძე ტბელი, *ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე*, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბილისი, 1941, გვ. 58.

[219] *დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკე. I (IX-XIII სს.)*, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ე. სილოვავამ, თბილისი, 1980, გვ. 36-37. წარწერა ნახა და გამოსცა ფ. დეუბუა დე მონპერემ (იხ, მისი *Voyage autour du Caucase chez les Therkesses et les Abkhazes, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée, t. III*, Paris, 1839, გვ. 44-45). „ოპიზარის“ ნაცვლად მან წაიკითხა „უფლარი“ („Ouplari“), რაც მთავრული „ლ“-სა და „ზ“-ს მსგავსებით გამოწვეული აშკარა უსუსტობაა. იხ. აგრეთვე: М. Мгалоблишвили, Л. Микиашвили, Сведения Фредерика Дюбуа де Монпере о грузинских архитектурных памятниках (Мартвильский кафедрал, Атенский Сион), *Caucasica, vol. 7*, 2003, გვ. 218.

[220] *ქართლის ცხოვრება, ტ. II*, გვ. 259. ამას ადასტურებს ვახუშტიც (*ქართლის ცხოვრება, ტ. IV*, გვ. 678).

[221] *ქართლის ცხოვრება, ტ. II*, გვ. 260.

[222] *ქართლის ცხოვრება, ტ. IV*, გვ. 678.

ინახულა, შენობები უკვე ძლიერ დაზიანებული იყო, მაგრამ მათი უმეტესობა ჯერ კიდევ იდგა და მთლიანად კომპლექსი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა – გ. ყაზბეგი მას ქალაქს ადარებს[223]. მონასტერს ერტყა გალავანი, რომელიც ფარგლავდა დაახლოებით 90 × 50 მეტრ ტერიტორიას. სოფლელთა საცხოვრებელი სახლები მის გარეთ იყო. გალავნის მორღვევის შემდეგ სოფელმა, რომლის ამჟამინდელი სახელწოდებაა ბაღჯილარი (Bağcılar), თვით ნამონასტრალიც დაიკავა, რამაც დიდად დააჩქარა მისი განადგურება.



სურ. 12. ოპიზის ეკლესია. გეგმა

მონასტრის მთავარი ეკლესია დგას კომპლექსის ცენტრში. რელიეფის სპეციფიკის გამო სიგრძეში გაჭიმული შენობის სწორად ორიენტირება, როგორც ჩანს, ვერ მოხერხდა – მისი გრძივი ღერძი დაახლოებით 60 გრადუსით არის აცდენილი OW ღერძს და საკურთხეველი მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

1874 წელს გ. ყაზბეგს ეკლესიის დასავლეთის მკლავის კამარა უკვე მთლიანად ჩაქცეული დახვდა[224]. 1959 წლისათვის, ნ. და ჟ.-მ. ტიერის მოწმობით, ჩანგრეული იყო სხვა მკლავების გადახურვაც და ასევე კედლების ზედა ნაწილები, თუმცა ჯერ კიდევ მყარად იდგა გუმბათი[225]. 1965 წელს სოფლის გზის გაყვანისას ეკლესია

---

[223] გ. ყაზბეგი, *სამი თვე თურქეთის საქართველოში*, გვ. 100-103

[224] იქვე, გვ. 102.

[225] N. et J.-M. Thierry, Notes d'un voyage en Géorgie turque, *Bedi kartlisa, VIII-IX, No 34-35*, 1960, გვ. 28; J.-M. Thierry, Topographie et état actuel des monuments géorgiens en Turquie orientale, *Revue des études géorgiennes et caucasiennes, No 5*, 1989, გვ. 141.

ააფეთქეს[226], რის შედეგადაც მთლიანად მოისპო გუმბათი და საკურთხეველის ნაწილი. ამჟამად შენობისაგან გადარჩენილია სამხრეთის მკლავი, დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთ კედელი და დასავლეთ კედლის ნაწილი, ჩრდილოეთის მკლავის კედლების მეტი ნაწილი. მსჯელობა ეკლესიის არქიტექტურული სახის შესახებ შეიძლება მხოლოდ ძველ ავტორთა მონაცემების მოშველიებით. ამ მხრივ განსაკუთრებით ღირებულია ა. პაელინოვის აღწერა და ნახაზები[227] და ნ. მარის აღწერა[228], აგრეთვე იმავე ა. პაელინოვის, დ. ერმაკოვისა და ნ. და ჟ.-მ. ტიერის ფოტოსურათები[229].

ეკლესია ნაგებია შერეული მასალით. კედლების შიდა წყობა შედგება მორუხო ფერის უხეშად დამუშავებული ქვებისაგან (ა. პაელინოვის მიერ შესრულებულ ჭრილზე ნაჩვენები გეომეტრიულად სწორი ნახატის პერანგი ძალიან შორსაა სინამდვილისაგან). ისინი თანაბარზომიერია და ძალიან წესიერად არის დალაგებული სწორ ჰორიზონტალურ რიგებად. ღრეჩოები გულმოდგინედ ამოულესავთ კირის ხსნარით. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები თლილი ფოროვანი ქვებითაა გამოყვანილი. შესრულების ხარისხზე მსჯელობა შეგვიძლია გუმბათქვეშა კუთხეებსა და დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილი ძალიან სუფთად დამუშავებული იმპოსტებით.

საფასადო მოპირკეთება ახლა პრაქტიკულად მთლიანად განადგურებულია. დარჩა სულ 4-5 ქვა სამხრეთის მკლავის სამხრეთ ფასადზე. ისინი ცოტა უკეთესად არის გამოყვანილი, ვიდრე შიდა წყობის ქვები, მაგრამ ბოლომდე სუფთად მაინც არ არის გათლილი. რამდენადაც დ. ერმაკოვის 1907 წლის ფოტოსურათზე განირჩევა, ასეთი უნდა ყოფილიყო მთლიანად ეკლესიის ქვედა კორპუსის

---

[226] როდესაც 1965 წელს ოპიზაში დ. უინფილდი მივიდა, გუმბათი ახალი დანგრეული იყო – როგორც მას უთხრეს, უსაფრთხოების მიზნით, ვინაიდან გუმბათი საშიში ყოფილა („the cupola had recently been pulled down because it was unsafe". იხ.: D. Winfield, Some Early Medieval Figure Sculpture from North-East Turkey, *Journal of the Warburg and Courtearld Institutes, vol. 31*, 1968, გვ. 35). გაუგებარია რაღა საჭირო იყო მაშინ ეკლესიის საკურთხეველის განადგურებაც.

[227] А. Павлинов, Экспедиция на Кавказ, გვ. 63-65, ტაბ. XXVIII (გეგმა და გრძივი ჭრილი), XXXI (აღმოსავლეთ ფასადი).

[228] Н. Марр, Дневник, გვ. 158-162, 166.

[229] А. Павлинов, ტაბ. XXIX (ეკლესიის კარიბჭის ინტერიერი), XXX (ეკლესიის ინტერიერი); *Дневник*, ტაბ. 55 (საერთო ხედი ეკლესიაზე სამხრეთიდან); N. et J.-M. Thierry, Notes... სურ. გვ. 28-ზე (ხედი გუმბათზე); N. Thierry, Peintures géorgiennes en Turquie, *Bedi kartlisa, vol. XLII*, 1984, გვ. 148-149, სურ. 1-2 (ხედები გუმბათზე გარედან და შიგნიდან).

პერანგი[230]. გუმბათის ყელის მოპირკეთება უფრო აკურატული ჩანს. ის შედგება მომცრო (არაუმეტეს 20-25 სმ სიმაღლის) თლილი კვადრებისაგან, რომლებიც მჭიდროდაა ერთმანეთზე მორგებული. ეს წყობა ძალიან ჰგავს დოლისყანის გუმბათისას.

ოპიზის ეკლესია „ნახევრადთავისუფალი ჯვრის" ტიპის თავისებური ნიმუშია, გამორჩეული ამ ტიპის სხვა ქართულ ეკლესიებს შორის თავისი უჩვეულოდ დაგრძელებული დასავლეთის მკლავით. ძირითად ჯვრულ კორპუსს საკურთხეველის ორსავ მხარეს ემატება დამხმარე სათავსები – პასტოფორიუმები. ისინი უფრო მოკლეა, ვიდრე აღმოსაელეთის მკლავი და ამის გამო საკურთხეველი მართკუთხა მოცულობის სახით წინ არის გამოშვერილი აღმოსავლეთ ფასადზე. პასტოფორიუმები გეგმით მართკუთხაა, უაფსიდო. ისინი თითო კარით უკავშირდება შესაბამის განივ მკლავებს. ჩრდილოეთის სათავსიდან (სამკვეთლოდან) თითქოს იყო ვიწრო გასაელელი უშუალოდ საკურთხეველშიც[231]. აფსიდში იყო ოთხი სარკმელი: სამი – ზემოთ (ამათგან ერთი, ჩრდილოეთისა, ამოქოლილი), ერთი – ქვემოთ (ასევე ამოქოლილი). ქვედა სარკმლის ორსავ მხარეს იყო თითო მაღალი და ვიწრო, კონქით გადახურული აფსიდური ნიშა.

დასავლეთის მკლავი სიგრძით 5,5-ჯერ სჭარბობს განივ მკლავებს. გრძივ კედლებზე მას აქვს ოთხ-ოთხი ძლიერშვერილი სამსაფეხურიანი პილასტრი (ნაწილობრივ შემორჩა ჩრდილოეთის კედელზე), რომელთა ორ-ორ უკანა საფეხურს კედლის თაღები ეყრდნობოდა, წინას – კამარის საბჯენი თაღები. დასავლეთის მკლავის სამხრეთ, ამუამად განადგურებულ კედელში იყო ოთხი სარკმელი – თითო ყოველ თაღოვან უბეში. ერთი სარკმელი იყო ამავე მკლავის დასავლეთ კედელში, ერთიც – სამხრეთის მკლავის სამხრეთ კედელში. ეს უკანასკნელი დღემდე შემოინახა და ყურადღებას იპყრობს ძალიან დიდი ზომით: ფასადზე მისი სიგანე 0, 8 მ-ია, შიგნით – 1,7 მ. ჩრდილოეთიდან ეკლესიას სარკმლები არა აქვს, რაც რელიეფის პირობებით უნდა აიხსნას – ამ მხარეს შენობა უშუალოდ ეკერის დამრეც ფერდობს, რომელიც სუბსტრუქციით იყო ამოშენებული (ზედა ტერასისათვის) ეკლესიის ჩრდილოეთ კედელთან ძალიან ახლოს და ჩრდილავდა მას. ახლა ეს მხარე მთლიანად ნაყარი მიწით არის ამოვსებული.

---

[230] ვისაც დ. ერმაკოვის ფოტოთი სარგებლობა სურს, აუცილებელია ნახოს ორიგინალიდან გაკეთებული კარგი ანაბეჭდი. გამოცემებში ფოტოსურათი, როგორც წესი, რეტუშირებულია და სრულიად მცდარ წარმოდგენას ქმნის წყობაზე (იხ., მაგალითად: Н. Марр, Дневник, ტაბ. 55).

[231] Н. Марр, Дневник, გვ. 161. ა. პავლინოვს ეს კარი გეგმაზე დატანილი არა აქვს.

შესასვლელი ეკლესიას ჰქონდა დასავლეთის მკლავის დასავლეთ კედელში. მის წინ იყო კარიბჭე, რომლისგანაც ჩრდილოეთ ნაწილი შემორჩა (როგორც ჩანს, ამავე კარიბჭიდან იყო შესავლელი ეკლესიის დასავლეთ მკლავზე სამხრეთიდან მიშენებულ ეგეტერში). ა. პავლინოვის გეგმაზე ეს ერთი კარია დატანილი. ტექსტშიც ის მხოლოდ ამ კარის შესახებ ლაპარაკობს (გაკვირვებას გამოთქვამს მისი მცირე ზომის გამო)[232]. ნ. მარი ახსენებს ორ სხვა შესასვლელსაც, რომლებიც გაჭრილი იყო დასავლეთის მკლავის სამხრეთ კედლის მეორე და მესამე (ცენტრიდან) უბეებში[233]. ჟ.-მ. ტიერის გეგმაზე დატანილია კარი ამავე კედლის ცენტრიდან მეხუთე, ე. ი. დასავლეთ კედლის მომიჯნავე უბეში[234] — ის მიშენებულ ეგეტერში გადის. ეს შესასვლელები არცერთ ფოტოზე არ ჩანს და მათ შესახებ რისამე გადაჭრით თქმა ახლა შეუძლებელია.

მკლავების კუთხეებს შენობის შუაში ლილვები აუყვება. გადასვლა გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე აფრა-ტრომპების საშუალებით ხორციელდებოდა. რამდენადაც ფოტო-სურათებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ტრომპებს ნახევარკონუსური მოყვანილობა ჰქონდა და ორსაფეხურიანი თაღები შემოწერდა. უშუალოდ ძირითადი ტრომპების ზემოთ გაკეთებული იყო ორ-ორი მცირე ტრომპი. გარდამავალ კონსტრუქციას ასრულებდა რთული კონფიგურაციის აფრული სეგმენტები. გუმბათის ყელს შიგნიდანაც და გარედანაც თორმეტწახნაგა ფორმა ჰქონდა. მასში წახნაგგამ-ტოვებით გაჭრილი იყო ექვსი დიდი სარკმელი. გარედან გუმბათის ყელს, წახნაგთა რაოდენობის შესაბამისად, თორმეტმალიანი თაღნარი ეკვრებოდა. თაღები ეფუძნებოდა შეწყვილებულ მსუბუქ ნახევარსვეტებს, რომელთა კაპიტელები მცენარეული მოტივებით იყო შემკული. გუმბათს ჰქონდა ნახევრადგაშლილი ქოლგის ფორმის სახურავი ტეხილი კარნიზით, რომელიც ყოველი წახნაგის თავზე ფრონტონს ქმნიდა. კარნიზი ორი მაღალი თაროსაგან შედგებოდა.

ძირითადი კორპუსი გარედან, როგორც ჩანს, საკმაოდ სადად გამოიყურებოდა. ა. პავლინოვის ცნობით, აღმოსავლეთ ფასადი გაფორმებული იყო სამი თაღით, ხოლო დანარჩენი ფასადები გლუვი (гладкие) იყო[235]. მაგრამ ეს ცნობა ზუსტი არ არის — დ. ერმაკოვის ფოტოსურათზე ჩანს, რომ სამხრეთის მკლავის სარკმელს ფასადზე ჰქონდა დიდი „ტაო-კლარჯული" თავსართი. ეჭვს იწვევს

---

[232] А. Павлинов, Экспедиция на Кавказ, გვ. 63-64.

[233] Н. Марр, Дневник, გვ. 162.

[234] N. Thierry, Peintures géorgiennes en Turquie, გვ. 135, ნახ. 2.

[235] А. Павлинов, Экспедиция на Кавказ, გვ. 64, ტაბ. XXXI.

აღმოსავლეთ ფასადის პავლინოვისეული გრაფიკული რეკონსტრუქციაც: ნ. მარის ცნობით, როგორც ზემოთ ითქვა, ეკლესიის აფსიდში ოთხი სარკმელი იყო, ფასადის ნახატზე კი მხოლოდ ერთია ნაჩვენები (როგორც ჩანს, ა. პავლინოვმა ყურადღება არ მიაქცია ამოქოლილ სარკმლებს).

სამხრეთ ფასადზე, „ძალზე გამოსაჩენ ადგილას", გ. ყაზბეგმა 1874 წელს ნახა ცნობილი საქტიტორო რელიეფი[236], რომელიც ახლა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება. გ. ყაზბეგი არ უთითებს, თუ სახელდობრ სად იყო ჩასმული რელიეფიანი ფილები. მე მგონია, რომ ისინი მოთავსებული უნდა ყოფილიყო სამხრეთის პასტოფორიუმის სამხრეთ კედელზე, ე. ი. ისეთსავე ადგილას, როგორზედაც არიან წარმოდგენილნი ქტიტორები ოშკის ტაძარში. ყოველ შემთხვევაში, დ. ერმაკოვის ფოტოსურათზე ნათლად ჩანს, რომ რელიეფი შენობის სამხრეთის მკლავზე არ ყოფილა.

სტილისტური ნიშნებით ოპიზის რელიეფი მტკიცედ თარიღდება IX საუკუნით[237]. ეფიქრობ, საფუძველი არა გვაქვს გადავსინჯოთ ტრადიციული შეხედულება, რომლის მიხედვითაც იგი ასახავს აშოტ I კურაპალატს ეკლესიით ხელში იესო ქრისტეს წინაშე, ხოლო მეორე მხარეს – დავით წინასწარმეტყველს, ბაგრატიონთა ბიბლიურ წინაპარს. შესაბამისად, მისი შექმნის თარიღი უნდა შემოიფარგლოს 813-826 წლებით. რამდენადაც აშოტ I წარმოდგენილია როგორც ქტიტორი, ცხადია, რომ მას ოპიზაში რაღაც სამუშაო ჩაუტარებია. საფიქრელია, რომ აშოტმა ოპიზაში ააშენა ის, რაც იმხანად მონასტერს ყველაზე მეტად სჭირდებოდა – დიდი ეკლესია (აშოტის კლარჯეთში დამკვიდრების წინა ხანებში ოპიზაში, გიორგი მერჩულის მოწმობით, მხოლოდ მცირე ეკლესია იყო[238]).

IX საუკუნის შუახანებიდან ოპიზა – ისევე, როგორც „საქართველოს სინას" სხვა მონასტრები – განსაკუთრებით

---

[236] გ. ყაზბეგი, *სამი თვე...*, გვ. 102-103.

[237] ნ. ალადაშვილი, რელიეფი ოპიზიდან აშოტ კურაპალატის გამოსახულებით, *საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე*, XV, №7, 1954, გვ. 553-558; Н. Аладашвили, *Монументальная скульптура Грузии*, Москва, 1977, გვ. 66-74. არსებობს განსხვავებული აზრიც, რომლის მიხედვითაც რელიეფზე წარმოდგენილი ქტიტორი არის აშოტ კურაპალატი, ადარნასე ქართველთა მეფის ძე, ხოლო „დავითი" – მისი უფროსი ძმა დავით მაგისტროსი, ქართველთა მეფე 923-937 წლებში (*ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.)*, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1980, გვ. 285-287; W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 13-15; П. Закарая, *ЗТК*, გვ. 69-71)

[238] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 252-253.

სწრაფად იზრდებოდა და უკვე აშოტის მიერ ეკლესიის აშენებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დადგა ახალი, უფრო დიდი საეკლესიო შენობის საჭიროება. მისი აგება ითავა აშოტის ძემ გუარამ მამფალმა (†882). „მატიანე ქართლისაჲ“ ცნობით, „მოკუდა გუარამ ძე აშოტისი, და დამარხეს ოპიზას, მეორედ მისგან აღშენებულსა“[239]. როგორც ბაგრატ IV-ის სიგელიდან ჩანს, გუარამს ოპიზის მონასტრისათვის მამულებიც უბოძებია[240].

გუარამ მამფლის ეკლესიაა ის შენობა, რომლის ნანგრევებიც დღემდე შემოინახა. მისი გეგმა და საერთო სივრცობრივ-მოცულობითი კომპოზიცია უნდა უკავშირდებოდეს სწორედ IX საუკუნის II ნახევარში ჩატარებულ მშენებლობას.

ახლა ძნელია დანამდვილებით ითქვას, რა მოუვიდა აშოტ დიდისეულ ეკლესიას. შესაძლოა, ახალ ეკლესიაში ჩართეს მისი კედლების ნაწილები. თითქოს ამის სასარგებლოდ მოწმობს ის ფაქტი, რომ აშოტის საქტიტორო რელიეფი ახალი ნაგებობის სამხრეთ ფასადზე აღმოჩნდა. მაგრამ ასევე საესებით შესაძლებელია რელიეფი ძველი ადგილიდან ამოეღოთ და საგანგებოდ ჩაესვათ ახალი ეკლესიის ფასადში (ტბეთში, მაგალითად, ტაძრის რამდენიმე გადაკეთების შემდეგ საქტიტორო რელიეფი სულაც ინტერიერში მოხვდა).

ოპიზის ეკლესიის აღმშენებლობის ისტორია ამით არ დასრულებულა. მისი არქიტექტურა ცხადად მოწმობს, რომ იყო კიდევ ერთი დიდი სამშენებლო პერიოდი X საუკუნის შუახანებში. იმხანად მთლიანად ახლიდან ამოიყვანეს გუმბათქვეშა კონსტრუქცია და გუმბათი, განაახლეს – ნაწილობრივ მაინც – საფასადო წყობა. უთუოდ ამდროინდელია სამხრეთის სარკმლის მძლავრი თაესართი და ალბათ აღმოსავლეთის ფასადის გაფორმებაც. რამდენადაც ამავე ხანებში მონასტერში სატრაპეზო ააშენა აშოტ IV კურაპალატმა, ადარნესე ქართველთა მეფის ძემ (იხ. ქვემოთ), უნდა ვიფიქროთ, რომ ის იყო ეკლესიის განახლების თაოსანიც.

არ დასტურდება მოსაზრება, თითქოს ოპიზის ეკლესიის გრძელი დასავლეთის მკლავი იყოს ნაშთი ადრინდელი სამნავიანი ბაზილიკისა, რომელიც აშოტ IV-მ გადააკეთა გუმბათიან

---

[239] *ქართლის ცხოვრება, ტ. I*, გვ. 260. ამ ცნობას იმეორებს ვახუშტიც, ოღონდ გუარამს შეცდომით გურგენს უწოდებს (*ქართლის ცხოვრება, ტ. IV*, გვ. 678).

[240] მიწების თაობაზე მიძნაძორელებთან დავაში ოპიზარმა ბერებმა გუარამ მამფლის „დაწერილი“ მოიშველიეს (სიგელი ბაგრატ მეფისა ოპიზარ და მიჯნაძოროელ მამებისადმი, *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, IX-XIII სს.*, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ე. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1984, გვ. 32-34).

შენობად[241]. ბოლოხანს, როცა დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთ კედელზე ორი პილასტრი ჩამოინგრა და მათ უკან გაშიშვლდა ერთიანი უწყვეტი წყობა, უეჭველი გახდა, რომ ჯერ კედელია ამოყვანილი და მერე ზედ პილასტრები მიშენებული. ეს კონსტრუქცია უთუოდ მთლიანად გუარამისდროინდელია, ეკლესიის გეგმა X საუკუნის შუახანების რეკონსტრუქციას არ შეუცვლია.

ოპიზის ეკლესიის მოხატულობაზე, რომელიც ამჟამად თითქმის მთლიანად განადგურებულია, შეიძლება ვიმსჯელოთ ძველ ავტორთა მონაცემებით, თუმცა ისინიც საკმაოდ მწირია — უკვე გ. ყაზბეგის მოგზაურობის დროს მხატვრობის დიდი ნაწილი ჩამოცვენილი იყო[242]. ნ. მარის ცნობით[243], გუმბათის ყელში გამოსახულნი იყვნენ წინასწარმეტყველები — მელქისედეკი, ისაია, იოელი და სხვანი. სამხრეთის მკლავში ნ. მარმა გაარჩია ორი შარავანდი კამარაში, ანგელოზის ფიგურა და მცენარეული ორნამენტი სარკმელში (მისი ფრაგმენტი დღემდე შემორჩა) და ექვსი ფიგურა სარკმლის აღმოსავლეთით. მათ ქვემოთ ჩინებულად იკითხებოდა ფრესკული წარწერა, რომელიც ახლა მთლიანად გამქრალია. მომაქვს წარწერის ტექსტი ნ. მარის მიხედვით[244]:

ამოტ კურაპალატი
მეორედ მაშენებელი
ოპიზისაჲ და წ(მიდ)ისა ამის
ს(ა)ყდრისაჲ

ნ. ტიერი, რომელმაც მოასწრო ოპიზის ნახვა გუმბათის ჩამოქცევამდე ცოტა ხნით ადრე, აღნიშნავს, რომ გადარჩენილი ნაშთებით მხატვრობის თარიღის განსაზღვრა შეუძლებელია[245]. თუმცა, ვფიქრობ, ის კი ცხადია, რომ იგი XI საუკუნეზე ადრინდელი არ არის. წარწერა, ბუნებრივია, მოხატულობასთან ერთად არის შესრულებული, ე. ი. ეკლესიის ბოლო რეკონსტრუქციიდან კარგა ხნის შემდეგ. როგორც ჩანს, აქ — ისევე, როგორც იშხნის ტაძრის დასავლეთის მკლავის მოხატულობაში[246] — წარმოდგენილი იყო

---

[241] W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 16. ნ. მარი ფიქრობდა, რომ ბაზილიკა გუმბათიან ეკლესიად გადაკეთდა XII-XIII საუკუნეებში (Дневник, გვ. 161).

[242] გ. ყაზბეგი, *სამი თვე..*, გვ. 102.

[243] Н. Марр. Дневник. გვ. 158-160.

[244] იქვე, გვ. 160.

[245] N. Thierry. Peintures géorgiennes en Turquie, გვ. 134.

[246] Е. Такаишвили, *АЭЮПГ*, გვ. 36-37. თვით პორტრეტებისაგან აქ იმხანად უკვე თითქმის აღარაფერი იყო გადარჩენილი, მაგრამ ე. თაყაიშვილმა გაარჩია მათი თანმხლები წარწერები, რომლებშიც იხსენიებოდნენ ბაგრატ მაგისტროსი (†945), მისი ძე ადარნესე კურაპალატი (†961) და ამ უკანასკნელის ძე ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი (†966).

ბაგრატიონთა გამოსახულებები. წარწერაში მოხსენიებული აშოტ კურაპალატი შეიძლება იყოს როგორც აშოტ I დიდი, ისე აშოტ IV, ადარნესეს ძე – როგორც ვნახეთ, წვლილი ოპიზის მონასტრის შენებაში ორთავეს მიუძღვოდა (ვ. ჯობაძის სამართლიანი შენიშვნით, სიტყვა „მეორე" გამოთქმებში „მეორედ აშენება" და „მეორედ მაშენებელი" გულისხმობს „ხელახლას" და უბრალო რიგითობას არ მიუთითებს[247]. წარწერის გამკეთებლებს შეიძლება არც სცოდნოდათ, რამდენჯერ აშენდა ოპიზა V საუკუნიდან მოყოლებული).

ეკლესიის დასავლეთის მკლავს სამხრეთიდან ეკეროდა მომცრო დარბაზული ეგეტერი აღმოსავლეთის აფსიდით. ის ახლა მთლიანად დანგრეულია და ნაყარი ქვებითა და მიწით არის ამოვსებული. ა. პავლინოვის შენიშვნით, ეგეტერი ეკლესიაზე მოგვიანებით უნდა მიეშენებინათ – მან დაფარა დასავლეთის მკლავის სარკმლები. შესასვლელი ეგეტერს დასავლეთიდან, კარიბჭიდან ჰქონდა. ჟ.-მ. ტიერის მიხედვით, იყო ეკლესიასთან დამაკავშირებელი კარიც (იხ. ზემოთ), მაგრამ ა. პავლინოვი და ნ. მარი ამ კარს არ ახსენებენ.

ეკლესიის დასავლეთით დგას სატრაპეზო, რომელიც ამ ტიპის ერთ-ერთი უდიდესი და საუკეთესოდ ნაშენი ნაგებობაა საქართველოში. ის ჯერ კიდევ საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იყო XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, თუმცა უკვე ჩანგრეულიყო გადახურვის დიდი ნაწილი. ამჟამად შენობისაგან გარე კედლების ფრაგმენტებიღაა გადარჩენილი (ყველაზე მეტად – 4-5 მ-ის სიმაღლემდე – სამხრეთისა). მათში ჩაშენებულია საცხოვრებელი სახლი და სკოლა. იქვეა 1964 წელს აგებული ჯამე.

ფერდობი სატრაპეზოს ასაშენებლად ვრცელი სუბსტრუქციით არის მოსწორებული. სუბსტრუქციის სამმეტრიანი სამხრეთ კედელი ახლაც ჩანს. სატრაპეზოსა და ეკლესიას შორის იდგა სამი სათავისისაგან შემდგარი დიდი ნაგებობა (შუა სათავესი, 9,3 × 6,7 მ ზომისა, გადახურული იყო უყელო გუმბათით აფრებზე), ახლა თითქმის მთლიანად განადგურებული. ამ ნაგებობას სატრაპეზოსგან ჰყოფდა 2,1 მ-ის სიგანის გრძელი კამაროვანი დერეფანი. მისი სამხრეთ ბოლო ახლაც ჩანს, დანარჩენი მიწითა და ნანგრევებით არის ამოვსებული.

სატრაპეზო ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძზე წაგრძელებული მართკუთხა გეგმის შენობაა. მისი სივრცე თაღების ორი მწკრივით სამ ნავად იყოფოდა. თითო მწკრივში იყო ხუთი თაღი, რომლებიც ეყრდნობოდა ოთხ-ოთხ კვადრატული გეგმის ბურჯსა და განივ (ჩრდილოეთისა და სამხრეთის) კედლებზე მიდგმულ მრგვალ ნახევარსვეტებს. ნავებს ცილინდრული კამარები ხურავდა. მათზე გაკეთებული იყო საერთო ორფერდა სახურავი. შესასვლელები იყო

[247] W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 16, შენიშვნა 44.

დასავლეთიდან (კოლოსალური ზომის – 320 × 55 სმ! – შიდა არქიტრავით) და აღმოსავლეთიდან, ზემოთნახსენები დერეფნიდან. შენობას ჰქონდა სამი სარკმელი დასავლეთის კედელში და ხუთი სამხრეთისაში: თითო გვერდით ნაეებში და სამი შუაში, ამათგან ერთი ძალიან დიდი – ქვემოთ და ორი, შედარებით მცირე, შეწყვილებული, ერთმანეთისაგან მართკუთხა სვეტით გაყოფილი – მის თავზე.

შენობაში შემოყვანილი იყო წყალი. ნ. მარმა დასავლეთის ნავის ჩრდილოეთ ბოლოში, კედლის ძირში ნახა პატარა თაღოვანი აუზი, რომელშიც ადრე წყაროს წყალი მოედინებოდა[248].

სატრაპეზოს კედლები ნაგებია უხეშად დამუშავებული დიდრონი ქვებით. სამხრეთ კედლის შემორჩენილ ქვედა ნაწილზე საფასადო წყობას შეადგენს უზარმაზარი პირგათლილი ლოდები. კამარები, თაღები, ბურჯები და პილასტრები თლილი ქვით იყო ამოყვანილი. ზოგი ბურჯი მშენებლებს ერთი მთლიანი ქვისაგან გამოუთლიათ.

აღმოსავლეთის რიგის ჩრდილოეთიდან პირველ ბურჯზე ნ. მარმა ნახა ამოკვეთილი ტოლმკლავა ჯვარი, ამავე რიგის სამხრეთიდან მეორე თაღში – წარწერა[249]:

ესე მ
ე ა(შო)ტმ(ა)ნ
დ წელს
ა ვ(ა)ვა(სრულე)

ბოლო სიტყვა შეიძლება ასევე იყოს „გავაშენე", „გავაშენებინე", „გავაკეთებინე" და ა. შ. წარწერის დიდი, ღრმად ნაკვეთი ასოები შიგნით წითლად იყო დაფერილი. ამჟამად წარწერა არ იძებნება.

რამდენადაც ჩვენს ხელთ არსებული მასალით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ოპიზის სატრაპეზოს არქიტექტურა X საუკუნეს უნდა მიეკუთვნებოდეს. წარწერაში მოხსენიებული აშოტი, ამრიგად, არის აშოტ IV (†954), ადარნესე ქართველთა მეფის ძე. იგი კურაპალატი გახდა მამის სიკვდილის შემდეგ, 923 წელს. 923-945 წლებში, როგორც ჩანს, იყო თანამმართველი თავისი უფროსი ძმებისა – ჯერ დავით ქართველთა მეფისა და შემდეგ ბაგრატ მაგისტროსისა. 945-954 წლებში ერთპიროვნულად მართავდა ქვეყანას, მაგრამ „ქართველთა მეფის" წოდება არ მიუღია. ეფიქრობ, ამ უკანასკნელ პერიოდს უნდა მიეკუთვნოს აშოტის მიერ ოთხ წელიწადში ოპიზის სატრაპეზოს აგება და ასევე ეკლესიის ზემოთნახსენები რეკონსტრუქციაც.

---

[248] Н. Марр, Дневник, გვ. 163.

[249] იქვე.

ეკლესიის აღმოსავლეთით იდგა დიდი მართკუთხა ნაგებობა, რომლისგანაც დღესდღეობით მცირე ნაშთები დარჩა. ა. პაელინოვი ამ ნაგებობას „წინამძღვრის საცხოვრებელს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ მის ნანგრევებში გარკვევა თითქმის შეუძლებელია[250]. გ. ყაზბეგის თქმით[251], ნაგებობა შიდა კედლებით ოთხ ოთახადაა გაყოფილი და ამათგან ორი ისე ჩაიხერგა ხეებითა და ქვებით, რომ შეღწევა ვერ ხერხდება. ნ. მარის მიხედვით[252], შენობის საერთო შიდა სიგრძე იყო (დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე) 17,75 მ, სიგანე – 12, 95 მ. ის შედგებოდა სამი სათავსისაგან, რომელთაგან ერთი – სამხრეთისა – ხეობისაკენ მართკუთხა ბურჯებზე დაყრდნობილი ხუთი თაღით იყო გახსნილი (ეს ჩანს ფოტოსურათზეც) და ერთგვარი გალერეის სახე ჰქონდა. შიდა სათავსთაგან ერთი, აღმოსავლეთით მდებარე, გადახურული იყო გუმბათით აფრებზე.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით დგას მონასტრის სამრეკლო[253]. ის, სხვა შენობათა მსგავსად, აშენებულია სუბსტრუქციაზე, რომელიც სამხრეთიდან ძალიან მაღალია და თანდათან დაბლდება ჩრდილოეთისაკენ მთის კალთის დახრილობის შესაბამისად.

სამრეკლოს ქვედა კორპუსი შედარებით უკეთ შემოინახა, ჩაქცეული აქვს მხოლოდ კამარის ნაწილი. მისი დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლები გახსნილია თაღებით, რაც მოწმობს, რომ იგი, გავრცელებული წესისამებრ, გასასვლელის (კარიბჭის) ფუნქციას ასრულებდა. საფასადო წყობას შეადგენს სხვადასხვა ზომისა და ფორმის უსწორმასწორო ქვები. ისინი პირითი მხრიდან სუფთადაა გათლილი, მაგრამ წიბოები მკაფიოდ გამოყვანილი არ არის. შიგნით კედლები (შიდა წყობა უარესია) შელესილი იყო. კამარა და თაღები თლილი შირიმის კვადრებისაა. ქვედა კორპუსს აგვირგვინებს პროფილირებული კარნიზი. ზემოდან მასზე იდგა ფანჩატური – საკუთრივ სამრეკლო, რომლისგანაც მხოლოდ ძირი შემორჩა. საფასადო წყობისა და პროფილების ხასიათის მიხედვით სამრეკლო XIII საუკუნის II ნახევრით ან XIV საუკუნის I ნახევრით უნდა დათარიღდეს.

სუბსტრუქცია სამონასტრო ნაგებობათა აღმოსავლეთ ჯგუფის – ეკლესიის, სამრეკლოსა და „წინამძღვრის სახლის“ ქვეშ წარმოადგენს ერთიან მასივს, რომლის წინა (სამხრეთ) კედელი დაახლოებით 50 მ-ზეა გადაჭიმული. ამ კედლის ქვედა ნაწილში გვხვდება კოლოსალური ზომის (2-2,5 მ-ის სიგრძის) ლოდები.

---

[250] А. Павлинов, Экспедиция на Кавказ, გვ. 65.

[251] გ. ყაზბეგი, *სამი თვე.*, გვ. 103.

[252] Н. Марр, Дневник, გვ. 164.

[253] ოპიზის სამრეკლოს რატომღაც არცერთი მკვლევარი არ ახსენებს.

ეკლესიის ქვეშ სუბსტრუქციაში მოწყობილია მონასტრის საძვალე. კარი მას, ბუნებრივია სამხრეთიდან აქვს. საძვალე წარმოადგენს სათავსთა კომპლექსს, რომელიც მოიცავს წინკარსა და მასთან დაკავშირებულ ოთხ მოზრდილ დასაკრძალავ ოთახს. ყველა ოთახი მართკუთხა გეგმისაა, კამაროვანი, სრულიად ბნელი. კედლები და კამარები ყველგან ნატეხი ქვისაა, გარდა ერთი, შესასვლელის პირდაპირ მდებარე ოთახისა, სადაც თლილი ქვის კვადრებია გამოყენებული[254].

---

[254] ასეთი საძვალეები კლარჯეთის სხვა მონასტრებშიც იყო. მათში კრძალავდნენ არა მხოლოდ ბერ-მონაზენებს, არამედ საერო პირებსაც, კერძოდ, წარმომადგენლებს იმ გვარებისა, რომელთაც წვლილი ჰქონდათ შეტანილი ამა თუ იმ მონასტრის მშენებლობაში. „მატიანე ქართლისას" ცნობით, 882 წელს ოპიზაში დაკრძალეს მონასტრის განახლების თაოსანი გუარამ მამფალი (*ქართლის ცხოვრება, ტ. I*, გვ. 260). გიორგი ჩორჩანელის საფლავი ყოფილა „ადგილსა მას ზანავისასა, სადა იგი მონასტერი შუენიერ შენ არს" (ცხორება სერაპიონ ზარზმელისა, გვ. 339). ზოგიერთი მონასტერი საგეარეულო საძვალე ‘შეიქმნა. გაბრიელ დაფანჩულის შთამომავალნი იკრძალებოდნენ მისი ხელშეწყობით დაარსებულ ორ მონასტერში: მამაკაცები – ხანძთაში, ხოლო ქალები – გუნათლის ეანში (ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 260). ოპიზის საძვალის მასშტაბები ცხადყოფს, რომ ეს სწორედ სამონასტრო სასაფლაოა და არა გამორჩეულ სასულიერო თუ საერო პირთა საძვალე. როგორც ერთგვარი შორეული ანალოგი, შეიძლება გავიხსენოთ იუდეის უდაბნოს მონასტრები, რომელთაც ასეთი სასაფლაოები ახლომახლო კლდოვან გამოქვაბულებში ჰქონდათ. ყველაზე ცნობილი მაგალითია წმ. გიორგი ქოზიბელის მონასტერი, რომლის ერცელი სასაფლაო მრავალ გამოქვაბულს მოიცავდა (J. Binns, *Ascetics and Ambassadors of Christ: The Monasteries of Palestine, 314-631*, Oxford, 2002, გვ. 92). 1920-იან წლებში ა.-მ. შნაიდერის მიერ აქ გამოვლენილი 213 ბერძნულ-წარწერიანი საფლავის ქვიდან 73-ზე აღნიშნულია გარდაცვლილი ბერის წარმომავლობა. მათ შორის აღმოჩნდა რამდენიმე ბერი საქართველოდანაც (A.-M. Schneider, Das Kloster des Theotokos zu Choziba im Wadi el Kelt', *Römische Quartalschrift für christliche Altertumskunde und für Kirchengeschichte, 39*, 1931, გვ. 297-332).

თავი VII.

ხანძთა – გრიგოლის პირველი სავანე

ხანძთის მონასტერი 782 წლის ახლო ხანებში დააარსა გრიგოლ ხანძთელმა. ეს გრიგოლის პირველი სავანეა, რომლიდანაც წარმოდგა მისი ზედწოდება. ხანძთამ განსაკუთრებული როლი შეასრულა კლარჯეთის ისტორიაში. ლ. მენაბდის გამოთქმით, ის „მთელი მხარის სამონასტრო კოლონიზაციის საყრდენი ბაზა იყო“[255]. გრიგოლთან ერთად, ხანძთის მონასტრის პირველ ბერებს შორის იყვნენ საბა, შემდგომში (826 წლიდან) იშხნის ეპისკოპოსი, თეოდორე, რომელმაც 840 წლის ახლოს დააარსა მონასტერი ნექვში, და ქრისტეფორე, რომელმაც იმავე ხანებში დააარსა კვირიკეწმინდის მონასტერი. ხანძთაში აღიზარდნენ, თავად გრიგოლ ხანძთელის უშუალო მეთვალყურეობით, კათალიკოსი არსენ I (820-877) და ცნობილი ეპისკოპოსი ეფრემ მაწყვერელი (815/20-880/85). ხანძთის მონასტრიდან გამოვიდა მაკარი ლეთელი, რომელიც შემდეგ საბაწმინდაში დამკვიდრდა და იქ 864 წელს მონაწილეობა მიიღო სინური მრავალთავის გადაწერაში. 951 წელს ხანძთის მონასტერში აქაური ბერის გიორგი მერჩულეს ხელით დაიწერა „გრიგოლ ხანძთელის ცხორება“. ცნობილია XI-XIII საუკუნეთა რამდენიმე ხანძთელი მოღვაწეც (მოსე ხუცესი, სტეფანე დიაკონი)[256].

ოსმალეთის იმპერიის მიერ კლარჯეთის დაპყრობის შემდეგ ხანძთა დაიცალა და თანდათან დავიწყებას მიეცა. ანტონ კათალიოსმა გრიგოლ ხანძთელს ამაღლებული სტრიქონები უძღვნა „წყობილსიტყვაობაში“, მაგრამ არც კი იცოდა რა ღვაწლი მიუძღვის მას და რას უკავშირდება მისი ზედწოდება, ხოლო „წყობილ-სიტყვაობის“ გამომცემელმა პლ. იოსელიანმა გრიგოლ ხანძთელი სულაც XV საუკუნის სომეხ საეკლესიო მოღვაწედ მიიჩნია[257].

---

[255] ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, გვ. 396.

[256] იქვე, გვ. 411.

[257] *წყობილ-სიტყუაობა*, გამოცემული პლ. იოსელიანის მიერ, ტფილისი, 1853, გვ. 124-126.

მკელეევართათვის ხანძთა ცნობილი გახდა (დამახინჯებული სახელწოდებით – ხანძოეთი[258]) მხოლოდ 1889 წელს, როცა ალ. ქუთათელაძემ გამოაქვეყნა მოკლე ნაწყვეტი გიორგი მერჩულეს თხზულებიდან[259]. აეტორი ეარაუდობდა, რომ ხანძთა („ხანძოეთი") კლარჯეთშია, ანჩის მახლობლად. ასე ფიქრობდა თ. ჟორდანიაც[260]. განსხვავებული აზრი გამოთქვა ე. თაყაიშვილმა. მან „ხანძოეთი" გააიგივა ევფრატის ზედაწელში, ისტორიულ დასავლეთ სომხეთში მდებარე ქალაქ ჰანძითთან[261].

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" სრული ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ საბოლოოდ გაირკვა, რომ ხანძთა კლარჯეთშია, მაგრამ მისი მოძებნა მაინც გაძნელდა. მოსახლეობის გამაჰმადიანებას კლარჯეთში ქრისტიანული წარსულის თითქმის სრული დავიწყება მოჰყვა. მუსლიმი ქართველებისათვის მათ მიწაზე მდგარი მონასტრების ნაშთები არაფრისმთქმელი ნანგრევებიღა იყო, რომელთა შესახებ მათ აღარაფერი იცოდნენ. ძველი ქართული ტოპონიმების უდიდესი ნაწილი კი შემოინახა მოსახლეობამ[262],

---

[258] საგულისხმოა, რომ ტენდენცია ტოპონიმ ხანძთის დამახინჯებისადმი უკვე ადრეულ ხანაში შეიმჩნევა: 1241 წლის ოთხთავის ერთ მინაწერში მოხსენიებულნი არიან „ხანძელნი" (*სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები /XIII-XV სს/*, ტექსტები და გამოკვლევები მომზადებულია ქრ. შარაშიძის მიერ, თბილისი, 1982, გვ. 71), ხოლო მესხეთის საეპისკოპოსოთა საზღვრების აღწერაში ანჩელის სამწყსოს ფარგლებში მოხსენიებულია „სამწყალს აქეთი სანცხას (sic) და ოპიზას შუა დახატულა" (Д. Бакрадзе, *Археологическое путешествие по Гурии и Адчаре*, С.-Петербург, 1878, გვ. 81; ქართული გამოცემა 1987 წლისა – გვ. 77). დახატულა მართლაც ჰქვია ადგილს ოპიზასა და ფორთას (ე. ი. ხანძთას) შორის (Н. Марр, *Дневник*, გვ. 141).

[259] ა. ქუთათელაძე, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი, ჯვარის მონასტერი და მისი მდგომარეობა 1845 წლამდე, *ივერია*, №№ *70, 72-73*, 1889.

[260] თ. ჟორდანია, *ქრონიკები* I, გვ. 98-99.

[261] *სამი ისტორიული ხრონიკა*, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ, ტფილისი, 1890, გვ. XXI- XXIII.

[262] ტოპონიმების შენარჩუნებას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ თითქმის ყველა მონასტრის ადგილას XVIII-XIX საუკუნეებში სოფელი გაჩნდა. ცენტრალური ანატოლიიდან გადმოსული თურქები უშუალოდ ნამონასტრალებზე სახლდებოდნენ. ამას არსებითი პრაქტიკული მოტივაცია ჰქონდა – მიტოვებული სამონასტრო ნაგებობები ან პირდაპირ გამოიყენებოდა საცხოვრებლად თუ სამეურნეოდ, ან მათ შლიდნენ და დიდი რაოდენობით მზა საშენ მასალას იღებდნენ, რაც შრომის, დროისა და ხარჯების დიდ ეკონომიას იძლეოდა. ახლადწარმოქმნილ სოფლებზე გადავიდა მონასტრების სახელწოდებები, რომლებიც ჯერ კიდევ ახსოვდათ მკვიდრ გამუსლიმებულ ქართველებს. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით ყველა ამ სოფელს ოფიციალურად ახალი თურქული სახელები დაერქვა, ძველი სახელებიც არ დავიწყებულა. მოსახლეობა – ქართველებიც

მაგრამ ზოგი რამ მაინც დაიეიწყა. კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთაგან“ დაიკარგა ორის სახელწოდება და ეს ორი მაინცდამაინც ხანძთა და შატბერდი აღმოჩნდა. ბედის ირონიით, ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებიდან სწორედ ის მონასტრები ამოიშალა, რომლებიც თავად გრიგოლ ხანძთელმა დააარსა და რომლებიც მისთვის (და მისი ბიოგრაფისთვისაც) განსაკუთრებით ძვირფასი იყო. უკვე XX საუკუნის დამდეგს, როცა ნ. მარი კლარჯეთში ჩავიდა, ხანძთა აქ არავის სმენოდა. ნ. მარი თავად შეეცადა სავანის მდებარეობის დადგენას და ხანძთასთან გააიგივა კარჩხალას ხეობაში მდებარე პატარა ეკლესია ნუკა-საყდარი[263]. ერთხანს ეს მოსაზრება საყოველთაოდ იყო მიღებული მეცნიერებაში, მაგრამ 1950-იან წლებში ის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ცნობების დეტალური ანალიზის საფუძველზე უარყო პ. ინგოროყვამ და დამაჯერებლად აჩვენა, რომ ხანძთა არის გვიანდელი ქვემო ფორთა (აშაღი ფორთა /Aşaği Porta/, ამჟამად შეადგენს სოფელ ფირნალის /Pırnali/ ერთ-ერთ უბანს), რომელიც ნ. მარს შატბერდი ეგონა[264]. ამჟამად ამ მოსაზრებას, რომელიც დამატებითი არგუმენტებით განამტკიცა ვ. ჯობაძემ[265], ემხრობა ყველა მკვლევარი.

ხანძთის პირველი ეკლესია, რომელიც 782 წლის ახლოს, მონასტრის დაარსების დროს აშენდა, გიორგი მერჩულეს ცნობით, „ძელისა“, ე. ი. ხისა იყო, ისევე, როგორც საცხოვრებელი სენაკები და სატრაპეზო. სამშენებლოდ ვარგისი ქვით მდიდარ მხარეში საშენ მასალად ხის გამოყენება აშკარად მიუთითებს ბერების შეჭირვებულ მდგომარეობაზე. შემწე არავინ ჩანდა, არც საერო და არც საეკლესიო ხელისუფალთაგანი. მოახალშენეებს ისევ ოპიზელები დაეხმარნენ მუშახელით, საკვებით და სამუშაო იარაღებით. ბერები თავად აშენებდნენ და, როგორც ჩანს, დიდი ჯაფაც დაადგათ – გიორგი მერჩულეს ნათქვამი „კლდჱ იგი ხანცთისაჲ უფიცხლეს არს უფროსს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა“[266] მართლაც ახლოსაა სინამდვილესთან, ხანძთა'ში სამშენებლოდ განსაკუთრებით მძიმე პირობებია.

(„გურჯებიც“) და თურქებიც – დღესაც მიასწაელის მომსელელს, სად არის ოპიზა, წყაროსთავი, მიძნაძორი, ბერთა, ჯმერკი თუ დოლისყანა.

[263] H. Марр, Дневник, გვ. 125 და შემდგომ.

[264] პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 311-314.

[265] W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 37-38; მისივე, A Brief Survey of the Monastery of St George in Hanzta, *Oriens Christianus*, B. 78, 1994, გვ. 175-176; მისივე, ხანძთის წმ. გიორგის მონასტერი (მოკლე მიმოხილვა), *არტანუჯი, 4*, 1995, გვ. 71-72.

[266] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 257.



სურ. 13. ხანძთის მონასტერი. გეგმა. ვ. ჯობაძის მიხედვით

820-იან წლებში ხანძთის მონასტერში ქვის ეკლესია აშენდა. მშენებლობის ქტიტორი იყო აშოტის აზნაური გაბრიელ დაფანჩული. ამის შემდეგ ხანძთა დაფანჩულთა საგვარეულო საძვალე გახდა – აქ იკრძალებოდნენ გვარის წარმომადგენელი მამაკაცები. თითქმის საუკუნენახევრის შემდეგაც, როცა გიორგი მერჩულეს თხზულება იწერებოდა, ხანძთაში წესად იყო ლოცვებში დაფანჩულთა მოხსენიება.

გრიგოლ ხანძთელი 860 წელს გარდაიცვალა 102 წლის ასაკში. მისი სიკვდილის შემდეგ კლარჯეთში, ახალი მონასტრები, როგორც ჩანს, აღარ დაარსებულა (გარდა, შესაძლოა, პარეხისა და დოლის-ყანისა), მაგრამ სამშენებლო საქმიანობა არ შეწყვეტილა. IX საუკუნის II ნახევრიდან და განსაკუთრებით X საუკუნის დამდეგიდან კლარჯეთის მონასტრებში იწყება ახალი ეკლესიების მშენებლობა.

ხანძთის ახალი, რიგით მესამე ეკლესიის მშენებლობა 910-იან წლებში დაიწყო. მისი ქტიტორი იყო აშოტ ერისთავთ-ერისთავი, კუხად წოდებული. იგი 918 წელს გარდაიცვალა ისე, რომ დაწყებული საქმის დამთავრება ვერ მოასწრო. შენობა დაასრულა გურგენ ერისთავთ-ერისთავმა. ეს ის ეკლესიაა, რომელიც დღესაც დგას ხანძთის მონასტერში.

ხანძთის მესამე ეკლესიის მშენებლობა ცოცხლად აქვს აღწერილი გიორგი მერჩულეს, რომელიც კელავ საგანგებოდ აღნიშნავს აქაური კლდეების „სიფიცხლეს". მისი ნათქვამიდან ჩანს, რომ მშენებლობის გაჭიანურება ადგილის მოსწორებისას წარმოქმნილმა სიძნელეებმა გამოიწვია („ფრიადითა შრომითა და ქვითკირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დაავაკეს და ესრეთ შეჰრაცხეს შემსადებაჲ ადგილისაჲ მის"[267]). რთული იყო ქვისა და კირის ადგილზე მიტანაც, ვინაიდან საპალნიანი საქონლისთვის მონასტერი მიუვალი იყო და საშენი მასალა მუშებს „ფრიად შორით" ზურგით მოჰქონდათ (სხვათა შორის ეს დღესაც ასეა – ხანძთაში არათუ სამანქანო გზა, წესიერი ბილიკიც არ მიდის). საქმე განსაკუთრებით ალბათ იმან გაართულა, რომ გუმბათის მოსაპირკეთებლად – როგორც ჩანს, პირველად „საქართველოს სინას" სამონასტრო მშენებლობაში – მაღალხარისხიანი ქვიშაქვა გამოიყენეს, რომელიც ახლომახლო არ მოიპოვებოდა. ამ მასალას, სხვათა შორის, წონით ყიდულობდნენ.

გიორგი მერჩულეს დასახელებული ჰყავს ხანძთის ახალი ეკლესიის ხუროთმოძღვარი – „სიბრძნით სრულიად მაშჩნებელი" ამონა[268]. ეს ფაქტი განსაკუთრებით საინტერესოა, მითუმეტეს რომ თხზულებაში, რომელშიც მრავალი მშენებლობის ამბავია

---

[267] იქვე, გვ. 277.
[268] იქვე.

მოთხრობილი, არცერთი სხვა არქიტექტორი არ იხსენიება. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ თავად გიორგი მერჩულე ხანძთელია, ის თვითონ იყო უშუალო მოწმე ეკლესიის მშენებლობისა[269] და უთუოდ პირადადაც იცნობდა ამონას. მაგრამ ეს ერთადერთი მიზეზი არ უნდა იყოს. ხანძთის ეკლესიის არქიტექტურა მოწმობს, რომ ამონა მართლაც გამორჩეულად დახელოვნებული ოსტატი იყო და როგორც ჩანს, თავისი პროფესიული განსწავლულობით ღრმა კვალი დატოვა თანამედროვეთა ცნობიერებაში.

ეკლესია აღმართულია სუბსტრუქციით შექმნილი ტერასის აღმოსავლეთ ნაწილში და შორიდანვე ჩანს. ძირითად ფორმებში ის დღემდე შემოინახა, თუმცა ძლიერ დაზიანებულია. განადგურებულია საფასადო წყობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ჩანგრეულია ოთხიევ მკლავის კამარები საბჯენი თაღებითურთ, კონქის ზედა ნაწილი და ალაგ-ალაგ კედლების ზედა ნაწილებიც. გუმბათი კვლავ დგას, მიუხედავად იმისა, რომ მისი ორი საყრდენი ბურჯი ფაქტობრივად აღარ არსებობს – ისინი აშკარად შეგნებულად მოშალეს შენობის დანგრევის მიზნით. ჩრდილოეთის ბურჯი მთლიანად მონგრეულია (კუთხე მის ზემოთ ჰაერშია გამოკიდებული), სამხრეთისა – თითქმის მთლიანად. გუმბათის ასეთი საოცარი მდგრადობა შეიძლება აიხსნას მხოლოდ მშენებლობის ძალიან მაღალი ტექნიკური ხარისხით და კერძოდ, განსაკუთრებით ძლიერი მაკავშირებელი ხსნარის გამოყენებით.

გარედან შენობას მთლიანად თლილი ქვის პერანგი მოსავს. ამასთან, გუმბათის ყელზე გამოყენებულია მაღალხარისხიანი მკვრივი მოწითალო ქვიშაქვა, ხოლო ძირითადი კორპუსის ფასადები მოპირკეთებულია უფრო რბილი მოყვითალო-ქვიშისფერი ფოროვანი ქვით (ახლა განსხვავება მათ შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოა: რბილი ქვა დროთა განმავლობაში ნაწილობრივ ჩამოიფშვნა, გუმბათის პერანგის ქვები კი დაუზიანებელია). ქვები თანაბარზომიერია და ჰორიზონტალური რიგები თითქმის უგამონაკლისოდ ერთი სიმაღლისაა (დაახლოებით 40 სმ).

შიგნით კედლის წყობის ქვები სუფთად არ არის დამუშავებული, მათი ზედაპირი უოლელია და არც წიბოებია გამოყვანილი, რის გამოც მათ შორის ღრეჩოები რჩება. მაგრამ წყობა მაინც

---

[269] გიორგი მერჩულე მოესწრო გრიგოლ ხანძთელის მოწაფეებს, რომელთაც მიაწოდეს ცნობები დიდ მოძღვარზე. 950 წელს, როცა თავის თხზულებას წერდა, იგი უკვე მოხუცი იყო. პ. ინგოროყვას გამოთვლით, გიორგი დაბადებული უნდა ყოფილიყო დაახლოებით 875-885 წლებს შორის (პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 10-13). უეჭველია, რომ 910-20-იან წლებში ის უკვე ხანძთაში ცხოვრობდა.

უაღრესად მოწესრიგებული ჩანს, რადგან შედგება აკურატული სწორი რიგებისაგან, რომლებიც არსად ირეკა. რიგები ძირითადად 40-50 სმ სიმაღლისაა. გუმბათი, გუმბათის ყელის შიდა წყობა მთლიანად, ტრომპები, კონქი, კამარები (შემოინახა პასტოფორიუმებსა და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში), ყველა თაღი, ბურჯები და კედლის კუთხეები ძალიან სუფთად დამუშავებული ქვებითაა გამოყვანილი. აქაც ძირითადი სიერცის არეში ნახმარია ფოროვანი ქვა, გუმბათქვეშა თაღებსზემოთ – ქვიშაქვა.



სურ. 14. ხანძთის ეკლესია. გეგმა

შენობა „ჩახაზული ჯვრის" ტიპისაა. გუმბათი ეყრდნობოდა აღმოსავლეთით აფსიდის კედლების კუთხეებსა და დასავლეთით ორ აწ გამქრალ ბურჯს. დასავლეთის მკლავი, კლარჯული სამონასტრო არქიტექტურის ტრადიციისამებრ, წაგრძელებულია. გუმბათქვეშა ბურჯების დასავლეთით აქ კიდევ ერთი წყვილი ბურჯია. მათზე გადადის ორი წყვილი თაღი, რომლებიც გამოყოფს დასავლეთის მკლავს სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხის ნაწილებისაგან. აღმოსავლეთით აფსიდის წინ არის მოდიდო ბემა. საკურთხეველის ორსავ მხარეს ორი ერთნაირი,

უაფსიდო დამატებითი სათავსია. ისინი თითო კარით უკავშირდება მხოლოდ შესაბამის განივ მკლავებს.

გადასვლა გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე ხორციელდება ტრომპების განვითარებული სისტემის მეშვეობით[270]. სულ ქვემოთ, კვადრატის კუთხეებში ოთხი დიდი ნახევარკონუსური ტრომპია. მათსა და ოთხ გუმბათქვეშა თაღზე ამოყვანილია მაღალი რვაწახნაგა ყელი. ყელის ზედა კუთხეებში თავსდება მეორე რიგის რვა მომცრო ტრომპი, ხოლო ამათ ზემოთ – მესამე რიგის თექვსმეტი, სულ პატარები (ისინი იმდენად ფართოდაა გადაშლილი, რომ ქვემოდან ნახევარდისკოებს ჰგავს). ამრიგად, გუმბათქვეშა კვადრატი თანდათან გარდაიქმნება ჯერ 8-, შემდეგ 16-, ბოლოს 32-წახნაგად, რომელსაც იოლად ეფუძნება გუმბათის ნახევარსფერო.

შესასვლელი ორია, სიმეტრიულად გაჭრილი სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხის ნაწილებში. შიდა სივრცეს ანათებდა რვა სარკმელი – ოთხი გუმბათის ყელში, თითო აფსიდსა და მკლავებში. პასტოფორიუმებს ასევე თითო სარკმელი აქვს აღმოსავლეთიდან.

ინტერიერში ყურადღებას იქცევს დეტალების განსაკუთრებით გულმოდგინე დამუშავება. გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეებში აყოლებულია მსხვილი ლილვები, რომლებიც მხოლოდ ¼-ით ერწყმიან კუთხეს. ასეთი გამოწევა მათ პლასტიკურად უფრო მეტყველს ხდის. ასევე ლილვურია გუმბათქვეშა თაღების შიდა საფეხურები. ამ თაღების უკან მოკლე შეკიდული პილასტრებია, რომლებსაც ეფუძნებოდა მკლავების პირითა თაღები. ამ პილასტრების არქიტექტურულ გაფორმებაში ასევე გამოყენებულია მრგვალი ფორმები – ისინი ნაოთხალი ლილვის პროფილის კრონშტეინებზე დგას და დაახლოებით შუაწელზე კიდევ თითო ასეთსაევ კრონშტეინს შეიცავს.

სატრიუმფო თაღი ახლა ჩანგრეულია, მაგრამ შემოინახა მისი პროფილირებული (თარო-ფოსო) იმპოსტები. მათ გაყოლებაზე აფსიდის წყობაში ქვების დაბალი რიგი გადის, რომელიც უცებ გამოირჩევა თანაბარზომიერ რიგებს შორის და თვალში ხვდება მნახველს – იქმნება შთაბეჭდილება, რომ კონქს ძირში სარტყელი გაუყვება.

---

[270] ა. პაელინოვის ნახაზზე (Экспедиция на Кавказ, ტაბ. XXIV) ხანძთის გუმბათი არასწორად არის გამოხაზული, როგორც რვანაწილიანი შეკრული კამარა. ასევეა მოხსენიებული ის ტექსტშიც (იქვე, გვ. 67). ტრომპების მეორე და მესამე რიგი ა. პაელინოვმა ვერ შენიშნა. მის კვალდაკვალ, ეს შეცდომა მეორდებოდა ყველა გამოცემაში 1990-იან წლებამდე.



სურ. 15. ხანძთის ეკლესია.
განივი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ



სურ. 16. ხანძთის ეკლესია.
ერძიეი ჭრილი, ხედი ჩრდილოეთისაკენ



სურ. 17. ხანძთის ეკლესია.
ტრომპის სქემა. ვ. ჯობაძის მიხედვით

კედლების უხეში წყობა, როგორც ჩანს, თავიდანვე შელესილი იყო. ბათქაშის ფრაგმენტები აქ დღემდე შემოინახა. 1904 წელს ნ. მარმა სატრიუმფო თაღზე ნახა კედლის მხატვრობის გადარეცხილი ნაშთიც (ტოლმკლავა ჯვარი და წმინდანთა თუ ანგელოზთა ფიგურების შარავანდები ფრესკული წარწერებითურთ)[271].

გარედან განვითარებული არქიტექტურული გაფორმებით გამოირჩევა გუმბათი. მის თორმეტწახნაგა ყელს შემოწერს დეკორაციული თაღნარი, რომელიც წიბოებზე აყოლებულ შეწყვილებულ ლილვურ ნახევარსვეტებზე გადადის. ნახევარსვეტების ბაზისები და კაპიტელები ფაქიზად არის დამუშავებული. ასეთივე დამუშავებით გამოირჩევა რთულად პროფილირებული სარტყელი ყელის ძირში (ზემოდან ქვემოთ: ძლიერშვერილი თხელი თარო, ⅔ ლილვი, უფრო შეწეული ⅔ ლილვი, ღრმა ღარი, ძლიერშვერილი თარო, ფოსო). გუმბათის ყელის კარნიზი ტეხილია და ყოველი წახნაგის თავზე ფრონტონს ქმნის, რის გამოც სახურავს ნახევრადგაშლილი ქოლგის ფორმა (Faltendach) აქვს.

ცალკეული ელემენტების ჟღერადობის გასაძლიერებლად გუმბათის ყელზე დაფერვაც იყო გამოყენებული — ვ. ჯობაძე აღნიშნავს ძოწისფერი პიგმენტის კვალს ნახევარსვეტებზე გუმბათის ყელის დასავლეთ მხარის ქვედა ნაწილში და ფიქრობს, რომ ისინი მთლიანად უნდა ყოფილიყო დაფერილი[272].

ძირითადი კორპუსის ფასადები, გუმბათთან შედარებით, უფრო სადაა. დეკორის კვალი ჩანს აღმოსავლეთ ფასადზე. აქ სამსავე სარკმელს ჰქონდა თაღსართები მძლავრი ფართო რკალითა და მოკლე გადანაკეცებით. შემორჩა შუა დიდი თაღსართის გადანაკეცები, რომლებიც მუქი წითელი ქვითაა გამოყვანილი და მკაფიოდ გამოიყოფა გლუვ ქვიშისფერ ფასადზე. თაღსართის ზემოთ იყო ასეთივე წითელი ქვის სადა ჯვარი (დარჩა ჰორიზონტალური მკლავები). პასტოფორიუმების სარკმლების თაღსართები მთლიანად დაკარგულია, მაგრამ წყობაში განირჩევა მათი კონტურები. ისინი, ბუნებრივია, შუასთან შედარებით ბევრად მცირე ზომისა იყო.

ჩრდილოეთის კარის წინ ეკლესიას აქვს უხეიროდ ნაგები სამკუთხა გეგმის მინაშენი, უთუოდ ძალიან გვიანი ხანისა. ა. პავლინოვმა ის თავის გეგმაზე ძირითადი ფერით დაიტანა[273] და მის კვალდაკვალ ბოლო დრომდე ეკლესიის გეგმა ყველა გამოცემაში ამ მინაშენიანად მოჰქონდათ.

---

[271] Н. Марр, Дневник, გვ. 146-147.

[272] W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 32.

[273] А. Павлинов, Экспедиция на Кавказ, ტაბ. XXXIV.



სურ. 18. ხანძთის ეკლესია. სამხრეთ ფასადი

ადგილი ეკლესიისათვის, როგორც აღინიშნა, სუბსტრუქციით არის მოსწორებული. აღმოსავლეთ მხარეს ეკლესიის ფასადის ქვემოთ სუბსტრუქცია 4-5 მ-ის სიმაღლეზე აღიმართება. ეს კედელი ამოყვანილია უხეშად დამუშავებული ლოდების ცხრა რიგით. ეკლესიის ძირს სუბსტრუქციისაგან გამოყოფს თლილი ბაზალტის კარნიზი.

ხანძთის ეკლესია თვალნათლივ გვიჩვენებს კლარჯეთის არქიტექტურის განვითარების ახალ ეტაპს. მთელი რიგი სიახლეებით (თლილი ქვის საფასადო პერანგი, გუმბათის ყელის თაღნარი და ტეხილი კარნიზი, ფართო თავსართები, ცალკეული დეტალების დამუშავება) ის წინამორბედია არა მხოლოდ ოპიზისა და დოლისყანისა, არამედ დავით კურაპალატის მიერ ტაოში აგებული დიდი ტაძრებისაც. ამასთან, ხანძთის ეკლესია მკაფიო ინდივიდუალობით აღბეჭდილი ნაგებობაა, რომელიც ცოცხლად გვიხასიათებს მის „სიბრძნით სრულიად მაშენებელ“ ხუროთმოძღვარს. ამონა რომ „სიბრძნით“ აშენებდა, ამას მისი ქმნილების ტექნიკური და მხატვრული ხარისხიც მოწმობს. იგი, როგორც ჩანს, კარგად იცნობდა და აფასებდა ქართულ კლასიკურ არქიტექტურას. სხვაგვარად ძნელი ასახსნელია, თუ რატომ გამოიყენა თავის ნაგებობაში წმინდა ტრომპული სისტემა ე. წ. საფეხუროვანი სქემით განლაგებული ტრომპების სამი რიგით[274] – გუმბათქვეშა გარდამავალი სისტემის ასეთი გადაწყვეტა ჩვენში VII საუკუნის შემდეგ არსად გვხვდება (მითუმეტეს არც მეზობელ ქვეყნებში). ეს რემინისცენცია მეტყველებს არა ამონას კონსერვატიზმზე, არამედ კლასიკური ფორმების ცოდნასა და სიყვარულზე. მისი „აკადემიური“ განსწავლულობა ცხადად ჩანს შენობის კარგად გააზრებულ პროპორციებშიც და რთულ, გულმოდგინედ დამუშავებულ პროფილებშიც.

საგულისხმოა, რომ ხანძთა კლარჯეთის ერთადერთი შემორჩენილი ეკლესიაა, რომელიც „ჩახაზული ჯვრის“ გეგმაზეა აშენებული – ყველა სხვა გუმბათიანი ეკლესია, როგორც ზემოთ ვნახეთ, croix libre-ის ბირთვზე კუთხის სათავსების დამატებით შექმნილი ნაგებობებია. ძნელია ითქვას, რატომ აირჩია ამონამ მაინცდამაინც ეს კომპოზიცია, რომელსაც კლარჯეთში, როგორც ჩანს, წინამორბედი არ ჰყოლია. შესაძლოა, აქაც თავი იჩინა მისმა „არალოკალურმა“ გამოცდილებამ, კერძოდ ქვეყნის სხვა რეგიონების არქიტექტურის ცოდნამ. წრომის ტაძრიდან (626-634) მოყოლებული, X საუკუნემდე საქართველოში „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის რამდენიმე ეკლესია აშენდა. ხანძთის უშუალო პროტოტიპად

---

[274] ტრომპული სისტემის კონსტრუქციული ნაირსახეობებისა და, კერძოდ, საფეხუროვანი სქემისათვის იხ.: დ. ხოშტარია, გუმბათქვეშა კონსტრუქციები V-X საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში (ტრომპი და აფრა-ტრომპი), *არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. I*, თბილისი, 2001, გვ. 73 და შემდგომ.

ვერცერთ მათგანს ვერ მივიჩნევთ, მაგრამ გეგმის პროპორციებით და ზოგადი კომპოზიციით მასთან ყველაზე ახლოს დგას სამშვილდის სიონი (761-778)[275]. ბურჯების დამატებითი წყვილი დასავლეთის მკლავში არის ის უმთავრესი თავისებურება, რაც ამ ორ შენობას განასხვავებს ტიპოლოგიურად მონათესავე სხვა ეკლესიებისაგან (წრომი, ბარცანა, იყალთო, ოზაანი).

ცნობილია ექვსი წარწერიანი ფილა ხანძთიდან (ამათგან ოთხი დაკარგულია. ორი ახლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება)[276]. ისინი წარმოადგენს ოთხი ან, შესაძლოა, სამი წარწერის ძლიერ დაზიანებულ ფრაგმენტებს, რომელთა რეკონსტრუქცია კვლავაც საჭიროებს ჩაღრმავებულ ანალიზს; ამიტომ ქვემოთ ამ წარწერებს აღარ მოვიტან და მხოლოდ მათი ინტერპრეტაციის ზოგიერთ ასპექტს შევეხები.

---

[275] Н. Чубинашвили, *Самшвилдский Сион*, Тбилиси, 1969, ტაბ. 4. სამშვილდის სიონი ზუსტად თარიღდება ერცელი სამშენებლო წარწერით, რომლიდანაც ვიგებთ, რომ მშენებლობა დაიწყო კონსტანტინეს მეფობის მეოცე წელს და დასრულდა ლეონის მეფობის მეოთხე წელს. როგორც ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ აღნიშნა ლ. მუსხელიშვილმა, აქ უნდა ვიგულისხმოთ ბიზანტიის იმპერატორები კონსტანტინე V (741-775) და მისი მემკვიდრე ლეონ IV (775-780) (ლ. მუსხელიშვილი, სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი, *ენიმკის მოამბე, XIII*, თბილისი, 1943, გვ. 85-106; ბიზანტიის იმპერატორთა ბოლოხანს დაზუსტებული ქრონოლოგიისათვის იხ.: J. M. Hussey, *The Orthodox Church in the Byzantine Empire*, Oxford, 1990, გვ. XXI). შესაბამისად, ტაძარი აგებულია 761-778 წლებში (ლ. მუსხელიშვილის მიხედვით – 759-777 წლებში).

ნ. შოშიაშვილმა წარწერაში მოხსენიებული პირები გააიგივა აფხაზთა მეფეებთან კონსტანტინე III-სა (დაახლ. 893-920/30) და ლეონ III-თან (დაახლ. 957-967) (*ლაპიდარული წარწერები I*, გვ. 231). თუ ამას ვირწმუნებთ, გამოდის, რომ სიონი აშენებულა X საუკუნეში, როცა სამშვილდე სომხებს ეჭირათ (იხ. იოანე დრასხანაკერტელი, *სომხეთის ისტორია*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1965, გვ. 0140-0145). ასეთ შემთხვევაში გაუგებარია, რატომღა უნდა იხსენიებოდნენ წარწერაში აფხაზთა მეფეები.

[276] ამ წარწერებიდან ხუთი პირველად გამოსცა ნ. მარმა (*Дневник*, გვ. 140, 143, 145-146, 202, ტაბ. 53, 64. ნ. მარს მოაქვს ასევე წარწერის გაურკვეველი ფრაგმენტი, რომელიც ნახა ეკლესიის სამხრეთის კარის ტიმპანზე – იქვე, გვ. 148), ერთი – ე. თაყაიშვილმა (Е. Такаишвили, Грузинские надписи на археологических предметах, хранящихся в Кавказском музее в Тифлисе, *Археологические экскурсии, разыскания и заметки*, вып. II, Тифлис, 1905, gv. 59-61). ბოლო აკადემიური გამოცემა: *ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.)*, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1980, წარწერა №№167-170, გვ. 294-301.

თავისი შინაარსით უნიკალურია წარწერა, რომელსაც ნ. შოშიაშვილი პალეოგრაფიული ნიშნებით X საუკუნით ათარიღებს და „ნასყიდობის აქტს“ უწოდებს[277]. პ. ინგოროყვამ ამ წარწერის ნაწილად მიიჩნია ხანძთაში ნაპოვნი მეორე ფრაგმენტი და სცადა მათი ერთად რეკონსტრუირება[278]. ნ. შოშიაშვილის აზრით, „ეს თვალსაზრისი ხელოვნური ჩანს“[279]. წარწერა ძლიერ დაზიანებულია და მისი სრულად აღდგენა მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება, როგორც აკეთებენ კიდეც დასახელებული მკვლევარები. ზოგი რამ მათ შემოთავაზებულ წაკითხვებში ალბათ უკვე ახლა შეიძლება დაზუსტდეს – მაგალითად, უეჭველი მგონია, რომ წარწერაში მოხსენიებული ერისთაეთ-ერისთავი, რომლის სახელიც „ტ“-ზე მთავრდება, არის აშოტი (აშოტ კუხი, ხანძთის ახალი ეკლესიის მშენებლობის ინიციატორი) და არა ლიპარიტი (პ. ინგოროყვას ვარაუდით) ან სუმბატი (ნ. შოშიაშვილის ვარაუდით); მაგრამ მთლიანად წარწერის სრულყოფილი შესწავლა მომავალი კვლევის საქმეა.

წარწერის კარგად შემონახულ მონაკვეთთაგან განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას მეოთხე სტრიქონი, რომელშიც იკითხება: „მას მიეყიდეთ ესე ტაძარი“. მანამდე, მესამე სტრიქონში ნახსენებია მამა იოვანე (უთუოდ მონასტრის წინამძღვარი) და უნდა ვიგულისხმოთ, რომ მან ვიღაცას (არ ჩანს ვის – ეს ნაწილი ჩამოთლილია) მიჰყიდა ხანძთის მონასტრის ეკლესია. რას უნდა ნიშნავდეს ეს უცნაური აქტი? ცხადია, აქ არ შეიძლება ლაპარაკი იყოს თვით ეკლესიის შენობის გაყიდვაზე. ხანძთა სამეფო მონასტერი იყო და წინამძღვარი მის ეკლესიას, როგორც უძრავ ქონებას ვერ გაყიდიდა. ამგვარი პრაქტიკა უცნობია შუა საუკუნეების საქართველოში და, საერთოდ, ქრისტიანულ სამყაროში. მე სწორი მგონია დ. თუმანიშვილის მიერ კერძო საუბარში გამოთქმული აზრი, რომ აქ შეიძლება იგულისხმებოდეს რაიმე უფლების გაყიდვა – ვთქვათ, მონასტრის ეკლესიაში დაკრძალვისა (როგორც ზემოთ ითქვა, ამგვარ უფლებას უკვე ფლობდა დაფანჩულთა გვარი, მაგრამ ალბათ შესაძლებელია გარკვეულ საფასურად ის სხვასაც მიეღო), ან სხვა რამ ამგვარი.

პირობითია ნ. შოშიაშვილის მიერ სხვა ორი ფრაგმენტის შეერთებით მიღებული წარწერის წაკითხვაც, რომლის მიხედვითაც გამოდის, რომ დავით კურაპალატს ხანძთაში სტოა აუშენებია[280]. შესაბამისად, გამომცემელმა ეს წარწერა 979-1001 წლებით დაათა-

---

[277] *ლაპიდარული წარწერები I*, წარწერა №167, გვ. 294-296, ტაბ. 112-1.

[278] *გიორგი მერჩულე*, გვ. 312-313.

[279] *ლაპიდარული წარწერები I*, გვ. 295. ამ მეორე ფრაგმენტისათვის იხ. იქვე, წარწერა №168, გვ. 297.

[280] იქვე, წარწერა №169, გვ. 298-299.

რიღა. ასეთ რეკონსტრუქციას მტკიცე საფუძველი არ გააჩნია, მითუ-მეტეს, რომ მონასტერში X საუკუნის II ნახევრის სტოა არსად ჩანს.

მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთ დგას ძლიერ დანგრეული სატრაპეზო. ის ნაგებია დიდი, უხეშად დამუშავებული ქვებით. სატრაპეზო წამოადგენს აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე წაგრძელებულ მართკუთხა ნაგებობას ერთი ვრცელი დარბაზით, რომელსაც თაღების მწკრივი ორ ტოლი სიგანის ნაკად ჰყოფდა. თაღები ეყრდნობოდა ოთხ ჯვრისებრი გეგმის ბურჯს. ნაკები ცილინდრული კამარებით იყო გადახურული. ორკალთიანი სახურავის ქვეშ კამარებსზემოთ ალბათ სხვენის სათავსი იქნებოდა. სატრაპეზოს იატაკის ქვეშ სუბსტრუქციაში მოწყობილია დიდი ოთახი — ე. ჯობაძის აზრით, საკუჭნაო[281].

ე. ჯობაძე ფიქრობს, რომ სატრაპეზოს სამშენებლო ტექნიკა (კერძოდ, უზარმაზარი, უხეშად გათლილი ქვების ხმარება და მინიმალური სიგანის გული კედლის შიდა და გარე პერანგს შორის) უნდა მიგვანიშნებდეს ადრეულ თარიღზე. ის შესაძლებლად მიიჩნევს ნაგებობა VIII საუკუნის ბოლოთი, ე. ი. მონასტრის დაარსების ხანით დაათარიღოს[282], რაც დიდად საეჭვოა — თუ იმხანად გრიგოლ ხანძთელს შეეძლო ამხელა შენობა აეგო ქვით, რაღა გაუჭირდა, რომ ეკლესია ხით ააშენა. სატრაპეზო არც პირველი განახლებისდროინდელი (820 წლის ახლოს) ჩანს, მისი არქიტექტურა უფრო განვითარებულ სამშენებლო კულტურას მოწმობს. მე მგონია, რომ სატრაპეზო აშენდა X საუკუნეში, შესაძლოა იმავე ამონას ხელმძღვანელობით.

ეკლესიასა და სატრაპეზოს შორის ჩაშენებულია მცირე ზომის სამლოცველო (ალბათ ასევე X საუკუნისა) და სენაკები. ე. ჯობაძის დაკვირვებით, სენაკები სამ სართულად იყო განლაგებული (ქვედა სართულები ჩამარხულია ნანგრევებში)[283]. ზედა სართულზე ჩამწკრივებულია სამი ერთნაირი ვიწრო და გრძელი მართკუთხა ოთახი შესასვლელებით დასავლეთიდან.

ეკლესიის დასავლეთით დგას კარგად შემონახული სამრეკლოს შენობა. ის ტრადიციულად ორიარუსიანია. ქვედა იარუსს შეადგენს კუბური მოცულობა შიგ ერთი სათავსით, ზედას — რვათაღიანი ფანჩატური, საკუთრივ სამრეკლო. ფანჩატურს აქვს ქვის ლორფინით დაბურული დაბალი კონუსური სახურავი.

სამრეკლოს კედლებზე შემორჩა ოთხი წარწერა, რომლებშიც იხსენიებიან სამრეკლოს მშენებლობის ქტიტორი მარკოზი, ხანძთის მონასტრის დეკანოზი ანტონე და კალატოზები აბესალმა კლდელი

---

[281] ე. ჯობაძე, ხანძთის წმ. გიორგის მონასტერი, გვ. 64.
[282] იქვე.
[283] იქვე, გვ. 65.

(ჩანს, უფროსი კალატოზი), ქამირი, ყაზანი და მსახურა[284]. მარკოზს სამართლიანად აიგივებენ კლარჯ მღვდელ-მონაზონ მარკოზთან, რომელიც 1545 წლის ახლო ხანებში გადავიდა ხანძთიდან სინას წმ. ეკატერინეს მონასტერში (სინას სულთა მატიანის ერთ-ერთ მინაწერში ის თავის თავს „ჭანცთასა სამრეკლოსა აღმშენებელსა“ უწოდებს). ხანძთის სამრეკლო მას უნდა აეგო 1540-იან წლებში[285].

მონასტრის გალაენის გარეთ არის არქიტექტურულად გაფორმებული წყარო. მასზე დაშენებულია პატარა დარბაზული სამლოცველო რომელსაც ამჟამად გადახურვა და კედლების ზედა ნაწილები მონგრეული აქვს. სამლოცველო ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვებით და შიგნითაც და გარეთაც სრულიად სადაა.

ვ. ჯობაძის აზრით, წყაროს სამლოცველო აშენდა დაახლოებით მაშინ, როცა გაბრიელ დაფანჩული მონასტერში ახალ ეკლესიას აგებდა, მაგრამ ის – სავსებით სამართლიანად – უარყოფს პ. ინგოროყვას ვარაუდს[286], თითქოს ეს სწორედ გაბრიელ დაფანჩულის ეკლესია იყოს. ასეთი გაიგივება უსაფუძვლოა, როგორც ვ. ჯობაძე შენიშნავს, რამდენიმე მიზეზის გამო: „ჯერ ერთი ის (სამლოცველო – დ. ხ.) აგებულია შედარებით სწორ ადგილზე და მისთვის სამშენებლო მოედნის მოსწორება დიდ შრომას არ მოითხოვდა, როგორც ეს აღწერილი აქვს გიორგი მერჩულეს; მეორე, ის მდებარეობს მონასტრის ზღუდის გარეთ; მესამე, ეს არ არის ეკლესია, არამედ მხოლოდ მცირე სამლოცველოა, საეკლესიო მსახურებისათვის შეუფერებელი; და მეოთხე, ეკლესიის მშენებლობის პროცესის აღწერაში მერჩულე არ გამოტოვებდა იმ ფაქტს, რომ ის წყაროს თავზე აიგო“[287].

---

[284] ეს წარწერები პირველად ნ. მარმა გამოსცა (Дневник, გვ. 143-145, ტაბ. 51-52). ორი მათგანი ინგლისური თარგმანითურთ ხელახლა გამოსცა ვ. ჯობაძემ (*Monasteries*, გვ. 38-39, სურ. 8-9, ტაბ. 40-41). ბოლოხანს მათი წაკითხვა დააზუსტა დ. კლდიაშვილმა (იხ. მისი: სინას სულთა მატიანე. მარკოზი – ხანცთას სამრეკლოს მაშენებელი და სინას სულთა მატიანის ბოლო შემავსებელი, *ლიტერატურა და ხელოვნება*, №3, 1999, გვ. 53-56, სურ. 3-6).

[285] დ. კლდიაშვილი, სინას სულთა მატიანე, გვ. 61.

[286] პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 319, შენ. 1.

[287] ვ. ჯობაძე, ხანძთის წმ. გიორგის მონასტერი (მოკლე მიმოხილვა), *არტანუჯი*, 4, 1995, გვ. 66-67. ადრე მე ვეარაუდობდი, რომ ხანძთის დაფანჩულისეული ეკლესია სამეკლესიანი ბაზილიკა უნდა ყოფილიყო (დ. ხოშტარია, *IX-X საუკუნეთა არქიტექტურული ძეგლები ბორჯომის ხეობაში, სადისერტაციო ნაშრომი ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად*, თბილისი, 1988, გვ. 109), მაგრამ, როგორც შემდგომმა კვლევამ აჩვენა, ეს ნაკლებად შესაძლებელია – სამეკლესიანი ბაზილიკები კლარჯეთში (ასევე ტაოშიც) არსად ჩანს. ეტყობა, ეს არქიტექტურული ტიპი აქ საერთოდ არ იყო ცნობილი.

თავი VIII.

დოლისყანა – ადარნასე ქართველთა მეფის ძეთა აღმშენებლობა

გიორგი მერჩულეს მიხედვით, დოლისყანის მონასტერი გაშენებულა კლარჯეთის სხვა მონასტრებზე გვიან[288], ე. ი. 830-40-იანი წლების შემდეგ. მეორე მხრივ, ის უკვე არსებობდა „გრიგოლ ხანძთელის ცხორების" დაწერის დროისათვის, 951 წლისთვის. ამრიგად, მონასტერი აქ დაარსებული უნდა იყოს დაახლოებით 850-950 წლებს შორის, თუმცა პუნქტი დოლისყანის სახელწოდებით მანამდეც არსებობდა. სუმბატ დავითის ძის ცნობით, აქ იდგა აშოტ I კურაპალატის ლაშქარი 826 წლის იანვარში, როცა აშოტი მოულოდნელად მოკლეს მტრებმა[289].

დოლისყანა მდებარეობს არტანუჯისწყლისა და იმერხევის შესართავთან. სოფელი, რომლის ახლანდელი თურქული სახელწოდებაა ჰამამლი ქოი (Hamamlı köy), შეფენილია მაღალი მთის ფერდობზე. მონასტერი დგას სოფლის სამხრეთ ნაწილში. ყველა სამონასტრო ნაგებობა, გარდა ეკლესიისა, მთლიანად იყო განადგურებული უკვე XIX საუკუნის ბოლოს. ეკლესიის მდგომარეობა ურიგო არ არის. კარგად შემოინახა მისი ძირითადი ჯვრული ნაწილი, რომელშიც ბოლო ხანებამდე ჯამე ფუნქციონირებდა[290] და, ამდენად, უკეთ იყო დაცული. აქ მთელია კედლებიცა და გადახურვაც. გაცილებით მეტადაა დაზიანებული დამატებითი სათავსები. ჩანგრეულია პატრონიკეს კამარა, დასავლეთ კედლის ზედა ნაწილი და იატაკი თითქმის მთლიანად; ჩრდილო-დასავლეთ სათავსის კამარის დასავლეთ ნახევარი; სამხრეთ-დასავლეთ სათავსის სამხრეთ კედელი და კამარა. პასტოფორიუმებში, რომლებიც ბოლოხანს საწყობად იხმარებოდა, უხეშად არის განგრეული

---

[288] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 275.

[289] *ქართლის ცხოვრება, ტ. I*, გვ. 377. საინტერესოა, რომ ახალ დროში დოლისყანა კიდევ ერთხელ იქცა დრამატული მოვლენის არენად და კელავ იანვარში: რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 1878 წლის 21 იანვარს აქ გაიმართა ცხარე ბრძოლა, რომლის მოგების შემდეგაც რუსები ართვინისკენ დაიძრნენ (W. Allen and P. Muratoff, *Caucasian Battlefields: A History of the Wars on the Turco-Caucasian Border, 1828-1921*, Cambridge University Press, 1953, გვ. 213).

[290] ეკლესია ჯამედ იყო ქცეული უკვე 1888 წელს, როცა ის ა. პაველინოვმა ინახულა (А. Павлинов, Экспедиция на Кавказ, გვ. 68).

შესასვლელები აღმოსავლეთიდან. ჩრდილოეთის მკლავის სარკმლის ქვედა ნაწილი გაფართოებულია სიგანეშიც და ქვემოთკენაც და კარად არის ქცეული – აქედან შედიოდნენ ჯამეში, რომლის იატაკი (ხის ფიცრებისა, ხისავე ბოძებზე დაყრდნობილი) ეკლესიის თაღდაპირველ იატაკთან შედარებით 5-იოდე მ-ით მაღლა იყო აწეული.

ეკლესია ნაგებია შერეული მასალით. კედლების შიდა და გარე წყობას შეადგენს საშუალო ზომის უხეშად დამუშავებული ქვები. ისინი სწორ რიგებად ლაგდება, პირითი მხრიდან მოსწორებულია, მგრამ კუთხეები და წიბოები გამოყვანილი არ არის და ქვებს შორის რჩება ღრიჭოები, რომლებიც კენჭებითა და კირის ხსნარით ივსება. შიგნით ეკლესია, როგორც ჩანს, თაეიდანვე შელესილი იყო.

კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები – თაღები, პილასტრები, ღიობები, კუთხეები გამოყვანილია სუფთად თლილი ქვებით. ასევე სუფთად გათლილი ქვიშაქვის კვადრებითაა მოპირკეთებული გარედან გუმბათის ყელი მთლიანად. ეს ფილები მომცრო ზომისაა (სიმაღლით საშუალოდ 20-25 სმ, სიგანით არაუმეტეს 35-40 სმ-ისა) და ძალიან აკურატულ წყობას ქმნიან.

გადახურვა სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა მასალითაა გაკეთებული. ძირითად სივრცეში კამარები და გუმბათის ნახევარსფერო თლილი ქვისაა. დასავლეთის მკლავის კამარას ძირში (ქუსლებთან) აგურის ოთხი რიგი აქვს ჩატანებული. ასევეა სამხრეთ-დასავლეთის სათავსშიც, ოღონდ აქ აგურის ერთი რიგია. პასტოფორიუმებში, დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის სათაესებში კამარები მთლიანად აგურისაა. აგურები სხვადასხვა ზომისაა, მეტწილად 5-6 სმ სისქისა (გვხვდება უფრო თხელებიც, 3,5-4 სმ სისქისა), 30-31 სმ სიგრძისა და 24-27 სმ სიგანისა. რამდენიმეგან, სადაც საპირე წყობა ჩამოცვენილია, აგური ჩანს კედლებისა და კამარების გულშიც – მათ ნატეხებს დუღაბში ურევდნენ.

საბურველი ეკლესიის შენობას კრამიტისა ჰქონდა. ახლა ის მეტწილად განძარცულია, მაგრამ ბევრი კრამიტი ჯერ კიდევ ადგილზეა. კრამიტები მოუჭიქავია, ორი სახისა – ბრტყელები, რომლებიც ერთმანეთის გვერდიგვერდ ეწყობა და ღარისებრი ფორმისა, რომლებიც მათ კიდეებს ეფარება. ბრტყელი კრამიტის ზომაა 39 × 27 სმ.

მშენებლობის ხარისხი საკმაოდ მაღალია. ფორმები სუფთად, წესიერად არის გამოყვანილი. განსაკუთრებით მონდომებით შეუსრულებიათ ზოგიერთი დეტალი. მაგალითად, პასტოფორიუმთა შესასვლელების არქიტრავები მონოლითური კი არ არის, არამედ აწყობილია რამდენიმე რთული კონფიგურაციის, ერთმანეთთან უნაკლოდ ზუსტად მორგებული ქვით.



სურ.19. დოლისყანის ეკლესია. გეგმა

შენობის ზოგიერთ ნაწილს ეტყობა XX საუკუნეში თურქების მიერ ჩატარებული რემონტის კვალი. ეს შეკეთებული თუ დაშატებული ადგილები იოლად განირჩევა თავდაპირველი ნაგებობისაგან თავიანთი დაბალი სამშენებლო ხარისხით. უხეირო წყობითაა განახლებული აღმოსავლეთ ფასადის ზედა მარცხენა მონაკვეთი. ასეთივეა პატრონიკეს პირზე ამოყვანილი თხელი (55 სმ სისქის) კედელი ორი უშნო მართკუთხა ფანჯრითა და მათ შუა კარით. როგორც ჩანს, თავიდან ჯამეში ამ კარით შედიოდნენ. შემდეგ, პატრონიკეს იატაკის ჩანგრევის გამო, ის ძნელადმისადგომი გახდა და ჩრდილოეთიდან ახალი კარი გაჭრეს.

კომპოზიციურად დოლისყანის ეკლესია წარმოადგენს ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობას ჯვრული ძირითადი სივრცითა და ოთხსაგე კუთხეში მოწყობილი დამატებითი სათავსებით. შენობის გეგმა წაგრძელებულ მართკუთხედში იწერება. ძირითად ჯვრულ კორპუსს შეადგენს ცენტრალური კვადრატიდან გამომავალი ოთხი მკლავი — ერთი (აღმოსავლეთისა) აფსიდური და სამი მართკუთხა. დასავლეთის მკლავში, რომელიც 3,5-ჯერ უფრო გრძელია განივ მკლავებთან შედარებით, ჩაშენებულია პატრონიკე. ის მთლიანად

გახსნილი იყო ძირითადი სივრცისაკენ. წინა კედლის კამარამდე ამოშენების შემდეგ პატრონიკე განცალკევებულ დახურულ სათავსად იქცა და, ამრიგად, დასავლეთის მკლავს მოსწყდა მისი დასავლეთ ნაწილი. ახლა ეკლესიაში შესული კაცი მხოლოდ მის აღმოსავლეთ ნახევარს ხედავს.

მთავარი შესასვლელი ეკლესიას აქვს დასავლეთის მკლავის სამხრეთ კედელში. ამ კარამდე მისასვლელად საჭიროა სამხრეთ-დასავლეთ კუთხის სათავსის გავლა. საფიქრელია, რომ ამ სათავსის სამხრეთ კედელი (ამჟამად მოლიანად დაქცეული) თაღებით იქნებოდა გახსნილი და მთლიანად მას სტოა-კარიბჭის სახე ექნებოდა. მეორე კარი ეკლესიაში შეიძლება ყოფილიყო დასავლეთის მკლავის დასავლეთ ბოლოში. ახლა აქ ყველაფერი ნაყარი ქვებითა და მიწით არის ამოვსებული და დაზუსტებით თქმა ჭირს.

საკურთხევლის აფსიდსა და ყოველ მკლავში თითო დიდი სარკმელია, გუმბათის ყელში — ოთხი. მკლავების სარკმლები ძლიერ ფართოვდება შიგნითკენ (სამხრეთის სარკმლის სიგანე ფასადზე 45 სმ-ია, ინტერიერში — 150 სმ), გუმბათის ყელისა — პირიქით, თითქმის პარალელურწირთხლებიანია. თითო შედარებით მომცრო სარკმელი არის პასტოფორიუმთა აფსიდებში.

გუმბათქვეშა თაღები ეყრდნობა სადა პროფილის (თარო-ცერობი) იმპოსტებს. მათ ქვემოთ კედლის კუთხეებზე პილასტრები არ არის. დასავლეთის მკლავს შუაზე აქვს ერთი საბჯენი თაღი (ის ახლა თურქების მიერ ჩაშენებულ კედელშია ჩამალული), რომელიც კედელზე შეკიდულ წაკვეთილ პილასტრებს ეყრდნობა. ამ პილასტრების კაპიტელები შედარებით რთული პროფილისაა (თარო-ცერობი-თარო-ცერობი).

გადასვლა გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე ხორციელდება შერეული აფრულ-ტრომპული სისტემით. ცენტრალური კვადრატის ყოველ კუთხეში ამოყვანილია აფრა შიგ ჩასმული შედარებით მომცრო ტრომპით. ტრომპები ნახევარკონუსური ფორმისაა, აქვთ ორსაფეხურიანი წინა თაღები. მათ ზემოთ იწყება აფრული ნაწილები, რომლებიც გუმბათქვეშა თაღებსზემოთ ებმიან ერთმანეთს და ოთხნაწილიან წრიულ გვირგვინს ქმნიან. აფრებში, დიდ ტრომპებზე 40-იოდე სმ-ით მაღლა, ზის ორ-ორი მცირე ტრომპი. ისინი იმდენად პატარებია, რომ დეკორაციულ ღრმულებს წააგავს. მიუხედავად აფრების წამყვანი როლისა, ტრომპები უფუნქციო არ არის — ისინი ინარჩუნებენ კონსტრუქციულ დანიშნულებას. ძირითადი ტრომპების თაღები სწორ ვერტიკალურ სიბრტყეებში იშლება და წახნაგებს ქმნის, ოღონდ ეს წახნაგები ბევრად ვიწროა მათ შორისებზე. მეტიც, გარკვეულწილად ფუნქციურია მცირე ტრომპებიც. კედლის პატარა მონაკვეთები მათ ზემოთ ასევე სწორია (არა მრუდხაზოვანი), ოღონდ აფრული ელემენტთან იოლად შესათავსებლად წინ არის დახრილი.



სურ. 20. დოლისყანის ეკლესია.
განივი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ



სურ. 21. ღოლისყანის ეკლესია.
განივი ჭრილი, ხედი დასავლეთისაკენ





სურ. 22. დოლისყანის ეკლესია. გრძივი ჭრილები.
ზემოთ – ხედი ჩრდილოეთისაკენ, ქვემოთ – ხედი სამხრეთისაკენ

აფრა-ტრომპების ზემოთ გუმბათის ყელის ძირში თაროსებრ შეერილი წრიული სარტყელია. მასზე დგას გუმბათის ყელი, რომელიც შიგნით 12-წახნაგაა და შესაბამისად 12-მალიანი დეკორაციული თაღნარი გაუყვება. თაღები ეყრდნობა წახნაგთა მიჯნაზე (კუთხეებში) აღმართულ მსუბუქ ნახევარსვეტებს. თაღნარი არბილებს დოდეკაგონის კუთხეებს და მასზე იოლად ხერხდება გუმბათის ნახევარსფეროს დადგმა.

შენობის გარე შემკულობა ძირითადად სარკმლების ირგელივ არის თავმოყრილი. განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთის მკლავის სარკმელი. უშუალოდ ღიობის თაღის ზემოთ თანაბარი ზომის ლამაზი ასოებით გაკეთებულია წარწერა[291]:

ქ(რისტ)ე ადიდე მეფ[Ე] ჩ(უე)ნი ს(უმ)ბ(ა)ტ მზ(ე)გრძ(ელო)ბ(ი)თ

წარწერის ზემოთ მარაოსებრ რადიალურად განლაგებული 11 ტრაპეციული ქვაა, რომლებიც მონაცვლეობით წითელ-ყვითელია (ყვითელი ქვის ბუნებრიეი ფერია, წითელი მიიღება დაფერვით, რომელიც ახლა ბევრგან გადასულია). ამ „მარაოს“ ზემოდან ეკვლება დიდი რელიეფური თაესართი, მთლიანად დაფარული ჩუქურთმით. თავსართზე, როგორც ჩანს, ჯვარი იყო აღმართული. შემორჩა მისი ქვედა მკლავის ფრაგმენტი, დანარჩენი ამოტეხილია. სარკმლის აქეთ-იქით ჩასმულია მთავარანგელოზების რელიეფური გამოსახულებები. ფიგურას ღიობის მარცხნივ აქვს წარწერა[292]:

წ(მიდა)Ჲ მ(ი)ქ(აე)ლ
მარჯვნივ:
წ(მიდა)Ჲ გ(ა)ბრ(იე)ლ

გაბრიელ მთავარანგელოზის წინ გამოსახულია მედალიონში ჩაწერილი ნახევარფიგურა, რომლის სახე ძლიერ დაზიანებულია. წარწერა მედალიონის ქვეშ გვამცნობს[293]:

მ(ეი)ქმნ(ა) (ე)ს(ე) კ(ე)ლ	დ(ია)კ(ო)
(ი)თა გ(ა)ბრ(იე)ლ	ნ(ი)ს(ა)Ჲ
	თა

---

[291] წარწერა პირველად გამოაქვეყნა ნ. მარმა (Дневник, გვ. 185, ტაბ. 61). ახალი აკადემიური გამოცემა იხ.: *ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.)*, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1980, გვ. 291 (№163). ასევე: W. Djobadze, *Monasteries*, სურ. 15, ტაბ. 81, 83.

[292] Н. Марр, Дневник, გვ. 184; *ლაპიდარული წარწერები I*, გვ. 291-292 (№164); W. Djobadze, *Monasteries*, სურ. 16-17, ტაბ. 84-85.

[293] Дневник, გვ. 184; *ლაპიდარული წარწერები I*, გვ. 291-292 (№164, გაერთიანებულია წინა წარწერასთან); *Monasteries*, სურ. 18, ტაბ. 85.



სურ. 23. დოლისყანის ეკლესია. აღმოსავლეთ ფასადი





სურ. 24. დოლისყანის ეკლესია. ზემოთ – სამხრეთ ფასადი, ქვემოთ – ჩრდილოეთ ფასადი

ამრიგად, მედალიონში წარმოდგენილია გაბრიელ დიაკონი (ან დეკანოზი – ქარაგმა ასეც შეიძლება გაიშიფროს. ეკლესიის სხვა წარწერაში იგივე გაბრიელი „მოძღვრად“ არის მოხსენიებული – იხ. ქვემოთ), რომლის „ხელითაც შეიქმნა“, როგორც ჩანს, ქანდაკებები სამხრეთის სარკმლის ირგვლივ. შესაძლოა, მას რაღაც სხვა წვლილიც მიუძღვოდა დოლისყანის ეკლესიის მშენებლობაში[294].

აღმოსავლეთ სარკმლის გაფორმება მსგავსი პრინციპითაა აგებული, ოღონდ უფრო სადაა: თავსართს არ გააჩნია ორნამენტაცია, არ არის წარწერები და რელიეფები. „მარაო“ აქაც 11 ქვისაგან შედგება ფერთა ანალოგიური განლაგებით. განსხვავებულად არის გაფორმებული ჩრდილოეთ სარკმელი. თვით ღიობისაგან შემორჩა მხოლოდ თაღოვანი დაბოლოება, რომელსაც პატარა თავსართი შემოწერს. მის ზემოთ ჩასმულია ქვიშაქვის დიდი ფილა ჯვრის გამოსახულებით. ჯვრის მკლავები ბოლოსკენ ძლიერ ფართოვდება და უხვად არის მორთული. ფილას აქვს მსხვილი ლილვური ჩარჩო, რომელიც მის თავზე ერთგვარ „ფრონტონს“ ქმნის.

სამხრეთის მკლავის სამხრეთ ფასადზე ერთ დიდ ქვაზე ამოკვეთილია მზის საათი – აკურატულ ნახევარწრედ განლაგებული ასოები, რომლებიც აღნიშნავს რიცხვებს 1-დან 12-მდე. ცენტრიდან ასოებისაკენ მიემართება სხივები მომრგვალებული ბოლოებით.

გუმბათის ყელს, როგორც ითქვა, ქედა კორპუსისაგან განსხვავებით, მთლიანად თლილი ქვის პერანგი მოსავს. ის გარედანაც, ისევე, როგორც შიგნიდან, 12-წახნაგაა და 12-მალიანი დეკორაციული თაღნარი შემოწერს. თაღები ეყრდნობა შეწყვილებულ მსუბუქ ნახევარსვეტებს, რომელთაც სხვადასხვაგვარად გაფორმებული ნატიფი კაპიტელები აქვთ. ორი მათგანის აბაკებზე შემოინახა წარწერათა ფრაგმენტები: „ად...“ და „ყა...“[295]. გუმბათის ყელის ძირში სადა პროფილის (თარო-ცერობი) წრიული სარტყელია. ზემოდან ყელს ორი თაროს პროფილის კარნიზი აგვირგვინებს. გუმბათის ნახევარსფეროს აქვს დაბალი კონუსური სახურავი. ყელის სამხრეთ-აღმოსავლეთ წახნაგში ჩადგმულია რელიეფური ფილა სუმბატ მეფის გამოსახულებით. ამავე ფილაზე ამოკვეთილია წარწერა[296]:

ქ(რისტ)ე ად(ი)დ(ე)ნ
მეუე ჩ(უე)ნი ს(უმ)ბ(ა)ტ

სამხრეთ-დასავლეთ სათაესიდან ეკლესიაში შემავალ კარს უსარმაზარი ქვის არქიტრავი აქვს. მასზე გამოყვანილია ნატიფ

---

[294] იხ. ე. ჯობაძის მსჯელობა ამ საკითხზე: *Monasteries*, გვ. 64-66..

[295] იქვე, გვ. 61, სურ. 21-22, ტაბ. 79-80.

[296] Н. Марр, Дневник, გვ. 184; *ლაპიდარული წარწერები I*, გვ. 290 (№162); W. Djobadze, *Monasteries*, სურ. 14, ტაბ. 82.

კონსოლებზე დამდგარი დიდი ნახევარწრიული თაღსართი, რომელსაც მსუბუქად ნაკვეთი მცენარეული ორნამენტი გაუყვება. მომცრო აფსიდი სამხრეთ-დასავლეთ სათავსის აღმოსავლეთ ბოლოში ეკლესიის თანადროული არ არის, ის მოგვიანებით (ალბათ XI საუკუნეში) არის გამოღებული. აფსიდი მთლიანად თლილი ქვითაა მოპირკეთებული, აქვს სხვადასხვა რთული კონფიგურაციის შვიდი ქვით ძალიან სუფთად გამოყვანილი კონქი. აფსიდის გამოღებისას, როგორც ჩანს, დაზიანდა წყობა მის ზემოთ და მარცხნივ. ის თავისივე ქვებით აღუდგენიათ. ამ განახლებულ წყობასა და თვით აფსიდში ჩასმულია რელიეფები, რომლებიც თავიდან სხვაგან უნდა ყოფილიყო მოთავსებული. ერთ მათგანზე ამუამად მთლიანად გადარეცხილ ფიგურას (ალბათ წმ. სტეფანესი) აქვს წარწერა[297]:

წ(მიდა)ო
სტე
ფან
ე შ(ეიწყალ)ე
მ(ო)
ძ
ღ(უა)რი გ(ა)ბ(რიე)ლ

მეორე რელიეფი – მაცხოვრის ფიგურა მედალიონში – ნაწილია სამფილიანი კომპოზიციისა, რომელიც შეიცავს წარწერას[298]:

ი(ეს)უ ქ(რისტ)ე
წ(მიდა)ჲ ესე ეკლესი(ა)ჲ წ(ინაშ)ე დღესა
მეფეთა ჩ(უე)ნთა
ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე

წარწერა ნაკლულია – ქვედა მარცხენა ფილა დაკარგულია.

დოლისყანის ეკლესიის არქიტექტურული გადაწყვეტა მოწმობს, რომ ის აგებული უნდა იყოს ტაო-კლარჯეთის ხელოვნების აყვავების ხანის უშუალოდ წინა პერიოდში, ოშკსა და ხახულზე ცოტა ადრე, X საუკუნის შუახანებში. მასში უკვე იჩენს თავს ახალი დროის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ბევრი თვისება – გუმბათის ყელის დეკორაციული თაღნარი, პოლიქრომიული „მარაოები“ სარკმლების თავზე, მოჩუქურთმებული თავსართი და სხვა. ამავე დროს, ზოგი ნიშნით დოლისყანა ჯერ კიდევ უკავშირდება გარდამავალ ხანას. ასეთი ნიშნებიდან შეიძლება

---

[297] Дневник, გვ. 185; *ლაპიდარული წარწერები I*, გვ. 292-293 (№165); *Monasteries*, სურ. 19, ტაბ. 86.

[298] Дневник, გვ. 186; *ლაპიდარული წარწერები I*, გვ. 293-294 (№166); *Monasteries*, სურ. 20, ტაბ. 87.

დასახელდეს დამჯდარი პროპორციები (მთელი შენობისა და, განსაკუთრებით, გუმბათის ყელისა), უხეშად დამუშავებული ქვის საფასადო წყობა, შეუმკობელი აფრა-ტრომპები, მოუჩუქურთმებელი კარნიზები და სხვა.

თარიღის დასაზუსტებლად მნიშვნელოვანი საყრდენია ეკლესიის წარწერები, რომლებშიც ქტიტორად იხსენიება სუმბატ მეფე. ჯერ კიდევ დ. ბაქრაძემ[299] და ა. პავლინოვმა[300] სწორად გააიგივეს იგი ადარნასე ქართველთა მეფის უმცროს შვილთან სუმბატ კურაპალატთან და, შესაბამისად, ნაგებობის აშენების დრო მისი მეფობის პერიოდით – 954-958 წლებით განსაზღვრეს. ეს დათარიღება თითქმის საუკუნის მანძილზე არ გამხდარა საკამათო. ბოლოხანს ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა ნ. შოშიაშვილმა. მისი აზრით სამხრეთ-დასავლეთ სათაესის აღმოსავლეთ კედლის წარწერაში დაკარგულ ფილაზე სუმბატთან ერთად იხსენიებოდა მისი უფროსი ძმა ბაგრატიც (937-945). ამგვარი რეკონსტრუქციის საფუძველზე ნ. შოშიაშვილმა დოლისყანის ეკლესია X საუკუნის I ნახევრით დაათარიღა[301]. წარწერის ასეთ აღდგენას მიემხრო ვ. ჯობაძეც, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ ეკლესია ძირითადად ააშენა ბაგრატმა, ხოლო სუმბატმა მხოლოდ აღადგინა ან განაახლა ის. დამატებით არგუმენტად ამ აზრის სასარგებლოდ ვ. ჯობაძე მიიჩნევს სხვადასხვა რელიეფების შესრულების სტილისტურ არაერთგვაროვნებასა და გუმბათის ყელისა და ძირითადი კორპუსის სხადასხვაგვარ საფასადო მოპირკეთებას[302]. წარწერებში მოხსენიებული გაბრიელი, ვ. ჯობაძის მიხედვით, იყო ერთ-ერთი იმ ორ ოსტატთაგანი, რომელთაც მიანდო სუმბატმა ეკლესიის განახლება.

მოგვიანებით (ალბათ არაუგვიანეს XI საუკუნისა) ეკლესიის დასავლეთის მკლავში ჩაშენდა ღია პატრონიკე. წყობაზე დაკვირვება მოწმობს, რომ ის მთელი შენობის თანადროული არ არის (ეს ჯერ კიდევ ნ. მარმა შენიშნა). ამავე დროს დასავლეთის მკლავის დასავლეთ კედელში მეორე სართულის დონეზე კარის არსებობა მეტყველებს იმაზე, რომ პატრონიკე აქ თავიდანვე უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, გარკვეული დროის შემდეგ ის მოიშალა და ახლით შეცვალეს. შესაძლოა, თავდაპირველი პატრონიკე ხისა იყო, როგორც შატბერდის (ფენი-რაბათის) ეკლესიაში.

---

[299] Д. Бакрадзе, Об археологической поездке совершенной в 1879 году по поручению Академии Наук в Чорохский бассеин, Батум, Артвин и Артанудж, *Записки Императорской Академии Наук, т. 37, кн. 1*, С.-Петербург, 1880, გვ. 79.

[300] А. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года, გვ. 68.

[301] *ღიაპიდარული წარწერები I*, გვ. 290.

[302] W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 65-67.

დოლისყანის ეკლესია მოხატული იყო. ამჟამად შემორჩენილია მღვდელთმთავართა მეტნაკლებად დაზიანებული ექვსი ფიგურა საკურთხეველის აფსიდის ქვედა რეგისტრში, სარკმლის მარჯვნივ (მარცხნიდან მეორე, წარწერის მიხედვით, არის წმ. ილარიონი, მესამე – წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედი. სხვების ვინაობა ვერ დგინდება), და განკითხვის დღის სცენის ფრაგმენტები სამხრეთის კარის ტიმპანში. 1964-1967 წლებში ნ. და ჟ.-მ. ტჲერის მხატვრობა ბევრად უკეთეს მდგომარეობაში დახვდა, კერძოდ ჯერ კიდევ არ იყო შეთეთრებული საკურთხევლის შუა (მოციქულთა ფიგურები) და ზედა (მაცხოვრის დიდი ფიგურა) რეგისტრები. ჩანდა აგრეთვე მხატვრობის დიდი ფრაგმენტები გუმბათის ყელსა (წინასწარმეტყველთა ფიგურები) და საკუთრივ გუმბათში (მაცხოვრის ამაღლების კომპოზიცია). ნ. ტჲერი საკურთხეველისა და გუმბათის ნახევარსფეროს მხატვრობას XI-XII საუკუნეთა მიჯნით ათარიღებს, გუმბათის ყელისას – XII-XIII საუკუნეთა მიჯნით, სამხრეთის კარის ტიმპანისას – XIII საუკუნის I ნახევრით[303]. ვ. ჯობაძე პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით ფიქრობს, რომ დოლისყანის მოხატულობა, მთლიანად XIII საუკუნისა უნდა იყოს[304].

დოლისყანის ეკლესიის სამხრეთის მკლავის დასავლეთ კედელსა და დასავლეთის მკლავის სამხრეთ კედელზე მრავალად არის ბათქაშზე ნაკაწრი და საღებავით დატანილი წარწერები, სავარაუდოდ XIV-XV საუკუნეებისა. მათი ნაწილი გამოაქვეყნა ზ. სხირტლაძემ[305]. საყურადღებოა, რომ რამდენიმე წარწერა იწყება მიმართვით მთავარანგელოზებისადმი. ეს გარემოება – ისევე, როგორც წმ. მიქაელისა და გაბრიელის გამორჩეული წარმოდგენა შენობის სკულპტურულ დეკორში – მაფიქრებინებს, რომ ეკლესია წმ. მთავარანგელოზთა სახელობისა უნდა ყოფილიყო[306].

XIX საუკუნეში დოლისყანის ეკლესია თურქებმა ჯამედ აქციეს. თავიდან ჯამეს მთელი შენობა ეკავა, როგორც მოწმობს სამხრეთის მკლავში იატაკის დონეზე გამოღებული მიჯრაბი. 1960-იანი წლების ბოლოს ეკლესიაში ზემოთნახსენები ხის კონსტრუქცია ჩადგეს და ჯამეს იატაკი მაღლა, პატრონიკეს დონეზე აწიეს; ახალი იატაკის ზემოთ მხატვრობა მთლიანად შეათეთრეს; პატრონიკე ძირითადი

---

[303] N. Thierry, Peintures géorgiennes en Turquie, *Bedi karthlisa: Revue de karthvélologie, vol. XLII*, 1984, გვ. 135-141, სურ. 3-10.

[304] W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 58.

[305] ზ. სხირტლაძე, უცნობი ეპიგრაფიკული მასალები საქართველოს სამხრეთი ისტორიული პროვინციებიდან, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2*, 1993, გვ. 90-102.

[306] ჟ.-მ. ტჲერის აზრით, დოლისყანის ეკლესია წმ. სტეფანეს სახელობისა იყო (Topographie et état actuel, გვ. 140).

სიერცისაგან კედლით გამოყვეს და ჯამეს თავისებურ ვესტიბულად აქციეს. პატრონიკეს ჩანგრევის შემდეგ საჭირო გახდა ახალი შესასვლელის მოწყობა. კარი გაინგრა ჩრდილოეთის მკლავში, სარკმლის ქვემოთ და ნაწილობრივ შეიწირა ის.

1970-80-იან წლებში შენობა შედარებით კარგად იყო მოვლილი სოფლის იმდროინდელი იმამის ილქერ დემირის წყალობით. მისი ინიციატივით შეკეთდა სახურავი და დანგრეული სამხრეთ-დასავლეთ სათავსისგან დარჩენილი აღმოსავლეთ კუთხე, რამაც იხსნა ეკლესია შემდგომი ნგრევისაგან. 1999 წელს ჯამე ეკლესიიდან გაიტანეს.

თავი IX.

შატბერდი – „დიდებული ლავრა“

820-იან წლებში აშოტ კურაპალატმა ხანძთის მცირემიწიან მონასტერს „აგარაკად“ ანუ სახნავ-სათესად უბოძა “შატბერდისა ადგილი“. თავიდან მას სამეურნეოდ იყენებდნენ, მაგრამ ძალიან მალე, უკვე 830 წლის ახლოს შატბერდის „აგარაკზე“ ღმრთისმშობლის მონასტერი აშენდა. მშენებლობის თაოსანი იყო გრიგოლ ხანძთელი, ქტიტორი – თავად ბაგრატ კურაპალატი.

ჩვენ ცოტა რამ ვიცით შატბერდის მონასტრის ისტორიის პირველი ათწლეულებიდან. უმთავრესი, რაც 830-50-იან წლებში გამოარჩევდა შატბერდს „საქართველოს სინას“ სხვა მონასტრებისაგან, ის იყო, რომ თვით გრიგოლ ხანძთელი ძირითადად აქ ცხოვრობდა. სიცოცხლის ბოლო ხანებში გრიგოლი ისე მიეჯაჭვა შატბერდს, რომ ხანძთის ბერებმა უკმაყოფილებაც კი გამოთქვეს ამის გამო და საგანგებოდ მიაკითხეს თავიანთ მოძღვარს ხანძთაში დაბრუნების თხოვნით[307].

შატბერდის მონასტრის განსაკუთრებული აღმავლობა IX საუკუნის მიწურულიდან იწყება და, როგორც ჩანს, დაკავშირებულია მონასტრის იმდროინდელი წინამძღვრის სოფრონის მოღვაწეობასთან. გიორგი მერჩულე მას ასე ახასიათებს: „დიდი სოფრონ სანატრელი მამაჲ, შატბერდისა განახლებით აღმაშენებელი და უკუნისამდე გჳრგჳნი მისი“[308]. როგორც ჩანს, სოფრონმა ან აღადგინა მონასტრის ძველი, გრიგოლისდროინდელი ეკლესია, ან სულაც ახალი ეკლესია ააგო. შესაძლოა, მანვე ააშენა სხვა სამონასტრო ნაგებობებიც, კერძოდ, სკრიპტორიუმი, რომელმაც შემდგომში ესოდენ დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარებაში. ყოველ შემთხვევაში, შატბერდი, როგორც მწიგნობრობის ცენტრი, სწორედ ამ დროიდან დაწინაურდა.

შატბერდის სკრიპტორიუმში შექმნილ უადრეს ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერად ითვლება ადიშის ცნობილი ოთხთავი, შექმნილი 897 წელს. მისი მინაწერებიდან ვიგებთ, რომ ოთხთავის მომგებელი ყოფილა ვინმე სოფრონი, რომელსაც სამართლიანად აიგივებენ შატბერდის მონასტრის ზემოთნახსენებ წინამძღვართან. ეს არის ჩვენთვის ცნობილი უძველესი ქართული თარიღიანი

---

[307] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 308-309.

[308] იქვე, გვ. 294.

სახარება და ამასთანავე უადრესი მინიატურებიანი ხელნაწერი. 936 წელს შატბერდში შეიქმნა მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ხელნაწერი წიგნი – ჯრუჭის ოთხთავი (H-1660). ზოგი შატბერდელი მწიგნობარი განსწავლულობასთან ერთად კალიგრაფიული ოსტატობითაც გამოირჩეოდა. ასეთი იყო მაგალითად, იოანე ბერაძი. 973 წელს მან გადაწერა პარხლის ოთხთავი (A №1453), ერთ-ერთი ულამაზესი ქართული ხელნაწერი წიგნი. დაახლოებით იმავე ხანებში იოანე ბერაძმ მშობლიური მონასტრისათვის შეადგინა (და ნაწილობრივ თავადვე გადაწერა) შატბერდის კრებული (S №1141), რომელიც კარგად გვიხასიათებს მისი განსწავლულობის ხარისხს. კრებულის შექმნაში ასევე მონაწილეობდნენ იოანეს ბიძა მიქაელი და ძმა დავითი. ეს ორი პირი კარგად არის ცნობილი ქართული მწიგნობრობის ისტორიაში. დავითი 979 წელს საგანგებოდ მიიწვიეს შატბერდიდან ოშკში იოანე-თორნიკეს ანდერძის შესადგენად. ეს სამფურცლიანი ანდერძი, რომელიც ნატიფი ლიტერატურული სტილის შესანიშნავი ნიმუშია, დაურთეს „სამოთხის" ორიოდე წლით ადრე დამზადებულ ხელნაწერს (Ath №9) ათონზე გაგზავნის წინ[309]. რაც შეეხება იოანე ბერაძსა და დავითის ბიძას მიქაელს, ეს არის დიდი ჰიმნოგრაფი მიქაელ მოდრეკილი, რომელიც, ბოლოხანს საბოლოოდ დამკვიდრებული აზრით, ასევე შატბერდის მონასტერში მოღვაწეობდა[310]. აქ შეადგინა მან 978-988 წლებს შორის თავისი განთქმული იადგარი (S №425), რომელშიც თავი მოუყარა იმჟამად ქართულ ღმრთისმსახურებაში გავრცელებულ საგალობლებს.

შატბერდის სკრიპტორიუმს უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა X საუკუნის საქართველოს სულიერ ცხოვრებაში. აქ მოღვაწე მწიგნობართა გუნდმა სრულიად განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საეკლესიო ლიტერატურის შექმნაში, თარგმნაში, შეგროვებასა თუ გამრავლებაში. ა. შანიძის აზრით, შატბერდი იყო ოთხთავის ქართული თარგმანის რევიზიის ერთ-ერთი (საფიქრელია – მთავარი) ცენტრი[311].

---

309 *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია*, I, თბილისი, 1986, გვ. 45-47; ე. მეტრეველი, *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, თბილისი, 1996, გვ. 10-15.

310 თ. ჟორდანია, *ქრონიკები*, I, გვ. 115; პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 352, 761-769; *შატბერდის კრებული X საუკუნისა*, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ულ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979, გვ. 25; ე. მეტრეველი, *ნარკვევები*, გვ. 10. კ. კეკელიძე მიქაელ მოდრეკილს ოშკელ მოღვაწედ მიიჩნევს (*ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I, გვ. 175-176). მას ეთანხმება ლ. მენაბდეც (*ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. I, გვ. 452).

311 *ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით*, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945, გვ. 011.

ნიშანდობლივია, რომ ჩვენს დრომდე მოღწეული სამივე უძველესი ქართული ოთხთაეი – ადიშისა, ჯრუჭისა და პარხლისა – სწორედ შატბერდშია გადაწერილი.

X საუკუნის ბოლოდან შატბერდმა დაკარგა წამყვანი მწიგნობრული ცენტრის მნიშვნელობა. ქართული სულიერი კულტურის მთავარმა კერებმა სამხრეთ საქართველოდან უცხოეთში – ივირონსა და შავი მთის მონასტრებში გადაინაცვლა. თუმცა საკუთრივ საქართველოს მონასტრებს შორის შატბერდი კელავაც გამორჩეული სახელით სარგებლობდა. 1060 ან 1061 წელს აქ რამდენიმე წლით დამკვიდრდა ბაგრატ IV-ის მოწვეეთი საქართველოში ჩამოსული გიორგი მთაწმინდელი[312]. XII საუკუნიდან, ცოდნის ახალი კერების – გელათისა და იყალთოს აკადემიების დაარსების კვალდაკვალ, ის ეროგეარად უკანა პლანზე გადადის. ანდერძ-მინაწერებში შატბერდი უწინდებურად „დიდებულ ლავრად“ მოიხსენიება, მაგრამ აქ ვეღარ ვხედავთ ვისმე ასე თუ ისე თვალსაჩინო მოღვაწეს. როგორც ჩანს, მკვეთრად იკლო შატბერდის სკრიპტორიუმის აქტივობამაც – ჩვენს დრომდე მოაღწია XII-XIII საუკუნეების სულ ორიოდე შატბერდულმა ხელნაწერმა.

XIX საუკუნიდან, როცა დაიწყო საქართველოს სიძველეთა მეცნიერული შესწავლა, ბუნებრივია, მკვლევარები დაინტერესდნენ შატბერდის ადგილმდებარეობის საკითხითაც. პირველი, ვინც ამ საკითხზე მოსაზრება გამოთქვა, იყო მ. ბროსე. მან სწორად შენიშნა, რომ შატბერდი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა, მაგრამ დაზუსტებულ ლოკალიზაციას მოერიდა და ზოგადად მიუთითა, რომ მონასტერი ახალციხის სამხრეთით არის საძიებელი[313]. დ. ბაქრაძეს შატბერდი თავიდან სამცხეში ეგულებოდა[314], მოგეიანებით კი, მას შემდეგ, რაც კლარჯეთში იმოგზაურა და ღოლისყანა ნახა, შატბერდი მასთან გააიგივა[315]. იმხანად უკვე ცნობილი იყო „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ ტექსტი, რომელ'ში'ც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ შატბერდი კლარჯეთშია, მაგრამ ეს ცნობაც საკამათო გახდა. ე. თაყაიშვილმა ერთ-ერთ

---

[312] ცხორება გიორგი მთაწმინდელისა, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II*, თბილისი, 1967, გვ. 93. გიორგი მთაწმინდელი საქართველოში 1060 წელს ჩამოვიდა. თავიდან მან მცირე ხანი ნეძეში დაჰყო და შემდეგ გადავიდა შატბერდში. თარიღისათვის იხ.: კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I, გვ. 217. შეადარე: თ. ჟორდანია, *ქრონიკები*, I, გვ. 97.

[313] M. Brosset, *Voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arémnie, exécute en 1847-1848, XIIe rapport*, S.-Pétersbourg, 1851, გვ. 85.

[314] Д. Бакрадзе, Сванетия, *Записки КОИРГО*, VI, 1864, გვ. 76.

[315] დ. ბაქრაძე, *ისტორია საქართველოსი*, ტფილისი, 1889, გვ. 233.

ადრეულ ნაშრომში ყურადღება გაამახვილა ტოპონიმ „შატბერდის“ სომხურ წარმომაელობასა[316] და სომხური მინაწერების არსებობაზე შატბერდიდან მომდინარე ხელნაწერებში. ამ ფაქტორების გათვალისწინებით მან გადაწყვიტა რომ შატბერდი (ისევე, როგორც ხანძთა – მის მიხედვით, „ხანძოეთი“ – და კალმახი) ისტორიულ სომხეთში იყო საძიებელი. კერძოდ, მან შატბერდად მიიჩნია მდ. ევფრატის ხეობაში მდებარე პუნქტი ხარბერდი[317]. ეს მოსაზრება, რომლის მცდარობა იმთავითვე აშკარა იყო, მკაცრად გააკრიტიკა თ. ჟორდანიამ. ის გრ. გურიელის ცნობაზე დაყრდნობით ფიქრობდა, რომ ძველი შატბერდი არის ჭოროხის ხეობაში, ართვინიდან 40 ვერსის დაცილებით მდებარე სოფელი შახბედი[318].

შატბერდის ზუსტი ლოკალიზაციის პრობლემა არ გადაჭრილა მას მერეც, რაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ სრული ტექსტი გამოქვეყნდა და უცილობლად გაირკვა, რომ მონასტერი კლარჯეთშია საძიებელი. 1904 წელს კლარჯეთში ჩასული ნ. მარი ბევრს ეცადა რაიმე შეეტყო შატბერდის შესახებ, მაგრამ ასეთი სახელწოდების პუნქტი აქ აღარავინ იცოდა. საბოლოოდ ნ. მარმა შატბერდი გააიგივა ოპიზის მახლობლად, სოფელ ქვემო ფორთაში მდებარე დიდ ნამონასტრალთან[319]. იდენტიფიკაციის ეს ვერსია ერთხანს

---

[316] „შატბერდი“ კლარჯეთის ერთ-ერთ იშვიათ სომხურ ტოპონიმთაგანია. მისი მეორე ნაწილი – „ბერდ“ (ნიშნავს „ციხეს“) წარმოადგენს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ფართოდ გავრცელებულ მაწარმოებელს და ხშირად გეხვდება სომხურ ტოპონიმებში (ვოხჯაბერდი, მაღასბერდი, ამბერდი, არინბერდი, არცვაბერდი და მრავალი სხვა). პირველი ნაწილის – „შატ“-ის ეტიმოლოგია უფრო ძნელი ასახსნელია. შესაძლოა, ის ნიშნავდეს „ქალაქს“ („შატ-ბერდ“ – „ქალაქ-ციხე“ ანუ „ციხე-ქალაქი“), თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ სახის კომპოზიტურ ტოპონიმებში „შატ“ ყოველთვის მეორე ადგილას დგას (არტაშატი, აიგეშატი, ერევანდაშატი, შამშატი, არშამოშატი და სხვა) და თითქოს არასდროს – პირველზე. ე. თაყაიშვილს „შატ ბერდ“ ესმოდა, როგორც „ბევრი ციხე“ (*სამი ისტორიული ხრონიკა*, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ, ტფილისი, 1890, გვ. XX. ამ აზრს იზიარებს ჟ.-მ. ტიერიც: J.-M. Thierry, Note sur les monuments de la Vallée du Karçkal, *Revue des études géorgiennes et caucasiennes 8-9*, 1992-1993, გვ. 234), მაგრამ ამგვარი ინტერპრეტაციაც ერთგვარად ხელოვნურია. ასევე თუ ისე, „ბერდ“ კომპონენტი ადგილის სახელწოდებაში აქ ციხის არსებობაზე მიგვანიშნებს. პ. ინგოროყვას მოსაზრება, თითქოს შატბერდი ანუ იგივე შატბერთი „ქართული გეოგრაფიული სახელებისათვის დამახასიათებელი ბოლოკიდური ფორმანტით «-თი»... ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის“ (*გიორგი მერჩულე*, გვ. 436), დამაჯერებელი არ არის.

[317] *სამი ისტორიული ხრონიკა*, გვ. LXVII-LXXIII.

[318] თ. ჟორდანია, *ქრონიკები*, I, გვ. 97-98.

[319] Н. Марр, Дневник, გვ. 139 და შემდეგ.

ყველაზე სარწმუნოდ ითვლებოდა. ის გაიზიარეს უ. ალენმა[320], ს. ჯანაშიამ[321], ლ. მენაბდემ[322] და სხვებმა. 1950-იან წლებში პ. ინგოროყვამ დაწერილებით განიხილა „გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ ცნობები და დაამტკიცა, რომ გვიანდელი ქვემო ფორთა არის ძველი ხანძთა და არა შატბერდი[323]. პ. ინგოროყვამ პირველმა გაამახვილა ყურადღება გიორგი მერჩულის თხზულების იმ მონაცემებზე, რომლებიც შატბერდის მდებარეობის დასადგენად უმთავრეს საყრდენს წარმოადგენს და რომლებსაც ქვემოთ საგანგებოდ შეეხები.

როგორც შატბერდის ლოკალიზაციის სავარაუდო ვერსიები, პ. ინგოროყვამ დაასახელა არტანუჯიდან ათიოდე კმ-ით აღმოსავლეთით მდებარე პუნქტი შაგორა და თ. ჟორდანიას მიერ ნახსენები შახბედი[324]. ამ ვერსიებს რაიმე სერიოზული საფუძველი არა აქვს და მათ მკვლევართა მხარდაჭერა ვერ პოვეს. შაგორა (ახლანდელი ქიოსელერი, Köseler) მაღალმთიანი სოფელია, რაც არ ეთანხმება გიორგი მერჩულეს ცნობას (იხ. ქვემოთ). თანაც აქ მხოლოდ პატარა დარბაზული ეკლესია დგას[325], რომელსაც ვერაფრით მივიჩნევთ „დიდებული ლაერის“ ნაშთად. ფონეტიკურადაც „შაგორა“ “შატბერდს“ ვერ დაუკავშირდება. რაც შეეხება სოფელ შახბედს, თვით მისი არსებობაც საეჭვოა, ვინაიდან მის შესახებ გრ. გურიელის ზერელე ზეპირი ცნობის გარდა სხვა ინფორმაცია არ მოიპოვება. არცერთი სხვა ავტორი ასეთ პუნქტს არ ახსენებს, ის არ არის აღნიშნული XIX საუკუნის ხუთვერსტიან რუკებზე. გრ. გურიელს სოფლის ზუსტი ადგილმდებარეობაც არ მიუთითებია.

1966 წელს ი. ზდანევიჩმა ბიზანტინისტთა XIII საერთაშორისო კონგრესთან დაკავშირებით გამოსცა ბროშურა, რომელშიც მოკლე ძირითად ტექსტს ერთვის „თურქეთის საქართველოს“ ეკლესიათა ვრცელი ნუსხა[326]. მასში 30-ე ნომრად შეტანილია ჟენი-რაბათი – ჯერ კიდევ ა. პავლინოვისა და ნ. მარის ნაშრომებიდან ცნობილი

---

[320] W. Allen, *A History of the Georgian People*, London, 1932, გვ. 297, 430. რუკაზე უ. ალენი შეცდომით ათავსებს ფორთას ართვინის მიდამოებში.

[321] С. Джанашия, *Об одном примере искажения исторической правды*, Тбилиси, 1947, გვ. 38.

[322] ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. I, ნაკვეთი II, გვ. 413-414.

[323] პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 311-312.

[324] იქვე, გვ. 317-318.

[325] J.-M. Thierry, Topographie et état actuel des monuments géorgiens en Turquie orientale, *Revue des études géorgiennes et caucasiennes 5*, 1989, გვ. 144, ნახ. 21.

[326] I. Zdanevitch, *L'Itineraire géorgien de Ruy Gonzales de Clavijo et les églises aux confines de l'Atabegat*, Paris, 1966, გვ.12.

ეკლესია – და იქვე კითხვის ნიშნით მიწერილია: შატბერდი. ამრიგად, ი. ზდანევიჩი იყო პირველი ავტორი, რომელმაც ივარაუდა დენი-რაბათისა და შატბერდის იგივეობა. ამ ვარაუდის დასაბუთება მას არ უცდია.

ი. ზდანევიჩის მიერ ფრთხილად გამოთქმულ მოსაზრებას სხვა მკვლევართა ასეთივე ფრთხილი რეაქცია მოჰყვა. ის შეუკამათებლად დაიმოწმეს ნ. და ჟ.-მ. ტიერიმ[327], თუმცა შემდეგ ნაშრომებში აღარ მოუხსენიებიათ[328]. უფრო ერცლად შეეხო ამ საკითხს ვ. ჯობაძე, რომელიც წერს: „არტანუჯსა და იმერხევს შორის ჩემი მოგზაურობისა და მუშაობის დროს ვერსად მივაგენი რაიმე ნანგრევსა თუ ნაგებობას, რომელიც შეიძლებოდა შატბერდი ყოფილიყო. ერთადერთი მონასტერი, რომელიც ზემოხსენებულ მონათხრობში (საუბარია ბაგრატ კურაპალატის მიერ კლარჯეთის მონასტრების მონახულების ამბავზე „გრიგოლ ხანძთელის ცხოერებაში" – დ. ხ.) ხსენებულ შატბერდად შეიძლება მივიღოთ, უნდა იყოს ამჟამად დენი-რაბათის სახელით ცნობილი ადგილი"[329]. მაგრამ მტკიცე დასკვნის გამოტანას ვ. ჯობაძე მაინც ერიდება და თავის წიგნში ცალკე თავს უთმობს დენი-რაბათს და ცალკე – შატბერდს (მასში მხოლოდ მწიგნობრული მასალაა მოტანილი[330]). თუმცა სხვაგან მკვლევარი ზოგჯერ მაინც მოიხსენიებს მათ, როგორც ერთი მონასტრის ორ სხვადასხვა (ძველ და ახალ) სახელწოდებას – კითხვის ნიშნით ან სულაც მის გარეშე[331].

---

[327] N. et J.-M. Thierry, Notes d'un nouveau voyage en Géorgie turque, *Bédi Kartlisa: Revue de kartvelologie*, *XXV*, Paris, 1968, გვ. 51. ავტორები აღნიშნავენ (იქვე, გვ. 53), რომ თუ დენი-რაბათი მართლაც შატბერდია, ეკლესია (ნ. და ჟ.-მ. ტიერის აზრით, ის XI საუკუნის შუახანებისაა) ვერ იქნება ის, რომელიც გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით აშენდა. მკვლევარებს გამორჩათ, რომ გრიგოლისდროინდელი ეკლესია შატბერდში უკვე IX-X საუკუნეთა მიჯნაზე შეცვალა სოფრონის მიერ აგებულმა მეორე ეკლესიამ. თუ ელაპარაკობთ დენი-რაბათისა და შატბერდის იგივეობაზე, ამჟამად მდგარი ეკლესია რიგით მესამეა და არა მეორე.

[328] J.-M. Thierry, Topographie et état actuel des monuments géorgiens en Turquie orientale, გვ. 144. აქ, მოკლე ანოტაციაში დენი-რაბათის შესახებ ი. ზდანევიჩის ვარაუდი ნახსენებიც არ არის.

[329] W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 41.

[330] იქვე, გვ. 40-44.

[331] იქვე, გვ. 2 (ტაო-კლარჯეთის რუკა), 37 (შენიშვნა 121), 56, 147, 222 (აქ Lapsus kalami-ა: დენი-რაბათს ფრჩხილებში უწერია ბერთა. ცხადია, უნდა იგულისხმებოდეს შატბერდი. ბერთის ადგილმდებარეობა კარგა ხანია ცნობილია და საკამათო არ არის). სხვათა შორის, როგორც ჰ. ზაქარაია გვამცნობს, ვ. ჯობაძე „...კერძო საუბარში ამტკიცებდა, რომ დენი-რაბათი არის შატბერდი" (*ЗТК*, გვ. 88).

ქართველი მკვლევარები მოსაზრებას შატბერდისა და ჟენი-რაბათის იგივეობის თაობაზე უფრო სკეპტიკურად შეხვდნენ. ჯ. ზაქარაიას ერთგან აღნიშნული აქვს, რომ ი. ზდანევიჩისა და ნ. და ჟ.-მ. ტაერის აზრით, ჟენი-რაბათი არის ძველი შატბერდი[332]. სხვა ავტორები ამ საკითხს საერთოდ არ შეეხებიან. ვ. ბერიძე 1981 წელს წერდა: „უნდა შევეგუოთ იმას, რომ ნამდვილი (подлинный) შატბერდი ჩვენთვის რეალურად უცნობია"[333].

ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხზე ცნობების უმთავრესი წყაროა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება". შატბერდი მასში ხშირად იხსენიება, მაგრამ მონასტრის ადგილმდებარეობის დასადგენად განსაკუთრებით საყურადღებოა სამი ეპიზოდი:

1. გრიგოლ ხანძთელმა აშოტ კურაპალატთან საუბრისას შენიშნა, რომ ხანძთის საკანესთან „...სათესაკი ყანაჲ და სათიბელი ქუეყანაჲ რაჲთურთ არა არს, არცა იქმნების ღირღლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოსაჲთა". პასუხად აშოტმა შეწირა „შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანცთისა"[334].

2. ბაგრატ კურაპალატმა და მისმა ძმებმა გადაწყვიტეს კლარ-ჯეთში ახლადაშენებული მონასტრების მონახულება. თაეიანთი სატახტო ქალაქიდან – არტანუჯიდან ისინი გრიგოლ ხანძთელის თანხლებით პირველად მივიდნენ შატბერდში. იქიდან წამოსულებს მათ შეუერთდა ანნელი ეპისკოპოსი ზაქარია და ყველანი გაემართ-ნენ ჯმერკს, ბერთასა და დაბას, აქედან გადავიდნენ ოპიზაში და ბოლოს ესტუმრნენ ხანძთას[335].

3. კლარჯეთის საკანეთა ჩამოთვლისას აღნიშნულია, რომ შატბერდი „სხუათა მათ უდაბნოთა მცირედ შორაეს"[336].

დავიწყებ უკანასკნელი პუნქტით. „სხუათა მათ უდაბნოთა მცირედ შორაეს" ცხადია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს შატბერ-დი ცოტა მეტად იყოს დაცილებული მეზობელი მონასტრისაგან, ვიდრე ეს უკანასკნელი – სხვისაგან. აქ უთუოდ იგულისხმება, რომ თუ ყველა სხვა მონასტერი ერთ კომპაქტურ ჯგუფად არის განლაგებული საკმაოდ მცირე ტერიტორიაზე იმერხევში, შატბერდი ამ ჯგუფში არ შედის, ის მისგან მოშორებით მდებარეობს.

ძალზე მნიშვნელოვანია მეფეთა მოგზაურობის ამბავი, კერძოდ პუნქტების თანმიმდევრობა მათ გზაზე. გიორგი მერჩულე აღწერს ლოგიკურ მარშრუტს, რომელიც ზუსტად ასახავს „საქართველოს სინას" ტოპოგრაფიას (იხ. რუკა გვ. 50-ზე). მეფეები მდ. იმერხევის

---

[332] *ЗТК*, გვ. 85.
[333] *АТК*, გვ. 189.
[334] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 262.
[335] იქვე, გვ. 275-276.
[336] იქვე, გვ. 313.

ხეობას აღმა მიუყვებიან და აქ განლაგებულ მონასტრებს არტანუჯიდან დაცილების თანმიმდევრობით ნახულობენ: თავიდან განაპირა სამხრეთ-დასავლეთისას – ჯმერკს[337], შემდეგ ბერთას, დაბას, ოპიზას და ხანძთას (უფრო შორს, მიძნაძორში, წყაროსთავსა და ბარეთელთაში მეფეები აღარ წასულან, ვინაიდან ამ მონასტრების წინამძღვრებმა თავად ინებეს მათთან შესახვედრად ხანძთაში მისვლა). მანამდე კი ისინი ესტუმრებიან შატბერდს, რომელიც, როგორც აშკარად ჩანს, იმერხევში არ მდებარეობს.

ამრიგად, ჩვენ ვიცით, ერთი მხრივ, რომ შატბერდი იმერხევში განლაგებული მონასტრებისაგან დაშორებულია, მეორე მხრივ, რომ არტანუჯიდან გამოსული მგზავრისათვის, რომელსაც ყველა საკანის შემოვლა სურს, მოსახერხებელია ჯერ შატბერდში მივიდეს და მერე გაემართოს იმერხევისკენ. ჲენი-რაბათი ამ მონაცემებს ზედმიწევნით შეესაბამება. თუ შატბერდს მის ადგილას ვიგულებთ, გამოდის, რომ არტანუჯიდან დაძრულმა მეფეებმა გაიარეს თხუთმეტიოდე კმ აღმა მდ. არტანუჯისწყლის ხეობაში, მოინახულეს აქ მდებარე მონასტერი, შემდეგ უკან გამობრუნდნენ, კელავ გაიარეს არტანუჯი და გზა განაგრძეს იმერხევისკენ. ყოველივე ეს ოდნაკაც არ ეწინააღმდეგება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მონაცემებს.

საინტერესოა, რომ ანჩელი ეპისკოპოსი ზაქარია მეფეებს ხვდება მათი შატბერდში სტუმრობის მერე და შემდგომ გზას მათთან ერთად აგრძელებს. შეხვედრის ზუსტი ადგილი ჰაგიოგრაფს მითითებული არა აქვს, მაგრამ მისი მონათხრობიდან ნათლად ჩანს, რომ შეხვედრა მონასტერში არ შემდგარა: „და რაჟამს წარმოვიდეს შატბერდით ჴელმწიფენი იგი, და ნეტარი გრიგოლ წინა-უძღოდა მათ, მაშინ მოვიდა ზაქარია ანჩელი ეპისკოპოსი... და თანა წარიყვანეს, და მოიწინეს ჯმერკს და ბერთას“[338]. ვ. ჯობაძე ვარაუდობს, რომ შატბერდიდან მობრუნებული მეფეები თავად ეწვიენენ ეპისკოპოსს ანჩში[339], მაგრამ ეს ძნელად წარმოსადგენია: ანჩიდან უმოკლესი პირდაპირი ისტორიული გზა გადადის ხანძთისკენ და მეფეები რომ აქ მოსულიყვნენ, გზას აღარ გაიმრუდებდნენ – თავიანთ მსვლელობას იმერხევში ხანძთით დაიწყებდნენ და არა ჯმერკით. საფიქრელია, რომ ზაქარია ეპისკოპოსის შეხვედრა

---

[337] საგულისხმო დეტალია: მეფეების ჯმერკში, ბერთასა და დაბაში მისვლის ამბის მოყოლისას გიორგი მერჩულე წინდახედულად უთითებს, რომ დოლისყანაში მაშინ მონასტერი ჯერ არ იყო დაარსებული. დოლისყანა ხეობაში ჯმერკზე რამდენიმე კილომეტრით ქვემოთაა და აქ რომ იმხანად მონასტერი უკვე ყოფილიყო, მგზავრებს პირველად სწორედ ის უნდა მოენახულებინათ.

[338] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 275.

[339] W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 41.

მეფეებთან მოხდა არტანუჯში, მას შემდეგ, რაც ისინი შატბერდიდან გამობრუნდნენ. ანჩელი ეპისკოპოსი უთუოდ მიწვეული იყო მსელელობაში მონაწილეობის მისაღებად და ალბათ წინასწარ იცოდა მარშრუტიც. რაღაც მიზეზით მან ვერ შეძლო მეფეთა თანხლება შატბერდში, ამიტომ თავისი რეზიდენციიდან არტანუჯს ჩავიდა და იქ შეუერთდა მათ შემდგომ მოგზაურობაში.

რა თქმა უნდა, საგულისხმოა ისიც, რომ „შატბერდისა ადგილი" თავიდან „აგარაკად", ე. ი. სამეურნეოდ ებოძა სახნავ-სათესი მიწებით ღარიბ ხანძთის მონასტერს. ჲენი-რაბათის ეკლესია დგას ფართო ამწვანებულ ხეობაში, რომლის მდიდარი ბუნებაც მკვეთრად განსხვავდება კლდოვან ქედზე გაშენებული ხანძთის მკაცრი ლანდშაფტისაგან. სოფლის მეურნეობისათვის აქ საუკეთესო პირობებია. ამ ფაქტის მნიშვნელობას აღნიშნავს ვ. ჯობაძეც, რომელიც წერს, რომ დღევანდელი ჲენი-რაბათის მიდამოების „ნაყოფიერი სახნავი მიწა და საძოვრები... ძალზე მიმზიდველი უნდა ყოფილიყო ხანძთის მუდმივად მზარდი, უმიწო მონასტრისათვის"[340].

ჲენი-რაბათის ეკლესია თავისი სოლიდური ზომითა და მაღალპროფესიული არქიტექტურით სავსებით შეეფერება „დიდებული ლავრის" მთავარი ტაძრის როლს. ახლა მის ირგვლივ სხვა ძველი ნაგებობები აღარ არის, მაგრამ ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ ისინი იმდენი იყო, რომ ა. პაელინოვმა „ძველი ქალაქის ნანგრევებად" მიიჩნია[341]. უეჭველია, თავის დროზე აქ დიდი მონასტერი უნდა ყოფილიყო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, საკმარისი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შატბერდი მდებარეობდა ახლანდელი ჲენი-რაბათის ადგილას და რომ აქ შემონახული ეკლესია „დიდებული ლავრის" ნაშთია. ბოლო წლებში ამ მოსაზრებას არაერთი ავტორი მიემხრო[342]. ის დამკვიდრდა მრავალრიცხოვან გზამკვლევებშიც[343].

---

[340] იქვე.

[341] А. Павлинов, Экспедиция на Кавказ, გვ. 69.

[342] იხ., მაგალითად: გ. ბაგრატიონი, მოგზაურობა თურქეთში, *ძეგლის მეგობარი*, 2 (93), 1996, გვ. 56; ი. გიეიაშვილი, ი. კოპლატაძე, *ტაოკლარჯეთი*, თბილისი, 2004, გვ. 48-52.

[343] იხ., მაგალითად: V. und H. Hell, *Türkey II: Nordtrükey, Osttürkey, Südtürkey. Kunst- und Reiseführer mit Landeskunde*, Stuttgart-Berlin-Köln-Mainz, 1981, გვ. 85; J. Freely, *The Black Sea Coast of Turkey*, Istanbul, 1996, გვ. 172; R. Ayliffe, M. Dubin and J. Gawthrop, *Turkey. The Rough Guide*, London, 1998, გვ. 601; S. Nişanyan, M. Nişanyan, *Black Sea: A Traveller's Handbook for Northern Turkey*, Istanbul, 2000, გვ. 187. შატბერდ-ჲენი-რაბათის იგივეობის ვერსიის გაზიარება ბოლოდროინდელ თურქულ გზამკვლევებში მით უფრო საგულისხმოა, რომ ცოტა ხნის

სოფელი ჲენი-რაბათი (Yeni Rabat, ახლანდელი ბულანიქი, Bulanık) მდებარეობს მდინარე არტანუჯისწყლის მარჯვენა ფერდობზე. ეკლესია დგას სოფლის ცენტრიდან ორიოდე კმ-ით დაცილებულ განაპირა ჩრდილო-დასავლეთ უბანში, რომელსაც ჩამლიქი (Çamlik) ეწოდება.

პირველ მსოფლიო ომამდე ჲენი-რაბათში გრიგორიანელი სომხები ცხოვრობდნენ და ეკლესიაც მათ ეკავათ[344]. ისინი შეძლებისდაგვარად უელიდნენ შენობას და ნაწილობრივ აღადგინეს კიდეც – როგორც ნ. მარი გვამცნობს, მის მოგზაურობამდე 40-იოდე წლით ადრე[345], ე. ი. 1860-იან წლებში. შეკეთებამ, რომელიც ყველაზე მეტად დასავლეთის მკლავს შეეხო, დაამახინჯა შენობა, მაგრამ უეჭველად იხსნა სწრაფი ნგრევისაგან. ამჟამად ის, კლარჯეთის სხვა დიდ ეკლესიებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაშია, თუმცა დაზიანებას მაინც ვერ გადაურჩა. ჩანგრეულია საკურთხეველის აფსიდის კონქის სამხრეთ ნაწილი, სადიაკენეს კამარა, სამკვეთლოს აფსიდის კონქის ნაწილი და სატრიუმფო თაღი, სამხრეთის მკლავის კამარის დიდი ნაწილი, დასავლეთის მკლავის კამარის დასავლეთ მონაკვეთის სამხრეთ ფერდი. საკურთხეველის სარკმლის ქვეშ კედელი უხეშად არის განგრეული – აქ თითქოს შესასვლელი გაუკეთებიათ. თლილი ქვის საპირე წყობა შიგნითაც და გარეთაც დიდწილად მორღვეულია – სადაც კი იოლად სწვდებოდნენ, სუფთად დამუშავებულ ქვებს ხსნიდნენ და მიჰქონდათ, როგორც მზა საშენი მასალა. სრულიად გაქრა სამხრეთის მინაშენი, რომელიც ა. პაელინოვისა და ნ. მარის მოგზაურობების დროს ჯერ კიდევ იდგა, თუმცა უკვე ძლიერ დანგრეული.

წინ თურქეთში შატბერდის ლოკალიზაციის საკუთარი ვერსია წამოაყენეს. 1995 წელს მ. ქადიროღლუს ექსპედიციამ არტანუჯის აღმოსავლეთით, სოფელ ოქუმუშლარ ქოის (Okumuşlar köyu) მახლობლად, ადგილზე, რომელსაც ჰქვია შარბეთ შეჰრი (Şarbet Şehri) თუ შარბიჲეთ შეჰრი (Şarbiyet Şehri), მანამდე უცნობ ძლიერ დანგრეულ მონასტერს მიაგნო (იხ. M. Kadiroğlu, Untersuchungen am mittelalterlichen georgischen Baudenkmälern in Nordost-Anatolien, *Georgica, Zeitschriften für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens*, H. 22, 1999, გვ. 8-19. იხ. აგრეთვე: O. Aytekin, გვ. 281, ტაბ. 191). ნამონასტრალის მდებარეობიდან და ტოპონიმთა ფონეტიკური მსგავსებიდან გამომდინარე, მ. ქადიროღლუ ფიქრობს, რომ შეიძლება ეს მონასტერი შატბერდთან გავაიგივოთ. უფრო კატეგორიულად იცავდა ამ აზრს კერძო საუბარში მისი მოწაფე ფ. ბაირამი. ეფიქრობ, ნამონასტრალის არქიტექტურის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე რისამე თქმა ნაადრევია.

[344] Пр. Уварова, გვ. 315; Н. Марр, Дневник, გვ. 100. ეკლესიაში ინახებოდა XV საუკუნის სომხური ხელნაწერი (Х. Кучук-Иоаннесов, Древнеармянские рукопи-си, снимки с которых вывезены с Кавказа ученой экспедицией 1888 г., *Материалы по археологии Кавказа*, вып. III, 1983, გვ. 103-105, ტაბ. LVII).

[345] Н. Марр, Дневник, გვ. 103, შენ. 1.





სურ. 25. მაგბერდის ეკლესია. ძირითადი გეგმა
და გეგმა გუმბათის ყელის დონეზე

ეკლესიის კედლები გარედან მოპირკეთებულია თბილი მოყვითალო ქვიშაქვის საშუალო ზომის სუფთად თლილი ფილებით. გარე პერანგი ყველგან თავდაპირველი არ არის – დასავლეთის მკლავზე ალაგ-ალაგ ის აღდგენილია 1860-იანი წლების შეკეთების დროს. აღდგენისას აქ ძველ, ჩამოცვენილ ქვებთან ერთად ახლებიც იხმარეს – უფრო წვრილი, უარესად დამუშავებული, ღია მოთეთრო ფერისა, რის გამოც წყობა ამ მონაკვეთზე უწესრიგო და აჭრელებულია. შიგნით სუფთად თლილი, ერთმანეთთან კარგად მორგებული ქვებით გამოყვანილია ტექნიკურად მნიშვნელოვანი ადგილები – კონქი, კამარები, გუმბათქვეშა კონსტრუქცია, თაღები, პილასტრები, აფსიდის მხრები, ღიობთა წირთხლები. მათთან მკვეთრად კონტრასტირებს კედლების ძალიან დაუდევარი წყობა, შემთხვევითი ფორმის ნატეხი ქვებით, რომელთა შორის დიდრონი ღრეჩოები რჩება. აშკარაა, რომ კედლები თავიდანვე შესალესად იყო გამიზნული. ბაოქაშის მოზრდილი ფრაგმენტები ალაგ-ალაგ ახლაც შერჩა კედლებს. იყო მოხატულობაც, მაგრამ მისგან თითქმის არაფერი შემოინახა. მქრქალად განირჩევა ორიოდე ფრაგმენტი – წინასწარმეტყველის წელსზემოთა ფიგურა გუმბათის ყელში და შარავანდმოსილი ფიგურის ნაწილი ჩრდილოეთის მკლავში. ნ. მარი აღნიშნავს აგრეთვე სამ შარავანდიან თავს სამხრეთის მკლავში, შეწყვილებული სარკმლის ზემოთ[346]. ახლა ეს გამოსახულება მთლიანად გადარეცხილია.

შატბერდის ეკლესია მიეკუთვნება „ნახევრადთავისუფალი ჯვრის“ ტიპს. მას ორი შესასვლელი აქვს: ერთი დასავლეთის მკლავის დასავლეთ კედლის ცენტრში, მეორე ამავე მკლავის სამხრეთ კედელში, შუიდან მცირეოდენ დასავლეთით (ორივე ამჟამად განძარცული და ფორმადაკარგულია). ინტერიერი კარგად ნათდება. თითო სარკმელი არის საკურთხეველის აფსიდში, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მკლავებში (შესაბამის კედლებში), ორი გვერდიგვერდ, თხელი სახსრით გაყოფილი – სამხრეთის მკლავში, ოთხი – გუმბათის ყელში. ყველა სარკმელი ფართოა და მაღალი. პასტოფორიუმებს აფსიდებში გაჭრილი თითო უფრო მომცრო სარკმელი ანათებს.

კიდევ ერთი თავისებური ღიობი არის დასავლეთის მკლავის დასავლეთ კედელში, სარკმლის სამხრეთით, მასზე ცოტა ქვემოთ. ეს არის 150 სმ სიმაღლის კარი, გარეთ მართკუთხა, შიგნით თაღოვანი. დასავლეთ ფასადზე მას ჰქონდა დიდი მართკუთხა არქიტრავი (ქვა ახლა აღარ არის, მაგრამ ბუდის მიხედვით ცხადად იკითხება მისი მოხაზულობა). ზღურბლი ეკლესიის იატაკიდან დაახლოებით 4,8 მ-ის სიმაღლეზე მოდის. ამ კარის დანიშნულებას გვიხსნის დასავლეთის მკლავის მოწყობის თავისებურება. მის კედლებში კარის ზღურბლის დონეზე 15-იოდე სმ-ით ქვემოთ

[346] Н. Марр, Днѐвник, გვ. 103.

ჩადგმულია 32-35 სმ სიგანისა და 20-25 სმ სიმაღლის ოთხი კრონშტეინი: ორი დასავლეთ კედლის კიდეებში, სიმეტრიულად (მარჯვენა კარგად შემოინახა, მარცხენა ნაწილობრივ ჩამოტეხილია), თითო სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებში (პირველი ცოტა დაზიანებულია, მეორე თითქმის კედლის პირზე ჩამომტყდარა, მაგრამ მაინც კარგად ჩანს). ცხადია, რომ ეს კრონშტეინები საკმარისი არ იქნებოდა თაღ-კამარების დასაყრდნობად (საამისოდ ისინი მეტისმეტად მაღლაცაა განლაგებული), მაგრამ მათ თავისუფლად დაეფუძნებოდა ხის კოჭოვანი კონსტრუქცია, რომელიც ალბათ პატრონიკეს ფუნქციას ასრულებდა. შესაძლოა, პატრონიკეს შუაში დამატებით იკავებდა ერთი ან ორი ბოძი, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მკლავის სიგანე სულ 5,5 მ-ია, იქნებ არც იყო ამის საჭიროება. მაღლა, როგორც ჩანს, ადიოდნენ გარედან, დასავლეთ ფასადზე მიდგმული ხისავე კიბით და ზემოთნახსენები კარიდან ხედებოდნენ პატრონიკეზე.

დასავლეთის მკლავის გრძივი კედლები წყვილი პილასტრით დაახლოებით შუაზე იყოფა. პილასტრების კაპიტელები სადად არის პროფილირებული თაროსა და ლილვის კომბინაციებით. ასევეა გაფორმებული გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეებზე აყოლებული პილასტრების კაპიტელებიც (პროფილები მცირეოდენ სხვაობს) და სატრიუმფო თაღის იმპოსტებიც. ამ უკანასკნელთა ზედა თაროები მსუბუქი ჰორიზონტალური ღარით ორადაა გაყოფილი და ქვედა, უფრო მაღალ ნაწილზე გამოკვეთილია სამ-სამი ნახევარდისკო.

გადასვლა გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე ხორციელდება შერეული აფრულ-ტრომპული სისტემით. ტრომპების გაფორმებას ხუროთმოძღვარი საგანგებო ყურადღებას აქცევს, ამასთან იყენებს როგორც ქვაზე კვეთილ სამკაულს, ისე ფერადოვან ეფექტსაც – ლურჯად და წითლად ფერავს რელიეფს ტრომპებში (ფერები ყველა ტრომპში საკმარისად კარგად განირჩევა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეჭვარტლულია. უკეთ შენარჩუნდა დაფერვა აფრა-ტრომპების დასავლეთ წყვილში), ამასთან, ყველას სხვადასხვაგვარად რთავს. ჩრდილო-აღმოსავლეთის ტრომპს ფარავს ოთხ ღეროზე ასხმული პატარ-პატარა ლურჯი და წითელი ფოთლების ჩუქურთმა. სამხრეთ-აღმოსავლეთისას ამკობს მარაოსებრ (რადიალურად) გაშლილი ექვსი კოვზისებრი ღრმული. იგივე მოტივი ფარავს სამხრეთ-დასავლეთ ტრომპის ქვედა არესაც, ოღონდ აქ ოთხი ღრმულია, მონაცვლეობით ლურჯად და წითლად დაფერილი. ზედა ნაწილი ამ ტრომპისა სქელი ზოლით შემოწერილი ¾ წრეების ხლართს ეთმობა. დაბოლოს, ჩრდილო-დასავლეთ ტრომპი გაფორმებულია რთული სისტემით განტოტვილი წვეთისებრი ფოთლების მოტივით. აქაც ფოთლები მონაცვლეობით ლურჯ-წითელია.



სურ. 26. მაგბერდის ეკლესია.
განივი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ



სურ. 27. შაგბერდის ეკლესია.
განივი ჭრილი, ხედი დასავლეთისაკენ





სურ. 28. მაგბერდის ეკლესია. გრძივი ჭრილები:
ზემოთ — ხედი სამხრეთისაკენ, ქვემოთ — ხედი ჩრდილოეთისაკენ

აფრული სეგმენტები ტრომპებს ზემოთ გამოყვანილია სხვადასხვა კონფიგურაციის სუფთად დამუშავებული მრუდხაზოვანი ქვებით. მათ ზემოთ უკვე თანაბარზომიერი კვადრების ერთი რიგი წრეს შემოწერს. ამ რიგის თავზე რელიეფურად გამოწეული პროფილირებული (თარო-ლილვი-თარო) სარტყელი აღნიშნავს ზღვარს გარდამავალ კონსტრუქციასა და გუმბათის ყელს შორის. ზედა თაროზე მას გაუყვება ნახევარდისკოების მწკრივი – მოტივი, რომელიც უკვე შეგეხვედა კაპიტელებზე. ამ სარტყელზე აღმართულ თორმეტ პილასტრზე გადაყვანილია თაღები. პილასტრები სადაა, მსუბუქი, 32-36 სმ სიგანისა, აქვთ თაროსა და ცერობის პროფილის კაპიტელები. თაღები პატარა თლილი ქვებით არის გამოყვანილი. გუმბათის ყელი, თაღნარის შესაბამისად, თორმეტწახნაგაა, მაგრამ პილასტრების გამო კუთხეები არ აღიქმება და თუ საგანგებოდ არ დააკვირდი, გუმბათის ყელი მრგვალი (ცილინდრული) ჩანს. თორმეტიდან რვა თაღოვანი არე ყრუ კედელს წარმოადგენს, ოთხში – ქვეყნის მხარეების მიხედვით – თავსდება გუმბათის ყელის ოთხი მაღალი სარკმელი. უშუალოდ თაღებსზემოთ იწყება საკუთრივ გუმბათის ნახევარსფერო.

XIX საუკუნეში ჩატარებული რემონტის კვალი ინტერიერში რამდენიმეგან შეიმჩნევა. აღდგენილია დასავლეთის მკლავის სამხრეთ-დასავლეთ კუთხის პილასტრის ქვედა ნაწილი. მასში მოხვდა დიდი (125 × 45 სმ) ქვა, რომელზეც გამოყვანილია სამი ლილვი, მათ ქვემოთ წნული ორნამენტით შემკული სარტყელი და სულ ქვემოთ სამი ბურთულა. ხელახლა ამოუყვანიათ დასავლეთ კედლის მიმდებარე მონაკვეთიც. განახლებული ჩანს წყობა იმავე მკლავის ჩრდილოეთ კედლის შუა პილასტრზეც. მასში ჩაურთავთ ერთი 50 სმ სიმაღლის ქვა წნული ორნამენტით.

შატბერდის ეკლესიის ფასადები, თლილი ქვის პერანგისა და განვითარებული დეკორის წყალობით, საკმაოდ მდიდრულად გამოიყურება. საფასადო მორთულობის გამაერთიანებელი ელემენტი არის არკატურა, რომელიც ქვედა ნაწილში გაუყვება კედლებს. ღღესდღეობით მისგან მცირე ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი, მაგრამ მათი მეშვეობით ხერხდება არკატურის პირვანდელი სახის წარმოდგენა. თაღები შენობის გარე მასების დანაწევრების შესაბამისად კი არ მაღლდება კიდეებიდან შუისკენ, როგორც ეს ჩვეულებრივ არის ხოლმე ქართულ გუმბათიან ეკლესიებში, არამედ თანაბარი სიმაღლისაა. ყოველი მათგანი გამოკვეთილია თითო დიდ ქვაში და კედლის სიბრტყიდან 10-12 სმ-ით არის ჩაღრმავებული. თაღები ეყრდნობა 45 სმ სიგანისა და 15 სმ შვერილობის სადა პილასტრებს (რა თქმა უნდა, „ეყრდნობა“ აქ პირობითად ითქმის, ვიზუალური შთაბეჭდილების გადმოსაცემად და არა კონსტრუქციული არსის აღსაწერად. სინამდვილეში ასეთი თაღი საყრდენს არც საჭიროებს – ქვა, რომელშიც ის არის გამოკვეთილი, უბრალოდ ზის წყობაში).



სურ. 29. მაგბერდის ეკლესია. აღმოსავლეთ ფასადი
(რეკონსტრუქცია)

თაღნარი შენობას მთელ პერიმეტრზე არ შემოწერს – აღმოსაელეთ ფასადზე ის წყდება. მისი ადგილი ამ ფასადზე არც არის, ვინაიდან აქ ოთხი ნიშაა. ამათგან ორი, ტრადიციისამებრ, თავსდება საკურთხეველის აფსიდის სარკმლის აქეთ-იქით, ორიც – ფასადის კიდეებში, პასტოფორიუმების სარკმლებსა და კედლის კუთხეებს შორის. ნიშები სამკუთხედად იჭრება კედლის სისქეში და გადახურულია ნახევარკონუსური კამარებით. დიდი ნიშების კამარები ნაშენია და სრულიად გლუვია, მოურთავი. მცირე ნიშების კამარები თითო ქვაშია ნაკვეთი. მათი წინა თაღები ფასადზე ფართო ღარით არის შემოწერილი. სამხრეთისას, გარდა ამისა, ამკობს ნიჟარისებრი მოტივი, შექმნილი რადიალურად გაშლილი ცხრა კოეზისებრი ღრმულით (ეს მოტივი შეგვხვდა ინტერიერში ორ ტრომპზე). აღმოსაელეთ ფასადი, როგორც ზემოთ ითქვა, ძალიან მძიმე დღეშია – დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლემდე მას მიწა და ნაყარი ქვა-ღორღი ფარავს, ამის ზემოთ კი თითქმის სულ განძარცულია. მთლიანად დაიკარგა სარკმელთა შემკულობა (მას ძველი ავტორებიც არ ახსენებენ). დუღაბზე აღბეჭდილი ბუდეების კვალით ჩანს, რომ საკურთხეველის აფსიდის სარკმელს ჰქონდა ფართო საპირე და მის ზემოთ დიდი თავსართი.

ეკლესიის ჩრდილოეთ მხარის მხატვრული გაფორმებაც მეტწილად მხოლოდ პერანგის ქვების ბუდეების მეშვეობით შეიძლება იქნეს რეკონსტრუირებული, საფასადო წყობიდან აქაც ბევრი არაფერია დარჩენილი. ჩრდილოეთის მკლავს ჩრდილოეთ ფასადზე ხუთი თაღი ჰქონდა (დარჩენილია განაპირა მარჯვენა), ამათგან შუა სხვებზე ერთი მეტრით მაღალი იყო და შემოწერდა სარკმელს თავისი ვიწრო საპირითურთ. საპირე მარტივი აგებულებისაა, ფართო არშია არ გააჩნია და სულ ორი წერილი, მცირედრელიეფური გრეხილი ლილვისაგან შედგება (შემორჩა მისი ვერტიკალური მონაკვეთები, მარჯვენა მთლიანად, მარცხენა ნაწილობრივ).

დასავლეთის მკლავის დასავლეთ ფასადზე შემოინახა ორი განაპირა თაღი მარცხენა მხარეს, ამათგან ერთის ქუსლებთან შემორჩა პილასტრების კაპიტელებიც. მათი პროფილი – ორი ლილვი თაროს ქვეშ – მსუბუქად არის გამოყვანილი. თარო, სატრიუმფო თაღის იმპოსტების მსგავსად, აქაც ორადაა გაყოფილი ჰორიზონტალური ხაზით და ზედა არეს ნახევარდისკოების მწკრივი ამკობს. მარცხენა კაპიტელზე ორი ნახევარდისკო თავსდება, მარჯვენაზე – სამი. ამის მიზეზი თვით რაპორტის მასშტაბის შეცვლაა, კაპიტელები ერთი ზომისაა. პილასტრები თაღებს ქვემოთ აქაც და ჩრდილოეთის მხარესაც მთლიანად მონგრეულია. ერთი-ორგან შემოინახა მათი ბაზისები, შემკული წნული ჩუქურთმით, რომელიც ამჟამად თითქმის მთლიანად გადარეცხილია.



სურ. 30. მაგბერდის ეკლესია. დასავლეთ ფასადი

დასავლეთ ფასადის ცენტრში დიდი სარკმელია ფართო საპირითა და მის ზემოთ მძლავრი თავსართით. საპირის ძირითად არეს წნული ორნამენტი ფარავს, ხოლო კიდეზე მთლიანად შემოწერს წერილი გრეხილი ლილვი. ჩუქურთმა კარგ მდგომარეობაშია, მხოლოდ საპირის ზედა ნახევარწრიულ არეზეა გამოფიტული. თავსართი უშუალოდ საპირეზე არ ზის, მათ შორის კედლის სიბრტყის ვიწრო რკალია დატოვებული. თავსართი შედგება ფართო ნახევარწრიული ნაწილისა და შედარებით მოკლე გადანაკეცებისაგან და შემკულია კონცენტრული წრეებით დაღარული სამკუთხა ფოთლების ორნამენტით, რომელიც კარგად შემოინახა მარცხენა ნაწილზე (მარჯვენაზე გადარეცხილია, მაგრამ მაინც განირჩევა). მდიდრულად მორთული უზარმაზარი სარკმლის გვერდით პატრონიკეს შეუმკობელი კარი როგორღაც მოკრძალებულად გამოიყურება.

პატრონიკეს კარის მარჯვნივ დარჩენილი ფასადის დაახლოებით 1,5 მ-ის სიგანის მონაკვეთი აღდგენილია 1860-იან წლებში. როგორც ინტერიერის აღწერისას ითქვა, დასავლეთის მკლავის სამხრეთ-დასავლეთ კუთხის ქვედა ნაწილი ამ დროისათვის მთლიანად მონგრეული ყოფილა და საჭირო გამხდარა მისი ამოშენება. მშენებლებს მოუხდათ საფასადო წყობის განახლება კუთხის თითქმის მთელ სიმაღლეზე და აგრეთვე დასავლეთის მკლავის სამხრეთ ფასადის მარცხენა ნაწილზე. აღდგენისას სცადეს დასავლეთ ფასადის განაპირა მარჯვენა თაღის რესტავრაციაც თავისი პილასტრებიანად, მაგრამ სამუშაო უკიდურესად უხარისხოდ ჩაატარეს – პილასტრი დაბრეცილია, ხოლო „თაღი“ არსებითად წარმოადგენს ოდნავ მორკალულ მრუდს და ძალიან უმწეოდ გამოიყურება თავდაპირველი არკატურის ნაშთის გვერდით.

კედლის აღდგენილ მონაკვეთებზე დასავლეთ ფასადზეც, ისევე, როგორც ინტერიერში, გვხვდება არქიტექტურული პლასტიკის უსისტემოდ ჩადგმული ფრაგმენტები. აღდგენილი „თაღის“ მარცხნივ – 45 × 30 სმ ზომის ქვა სამმაგი ნახევარლილვით, მარჯვნივ – ორი პატარა ქვა სამ-სამი ბურთულითა და წნულჩუქურთმიანი სარტყლებით, მათ ზემოთ – ქვის ნატეხი, შემკული იმავე სამკუთხა ფოთლების (პალმეტების) მოტივით. სხვათა შორის, ეს ორნამენტი ამკობს ეკლესიის კარნიზსაც. შენობის ძირითად კორპუსზე მისი ნაშთი მხოლოდ დასავლეთ ფასადზე შემოინახა – აქ დარჩენილია კარნიზის სამხრეთ ფერდის დაახლოებით ორი მესამედი[347]. ჩუქურთმა ჩანს ორ ქვაზე, ერთზე მკაფიოდ, მეორეზე მქრქალად.

---

[347] რამდენადაც კარნიზის ნაშთის ქვეშ წყობა ნაწილობრივ განახლებულია, შესაძლოა, რემონტის დროს კარნიზი ხელახლა ააწყვეს თავისივე ჩამოცვენილი ქვებით. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული ორნამენტი არაფრით არ იქნება XIX საუკუნეში გაკეთებული.



სურ. 31. შაგბერდის ეკლესია. სამხრეთ ფასადი



სურ. 32. მაგბერდის ეკლესია. ჩრდილოეთ ფასადი
(რეკონსტრუქცია)

დასავლეთის მკლავის სამხრეთ ფასადს, როგორც ითქვა, მარჯვენა ნახევარზე თაედაპირველი პერანგი მოსავს, მარცხენაზე – აღდგენილი. აქაც აღუდგენიათ ერთი თაღი, ამასთან, დასავლეთ ფასადის „მშვილდა თაღთან“ შედარებით უფრო წესიერად, მაგრამ ძველ თაღებს მაინცდამაინც არც ეს ჰგავს – მათგან განსხვავებით, ამოყვანილია პატარა ქვებით, უფრო შემაღლებულია და თანაც არცთუისე სწორი მოხაზულობა აქვს. რამდენიმე რელიეფიანი ქვა ამ ფასადის აღდგენილ წყობაშიც არის ჩართული, მათ შორის კვლავ სამკუთხა ფოთლების ჩუქურთმის ორი ფრაგმენტი და ერთი ფილა შეწყვილებული ნახევარლილვებით. აქვეა მომცრო რუხი ქვა მედალიონში ჩაწერილი ტოლმკლავა ჯვრით. განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას მრუდხაზოვანი კონფიგურაციის ქვა, რომელზეც გამოკვეთილია დიდი მჭიდროდ ჩაწნული ვარდული, მის გვერდით რვაყურას სახის უფრო პატარა ვარდული და ორი კბილანი (ფესტონი). ეს ქვა აშკარად ფრაგმენტია რაღაც უფრო დიდი კომპოზიციისა, რომლის რეკონსტრუირება ვერ ხერხდება. კედელს აქ აბოლოებს გლუვი მოურთავი კარნიზი – რემონტის კიდევ ერთი შედეგი.

სამხრეთ ფასადს განსაკუთრებით მდიდრული იერი აქვს. ამ შთაბეჭდილებას, უპირველეს ყოვლისა, სარკმლების დეკორი განსაზღვრავს. მას კედლის ზედა ნაწილში მთელი შუა არე უკავია. შეწყვილებულ ღიობებს შემოწერს ფართო მოჩუქურთმებული საპირეები, რომლებიც უშუალოდ ეკვრის ერთმანეთს. ზემოდან კომპოზიციას აგვირგვინებს უზარმაზარი თავსართი ძალიან ფართო რკალით (მასში ეტევა ორი სარკმელი საპირეებითურთ) და მოკლე გადანაკეცებით. ფორმით ის ჰგავს დასავლეთის სარკმლის თავსართს, ოღონდ, ცხადია, უფრო დიდია, სიგანეში გასული. ანალოგიურია ორნამენტაციაც – სამკუთხა ფოთლების (პალმეტების) მოტივზე აგებული. ის ახლა თითქმის სულ გადარეცხილია, მხოლოდ მარცხენა გადანაკეცზე შემორჩა მცირე კვალი. საპირეები უკეთეს მდგომარეობაშია, დაზიანება შეეხო მხოლოდ მათ ქვედა ნაწილებს – მარცხენა საპირეზე აქ ორნამენტი გადარეცხილია, მარჯვენას კი ქვედა ბორტის ქვა საერთოდ აღარა აქვს (ასე გამოიყურება სარკმლების დეკორი უკვე ა. პავლინოვის 1888 წლის ფოტოსურათზე, მას შემდეგ მდგომარეობა არ შეცვლილა). ეს საპირეები ისევეა აგებული, როგორც დასავლეთის სარკმლისა – შიდა და გარე კიდეებზე მათ გრეხილი ლილვი შემოწერს, ძირითადი არე კი ერთნაირ წნულ ჩუქურთმას უკავია.

ეკლესიის გუმბათი ძალზე მოხდენილია, მიუხედავად იმისა, რომ პროპორცია ზომიერად არის შემაღლებული. გუმბათის ყელზე ფართო სარტყლით გამოყოფილი ქვედა ნაწილი, რომელიც თლილი ქვის წყობის სამ რიგს მოიცავს, მრგვალია (ცილინდრული) და

სრულიად სადა. სარტყელი საკმაოდ მასიურია, თაროს პროფილისა; ზედ გაუყვება გლუვი სქელი ზოლით გამოყვანილი ასო ი-ს მსგავსი რკალების ხლართი – მოტივი, რომელიც ინტერიერში სამხრეთ-დასავლეთ ტრომპზეა გამოყენებული. ამ თარო-სარტყლის ზემოთ გუმბათის ყელი უკვე 24-წახნაგაა და მას შესაბამისი რაოდენობის თაღების რიგი შემოწერს. თაღები ეყრდნობა შეწყვილებულ გრეხილ ლილვურ ნახევარსვეტებს, რომლებიც სარტყელზე აღიმართება. მათი ბაზისებისა და კაპიტელების როლს პატარა წყვილ-წყვილი ბურთულები ასრულებს. რამდენადაც სარკმელი სულ ოთხია, მათ შორის ხუთ-ხუთი თაღოვანი არე რჩება, რომლებშიც თითოს გამოტოვებით სამკუთხა ნიშებია შეჭრილი – სულ გამოდის თორმეტი ნიშიანი და რვა ყრუ თაღი. სარკმლები საკმაოდ განიერებია და თაღოვანი არეების თითქმის მთელ სიგანეს მოიცავენ. საპირეები და თავსართები მათ არ გააჩნიათ. ყელს აგვირგვინებს ძლიერ-გამოშვერილი კარნიზი პროფილით (ზემოდან ქვემოთ): თარო-ცერობი-ორი ლილვი. ცერობის ზედაპირზე კიდევ ერთხელ გვხვდება სამკუთხა ფოთლების (პალმეტების) მოტივი, რომლითაც, როგორც ვნახეთ, გაფორმებულია ძირითადი კორპუსის კარნიზიც და ასევე სარკმელთა თავსართები. გუმბათის ყელის კარნიზზე ორნამენტი მკრთალად ჩანს ალაგ-ალაგ, ბევრგან სულ გადარეცხილია.

საკუთრივ გუმბათის ნახევარსფეროს გარედან ფარავს დაბალი ნახევარკონუსური სახურავი. გადახურვისათვის, როგორც ნ. მარი წერს, გამოყენებული იყო „ჩვეულებრივი აგურის სისქის (ე. ი. დაახლოებით 6 სმ – დ. ხ.) ქვის პატარა ფილები“[348]. ასეთივე სახურავი ჰქონდა შენობის სხვა ნაწილებსაც. საინტერესო დეტალია: სამხრეთის მკლავის აღმოსავლეთ კედელზე ირიბ ხაზად ჩანს ფართო ღარის სახის შეღრმავება. მისი დახრილობა სადიაკვნეს სახურავის დაფერდებას შეესაბამება. ამ ღარში შედიოდა სახურავის ფილები, რითაც უფრო საიმედოდ იცავდა სადიაკვნეს გადახურვას წყლის ჩაჟონვისაგან. ნ. მარის თქმით, ანალოგიური ღარი ყოფილა ჩრდილოეთის მკლავის აღმოსავლეთ კედელზეც[349].

ეკლესიის სუბსტრუქციაში, დაახლოებით მისი დასავლეთის მკლავის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, მოწყობილია სათავსი შესასვლელით დასავლეთის მხრიდან[350]. ის, როგორც ჩანს, მონასტრის საძვალეს წარმოადგენდა.

---

348 Н. Марр, Дневник, გვ. 101.

349 იქვე, გვ. 100.

350 მას გულისხმობს ნ. მარი, როცა ადგილობრივი მღვდლის სიტყვებზე დაყრდნობით წერს, რომ ეკლესიის იატაკის ქვეშ ქვედა სართულია: Дневник, გვ. 103.

ეკლესიას არ გააჩნია წარწერები, რომლებიც რასმე გვამცნობდა მისი აგების ან მომდევნო ხანის ისტორიის თაობაზე. ორი გვიანი ნუსხური წარწერის ფრაგმენტები, რომლებიც 1904 წელს ნახა ნ. მარმა[351], ახლა აღარ არსებობს. დასავლეთის მკლავის სამხრეთ ფასადზე, მარცხნიდან მეორე პილასტრზე იკითხებოდა „ესე ეკლესია", მესამე პილასტრზე – „ეი". როგორც სომეხმა მღვდელმა უთხრა ნ. მარს, ეს წარწერიანი ქვები შემთხვევით მოხვედრილა პილასტრებში 1860-იანი წლების რემონტის შედეგად. რაც შეეხება ორ სომხურ წარწერას, ისინი, როგორც ჩანს, XIX საუკუნეში გაუკეთებიათ[352].

შატბერდის ეკლესია მრავალმხრივ საინტერესო ნაგებობაა. მისი ინტერიერის თავისებურებათაგან საგანგებოდ არის აღსანიშნავი ხის პატრონიკე. პატრონიკეები ქართულ ეკლესიებში VII საუკუნიდან გეხვდება (წრომი, ზეგანი) და, ბუნებრივია, მეტწილად ქვით არის ხოლმე ნაშენი, თუმცა ადრეული ხანიდანვე აქა-იქ მათ ამოსაყვანად ხეც იხმარება. ხის პატრონიკეების ცხადი კვალი ჩანს წირქოლში (VIII საუკუნე)[353], ლიკანში (IX საუკუნე)[354], ვერტაშში (X საუკუნე)[355], ერთაწმინდაში (XIII საუკუნის შუახანები)[356]. ასეთი ეკლესიების რიცხვი უთუოდ ბევრად მეტი იქნებოდა. აშკარაა, რომ ხის გამოყენება დაკავშირებული არ ყოფილა მშენებლობის ხარისხსა და მასშტაბებთან, დამკვეთთა მატერიალურ შესაძლებლობებთან ან მშენებელ ოსტატთა კვალიფიკაციასთან: თუ, ვთქვათ, ლიკანის ეკლესიის შესახებ კიდევ შეიძლება ითქვას, რომ ის „რიგითი" შენობაა, შატბერდისა და ერთაწმინდის თაობაზე ამას ვერაფრით ვიტყვით. ესენი მაღალ პროფესიულ დონეზე ნაგები, მდიდრულად გაფორმებული დიდი ტაძრებია და თავიანთი ეპოქების საუკეთესო არქიტექტურულ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება.

---

[351] იქვე.

[352] Н. Марр, Дневник, გვ. 100, 103.

[353] Г Чубинашвили, *ВИИ, I*, გვ. 152-161.

[354] დ. ხოშტარია, *IX-X საუკუნეთა ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში*, ნაშრომი ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1988, გვ. 53.

[355] ვერტაში (იგივე სამერცხლე, ვარძიის მახლობლად) მთლიანად კლდეში ნაკეთი ეკლესიაა. იხ.: დ. ბერძენიშვილი, ი. ელიზბარაშვილი, ნ. ვაჩეიშვილი, ც. ჩანხუნაშვილი, *ჯავახეთი: ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი*, თბილისი, 2001, გვ. 122.

[356] ი. გომელაური, *ერთაწმინდის ტაძრის არქიტექტურა*, თბილისი, 1976, გვ. 10, 27-28, ტაბ. 2, 24-2. ეკლესიის დასავლეთ კედელში მთელ სიგანეზე, იატაკიდან 5,5 მ-ის სიმაღლეზე, ერთმანეთთან ახლო-ახლოს ჩადგმულია შვიდი ფართო კრონშტეინი, ხუთი დასავლეთის მკლავში და თითო – სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის კუთხის მონაკვეთებში. გარდა ამისა, შემორჩა ბუდეებიც, რომლებშიც ჩამაგრებული იყო განივი კოჭები.

შატბერდის არქიტექტორის არაორდინარული ხასიათი განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს მისი შენობის გარე სახეში. აქ ის გვთავაზობს რამდენიმე თამამ სიახლეს, რომელთა აზრი ზოგჯერ არცთუისე იოლი გასაგებია. ასეთია, მაგალითად, ერთობ თავისებურად გადაწყვეტილი საფასადო თაღნარი. შატბერდი ერთადერთი ქართული ეკლესიაა, რომელშიც დარღვეულია მისი აგების მკაცრად დადგენილი პრინციპი: თაღები შენობის გარე მასების დანაწევრების შესაბამისად უნდა მაღლდებოდეს კიდეებიდან შუისკენ.

სანამ ვეცდებოდეთ გავერკვეთ რა შეიძლებოდა გამხდარიყო შატბერდის ხუროთმოძღვრისთვის ასეთი უჩვეულო გადაწყვეტის იმპულსი, უნდა შეეეხოთ თაღების გამოყვანის ხერხსაც. X საუკუნის II ნახევრისა და XI საუკუნის I ნახევრის ქართულ ეკლესიებში საფასადო არკატურა შეღრმავებულია კედლის სიბრტყიდან და მთელი შეღრმავება შემოწერილია ლილვებით, რომლებიც ვერტიკალურ მონაკვეთებზე „კონებს" ქმნის. თაღნარის დეკორაციულ ეფექტს, პირველ რიგში, სწორედ კედლის ზედაპირზე დადებული ლილვები განსაზღვრავს. განსხვავებული სურათი გვაქვს 960-70-იან წლებში ტაოში აგებულ ორ დიდ ბაზილიკაში – ოთხთა ეკლესიასა და პარხალში. თაღები ამ ორ ნაგებობაში, შატბერდის მსგავსად, მხოლოდ შეღრმავებულია კედლებში, ლილვების გარეშე. ისინი ორსაფეხურიანია და ერთმანეთისაგან ასევე ორსაფეხურიანი სადა პილასტრებით არის გაყოფილი. ბაზილიკური პროფილის მქონე მოკლე ფასადებზე ორსავე ეკლესიაში შვიდ-შვიდი თაღია, რომელთა სიმაღლეც თანდათან მატულობს კიდეებიდან ცენტრისკენ. გვერდითი ნაენების გრძივ ფასადებზე ათ-ათი თაღი თავსდება. ისინი, ბუნებრივია, თანაბარი სიმაღლისაა და თითქმის ებჯინება კარნიზს.

ამრიგად, საფასადო თაღნარის გადაწყვეტით შატბერდი დიდად განსხვავდება X-XI საუკუნეთა გუმბათიანი ეკლესიებისაგან და გარკვეულ მსგავსებას იჩენს ოთხთა ეკლესიასა და პარხალთან. ამ ეკლესიებს თაღების სადა, „ულილვო" ფორმასთან ერთად ამსგავსებს მათი უჩვეულო სივიწროვეც: შატბერდში თაღების სიგანე 0,90 და 1,2 მ-ს შორის მერყეობს, ოთხთა ეკლესიაში გრძივ ფასადებზე საშუალოდ 1,6 მ-ია, განიეზე – 1,4 მ (ამიტომაც გახდა შესაძლებელი შვიდ-შვიდი თაღის გაკეთება). შედარებისათვის ვიტყვი, რომ ნიკორწმინდაში, სამთავროში, სამთავისში 3,5-4 მ-ის სიგანის თაღებიც ჩვეულებრივი ამბავია. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საფასადო არკატურა ჩვენმა ოსტატმა ტაოს ბაზილიკების გავლენით გადაწყვიტა. შესაძლოა, ამ გავლენის შედეგი იყო თანაბარი სიმაღლის თაღების მოწყობაც – მოდელად აქ თითქოს ბაზილიკის გრძივი ფასადია გამოყენებული. ვერ ვიტყოდი, რომ ამ გაბედულმა ექსპერიმენტმა მხატვრული თვალსაზრისით წარმატებული შედეგი გამოიღო – ის, რაც ლოგიკურია

ბაზილიკური ნაგებობის მართკუთხა გრძივ ფასადზე, არცთუისე იოლი მოსარგები აღმოჩნდა გუმბათიანი ეკლესიის ექსტერიერზე. დაბალი, თანაბარი სიმაღლის თაღნარი შუაზე ჰყოფს კედლებს და სრულფასოვნად ვერ „ითვისებს" მათ. თაღებს ზემოთ მოთავსებული ფართოსაპირიანი სარკმლები არსებითად დაუკავშირებელია მათთან და ცალკე იკითხება.

ამ საკითხზე მსჯელობისას არ შეიძლება არ შეეხოთ სომხურ არქიტექტურასაც. საფასადო თაღნარი სომხეთში საქართველოზე ცოტა გვიან ჩნდება და გაცილებით უფრო ნაკლებად იკიდებს ფეხს. ცნობილია სულ რამდენიმე ნიმუში – ანისის კათედრალი (989-1001)[357], მარმაშენის მონასტრის ორი ეკლესია (XI საუკუნის დასაწყისი)[358], ჩანგლი (XI საუკუნის I ნახევარი. აქ თაღები მხოლოდ აღმოსავლეთ ფასადზეა)[359], სანაჰინის ამენაპრკიჩი (XI საუკუნის შუახანი)[360], აგრეთვე მრგვალი ეკლესიები ხეკონქის სურბ სარქისი (1029) და ანისის ამენაპრკიჩი (1036)[361]. არის კიდევ რამდენიმე უფრო გვიანდელი ნაგებობა – ზაქარია მხარგრძელის მიერ აშენებული არიჭი (1201), ტიგრან ჰონენცის ეკლესია ანისში (1215)[362], ოვანავანქი (1217)[363] და სხვა. სომხურ ეკლესიებში საფასადო თაღები, როგორც წესი, ეიწროა – ისე, რომ ზოგჯერ ერთ ფასადზე შვიდი და ცხრა თაღიც კი თავსდება (სანაჰინი) და თანაბარი სიმაღლისაა

---

[357] Н. Токарский, *Архитектура Армении IV-XVI вв*, Ереван, 1961, ნახ. 65, ტაბ. 43; *Kunst des Mittelalters in Armenien*, ტაბ. 126. ეუთითებ ტრადიციულ დათარიღებას, რომელიც ყველაზე მეტად არის გაზიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. მაგ., Н. Токарский, დასახ. ნაშრ., გვ. 193). არსებობს სხვა შეხედულებებიც. ნ. აკინიანი, ა. აბრამიანი და ს. ავაგიანი სამშენებლო წარწერის ანალიზის საფუძველზე ფიქრობენ, რომ ტაძარი აშენდა 1001-1010/11 წლებში (ვრცლად ამის შესახებ იხ.: Т. Марутян, Архитектурные памятники, გვ. 248-249). სხვათა შორის, საფასადო თაღნარი, შესაძლოა, XII საუკუნის აღდგენის შედეგია (Н. Марр, *Ани*, Ереван, 1939, გვ. 221-222; А. Якобсон, *Очерки истории зодчества Армении V-XVIII веков*, Москва-Ленинград, 1950, გვ. 81). ასეთ შესაძლებლობას გ. ჩუბინაშვილიც უშვებდა (Г. Чубинашвили, Армянское искусство с конца IX и до начала XI века, კრებულში: *სასუნელი დავით*, თბილისი, 1939, გვ. 49-50).

[358] *Kunst des Mittelalters in Armenien*, ტაბ. 134-135.

[359] В. Беридзе, *АТК*, ტაბ. 29-30.

[360] О. Халпахчьян, *Санаин*, Москва, 1973, ტაბ. 5, 6, 19-20. თარიღისათვის: გ. გაგოშიძე, სანაჰინის მონასტრის მაცხოვრის ტაძრის თარიღისათვის, *საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, II*, 1996, გვ. 115-128.

[361] *Kunst des Mittelalters in Armenien*, ტაბ. 127.

[362] Н. Токарский, *Архитектура Армении IV-XVI вв*, ტაბ. 48; *Kunst des Mittelalters in Armenien*, ტაბ. 129.

[363] *Kunst des Mittelalters in Armenien*, ტაბ. 188.

(შეიძლება ოდნავ შემაღლებული იყოს შუა თაღი – იგივე სანაჰინი). ამ ნიშნებით შატბერდი ერთგვარად ემსგავსება მათ, მაგრამ სხვა მხრივ განსხვავება დიდია. სომხეთში თაღები ყოველთვის წვრილი ლილვეთაა გამოყვანილი და დადებულია ფასადზე. სხვაგვარია თაღნარისა და ფასადის ზედა სიბრტყის შეფარდებაც და შესაბამისად, საერთო მხატვრული შთაბეჭდილებაც. ნებისმიერ შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენს ხუროთმოძღვარს ეს მოტივი სომხეთიდან ესესხა. როგორც ვნახეთ, უადრესი სომხური ნიმუშები XI საუკუნის დასაწყისისაა, ანუ დაახლოებით იმ დროისა (ან ცოტა უფრო გვიანდელიც), როცა უნდა აშენებულიყო შატბერდი. ამ დროს ფასადთა გაფორმების ეს ხერხი უკვე მტკიცედ არის დანერგილი საქართველოში. სხვათა შორის, ა. იაკობსონის მიერ ფრთხილად გამოთქმული აზრით, არკატურის გაჩენა სომხური ეკლესიების ფასადებზე ორგანული განვითარების ნაყოფი არ უნდა იყოს, შესაძლოა ის გარედან არის შემოტანილი, კერძოდ ქართული („ქალკედონიტური") არქიტექტურიდან[364]. ძნელია დანამდვილებით რისამე თქმა ამ საკითხზე, თუმცა თავისთავად საგულისხმოა, რომ საფასადო თაღნარი გვხვდება ანისში, ჩანგლში, სანაჰინში, ანუ იმ ცენტრებში, რომელთაც X-XI საუკუნეებში მჭიდრო შეხება ჰქონდათ ქართულ სამყაროსთან. რაც შეეხება XIII საუკუნის სომხურ ეკლესიებს, მათში საფასადო თაღნარის გამოყენება პირდაპირ უკავშირდება ქართულ გაელენას[365].

ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში სამკუთხა გეგმის მაღალი ნიშების გაკეთებას ქართულ ხუროთმოძღვრებაში ძველი ტრადიცია აქვს – პირველად ისინი, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ VII საუკუნეში წრომის ტაძარში გვხვდება. მათი გაჩენა კონსტრუქციული მოსაზრებით უნდა იყოს ნაკარნახევი. ამასთანავე, ისინი ვიზუალურად გამოყოფენ საეკლესიო შენობის მთავარ ნაწილს – საკურთხეველს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აღმოსავლეთ ფასადის მხატვრული სახის შექმნაში. მომდევნო პერიოდში – გარდამავალ ხანაში საფასადო ნიშების მოტივმა ქართულ ხუროთმოძღვრებაში ფეხი მაინცდამაინც ვერ მოიკიდა, მაგრამ 950-იანი წლებიდან და განსაკუთრებით კი XI საუკუნის დასაწყისიდან აღმოსავლეთ ფასადზე ნიშების მოწყობა არსებითად იქცევა წესად, რომელსაც იცავენ XIII საუკუნის ბოლომდე. ნიშებიანია ამ დიდი ეპოქის თითქმის ყველა ქართული გუმბათიანი ტაძარი (ვგულისხმობ, ცხადია, ნაგებობებს აღმოსავლეთის სწორი

---

[364] А. Якобсон, *Очерки*, გვ. 89.

[365] Т. Измайлова, *Связь архитектурного декора грузинских и армянских памятников XIII века*, IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1983, გვ. 1-5.

კედლის უკან მოქცეული სამნაწილიანი საკურთხეველით). ამრიგად, თავისთავად აღმოსავლეთ ფასადის ნიშების არსებობა შატბერდში, რომელიც X-XI საუკუნეთა მიჯნის ძეგლების წრეში ეწერება, სავსებით კანონზომიერია. მოულოდნელი აქ ორი დამატებითი ნიშაა ფასადის კიდეებში. ოთხი ნიშა აღმოსავლეთ ფასადზე, გარდა შატბერდისა, არის კიდევ ერთ ქართულ ეკლესიაში – სამშვილდის სიონში (761-778), მაგრამ იქ მათი არსებობა თვით შენობის სტრუქტურით არის ნაკარნახევი: აღმოსავლეთ მხარეს სამშვილდეში ხუთი აფსიდია, რაც ლოგიკურად განაპირობებს ოთხი ნიშის მოწყობის საჭიროებას. შატბერდში კი ოთხი ნიშა სამაფსიდიან საკურთხეველზეა მორგებული. ამგვარ გადაწყვეტას ჩვენს არქიტექტურაში პარალელი არ ეძებნება. ის კიდევ ერთხელ მეტყველებს შატბერდის ხუროთმოძღვრის ორიგინალურ, მაძიებელ შემოქმედებით ნატურაზე.

მეტად თავისებურია შატბერდის ეკლესიის გუმბათიც. სარკმლების მცირერიცხოვნებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი გარე არქიტექტურული გაფორმება. თავისი ეპოქის მხატვრული გემოვნების მოთხოვნების შესაბამისად, ხუროთმოძღვარმა არ ისურვა გუმბათის ყელზე მეტისმეტად ბევრი გლუები, „აუთვისებელი" სიბრტყის დატოვება და ორიგინალურ გადაწყვეტას მიმართა: ყელს გარედან 24-წახნაგა ფორმა მისცა და სარკმლიან წახნაგებს შორის განლაგებული ხუთ-ხუთი წახნაგიდან სამ-სამში (თითოს გამოტოვებით) სამკუთხა გეგმის ნიშები შეჭრა – გაჩნდა რთული მოძრავი რიტმი ABCBCBA (A – სარკმლიანი წახნაგი, B – ნიშიანი, C – ყრუ). გარდა ამისა, მან გუმბათის ყელს წახნაგთა რაოდენობის შესაბამისად 24-მალიანი არკატურა შემოავლო, რამაც გაამთლიანა კომპოზიცია და უფრო მდიდრული, „ბაროკალური" სახე მისცა მას. ნიშებს ამ სახის შექმნაში განსაკუთრებული როლი ენიჭება – მათში ჩაწოლილი მუქი ჩრდილი მკვეთრად კონტრასტირებს სწორი კედლის ნათელ სიბრტყესთან და დიდად აძლიერებს ცხოველხატულ ეფექტს. ძნელი სათქმელია, როგორ მივიდა შატბერდელი ოსტატი ამ უჩვეულო გადაწყვეტამდე. გუმბათის ყელში შეჭრილი ნიშები გვხვდება შუაბიზანტიური ხანის ზოგიერთ ეკლესიაში – მაგალითად, სალონიკის პანაგია ქალკეონში (1028)[366], მაგრამ ისინი ნახევარწრიული გეგმისაა (ე. ი. აფსიდურია) და განსხვავებულ ეფექტს იძლევა. სამკუთხა ნიშების პარალელი არც ქართულ და არც ბიზანტიურ არქიტექტურაში არ მოიძებნება. შეიძლება დასახელდეს

---

[366] ნიშები გაკეთებულია ნართექსის კიდეებზე აღმართული ორი რეაწახნაგა გუმბათის ყელზე, წახნაგგამოტოვებით: R. Krautheimer, *Early Christian and Byzantine Architecture*, ილ. 330; D. Nalpandis (ed.), *Byzantine and Post-Byzantine Monumenis of Thessaloniki*, Thessaloniki, 1997, ტაბ. გვ. 87-ზე.

ერთი სომხური ნიმუში – ჩანგლის ეკლესია, რომელსაც ტაოკლარჯეთის ხუროთმოძღვრების ძლიერი გაელენა ატყვია[367]. აქ გუმბათის 16-წახნაგა ყელზე მონაცვლეობით რვა სარკმელი და ამდენივე სამკუთხა ნიშაა.

შატბერდის ეკლესიის საფასადო დეკორი, როგორც ვნახეთ, ორნამენტულ მოტივთა სიმრავლით არ გამოირჩევა, მასში სულ რამდენიმე ჩუქურთმის სახეა გამოყენებული. კარნიზებისა და თავსართების მამკობი სოლისებური (წვეროთი ქვემოთკენ მიმართული) ფოთლების ორნამენტი იქმნება კონცენტრული წრეების რიგში ქვემოდან სექტორების ამოჭრით და შესაბამისად, „ფოთლის" ორი ნახევარი სხვადასხვა წერტილიდან მოხაზული კონცენტრული რკალების სახის ძარღვებითაა დაღარული. არაერთგზის არის აღნიშნული, რომ დაღარული სოლისებრი ფოთლების სახის ჩუქურთმა ქართულ არქიტექტურაში გვხვდება დროის საკმაოდ ვიწრო მონაკვეთის მანძილზე, X საუკუნის 60-იანი წლებიდან XI საუკუნის შუახანებამდე. ამ პერიოდში ქართული ეკლესიების კედლებზე კვეთილი სამკაული შესამჩნევად მატულობს და მასში უამრავი ახალი მოტივი ჩნდება. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სოლისებრი ფოთლების ორნამენტი საქართველოში პირველად ტაოში (ოშკსა და ოთხთა ეკლესიაში) იჩენს თავს. 960-70-იანი წლების ტაოური ხუროთმოძღვრება თავისი განსაკუთრებული მიდრეკილებით ჩუქურთმის სიუხვისა და მრავალსახოვნებისადმი არქიტექტორებს ახალი ორნამენტული მოტივების ძიებისაკენ უბიძგებდა, ხოლო ქართველთა სამეფოს მჭიდრო კულტურული კავშირები ერთი მხრივ ბიზანტიასთან და სომხეთთან, მეორე მხრივ კი მაჰმადიანურ სამყაროსთან, ხელს უწყობდა ჩუქურთმის რეპერტუარის გამდიდრებას ნასესხები მოტივებით. ერთ-ერთი ასეთ მოტივთაგანი იყო სოლისებრი ფოთლები, რომელიც თავისი წარმოშობით სასანურ არქიტექტურულ დეკორსა და ტორევტიკას უკავშირდება და რომელიც ჩვენში, როგორც ჩანს, ირანული ლითონის ჭურჭლის მეშვეობით შემოვიდა[368].

შატბერდის ეკლესიის ფასადებზე გამოყენებული მეორე ორნამენტული მოტივი არის ორღარდაყოლებული ლენტით გამოყვანილი რკალების ხლართი, რომელიც საპირის გარე კიდის მხარეს ნასკვებს იკეთებს, ხოლო შიდა (სარკმლის) მხარეს ორი ვერტიკალური ღერძი აქვს გაყრილი. ეს ორნამენტი გამოკვეთილია ეკლესიის სამხრეთისა (შეწყვილებული) და დასავლეთის მკლავების სარკმლების საპირეებზე, შუა ძირითად არეზე. მისი სახე ერთნაირია, მცირეოდენ შეცვლილია მხოლოდ პროპორცია: დასავლეთის

---

[367] В. Беридзе, *АТК*, ტაბ. 29-30.

[368] ვ. ბერიძე, სავანე (XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი), *Ars Georgica* 1, 1942, გვ. 112, შენ. 1; W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 76, შენ. 245.

სარკმლის საპირეზე, რომელიც უფრო განიერია, რკალები სიგანეშია გაწელილი, სამხრეთის სარკმლის საპირეზე კი ვერტიკალური ღერძები და ნასკვები უფრო მიახლოებულია ერთმანეთთან. სტრუქტურულად ეს მოტივი მოგვაგონებს XIII-XIV საუკუნეების არქიტექტურაში გავრცელებულ ჩუქურთმას – წრეების ხლართს შუაზე გაყრილი ორი პარალელური ლენტით. ის გეხვდება სამთავროს ტაძრის აღდგენილი გუმბათის ერთ-ერთ საპირეზე, ხობისა და ბედიის დასავლეთ პორტალებზე[369], ზარზმის აღმოსავლეთ ფასადის ჯვარზე[370], განსაკუთრებით ფართოდ კი გერგეტში – ეკლესიის აღმოსავლეთ და სამხრეთ ფასადების ჯვრებზე, გუმბათის ყელის რამდენიმე სარკმლის საპირეზე, აგრეთვე სამრეკლოს პორტალზე[371]. შატბერდის ჩუქურთმა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მისი ეროგვარი შეკუმშვით მიღებული სახე, რომელსაც ამასთან ჩამოეჭრა ცალი მხარე – ისე, რომ ვერტიკალური ღარები შუიდან კიდისკენ გადაადგილდა. მხოლოდ სტრუქტურული ნათესაობიდან გამომდინარე, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ შატბერდის ჩუქურთმაც XIII–XIV საუკუნეებისაა და, შესაბამისად, რომ საპირეები იმხანად მთლიანად თავიდან გააკეთეს. მაგრამ საპირეები არაფრით არ ტოვებს გამოცვლილის შთაბეჭდილებას. ზათზე მჭიდროდ მოდგმული თავსართები – როგორც ამას მათი მამკობი სამკუთხა ფოთლების ჩუქურთმა მოწმობს – უეჭველად ერთიანად X-XI საუკუნეთა მიჯნისაა. თავდაპირველია კედლის პერანგიც სარკმლების ირგელივ. თვით საპირეებზე შემოვლებული გრეხილი ლილვიც ძლიერ ჰგავს ტაო-კლარჯულ ნიმუშებს, განსაკუთრებით იშხნისას. ამასთან, ძალიან წყრილი ღარი დაყოლებულია ზედა წიბოზეც – ეს ხერხი XIII საუკუნის შუახანებიდან აღარ გვხვდება. X–XI საუკუნეთა ეპოქას უკავშირდება წნულის კვეთის ხასიათიც, კერძოდ, ლენტის ღარების ცალი მხარის უფრო ირიბად ჩაკვეთა. საფიქრელია, რომ შატბერდის არქიტექტორმა აქ კიდევ ერთხელ გამოიჩინა გამომგონებლობა და ერთგვარად „წინ გაუსწრო“ თავის ეპოქას – შექმნა ორნამენტული სახე, რომელიც წააგავს გაცილებით გვიანდელ სანაში გავრცელებულ ჩუქურთმას.

რაც შეეხება ნახევარდიაკონების მწკრივს, რომელიც გამოყენებულია შატბერდის ეკლესიის ფასადებზეც (პილასტრების კაპიტელებზე) და ინტერიერშიც (გუმბათის ყელის ქვედა სარტყელზე და სატრიუმფო თაღის იმპოსტებზე), ეს X საუკუნის II ნახევრისა და

---

369 ჯ. ზაქარაია, *ქართული ცენტრალურგუმბათოვანი არქიტექტურა, ტ. III*, ტაბ. 56-ბ.

370 ე. ბერიძე, *სამცხის ხუროთმოძღვრება*, ტაბ. 42-1.

371 თ. სანიკიძე, *გერგეტის ხუროთმოძღვრული ანსამბლი*, თბილისი, 1975, გვ. 72, სურ. 18-1, ტაბ. 5, 23, 35

XI საუკუნის დასაწყისის ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრებაში ძალიან ფართოდ მიღებული მოტივია და გვხვდება ყველა ამდროინდელ ეკლესიაში – კარნიზებზე, კაპიტელებზე, ბაზისებზე და სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ჰორიზონტალურ სარტყლებზე[372]. საქართველოს სხვა რეგიონებში ის შედარებით ნაკლებად გამოიყენება.

დასარულს, უნდა შეეხოთ ეკლესიის აღდგენისას ხელმეორედ გამოყენებულ ორნამენტულ ქვებს, რომლებიც უსისტემოდ, შემთხვევით ადგილებზე არის ჩართული დასაელეთის მკლავის შიდა და გარე განახლებულ წყობაში. მათ შორის, როგორც ზემოთ, შენობის აღწერისას ითქვა, გვხვდება ქვები, რომლებზეც გამოკვეთილია სამი ნახევარლილვი (ან, უფრო ზუსტად, ლილვური ნახევარსვეტი), მათ ქვემოთ წნელით დაფარული ვიწრო სარტყელი და სულ ქვემოთ სამი ბურთულა. უეჭველია, რომ ეს ფრაგმენტები მოდგინარეობს რომელიღაც შენობის საფასადო დეკორაციული თაღნარიდან. ბურთულები და სარტყლები თაღნარის იმპოსტების ან ბაზისების ელემენტებია. ასეთნაირადვე არის გაფორმებული გუმბათის ყელის თაღნარის იმპოსტები აქვე, შატბერდში, ოღონდ ეს იმპოსტები ორბურთულიანია და შესაბამისად, მათ ქვემოთ ორი ნახევარლილვია. ერთ სიბრტყეზე განლაგებული სამი ნახევარლილვის შეკონება ქართულ არქიტექტურაში საერთოდ იშვიათია, ხოლო ტაო-კლარჯეთში, რამდენადაც ეიცი, X-XI საუკუნეებში საერთოდ არ გვხვდება. ზემოთნახსენები ფრაგმენტები აგებულებითა და შესრულების ხასიათით ყველაზე ახლო პარალელს პოულობს ტბეთის ტაძრის სამხრეთის მკლავის თაღნარში, რომელიც XIII საუკუნის რემონტის დროს არის გაკეთებული (იხ. ქვემოთ, დანართი). მსგავსია აგრეთვე სამბურთულიანი ბაზისები ახტალის ეკლესიის დასავლეთ ეგვტრის სამხრეთ ფასადზე (XIII საუკუნის I ნახევარი)[373].

სხვა ფრაგმენტთაგან აღსანიშნავია ქვა დიდი წნელი ვარდულით, პატარა რვაყურა ვარდულითა და ფესტონებით. დიდი ვარდული ძლიერ წააგავს ტბეთის აღმოსავლეთ ფასადის ფრონტონში მოთავსებულ ვარდულს[374], რომელიც XI საუკუნის I ნახევრის სამშენებლო ფენას ეკუთვნის. კვეთის ხასიათიც თითქოს ამავე ეპოქაზე მიგვანიშნებს, მაგრამ მთლიანად ეს ქაოტური,

---

[372] იხ. W. Djobadze, *Monasteries*, ტაბ. 146, 158, 163 (ოშკი), 201 (ხახული), 222, 239 (ოთხთა ეკლესია), 252 (პარხალი. აქ იშვიათი შემთხვევა გვაქვს – ნახევარდისკოები თავსართზეა გამოკვეთილი), 283, 291, 298, 300, 307 (იშხანი), 324, 333, 343 (ტბეთი).

[373] ჯ. ზაქარაია, *ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, ტ. 2, XII-XIII სს.*, თბილისი, 1978, ტაბ. 110.

[374] იქვე, ტაბ. 319.

თითქოს ერთმანეთზე მიყრილი ელემენტებისაგან შემდგარი კომპოზიცია როგორღაც ძნელად ეგუება XI საუკუნეს, ამიტომ მისი საბოლოო დათარიღებისაგან თავს შეეიკავებ.

რთულია ითქვას, თუ საიდან მომდინარეობს ეს ფრაგმენტები. ზოგი მათგანი შესაძლოა ეკლესიის ერთ-ერთი კარის დეკორის ნაწილი იყოს. სხვები უნდა ეკუთვნოდეს ეკლესიის აწ განადგურებულ სამხრეთის მინაშენს. ა. პავლინოვისა და ნ. მარის მონაცემებით[375], ის მთელ სიგრძეზე ეკეროდა ეკლესიის შენობას და ორი სათაესისაგან შედგებოდა. ამათგან აღმოსავლეთისა უფრო მოკლე იყო და ჰქონდა აფსიდი; დასავლეთისა, უაფსიდო, გეგმით ლათინური ასო L-ს მსგავსი იყო, რადგან მოიცავდა სამხრეთ-დასავლეთ მკლავთაშორის სივრცესაც. მინაშენი ფარავდა ეკლესიის საფასადო თაღებს, რაც მოწმობს, რომ ის მოგვიანებით მიუდგამთ ეკლესიაზე. 1860-იან წლებში, როცა სომხებმა შენობა შეაკეთეს, სამხრეთის მინაშენი უკვე იმდენად იყო დანგრეული, რომ მის აღდგენაზე უარი თქვეს. ჰატარა სოფლის მცირერიცხოვან მრევლს, რომლის ხარჯითაც ჩატარდა რემონტი, საამისოდ არც სახსრები ჰქონდა და არც საჭიროება. მინაშენის ქვები ეკლესიის განახლებულ საფასადო წყობაში გამოიყენეს. ვფიქრობ, ეს უნდა იყოს დასავლეთის მკლავში ჩართული ნახევარლილვებიანი და ბურთულებიანი ქვები, რომლებიც მოტივებითა და კვეთის ხასიათით XIII საუკუნეს ეკუთვნის. შესაბამისად, ამ ხანით შეიძლება დათარიღდეს სამხრეთის მინაშენიც.

რაც შეეხება თვით ეკლესიას, ის, როგორც გამოჩნდა, X-XI საუკუნეთა მიჯნაზეა აშენებული და ამდენად, შატბერდის მონასტრის რიგით მესამე ეკლესიაა. ამ დროს, როგორც ჩანს, ასი წლით ადრე სოფრონის მიერ აგებული ეკლესია უკვე აღარ იყო საკმარისი მონასტრისათვის. 1040 წლის ახლოს იოანე ჯიბისძე რომანწმიდის წმ. ძელი ცხოვრებისას ეკლესიისათვის შეწირული სვინაქსარის ანდერძში უთითებს, თუ ეს ეკლესია დაიცლება, წიგნი შატბერდის დიდ ეკლესიაში გადაიტანეთო[376]. ხაზგასმული მითითება „დიდ ეკლესიაზე" მოწმობს, რომ XI საუკუნეში შატბერდში ყოფილა სხვა, „მცირე" ეკლესიაც. საფიქრელია, რომ იოანე ჯიბისძე „დიდს" უწოდებს იმხანად ახლადაგებულ ეკლესიას — სწორედ იმას, რომელმაც ჩვენს დრომდე მოატანა, „მცირე" კი უნდა ყოფილიყო უფრო ადრინდელი ეკლესია, რომელიც ააშენა თუ განაახლა სოფრონმა (ის არ შემოინახა).

---

375 А. Павлинов, ტაბ. XXVI; Н. Марр, Дневник, გვ. 102.

376 ე. მეტრეველი, შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის I ნახევარში, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე* XX-B, 1959, გვ. 94-96, 101-102; ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. II, თბილისი, 1980, გვ. 157-158.

თავი X.

კლარჯეთის გუმბათიანი ეკლესიების ტიპოლოგიისათვის

როგორც ზემოთ გამოჩნდა, კლარჯეთის დიდი ეკლესიების უმეტესობა წარმოადგენს ჯვრულ ნაგებობებს დამატებითი სათავსებით. მათი ხუროთმოძღვრული კომპოზიციები წარმოშობით მჭიდროდ უკავშირდება ქრისტიანული საკულტო ნაგებობის ერთ-ერთ უძველეს და ფართოდ გავრცელებულ ტიპს – „თავისუფალ ჯვარს" (ფრანგ. croix libre)

„თავისუფალ ჯვრის" ტიპის შესახებ ძალინ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს[377]. მრავალი გამოკვლევა ეძღვნება მისი წარმოშობისა და განვითარების საკითხებს, ამ ტიპის ცალკეულ ნაგებობებსა თუ მათ ჯგუფებს[378]. მიუხედავად ამისა, ბევრი რამ – თუნდაც გენეზისის პრობლემა – დღემდე საკამათოდ რჩება. საკმაოდ ბუნდოვანია თვით ცნება croix libre-ის ფარგლებიც – დღიდან შემოღებისა[379] ჩვენს დრომდე ის საკმაოდ თავისუფლად, ნებისმიერად იხმარება, არ არის დადგენილ-დაკანონებული და ყველა მკვლევრის მიერ ერთსულოვნად გაზიარებული ის ნიშნები, რომლებითაც უნდა გამოირჩეოდეს ამ ტიპის ნაგებობა. თუ ერთნი შესაძლებლად თვლიან croix libre უწოდონ ყველანაირ ჯვრისებრი

---

[377] ამ ლიტერატურის ერცელი კრიტიკული განხილვა იხ.: დ. თუმანიშვილი, *„თავისუფალი ჯვრის" კომპოზიცია*, გვ. 47-89, უფრო შეკუმშული სახით: Д. Туманишвили, К типологии восточно-христианской архитектуры, *II Международный симпозиум по грузинскому искусству*, Тбилиси, 1977.

[378] მოყოლებული 1920-იანი წლებიდან, როდესაც გამოქვეყნდა გ. ჩუბინაშვილის ნარკვევები შიომღვიმის ლავრისა და სამწვერისის ეკლესიის შესახებ, საკმაოდ ბევრი გაკეთდა croix libre-ის ტიპის ქართული ნიმუშების შესასწავლადაც. ცალკეული ნაგებობები განხილულია რ. ᲗᲛᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘᲡ, ლ. რჩეულიშვილის, რ. მეფისაშვილის, ვ. ბერიძის, პ. ზაქარაიას, ე. ცინცაძის შრომებში. 1980-იანი წლებისათვის დაიწერა დ. თუმანიშვილის ზემოთნახსენები სპეციალური განმაზოგადებელი ნაშრომიც (ქართველ მკვლევართა თხზულებების ამომწურავი ბიბლიოგრაფია იხ. ამ ნაშრომში, გვ. 4-11).

[379] ტერმინი croix libre სამეცნიერო ლიტერატურაში დანერგა გ. მილემ 1910-იან წლებში (იხ.: G. Millet, *L'ecole grèque dans l'architecture byzantine*, Paris, 1916, გვ. 69-70).

მოყვნილობის შენობას ან თუნდაც შენობათა კომპლექსს, სხვანი ემხრობიან ტერმინის მნიშვნელობის მეტ დაკონკრეტებას სივრცობრივ-მოცულობითი სტრუქტურისა და კონსტრუქციის გათვალისწინებით. მეორე მიდგომა უდავოდ უფრო მართებულია – იგი, პირველისაგან განსხვავებით, საშუალებას იძლევა croix libre გავიაზროთ, როგორც ნამდვილად ცალკე არქიტექტურული ტიპი სივრცის გაფორმების საკუთარი წესით და არა როგორც სხვადასხვა ტიპის შენობების (ტრიკონქების, ტეტრაკონქების, ნიშებიანი როტონდების, ტრანსეპტიანი ბაზილიკების) ხელოვნურად გამაერთიანებელი კრებითი სახელი. დ. თუმანიშვილის სიტყვებით, „...«თავისუფალი ჯვრის» სახის ეკლესია უნდა ეწოდოს მხოლოდ ისეთ ნაგებობას, სადაც ორი ურთიერთპერპენდიკულარული სწორკუთხა მოცულობის გადაჯვარედინებაზე უშუალოდ მათ კედლებზე დამყარებული გუმბათია აღმართული, ხოლო გადაკვეთის შედეგად წარმოქმნილი ჯვრის მკლავები კი სივრცითად მეტ-ნაკლებად თანაბარმნიშვნელოვანია“[380]. დამატებით ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ოთხი მკლავიდან აფსიდიანი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი – აღმოსავლეთისა (შეიძლება არც იყოს – მაგალითად გალა პლაციდიას ცნობილ მავზოლეუმში რავენაში ოთხივე მკლავი უაფსიდოა), ხოლო დანარჩენი სამი – აუცილებლად მართკუთხა. ამ მომენტის აქცენტირება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თვით „თავისუფალი ჯვრის“, არამედ – რაც ახლა ჩვენთვის განსაკუთრებით არსებითია – „ნახევრადთავისუფალი ჯვრის“ ტიპის ფარგლების მკაფიოდ მოსაზღვრისთვისაც, ვინაიდან ამ უკანასკნელს ზოგჯერ არასწორად აკუთვნებენ პასტოფორიუმებიან ტრიკონქებსა და ტეტრაკონქებსაც.

„თავისუფალი ჯვრის“ თემამ ქართულ ხუროთმოძღვრებაში განვითარების გრძელი გზა განელო V-დან XVII საუკუნემდე. არქიტექტურის ისტორიკოსისათვის უფრო საყურადღებოა ამ გზის

---

380 დ. თუმანიშვილი, *„თავისუფალი ჯვრის“ კომპოზიცია*, გვ. 63. მკლავების მეტ-ნაკლები თანაბარმნიშვნელოვნების პირობა, რომელიც სუბიექტური ინტერპრეტაციის საფრთხეს შეიცავს (ვთქვათ, რომელიმე მკვლევარმა – არც მთლად უსაფუძველოდ – ჩათვალოს, რომ შიომღვიმის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში მკლავები არ არის საკმარისად თანაბარმნიშვნელოვანი. მაშინ მისთვის croix libre-ის ეს ქრესტომათიული ნიმუში ტიპის განსაზღვრებას აღარ მიუდგება), ალბათ შეიძლება ერთგვაროვნად დაზუსტდეს. ეფიქრობ, მის მთავარ მაჩვენებლებად უნდა მიეჩნიოთ მკლავების ძირითადი პარამეტრების – სიგანისა და სიმაღლის (ოღონდ არა სიგრძის!) ტოლობა და გუმბათქვეშა კვადრატთან დაკავშირების საერთო პრინციპი. როგორც ჩანს, ამასვე გულისხმობს დ. თუმანიშვილიც (იხ. იმავე ნაშრომში მისი მსჯელობა ჟინჩას, მილეშევოსა და გარადაცის ეკლესიების შესახებ, გვ. 62)

პირველი ნახევარი – V-XI საუკუნეები, როდესაც იქმნება croix libre-ის ტიპის ქართული ეკლესიების უმეტესობა, მათ შორის პრაქტიკულად ყველა გამორჩეულად საინტერესო ნაგებობა, რისი წყალობითაც ევოლუციის პროცესი და შემოქმედებითი ძიებების ძირითადი მიმართულებანი ამ ეპოქაში უფრო რელიეფურად ჩანს. სწორედ აღნიშნული პერიოდის ბოლოს, IX-X საუკუნეებში, ტიპის „ჩვეულებრივი" ნიმუშების პარალელურად, ჩნდება ნაგებობები, რომლებშიც croix libre-ის აგებულების ძირითად ბირთვს მკლავთა-შორის კუთხეებში ერთვის დამატებითი სათავსები[381].

ქართულ ხუროთმოძღვრებაში ცნობილია ეკლესიის ორი ტიპი, რომელიც წარმოიშვა მარტივი croix libre-ის გართულების შედეგად. პირველი – შედარებით გავრცელებული – არის „ნახევრადთავისუფალი ჯვრის" ტიპი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ორ დამატებით სათავსს აღმოსავლეთის მკლავის აქეთ-იქით. ამ ტიპს ქართულ ეკლესიათაგან მიეკუთვნება მიძნაძორი, ოპიზა, ექექი, იკვი, შატბერდი და კუნთურის საყდარი.

მიძნაძორისა (IX საუკუნე, სავარაუდოდ 830-40-იანი წლები) და ოპიზის (გეგმა 881 წლის წინა ხანებისა) არქიტექტურული კომპოზიციები ზემოთ ვრცლად იყო განხილული. ითქვა, რომ ორსავეს – განსაკუთრებით კი ოპიზას – გამოარჩევს გრძელი დასავლეთის მკლავი. ეს ტენდენცია – თუმც კი შესამჩნევად შერბილებული – თავს იჩენს X-XI საუკუნეთა მიჯნაზე აგებულ შატბერდის

---

381 ეფიქრობ, შეგვიძლია საკმაო დაბეჯითებით ვთქვათ, რომ IX საუკუნემდე ასეთი კომპოზიციები ქართულ არქიტექტურაში უცნობია. ერთადერთი ნიმუში, რომელმაც ამ თვალსაზრისით შეიძლება გარკვეული ეჭვი წარმოშვას, არის ყირიმის ხერსონესის № 19 (ე. წ. „სამნაწილიანი") ეკლესია – VI საუკუნით დათარიღებული ნაგებობა croix libre -ის ბირთვითა და დამატებითი სათავსებით საკურთხეველის აქეთ-იქით და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში (*Отчет Археологической комиссии за 1897 год*, С.-Петербург, 1900, გვ. 97-112; А. Якобсон, *Раннесредневековый Херсонес, Материалы и исследования по археологии СССР, 63*, Москва- Ленинград, 1959, გვ. 198-200, ნახ. 100-103. ამ გამოცემებში მოტანილ გეგმაზე სამხრეთ-დასავლეთ სათავსი რატომღაც აღნიშნული არ არის, თუმცა მას ტექსტში იხსენიებენ როგორც მთელი შენობის თანადროულს). კირიონ ეპისკოპოსის აზრით, ეს უნდა ყოფილიყო წმ. იოანე ზედაზნელის მოწაფეების მიერ დაარსებული ქართული მონასტრის მთავარი ეკლესია (კირიონ ეპისკოპოსი, VI საუკუნის კათედრალური ქართული მონასტერი ტავრიდის ხერსონესში, *საღვთისმეტყველო კრებული*, 12, თბილისი, 1981, გვ.185-204). ეს მოსაზრება, შესაძლოა, მისაღებიც იყოს, მაგრამ თავისი არქიტექტურული სახით ეკლესიის შენობა ქართველთა მშენებლობის ნიმუშად ვერ ჩაითვლება. ხერსონესის № 19 ეკლესიის შესახებ იხ. აგრეთვე: ზ. სხირტლაძე, ე. ჭელიძე, ეპიზოდი საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან, *ლიტერატურა და ხელოვნება*, № 3-4, 1992, გვ. 229-244.

ეკლესიაშიც. მათგან განსხვავებით, კომპაქტური, შეკრული კომპოზიციით გამოირჩევა ექექის ეკლესია ტაოში. შენობა ამჟამად აღარ არსებობს – ის დაანგრიეს 1960 წელს[382], მაგრამ მის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ე. თაყაიშვილის 1917 წლის ექსპედიციის მასალების მიხედვით.[383] ნაგებობის მკლავები მოკლეა, თითქმის თანაბარი სიგრძისა, შედარებით წაგრძელებულია მხოლოდ აღმოსავლეთისა. ჩრდილოეთით და სამხრეთით პასტოფორიუმების კედლები მცირეოდენ შეწეულია შესაბამისი მკლავების კედლებთან შედარებით. ვ. ბერიძე ეკლესიას X საუკუნის II ნახევრით ათარიღებს. კონსტრუქციული და მხატვრული გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურების (გუმბათის რვაწახნაგა ყელი, საპირეებისა და საფასადო არკატურის არარსებობა, ძუნწად მოჩუქურთმებული კარნიზები და თავსართები, ფასადთა დიდი გლუვი სიბრტყეები) გათვალისწინებით თარიღი შეიძლება შემოიფარგლოს 950-960-იანი წლებით[384].

იკვის ეკლესია[385] შიდა ქართლში გეგმით ახლოს დგას ექექთან, ოღონდ აქ განივი მკლავები პასტოფორიუმების კედლების ხაზს არ

---

382 I. Zdanevitch, გვ. 6; Sh. Cantacusino, Georgian Churches in North East Turkey, *The Architectural Review, January*, 1975, vol. CLVII, no 935, გვ. 60.

383 *АЭЮПГ*, გვ. 76-78, ტაბ. 109-113; *АТК*, გვ.191-193; დ. თუმანიშვილი, *„თაეისუფალი ჯვრის“ კომპოზიცია*, გვ. 24-25, 131-132. ტ. მარუტიანი ექექს „ბერძნული ორიენტაციის ქალკედონიტ სომეხთა თემის ეკლესიად“ მიიჩნევს (*Архитектурные памятники*, გვ. 216-217).

384 ვ. ბერიძე დამაჯერებლად უარყოფს ზოგიერთი მკვლევრის მიერ ეკლესიის 1007 წლით დათარიღების მცდელობას (*АТК*, გვ. 193), რომელიც მომდინარეობს ნ. სარგისიანის მიერ მთაეარი ეკლესიის მახლობლად მდებარე ერთ-ერთი სამლოცველოს კედელზე ნაპოვნი და მ. ბროსეს მიერ გამოცემული ბერძნული წარწერიდან (M. Brosset, Inscriptions géorgiennes et autres, recueillies par le Père Nersès Sargisian. *Memoires de l'Academie Imperiale des Sciences*, VII-e serie, t. VIII, №10, S-Pétersbourg, 1864, გვ. 12-14, ტაბ. 11, №3a). სხვათა შორის, ეს წარწერა ფრიად საგულისხმო დოკუმენტია – ის გაკეთებულია მას შემდეგ, რაც იმპერატორმა ბასილი II-მ მიიერთა იმიერ-ტაო და აქაური ყველაზე წარჩინებული აზნაურები იმპერიის სამსახურში ჩააყენა. წარწერაში იხსენიება ერთ-ერთი ამ აზნაურთაგანი – გრიგოლ პატრიკიოსი, ლარისას და მაკედონიის სტრატეგოსი, ძე სუმბატ პატრიკიოსისა. მ. ბროსეც და ე. თაყაიშვილიც (მას წარწერა აღარ დახვდა) თვლიდნენ, რომ წარწერა უნდა ეკუთვნოდეს არა მთაეარ ეკლესიას, არამედ თვით ამ სამლოცველოს. ე. თაყაიშვილმა პირველმა აღნიშნა, რომ ექექი ხახულსა და ოშკზე ადრე ჩანს აგებული, მაგრამ მისი აგების თარიღი მეტისმეტად ადრეულ ხანაზე – IX-X საუკუნეთა მიჯნაზე გადაიტანა.

385 Р. Шмерлинг, Купольный храм в Икви, *Ars Georgica*, 7a, 1971, გვ. 163-190, ტაბ. 55-68; დ. თუმანიშვილი, *„თაეისუფალი ჯვრის“ კომპოზიცია*, გვ.32-33, 130-131.

სცდება. აღმოსავლეთის აფსიდიანი მკლავის დაგრძელება აქ უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე ექექში. შესაბამისად, პასტოფორიუმებიც უფრო გრძელია, დერეფნისებური. რ. შმერლინგმა იკვი XI საუკუნის I ნახევარს მიაკუთვნა, მაგრამ, ვფიქრობ, სწორი იყო გ. ჩუბინაშვილი, როცა იმთავითვე ეჭვი გამოთქვა ამგვარი დათარიღების გამო[386]. იკვის ეკლესიის აგების ხანა ალბათ ცოტა ადრინდელი პერიოდით – X საუკუნის მიწურულით ან, ყოველ შემთხვევაში, X-XI საუკუნეთა მიჯნით მაინც უნდა განისაზღვროს.

კუნთურის საყდარი[387] კახეთში „ნახევრადთავისუფალი ჯვრის“ ტიპის ერთ-ერთი უდიდესი ქართული ეკლესიაა. დასავლეთისა და აღმოსავლეთის მკლავები აქ მცირეოდენ, მაგრამ საკმარისად შესამჩნევად სჭარბობს განივ მკლავებს. ვრცელი პასტოფორიუმების თავზე მეორე სართულის ოთახებია მოწყობილი. ეკლესია XI საუკუნის I მესამედით თარიღდება (ნაწილობრივ აღდგენილია 1587 წელს).

ცალკე უნდა აღინიშნოს სარკის წმ. გიორგის ეკლესია სოფელ ზღუდერთან, შიდა ქართლში. მისი გეგმა სავარაუდოდ X-XI საუკუნეთა მიჯნიდან მომდინარეობს[388]. დღევანდელი სახით შენობა (ის თითქმის მთლიანად ხელახლა აშენდა XVI-XVII საუკუნეებში) წარმოადგენს croix libre-ს მხოლოდ ერთი – სამხრეთ-აღმოსავლეთ მკლავთაშორისი კუთხის დამატებითი სათავსით. თავდაპირველი კომპოზიციის დანამდვილებით დადგენა, კერძოდ, გარკვევა იმისა, იყო თუ არა შესაბამისი სათავსი ჩრდილოეთითაც, ე. ი. იყო თუ არა „ნახევრადთავისუფალი ჯვრის“ ტიპისათვის აუცილებელი სამნაწილიანი საკურთხეველი, ჭირს, რაც გვაიძულებს კლარჯული ეკლესიების კომპოზიციურ პარალელებს შორის სარკის ეკლესიის ჩართვისას გარკვეული სიფრთხილე გამოვიჩინოთ.

დასასრულს, მოვიხსენიებ „ნახევრადთავისუფალი ჯვრის“ ტიპის ორ ნიმუშს, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ქართულ, ისე სომხურ ხუროთმოძღვრებასთან. ერთი მათგანი – ხოჟორნის ეკლესია მდებარეობს ქვემო ქართლის სამხრეთ, სომხეთთან

---

386 იხ. მისი მინაწერი რ. შმერლინგის ნახსენებ წერილზე, გვ. 191.

387 Г. Чубинашвили, *Архитектура Кахетии*, Тбилиси, 1959, გვ. 407-411, ტაბ. 315-317; *„თავისუფალი ჯვრის“ კომპოზიცია*, გვ. 23-28.

388 *„თავისუფალი ჯვრის“ კომპოზიცია*, გვ. 38-40; ნ. ჩუბინაშვილის მიერ ერთგან გაკეთებული შემოთავაზებული თარიღი – VI საუკუნის II ნახევარი (Н. Чубинашвили, *Шашианис Самеба*, Тбилиси, 1988, გვ. 106), ვფიქრობ, მეტისმეტად ადრეულია. „ძეგლთა აღწერილობაში“ ნათქვამია, რომ ეკლესია XVII საუკუნეში დაშენდა „ჯვრისებრი გეგმის ძველი ეკლესიის საძირკველზე“ (*აღწერილობა*, 5, გვ. 373-374, სტატიის ავტორი – გ. მარსაგიშვილი).

მომიჯნავე ზონაში. გ. გაგოშიძის მიხედვით, ის აიგო X საუკუნის შუახანებში ქართული მრევლისათვის[389]. მოკლე ხანში, ტაშირ-ძორაგეტის სომხური სამეფოს წარმოქმნის შემდეგ ეკლესია, როგორც ჩანს, სომხების ხელში გადავიდა. მათ XI საუკუნის შუახანებში დანგრეული ეკლესია თავიდან ააშენეს ძველი გეგმით, ხოლო XIII საუკუნეში ხელახლა აღადგინეს გუმბათი. ამრიგად, მიუხედავად განახლებებისა, შენობამ შეინარჩუნა თავდაპირველი გეგმა. მისი ოთხივე მკლავი დაახლოებით თანაბარზომიერია. განივი მკლავები შესაბამის ფასადებზე სცდება ეიწრო პასტოფორიუმების კედლებს და ძლიერ წინ გამოდის – ისე, რომ მიუხედავად სამნაწილიანი საკურთხevლისა, ნაგებობა ინარჩუნებს ჯვრულ ფორმას (ექექის მსგავსად, ოღონდ ბევრად უფრო მკაფიოდ გამოხატულად)[390].

ჩანგლის ეკლესია (XI საუკუნის პირველი ნახევარი)[391] ტაოს სამხრეთით, მდ. არაქსის ხეობაში, ისტორიულ სომხეთში მდებარეობს. საფასადო შემკულობის პრინციპი, ორნამენტულ სახეთა უმეტესობა და ზოგიერთი კონსტრუქციული ელემენტი მას მჭიდროდ ანათესავებს ტაო-კლარჯეთის ნაგებობებთან[392]. კომპოზიციური თვალსაზრისით ჩანგლში საყურადღებოა როგორც აღმოსავლეთის, ისე სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავების წინგამოწევა ფასადებზე პასტოფორიუმებთან შედარებით. სხვათა შორის, ე.-მ.

---

[389] გ. გაგოშიძე, ხოჯორნის გუმბათიანი ეკლესია, *ძეგლის მეგობარი*, №2 ((97), 1997, გვ. 21-28; მისივე, *ხოჯორნის გუმბათიანი ეკლესია. ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან*, თბილისი, 2003, გვ. 29 და შემდგომ, 60.

[390] გ. გაგოშიძის საინტერესო დაკვირვებით (*ძეგლის მეგობარი*, №2 /97/, გვ. 22-23, 27), გეგმის ამგვარი კომპოზიცია – კერძოდ, მისი ჯვრული მოყვანილობის შენარჩუნება პასტოფორიუმების არსებობის მიუხედავად – დამახასიათებელი ჩანს მხოლოდ ქართულ-სომხური მოსაზღვრე მხარეების ქალკედონიტური ეკლესიებისათვის (ხოჯორნი, ექექი, ჩანგლი).

[391] ე. თაყაიშვილი, *კოლა-ოლთისი*, გვ. 78-87; *ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი*, ტაბ. 32-35; J.-M. Thierry, A propos de quelques monuments chrétiens du vilayet de Kars (Turque), *Revue des études arméniennes, nouvelle série*, t. III, Paris, 1966, გვ. 79-90, ტაბ. XXXVII-XLV; მისივე, Çengelli-kilise, *Bédi Kartlisa, Revue de kartvelologie*, XXIII-XXIV, Paris, 1967, გვ. 177-183; მისივე, L'Église de Čengelli-köi (vilayet de Kars), *II-e symposium international sur l'art géorgien*, Tbilisi, 1977; *ATK*, გვ.186-188; დ. თუმანიშვილი, *„თავისუფალი ჯვრის" კომპოზიცია*, გვ. 28-30; Т. Марутян, *Архитектурные памятники*, გვ. 218-219.

[392] ნ. ტოკარსკის შენიშვნით, ჩანგლის ეკლესია არის მაგალითი „მოუხერხებელი, ეკლექტური სესხებისა ტაიკის არქიტექტურიდან" (пример... неумеренного, эклектического заимствования из тайкской архитектуры). იხ.: Н. Токарский, *Из истории средневекового строительства в Тайкском княжестве*, Ереван, 1988, გვ. 63.

ტიერის აზრით, პასტოფორიუმები ჩანგლის ეკლესიაზე მოგვიანებითაა მიშენებული, მაგრამ, ვფიქრობ, სწორი უნდა იყოს დ. თუმანიშვილი, როცა შენიშნავს, რომ შესაძლოა ამ სათაესების დამატება ტაძრის მშენებლობის დამთავრებამდე მომხდარიყო.

„ნახევრადთავისუფალი ჯვრის" ტიპი სომხეთში, როგორც ჩანს, უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე საქართველოში. სამეცნიერო ლიტერატურაში რეგისტრირებულია ამ სახის სამი VII საუკუნით დათარიღებული სომხური ეკლესია – მაისიანის ტირანავორი (მას მხოლოდ ჩრდილოეთის პასტოფორიუმი აქვს, სამხრეთ-აღმოსავლეთ მკლავთაშორისი კუთხე შეუვსებელია)[393], სასუნიკის სურბ გრიგორი[394] და კოშის სურბ სტეფანოსი[395]. მაგრამ შემდეგ ამ თემამ სომხეთში ეეღარ პოვა განვითარება-გავრცელება – ყოველ შემთხვევაში, IX-XI საუკუნეებიდან, როცა საქართველოში აქტიურად მუშავდება „ნახევრადთავისუფალი ჯვრის" კომპოზიცია, მისი არცერთი „წმინდა" სომხური ნიმუში ცნობილი არ არის[396]. ხოჟორნაში, როგორც ითქვა, სომხური ეკლესიის კომპოზიცია უფრო ადრინდელი ქართული ეკლესიის ნაშთით უნდა იყოს ნაკარნახევი. რაც შეეხება ჩანგლს, ის აშენებულია რეგიონში, სადაც სომხურ კულტურას უახლოესი შეხება ჰქონდა ქართულთან. საფიქრელია, რომ „ნახევრადთავისუფალი ჯვრის" ტიპის ამგვარი ეპიზოდური „ამოტივტივება" X-XI

---

[393] ვ. გრიგორიანი, *ადრეული შუა საუკუნეების სომხეთის მცირე ცენტრული ძეგლები*, ერევანი, 1882 (სომხ. ენაზე), გვ. 46, ტაბ. XV-3,4,5, ფოტო 64-67.

[394] იქვე, გვ. 46-47, ტაბ. XVI-1,3,5, ფოტო 70-72.

[395] იქვე, გვ. 47-48, ტაბ. XVI-2,4,6; Г. Чубинашвили, *Разыскания*, გვ. 67-68, ილ. 20-21, ტაბ. 69-75; B. Brentjis, S. Mnazakanjan, N. Stepanjan, *Kunst des Mittelalters in Armenien*, Berlin, 1981, გვ. 64, ტაბ. 37-39.

[396] ფენი-რაბათისადმი მიძღვნილ თავში ტ. მარუტიანი მსჯელობს „ნახევრადთავისუფალი ჯვრის" ტიპის (იგი, როგორც ჩანს, არ ცნობს ამ ტერმინს და ხმარობს გამოთქმას „ეს ტიპი" – „этот тип") ქართული და სომხური ნაგებობების შესახებ და შენიშნავს, რომ სომხეთში გვაქვს მისი ხუთი ნიმუში: სამი VII საუკუნისა (ჩემს მიერ ზემოთჩამოთვლილი) და ორიც IX-X საუკუნეებისა – ექეკი (მის მიხედვით ეგეკი) და ჩანგლი (ეხეგნამორი). აქვე იგულისხმება თვით ფენი-რაბათიც, რომელიც ექეკთან ერთად სომხურ ეკლესიად ცხადდება. საქართველოში, ტ. მარუტიანის მიხედვით, „ეს ტიპი" სულ ერთი ნაგებობით – კუნთურის საყდრითაა წარმოდგენილი, ხოლო „თელოეანი და იკვი მოცემული ტიპისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან" (*Архитектурные памятники*, გვ. 220). სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გაუგებარია, ასეთი რა პრინციპული ნიშნით განსხვავდება იკვი – „ნახევრადთავისუფალი ჯვრის" ტიპური ნიმუში – იმავე ფენი-რაბათის და, მითუმეტეს, ექეკისაგან, ან რატომ აწყვილებს მას ავტორი თელოეანთან – პასტოფორიუმებიან ტრიკონქთან.

საუკუნეების სომხურ არქიტექტურაში გამოწვეული იყო ქართული გავლენით. ამ თვალსაზრისით ხოჟორნი და ჩანგლი შეიძლება განხილული იქნას, როგორც ცდა ქართულ ხუროთმოძღვრებაში დამუშავებული თემის ათვისებისა სომეხ მშენებელთა მიერ[397].

„ნახევრადთავისუფალი ჯვრის" ტიპის ზემოთგანხილული ნაგებობები, ვფიქრობ, თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რაოდენ ნაყოფიერი აღმოჩნდა ეს თემა IX-XI საუკუნეთა ქართულ ხუროთმოძღვრებაში[398]. რამდენადაც შემორჩენილი ნიმუშებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, უფრო იშვიათად მიმართავდნენ ქართველი მშენებლები croix libre-ის მეორე, უფრო გართულებულ სახესახვაობას, რომელსაც, „ნახევრადთავისუფალი ჯვრისაგან" განსხვავებით, დამატებითი სათავსები აქვს ოთხსავე მკლავთაშორის კუთხეში – ისე, რომ გეგმა მთლიანად მართკუთხედში იწერება. გარედან ასეთი შენობა ძალიან ჰგავს „ჩახაზული ჯვრის" (croix inscrite) ტიპისას – გარე მასათა განაწილების პრინციპი ანალოგიურია. შიგნით სურათი სხვაა. ძირითადი სივრცე ინარჩუნებს მარტივი ჯვრის სტრუქტურას და იზოლირებულია დამატებითი სათავსებისაგან. ამ კომპოზიციის ნაგებობებისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში რაიმე საყოველთაოდ მიღებული სპეციალური ტერმინი არ არსებობს, მათ, როგორც წესი აღწერილობითი ხასიათის გაშლილი სახელწოდებებით აღნიშნავენ („ჯვრული ნაგებობა სათავსებით ყველა კუთხეში", „ჩახაზული ჯვრის ტიპის შენობა კედლებით გამოყოფილი კუთხის ნაწილებით")[399].

ქართულ ხუროთმოძღვრებაში ამ ტიპის ნიმუშებს წარმოადგენს არტანუჯის, დოლისყანისა და დადაშნის ეკლესიები. კომპოზიციურად მასვე უნდა უკავშირდებოდეს აგრეთვე ეკლესია კლარჯეთის წყაროსთავში.

---

[397] ჟ.-მ. ტიერი პიდაპირ აღნიშნავს, რომ ჩანგლის კომპოზიცია ქართული არქიტექტურიდან მომდინარეობს (J.-M. Thierry, L'Église de Čengelli-köi. გვ. 6).

[398] XI საუკუნის შემდეგ ამ ტიპის ნაგებობები საქართველოში აღარ გეხვდება. მას კვლავ უბრუნდებიან მხოლოდ XIX საუკუნის პროვინციულ საეკლესიო მშენებლობაში – ასეთია, მაგალითად, მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესია რაჭაში, აშენებული 1894 წელს ძველი დარბაზული ნაგებობის ადგილას (გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, *საქართველოს მუზეუმის მოამბე*, ტ. VIII, თბილისი, 1935, გვ. 303-310, ტაბ. XIII; მისივე, *რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები*, თბილისი, 1994, გვ. 202-203; ზ. სხირტლაძე, მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესია, *ძეგლის მეგობარი*, №60, 1982, გვ. 40-42). ის დაინგრა 1991 წლის აპრილში მიწისძვრის შედეგად.

[399] რამდენიმე ადრინდელ პუბლიკაციაში მე ვეიხმარე გამოთქმა „კუთხეებშეესებული ჯვრის ტიპი", მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ მისი ტერმინად დანერგვა არ ღირს, ვინაიდან ის არასწორად სვამს აქცენტს და საკმარისად ცხადად არ გადმოსცემს არქიტექტურული ტიპის სპეციფიკას.



სურ. 33. დამატებითსათავსებიანი ჯერული ეკლესიები. გეგმები

არტანუჯის ეკლესია (IX-X საუკუნეთა მიჯნა), როგორც ვნახეთ, დამატებით სათავესთა დასავლეთის წყვილის მოწყობის თავისებურებით გამოირჩევა: განიერი მკლავებისაკენ ისინი მთლიანად გახსნილია თაღებით, მაგრამ სიეიწროეის გამო ეს თაღები არსებითად კარის ღიობებს ემგვანება და არ არღვევს სათავესთა იზოლირებულობას. დოლისყანის ეკლესიას (954-958), მიძნაძორისა და ოპიზის მსგავსად, აქვს მკვეთრად წაგრძელებული დასავლეთის მკლავი. წყაროსთავი (IX საუკუნე, ალბათ 830-40-იანი წლები). განსახილველ ტიპს უშუალოდ არ უკავშირდება, მისი გეგმა უფრო კუპელ-ჰალეს მოგვაგონებს, მაგრამ ამასთან აქ კვლავ გვაქვს ჯერული სტრუქტურა ცალკე სათავსებით ოთხსავე კუთხეში, ოღონდ დასავლეთით ეს სათავსები მეორე სართულის დონეზეა. ამიტომ ვფიქრობ, რომ წყაროსთავის არქიტექტორს ბიძგი მისცა სწორედ დამატებით-სათავსებიანი croix libre-ის თემამ, რომელიც მან არაორდინარულად გაიაზრა და უჩვეულო კომპოზიცია შექმნა.

სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ვიცით კოლას მხარის საეპისკოპოსო ცენტრის – დადაშნის ტაძრის შესახებ[400]. უკეე 1907 წელს ის ე. თაყაიშვილს თითქმის მთლიანად განადგურებული დახვდა. შეიძლება ითქვას რომ ეს არის კუთხისსათავსებიანი croix libre-ს ტიპური ნიმუში ერთი თავისებურებით – ძალიან ღრმა საკურთხეელის აფსიდი ნახევარწრიულადაა შვერილი აღმოსავლეთ ფასადის სიბრტყიდან. დანარჩენი მკლავები დაახლოებით ტოლია. კუთხის სათავსებს ერთნაირი მოყვანილობა აქვთ. ეკლესიის ზუსტად დათარიღება ჩვენს ხელთ არსებული მასალით შეუძლებელია, მაგრამ ე. თაყაიშვილის მიერ აღნიშნული ერთი მომენტი – კედლები შიგნიდანაც და გარედანაც თლილი ქვითაა მოპირკეთებულიო – გვაფიქრებინებს, რომ ის X საუკუნის II ნახევრისა ან XI საუკუნის დასაწყისისა უნდა იყოს[401].

---

[400] ე. თაყაიშვილი, *კოლა-ოლთისი*, გვ. 10-12; *ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი*, ტაბ. 27-c; *„თავისუფალი ჯვრის“ კომპოზიცია*, გვ. 38. ს. გუიერი ერთგან დადაშნის ეკლესიას მოიხსენიებს, როგორც გვერდისსათავსებიან მავზოლეუმს (S. Guyer, *Grundlagen mittelalterlicher abendlandisher Baukunst*, Zürich-Köln, 1950, გვ. 33-34).

[401] კედლების ორმხრივი მოპირკეთება თლილი კვადრებით ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში შედარებით ხშირად გვხვდება V-VII საუკუნეებში და შემდეგ დროის მოკლე მონაკვეთში დაახლოებით 960-1050 წლებს შორის. ამის მერე ინტერიერში თლილი ქვის პერანგს იშვიათად თუ აკეთებენ.

ნ. ტოკარსკის გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ რაკი ხახულის ტაძრის ინტერიერი თლილი ქვით მოაპირკეთეს და, ამდენად, თაეიდან მოსახატად არ იყო გამიზნული, ის ანტიქალკედონიტი სომხებისათეის უნდა

XI საუკუნის შემდეგ ქართულ ხუროთმოძღვრებაში ჩემთვის ცნობილია ერთადერთი ნაგებობა, რომელიც შეიძლება მივამგვანოთ ადრინდელ ჯვრულ ეკლესიებს დამატებითი სათავსებით ოთხსაფეხ კუთხეში. ეს არის ზაგემის (იგივე ბაზრის ან ბახთალის) ეკლესია საინგილოში, რომელიც 1540 წლის ახლო ხანებით თარიღდება[402]. წარმოშობით ეს უეჭველად „ჩახაზული ჯვრის" კომპოზიციაა ორი გუმბათქვეშა ბურჯით, მაგრამ ამ ბურჯების მეტისმეტად განვითარებული, ასო L-ს მსგავსი ფორმის გამო ისინი კედლის კუთხეების შთაბეჭდილებას ტოვებს და გარკვეულად თიშავს ძირითადი სივრცისაგან სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხის ნაწილებს. მათ აღქმას ცალკე სათავსებად ხელს უწყობს აფრულ-კამაროვანი გადახურვაც (ასევეა გადახურული პასტოფორიუმებიც).

ზემოთგანხილულის მსგავსი კომპოზიცია ცნობილია სომხურ ხუროთმოძღვრებაშიც. ნ. ტოკარსკი მას „ანბერდის ტიპს" უწოდებს სტრუქტურის ყველაზე მკაფიოდ გამომხატველი ეკლესიის სახელის მიხედვით[403]. სომხურ ეკლესიებში მკლავთაშორისი კუთხეების სათავსები – ხორანები თითქმის ყოველთვის ორ სართულად

ყოფილიყო აგებული. (Н. Токарский, *Архитектура древней Армении*, Ереван, 1946, გვ. 212). ამ აზრს – უკვე როგორც უეჭველ ჭეშმარიტებას – იმეორებს ტ. მარუტიანიც (*Архитектурные памятники*, გვ. 210). დავით კურაპალატს, რომელსაც „მატიანე ქართლისა" ხახულის მაშენებლად ასახელებს, ნ. ტოკარსკი და ტ. მარუტიანი, რა თქმა უნდა, სომეხ მეფედ თვლიან, მაგრამ მის ქალკედონიტობას ვერ უარყოფენ. მათი ლოგიკით გამოდის, რომ ქალკედონიტმა მეფემ თავის ქვეყანაში ერეტიკოსებს უზარმაზარი ტაძარი აუშენა, ხოლო ქალკედონიტმა მემატიანემ საჭიროდ ჩათვალა ეს ფაქტი საგანგებოდ აღენიშნა. და ეს ხდება X საუკუნეში, ორ კონფესიას შორის ურთიერთობის გამწვავების ხანაში! (გავიხსენოთ თუნდაც მონოფიზიტ სომეხთა უმკაცრესი დახასიათება სტეფანე მტბევრის მიერ „წმ. გობრონის წამებაში": „მიწაჲ იგი სომხითისაჲ ამპარტავან, და მკუდრნი მისნი ცუდად მზუაობარ, ანგაჯარ, ლაღ და ცოდვის მოყუარე, ამპარტაეან, უწყალო, უყუარულ და ყოელითა უკეთურებითა საესე, რომელსა შინა არა იპოვა თავისა მისადრეკელი ქრისტჱსი, რომელთათჳს ქრისტე ცუდად მოკუდა". იხ. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, I, გვ. 175).

სინამდვილეში საქმე, ცხადია, მარტივად არის – როდესაც ხახულის ტაძარი შენდებოდა (960-70-იანი წლები), ეკლესიის მთლიანად მოხატვის წესი ქალკედონიტურ სამყაროში და, კერძოდ, საქართველოშიც არ იყო დამკვიდრებული. როცა ეს წესი დამკვიდრდა, ხახული მოიხატა კიდეც.

[402] AK, გვ. 459-461; ლ. ჭილაშვილი, *კახეთის ქალაქები (XIV-XVIII სს.)*, თბილისი, 1980, გვ. 164-167, ნახ. 63, ტაბ. XL-XLI.

[403] Н. Токарский, *Архитектура Армении IV-XIV вв.*, Ереван, 1961, გვ. 219-220, 226, 280, 297; შეადარე: Г Чубинашвили, *Разыскания*, გვ. 121-122.

ეწყობა. ისინი, როგორც წესი, უფრო ვიწროა, ვიდრე ანალოგიური სათავსები ქართულ ეკლესიებში. ბუნებრივია, ასევე უფრო მოკლეა სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავეებიც. ჩანს, განსხვავება განსაზღვრა გენეზისის სხვადასხვა პირობებმა: თუ საქართველოში ეს კომპოზიცია „თავისუფალი ჯვრის" თემის გართულების შედეგად წარმოიშვა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ), სომხეთში ის აღმოცენდა კუპელ-ჰალეს ტიპისაგან[404], რომლისთვისაც ორგანულად უცხოა განეითარებული განივი ღერძი. წინამორბედი სტრუქტურის საუკუნოვანი მყარი ტრადიცია ზღუდავდა „ანბერდის ტიპის" შენობებში სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავების გაღრმავებისა და, აქედან გამომდინარე, კუთხის ოთახების სიგანის გაზრდის შესაძლებლობას. შესაბამისად, არის განსხვავება კონსტრუქციული თვალსაზრისითაც: „ანბერდის ტიპის" ნაგებობებში, ისევე, როგორც ჩვეულებრივ კუპელ-ჰალეში, გუმბათი ეყრდნობა გრძივი კედლებიდან შვერილ მძლავრ პილონებს და არა ორი ურთიერთმართობული კედლის შეხვედრის ადგილას წარმოქმნილ მასივს.

აღნიშნული კომპოზიციის უადრესი სომხური ნიმუშები X-XI საუკუნეებს განეკუთვნება: ქარკოფი – 910 წლისა[405], ჰაგარცინის

---

[404] ო. ხალფაxჩიანი კუთxის ოთახების გაჩენას ტაძარში ღვთისმსახურებრივი დანიშნულების სათავსების (приделы) რაოდენობის გაზრდის მოთxოვნილებას უკავშირებს და სიამაყით აღნიშნავს, რომ „ჯვარგუმბათოვანი ტაძარი ოთxი სათავსით (приделы) შენობის კუთxეებში, რომელსაც არ იცნობს არც დასავლეთის ქვეყნები და არც ახლო აღმოსავლეთი, სომxეთის პირობებით წარმოშობილი ორიგინალური ნაწარმოებია" (О. Халпахчьян, *Санаин*, Москва, 1973, გვ. 23-24). სxვობდა ავტორს დაეზუსტებინა ფორმულირება და xაზი გაესვა, რომ გულისxმობს ნიშანდობლივ კუპელ-ჰალეს საფუძველზე წარმოქმნილ კომპოზიციას, თორემ „ჯვარგუმბათოვანი ტაძარი ოთxი სათავსით კუთxეებში" ქრისტიანული სამყაროს სxვადასxვა მxარეში უკვე ძალიან ადრეული xანიდან გეxვდება – შეიძლება დავასახელოთ ჰაგიოს დავითი სალონიკში და რომეტას მაცxოვრის ეკლესია სიცილიაზე (ორივე V საუკუნის ბოლოსი), ალაქილისეს (ალაxჯა ყაალას) ბაზილიკის სამxრეთ-აღმოსავლეთ კაპელა, აქ-ქალეს მონასტრის მაეზოლეუმი, ბინ ბირ ქილისეს № 35 ეკლესია, რიმინის სან ანდრეა (ყველა VI საუკუნისა), ბაუიუკადას ეკლესია ამასტრასთან (VIII საუკუნე) და სxვა. ფართო გაგებით, ამ განსაზღვრებას მიესადაგება მცxეთის ჯვრისა და რიფსიმეს ტიპის მრავალრიცxოვანი ქართული და სომxური ეკლესიებიც. სxვათა შორის, აღნიშნულ ტიპს ო. xალფაxჩიანი ზოგჯერ რატომღაც „ჯვარგუმბათოვან ბაზილიკასაც" უწოდებს: იხ., მაგალითად, მის წიგნში გვ. 26 – აქ ლაპარაკია სანაჰინის ასტვაცაცინზე, რომელსაც არაფრით არ შეიძლება ეწოდოს ბაზილიკა.

[405] ს. მნაცაკანიანი, *სომxური xუროთმოძღვრების სიუნიქის სკოლა*, ერევანი, 1960 (სომxურ ენაზე), სურ. 71; *Kunst in Armenien*, გვ. 78.

სურბ გრიგორი – X-XI საუკუნეთა მიჯნისა[406], ანბერდი – 1026 წლისა[407], ცაღაცქარის სურბ კარაპეტი – 1041 წლისა[408]. მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ „ანბერდის ტიპი“ XIII საუკუნეში ვრცელდება, როცა ის სომხური საეკლესიო ხუროთმოძღვრების წამყვან თემად იქცევა. მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება – გელარდის კათოღიკე[409], განძასარის სურბ ოვანეს მკრტიჩი[410], კარმირვანქი[411], ოვანავანქი[412], ხარიჭავანქი[413], საღმოსავანქის სიონი[414], დიგერის ასტვაცაცინი[415] და სხვა.

ამრიგად, ჩვენ მიმოვიხილეთ croix libre-ის ბირთვის მქონე კლარჯული ეკლესიები და მათი მეტ-ნაკლებად ახლო კომპოზიციური პარალელები. როგორც ვნახეთ, ისინი ორ ტიპად იყოფიან დამატებითი სათავსების განლაგების ანუ, არსებითად, ძირითადი ჯვრული სტრუქტურის გართულება-გამრავალწევრიანების ხარისხის მიხედვით[416]. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ორივე ტიპი მარტივი croix libre-ისგან უნდა იყოს წარმოშობილი („ნახევრადთავისუფალი ჯვრის“ შესახებ – საკმაოდ დაბეჯითებით, ოთხი დამატებითი სათავსის

---

[406] *Haghartzin*, DAA, 13, 1984, gv. 43, 46.

[407] Н. Буниатов, Ю. Яралов, *Архитектура Армении*, Ереван, 1950, გვ. 76; *Amberd*, DAA, 5, 1972, გვ. 10-12, 46; იხ. აგრეთვე ზემოთ, შენიშვნა 99.

[408] ს. მნაცაკანიანი, დასახ. ნაშრ., სურ. 74.

[409] Н. Токарский, *Гегард*, Москва, 1948; Г. Чубинашвили, *Разыскания*, გვ. 123; *G(h)eghard*, DAA, 6, 1973, გვ. 45-47; *Kunst des Mittelalters in Armenien*, გვ. 91.

[410] *Gandzasar*, DAA, 17, 1987, გვ. 61.

[411] U. Bock, Karmir Wank, Bagnair, Çala und Urta, *Die Karavane: Kaukasische Reise, Christliche Erbe im Kaukasus*, Ludvigsburg, 1983, გვ. 60-82, კარმირ-ვანქის შესახებ – გვ. 62-67.

[412] კ. ღაფადარიანი, *ოვანავანქი და მისი წარწერები*, ერევანი, 1948 (სომხურ ენაზე), სურ. 3.

[413] Г. Чубинашвили, *Разыскания*, გვ. 122.

[414] იქვე, გვ. 124.

[415] იქვე.

[416] ქართულ ხუროთმოძღვრებაში ჩემთვის ცნობილია მხოლოდ ერთი ნაგებობა, რომელიც დამატებითი სათავსების გამოყენების თავისებურ, აღნიშნული ორი ტიპისაგან განსხვავებულ ვარიანტს მისდევს. ეს არის ზედგზითის ეკლესია ჰერეთს, საინგილოში (X-XI საუკუნეთა მიჯნა) – „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის შენობა ერთი მკლავთაშორისი სათავსით სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში (*AK*, გვ. 436-437; დ. თუმანიშვილი, *„თავისუფალი ჯვრის“ კომპოზიცია*, გვ. 41-42; გ. მარჯანიშვილი, ზედგზითი, *ძეგლის მეგობარი*, 1986, №1, გვ.17-22. უკანასკნელი ავტორი დაბეჯითებით ამბობს, რომ დამატებითი სათავსი ეკლესიის თანადროულია).

მქონე ჯვრული ეკლესიების შესახებ – უფრო ფრთხილად)[417]. ვფიქრობ, ამ აზრის სისწორე ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ყოველ შემთხვევაში, გენეზისის სხვა საფუძვლები ძალზე ძნელად წარმოსადგენია. რაც შეეხება თვით ამ ორი ტიპის ურთიერთმიმართებას, ის, შეიძლება ითქვას, „თანასწორია" – ორივე ჩნდება დაახლოებით ერთდროულად, განვითარების ერთ გზას გადის და ერთდროულადვე ქრება. ამ თვალსაზრისით განსხვავება მათ შორის გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე სიახლოვე. არსებითად, ისინი შეიძლება განხილული იქნას, როგორც ერთი „დიდი" ტიპის – დამატებითსათაესებიანი ან გაერცობილი croix libre-ს ერთგვარი ქვეტიპები.

წლები	კლარჯეთი	ტაო და კოლა	ქართლი	კახეთი	სომხეთი
800	მიძნაძორი				
	წყაროსთაეი				
850					
	ოპიზა				
900	არტანუჯი				
950	დოლისყანა		ხოჟორნა		
		ექექი			
1000	შაგბერდი	დადაშენი	იკეი		
				კუნთურის	ჩანგლი
1050				საყდარი	

ცხრილი 1. ნაგებობათა ქრონოლოგია რეგიონების მიხედვით

ქრონოლოგიური მონაკვეთი, რომელშიც ზემოთგანხილული ნაგებობები ექცევა, საკმაოდ ვიწროა – IX-X საუკუნეები და XI საუკუნის პირველი ათწლეულები. ასევე გარკვეულად შეზღუდულია გეოგრაფიული არეალიც – ყველა შენობა, გარდა ხოჟორნისა, იკვისა და კუნთურის საყდრისა, მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ

---

417 Р. Шмерлинг, Купольный храм в Икви, გვ. 175-176; დ. თუმანიშვილი, „თაეისუფალი ჯვრის" კომპოზიცია, გვ. 11, 37, 45, 63-64. „ნახევრადთაეისუფალი ჯვრის" (ექექს, ფენი-რაბათს, კუნთურის საყდარსა და ჩანგლს) ნიმუშებს დ. თუმანიშვილი არ გამოყოფს მარტივი croix libre-ებისაგან და მათთან ერთად განიხილავს საერთო ქრონოლოგიურ მწკრივში, ხოლო ჯვრულ ეკლესიებს დამატებითი სათაესებით ოთხსაეე კუთხეში (დოლისყანასა და დადაშენს) – ცალკე, ამ მწკრივის ბოლოს.

საქართველოში (და მის მეზობელ სომხურ – უთუოდ მეტწილად ქალკედონიტურ პროვინციაში), ამასთან უმეტესობა – კლარჯეთში (იხ. ცხრილი I).

თვალშისაცემია, რომ ყველაზე ადრეული ნიმუშები სწორედ კლარჯეთში გვაქვს და ისინი აგებულია გრიგოლ ხანძთელის წრის მოღვაწეების მიერ დაარსებულ მონასტრებში. ეს გვაფიქრებინებს, რომ მარტივი croix libre-ის მკლავთაშორის კუთხეებში დამატებითი სათავსების მოწყობის იდეა გაჩნდა კლარჯეთის სამონასტრო არქიტექტურაში და აქვე პოვა განხორციელება ორ ვარიანტად – ორი ან ოთხი დამატებითი სათავსით, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა გართულებული croix libre-ის ორი ზემოთაღწერილი სახესხვაობა. როგორც ჩანს, ეს თემა კლარჯეთში იმთავითვე უპირატესი გახდა და წამყვან მნიშვნელობას ინარჩუნებდა X-XI საუკუნეთა მიჯნამდე, თანაც არა მხოლოდ „საქართველოს სინას“ არქიტექტურაში – ასეთივეა ქალაქ არტანუჯის სამრეველო ეკლესიაც. რა თქმა უნდა, ახლა შეუძლებელია ვითარების სრულად წარმოდგენა – მრავალი საეკლესიო ნაგებობა ხომ მთლიანად განადგურდა, მაგრამ ფაქტია, რომ კლარჯეთის IX-XI საუკუნეთა ასე თუ ისე გადარჩენილი ცხრა გუმბათიანი ეკლესიიდან ექვსი სწორედ დამატებითსათავსებიანი ჯვრული ნაგებობაა (მიძნაძორი, წყაროსთავი, ოპიზა, არტანუჯი, დოლისყანა, შატბერდი). გარდა ამისა, შესაძლებელია, რომ ამავე ტიპისა ყოფილიყო ანჩის ამჟამად ნანგრევებად ქცეული ეკლესიაც (კერძოდ, ჰქონოდა ცალკე სათავსები ოთხსავე კუთხეში, რაკი გეგმა მართკუთხაა), ხოლო ხანძთა მისგან მომდინარეობდეს.

IX საუკუნისა და X საუკუნის I ნახევრის განმავლობაში დამატებითსათავსებიანი ჯვრული ეკლესიის ორივე ქვესახეობა, შეიძლება ითქვას, ლოკალური კლარჯული ტიპებია, ყოველ შემთხვევაში, სხვაგან საქართველოში მათი ამდროინდელი ნიმუშები ცნობილი არ არის. მხოლოდ X საუკუნის შუახანებიდან ვხედებით ამ სახის თითო-ოროლა ნაგებობას სხვა მხარეებში – ჯერ ტაოსა (ექექი, დადაშენი) და ქვემო ქართლში (ხოუორნა), შემდეგ კახეთში (კუნთურის საყდარი), აგრეთვე სომხეთის ტაოსთან მომიჯნავე რეგიონში (ჩანგლი).

ქართული არქიტექტურის სტილისტური ევოლუციის თვალსაზრისით IX საუკუნეში დამატებითსათავსებიანი ჯვრული ნაგებობების გაჩენა სავსებით კანონზომიერია – როგორც ცნობილია, გარდამავალ ხანაში მშენებლებს განსაკუთრებით იზიდავს მრავალნაწილიანი სტრუქტურები, კომპონირების რთული ხერხები[418]. საქართველოს სხვადასხვა მხარეში ძიებები სხვადასხვა

---

[418] 1982 წელს დ. თუმანიშვილი აღნიშნავდა, რომ „თავისუფალი ჯვრისაგან“ წარმოშობილი რთული კომპოზიციები სავსებით მისაღებია

მიმართულებით მიდის და მოულოდნელი არ არის, რომ ერთ-ერთ რეგიონში წამყვანი კომპოზიციური იდეა გახდა მარტივი ჯვრული ნაგებობის გავრცობა-გართულება დამატებითი მკლავთაშორისი სათავსების მეშვეობით. ძნელია ითქვას, თუ რატომ აღმოჩნდა ეს რეგიონი მაინცდამაინც კლარჯეთი. კლარჯეთის IX-X საუკუნეთა არქიტექტურა პირველ რიგში სამონასტრო არქიტექტურაა და, შესაძლოა, მშენებლები სამონასტრო ეკლესიების აღნაგობის სიმბოლიკას გარკვეულ ყურადღებას აქცევდნენ[419]. ამ თვალსაზრისით croix libre-ის ტიპი, როგორც ჯვრის ფორმის ყველაზე ცხადი და მკაფიო გამომხატველი, ეგებ მათთვის გამორჩეულად მიმზიდველი ყოფილიყო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მკლავებშორისი სათავსების დამატების შემდეგ ეს სიმბოლიკა ნაწილობრივ უფერულდება — ჯვრის ფორმა მხოლოდ ინტერიერში იკითხება. სამწუხაროდ, ნარატიული ცნობების სიმცირის გამო კლარჯეთის სამონასტრო ეკლესიების შესახებ ამ თვალსაზრისით უფრო საფუძვლიანი მსჯელობა ჭირს. ერთადერთი აქაური ნაგებობა, რომლის ფორმაც საკმაო ალბათობით შეიძლება დაეკავშიროთ ჯვრის სიმბოლიკას, ოპიზის ეკლესიაა. ის წმ. იოანე

გარდამავალი ხანის ქართული ხუროთმოძღვრებისათვის, „ბაგრამ VIII-IX საუკუნეთა "თავისუფალი ჯვრის" სახის პასტოფორიუმებიან ეკლესიას ჩვენ არ ეიცნობთ. ეს შეიძლება მისი მოოდწეველობითა თუ მიუკვლეველობით იყოს გამოწვეული *(„თავისუფალი ჯვრის" კომპოზიცია*, გვ. 123). იმხანად დამარცვითსათავსებიანი croix libre-ის კომპოზიციის IX საუკუნის ნაგებობები ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი და უადრეს ნიმუშად X საუკუნის II ნახევრის ეკლესიები ითვლებოდა. დ. თუმანიშვილის ვარაუდის სისწორე სულ მალე დადასტურდა — უკვე 1980-იანი წლების შუახანებში ნ. მარის „დღიურის" მეცნიერული დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ მიძნაძორის, წყაროსთავისა და არტანუჯის ეკლესიები, რომლებიც IX საუკუნითა და X საუკუნის დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს, სწორედ აღნიშნულ არქიტექტურულ თემებზე შექმნილი შენობებია.

[419] რ. კრაუტჰაიმერი თვლის, რომ გამოყოფილი ინტერესი საეკლესიო შენობის ფორმის სიმბოლურობისადმი ნიშანდობლივია ადრექრისტიანული ხუროთმოძღვრებისათვის, ხოლო შემდეგ შესამჩნევად კლებულობს (R. Krautheimer, Introduction to an Iconography of Medieval Architecture, in: *Studies in Early Christian, Medieval and Renaissance Art*, New York-London, 1969, გვ. 131-150). დ. თუმანიშვილი „თავისუფალი ჯვრის" ტიპის ქართულ ეკლესიებთან დაკავშირებით შენიშნავს: „...ეჭვმიუტანელი გვესკვნება ადრეული ხანის ეკლესიების სიმბოლურობა და მისი გაქრობა თუ VII საუკუნის შემდეგ არა, ყოველ შემთხვევაში, X საუკუნიდან მოყოლებული" *(„თავისუფალი ჯვრის" კომპოზიცია*, გვ. 153). IX-X საუკუნეთა ეკლესიების არქიტექტურულ ფორმაში სიმბოლური აზრის ნადების შესაძლებლობას, მიუხედავად გარკვეული სკეპტიციზმისა, არცერთი ავტორი არ გამორიცხავს.

ნათლისმცემლის სახელზე აიგო (მონასტერში ძვირფასი რელიკვია – წმ. იოანეს ხორხი ინახებოდა) და, ვფიქრობ, მისი ჯვრული ფორმა ამ ფაქტორმა განაპირობა, მითუმეტეს, რომ აქ ჯვაროვანება, როგორც ითქვა, გარე მასებშიც არის გამოვლენილი. ნათლისღება სიმბოლურად ქრისტეს საფლავად დადებისა და მკვდრეთით აღდგომის სახეა. ნათლისცემის სახელობაზე ეკლესიის კურთხევა თავისი სიმბოლური შინაარსით ჯვრისადმი მისი მიძღვნისაგან არ განსხვავდება[420]. ეგებ ამ ასპექტით უნდა მოეძებნოს ახსნა ოპიზის ეკლესიის უჩვეულოდ დაგრძელებულ დასავლეთის მკლავსაც, თუ ვიფიქრებთ, რომ მშენებლებს სურდათ თავიანთი ნაგებობისათვის უსათუოდ ჯვრული მოყვანილობა მიენიჭებინათ და თანაც იძულებულნი იყვნენ ეზრუნათ მის ტევადობაზე – ოპიზა ხომ კლარჯეთის ერთ-ერთი უდიდესი მონასტერი იყო, IX საუკუნის II ნახევარში აქ უკვე მრავალი ბერი ცხოვრობდა.

	დასავლეთის მკლავის სიგრძის შეფარდება განივი მკლავის სიგრძესთან	დასავლეთის მკლავის სიგრძის შეფარდება აღმოსავლეთის მკლავის სიგრძესთან
მიძნაძორი	2,8	1,8
წყაროსთავი	3,7	2,2
ოპიზა	5,3	2,5
დოლისყანა	3,5	2,6
მაგბერდი	2,7	1,7
არტანუჯი	1,6	1,0
კუნთურის საყდარი	1,3	1,1
ჩანგლი	1,8	1,0
ექექი	1,0	0,8
დადაშენი	1,3	0,5
იკვი	0,9	0,5
ხოჟორნა	1,0	1,05

ცხრილი 2. მკლავების მიდა ზომების ურთიერთშეფარდება დამატებითსათავსებიან ჯვრულ ეკლესიებში.

[420] R. Krautheimer, დასახ. ნაშრ., გვ. 136; დ. თუმანიშვილი, *„თავისუფალი ჯვრის“ კომპოზიცია*, გვ. 151-152.

ამრიგად, დამატებითსათავსებიანი ჯვრული ეკლესიების მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ ამ სახის ნაგებობებს გამორჩეული ადგილი უჭირავთ კლარჯეთის IX-X საუკუნეთა არქიტექტურაში და, კერძოდ, სამონასტრო აღმშენებლობაში.

დადგენილია, რომ გარდამავალი ხანისა და უშუალოდ მისი მომდევნო პერიოდის „თავისუფალი ჯვრის" სახის როგორც მარტივ, ისე დამატებითსათავსებიან ნაგებობებში მკლავების სიგრძეთა შეფარდება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს[421]. გვხვდება სამი ძირითადი ვარიანტი:

1. დასავლეთის მკლავი დანარჩენ სამთან შედარებით დაგრძელებულია;

2. გამოიყოფა თანაბარი სიგრძის დასავლეთისა და აღმოსავლეთის მკლავები უფრო მოკლე განივ მკლავებთან შედარებით;

3. დაგრძელებულია აღმოსავლეთის აფსიდიანი მკლავი, ხოლო სამივე მართკუთხა მკლავი უფრო მოკლეა, დაახლოებით ტოლი.

დამატებითსათავსებიან ჯვრულ ნაგებობათაგან პირველ ვარიანტს ემხრობა მიძნაძორი, წყაროსთავი, ოპიზა, დოლისყანა და შატბერდი; მეორეს – არტანუჯი, კუნთურის საყდარი და ჩანგლი; მესამეს – ექექი, დადაშენი და იკეი. როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ხოჟორნა, რომელშიც ოთხივე მკლავი თითქმის ტოლია.

ამ შენობათა მკლავების პროპორციების შეფარდება ფრიად საგულისხმო სურათს იძლევა (იხ. ცხრილი 2[422]). გამორჩეულად გრძელი დასავლეთის მკლავი დამახასიათებელია აღნიშნული სახის ყველა კლარჯული სამონასტრო (!) ეკლესიისათვის და მხოლოდ მათთვის. თვით არტანუჯის – კლარჯეთის სატახტო ქალაქის – სამრეველო (არა სამონასტრო) ეკლესიაც კი სხვაგვარ გადაწყვეტას გვიჩვენებს, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა მხარეებში მდებარე ნაგებობებზე. ვფიქრობ, შეიძლება ვთქვათ, რომ კლარჯეთის სამონასტრო არქიტექტურაში გრიგოლ ხანძთელის დროიდან XI საუკუნის დასაწყისამდე დამკვიდრებული იყო ტრადიცია, რომელიც გულისხმობდა ჯვრული აგებულების შენობაში დასავლეთის

---

421 *„თავისუფალი ჯვრის" კომპოზიცია*, გვ. 44.

422 ცხრილის შედგენისას კლარჯეთის ნაგებობებისათვის გამოყენებულია გ. და ნ. ბაგრატიონების 1994-1995 წლების ანაზომები, სხვა შენობებისათვის – გრაფიკული მასალა შემდეგი გამოცემებიდან: დადაშენი და ჩანგლი – *ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი*, ტაბ. 27c და 32b; ექექი – *АЭЮПГ*, ტაბ. 109; კუნთურის საყდარი – *АК*, ნახაზი გვ. 408-ზე; იკეი – Р. Шмерлинг, Купольный храм в Икви, გვ. 166, ნახ. 1; ხოჟორნა – გ. გაგოშიძე, *ხოჟორნის გუმბათიანი ეკლესია*, გვ. 21, სურ. 1.

მკლავის ხაზგასმულ დომინირებას[423]. შატბერდში ის ნაკლებად მძაფრად არის გამოხატული, ვიდრე დოლისყანაში და, მითუმეტეს, ოპიზაში. კონტრასტი დასავლეთის მკლავსა და შენობის დანარჩენ ნაწილს შორის აქ შედარებით შერბილებულია, რაც უთუოდ ეპოქის ნიშანია – გარდამავალი ხანის ოსტატებისათვის დამახასიათებელი სწრაფვა მკვეთრ დაპირისპირებაზე აგებული კომპოზიციებისადმი X საუკუნის II ნახევრიდან და განსაკუთრებით ბოლოდან უფრო ზომიერ სახეს იღებს. მაგრამ შატბერდის ეს ზომიერება შეფარდებითია და მხოლოდ წინამორბედი კლარჯული სამონასტრო ეკლესიების ფონზე იკვეთება.

ტრადიციულად ითვლება, რომ დასავლეთის მკლავის დაგრძელება საერთოდ ნიშანდობლივია ტაო-კლარჯეთის გუმბათიანი ეკლესიებისათვის. ყველაზე მკვეთრად ეს აზრი გამოთქვა ა. ხაჩატრიანმა, რომელმაც ჯვრული ეკლესიები დაგრძელებული დასავლეთის მკლავით ტაოს („ტაიკის") არქიტექტურული სკოლის „განსაკუთრებულ ქმნილებად" (une création particulière) მიიჩნია[424]. რამდენადაც „ტაიკის" გეოგრაფიული ფარგლები მის წერილში მეტად გაფართოებულია[425], ძნელია ითქვას, კონკრეტულად რომელ რეგიონს გულისხმობს აეტორი და ასხვაევებს თუ არა იგი საერთოდ ტაოს,

---

[423] ნიშანდობლივია, რომ მიდრეკილება დასავლეთის მკლავის დაგრძელებისადმი თავს იჩენს ხანძთის მონასტრის ეკლესიაშიც, რომელიც, როგორც ითქვა სხვა არქიტექტურულ ტიპს – „ჩახაზულ ჯვარს" ეკუთვნის. დასავლეთის მკლავი აქ 2,4-ჯერ გრძელია განიეებთან შედარებით. ამავე ტიპის IX-X საუკუნეთა სხვა რეგიონების ქართულ ეკლესიებში აღნიშნული შეფარდება უფრო მცირე მაჩვენებელს იძლევა: იყალთოში ის შეადგენს 1,0-ს, ბარცანაში – 1,3-ს, მატანის (ქაჩალაურის) „გუმბათიან საყდარში" – 1,1-ს, ოზაანში – 2,0-ს, წეროში – 1,3-ს, ვაჩეძორში – საშუალოდ 1,3-ს, ბზიფში – 1,2-ს, ანაკოფიაში – 1,3-ს, ლიხნეში – 1,4-ს.

[424] A. Khatchatrian, Les églises cruciformes du Tayq, *Cahiers Archéologiques, 17*, 1967, გვ. 208.

[425] რამდენადაც სტატიაში საკუთრივ ტაოს ეკლესიებთან (ისი, იშხანი, ექეკი, ხახული, ოშკი და სხვა) ერთად განხილულია სამხრეთ საქართველოს სხვა პროვინციების ნაგებობებიც (იგივე ჟენი-რაბათი, ოპიზა, დოლისყანა, ტბეთი, ჯავახეთის ზეგანი), უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი „ტაიკში" გულისხმობს არა მხოლოდ ტაოს, არამედ შავშეთ-კლარჯეთსაც და მტკვრის ხეობის ზედაწელის პროვინციებსაც, ე. ი. მთელ ახლანდელ „თურქეთის საქართველოს". ეს „ტაიკი", ა. ხაჩატრიანის აზრით, არის ძველი სომხური მიწაწყალი, შემდგომ ასიმილირებული ქართველთა მიერ ("terre arménienne d'abord, assimilée ensuite par les Géorgiens" – A. Khatchatrian, გვ. 203). ის საუბრობს „ტაიკის არქიტექტურულ სკოლაზე", როგორც დამოუკიდებელ ფენომენზე, რომელიც არ ეკუთვნის არც ქართულ და არც სომხურ ხუროთმოძღვრებას.

კლარჯეთს, ჯავახეთს და ა.შ. ასეა თუ ისე, ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული მასალით არ ჩანს, რომ დასავლეთის მკლავის დაგრძელების ტენდენციას ტაოში უფრო ადრე ეჩინოს თავი, ვიდრე კლარჯეთში. პირიქით, გარდამავალ ხანაში, ე. ი. 960-იან წლებამდე, ტაოში აშკარად ცენტრის გარშემო ორგანიზებულ ნაგებობებს ამჯობინებენ (ქამჩის-ქიშლაქი/ჩამხუსი, მუღლაქ-ქილისე/მუხლაჯიგილისა, ორთული, კინეპოსი, ბობისგერი, ვაჩეძორი, ტაოსკარი, ოლთისი, ქამჩისი/კიაღმის-ალთი, ექექი). დაგრძელებული დასავლეთის მკლავის ნიმუშები აქ ბევრად ცოტაა (ისი, ბაჭილი-ქიშლაქი).

აღნიშნული საკითხის სრულად გასაშუქებლად საინტერესოა თვალი გადავავლოთ თვით დასავლეთის მკლავის ძირითადი პარამეტრების ურთიერთშეფარდებას IX-XI საუკუნეთა სხვადასხვაგვარ ჯვარგუმბათოვან შენობებში (იხ. ცხრილი 3[426]).

როგორც ცხრილიდან ჩანს, კლარჯეთის სამონასტრო ეკლესიები (აქ დამატებითსათაესებიან ჯვრულ ნაგებობებთან ერთად ეგულისხმობ ხანძთასაც) სხვა შენობებისაგან გამოირჩევიან იმით, რომ მათში დასავლეთის მკლავის სიგრძე შესამჩნევად სჭარბობს სიგანეს. ყველა სხვა დამატებითსათავსებიან ჯვრულ ნაგებობაში –

---

[426] ცხრილის შედგენისას და აგრეთვე წინა შენიშვნაში მოტანილი პროპორციული შეფარდებებისათვის გამოყენებულია გ. და ნ. ბაგრატიონ-ების 1994-1995 წლების ანაზომები (კლარჯეთისა და შავშეთის ეკლესიებისათვის და ვაჩეძორისათვის), აგრეთვე გრაფიკული მასალა შემდეგი გამოცემებიდან: იყალთო, ოზაანი და ბარცანა – *AK*, გვ. 340, 350, 365; მატანი – დ. თუმანიშვილი, „გუმბათიანი საყდარი" სოფ. მატანის მიდამოებში, *ძეგლის მეგობარი*, №60, 1982, გვ. 29; ეალე – რ. მეფისაშვილი, ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, *Ars Georgica*, 3, 1950, გვ. 32, სურ. 6; ჯავახეთის ახალქალაქი – ე. ჯანდიერი, უსღუდო ქალაქის გეგმარება და მშენებლობის წესი ადრეფეოდალური ხანის ჯავახეთის ახალქალაქში, *ძეგლის მეგობარი*, №47, 1978, გვ. 33; თრიალეთის ახალქალაქი – ლ. რჩეულიშვილი, რატი ერისთავთ-ერისთავის ნაგებობა თრიალეთის ახალქალაქში, *Ars Georgica*, 7, 1971, გვ. 114, სურ. 1; ზედგზითი – გ. მარჯანიშვილი, ზედგზითი, *ძეგლის მეგობარი*, №1, 1986, გვ. 18; თხოთი – P. Шмерлинг, Т. Барнавели, Церковь св. Нины в Тхоти, *საქ. სსრ მეცნ. აკად. სახ. მეცნ. განყ-ბის მაცნე*, №6, 1963, გვ. 161; ატენი – ლ. რჩეულიშვილი, ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესია, *Ars Georgica*, 1, 1942, გვ. 32, სურ. 1; კავთურის ლავრა – დ. თუმანიშვილი, *„თაეისუფალი ჯვრის" კომპოზიცია*, ტაბ. 1-9; სამთავრო – P. Шмерлинг, Самтавро - памятник XI века, *Ars Georgica*, 1, 1942, გვ. 50, სურ. 1; აწყური, სვეტიცხოველი და სამთავისი – R. Mepisaschvili, W. Zinzadse, *Georgien*, გვ. 276, 291, 294; ბზიფი, ანაკოფია და ლიხნე – Л. Рчеулишвили, *Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии*, Тбилиси, 1988, გვ. 9, 33, 37; წეროსათვის გამოყენებულია გეგმის ანაზომი, შესრულებული მ. შავიშვილის მიერ 1989 წელს..

არტანუჯის ჩათელით – პირიქით, სიგანე მეტია, ან, ყოველ შემთხვევაში, არანაკლებია. ასევეა მარტივი „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ეკლესიებშიც (ერთადერთი ჩემთვის ცნობილი გამონაკლისია თრიალეთის ახალქალაქი) და – მეტწილად – „ჩახაზული ჯვრის“ ტიპისა და მისი მონათესავე რთული კომპოზიციების ნაგებობებშიც (საპირისპირო შეფარდება, ხანძთის გარდა, არის ოზაანში და XI საუკუნის დიდ კათედრალებში).

„თავისუფალი ჯვრის“ ტიპის შენობები		დამატებით-სათავსებიანი ჯვრული შენობები		„ჩახაზული ჯვრის“ ტიპისა და მონათესავე კომპოზიციების შენობები	
ატენის მც. ეკლესია	0,6	მიძნაძორი	1,9	ხანძთა	1,25
თხოთი	0,7	წყاროსთავი	1,5	სინკოთი	0,6
კავთურის ლავრა	0,7	ოპიზა	2,5	ვაჩეძორი	0,6
ახალქალაქი ჯავახ.	1,0	დოლისყანა	1,8	ვალე	0,8
ახალქალაქი თრიალ.	1,3	შაგბერდი	1,3	იყალთო	0,7
ზედგზითი	0,8	არტანუჯი	0,65	ბარცანა	0,7
		ექექი	0,7	მაგანი	0,8
		დადაშენი	0,7	ოზაანი	1,2
		იკვი	0,65	წერო	0,6
		ჩანგლი	0,9	ბბიფი	0,9
		კუნთურის საყდ.	1,0	ანაკოფია	0,9
		ხოჟორნა	0,7	ლიხნე	1,0
				სამთავრო	1,0
				სამთავისი	1,3
				აწყური	1,5
				სვეტიცხოველი	2,25

ცხრილი 3. დასავლეთის მკლავის სიგრძის (OW) შეფარდება სიგანესთან (SN) IX-XI საუკუნეთა ქართულ ჯვარგუმბათოვან ეკლესიებში.

რა თქმა უნდა, დასავლეთის მკლავის ამგვარი დაგრძელება კლარჯეთის სამონასტრო ეკლესიებში გრძივი ღერძის აქცენტირებას იწვევს. დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულების ხაზგასმას აქ ხელს უწყობს შესასვლელების განლაგებაც. ოპიზაში, დოლისყანასა და შატბერდში ორ-ორი კარია – ერთი დასავლეთის მკლავის დასავლეთ კედელში, მეორე მასთან ახლოს, იმავე მკლავის სამხრეთ კედელში. რომლიდანაც არ უნდა შევიდეს მომსვლელი, ის მაინც ეკლესიის დასავლეთ ბოლოში, საკურთხევლიდან ყველაზე დაცილებულ ნაწილში ექცევა და შემდეგ მოძრაობს აღმოსავლეთისაკენ. მიძნაძორის ეკლესიაში შედიოდნენ ასევე დასავლეთის მკლავის

დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში მოწყობილი კარებით (ამ უკანასკნელით – ჩრდილო-დასავლეთ კუთხის სათავსის გავლით). წყაროსთავში ნ. მარის აღწერიდან დანამდვილებით ვიცით მხოლოდ ერთი შესასვლელის არსებობა – კვლავ დასავლეთის მკლავის დასავლეთ კედელში. ჩრდილოეთის მკლავში აქ კარი არ არის და მგონია, რომ არც სამხრეთისაში ყოფილა (ნ. მარი ამის შესახებ არაფერს გვამცნობს – შენობის ეს მხარე მას უკვე დანგრეული დახვდა). ასეა თუ ისე, რამდენადაც დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მასალით შეიძლება მსჯელობა, ყველგან ჩანს ერთი პრინციპი – შესასვლელი (ერთი ან ორი) კეთდება მხოლოდ დასავლეთის მკლავში და არა განივ მკლავებში. აქ ისევე უნდა გავიხსენოთ ხანძთაც, რომელიც არსებითად იმავე წესს მისდევს – აქ შესასვლელები მოწყობილია დასავლეთის მკლავის მიმდებარე კუთხის დაბალი მონაკვეთების გრძივ კედლებში, ერთმანეთის პირდაპირ, სიმეტრიულად. ეს ძალზე სპეციფიკური თავისებურება მკვეთრად გამოარჩევს კლარჯეთის სამონასტრო ეკლესიებს. ალბათ ძნელად თუ გავიხსენებთ სხვა მეტნაკლებად მოზრდილ ჯვარგუმბათოვან ქართულ ტაძარს, ჩრდილოეთის ან – პირველ რიგში! – სამხრეთის მკლავებში შესასვლელი რომ არ ჰქონდეს. იმავე ექექს, იკვს, ხოჟორნას, კუნთურის საყდარს ასეთი შესასვლელები აქვს, ისევე, როგორც ათეულობით ტეტრაკონქს, ტრიკონქს, „თავისუფალი ჯვრის", „ჩახაზული ჯვრისა" თუ სხვა კომპოზიციის ჯვარგუმბათოვან ნაგებობას – მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. სხეათა შორის, ერთ-ერთ უიშვიათეს გამონაკლისთაგანია იშხნის გრანდიოზული ტაძარი სამი კარით დასავლეთის მკლავში და არცერთით ჩრდილოეთისა და სამხრეთისაში. საინტერესოა, რომ იშხნის მშენებლობის ერთი ეტაპიც გრიგოლ ხანძთელის წრეს უკავშირდება: ის 820-30-იან წლებში აღადგინა გრიგოლის დისწულმა საბამ. შემდგომ იშხანი კიდევ ორჯერ მაინც ძირფესვიანად განახლდა და ძნელი სათქმელია, თუ რა არის ტაძარში საბასეული ნაგებობისაგან შემორჩენილი[427].

---

[427] იშხნის ტაძრის მშენებლობის ისტორია, ქრონოლოგიურ ფენათა განშრეევებისა და ცალკეულ ნაწილთა დათარიღების საკითხები მეტწილად ჯერაც საკამათო და გაურკვეველია, მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის შესახებ საკმაოდ ბევრი დაწერილა: *АЭЮПГ*, გვ. 23-44; Voyage, გვ. 24-26; С. Мнацаканян, *Звартноц*, Москва, 1971, გვ. 59-62; *АТК*, გვ. 150-152; *ЗТК*, გვ. 23-40; *Архитектурные памятники*, გვ. 155-167; V. Eid, *Ost Turkey: Völker und Kulturen*, გვ. 196-198; M. Kadiroğlu, *The Architecture of the Georgian Church at Işhan*, EUS - XXVIII, vol. 121, 1991 (იშხნის ტაძრისადმი მიძღვნილი დღესდღეობით ერთადერთი სპეციალური მონოგრაფია, სამწუხაროდ შეცდომებით საესე); D. Piguet-Panayotova, L'église d'Iškhan: patrimoine culturel et création architecturale, *Oriens Christianus*, 75, 1991, გვ. 198-253; W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 191-217.

თავი XI
გუმბათი და გუმბათქვეშა კონსტრუქცია კლარჯეთის არქიტექტურაში

როგორც ვნახეთ, ჩვენს დრომდე გუმბათი მეტ-ნაკლებად სრულად კლარჯეთის სამ ეკლესიაში – ხანძთაში, დოლისყანასა და შატბერდში შემოინახა. გარდა ამისა, გვაქვს საკმარისი მასალა რათა ვიმსჯელოთ ოპიზის ეკლესიის გუმბათის შესახებაც, რომელიც 1960-იან წლებში განადგურდა. ამ ოთხი ნაგებობიდან ერთში – ხანძთაში (ყველაზე ადრეულში) გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათზე გადასასვლელად გამოყენებულია ტრომპები, ხოლო დანარჩენ სამში – შერეული სისტემა, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც აფრისა და ტრომპის კომბინაცია.

ტრომპი, როგორც ცნობილია, საქართველოში გარდამავალ კონსტრუქციად ადრეული ხანიდან X საუკუნემდე იხმარება. დღესდღეობით ცნობილ რამდენიმე ათეულ ქართულ ტრომპებიან ეკლესიაზე დაკვირვებით შეიძლება გამოიყოს ტრომპული სისტემის გამოყენების ორი სქემა[428]. პირველი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ საფეხუროვანი სქემა, გულისხმობს ოთხ ძირითად ტრომპსა და ოთხ გუმბათქვეშა თაღზე დადგმულ რვაწახნაგა გუმბათის ყელს. ტრომპების მეორე რიგი დაცილებულია პირველისაგან და მოთავსებულია მასზე ბევრად მაღლა, როგორც წესი, ყელის ოქტაგონის ზედა კუთხეებში. საჭიროების შემთხვევაში – კერძოდ, თუ გუმბათი დიდია – შეიძლება გაკეთდეს მესამე რიგიც. გადასვლა წრეზე მიიღწევა მხოლოდ გუმბათის ყელის თავზე, უშუალოდ ნახევარსფერული კამარის ძირში. ამ სისტემისათვის დამახასიათებელია გეომეტრიულად მკაფიო, კრისტალური არქიტექტურული ფორმების

---

[428] აქ არ ვეხები თავად ტრომპის ფორმის ნაირგვაროობის საკითხს, რომელიც ცალკე კვლევას საჭიროებს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით იხ.: W. Rave, *Trompe und Zwickel, Festschrift für Hans Jantzen*, Berlin, 1951, გვ. 97-103; M. Rumpler, *La coupole dans l'architecture byzantine et musulmane*, Strasbourg, 1956, გვ. 82-100; Г. Чубинашвили, *АК*, გვ. 204-206; D. Jones and G. Michell, Squinches and Pendentives: Problems and Definitions, *Art and Archaeology Research Papers, 1*, 1972, გვ. 9-25; R. J. Mainstone, Squinches and Pendentives: Comments on Problems of Definition, *Art and Archaeology Research Papers, 4*, 1973, გვ. 131-137.

მოწესრიგებული საფეხუროვანი განლაგება, რაც მისი სტრუქტურული არსის სიცხადესა და გამჭვირვალებას განაპირობებს. ბუნებრივია, რომ მან ყველაზე სრულყოფილი, მხატვრულად გამომსახველი განხორციელება ე. წ. კლასიკური პერიოდის (VI საუკუნის ბოლო – VII საუკუნის I ნახევარი) ნაგებობებში – მცხეთის ჯვარში, ატენის სიონში, წრომსა და სამწევრისში პოვა. უფრო ადრინდელ ნაგებობებში გვხვდება საფეხუროვანი სქემის მარტივი ვარიანტები, რომლებიც არ ითვალისწინებს ტრომპების მეორე რიგს – კეთდება შეკრული რვანაწილიანი კამარა ოქტაგონალურ საფუძველზე (ერელაანთ საყდარი[429], დავითიანის ორმოცი მოწამე, შიომღვიმის ნათლისმცემელი, იდლეთის ნათლისმცემელი – ყველა V-VI სს-ისა). როგორც ჩანს, ასევე საფეხუროვანი სქემა იყო გამოყენებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ორ ადრეულ ეკლესიაში – სუხბეჩსა[430] და ფარნაკში[431].

მომდევნო ხანაში საფეხუროვანი სქემა განხორციელებულია ისში[432], ატენის მცირე გუმბათიან ეკლესიაში, თელოვანის ჯვარპატიოსანში, ქსნის კაბენში, ალბათ ბარცანაშიც[433] (ყველა – VIII-IX საუკუნეებისა), ვარიანტი ტრომპების ერთი რიგითა და შეკრული რვანაწილიანი კამარით – გურჯაანის ყველაწმინდასა (VIII საუკუნე) და, გ. ჩუბინაშვილის ვარაუდით, ხირსის სტეფანწმინდაში (IX

---

[429]. ერელაანთ საყდარში თვით კამარა არ შემონახულა, მაგრამ მისი არსებობა საეჭვო არ არის, რადგან ყელის კარგად შემორჩენილ სამხრეთ ნაწილზე მეორე რიგის ტრომპები არ ჩანს (Г. Чубинашвили, Крестовокупольная церковь Эрелаант-Сакдари близ Ахмета, *ВИИ, I*, გვ. 47, ტაბ. 12-13). მიუხედავად ამისა, შენობის რესტაურაციისას აქ ნახევარსფეროული გუმბათი ამოიყვანეს!

[430] ასე ვარაუდობდა ე. თაყაიშვილი, რომელსაც 1917 წელს სუხბეჩში გადახურვა უკვე ჩანგრეული დახვდა (*АЭЮПГ*, გვ. 81).

[431] ფარნაკის ეკლესია ახლა დანგრეულია. ე. თაყაიშვილის მიხედვით, მისი გუმბათის ყელი ოთხწახნაგაა და „გარდამავალი აფრები სრულიად არა აქვს“ (*ეკლესიანი*, გვ. 51), მაგრამ ა. კალგინის გეგმაზე ნაჩვენებია სწორედ რვაწახნაგა ყელისა და ტრომპების პროექცია (*ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი*, ტაბ. 24). ნ. გენგიური სწორად შენიშნავს, რომ აქ ტრომპები ალბათ ყელის ზემოთ, უშუალოდ გუმბათის ნახევარსფეროს ძირში უნდა ყოფილიყო (ნ. გენგიური, ფარნაკის ეკლესია, *საქართველოს სიძველენი*, 3, 2003, გვ. 32).

[432] ე. თაყაიშვილის მიხედვით, გუმბათი ისში „საფეხუროვან ტრომპებს“ ეფუძნებოდა (*АЭЮПГ*, გვ. 80). ნ. ბაგრატიონის ცნობით, 1996 წელს გუმბათქვეშა კონსტრუქცია თითქმის მთლიანად ჩანგრეული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ჩანდა ტრომპის კვალი.

[433] ბარცანის ეკლესიის გუმბათი ჩანგრეულია. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ აქ იყო რვაწახნაგა ყელი და მცირე ტრომპების რიგი მის ზედა კუთხეებში. იხ ჭრილის რეკონსტრუქცია: *АК*, გვ. 351.

საუკუნის რეკონსტრუქცია)[434]. საფეხუროვანი სქემის უკანასკნელი და ამასთან ტექნიკურად ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში – ტრომპების სამი რიგით – გვაქვს ხანძთის ეკლესიაში.

ტრომპული სისტემის გამოყენების მეორე სქემას პირობითად წრექმნადი შეიძლება ვუწოდოთ. ეს სახელწოდება ალბათ სრულად ვერ ასახავს მის სპეციფიკას, მაგრამ აღნიშნავს მთავარ თავისებურებას – უკვე უშუალოდ ოთხი ძირითადი ტრომპის ზემოთ, გუმბათის ყელის ქვეშ იქმნება წრე (ხაზს ვუსვამ – არა წრეს მიახლოებული მრავალწახნაგა, არამედ სწორედ წრე), ე. ი. კვადრატიდან წრეზე გადასვლის მექანიზმი, რომელიც პირველ სქემაში საფეხურებადაა დაშლილი და გუმბათის ყელის მთელ სიმაღლეზე განაწილებული, აქ თითქოს „ილექება“ ყელის ძირში, იკუმშება და მცირე ფართობზე თავსდება. როგორც წესი, წრექმნად სქემაში მეტ-ნაკლებად აქტიურად მონაწილეობს აფრული ელემენტიც ტრომპების აქეთ-იქით კედლის სფერულად შეზნექილი სამკუთხა მონაკვეთების სახით.

წრექმნადი სქემა შეიძლება შეიცავდეს ტრომპების ერთ ან ორ რიგს. ორრიგიანი ვარიანტი განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩენს მის თავისებურებებს. თუ საფეხუროვან სქემაში ყველა შემადგენელი ნაწილი მკაფიოდ მოფარგლულ, დასრულებულ ერთეულს წარმოადგენს და ყოველი მათგანის „მუშაობის“ სივრცეცა და შედეგიც ერთი შეხედვითვე სავსებით ნათელია, აქ ელემენტები კომპაქტურ ჯგუფად იკვრება და მათი ფუნქციები თვალისათვის ძნელი გასამიჯნავია. მცირე ტრომპების დიდებთან მჭიდროდ მიახლოების გამო გუმბათქვეშა კვადრატის წახნაგთა რაოდენობა ერთბაშად, როგორღაც ქაოტურად იზრდება – ამ პროცესის „წაკითხვა“ საკმაოდ რთულია, ზოგჯერ (განსაკუთრებით მაშინ, როცა ტრომპები თლილი ქვით არ არის გამოყვანილი) შეუძლებელიც. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გადასვლა წრეზე უცებ, ერთიანად ხდება და არა ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობით.

წრექმნადის სქემის ორრიგიან ვარიანტში აფრული მონაკვეთების ზომაც და როლიც უმნიშვნელოა. მცირე ტრომპები თითქმის მთლიანად ავსებენ ადგილს დიდების აქეთ-იქით. მათი წყალობით გუმბათქვეშა არე იმდენად უახლოვდება წრეს, რომ საკმარისია კედლების ოდნაკი გამობურცვა სრული სიმრგვალის მისაღწევად. უფრო არსებით როლს ასრულებენ აფრული ელემენტები მარტივ ვარიანტში. როდესაც მშენებლები მხოლოდ ოთხ ძირითად ტრომპს

---

[434] იქვე, გვ. 329-330, ტაბ. 250-II. მოგვიანებით, XVI საუკუნეში ტაძარი კელავ საფუძვლიანად განახლდა და გუმბათქვეშა ტრომპული კონსტრუქცია აფრულით შეიცვალა. შემორჩა მხოლოდ ერთი ტრომპის ნაშთი სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში.

სჯერდებიან და უარს ამბობენ მეორე რიგზე, ბუნებრივია, ფართოედება აფრული მონაკვეთების ფუნქცია – მათი მეშვეობით ხდება რვაწახნაგას წრემდე მიყვანა. შესაბამისად, იზრდება მათი ზომაც.

წრექმნადი სქემის გავრცელება ქართულ არქიტექტურაში გარდამავალ ხანას ემთხვევა, თუმცა მცირე ტრომპების დიდებთან მიახლოების ტენდენცია უფრო ადრეც იჩენს თავს, კერძოდ ძველი შუამთის დიდ (მცხეთის ჯვრის ტიპის) ეკლესიაში. გუმბათის ყელი აქ 16-წახნაგაა, მაგრამ ეს მაინც საფეხუროვანი სქემის სახესხვაობად უნდა ჩაითვალოს. VIII საუკუნიდან X საუკუნის შუახანებამდე წრექმნადი სისტემის გამოყენების რამდენიმე მაგალითი გვაქვს. ვაჩეძორის წმ. სტეფანეს ეკლესიაში[435], მატანის „გუმბათიან საყდარში", ოზაანის ამაღლებასა და მარტვილის მონასტრის დიდ ტაძარში (აღდგენილია 922-957 წლებს შორის)[436] დიდ ტრომპებზე მცირეებია „დასმული", ნეკრესსა და კისისხევის ყველაწმინდაში[437] მხოლოდ დიდი ტრომპებია გაკეთებული. ყველა ჩამოთვლილ ნაგებობაში გუმბათის ყელი შიგნით მრგვალია. ამავე სქემას მისდევენ – თუმცა გარკვეული თავისებურებებით – ქსნის ხეობის ორი უყელოგუმბათიანი ეკლესია – წირქოლი და არმაზი.

ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც წამოიჭრება ტრომპული სისტემის წრექმნადი სქემის განხილვისას, არის მისი შემადგენელი აფრული ელემენტების წარმოშობის პრობლემა. როგორც ცნობილია, საქართველოში – განსხვავებით, ეთქვათ,

---

[435] ვაჩეძორში ტრომპები შემოინახა ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, სხვა სამი კუთხე ჩანგრეულია. ა. კალგინის მიერ 1907 წელს შესრულებულ ნახაზებზე ვაჩეძორის გუმბათქვეშა კონსტრუქცია სქემატურად არის ნაჩვენები – დატანილი არ არის მცირე ტრომპები (*ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი*, ტაბ. 16-17). გ. და ნ. ბაგრატიონების მიერ გაკეთებული ზუსტი ანაზომისათვის იხ.: დ. ხოშტარია, წმ. სტეფანეს ეკლესია ვაჩეძორის მონასტერში, *ძეგლის მეგობარი*, №4 (99), 1997, გვ. 26, სურ. 2.

[436] Г. Чубинашвили, *Памятники типа Джвари*, გვ. 53, ტაბ. 70-71, 73-74. მარტვილში დიდი ტრომპების ნაცვლად გამოყენებულია დაკიდული თაღები – გ. ჩუბინაშვილის გამოთქმით, ეს არის „ტრომპის დაშლა ნაწილებად". VII საუკუნის ტაძრის მოგვიანო რეკონსტრუქციას ათარიღებს „მატიანე ქართლისა", რომლის მიხედვითაც ეკლესია ააშენა (უნდა ეიგულისხმოთ – აღადგინა) აფხაზთა მეფე გიორგი II-მ (*ქართლის ცხოვრება, ტ. I*, გვ. 265). ეფიქრობ, რომ გუმბათქვეშა კონსტრუქცია სწორედ ამდროინდელი უნდა იყოს. რაც შეეხება თვით გუმბათს, ის კიდევ უფრო გვიანდელია.

[437] გ. ჩუბინაშვილი კისისხევს VI-VII საუკუნეებით ათარიღებდა (*АК*, გვ. 257), მაგრამ მისი არქიტექტურის ისეთი თავისებურებები, როგორიცაა გარე კუთხეების ნიშების ნახევარკონუსური გადახურვა და გუმბათის მრგვალი ყელი გვაფიქრებინებს, რომ შენობა X საუკუნის I ნახევრისა უნდა იყოს.

კონსტანტინოპოლისაგან[438] – ადრექრისტიანულ ხანაში აფრები არ იხმარება, არც დამოუკიდებლად და არც ტრომპის დანამატად. ქართულ არქიტექტურაში აფრის გამოყენების უადრეს მაგალითად ითვლება ვაჩნაძიანის ყველაწმინდის ეკლესია, აგებული IX საუკუნეში, ე. ი. დაახლოებით იმ დროს, როცა ვრცელდება ტრომპული სისტემის წრექმნადი სქემა. ძნელია ითქვას, როგორია ამ ორი მოვლენის ურთიერთმიმართება. შესაძლოა, აფრები განვითარდა წრექმნადი სქემიდან მისი შემადგენელი აფრული ჩანასახის საფუძველზე; შესაძლოა, პირიქით, წრექმნადი სქემა შეიქმნა უკვე ცნობილი აფრული სისტემის ზეგავლენით; არც ისაა გამორიცხული, რომ ისინი ქართულ არქიტექტურაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იყოს დამკვიდრებული. ამ საკითხზე მსჯელობისას ალბათ მაინც გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნის სხვადასხვა მხარეში შემოინახა გარდამავალი ხანის ათამდე ნაგებობა, რომლებშიც ტრომპული სისტემის წრექმნადი სქემაა განხორციელებული, ხოლო იმავე ხანების აფრებიანი შენობა სულ რამდენიმე ვიცით, თანაც ვაჩნაძიანის გარდა ყველა მხოლოდ აფხაზეთში (ბზიფი, ლიხნე, მოქვი). ვფიქრობ, ეს გარკვეულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აფრული ელემენტი ჩვენს არქიტექტურაში პირველად სწორედ წრექმნადი სქემის გზით შემოვიდა, როგორც ძირითადი ტრომპული მექანიზმის დამხმარე დამატება და შემდეგ იქცა დამოუკიდებელ კონსტრუქციულ სისტემად. ეს მხოლოდ წინასწარი მოსაზრებაა, რომლის სათანადოდ დასაბუთებაც ჩაღრმავებულ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

დაახლოებით IX-X საუკუნეთა მიჯნაზე ქართული ეკლესიების კონსტრუქციულ გადაწყვეტაში სიახლე გაჩნდა: ტრომპული სისტემის წრექმნადი სქემის საფუძველზე აღმოცენდა თავისებური

---

[438] ბიზანტიურ არქიტექტურაში აფრები მკვიდრდება VI საუკუნიდან. უადრეს მონუმენტურ ნიმუშად მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს კონსტანტინოპოლის წმ. სოფიოს ტაძრის 558-562 წლებში აღდგენილ გუმბათქვეშა კონსტრუქციას (R. Traquair, *The Origin of the Pendentive*, Montreal, 1928, გვ. 2-5; J. Fink, *Die Kuppel über dem Viereck: Ursprung und Gestalt*, Freiburg-München, 1958. გვ. 17-20; Г. Чубинашвили, *Цроми*, გვ. 62). ამავე დროს აღნიშნავენ, რომ მინიატურულ ნაგებობებში აფრები გეხვდება უფრო ადრეც. მაგალითად აბუ მინას ეკლესიის კრიპტაში ალექსანდრიასთან – V საუკუნის დასაწყისი (G. Stanzl, *Längsbau und Zentralbau als Grundthemen der frühchristlichen Architektur*, Wien, 1979 გვ. 97), სენატის სახლის პორტიკში კონსტანტინოპოლში – 530-იანი წლები (R. Krautheimer, *Early Christian and Byzantine Architecture*, Harmondsworth, 1975, გვ. 253). ე. ჰ. სვიფტის აზრით, „ნამდვილ აფრებად“ უნდა ჩაითვალოს წმ. სოფიოს ტაძრის თავდაპირველი გარდამავალი სისტემაც (E. H. Swift, *Roman Sources of Christian Art*, New-York, 1951, გვ. 123-124).

კომბინირებული ფორმა, რომელსაც „აფრა-ტრომპს“ ეუწოდებთ. კაეშირი მათ შორის სრულიად აშკარაა. წრექმნადი ტრომპული კონსტრუქცია ფორმალურად თავადაც უკვე აფრა-ტრომპულია, ვინაიდან აფრულ ელემენტსაც შეიცავს. ქვემოთ ცალკეული ნაგებობების განხილვისას დავინახავთ, რომ აფრა-ტრომპების ზოგიერთი ადრეული ნიმუში ძალიან ახლო დგას წრექმნადი სქემის ტრომპებთან, იმდენად ახლოს, რომ მათს შორის მკაფიო ზღვარის გაელებაც ჭირს. ზოგად განმასხვავებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს შემადგენელ ნაწილთა სხვადასხვაგვარი ურთიერთმიმართება: წრექმნადი სქემის ტრომპი მთლიანად განსაზღვრავს გარდამავალი კონსტრუქციის ხასიათს და თავისი აგებულებით არ არის დამოკიდებული აფრულ კომპონენტზე, რომელსაც მეორეხარისხოვანი როლი ენიჭება; აფრა-ტრომპი კი გულისხმობს ტრომპის აფრაში ჩასმას – ისე, რომ მისი არქიტექტურული გადაწყვეტა ითვალისწინებდეს აფრასთან თანაარსებობის პირობებს.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აფრა-ტრომპი პირველად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გაჩნდა. X საუკუნის ბოლომდე ქვეყნის სხვა მხარეებში ეს ფორმა საერთოდ არ ჩანს, ამ დროიდანაც ქართლში, კახეთში, იმერეთსა და აფხაზეთში აფრა-ტრომპების თითო-ოროლა ნიმუში მოიძებნება – მაშინ, როდესაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციებში მათი რაოდენობა თორმეტს აღწევს და ამათგან ნახევარი მაინც 980-იან წლებზე ადრინდელია.

როდის გაჩნდა პირველად აფრა-ტრომპი? დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მასალით ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია. უადრეს ჩვენთვის ცნობილ ნიმუშად უნდა მივინიოთ გუმბათქვეშა კონსტრუქცია კინეპოსის მონასტრის მთავარ ეკლესიაშიც (სავარაუდოდ IX-X სს. მიჯნა) ის ამჟამად ჩანგრეულია, მაგრამ ჩანს ძველ ფოტოსურათზე[439]. აქ გაკეთებული იყო მხოლოდ ოთხი ძირითადი ტრომპი (შეორე რიგის მოწყობა არ დასჭირვებიათ გუმბათის მცირე დიამეტრის გამო). აფრულ მონაკვეთებს საკმაოდ მცირე ადგილი უკავიათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით გარდამავალი კონსტრუქცია აღიქმება, როგორც აფრული[440].

აფრა-ტრომპის ქრონოლოგიურად მომდევნო ნიმუშები კლარჯეთის ორ ზემოთგანხილულ ეკლესიაში – ოპიზასა და დოლისყანაში გვაქვს, ამასთან დოლისყანა უადრესი ნაგებობაა, რომელმაც გუმბათქვეშა კონსტრუქცია დღემდე შემოინახა და ადგილზე

---

439 В. Беридзе, *АТК*, ტაბ. 36.

440 დამახასიათებელია, რომ ა. კალგინის ანაზომის მიხედვით შესრულებულ ჭრილზე ნაჩვენებია წმინდა აფრული გადასვლა, ტრომპები საერთოდ არ არის დატანილი (*ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი*, ტაბ. 22-c).

შეიძლება იქნას შესწავლილი. ის გვიჩვენებს, რომ მიუხედავად აფრების როლის გაზრდისა, დიდი ტრომპები ინარჩუნებენ თავიანთ ძირითად კონსტრუქციულ დანიშნულებას. მეტიც, გარკვეულად ფუნქციურია მცირე ტრომპებიც – კედლის პატარა მონაკვეთები მათს ზემოთ ასევე სწორხაზოვანია.

X საუკუნის შუახანებისა და II ნახევრის სამი, ამჟამად დანგრეული ეკლესიის – ჯავახეთის წყაროსთავის, ზეგანისა და სოლომონკალას გუმბათქვეშა გარდამავალი სისტემის შესახებ ჩვენ გარკვეული წარმოდგენა გვაქვს ე. თაყაიშვილის 1902 წლის ექსპედიციის მასალების წყალობით. ს. კლდიაშვილის მიერ შესრულებულ ჭრილებზე სამივე ნაგებობაში სქემატურად ნაჩვენებია აფრა-ტრომპები[441].

აფრა-ტრომპების შემდგომი ევოლუცია, პირველ რიგში, დაკავშირებულია ტაოს დიდ ეკლესიებთან. ჩინებულ მდგომარეობაში მოატანა ჩვენს დრომდე ხახულის ტაძარმა (950-70-იანი წლები)[442], რომლის გუმბათქვეშა სისტემა მნიშვნელოვან სიახლეებს გვიჩვენებს. ტრომპების გეომეტრიული ფორმა შეიცვალა – ისინი კონუსურ სეგმენტებად იქცნენ. მათი ზედაპირი რთულად არის დანაწევრებული. ძირითად ნაწილს ფარავს მარაოსებრ გადაშლილი კოვზისებრი ღრმულები. სამ აფრაზე ცხრა-ცხრა ასეთი ელემენტია, რომლებიც ნიჟარისებრ ზედაპირს ქმნიან, მეოთხეზე (ჩრდილო-დასავლეთისაზე) – სამი. ტრომპები შემოფარგლულია პროფილირებული რკალური სარტყლების სახის მქონე მშვილდა თაღებით. უშუალოდ მათ ზემოთ კუთხეებში ჩასმულია მეორე რიგის ორ-ორი კონქური (მეოთხედ-სფერული) ტრომპი. აფრულ ნაწილს ძალიან მცირე ადგილი უკავია, მაგრამ ტექნიკური შესრულების ძალიან მაღალი ხარისხის წყალობით, უაღრესად ზუსტად და ეფექტიანად „მუშაობს". მიუხედავად ტრადიციული ფორმის შეცვლისა, ხახულში ტრომპები კვლავ ინარჩუნებენ კონსტრუქციულ როლს – ისინი კუთხეებს „აჭრიან" გუმბათქვეშა კვადრატს და არატოლფერდა ოქტოგონს ქმნიან.

ამრიგად, ოპიზასა და დოლისყანასთან შედარებით ხახულის აფრა-ტრომპებში ორი მნიშვნელოვანი სიახლე იჩენს თავს:

1. ტრომპი აღარაა ნახევარკონუსური, ის ბრტყელდება და მსუბუქად შეზნექილ სეგმენტურ ზედაპირს იძენს, ე. ი. ძლიერდება მისი დაქვემდებარება აფრისადმი (თუმცა ხახულში ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს კონსტრუქციული ფუნქციის გადაგვარებას).

---

[441] Е. Такаишвили, Экскурсия 1902 года, ნახ. 25 (წყაროსთავი), 39 (ზეგანი), 54 (სოლომონკალა). ზეგანში შემორჩა სამხრეთ-დასავლეთ გუმბათქვეშა კუთხის ქვედა ნაწილი, რომლის მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრომპები ნახევარკონუსური უნდა ყოფილიყო.

[442] *АЭЮПГ*, ტაბ. 97[2]; W. Djobadze, *Monasteries*, ტაბ. 197-198.

2. ტრომპი აღარაა გლუვი, ის მთლიანად იფარება კვეთილი მორთულობით და ინტერიერის დეკორაციული შემკულობის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად იქცევა.

როგორც ჩანს, დაახლოებით ხახულის მსგავსი აფრა-ტრომპები უნდა ყოფილიყო ექექის აწ მთლიანად განადგურებულ ეკლესიაშიც (950-60-იანი წლები). ი. ზდანევიჩის ერთადერთ ფოტოსურათზე, რომელიც ტრომპის ქვედა ნაწილს ასახავს, ჩანს ნიჟარისებრი დამუშავება[443]. ი. ზდანევიჩისაევ შესრულებულ გეგმის ნახაზზე დატანილია როგორც დიდი, ისე მცირე ტრომპების პროექცია[444].

ოშკის მონასტრის დიდ ტაძარში (963-973 წლები)[445] უზარმაზარი, თითო ქვაში ნაკვეთი ტრომპების ზედაპირი ასევე გაფორმებულია მარაოსებრ გაშლილი კოეზისებრი ელემენტებით, ოღონდ ხახულის შებრუნებული ვერსიით – სამ ტრომპზე სამ-სამი „კოეზია", ერთზე (სამხრეთ-დასავლეთისაზე) – ცხრა. ტრომპები თითქმის მთლიანად ფარავს აფრების ზედაპირს და – რაც მთავარია – არსებითად მიჰყვება მას, მხოლოდ ოდნავ არის შუაში შეღრმავებული. მათ შესახებ უფრო „აფრებზე დატანილი" ითქმის, ვიდრე „აფრებში ჩასმული". ბუნებრივია, ისინი არცერთ დონეზე არ ქმნიან წახნაგებს, კონსტრუქციულად უფუნქციონი არიან.

ამრიგად 960-70-იანი წლებიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურაში იკვეთება გარკვეული ტენდენცია: ხახულში ტრომპმა კონუსური სეგმენტის სახე მიიღო და კვეთილი მორთულობით დაიფარა, ოშკში კი კონსტრუქციული დანიშნულებაც დაკარგა, აფრის ზედაპირს დაექვემდებარა და მის სამკაულად იქცა. თითქოს აშკარად ჩანს აფრა-ტრომპის შემადგენელი ტრომპული ნაწილის თავდაპირველი ტექნიკური არსის დაკარგვისა და გადეკორაციულების პროცესი, რომელიც ლოგიკურად უნდა დასრულდეს ტრომპის სრული გადაგვარებით. მაგრამ ასე არ მომხდარა. ოშკის შემდეგ აფრა-ტრომპების ევოლუციის ხაზი ტეხილს აკეთებს და მოულოდნელ მიმართულებას იღებს. ამ შემობრუნების თვალსაჩინო ილუსტრაციაა ტბეთის ტაძარი. მისი გუმბათქვეშა სისტემა (ახლა ჩანგრეულია, მაგრამ ჩანს ა. პაელინოვის 1888 წლის ფოტოსურათზე[446]) ამოყვანილია შენობის მესამე ან მეოთხე რეკონსტრუქციისას, X საუკუნის მიწურულს ან XI საუკუნის I ნახევარში (იხ. ქვემოთ, დანართი: შაეშეთის ეკლესიები). მიუხედავად ამისა, ის უფრო არქაულად გამოიყურება, ვიდრე ხახულისა და, მითუმეტეს, ოშკის

---

[443] I. Zdanevitch, *L'Itineraire georgien de Ruy Gonzales de Clavijo et les eglises aux confines de l'Atabegat*, Paris, 1966, გვ. 19.

[444] *АЕЮПГ*, ტაბ. 109-1.

[445] *АЭЮПГ*, ტაბ. 61, 63[4]; W. Djobadze, *Monasteries*, ტაბ. 124, 129.

[446] А. Павлинов, ტაბ. XLIII.

აფრა-ტრომპები. ტბეთში კონსტრუქცია მკაფიოდ იყოფა აფრულ და ტრომპულ ნაწილებად. ტრომპი კვლავ დაპატარავდა და შესამჩნევად შეღრმავდა. მცირე ტრომპები ფოტოზე არ ჩანს, მათ ადგილას დიდი ტრომპების აქეთ-იქით ჩასმულია ცერად ჩაკვეთილი, წინა მხრიდან რკალურად მრუდხაზოვანი ქვები, რომლებიც თითქოს ზღუდარებივით დევს.

აგებულებითა და საერთო ხასიათით ტბეთისას მიაგავს შატბერდის ეკლესიის გუმბათქვეშა კონსტრუქციაც. მისი თავისებურებაა გამორჩეულად მრავალფეროვანი დეკორი – ყველა ტრომპი სხვადასხვაგვარად არის მორთული კვეთილი ჩუქურთმით.

აფრა-ტრომპების უკანასკნელი ნიმუში ტაო-კლარჯეთში და, ალბათ, მთელ საქართველოშიც შემოგვინახა იშხნის ტაძარმა[447]. ის გაკეთებული უნდა იყოს 1032 წელს დასრულებული ბოლო დიდი რეკონსტრუქციის დროს. ტრომპები ისევ გაბრტყელდა, თუმცა კვლავ ფუნქციურია. ისინი დამუშავებულია ტრადიციული ნიჟარისებრი კვეთილობით, მაგრამ მეტისმეტად დაწერილმანებულად, უძარღვოდ და არცთუისე ხარისხიანად. მთლიანად გუმბათქვეშა კონსტრუქციის გადაწყვეტა მხატვრულად გაუმართავია, იქმნება შთაბეჭდილება, რომ აფრა-ტრომპები ამ ხუროთმოძღვრებაში უადგილოა, ერთგვარად რუდიმენტულია. როგორც ჩანს, 1020-30-იანი წლებისათვის ამ ფორმის ევოლუცია ჩიხში მოექცა. განვითარებული ცხოველხატული სტილის მოთხოვნებს ის ეეღარ მოერგო.

ამრიგად, 940-იანიდან 1030-იან წლებამდე, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, აფრა-ტრომპი არის გუმბათქვეშა გარდამავალი კონსტრუქციის წამყვანი და, საფიქრელია, ერთადერთი სახე ტაო-კლარჯეთის არქიტექტურაში. საქართველოს სხვა მხარეებში აფრა-ტრომპების ნიმუშები ძალზე ცოტაა. ყველაზე განვითარებული სახით მათ ვხედებით ნიქოზის წმ. მთავარანგელოზის ეკლესიაში (X საუკუნის ბოლო). მათი გადაწყვეტა მჭიდრო კავშირს ამყარებს ტაო-კლარჯეთის არქიტექტურასთან. აქ გამეორებულია ისეთი სპეციფიკურად ტაოური ხერხიც კი, როგორიცაა ტრომპების სხვადასხვაგვარი გაფორმება პრინციპით 3+1, თუმც კი თავისებურად: სამი ტრომპის ზედაპირი ნიჟარისებურად არის დამუშავებული, მეოთხესი გლუვია. საინტერესო მაგალითია ბიჭვინტის ღმრთისმშობლის ტაძრის (სავარაუდოდ X-XI საუკუნეთა მიჯნა) აფრა-ტრომპები, რომლებიც ასევე ენათესავება ტაო-კლარჯულს. ეს ფაქტი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მთლიანად ბიჭვინტის ტაძრის ხუროთმოძღვრებას ძლიერი ბიზანტიური გავლენის კვალი ატყვია. იკვის ეკლესიაში (X საუკუნის ბოლო) ნიჟარისებრი კვეთილობა პირდაპირ აფრის ზედაპირზეა დატანილი. თავად კონსტრუქცია

[447] *АЭЮПГ*, ტაბ. 2, 14-15; W. Djobadze, *Monasteries*, ტაბ. 291-292.

წმინდა აფრულია და აქ მხოლოდ იმიტომ ვახსენებ, რომ მისი დეკორი ასევე უნდა მომდინარეობდეს ტაოური აფრა-ტრომპების მხატვრული გაფორმებისაგან.

ცალკე უნდა ითქვას ჰექსაკონქების შესახებ. აფრა-ტრომპების ანალოგიური კონსტრუქცია გამოყენებულია ამ ტიპის რამდენიმე ეკლესიაში: გოგუბანში (გეიანდელი გოგიუბა, X საუკუნის II ნახევარი),[448] ბოჭორმაში (X საუკუნის ბოლო), კაცხში (989-1014 წლები). ამ რიგში უნდა მოვიხსენიოთ კუმურდოს ტაძარიც (დასრულდა 964 წელს) – შენობა ხუთი აფსიდითა და ერთი მართკუთხა მკლავით. ამ ნაგებობებში გუმბათის საფუძველს წარმოადგენს ექვსკუთხედი, რომელიც, ცხადია, უფრო ახლოსაა წრესთან, ვიდრე კვადრატი და, შესაბამისად, გუმბათის მასზე დაბჯენაც უფრო იოლია. ტრომპი უფრო ბრტყელია, ფართოდ გაშლილი, ვინაიდან მართ კუთხეზე კი არ ზის, არამედ ბლაგვზე, 120°-იანზე. უთუოდ ამ გაშლილობამ უბიძგა გოგუბნისა და კუმურდოს ხუროთმოძღვრებს მათში ფიგურული რელიეფები ჩაესვათ – მართ კუთხეზე გადაყვანილ აფრა-ტრომპებში ასეთი მორთულობა არსად გვხვდება.

XI საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ აფრა-ტრომპი ქრება ქართველ ხუროთმოძღვართა რეპერტუარიდან[449] და ადგილს უთმობს წმინდა აფრულ სისტემას, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ის საბოლოოდ მიეევიწყებინოთ. კარგა ხნის შემდეგ, გიორგი III-სა და თამარის ეპოქაში, აფრა-ტრომპი აქა-იქ ისევ იჩენს თავს. იკორთის ეკლესიაში (1072) აფრის ქვედა ნაწილში გამოკვეთილია ნიჟარისებრ გაფორმებული პატარა ტრომპი, რომელიც შორეულად მოგვაგონებს იშხნისას[450]. მსგავსი გადაწყვეტის კვალი ჩანს ბეთანიაშიც (XII-XIII საუკუნეთა მიჯნა). შესაძლოა აფრა-ტრომპების დეკორაციული გაფორმების წესის გამოძახილი გექონდეს გერგეტის სამებაშიც (XIV საუკუნის I მესამედი), სადაც აფრებში ჩართულია ორნამენტული

---

[448] გოგუბნის ეკლესია ახლა მთლიანად დანგრეულია. მის გუმბათქვეშა კონსტრუქციაზე მსჯელობა შეგვიძლია ე. თაყაიშვილის ექსპედიციის მასალებით: Экскурсия 1902 года, გვ. 74, ნახ. 49, ტაბ. XVI-30. იხ. აგრეთვე: დ. ხოშტარია, შენიშვნები გოგუბნის (გოგიუბის) ეკლესიის თაობაზე, *ლიტერატურა და ხელოვნება*, №3, 1999, გვ. 130-131.

[449] აფრისა და ტრომპის ნაირგვარი ჰიბრიდები და კომბინაციები გვხვდება ქართული ეკლესიების კარიბჭეებსა და სტოებში X-XI საუკუნეებშიც (ოშკი, კაცხი, მანგლისი, სამთავრო) და მერეც (გელათი, ბეთანია, საფარა და სხვა), მაგრამ ისინი განსხვავდება ცენტრალური გუმბათის დასაბჯენი კონსტრუქციებისაგან და, კერძოდ, ზემოთგანხილული სახის აფრა-ტრომპებისაგან.

[450] ი. ელიზბარაშვილი, ძველი და ახალი მასალები იკორთის ტაძრის შეკეთება-აღდგენის შესახებ, *საქართველოს სიძველენი 1*, 2002, გვ. 8, სურ. 1.

მედალიონები და კვადრატები. თუმცა თ. სანიკიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ X საუკუნის ძეგლები გერგეტისათვის „ძლიერ შორეული პარალელია დროითაც და ხასიათითაც“[451].

XVI საუკუნიდან აფრა-ტრომპი თითქოს ახალ სიცოცხლეს იწყებს, თუმც კი ადრინდელისაგან განსხვავებული სახით – აფრის ქვედა ნაწილში კეთდება კონსტრუქციულად უფუნქციო შეღრმავება, რომელსაც პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს „ტრომპი“. მისი ზედა თაღი, როგორც წესი, მკვეთრად გასწორხაზოვნებულია და ხისტი სამკუთხედის მოხაზულობა აქვს. ეს ფორმა განსაკუთრებით ფართოდ იკიდებს ფეხს კახეთში, სადაც XVI საუკუნიდან გუმბათ-ქვეშა კონსტრუქციის ძირითადი სახე ხდება (ახალი შუამთა, გრემის მთავარანგელოზი, მატანის წმ. ნიკოლოზი, შიხიანის აღდგომა, ჭიკაანის კვირაცხოველი, ალვანის სამება, ახატელის ღვთაება, გურჯაანის ქვაშვეთი). მოგვიანებით, XVIII საუკუნის II ნახევრიდან ის ჩნდება თბილისში, ამასთან როგორც ქართულ, ისე სომხურ ეკლესიებში. სხვა მხარეებში აფრა-ტრომპების გამოყენებას ეპიზოდური ხასიათი აქვს (ცაიშის წმ. გიორგი და სუჯუნის წმ. გიორგი სამეგრელოში, ლარგვისის წმ. თევდორე ქართლში).

აფრა-ტრომპი ცნობილია სომხურ საეკლესიო არქიტექტურაშიც, თუმცა აქ მან ვერ პოვა ისეთი გავრცელება, როგორიც საქართველოში. ორი ყველაზე დამახასიათებელი ნიმუში – ჩანგლის ტაძარი[452] და ანისის ე. წ. წითელი ეკლესია[453] (ორივე XI ს. I ნახევრისა) მჭიდროდ უკავშირდება ტაო-კლარჯეთის ხუროთ-მოძღვრებას და აფრა-ტრომპის ფორმაც უთუოდ აქედან უნდა იყოს ნასესხები. უფრო თვითმყოფადი სახე აქვს აფრა-ტრომპებს სანაჰინის მონასტრის ასტვაცაცინის ეკლესიაში (960-იანი წწ.)[454]. თავად მოტივი, შესაძლოა, აქაც საქართველოდან არის შესული, მაგრამ სომეხმა ოსტატმა ის თავისი მხატვრული გემოვნების შესაბამისად გაიაზრა და ქართული ნიმუშებისაგან (ასევე ჩანგლისა და „წითელი ეკლესიისაგან“) განხვავებული გადაწყვეტა მოგვცა.

---

[451] თ. სანიკიძე, *გერგეტის ხუროთმოძღვრული ანსამბლი*, თბილისი, 1975, გვ. 42.

[452] *ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი*, ტაბ. 33-34; *ATK*, ტაბ. 32.

[453] *Ani, DAA*, 12, 1984, გვ. 95.

[454] *Sanahin, DAA*, 3, 1970, ნახ. გვ. 14-ზე; О. Халпахчьян, *Санаин*, Москва, 1973, ნახ. გვ. 24-25-ზე, ტაბ. 14-17. ო. ხალფაზჩიანი სანაჰინის ასტვაცაცინს 930-იან წლებს აკუთვნებს (იქვე, გვ. 23). ამ აზრს ემხრობა სხვა მკვლევართა უმეტესობაც, მაგრამ, ეფიქრობ, სწორი უნდა იყოს გ. გაგოშიძე, როცა ამ ეკლესიას 960-იანი წლებით ათარიღებს (იხ. მისი წერილი: სანაჰინის მონასტრის მაცხოვრის ტაძრის თარიღისათვის, *საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, II*, 1996, გვ. 128).

ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რომ აფრა-ტრომპები, ისევე, როგორც „ნამდვილი“ აფრები, გუმბათქვეშა კვადრატიდან პირდაპირ გადადის სიმრგვალეზე – უშუალოდ მათ თავზე იქმნება წრე. ოპიზაში, დოლისყანასა და შატბერდში წრეს შემოწერს თლილი ქვის ერთი ან რამდენიმე რიგი და მის ზემოთ გაკეთებული პროფილირებული სარტყელი. მოულოდნელობა ამის მერე იწყება – წრიულ სარტყელზე აღმართული გუმბათის ყელი შიგნიდან უკვე თორმეტწახნაგაა და არა ცილინდრული.

წრიულ საფუძველზე წახნაგოვანი (შიგნიდან!) ყელის დასმის უჩვეულო იდეა, როგორც ჩანს, სწორედ კლარჯეთის სამონასტრო არქიტექტურაში იშვა. ოპიზისა და დოლისყანის გუმბათები მისი ხორცშესხმის უადრესი მაგალითებია. მალე ეს გადაწყვეტა აითვისეს ტაოშიც: დაახლოებით 960-იან წლებამდე აქ გუმბათის ყელი შიგნიდან ცილინდრულია (ვაჩეძორი, კინეპოსი, ბობისგერი, სოლომონ-კალა, ქამჰისი), მაგრამ შემდგომ, დაევით კურაპალატის დიდ პროექტებში ამ ფორმაზე უარს ამბობენ და კლარჯეთში შემუშავებულ ახალ გადაწყვეტას ემხრობიან – ხახულსა და ოშკში გუმბათის ყელი შიგნიდან უკვე პოლიგონალურია. ასევეა იშხანშიც. ქვეყნის სხვა რეგიონებში ამგვარი გადაწყვეტის ერთადერთი ნიმუშია ცნობილი – კაცხის ტაძარი, რომელიც ძლიერ სამხრეთ-ქართულ ორიენტაციას ამჟღავნებს. ქართლის, კახეთის, ჯავახეთის, სამეგრელოს, რაჭის ეკლესიებში, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ შემოგვინახეს X-XI საუკუნეთა გუმბათები, ყელი, როგორც წესი, შიგნით ცილინდრულია. ცალკე არის აღსანიშნავი გოგუბნის (გოგიუბას) ეკლესია, რომელშიც გუმბათის კონსტრუქციას მეტად თავისებური სახე აქვს[455].

რა უპირატესობა შეიძლება ჰქონოდა ამ ახლებურ გადაწყვეტას? ალბათ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ გუმბათის პოლიგონალური ყელი სწორედ მაშინ ჩნდება, როცა წესად იქცევა გუმბათის ინტერიერის მთლიანად თლილი ქვით შემოსვა. გუმბათის

---

[455] Е. Такаишвили, Экскурсия 1902 года, გვ. 74, ნახ. 49, ტაბ. XVI, 30. გოგუბნის ექვსაფსიდიან ეკლესიაში გუმბათქვეშა არე ჰექსაგონალურია და გუმბათის ყელსაც ასეთივე ფორმა აქვს. ის სრულიად მარტივად, ტექნიკურად უპრობლემოდ შეიძლებოდა დაეშენებინათ პირდაპირ ცენტრალური ექვსწახნაგას კედლებზე. მაგრამ ხუროთმოძღვარმა მაინც გააკეთა გარდამავალი აფრა-ტრომპული კონსტრუქცია (იხ. ზემოთ), მისი მეშვეობით ექვსკუთხედი წრემდე მიიყვანა და შემდეგ „უკან დაბრუნდა“ – წრიულ საფუძველზე გუმბათის ექვსწახნაგა ყელი დასვა. ტექნიკური თვალსაზრისით ეს მხოლოდ საქმის გართულებაა, წრე აქ ზედმეტი, კონსტრუქციულად არასაჭირო რგოლია, მაგრამ, როგორც ჩანს, მშენებელთათვის მას თავისთავადი მნიშვნელობა ჰქონდა, შესაძლოა, მისი სიმბოლური არსით განპირობებული.

ყელის შიდა ზედაპირის დაწახნაგება არსებითად აიოლებს მშენებლობის პროცესს – წახნაგებზე პერანგი ჩვეულებრივი, სწორპირიანი ქვებისაგან შედგება, მაშინ, როცა მრგვალი ყელის მოპირკეთება დიდი რაოდენობით მრუდხაზოვანი ქვების დამზადებას მოითხოვს. უფრო მარტივია სარკმლის თაღის აგებაც – მრგვალ ყელზე თაღს ორმაგ (როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ) მრუდზე გამოყვანილი რთული კონფიგურაციის ქვები სჭირდება. მაგრამ პოლიგონალურ ყელს თავისი სუსტი მხარეც აქვს – მასზე გუმბათის ნახევარსფეროს დადგმისას მშენებლებს კვლავ უწევთ კუთხეების პრობლემის გადაჭრა. უნდა ითქვას, რომ ეს ტექნიკური ამოცანა ძალიან ძველი წარმომაელობისაა – ის ხშირად ახლავს ტრომპული სისტემის (კერძოდ, მისი საფეხუროვანი ვარიანტის) – გამოყენებას და, ამდენად, ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში უკვე ადრეული ხანიდან არის ცნობილი. მაგრამ თუ საფეხუროვან ტრომპულ კონსტრუქციაზე აღმართული გუმბათის ყელი ყოველთვის რვაწახნაგაა, წრიულ საფუძველზე დადგმული პოლიგონალური ყელის წახნაგთა რაოდენობა განსაზღვრული არ არის, ნებისმიერია. რაც მეტია ეს რაოდენობა და, შესაბამისად, რაც უფრო გაშლილია პოლიგონალის კუთხეები, მით უფრო იოლად მოსაგვარებელია აღნიშნული პრობლემაც. მაგალითად, ოშკის ტაძრის ოცდაოთხწახნაგა ყელი (კუთხის ზომა – 165° გრადუსი) პრაქტიკულად პირდაპირ, უშუალოდ ირგებს გუმბათის ნახევარსფეროს, დამხმარე გარდამავალი ელემენტების გარეშე – კუთხეების მოსამრგვალებლად საკმარისია მხოლოდ კედლის ოდნავი გამოზნექვა. შატბერდის გუმბათის თორმეტწახნაგა ყელი (კუთხის ზომა – 150°) წრეზე გადასელის უფრო რთულ მექანიზმს გვიჩვენებს. დოდეკაგონის წიბოები დაფარულია მათზე აყოლებული პილასტრებით, რომლებიც ფაქტობრივად აორმაგებენ წახნაგთა რაოდენობას და საფუძველს ამზადებენ მათ ზემოთ კედლის მოსამრგვალებლად. პილასტრებზე გადაყვანილი თაღნარი რბილად ყოფს სწორ კედელს გუმბათის მრუდხაზოვანი ზედაპირისაგან და შლის მათ ზღვარს. მისი წყალობით გადასვლა მოქნილია, თვალისათვის თითქმის შეუმჩნეველი – თაღებსშუა არეებზე, პილასტრების კაპიტელების ზემოთ კუთხეები ბუნებრივად ქრება.

ანალოგიური კონსტრუქციული ხერხით ხორციელდება გუმბათის ნახევარსფეროს დადგმა პოლიგონალურ საფუძველზე დოლისყანასა და იშხანში (პირველში, შატბერდის მსგავსად, თორმეტწახნაგა, მეორეში – თექვსმეტწახნაგა ყელზე), ოღონდ ამ ეკლესიებში თაღნარი პილასტრების ნაცვლად წვრილ ლილვურ ნახევარსვეტებს ეყრდნობა (იშხანში ისინი ორმაგია, შეწყვილებული). გოგუბანში, სადაც, როგორც ითქვა, გუმბათის ყელი

ექვსწახნაგაა (კუთხის ზომა – 120°) და ამდენად უფრო შორს არის წრისგან, ხუროთმოძღვარი სხვა გზას დაადგა – გააკეთა უფრო ღრმა, ორსაფეხურიანი თაღნარი[456] და თაღებს შორის, ყელის ზედა კუთხეებში მოათავსა ტრომპები, რომლებიც დამხმარე აფრულ სეგმენტებთან ერთად უზრუნველყოფენ გუმბათის საფუძვლის მომზადებას, ე. ი. აქ არსებითად შემცირებული სახით გამეორებულია ქვედა ძირითადი გუმბათქვეშა კონსტრუქცია, თვით ისეთი სპეციფიკური დეტალის ჩათვლით, როგორიცაა ტრომპებში ჩასმული ფიგურული რელიეფები. მსგავსი ხერხია გამოყენებული კაცხშიც, ოღონდ აქ გუმბათის თორმეტწახნაგა ყელის ზედა კუთხეებში გაკეთებული ტრომპები, ცხადია, უფრო ბრტყელია, ვიდრე გოგუბანში, კუთხეების მეტი გაშლილობის გამო. შესაბამისად, ბრტყელია თაღნარიც, „თაღების შვერილი (სისქე) სრულიად უმნიშვნელოა, თაღების ზედაპირი შეუმჩნეველად ერთვის გუმბათის სფეროს"[457]. ამასთან, კაცხის გუმბათის ყელის არკატურა შეკიდულია, ქუსლებით კრონშტეინებზე დაფუძნებული, სვეტების გარეშე. ესთეტიკური თვალსაზრისით ეს გადაწყვეტა ნაკლებად გამართულია, ვიდრე დოლისყანის, შატბერდის და იშხნის გუმბათების ინტერიერებისა. პილასტრებსა თუ ნახევარსვეტებზე გადაყვანილ თაღნარს უფრო მწყობრი, ლოგიკური, მხატვრულად დასრულებული სახე აქვს. ხახულის ტაძარში გუმბათის ყელის შიდა თაღნარი საერთოდ არ არის, არის მხოლოდ პაწია ბრტყელი ტრომპები თექვსმეტწახნაგა ყელის ზედა კუთხეებში. ყოველი მათგანი გამოკვეთილია თითო მართკუთხა ქვაში, რომლის პირითი წახნაგი მცირეოდენ შეზნექილია წრიულ მრუდზე. უკვე ამ ქვების ზედა წიბოების დონეზე მიიღება გეომეტრიულად ზუსტი წრე.

დოლისყანასა და განსაკუთრებით შატბერდში გუმბათის ყელის შიდა თაღნარი არა მხოლოდ გარკვეული ტექნიკური ფუნქციის მქონე დეტალია, არამედ შენობის შიდა სივრცის გაფორმების არსებითი ელემენტიც. მისი მეშვეობით გუმბათის, როგორც ინტერიერის კომპოზიციური დომინანტის მნიშვნელობა უფრო თვალსაჩინოდ იკვეთება. თაღნარი ანაწევრებს გუმბათის ყელს და მეტ პლასტიკურ გამომსახველობას ანიჭებს მას.

გუმბათის ყელის ინტერიერის თაღნარით გაფორმების შემთხვევები ცნობილია სომხეთის არქიტექტურაშიც, მაგრამ სომხური ნიმუშები ქრონოლოგიურად და გეოგრაფიულად უფრო

---

[456] ე. თაყაიშვილი წერს, რომ თაღები გადაყვანილია „მრგვალ წვრილ სვეტებზე" (Экскурсия 1902 года, გვ. 74). მათი ნაშთები ჩანს ფოტოსურათზეც (იქვე, ტაბ. XVI, 30), მაგრამ ს. კლდიაშვილის მიერ შესრულებულ ჭრილზე (იქვე, ნახ. 49) ეს სვეტები დატანილი არ არის.

[457] ვ. ბერიძე, კაცხის ტაძარი, *Ars Georgica 3*, 1950, გვ. 84.

დაქსაქსულია და მათგან ერთიანი სურათის შექმნა ჭირს. ამასთან, ზოგიერთის დათარიღება სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოა. ასეა თუ ისე, როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალით ჩანს, სომხურ ხუროთმოძღვრებაში ეს მოტივი უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში უნდა გაჩენილიყო. მის თავისებურ სახესხვაობას ეხედავთ მახმუდჯუქის (ალმზაშენის) ეკლესიაში[458], სადაც გუმბათის ოქტაგონალური ყელის წახნაგებში შეჭრილ ბრტყელ აფსიდურ ნიშებს ზემოდან პროფილირებული თაღნარი ევლება. ქართულ ნიმუშებთან და, განსაკუთრებით, შატბერდთან უფრო ახლო დგას თარგმანჩაც-ვანქის ეკლესიისა[459] და თალინის კათედრალის[460] გუმბათების გადაწყვეტა – ორივეგან ყელის წახნაგებს შემოწერს პილასტრებზე დაფუძნებული სადა არკატურა. ძალზე საინტერესო მაგალითია ჩანგლის ეკლესია. თავისთავად გუმბათში შიდა არკატურის მოწყობის იდეა მისმა ოსტატმა, ვფიქრობ, ტაო-კლარჯეთიდან გადმოიღო, მაგრამ კონკრეტული ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა სხვაგვარია, გაცილებით უფრო რთული და მდიდრული, ერთგვარად ღელარჭნილიც – თაღები ძალიან ღრმაა და გადადის ძლიერშვერილ პილონებზე (პირითა მხარეს მათ ოთხ-ოთხი ნახევარლილვი აუყვება – შორიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ პილონები კანელირებულია), რომლებიც, თავის მხრივ, ჯმუხ მრგვალ სვეტებზე დგას[461]. განძასარის ეკლესიის (1216-1238) გუმბათის ყელში თაღები მონაცვლეობით შეწყვილებულ ნახევარსვეტებსა და კრონშტეინებს ეყრდნობა[462].

---

[458] Г.Чубинашвили, *Разыскания*, 1967, ტაბ. 103-105. გ. ჩუბინაშვილი მახმუდჯუქს VIII-IX საუკუნეებით ათარიღებს (იქვე, გვ. 82), სხვა მკვლევარები – VII საუკუნის II ნახევრით (Н. Токарский, *Архитектура Армении*, ჩანართი ტაბულა გვ. 168-სთან; B. Brentjes, S. Mnazakanjan, N. Stepanjan, გვ. 226; Т. Марутян, *Архитектурные памятники*, გვ. 96).

[459] Г.Чубинашвили, *Разыскания*, ტაბ. 36. გ. ჩუბინაშვილი თარგმანჩაც-ვანქს (IX)-X საუკუნეებით ათარიღებს (იქვე, გვ. 34-35), სხვა მკვლევარები – VII საუკუნის II ნახევრით (А. Еремян, *Храм Рипсимэ*, Ереван, 1955, გვ. 102; Н. Токарский, *Архитектура Армении*, გვ. 123-125; B. Brentjes, S. Mnazakanjan, N. Stepanjan, გვ. 66; Т. Марутян, *Архитектурные памятники*, გვ. 95-98).

[460] Г.Чубинашвили, *Разыскания*, ტაბ. 156-b, 157-a. გ. ჩუბინაშვილი თალინს X საუკუნის II ნახევრით ათარიღებს (იქვე, გვ. 126, 133), სხვა მკვლევარები – VII საუკუნის II ნახევრით (Н. Токарский, *Архитектура Армении*, გვ. 103-104; B. Brentjes, S. Mnazakanjan, N. Stepanjan, გვ. 72).

[461] *ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი*, ტაბ. 33-34; *ATK*, ტაბ. 32. ძნელია დაეთანხმო ვ. ჯობაძეს, რომელიც ჩანგლის ეკლესიის გუმბათის ყელში შატბერდის ახლო პარალელს ხედავს (*Monasteries*, გვ. 74).

[462] *Gandzasar*, DAA, 17, 1987, გვ. 46 (ტაბ. 30), 60.

ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ხუროთ-მოძღვრებაში გუმბათის ყელის ინტერიერის თაღნარით გაფორმების შემთხვევები თითქმის არ არის ცნობილი. ერთ-ერთი იშვიათი მაგალითია წმ. გიორგის ეკლესია ნოვი-პაზართან სერბეთში („ჯურჯევი სტუპოვი", 1170 წლისა)[463]. უფრო ხშირად გვხვდება გუმბათის ყელის შიდა თაღნარი საფრანგეთისა და იტალიის რომანულ არქიტექტურაში. ზოგ შენობაში (ტრიესტის სან-ჯუსტო, ანგულემის კათედრალი, სივრეის სენ-ნიკოლა) მისი გადაწყვეტა საკმაოდ მიაგავს ქართულ ნიმუშებს.

კლარჯული ეკლესიების გუმბათების მიმოხილვის დასარულს, უნდა ითქვას მათი სარკმლების რაოდენობის შესახებაც. აქაური გუმბათების ოთხი ცნობილი ნიმუშიდან ერთი – ოპიზისა – ექვსსარკმლიანია, სამიც – ხანძთისა, დოლისყანისა და შატბერდისა – ოთხსარკმლიანი. ოთხი სარკმელი ჩვეულებრივია ადრეული შუა საუკუნეების ქართული ტაძრის გუმბათის რვაწახნაგა ყელისათვის, რომელშიც სარკმლები ქვეყნის მხარეების მიხედვით, წახნაგგამოტოვებით კეთდება – ასეთია იდლეთის წმ. იოანე ნათლისმცემლის, ერელაანთ საყდრის, შიომღვიმის წმ. იოანე ნათლისმცემლის, მცხეთის ჯვრის, ატენის სიონის, ძველი შუამთის გუმბათები. ძირითადად ამავე პრინციპს ეხედავთ გარდამავალი ხანის ნაგებობებშიც – ქსნის კაბენში, ატენის მცირე ეკლესიაში, ნეკრეს'ში, მატანის „გუმბათიან საყდარში", თელოვანის ჯვარპატიოსანში, ტაოსკარში[464], თუმცა აქა-იქ უკვე იჩენს თავს ახლებური

---

[463] Н. Окунев, Столпы св. Георгия развалины храма XII в. около Нового Базара, *Сборник статей по археологии и византиноведению, издаваемый семинарием имени Н. П. Кондакова*, Прага, 1927, გვ. 228, ტაბ. XXI-2.

[464] ტაოსკარის ეკლესიის გადახურვა ამჟამად მთლიანად ჩანგრეულია (*ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა და კედლის მხატვრობა: გრაფიკული დოკუმენტაცია, გამოფენის კატალოგი*, თბილისი, 1996, გვ. 8). 1907 წელს, როცა ნაგებობა ე. თაყაიშვილმა ნახა, ჯერ კიდევ ადგილზე იყო გუმბათის ყელის აღმოსავლეთ ნაწილი, რომელიც მისი ფორმების რეკონსტრუქციის საშუალებას იძლეოდა. ე. თაყაიშვილი უყოყმანოდ წერს, რომ ყელში ოთხი სარკმელია (*ოლა-ოლთისი*, გვ. 67). ასევე ჩანს ი.ზდანევიჩის ფოტოსურათზეც (Zdanevitch I., *L'Itineraire georgien de Ruy Gonzales de Clavijo et les eglises aux confines de l'Atabegat*, Paris, 1966, გვ. 15). ა. კალგინის ანაზომის მიხედვით მ. კერნის მიერ შესრულებულ ფასადის ნახაზზე ნაჩვენებია ერთი სარკმელი გუმბათის ყელის შუა წახნაგზე (*ქართული ხუროთმოძღვრების* ალბომი, ტაბ. 14), რაც აგრეთვე ბუნებრივად გულისხმობს, რომ სხვა სამ ფასადზეც თითო ასეთი სარკმელი უნდა იყოს, მაგრამ ჭრილის ნახაზზე გუმბათის სარკმლები საერთოდ არ არის დატანილი (იქვე, ტაბ. 13). მეტიც, გუმბათქვეშა გარდამავალი სისტემა – თაღების რიგი აქ ისეა წარმოდგენილი, რომ სარკმლებისათვის ადგილი, ფაქტობრივად, არც რჩება.

გადაწყვეტის ძიებათა ცდებიც. ეაჩნაძიანის ყველაწმინდის არქიტექ-ტორი თავისი შენობის გუმბათის ყელს გარედან თორმეტწახნაგა ფორმას აძლევს და, შესაბამისად, სარკმლებს ორ-ორ წახნაგ-გამოტოვებით აკეთებს. ეაჩეძორში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ოთხი სარკმელი დაუწახნაგებელ, მრგვალ (გარედანაც!) ყელზეა განლაგებული. ზოგჯერ სიახლე ვლინდება თვით სარკმლის ფორმაშიც – თელოვანში, მაგალითად, ისინი წრიული მოყვანილო-ბისაა. მთავარი კი ისაა, რომ IX-X საუკუნეთა მიჯნიდან ცხადად იკვეთება გუმბათის ყელის სარკმელთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია. კინეპოსში გუმბათის ყელის რვა წახნაგზე ოთხ ჩვეულებრივი ზომის სარკმელთან მონაცვლეობით გაჭრილია კიდევ ოთხი მცირე, მრგვალი. ოზაანსა და კავთურის ლავრაში უკვე რვა ტოლფასი, „ნორმალური“ სარკმელია.

X საუკუნის შუახანებისათვის აღნიშნული ტენდენცია საბოლოოდ იმარჯვებს. ამ დროიდან მოყოლებული, ინტენსიური მშენებლობის ერთი საუკუნის განმავლობაში აგებულ ქართულ ეკლესიებს გუმბათის ყელში, ჩვეულებრივ, აქვთ ექვსი (გოგუბანი[465], კვეტერა, ბოჭორმა, იკვი, მანგლისი), რვა (ექექი, ხახული. იშხანში ამ რვას წახნაგმონაცვლეობით ემატება ამდენივე პაწია, მარგვალი სარკმელი) ან თორმეტი (ოშკი, კაცხი, ნიკორწმინდა) სარკმელი. ოთხსარკმლიანი გუმბათის ყელი ამ პერიოდში უკვე იშვიათობაა და მის ყოველ გამოჩენას, როგორც წესი, შეიძლება ახსნა მოეძებნოს. ვთქვათ, სოლომონკალას, ნიკოზის მთავარანგელოზისა და წეროს ღმრთისმშობლის ეკლესიებში ის განპირობებული უნდა იყოს საეკლესიო შენობათა მინიატურული ზომებით, ჯავახეთის დიდ ეკლესიებში – ზეგანსა და წყაროსთავში[466] – ამ რეგიონის არქიტექტურისათვის ნიშანდობლივი კონსერვატიზმით. ამ ფონზე კლარჯეთის ხუროთმოძღვრება ერთგვარად განცალკევებულად დგას. თუ X საუკუნის I ნახევრის ხანძთაში გუმბათის ყელის ოთხი

---

[465] ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ გოგუბნის ეკლესიის გუმბათის ყელში ექვსი სარკმელია, თითო ყოველ წახნაგში (Экскурсия 1902 года, გვ. 74). ამას ადასტურებს ფოტოსურათიც (იქვე, ტაბ. XVII, 29-30), მაგრამ ს. კლდიაშვილის მიერ შესრულებულ ჭრილისა და ფასადის ნახაზებზე აქ ნაჩვენებია ოთხი სარკმელი, რომლებიც წყვილ-წყვილად თავსდება ყელის აღმოსავლეთ და დასავლეთ წახნაგებზე (იქვე, ნახ. 48-49).

[466] წყაროსთავსა და ზეგანში გუმბათის ყელის სარკმელთა მცირე-რიცხოვნებასთან ერთად თვალშისაცემია მათი საოცრად მცირე ზომაც (Е. Такаишвили, Экскурсия 1902 года, ნახ. 24-26, 39, ტაბ. IX, 17-18, XV, 27; *АТК*, ტაბ. 25). ამ მხრივ ისინი მკვეთრად განსხვავდება კლარჯეთისა და ტაოს ეკლესიებისაგან და უფრო ზოგ სომხურ ნაგებობას მოგვაგონებს. წყაროსთავში ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს სარკმლების მოთავსებაც უჩვეულოდ დაბლა, ზედ ყელის ძირში.

სარკმელი ჯერ კიდევ კანონზომიერია, იმავე ასწლეულის შუახანების დოლისყანაში ეს უკვე საკმაოდ მოულოდნელი ჩანს, ხოლო X-XI საუკუნეთა მიჯნის შატბერდში უკვე აშკარა ანაქრონიზმად გამოიყურება, მით უფრო, რომ მთლიანად ნაგებობა სრულიადაც არ არის რეტროსპექციული თუ კონსერვატული ორიენტაციისა. თავად გუმბათიც როგორც ფორმითა და პროპორციებით, ისე დეკორაციული გაფორმებით ეპოქის მოწინავე ნიმუშებს უახლოვდება და თუ მაინცდამაინც ამ კატეგორიებით უნდა დახასიათდეს, მასზე „ნოვატორული" უფრო ითქმის, ვიდრე „მაარქაიზებელი". ოთხი სარკმლის გაკეთება შატბერდის ეკლესიის გუმბათის ყელში ალბათ შეიძლება აიხსნას მხოლოდ მყარი ტრადიციით, რომლის სიმტკიცეც ახალი დროის მოთხოვნებმაც ვერ შეარყია. ანალოგიური გადაწყვეტის არსებობა ხანძთასა და, განსაკუთრებით, დოლისყანაში საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს იყო კლარჯეთის სამონასტრო არქიტექტურაში ჩამოყალიბებული ტრადიცია. თუმცა, ამასთანავე უნდა ითქვას, რომ როგორც ოპიზის მაგალითი მოწმობს, გუმბათის ყელში ოთხი სარკმლის მოწყობა „საქართველოს სინას" ეკლესიათა მშენებლებისათვის სავალდებულო წესი არ ყოფილა.

რაც შეეხება გუმბათის ყელის გარე გაფორმებას, ხანძთაში, ოპიზაში, დოლისყანასა და შატბერდში მის ძირითად ელემენტს დეკორაციული თაღნარი წარმოადგენს. ამ მხატვრული ხერხის წინასახეს ყელის წახნაგებში გაკეთებული თაღოვანი შეღრმაებების სახით უკვე VIII-IX საუკუნეთა ნაგებობებში ვხვდებით (ნეკრესი, ქსნის კაბენი, მატანის „გუმბათიანი საყდარი"). ამავე ეპოქას განეკუთვნება არქიტექტურულად ჩამოყალიბებული, „ნამდვილი" თაღნარის უადრესი მაგალითებიც – თელოვნის ჯვარპატიოსანი და ოზაანის ამაღლება. X საუკუნის I ნახევრიდან გუმბათის ყელის თაღნარის საყრდენები იძენს შეწყვილებული მსუბუქი ნახევარსვეტების ფორმას, რომელიც ლოგიკურად შეესატყვისება მათ პოზიციას წახნაგთა შესაყარზე – ნახევარსვეტები შესაბამისი წახნაგების კიდეებს აუყვება და, ამდენად, ერთმანეთთან კუთხით დგას. ამავე დროს ისინი გაერთიანებულია საერთო ბაზისითა და კაპიტელით და ერთიან არქიტექტურულ ელემენტად აღიქმება. ხანძთის ეკლესია ამგვარი გადაწყვეტის ყველაზე ადრინდელ ასე თუ ისე ზუსტად დათარიღებულ ნიმუშს გვიჩვენებს. მასთან ძალიან ახლოს დგას ოპიზის ეკლესიის გუმბათის ყელის თაღნარიც. ორსავე ნაგებობაში თვალშისაცემია თაღების საკმაოდ დამჯდარი პროპორციები. დოლისყანაში ეს პროპორცია უკვე შედარებით შემაღლებულია. უფრო გათხელდა და შემსუბუქდა შეწყვილებული ნახევარსვეტებიც.

მოტივის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია, პირველ რიგში, ტაოს X საუკუნის II ნახევრის არქიტექტურასთან. ერთი მხრივ, გუმბათის ყელის პროპორციის ამაღლება და, მეორე მხრივ, მისი წახნაგების რაოდენობის ზრდა განაპირობებს თაღების დავიწროება-შემაღლებას. თაღნარი უფრო მსუბუქი და დინამიკური ხდება. დიდი ყურადღება ეთმობა მის დეკორაციულ გაფორმებას. ექექსა და ხახულში პირველად გვხვდება გრეხილი ნახევარსვეტები (ხახულში – არაკანონზომიერი მონაცვლეობით ჩვეულებრივთან), ხოლო ოშკში, მათთან ერთად, სხვადასხვაგვარი ჩუქურთმით შემკულიც. ოშკში თაღების უმეტესობა ორსაფეხურიანია, ზოგიერთი – სამსაფეხურიანი, ხახულში – ყველა სამსაფეხურიანი, ამასთან შუა საფეხური მრგვალია, დაახლოებით მესამედი წრის პროფილისა. კაპიტელებს მრავალფეროვანი მდიდრული ორნამენტი ფარავს. ყოველივე ეს მკვეთრად ზრდის გუმბათის ყელის დეკორაციულობას. განსაკუთრებით მკაფრად აღნიშნული ტენდენცია იშხანში ელინდება. სპირალური ღარი, რომელიც სვეტის ტანს გრეხილობის ეფექტს ანიჭებს, აქ ძალიან ღრმად და პლასტიკურად არის ნაკვეთი – მისი წყალობით ნახევარსვეტები საოცრად ნატიფი და აჟურული ჩანს. მოჩუქურთმებულია არა მხოლოდ ბაზისები და კაპიტელები, არამედ თაღების გარე ზედაპირიც.

გუმბათის ყელის გარე თაღნარის დეკორაციულობის ზრდა X საუკუნის ბოლოდან აღინიშნება საქართველოს სხვა მხარეებშიც. გრეხილი ლილვური ნახევარსვეტები გვხვდება ნიქოზსა და იკვში; ნიკორწმინდაში ისინი – ისევე, როგორც თვით თაღები – მთლიანად ჩუქურთმითაა დაფარული და ფაქტობრივად სარკმლების მდიდრულ საპირეთა ჩარჩოდ არის ქცეული. იკვსა და მანგლისში თაღნარი სამ-სამი ნახევარლილვის კონებზეა გადაყვანილი (ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა ამ ფორმას არ იცნობს, აქ კედლის სვეტები ყოველთვის ორლილვიანია). ბაზისებსა და კაპიტელებს ყველგან ორნამენტი ამკობს, ამ მხრივ გამონაკლისს, ცნობილი მიზეზიის გამო, შეადგენს მხოლოდ კახეთის ეკლესიები (კვეტერა, ბოჭორმა).

ტაოს ეკლესიებს გუმბათის ყელის გარე თაღნარის სტრუქტურით ყველაზე მეტად შატბერდი ენათესავება, თუმცა აშკარაა გარკვეული განსხვავებაც: შატბერდის გუმბათის ყელის მხატვრული გადაწყვეტა ბევრად უფრო თავშეკავებულია. ხახულის, ოშკისა და იშხნის ხუროთმოძღვრებს თითქოს მიზნად აქვთ დასახული მანამდე არნახული მდიდრულობით და დაუშრეტელი ფანტაზიით განაცვიფრონ მნახველი. რად ღირს ამ თვალსაზრისით თუნდაც ხახულისა და ოშკის გუმბათის ნახევარსვეტების დიდი კაპიტელები, ყველა – 16 ხახულში და 24 ოშკში! – სხვადა-სხვაგვარად გაფორმებული ნაირ-ნაირი ორნამენტული მოტივებითა

და ფიგურული რელიეფებითაც კი. შატბერდის გუმბათის ყელის დეკორაციულობა სხვაგვარია, ის პირველ რიგში თვით არქიტექტურული ფორმის „ათამაშებით“ მიიღწევა, ჭარბი ორნამენტაციისა და რელიეფური სამკაულის გამოუყენებლად. საგულისხმოა, რომ შატბერდელი ოსტატი არ აჩუქურთმებს არათუ ნახევარსვეტებს (როგორც ეს არის ოშკ'ში) ან თვით თაღებს (როგორც არის იშხანში), არამედ ბაზისებსა და კაპიტელებსაც კი – განსხვავებით არა მხოლოდ ტაოს, არამედ ქართლისა და რაჭა-იმერეთის ეკლესიების მშენებლებისგანაც. არა მგონია ეს მხოლოდ ხუროთმოძღვრის პირადი მხატვრული გემოვნების გამოვლინება იყოს, ეს უთუოდ რეგიონალური კლარჯული თავისებურების გამოხატულებაა.

აღნიშნული ასპექტით საყურადღებოა აგრეთვე გუმბათის ყელის სარკმლების შეუმკობლობა კლარჯეთის ეკლესიებში. ხანძთის, ოპიზის, დოლისყანისა და შატბერდის გუმბათების სარკმლებს არავითარი სართავი ელემენტი არ გააჩნიათ. მასალის სიმწირე არ გვაძლევს საშუალებას დანამდვილებით ვილაპარაკოთ X საუკუნის I ნახევრის არქიტექტურის შესახებ, მაგრამ უეჭველია, რომ 940-50-იანი წლებიდან მაინც საქართველოს ყველა მხარე'ში, კახეთისა და აფხაზეთის გარდა, გუმბათის ყელის სარკმლები თითქმის ყოველთვის შემკულია თავსართით, ხოლო X-XI საუკუნეთა მიჯნიდან – საპირით. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ რამდენიმე მინიატურული ნაგებობა (მარტვილის მცირე ეკლესია, ნიქოზის მთავარანგელოზი) და ოშკის ტაძარი, რომლის გუმბათზეც სარკმლების განიერი ღიობები თითქმის მთლიანად იკავებს სვეტებსშორის არეებს და მათ ირგვლივ ორნამენტ'ული სარტყლის შემოსავლებად, უბრალოდ, ადგილი აღარ რჩება (თუმცა არქიტექტორი მაინც არ ტოვებს სადად ვიწრო სიბრტყეებს სარკმლების ზემოთ – მათზე წითელი საღებავით ჯვრები გამოყავს). ტაოს სხვა ამდროინდელ ეკლესიებში გუმბათის ყელის სარკმლებს თავსართები ყოველთვის უკეთდება. ექექში ისინი ჯერ კიდევ სადაა, მხოლოდ მსუბუქი ღარით მოხაზული; ხახულში თავსართები უკვე მოჩუქურთმებულია – რა თქმა უნდა, ყველა სხვადასხვაგვარად – და დამატებით ზემოდან მუქი წითელი ქვების რკალით მოვლებული; იშხანში თავსართებთან ერთად ჩნდება ორნამენტული საპირეებიც – ისინი გუმბათის ყელის პაწია მრგვალ სარკმლებს შემოწერს.

თავი XII.

მეცხრე-მეათე საუკენეთა უგუმბათო ეკლესიები კლარჯეთში

ერცელი მონასტრების – ოპიზის, მიძნაძორის, წყაროსთავის, ხანძთის, დოლისყანისა და შატბერდის გვერდით კლარჯეთში იყო უფრო მცირე სავანეებიც, რომლებშიც დიდი გუმბათიანი ეკლესიების აგების არც შესაძლებლობა იყო და არც საჭიროება. ასეთ პატარა მონასტრებს შედარებით მოკრძალებული ზომის ბაზილიკური ან დარბაზული ეკლესიები ემსახურებოდა. ასე იყო, მაგალითად, პარეხში, სადაც ორივე აღნიშნული ტიპის ნაგებობები შემოინახა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პარეხის მონასტრის დაარსების თარიღი დანამდვილებით დადგენილი არ არის. ეს საკითხი პირდა-პირ კავშირშია „სერაპიონ ზარზმელის ცხორების" დათარიღებასთან, რომელიც მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მე უფრო ადრეულ დათარიღებას ვემხრობი, თუმცა VI-VII საუკუნის მშენებლობის რაიმე სარწმუნო კვალი პარეხში არ ჩანს.

კლარჯეთის იმ სავანეთა შორის, რომლებიც 830-40-იან წლებში მოიარეს ბაგრატ კურაპალატმა და მისმა ძმებმა, პარეხი არ იხსენიება. მოგვიანებითაც აქ ერთხანს მხოლოდ ანაქორეტი ბერები ცხოვრობდნენ (ჯერ მიქაელი, შემდეგ ბასილი). იმხანად პარეხი მახლობლად მდებარე ბერთის მონასტრის ეროგვარ შტოდ განიხილება („ბერთის პარეხნი"). დამოუკიდებელი კოინობიური მონასტერი პარეხში, როგორც ჩანს, აღმოცენდა IX საუკუნის II ნახევარში. იმ მოღვაწეთა შორის, რომელთაც ხელეწიფებოდათ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერა, გიორგი მერჩულეს დასახელებული ჰყავს „ღმერთშემოსილი მამაჲ ილარიონ პარეხელი"[467].

პარეხი მდებარეობს ართვინის ილის ართვინის ილჯეში, მდ. დუგანალას (ბერთისწყლის შენაკადის) ხეობაში. სოფელ პარეხს (იგივე პარეხთი, პარეხთა) ახლა ასევე დუგანალა (Duganala) ეწოდება. ის შეადგენს დაბა ბერთის (ახლანდელი ორთაქოი, Ortaköy) ერთ-ერთ მაჰალეს. მონასტერი დაახლოებით 1,5 კმ-ითაა დაცილებული ახლანდელ სოფელს და არაჩვეულებრივად ეფექტური მდებარეობით გამოირჩევა. სამონასტრო ნაგებობები განლაგებულია თითქმის შვეული კლდის ვიწრო და გრძელ ბაქანზე, რომლის

[467] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 294.

თავზეც კლდის ზედა ნაწილია გადმოკიდებული. მონასტრის ბირთვს შეადგენს ერთმანეთის გვერდიგვერდ აგებული ორი ეკლესია. ამათგან ჩრდილოეთისა სამხრეთისაზე მაღლაა აშენებული – განსხვავება მათი იატაკის დონეებს შორის 6 მ-ს შეადგენს.

ჩრდილოეთის ეკლესია დიდი დარბაზული ნაგებობაა. მისი სამხრეთ ნახევარი სუბსტრუქციაზე დგას. შენობა ძლიერ არის დაზიანებული: ჩანგრეულია კამარა, კონქი, სამხრეთ კედელი თითქმის მთლიანად და სხვა კედლების ზედა ნაწილები. ეკლესიის ძირითად სივრცეს წაგრძელებული მართკუთხედის ფორმა აქვს. აღმოსავლეთიდან მას ეკერის საკურთხველის აფსიდი, რომელიც გარეთ ნახევარცილინდრული მოცულობის სახით არის გამოშვერილი. მის ქვეშ სუბსტრუქციაც შესაბამისად მრგვალდება. შესასვლელი დასავლეთ კედელშია. ჩრდილოეთიდან ეკლესიას აქვს თანადროული მომცრო ეგეტერი, ასევე აფსიდიანი. ისინი ერთმანეთს კარით უკავშირდება (სხვა შესასვლელი ეგეტერს არ გააჩნია). ეკლესია ნაგებია უხეშად ნატეხი ქვით. შემკულობის კვალი არსად ჩანს.

საერთო პროპორციებითა და საშენი მასალის დამუშავების ხასიათით პარეხის დარბაზული ეკლესია IX საუკუნეს შეიძლება მივაკუთვნოთ. საფიქრელია, რომ ის აშენდა მალევე მას შემდეგ, რაც მარტომყოფი პარეხელი ბერების მიქაელისა და ბასილის სიკვდილის შემდეგ აქ მონასტერი აღმოცენდა, კერძოდ IX საუკუნის II ნახევარში. შენობის იშვიათი თავისებურებაა ნახევარწრიულად შეერილი აფსიდი. ამგვარი გადაწყვეტა არ გვხვდება შავშეთ-კლარჯეთის არცერთ სხვა ეკლესიაში.

დარბაზული ეკლესიის სამხრეთით, მასზე ქვემოთ დგას მეორე, უფრო დიდი ეკლესია – სამნავიანი ბაზილიკა. შენობები მცირეოდენ განსხვავებულად არის ორიენტირებული და, ამდენად, ერთმანეთის პარალელურად არ დგას: მანძილი მათ შორის აღმოსავლეთ ბოლოში 1 მ-ზე ნაკლებია, დასავლეთისაკენ იზრდება და 2,5 მ-ს აღწევს.

ბაზილიკა მთლიანად სუბსტრუქციაზე დგას. ის დარბაზულ ეკლესიაზე მეტად არის დაზიანებული: მთლიანად ჩაქცეულია გადახურვა, ნავების გამყოფი ბურჯები, თაღები და მათზე აღმართული კედლები, სანახევროდ დანგრეულია აფსიდი და გარე ჩრდილოეთ კედელი. გადარჩენილი ნაწილები მოწმობს, რომ ნავები გაყოფილი იყო სამ-სამი დაბალი თაღით, რომლებიც ეფუძნებოდა ორ წყვილ ბურჯს. ნ. მარი, რომელმაც ჯერ კიდევ მიუსწრო ბურჯებს, წერს, რომ მათ სადა, ბრტყელი მართკუთხა კაპიტელები ჰქონდათ[468]. დასავლეთ კედელზე თაღები ეყრდნობოდა პილასტრებს, რომლებიც დღემდე შემოინახა.

---

[468] Н. Марр. Дневник, გვ. 177.



სურ. 34. პარეხის ეკლესიები. ზემოთ — გეგმა;
ქვემოთ — განივი ჭრილი, ხედი აღმოსაელეთისაკენ

საკურთხეველის აფსიდი უჩვეულოდ ღრმაა (სიღრმე თითქმის უტოლდება სიგანეს), გეგმით ოდნავ გამრუდებული კვერცხისებური ფორმისა. მის აქეთ-იქით ძალიან ვიწრო და გრძელი უაფსიდო პასტოფორიუმებია. მათ კედლებში აფსიდის მხარეს დიდი ნიშებია მოწყობილი. შესასვლელები პასტოფორიუმებს დასავლეთიდან აქვს. გარდა ამისა, ჩრდილოეთის სათავსი (სამკვეთლო) უშუალოდ აფსიდსაც უკავშირდება კარით. თვით ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — სამხრეთიდან და დასავლეთიდან, ორივე შიგნით თაღოვანი, გარედან ზღუდარიანი. ახლა ორივე მიუდგომელია (ეკლესიაში მოხვედრა მხოლოდ ნახევრადდანგრეული ჩრდილოეთ კედლის გადავლით შეიძლება). ადრე დასავლეთ კარის წინ იყო პატარა ტერასა, რომლისკენაც ზემოდან კიბე ჩადიოდა[469]. სამხრეთის კარს, რომელიც უფსკრულს გადაჰყურებს, შესაძლოა, ხის კიბე ადგებოდა. ამ კარის ზღურბლის ქვემოთ ვ. ჯობაძემ ხის ძელების ჩასამაგრებელი ღრმულები შენიშნა[470], რაც მოწმობს, რომ კარის წინ ხის კონსტრუქცია იყო — აივანი (ასე ფიქრობს ვ. ჯობაძე) ან კიბის ბაქანი.

საკურთხეველის აფსიდსა და სამხრეთ ნავის სამხრეთ კედელში თითო დიდი სარკმელია. შესაძლოა, სინათლე დამატებით შემოდიოდა შუა ნავის აწ დანგრეული გრძივი კედლების სარკმლებიდანაც. პასტოფორიუმებს აღმოსავლეთიდან პატარა სარკმლები აქვთ.

პარეხის ბაზილიკის მშენებლობის ხარისხი შესამჩნევად უკეთესია, ვიდრე დარბაზული ეკლესიისა. კედლების შიდა და გარე წყობას შეადგენს სწორ რიგებად დალაგებული თანაბარზომიერი ქვები. ისინი სუფთად არ არის გათლილი, მაგრამ მიცემული აქვთ ასე თუ ისე აკურატული ფორმა. აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე გამოყენებულია თაღისებური მხატვრული ხერხი — ქვის წყობის დაბალი და მაღალი რიგების მონაცვლეობა. ანალოგიური წყობა საქართველოს სხვა რეგიონებიდან ცნობილია მხოლოდ შიდა ქართლში და იქაც ერთადერთი ნიმუშით — წირქოლით. საფიქრელია, რომ პარეხელმა ოსტატმა ამ მხატვრულ ხერხს დამოუკიდებლად „მიაგნო", ყოველ შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენია ის წირქოლიდან ესესხა.

პარეხის ეკლესია გეგმის პროპორციებისა და ზოგადი სტრუქტურის მხრივ ძალიან ახლოს დგას შავშეთ-კლარჯეთის ორ სხვა სამნავიან ბაზილიკასთან — სათლესთან და სვეტთან. უეჭველია, რომ სამივე დროის ერთ, შედარებით ვიწრო მონაკვეთში — IX საუკუნის მიწურულსა და X საუკუნის I ნახევარშია აგებული, ამასთან, სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით პარეხი ყველაზე ადრეული ჩანს. ეს საფუძველს გვაძლევს პარეხის ბაზილიკა IX-X

---

[469] H. Марр, Дневник, გვ. 177; W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 52.

[470] *Monasteries*, იქვე.

საუკუნეთა მიჯნით დავათარიღოთ[471]. როგორც ჩანს, დარბაზული ეკლესია იმხანად უკვე ეღარ იტევდა მონასტრის სწრაფად გაზრდილ ძმობას და საჭირო გახდა უფრო ტევადი შენობა.

ეკლესიებიდან დაახლოებით 150 მ-ით აღმოსავლეთით შეღრმავებულ კლდეში ჩაშენებულია დარბაზული აფსიდიანი სამლოცველო. მისი გადახურვა ჩანგრეულია, ძლიერ დაზიანებულია ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებიც[472]. აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლები, რომლებიც პირდაპირ კლდეზეა მიშენებული, უკეთ შემოინახა. კლდე ნაწილობრივ იჭრება შენობის ინტერიერშიც – ის ჩანს აფსიდის სამხრეთ ნაწილში. კარი სამლოცველოს ჩრდილოეთიდან ჰქონდა (ახლა მორღვეულია) – აქედან ადგება მას ბილიკი. კედლები უხეშად ნატეხი ქვით არის ნაშენი და შიგნიდან შელესილია. აფსიდში შემოინახა ბათქაშის ფრაგმენტი ზედ დატანილი ძლიერ გაცრეცილი ფრესკული ასომთავრული წარწერით.

კლარჯეთის ერთ-ერთი საუკეთესოდ შემონახული ქრისტიანული ნაგებობაა ამჟამად ნუკა-საყდრის სახელით ცნობილი ფრიად თაიესებური ეკლესია. ის მდებარეობს ართვინის ილის შავშათის ილჯეში, მდ. კარჩხალას ხეობაში. ნუკა-საყდარი საკუთრივ ეკლესიის სახელწოდებაა (თურქულად „ნუქა-ქილისე", Nuka-Kilise, ზოგჯერ ამბობენ „ნუქა-საქდარსაც", Nuka-Sakdar)[473]. ის დგას სოფელ ვერანაბაღის პირდაპირ, კარჩხალის მარჯვენა ნაპირზე აღმართული კლდოვანი მთის კონცხზე. ეკლესიის ზემოთ განლაგებულია სოფელი შუა ფორთა.

წერილობით წყაროებში ნუკა-საყდარი არ იხსენიება. სხვადასხვა დროს რამდენიმე მკვლევარი შეეცადა გაეიგივებინა ის წყაროებიდან ცნობილ სხვადასხვა ეკლესიებთან. ნ. მარმა ნუკა-საყდარი ხანძოად მიიჩნია[474]. პ. ინგოროყვამ დამაჯერებლად დაასაბუთა ნ. მარის მოსაზრების მცდარობა. იგი ფიქრობდა, რომ ნუკა-საყდარი არის VI-VII საუკუნეებში არსებული ფორთის საეპისკოპოსოს (იხსენიება დვინის 506 წლის საეკლესიო კრების დამსწრე ქართველ ეპისკოპოსთა ჩამონათვალში, რომელიც დაცულია აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლეში კირონ ქართლის კათალიკოსისადმი[475]) კათედრალი (იხ. ზემოთ)[476]. სამეცნიერო ლიტერატურაში არც ეს

---

[471] ასევე აღარიღებს ნაგებობას ვ. ჯობაძეც (*Monasteries*, გვ. 53).

[472] ნ. მარს სამლოცველო უკეთეს მდგომარეობაში დახვდა. როგორც ჩანს, იმხანად მთელი იყო კამარაც (Дневник, გვ. 176).

[473] ო. აითექინი ნუკა-საყდარს იხსენიებს როგორც კაჩკალის (კარჩხალის) ან კიალეთის მონასტერს – Kaçkal (Kiyalet) Manastırı (O. Aytekin, გვ. 36-38).

[474] Н. Марр, Дневник, გვ. 125 და შემდგომ.

[475] *ეპისტოლეთა წიგნი*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ს. ალექსიძემ, თბილისი, 1968, გვ. 97.

[476] პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 314-316.

აზრია გაზიარებული. ბოლოხანს კიდევ ერთი ვარაუდი გამოთქვა დ. კლდიაშვილმა[477]. მისი აზრით, ნუკა-საყდარი არის „გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში" მოხსენიებული გუნათლის ვანი.

წერილობით ცნობათაგან ნუკა-საყდარს ყველაზე მეტი ალბათობით შეიძლება დავუკავშიროთ ჟამთააღმწერლის მონათხრობი მონღოლთა ლაშქრობის შესახებ ოპიზის მონასტრის დასარბევად 1280 წლის ახლოს. ოპიზას მიახლოებული მონღოლები „დადგეს მთისა მის ძირსა, რომელსა ეწოდების ძეგლი, რომელსა ზედა შენ არს ეკლესია წმიდისა გიორგისი, რომელ არს [შორის] ოპიზას და მიძნაძორსა"[478]. ადგილის ამგვარი განსაზღვრება – მთაზე, ოპიზასა და მიძნაძორს შორის – მიესადაგება მხოლოდ ხანძთის მონასტერსა და ნუკა-საყდარს, ამასთან ხანძთა სწორედ წმ. გიორგის სახელობისაა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ჟამთააღმწერელს სახელგანთქმული სავანე მთის სახელწოდებით მოეხსენიებინა და არა ხანძთად. გარკვეულ მითითებას შეიცავს თვით ტოპონიმიც: სიტყვა „ძეგლი"-ს ერთ-ერთი მნიშვნელობა ძველ ქართულში არის სვეტი (შეადარე ოშკურ ბიბლიაში: „და მიიხილა ცოლმან ლოთისმან მართლუკუნ და იქმნა იგი ძეგლ მარილის" /შესაქმისა, 19; 26/). მართლაც, სტალაგმიტიეით აღმართული კლდე, რომელზეც დგას ნუკა-საყდარი, კოლოსალურ ბუნებრივ სვეტს წააგავს და სავსებით ბუნებრივია, რომ მას „ძეგლი" შერქმეოდა. ამდენად, მგონია, რომ ძეგლის წმ. გიორგი სწორედ გვიანდელი ნუკა-საყდარი უნდა იყოს.

ნუკა-საყდარი აგებულია კლდის მცირე ბუნებრივ შეკერილზე, რომელიც მაღალი სუბსტრუქციით არის გადიდებული. სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან სუბსტრუქციის სიმაღლე 8-10 მ-ს აღწევს. ჩრდილოეთით შენობა კლდის თითქმის შეეულ ფერდს ეკერის და ნაწილობრივ მასშია ნაკვეთი. ეკლესია მისადგომია – თუმც კი ძალზე ძნელად – მხოლოდ დასავლეთიდან, სადაც მის წინ მცირე ბაქანია მოწყობილი (ახლა ნაწილობრივ ჩამოშლილია). მიუკალობამ, როგორც ჩანს, დიდად შეუწყო ხელი ნაგებობის გადარჩენას. ის საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია, თუმცა მთლად დაუზიანებლადაც ვერ გადარჩა – განძის მაძიებელთა საქმიანობის შედეგად ჩაინგრა სუბსტრუქციაში მოწყობილი კრიპტის გადახურვა, რასაც მოჰყვა იატაკის ჩანგრევა ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ჩაიქცა ნავების გამყოფი თაღები შუა სვეტითურთ. ჩამოშლილია აგრეთვე აფსიდის კონქის დიდი ნაწილი, სატრიუმფო თაღი და კამარათა საბჯენი თაღები. მეტ-ნაკლებად დაზიანებულია ყველა კარი.

---

[477] დ. კლდიაშვილი, *კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის საიაქეებთან*. გუნათლეს ვანი, *ლიტერატურა და ხელოვნება. 1998, №4*, გვ. 162-180.

[478] *ქართლის ცხოვრება, ტ. II*, გვ. 260.



სურ. 35. ნუკა-საყდარი. ზემოთ – გეგმა;
ქვემოთ – გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდილოეთისაკენ

შენობის სივრცობრივ-მოცულობითი სტრუქტურა თავისებურია. ძირითად ნაწილს წარმოადგენს ცილინდრული კამარით გადახურული დიდი ნავი. აღმოსავლეთიდან მას აქვს საკურთხეველის აფსიდი. სამხრეთიდან დიდ ნავს მთელ სიგრძეზე ეკვრის ბევრად უფრო ვიწრო მცირე (გვერდითი) ნავი, ხოლო ჩრდილოეთიდან – მოკლე სათავსი, რომელიც მხოლოდ საკურთხეველის ნაწილს სწვდება. ამ სათავსს ირეგულარული ტრაპეციის მოხაზულობის გეგმა აქვს და ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან კედლების ნაცვლად კლდით არის მოფარგლული.

დიდი და მცირე ნავების გამმიჯნავი კონსტრუქცია ამჟამად, როგორც ითქვა, ჩანგრეულია, მაგრამ მის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ნ. მარის დეტალური აღწერა, გაკეთებული 1904 წელს[479]. ნავებს ურთიერთისაგან ჰყოფდა დამჯდარი პროპორციის ორი თაღი, რომელთაგან აღმოსავლეთისა უფრო განიერი და მაღალი იყო, ვიდრე დასავლეთისა. შუაში თაღები ეყრდნობოდა მრგვალ სვეტს (სიმაღლე კაპიტელის გარეშე – 170 სმ, დიამეტრი – 60 სმ). ის ამოყვანილი იყო ერთმანეთზე დადებული შვიდი დოლაბისებრი ქვით. ერთი ქვის ნატეხი (ნახევარზე ნაკლები) ახლა ჩრდილოეთის სათავსში გდია.

ნახევარკამარით გადახურული მცირე ნავი ძალიან ვიწროა და კიდევ უფრო ვიწროვდება დასავლეთისაკენ – დასავლეთ კედელთან მისი სიგანე სულ 0,6 მ-ს შეადგენს. მის აღმოსავლეთ ბოლოში მოწყობილია მართკუთხა გეგმის იზოლირებული სათავსი. მცირე ნავთან მას აკავშირებს კარი, რომლის ღიობი სათავსის მთელ სიგანეზეა გახსნილი. სათავსი გადახურულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაფერდებული „ნახევარკამარით", რომელიც სრულიად სწორხაზოვანია. ის თხელ ფილებად დაპობილი კლდოვანი ქვითაა ნაწყობი.

აფსიდი ნუკა-საყდარში თავისებურად არის ამოყვანილი: ჯერ აშენდა აღმოსავლეთის გარე სწორი კედელი და შემდეგ მას შიგნიდან მიედგა ნახევარწრიული კედელი. შედეგად გვერდებში შეიქმნა ღრუ ადგილები, რომლებიც კონქისზედა სივრცით გადაბმულ ერთიან სამალავს ქმნიან (ახლა ეს ყველაფერი კარგად ჩანს კონქის ჩამოქცევის გამო). ის ნათდება აღმოსავლეთის კედელში დატანებული ორი პაწია ღიობით.

საკურთხეველის ჩრდილოეთით მდებარე ნახევრადგამოქვაბული სათავსი დიდ ნავს ორი თაღოვანი კარით უკავშირდება: ერთი გადის უშუალოდ აფსიდში, მეორე – მის წინ. კლდე სათავსის თავზე გადმოწეულია და ნაწილობრივ ფარავს მას (კერძოდ, ჩრდილოეთ ნაწილს). დანარჩენ ნაწილს ხურავს სწორხაზოვანი, დიაგონალური

---

[479] Н. Марр, Дневник, გვ. 129.

ქანობისებრი კამარა, რომელიც ფორმითა და სამშენებლო ტექნიკით ზუსტად წააგავს სამხრეთის სათავსის კამარას.

ეკლესიას აქვს ერთი შესასელელი დიდი ნავის დასავლეთ კედლის შუაში. სხვა ადგილას კარი მას ვერც ექნებოდა – აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადები (ასევე დასავლეთ ფასადის სამხრეთ ნაწილიც) მიუდგომელია, ხოლო ჩრდილოეთიდან შენობა მთელ სიგრძეზე კლდეს ეკვრის. ძირითად სივრცეში ოთხი სარკმელია – აფსიდში, დასავლეთის კედელში, დიდი ნავის სამხრეთ კედელში (ნავების გამყოფი ორთაღედის ზემოთ) და მცირე ნავის სამხრეთ კედელში. თითო სარკმელი ანათებს საკურთხევლის მიმდებარე სათავსებს. სარკმელთაგან ზომითა და არქიტექტურული გაფორმების ხარისხით გამოირჩევა აფსიდისა. ის მაღალია და ფართო, მისი თაღი შირიმის თლილი ქვებითაა ნაწყობი. მკაფიო კონტური აქვს წირთხლებსაც, რომლებიც სწორწიბოებიანი (თუმცა არა სუფთად დამუშავებული) ქვებითაა ამოყვანილი. სარკმლის ქვეშ დიდი ღრმა აფსიდური ნიშაა. ის ზემოთკენ ვიწროედება და კონქით არის გადახურული.

სხვა სარკმლები უფრო მცირე ზომისაა და ნაკლები მონდომებით ჩანს გაკეთებული. დასავლეთის სარკმელი ვიწრო და მაღალია. ის დაახლოებით შუაზე ორად იყოფა ჰორიზონტალურად გადებული 15-იოდე სმ-ის სიგანის თხელი ქვით. ის ფასადის პირზეა ჩადგმული, ამიტომ გარედან იქმნება შთაბეჭდილება, რომ აქ არის ორი პატარა სარკმელი ერთიმეორის თავზე. შიგნიდან ღიობი გაერთიანებულია საერთო გაფართოებით. სარკმლის თაღი ნატეხი ქვისაა, არასწორი მოხაზულობისა (სიმრუდე ალბათ თავის დროზე ნალესობით იყო გასწორებული).

დიდი ნავის სამხრეთ სარკმელს ზემოდან აბოლოებს ბრტყელი ქვის არქიტრავი ოდნავ მორკალული (შეზნექილი) ქვედა პირით – თითქოს მშვილდა თაღის იმიტაციაა. მის ქვემოთ მდებარე მცირე ნავის სარკმელი მკაფიოდ მართკუთხაა, თაღის ფორმის ყოველ-გვარი წაბაძვის გარეშე.

ნუკა-საყდარი შერეული მასალით არის ნაგები. კედლები შიგ-ნით ამოყვანილია უხეშად ნატეხი ადგილობრივი კლდოვანი ქვით, რიგების დაუცველად. ზოგ ქვას ასე თუ ისე მართკუთხედს მიახლო-ებული ფორმა აქვს, უმეტესობა შემთხვევითი მოყვანილობისაა. მშენებლობისას უცდიათ ეს უფორმო ქვები ერთმანეთზე მოერგოთ, მაგრამ, ცხადია, დარჩა მოზრდილი ღრეჩოები – ისინი წვრილი ქვებითაა შევსებული. სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების ძირში ჩადგმულია დიდი, უფორმო, პირმოსწორებული ლოდები. კედლები შიგნიდან შელესილი იყო. ბათქაშის დიდი ფრაგმენტები შემორჩა აფსიდსა და ჩრდილოეთის კედელზე, აქა-იქ ასევე დასავლეთისა და სამხრეთის კედლებზეც.



სურ. 36. ნუკა-საყდარი. ზემოთ – აღმოსავლეთ ფასადი;
ქვემოთ – განივი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ

კარის ღიობთა დამაბოლოებელი თაღები თლილი შირიმით არის ამოყვანილი. ამავე მასალისა იყო ნავების გამყოფი და კამარის საბჯენი თაღები. სუფთად თლილი თანაბარზომიერი ქვებით იყო მოპირკეთებული (მათი მოხაზულობა მკაფიოდ იკითხება შემორჩენილი ბუდეებით) კონქი მთლიანად და დიდი ნავის კამარის აღმოსავლეთ მონაკვეთი, რომელიც დაუზიანებლად შემოინახა და ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მოვარდისფრო ქვიშაქვის უაღრესად აკურატულად დამუშავებული კვადრების უნაკლო წყობით. განსხვავებულია წყობა მხოლოდ კამარის ქვედა ნაწილებზე („კალთებზე"), ქუსლებიდან დაახლოებით 1 მ-ის სიმაღლემდე – ისინი ამოყვანილია საშუალო ზომის ზოგადად დამუშავებული ქვების 5-5 რიგით. ასეთივე წყობა გეხვდება კამარის დასავლეთ მონაკვეთის ქვედა ნაწილებზეც, ოღონდ აქ 10-10 რიგია. კამარის შუა ნაწილი ამ მონაკვეთზე ნაწყობია თხლად ნატეხი კლდოვანი ქვით დუღაბზე. ის გადალესილი იყო (არის ბათქაშის ნაშთები).

მცირე ნავის ნახევარკამარა ასევე ქვიშაქვის თლილი კვადრებისაა, მაგრამ აქ, დიდი ნავის კამარისაგან განსხვავებით, ფილები ოკრობოკროა. როგორც ჩანს, კამარის სიგანის დაეიწროებამ დასავლეთისაკენ და, შესაბამისად, მისი რკალის (მეოთხედწრის) სიმრუდის შეცვლამ მშენებლებს სიძნელეები შეუქმნა.

კვეთილი საფასადო დეკორი ნუკა-საყდარს არ გააჩნია. კედლების გარე წყობა შიდა წყობის ანალოგიურია, სხვადასხვა ზომის, ხშირად შემთხვევითი ფორმის ნატეხი ქვები რიგების დაუცველად არის ნაწყობი. ამავე მასალით არის ამოყვანილი სუბსტრუქციაც. მასში მოწყობილი, ამჟამად ჩანგრეული კრიპტა წარმოადგენდა კუთხეებმომრგვალებული ტრაპეციის გეგმის დაბალ სათავსს. მას ჰქონდა ცალკე შესასვლელი დასავლეთიდან, ეკლესიის კარის ქვემოთ. ახლა კრიპტის შესასვლელის მეშვეობით შეიძლება შეღწევა ეკლესიაში (თვით ეკლესიის კარი ძალზე ძნელადმისადგომი გახდა მას შემდეგ, რაც ჩაინგრა მის წინ მოწყობილი ბაქანი).

გეგმის კომპოზიციით ნუკა-საყდარი უკავშირდება ორნავიან ეკლესიათა ჯგუფს, რომლის ნიმუშებიც საქართველოს ყველა კუთხეში გეხვდება, მაგრამ მას ახასიათებს ცალკეული თავისებურებები, როგორც ჩანს, დიდწილად განსაზღვრული ერთი მხრივ, რელიეფის უნიკალური პირობებით და მეორე მხრივ, კლარჯეთის სამონასტრო არქიტექტურის სპეციფიკით. ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი ასეთი თავისებურებაა დიდი ნავის მკვეთრად გამოხატული დომინირება – ის საშუალოდ 5-ჯერ (შენობის დასავლეთ ნაწილში კი 7-ჯერ!) განიერია მცირე ნავზე. ასეთი შეფარდება არ გვხვდება არცერთ ქართულ ორნავიან ეკლესიაში,

თუმცა საგულისხმოა, რომ მცირე ნავის დამოუკიდებლობის დაკარგვისა და დიდ ნავთან შერწყმის ტენდენცია მათში IX საუკუნიდან იჩენს თავს. ძალიან ვიწრო გვერდითი ნავები ჩვეულებრივი მოვლენაა შავშეთ-კლარჯეთის სამნავიან ბაზილიკებში (პარეხი, სათლე, სვეტი).

იშვიათია ორნავიან ეკლესიებში სხვადასხვა ზომის თაღების მოწყობა ნავებს შორის. ასეთი გადაწყვეტა გვაქვს მხოლოდ ორ ორნავიან ეკლესიაში – ღართასა (IX საუკუნე) და ქილდაში (X საუკუნის I ნახევარი). უჩვეულოა თაღების საყრდენად მრგვალი სვეტის გამოყენება – ყველა სხვა ორნავიან ეკლესიაში თაღები წახნაგოვან ბურჯებს ეყრდნობა. მრგვალი სვეტები ეპიზოდურად გვხვდება რამდენიმე სხვადასხვადროინდელ სამნავიან ბაზილიკაში (თიანეთის სიონი, მუკუზნის სვეტიცხოველი, სამშვილდის ბაზილიკა, ჭარები). ნუკა-საყდარი ერთადერთია ქართულ ორნავიან ეკლესიებს შორის, რომელსაც აქვს ცალკე გამოყოფილი სათავსები საკურთხევლის ორსავ მხარეს. ამ სათავსთა დანიშნულების თაობაზე რისამე თქმა ძნელია. საყურადღებოა, რომ ჩრდილოეთის ნახევრადგამოქვაბულ სათავსს ჩრდილოეთ კედელზე გაუყვება საფეხური, რომელიც უთუოდ ჩამოსაჯდომად არის გამიზნული. ეს მოწმობს, რომ სათავსის ფუნქცია აქ ბერების ხანგრძლივ ყოფნას ითვალისწინებდა. ასეთი პატარა სათავსის ორი კარით დაკავშირება დიდ ნავთან თითქოს უნდა გულისხმობდეს ღვთისმსახურების სხვადასხვა მონაწილეთა ერთდროულ მოძრაობას საკურთხევლიდან ჩრდილოეთის სათავსისაკენ და პირიქით (შეადარე წყაროსთავს).

ეკლესიის დასათარიღებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საშენი მასალის გამოყენებისა და დამუშავების ხასიათს და ფასადთა შეუმკობლობას. უხეშად ნატეხი ქვის ხმარება კედლების წყობაში და თლილი ქვისა – კონსტრუქციულად მნიშვნელოვან ადგილებზე დამახასიათებელია IX საუკუნისათვის. ამ დროზე მიგვანიშნებს სრულიად სადა ფასადებიც. საფიქრელია, რომ ნუკა-საყდარი აიგო მალევე კლარჯეთის დიდი მონასტრების დაარსების შემდეგ და ერთ-ერთი მათგანის (უფრო ალბათ ხანძთის ან მიძნაძორის) განშტოებას წარმოადგენდა.

შუა საუკუნეების კლარჯეთის კიდევ ერთი ნაკლებადცნობილი მონასტერი იყო „სვეტის უდაბნო". მას შესწირა თავისი გადაწერილი თუენი ხანძთელმა ბერმა სტეფანე დიაკონმა[480]. სხვა ცნობები მის შესახებ არ მოიპოვება.

ახლა შეუძლებელია დაზუსტებით ითქვას, თუ სად იყო ეს „უდაბნო". სოფ. სვეტი (ახლანდელი სახელწოდებაა ვეზირ ქოი,

---

[480] ჯ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 351; ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I*, გვ. 411; W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 36.

Vezir köy) მდებარეობს ქალაქ ართვინის მახლობლად, მდ. ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე და რამდენიმე კილომეტრზე გაჭიმული, ერთმანეთისაგან დაცილებული უბნებისგან (მაჰალესაგან) შედგება. მის მიდამოებში ცნობილია ორი ეკლესია. ერთი მათგანი, რომელიც შუა უბანში, საცხოვრებელი სახლებისაგან მოშორებით დგას, სამნავიანი ბაზილიკაა (სამეცნიერო ლიტერატურაში ის მოიხსენიება აგრეთვე, როგორც ნიგალის ეკლესია[481]). ის ამჟამად ძლიერ დაზიანებულია – დანგრეულია კამარები, ნავების გამყოფი თაღები და მათი საყრდენები, სამხრეთ კედლის შუა ნაწილი. ჩრდილოეთ კედელი 1,0-1,2 მ-ის დონის ზემოთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხე თითქმის მთლიანად, აფსიდის მხრები; ფასადებზე ბევრგან მორღვეულია საპირე წყობა.

ინტერიერში ყურადღებას იპყრობს საკურთხევლის ნაწილის გადაწყვეტა. აფსიდი გეგმაში მორკალულფერდებიანი ტრაპეციაა, იატაკიდან დაახლოებით 3,5-4 მ-ის სიმაღლეზე თანდათან მრგვალდება და შეუმჩნევლად გადადის კონქზე, რომლისგანაც მხოლოდ ძირია დარჩენილი. სამშენებლო ტექნიკა თავისებურია – ჯერ ამოუყვანიათ აღმოსავლეთის სწორი ბრტყელი კედელი და მერე ზედ მიუდგამთ რკალური კედლები. მათი წყობა ერთმანეთს არ ებმის (ნაკერი კარგად ჩანს ჩრდილოეთ მხარეს რკალური კედლის ნაწილობრივ მორღვევის გამო). უფრო ზემოთ – იქ, სადაც აფსიდი მომრგვალებას იწყებს – წყობა უკვე ერთიანია, გადაბმული.

დასავლეთ კედელზე შემორჩენილია ორი მასიური ძლიერშვერილი კრონშტეინი. ეს არის ერთადერთი დეტალი, რომელიც უეჭველად ადასტურებს შენობის ბაზილიკურობას. კრონშტეინებს ეყრდნობოდა ნავების გამყოფი თაღების დასავლეთ წყვილი. ეკლესიის ზომებიდან გამომდინარე უნდა ვიფარაუდოთ, რომ სულ იქნებოდა სამი წყვილი თაღი და, შესაბამისად, ორი წყვილი ბურჯი ან სვეტი (მათი ფორმის თაობაზე რისამე თქმა ახლა შეუძლებელია). გვერდითი ნავები მეტად ვიწროა, მათ აღმოსავლეთ ბოლოებში ცალკე სათავსები გამოყოფილი არ არის, აფსიდების ნაცვლად კი გეგმაში მეოთხედწრიული მოხაზულობის კედლებია გამოყვანილი. ამ „ნახევარაფსიდებს" კონქები არა აქვთ, ნავებს მთელ სიგრძეზე დუღაბის ცილინდრული კამარები ხურავდა (შემოინახა სამხრეთ ნავის კამარის ნაშთები ორსავე ბოლოში).

---

[481] J.-M. Thierry, Topographie et état actuel des monuments géorgiens en Turquie orientale, *Revue des études géorgiennes et caucasiennes, №5*, 1989, გვ. 140. ჟ.-მ. ტიერი არასწორად მიიჩნევს მას „ცალნავიან სამაფსიდიან (mononef triabsidale)" ეკლესიად და შესაბამისად, გეგმის მცდარ რეკონსტრუქციას გვთავაზობს (იქვე, გვ. 159, სურ. 12).





სურ. 37. სვეტის ბაზილიკა. ზემოთ – გეგმა;
ქვემოთ – აღმოსაელეთ ფასადი

ერთი კარი ეკლესიას აქვს დასავლეთ კედლის ცენტრში, მეორე უნდა ყოფილიყო სამხრეთიდან – იქ, სადაც კედელი გარღვეულია. შემოინახა სამი სარკმელი – საკურთხეველში, დასავლეთ კედელში კარსზემოთ და სამხრეთ ნავის აღმოსავლეთ ბოლოში. ფასადზე ამ უკანასკნელს ამკობს თაროს პროფილის ფართო სადა რელიეფური თავსართი მოკლე გადანაკეცებით. ასეთივე, ოღონდ, ბუნებრივია, ბევრად უფრო დიდი თავსართი ჰქონდა აღმოსავლეთ ფასადზე აფსიდის სარკმელსაც. შემოინახა მისი ფრაგმენტი – წარბის ძირის ქვები. სხვა დეკორაციული კვეთილი ელემენტები შენობაზე არ ჩანს.

ეკლესია ნაგებია კლდოვანი ჯიშის მოყვითალო-ქვიშისფერი და რუხი ქვებით. საპირე წყობის ქვები როგორც ფასადებზე, ისე ინტერიერში მხოლოდ პირითი მხრიდანაა გათლილი, კუთხეები და წიბოები გამოყვანილი არ არის. ქვები ძირითადად თანაბარზომიერია და ერთნაირი სიმაღლის (25-30 სმ) რიგებად ლაგდება, თუმცა ალაგ-ალაგ გვხვდება 50-60 და 15-18 სმ სიმაღლის რიგებიც. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ადგილებისათვის უკეთ დამუშავებული მასალა – სუფთად გათლილი და მჭიდროდ მორგებული ქვები გამოუყენებიათ. ეს ქვები სხვა ჯიშისაა, სვრეტილია, ძლიერფოროვანი, ღია მოყვითალო ფერისა. ისინი აქა-იქ შემორჩა კარ-სარკმელთა წირთხლებზე. მშენებლობა მთლიანად გამართულად არის ჩატარებული, თუმცა აფსიდისა და კონქის ამოყვანის წესი უფრო ხალხური არქიტექტურის ტრადიციებს უკავშირდება.

გეგმის პროპორციებითა და საერთო კომპოზიციით სვეტის ეკლესია ენათესავება კლარჯეთის მეორე სამნავიან ბაზილიკას – პარეხს (IX-X საუკუნეთა მიჯნა). განსაკუთრებით თვალშისაცემია ორივეგან გვერდითი ნავების უჩვეულო სივიწროვე. ეს თვისება აღინიშნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს IX საუკუნისა და X საუკუნის დასაწყისის ზოგიერთ სხვა ბაზილიკურ ნაგებობაშიც, კერძოდ ქვაბისხევის მარიამწმინდაში, ნუკა-საყდარში, პარეხში, სათლესა და ესბეკში. სვეტის ეკლესია მჭიდროდ უკავშირდება ბაზილიკათა ამ ჯგუფს და ქრონოლოგიურად ახლოს უნდა იდგეს მასთან. თარიღის დაზუსტებაში გვეხმარება სარკმელთა ძლიერრელიეფური, ფართო თავსართები, რომლებიც თაროს მარტივი პროფილისაა და სადაა, მოუჩუქურთმებელი. ამ ნიშნებით სვეტის ბაზილიკა X საუკუნის I ნახევარს უნდა მივაკუთვნოთ.

ბაზილიკაზე 1 კმ-ით ზემოთ იდგა რთული კომპოზიციის ეკლესია, რომელსაც თურქები ქაფიზი-ქილისეს (Kapisi-Kilise – „ბჭის ეკლესია“) უწოდებდნენ, და კოშკი. ამ კომპლექსისაგან მხოლოდ გაურკვეველი კედლის ფრაგმენტია გადარჩენილი. ქაფიზი-ქილისე ცნობილია მხოლოდ ა. პავლინოვის 1888 წლის ექსპედიციის მასალებით (მოკლე აღწერა, კოშკის სქემატური გეგმა, ეკლესიის გეგმა, გრძივი და განივი ჭრილები, ჩრდილოეთ ფასადის ნახაზი,

ერთი ფოტოსურათი)[482] და პრ. უვაროვას მოკლე ცნობით[483]. მომდევნო ხანის არცერთ მკვლევარს, როგორც ჩანს, ეს ნაგებობები აღარ უნახავს, ყოველ შემთხვევაში, არავინ იძლევა დამატებით ინფორმაციას მათ შესახებ. ამჟამად ისინი არ იძებნება, მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდება „ქაფიზი-ქილისე" დაკარგული არ არის – ასე უწოდებენ ახლა სოფლელები ძველი შენობის ნაშთს, რომელიც მოიცავს ერთ ძლიერ დაზიანებულ კედელსა და მისი მართობული კედლების ფრაგმენტებს კუთხეებში. ეს ნაშთი დარბაზული ეკლესიის დასავლეთ კედელს ჰგავს. მისი ზედა ნაწილის მოხაზულობა – შუაში შემაღლებული, კიდეებისკენ დაფერდებული – თითქოს ორკალთიან სახურავს უნდა გულისხმობდეს. ზემოთ ცენტრში ერთი ვიწრო სარკმელია, შიგნითკენ მცირედ გაფართოებული. საპირე წყობა, რომელიც მხოლოდ ფასადზე შემორჩა, შედგება დიდრონი, პირითი მხრიდან მოსწორებული, არასწორი გეომეტრიული ფორმის ქვებისაგან. მთლიანად ეს ფრაგმენტი არ ეთანხმება ა. პავლინოვის ნახაზებსა და ფოტოსურათს და ძნელი წარმოსადგენია, რომ ის მათზე დაფიქსირებული შენობების ნაშთი იყოს. შესაძლოა ის ნაშთია სხვა ეკლესიისა, რომელზედაც მოსახლეობამ გადმოიტანა გამქრალი (დანგრეული) ეკლესიის სახელწოდება.

ა. პავლინოვის მასალებით ცნობილი სვეტის ეკლესია წარმოადგენდა მეტად თავისებურ ნაგებობას – უგუმბათო ტეტრაკონქს. მის ბირთვს შეადგენდა დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე მცირედ წაგრძელებული დარბაზული სივრცე, გადახურული ნახევარცილინდრული კამარით. ამ მართკუთხა დარბაზს ოთხივე მხრიდან უკავშირდებოდა მომცრო აფსიდები (მათი სიგანე დარბაზის გრძივი გვერდის 2/5-ს, ხოლო განივი გვერდის 3/5-ს შეადგენდა). ჩრდილოეთ და სამხრეთ აფსიდების აქეთ-იქით მოწყობილი იყო სულ პატარა, გეგმაში მეოთხედწრიული სათაესები – ა. პავლინოვის აზრით, სამალავები. მთელი ეს სტრუქტურა იწერებოდა 16-წახნაგაში, რომლის ცენტრშიც ამოიზრდებოდა ორი ქანობით დახურული შუა ცალნავიანი მოცულობა. თითოს გამოტოვებით წახნაგებში შეჭრილი იყო სამკუთხა ნიშები. ქვედა კორპუსს შემოწერდა ერთიანი დეკორაციული არკატურა. წახნაგთა შუა არეებზე გამოყვანილი თაღები ერთმანეთს ჰორიზონტალური გადანაკეცებით ებმოდა. ეკლესიას ჰქონდა ორი შესასვლელი (სამხრეთისა და დასავლეთის აფსიდებში) და ხუთი სარკმელი (თითო აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის აფსიდებში და თითოც დარბაზის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში მაღლა, აფსიდებს ზემოთ).

---

[482] А. Павлинов, Экспедиция на Кавказ, გვ. 60-62, ტაბ. XXV, XXVI-1,2, XXVII.

[483] П. Уварова, *Путевые записки*, გვ. 309.



სურ. 38. სვეტი, ქაფიზი-ქილისე. ზემოთ — გეგმა;
ქვემოთ — განივი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ.
ა. პაელინოვის მიხედვით





სურ. 39. სვეტი, ქაფიზი-ქილისე. ზემოთ – ჩრდილოეთ ფასადი;
ქვემოთ – გრძივი ჭრილი, ხედი სამხრეთისაკენ.
ა. პაულინოეის მიხედვით

საკურთხეველის აფსიდის წინ იდგა კანკელი, უკვე ძლიერ დაზიანებული 1888 წელს. შიგნით კედლები მოხატული იყო. ა. პავლინოვმა აღნიშნა მხატვრობის ერთი შემორჩენილი ფრაგმენტი – წითლად დაფერილი ჯვარი შავ ჩარჩოში, თუმცა კი არ მიუთითა, თუ რა ადგილას ნახა ის. სამხრეთიდან და დასავლეთიდან ეკლესიას ჰქონდა იმხანად უკვე სანახევროდ დანგრეული მინაშენები. რამდენადაც ფოტოსურათით შეიძლება ვიმსჯელოთ, საფასადო წყობას შეადგენდა წესიერად დამუშავებული კვადრები. ორნამენტული შემკულობა შენობას, როგორც ჩანს, არა ჰქონია – ის არც ფოტოსურათზე განირჩევა, არც ნახაზებზეა დატანილი და არც ტექსტში იხსენიება. ამ მონაცემების მიხედვით სვეტის ქაფიზი-ქილისე სავარაუდოდ X საუკუნის შუახანებით შეიძლება დათარიღდეს[484].

ეკლესიის ჩრდილოეთით, 7-8 მ-ის მოშორებით იდგა რამდენიმესართულიანი მართკუთხა კოშკი. სართულები ერთმანეთს შიდა კიბით უკავშირდებოდა. სართულშუა გადახურვები კამაროვანი იყო. ჩვეულებრივი შესასვლელი, ა. პავლინოვის თქმით, კოშკს არ ჰქონია – ღიობები იყო მაღლა, მიწიდან 4-5 მ-ის სიმაღლეზე. თუ ეს მართლაც დაყუდებული ბერის კოშკია, ე. ი. სვეტია, როგორც ივარაუდა ა. პავლინოვმა და როგორც მიგვანიშნებს თვით პუნქტის სახელწოდებაც, შესასვლელის ამგვარი მოწყობა გამართლებულია. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით კოშკი არ ჰგავს ამ დანიშნულების სხვა ნაგებობებს, კერძოდ, უბისისა და მარტვილის მონასტრების სვეტებს, ის უფრო სათაედაცვო ნაგებობას მოგვაგონებს (პრ. უვაროვას აზრით, მას სწორედ ასეთი დანიშნულება უნდა ჰქონოდა). ამჟამად კოშკი – ისევე, როგორც ქაფიზი-ქილისე – არ იძებნება, ის ალბათ მთლიანად განაგურებულია.

---

[484] В. Беридзе, *АТК*, გვ. 171.

თავი XIII.

საეკლესიო მშენებლობა მეთერთმეტე საუკუნის შემდეგ

1000-იანი წლებიდან საეკლესიო მშენებლობას ტაო-კლარჯეთში მთავარი დასაყრდენი – ბაგრატიონთა მხარდაჭერა გამოეცალა. 1001 წელს გარდაიცვალა დავით კურაპალატი, 1008 წელს – გურგენ მეფეთ-მეფე. გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარი ქუთაისში გადავიდა. ბაგრატიონთა კლარჯულმა შტომ ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა – ნათესავების ნაწილი ბაგრატ III-მ ციხეში გამოამწყვდია, სხვებმა გაქცევით უშველეს თავს. სამხრეთ საქართველოში ბაგრატიონები აღარ დარჩნენ, რაც მაშინვე აისახა სამშენებლო აქტივობაზე – XI საუკუნის დასაწყისის შემდეგ აქ ის მკვეთრად კლებულობს.

XI საუკუნის მეორე ნახევარში ვითარება საქართველოში მკვეთრად გაუარესდა. მესოპოტამიაში დამკვიდრებული თურქ-სელჯუკები აქტიურად მოიწევდნენ კავკასიისა და მცირე აზიისაკენ. 1065 წელს მათ სულთან ალფ-არსლანის მეთაურობით დაარბიეს ჯავახეთი, 1068 წელს – კახეთი და ქართლი. იმხანად ისინი უკვე ღრმად იყვნენ შეჭრილნი მცირე აზიის სიღრმეში და კაპადოკიის კესარიასაც დაპატრონებოდნენ. იმპერატორი რომანოზ IV ამაოდ ცდილობდა სხვადასხვა ტომის დაქირავებული რაზმებისაგან ბრძოლისუნარიანი სამხედრო ძალის შეკოწიწებას მრისხანე მოწინააღმდეგის მოსაგერიებლად. 1071 წლის აგვისტოში ალფ-არსლანმა მანზიკერტის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა ბიზანტიის იმპერიის უზარმაზარი მრავალეთნიკური არმია. რომანოზ IV მტერს ტყვედ ჩაუვარდა. ამან მკვეთრად შეცვალა ძალთა თანაფარდობა ახლო აღმოსავლეთში. 1080 წელს სელჯუკები – ამჯერად უკვე სულთან მელიქ-შაჰის მეთაურობით – კვლავ შემოესივნენ საქართველოს და დალაშქრეს მისი თითქმის ყველა მხარე. კლარჯეთი, რომელსაც მანამდე სამასი წელი არ ენახა მუსლიმი დამპყრობელი, მძიმე დღეში აღმოჩნდა: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, "...კლარჯეთი ზღვის პირამდის ...აღივსო თურქითა"[485]. მართალია, იგივე ისტორიკოსი ფრიად კეთილად ახასიათებს მელიქ-შაჰს და ქრისტიანთა სიყვარულსაც კი მიაწერს მას[486], მაგრამ მისივე ნაამბობიდან ცხადია,

---

[485] *ქართლის ცხოვრება*, I, გვ. 319.
[486] იქვე, გვ. 321.

რომ დამპყრობლები გულმოწყალებით არ გამოირჩეოდნენ — შემოსევისთანავე მათ „ერთსა დღესა დაწუეს ქუთაისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი“[487]. ძნელია ითქვას, „საქართველოს სინას“ რომელ საეკნეს რა ზარალი მიადგა გადაწვის შედეგად, თუმცა ის კი ფაქტია, რომ უმთავრეს მონასტრებში — ხანძთაში, შატბერდში, ოპიზაში ამას ეკლესიების ნგრევა არ მოჰყოლია. თურქსელჯუკთა თარეში კლარჯეთში მეტ-ნაკლები ინტენსიურობით გრძელდებოდა 1110-იან წლებამდე, სანამ დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ არ განდევნა ისინი სამხრეთ საქართველოდან.

XII-XIII საუკუნეთა ეკლესიები კლარჯეთში ცნობილი არ არის. შემდგომმა პერიოდმაც აქ სულ ორიოდე საკულტო ნაგებობა დაგვიტოვა. ერთი მათგანია სოფელ ტანძოთის (ახლანდელი Aydın, არტანუჯიდან 10-იოდე კმ-ით სამხრეთით) ეკლესია, რომლის ნაშთზეც XIX საუკუნეში ჯამე აშენდა. მის კედლებში ნ. მარმა ნახა სხადასხვა ადგილას ჩადგმული რამდენიმე ქართული წარწერის ფრაგმენტები. ამათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამშენებლო წარწერა აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ქვემოთ[488]:

ქ(რისტე), აღეშენა წ(მიდა)ჲ ესე ეკლესიაჲ სახელსა ზ(ედ)ა
წ(მიდ)ისა ქ(ალ)წ(უ)ლისა ქ(რისტ)ეს მოწამისა მარინაისა ქრო
ნიკონსა ფლა, რა(მეთუ) მ(ეო)ხ(ე)ბითა მისითა მოგ(ვე)ცეს მ(ი)ტ(ე)ვ(ე)ბაჲ
ც(ო)დვათაჲ, რ(ომელ) არს კადნი(ე)რ(ე)ბაჲ. ქ(რისტ)ს მოწ(ა)მეო მარინა, შე
იწ(ი)რე მცირე ესე სამს(ა)ხ(უ)რი კალმ(ა)სელისა საიმდაველის[გ(ა)ნ და]
თამარისგ(ა)ნ და შვილთა მ(ა)თთა გ(იორგ)ი და ი(ოან)ე და სუმბატისგ(ა)ნ

„ქორონიკონსა ფლა“ 1311 წელია (531 + 780). წარწერიდან ვიგებთ, რომ ამ წელს საიმდაველე კალმახელს ტანძოთში აუშენებია წმ. მარინეს ეკლესია[489].

---

[487] იქვე, გვ. 319.

[488] Н. Марр, Дневник, ტაბ. 34. ნ. მარის წაკითხვა მცირედ განსხვავებულია (იქვე, გვ. 105).

[489] ტანძოთში არის ასევე დარბაზული ეკლესია, რომელსაც აქვს სომხური წარწერა კარის თავზე, ძლიერ მუზარადისებრი თაღით მოფარგლულ ტიმპანში (O. Aytekin, გვ. 291, ტაბ. 223). ნ. მარის მიხედვით ის 1843 წელს არის აშენებული (Дневник, გვ. 104). ტანძოთი იყო ერთ-ერთი კლარჯეთის იმ რამდენიმე სოფელთაგან, რომლებშიც XIX საუკუნეში მუსლიმებთან ერთად სომხებიც ცხოვრობდნენ. XIX საუკუნეში შავშეთ-კლარჯეთში სომხური მოსახლეობა სჭარბობდა ქალაქებში — ართვინში, არტანუჯში, სათლელ-რაბათში. ესენი მეტწილად კათოლიკეები იყვნენ და მათი ნაწილი ქართული წარმოშობისა იყო, მეტიც, ბევრი ინარჩუნებდა ქართულ ენას ყოფაშიც და ლიტერატურულ საქმიანობაშიც (იხ. ამასთან დაკავშირებით ნ. მარის საგულისხმო შენიშვნა, Дневник, გვ.164-165. ქართველ კათოლიკეთა გასომხების საკითხისათვის იხ. აგრეთვე: მ. თამარაშვილი, *პასუხად სომხის*

კლარჯეთის ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უკანასკნელი ნიმუშია პატარა ეკლესია სოფელ მამაწმინდაში (ახლანდელი იბრიქლი, Ibrikli), ბორჩხას მახლობლად. ის მიეკუთვნება Kuppelhalle-ს ტიპს. გუმბათი ეყრდნობა ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებიდან გამოწეულ მართკუთხა შეერილებს. აფსიდი ეკლესიას არ გააჩნია — საკურთხეველი მართკუთხაა და გადახურულია ცილინდრული კამარით. არ არის არც დამატებითი სათაესები. გადასელა გუმბათქეშა კვადრატიდან წრეზე აფრების მეშვეობით ხორციელდება. გუმბათის ყელი შიგნიდანაც და გარედანაც მრგვალია, სრულიად გლუვი. მასში ოთხი სარკმელია. შენობის ქვედა კორპუსის ოთხივე კედლის ცენტრში გაჭრილია თითო სარკმელი. შესასვლელი ეკლესიას დასავლეთიდან აქვს. ერცელი კარიბჭე (შიდა ფართობით ლამის თვით ეკლესიის ტოლი) კარის წინ მოგვიანებით უნდა იყოს მიშენებული — ის ფარავს ეკლესიის დასავლეთ სარკმელს. კედლები გარედან მოპირკეთებულია ასე თუ ისე წესიერად თლილი ფოროვანი ქვით, შიგნით — ნატეხი ქვით. ინტერიერი მთლიანად შელესილი და მოხატულია.

მამაწმინდის ეკლესიის არქიტექტურული გადაწყვეტა ცხადად გვიჩვენებს არქიტექტურული შემოქმედების დაქვეითებას. პრიმიტიული გეგმა, საერთო პროპორციები, გუმბათის მაღალი, გლუვი, ცილინდრული ყელი და სამშენებლო ტექნიკის თავისებურებანი საფუძველს გვაძლევს ის XVI საუკუნით დავათარიღოთ[490].

მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას, ტფილისი, 1904, გვ. 218-229; შ. ლომსაძე, *გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები*, თბილისი, 1979, გვ. 46-49; ს. ბოსტაშვილი, *იასე რაჭველის /მეხუსლ/ წერილები თურქეთიდან*, თბილისი, 1991, გვ. 9-12). სოფლად სომხები ამ მხარეში გაცილებით ცოტანი ჩანან. გ. ყაზბეგისა და ნ. მარის მონაცემების მიხედვით, იმერხევში ისინი ცხოვრობდნენ მხოლოდ ფხიკიურში, შავშეთში — სათლესა და ოქრობაგეთში, არტანუჯისწყლის ხეობაში — ტანძოთსა და ფენი-რაბათში (გ. ყაზბეგი, *სამი თვე*., გვ. 83, 84, 87; Н. Марр, Дневник, გვ. 10, 40, 100, 104). მთლიანად შავშეთ-კლარჯეთში, გ. ყაზბეგის მიხედვით, სომხები მოსახლეობის დაახლოებით 7-8%-ს შეადგენდნენ.

[490] ასე დაათარიღა მამაწმინდა ჯერ კიდევ 1888 წელს ა. პაველინოვმაც, რომელმაც მოკლე აღწერასთან ერთად გამოაქვეყნა ეკლესიის ნახაზები და ფოტოსურათი (Экспедиция на Кавказ, გვ. 58-59, ტაბ. XXIII, XXIV-2). იმავე ხანებშია შესრულებული ეკლესიის მოხატულობაც, რომელიც სტილისტურად ე. წ. „ხალხურ ნაკადს" უკავშირდება. მასში, ქრისტოლოგიურთან ერთად, დიდი ადგილი უკავია ძველი აღთქმის სცენებსაც. ვ. ჯობაძის აზრით, მამაწმინდაში შესაძლოა მუშაობდა ის მხატვარი, რომელმაც მოხატა სუმელას მონასტერი ტრაპეზუნტის მახლობლად (W. Djobadze. *Monasteries*, გვ. 7).



სურ. 40. მამაწმინდის ეკლესია.
ზემოთ – აღმოსავლეთ ფასადი და განივი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ;
ქვემოთ – გეგმა. ა. პაელინოვის მიხედვით

გარდა ამ კანტი-კუნტი საეკლესიო მშენებლობისა კლარჯეთის სოფლებში, სხვადასხვა მცირემასშტაბიანი სამუშაოები მიმდინარეობდა „საქართველოს სინას“ მონასტრებშიც. XIV-XVI საუკუნეებში აიგო სამრეკლოები ოპიზასა და ხანძთაში, შატბერდის ეკლესიას XIII საუკუნეში სამხრეთიდან მიშენდა ეგვტერი (იხ. ზემოთ). ყოველივე ეს, ცხადია, ერთობ უფერულად გამოიყურება IX-X საუკუნეთა გრანდიოზული სამშენებლო ტალღის ფონზე.

1551 წელს კლარჯეთი ოსმალებმა დაიპყრეს. მონასტრები ამის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას და „საქართველოს სინა“ კიდევ სულ ცოტა ერთი საუკუნის მანძილზე ქრისტიანობის საყრდენად რჩებოდა გამაჰმადიანების გზაზე დამდგარ რეგიონში. ბერი ეგნატაშვილის მოწმობით, XVII საუკუნის I ნახევარში „სრულიად არღარა იპოებიან მუნ (ე. ი. ყოფილ საათაბაგოში – დ. ხ.) მორწმუნეთაგანი, თუნიერ კლარჯეთისა მსხემთა“[491]. მონასტრები, როგორც ჩანს, საბოლოოდ დაიცალა XVII საუკუნის II ნახევარში ან XVIII საუკუნის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც გაუქმდა ანჩისა და ტბეთის კათედრები და მთლიანად მოიშალა შავშეთ-კლარჯეთის საეკლესიო ორგანიზაცია.

---

[491] *ქართლის ცხოვრება, ტ. II*, გვ. 427.

დასკვნა

არქიტექტურის განვითარების გზა კლარჯეთში მეტად თავისებურად წარიმართა. როგორც ზემოთ ითქვა, აქ ცოტა შენდებოდა ადრეულ ხანაში, IV-VIII საუკუნეებში. კიდევ უფრო მწირი ჩანს მშენებლობა XI საუკუნის დასაწყისის შემდეგ. სამაგიეროდ, ორსაუკუნოვანი პერიოდი ამ ორ დიდ „პასიურ“ ეპოქას შორის, ე. ი. IX-X ასწლეულები აღინიშნება არაჩვეულებრივად გაცხოველებული აღმშენებლობით, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა კლარჯეთში. ეს კვალი უხვად გვხვდება დღესაც, თურქთა ხუთასწლოვანი მფლობელობის შემდეგაც, რომელიც ცხადია არ უწყობდა ხელს ქრისტიანული სიძველეების შენახვას. კლარჯეთში შემორჩენილ ძველ ნაგებობათა უმეტესობა სწორედ IX-X საუკუნეებსა და XI საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება.

რა თქმა უნდა, სამშენებლო აქტიურობის ასეთი უთანაბრობა შემოხვევითი არ ყოფილა. ის ანარეკლია დიდი სულიერი აღმავლობისა, რომელიც დაიწყო გრიგოლ ხანძთელის ჩამოსვლით კლარჯეთში და რომელსაც სამონასტრო ცხოვრების ფართოდ გაშლა მოჰყვა. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ასევე მხარის მმართველ ბაგრატიონთა მხარდაჭერას – ამის გარეშე მრავალრიცხოვანი ეკლესია-მონასტრების აგება შეუძლებელი იქნებოდა. ფართომასშტაბიანი სამონასტრო მშენებლობის დასაწყისი ემთხვევა ბაგრატიონთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ეპოქას. უკვე 810-20-იან წლებში შენდება ეკლესიები და სხვა ნაგებობები ხანძთაში, გუნათლეში, მერეში, 830 წლის ახლო ხანებში – შატბერდში. განსაკუთრებით ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს 830-40-იან წლებში, როცა არსდება ახალი მონასტრები მიძნაძორში, წყაროსთავში, ბარეთელთაში, ბერთაში, ჯმერკსა და დაბაში. ამ მშენებლობების შედეგად უკვე IX საუკუნის შუახანებისათვის მთელი კლარჯეთი მონასტრებით აღმოჩნდა მოფენილი. საუკუნის II ნახევარში მათ დაემატა პარეხი და, როგორც ჩანს, დოლისყანა. ამავე პერიოდში დაიწყეს ახალი ეკლესიების აგება უკვე არსებულ მონასტრებში. შენდებოდა ქალაქი არტანუჯი.

სამწუხაროდ, წერილობით წყაროებში ასახული მშენებლობის საილუსტრაციოდ ჩვენ ცოტა რამ შემოგვრჩა. კლარჯეთის IX საუკუნის არქიტექტურაზე მსჯელობა შეგვიძლია სულ რამდენიმე ასე თუ ისე შემონახული ნაგებობის მიხედვით. პირველ რიგში, ესაა

წყაროსთავისა და მიძნაძორის მონასტრების ეკლესიები, რომლებიც სტილისტური ნიშნებით სწორედ ამ დროისა ჩანს და შესაძლოა, თავდაპირველი ეკლესიებია, ე. ი. 830-40-იანი წლებისა. დაახლოებით 840-80 წლებს შორის პერიოდს განეკუთვნება ოპიზის ეკლესიის გეგმა და ზოგადი სივრცობრივ-მოცულობითი სტრუქტურა. IX-X საუკუნეთა მიჯნაზეა აგებული ქალაქ არტანუჯის ეკლესია. ყველა ეს ნაგებობა ან ძლიერ დანგრეულია (წყაროსთავი, მიძნაძორი, არტანუჯი), ან მოგვიანებით განახლებული (ოპიზა).

ზემოთ ვრცლად იყო ლაპარაკი „თავისუფალი ჯვრის" ტიპის გართულების შედეგად მიღებული კომპოზიციების მნიშვნელობაზე კლარჯეთის არქიტექტურაში. ითქვა, რომ მარტივი croix libre-ის მკლავთაშორის კუთხეებში დამატებითი სათავსების მოწყობის იდეა, როგორც ჩანს, გაჩნდა კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობაში და აქვე პოვა განხორციელება ორ ვარიანტად – ორი ან ოთხი დამატებითი სათავსით, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა გართულებული croix libre-ის ორი სახესხვაობა. ეს კომპოზიციები კლარჯეთში იმთავითვე უპირატესი გახდა და წამყვან როლს ინარჩუნებდა X საუკუნის ბოლომდე. პარალელურად, ბუნებრივია, არსებობდა სხვა არქიტექტურული თემებიც, კერძოდ, IX საუკუნეში იგებოდა უგუმბათო ეკლესიებიც – სამნავიანი (პარეხი), ორნავიანი (ნუკა-საყდარი) თუ დარბაზული (არტანუჯი-ციხე, პარეხი). არ ჩანს მხოლოდ ე. წ. სამეკლესიანი ბაზილიკები, ამასთან არა მხოლოდ IX საუკუნეში, არამედ არც მერე. ეს მით უფრო უცნაურია, თუ გაეითვალისწინებთ, რომ საქართველოს სხვა მხარეებში გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მიერ აგებული ეკლესიები სწორედ სამეკლესიანი ბაზილიკებია – უბისი, აშენებული თეით გრიგოლის მიერ იმერეთში, თეოდორეს აშენებული ნექი და ქრისტეფორეს აშენებული კეირიკეწმინდა თორში. სხვათა შორის, ეს ტიპი უცნობია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებშიც – შავშეთში, ტაოში, კოლა-არტაანში.

IX საუკუნის ეკლესიები კლარჯეთში ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვებით. კედლის წყობის ხასიათი სხვადასხვა ნაგებობებში საკმაოდ სხვაობს. დიდ ეკლესიებში ქვები, ჩვეულებრივ, თანაბარზომიერია, მეტნაკლებად წესიერი ფორმისა, სწორ რიგებად დაწყობილი. პარეხის დარბაზულ ეკლესიაში, მათგან განსხვავებით, წყობა სახელდახელოდ ნატეხი ქვისაა, ზერელე და ულაზათო. განსხვავებულია საშენი ქვების ზომებიც. მიძნაძორში რიგების სიმაღლე ძირითადად 25-30 სმ-ს შეადგენს; არტანუჯში კედლების ქვედა ნაწილში დიდი ლოდებია ჩასმული. პარეხის ბაზილიკის დასავლეთ ფასადებზე გამოყენებულია თავისებური მხატვრული ხერხი – ქვის წყობის დაბალი და მაღალი რიგების მონაცვლეობა.

უხეშად დამუშავებული ქვით გამოჰყავდათ კლარჯეთის IX საუკუნეთა ეკლესიების მშენებლებს, როგორც წესი, პილასტრები, შენობის კუთხეები და კარ-სარკმლის წირთხლებიც, ოღონდ ასეთ ადგილებზე მოხმარებულ ქვებს წიბოებს შედარებით მონდომებით უსწორებდნენ. სუფთად თლილი ქვა, შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო ხოლმე კონქსა და კამარაზე, როგორც გვიჩვენებს ნუკა-საყდარი (კლარჯეთის IX საუკუნის ყველა სხვა ეკლესიაში გადახურვა ჩანგრეულია).

ფასადთა მხატვრული გაფორმება კვეთილი სამკაულით, საფასადო წყობის მკაცრი ხასიათის შესაბამისად, ძალიან ძუნწია. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ ბევრი რამ უკეალოდ გაქრა, მაგრამ შემორჩენილი მაგალითები უცილობლად მეტყველებს IX საუკუნის კლარჯული ეკლესიების ქვაზე კვეთილი დეკორის სისადაეესა და სიმარტივეზე. ასეთია, წყაროსთავის ჩრდილო-აღმოსავლეთ სათავსისა და ჩრდილოეთის მკლავის სარკმლების თავსართები, ჯვარი არტანუჯის ეკლესიის სამხრეთის კარის ტიმპანში. ნუკა-საყდარს, რომლის ფასადები კარგად შემოინახა, შემკულობა საერთოდ არ გააჩნია. როგორც ჩანს, მოურთაეი იყო პარეხის ეკლესიებიც.

ახალი ეტაპი კლარჯეთის არქიტექტურაში იწყება X საუკუნის პირველი ათწლეულებიდან. ახალი მონასტრები აღარ არსდება, სამაგიეროდ, იწყება ახალი ეკლესიების მშენებლობა უკვე არსებულ მონასტრებში. ამის მიზეზი იყო, ერთი მხრივ, მონასტრებში ბერების რიცხვის ზრდა და, შესაბამისად, უფრო დიდი ეკლესიების საჭიროება, მეორე მხრივ, შეცვლილი მხატვრულ-ესთეტიკური მოთხოვნილება: ადრინდელი სადა, უხეშად ნატეხი ადგილობრივი კლდოვანი ქვით ნაგები ეკლესიები აღარ შეესაბამებოდა დროის მოთხოვნებს. ეკონომიკურად მოღონიერებულ ბაგრატიონებს, რომლებიც უწინდებურად „საქართველოს სინას“ მონასტრების მთავარი ქტიტორები იყვნენ, სურვილიც ჰქონდათ და შესაძლებლობაც შეწეოდნენ უფრო ძვირადღირებულ მშენებლობებს და აეგოთ უფრო დიდი და მეტად შემკული ეკლესიები. ისინი არ ერიდებიან მშენებლობის ხარჯების მკვეთრ ზრდას, რათა შენობას უფრო მდიდრული, საზეიმო იერი ჰქონდეს. საგულისხმოა, რომ ანალოგიური ტენდენცია X საუკუნის შუახანებიდან თავს იჩენს კლარჯეთში გადაწერილი წიგნების მხატვრულ გაფორმებაშიც – ის ბევრად უფრო მდიდრული ხდება. ასკეტური სიმკაცრის დათმობა დეკორაციული სილამაზისა და სიუხვის სანაცვლოდ უნდა იყოს ლოგიკური გამოხატულება ერთგვარი „სეკულარიზაციის“ პროცესისა, რომელიც დაახლოებით IX-X საუკუნეთა მიჯნიდან დაიწყო

„საქართველოს სინაზე“ და რომლის შედეგადაც კლარჯულმა მონასტიციზმმა არსებითი ცვლილება განიცადა[492].

პირველი შენობა, რომელშიც ნათლად აისახა აღნიშნული ცვლილებები, იყო ხანძთის ახალი (ამუამად მდგარი) ეკლესია, აგებული 910-20-იან წლებში. მისი ხუროთმოძღვრის ამონას როლი ქართული არქიტექტურის ისტორიაში კარგად არის წარმოჩენილი ბოლოდროინდელ გამოკვლევებში (პირველ რიგში ვ. ჯობაძისა). მკვეთრ ხარისხობრივ წინსვლას, რომელიც აღინიშნება X საუკუნის შუახანებიდან კლარჯეთისა და შემდეგ ტაოს არქიტექტურაში, სწორედ ამონას მოღვაწეობამ დაუდო საფუძველი. მხატვრულ ნოვაციებთან ერთად (თლილი ქვის საფასადო პერანგი, გუმბათის ყელის თაღნარი და ტეხილი კარნიზი, ფართო თავსართები, რთული პროფილები), ამონას უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო მშენებლობის საერთო ხარისხის გაუმჯობესება, რაც შენობის მეტ მდგრადობაშიც გამოიხატა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მისი ქმნილება ტაო-კლარჯეთის უადრესი ეკლესიაა, რომელიც თუმც კი ძლიერ დაზიანებული, მაგრამ მაინც შემოინახა ძირითად ფორმებში. ხანძთის ეკლესიამ, მიუხედავად უკიდურესად არახელსაყრელი პირობებისა, ბუნებრივი კატაკლიზმებისა თუ შეგნებული დაზიანებისა, შემოინახა გუმბათი, რომელსაც ორი საყრდენი (!) თითქმის მთლიანად მონგრეული აქვს. შესადარებლად შეიძლება გავიხსენოთ

---

[492] თუ გრიგოლის დროს, ჰაგიოგრაფის მოწმობით, „ღამეი იყო ფსალმუნებაი და ღღისი წიგნის კითხვაი“ (ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 267), ახლა ბერები უმეტეს დროს წიგნების თარგმნას, გადაწერასა და შემკობას უთმობდნენ. IX საუკუნის მკაცრი, „მარტივი“ სულიერება გზას უთმობდა მწიგნობრულ ინტელექტუალიზმს, ასკეტური გემოვნება – დახვეწილ ესთეტიზმს. „აწ წესთა მათგანი სულიერთაი მცირედი რაიმე გუჰკერიეს ვითარმცა ზღუსაგან წუეთი ერთი წყალი ვინმე აღმოიღო“ (იქვე, გვ. 265) – სწუხდა 951 წელს გიორგი მერჩულე გრიგოლისდროინდელი ცხოვრებისა და მსახურების მკაცრი წესის მივიწყების გამო. მაგრამ გიორგი მერჩულე – მკელეევარი და ლიტერატორი, ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულების ავტორი – თავად იყო ახალი ტენდენციის მატარებელი. მისი საყვედურნარეკი სინანული იმის გამო, რომ წინამორბედ „ბრძენთაგან და სრულთა მამათა“ არავის მოაფიქრდა დიდი მოძღვრის ცხოვრების აღწერა, კარგად გვიჩვენებს თუ როგორ ეუცხოებოდა X საუკუნის შუახანის სწავლულ ბერს ადრინდელ კლარჯ მოღვაწეთა ინდიფერენტიზმი ლიტერატურული საქმიანობისადმი. ასევე ახალი, IX საუკუნისათვის უცხო განწყობის მაჩვენებელი უნდა იყოს გიორგი მერჩულეს აღფრთოვანება ხუროთმოძღვარ ამონას პროფესიული ცოდნით – „სიბრძნით სრულიად მაშშნებელი“-ო. ადრინდელ ეკლესიათა მშენებელ ოსტატებს ხომ იგი საერთოდ არ ახსენებს.

IX საუკუნის ეკლესიები კლარჯეთის სხვა მონასტრებში – წყაროსთავში, მიძნაძორში, ჯმერკში, პარეხში, – რომელთაც ნანგრევების სახით თუ მოაღწიეს ჩვენს დრომდე.

გაზრდილი ტექნიკური დონე და მომთხოვნელობა შენობის მხატერული გაფორმებისადმი თაეს იჩენს უკვე X საუკუნის შუახანებში ოპიზის ეკლესიის დიდ რეკონსტრუქციასა და დოლისყანის ეკლესიის მშენებლობაში. საგულისხმო ფაქტია – თუ ხანძთის ახალი ეკლესიის ქტიტორები ჯერ კიდევ ბაგრატიონთა კლარჯული შტოს წარმომადგენლები არიან (აშოტ და გურგენ ერისთავთერისთავები), ოპიზასა და დოლისყანაში მშენებლობა უკვე ადარნესე ქართველთა მეფის მემკვიდრეების, ე. ი. ტაოელი ბაგრატიონების შემწეობით მიმდინარეობს. X საუკუნის შუახანებიდან ისინი პატრონობენ არაჩვეულებრივად ფართოდ გაშლილ საეკლესიო მშენებლობას როგორც ტაოში, ისე შავშეთსა და კლარჯეთში. შედეგად, ხდება მანამდე არსებითად ურთიერთდამოუკიდებლად არსებული ტაოური და კლარჯული არქიტექტურული ტრადიციების დაახლოება. X საუკუნის II ნახევარში უკვე მართლაც შეიძლება საუბარი ტაო-კლარჯეთის არქიტექტურაზე, როგორც ერთიან ფენომენზე, თუმცა კვლავაც რჩება გარკვეული რეგიონალური განსხვავებაც.

ოპიზისა და დოლისყანის გადაწყვეტა გვიჩვენებს კლარჯეთის არქიტექტურის შემდგომ განვითარებას. საბოლოოდ ითქვა უარი ტრომპულ სისტემაზე – მას კლარჯი ხუროთმოძღვრები აღარასოდეს უბრუნდებიან. ორსაეე ეკლესიაში გაკეთებულია აფრატრომპები, რომლებიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, იმხანად უკვე ცნობილია ტაოში (კინეპოსი). უარი ითქვა – როგორც ჩანს, ეკონომიის მოსაზრებებით – ძირითადი კორპუსის მოპირკეთებაზე თლილი ქვით. მშენებლები მხოლოდ გუმბათის პერანგის გაკეთებას სჯერდებიან, ქვემოთ კი ფასადები უხეშად დამუშავებული საშუალო ზომის ქვების თანაბარი რიგებით არის გამოყვანილი. სამაგიეროდ, იზრდება დეკორაციული შემკულობა. დოლისყანაში დიდი მძლავრი თავსართები, რომლებიც ფართო ნახევარწრეებს შემოწერს სარკმლების თავზე, უხვად არის მოჩუქურთმებული. აქეე პირველად ჩნდება ორფეროვანი „მარაოები“ სარკმლის თაღსა და თავსართს შორის.

მომდევნო პერიოდის კლარჯეთის არქიტექტურის შესახებ სამსჯელოდ მხოლოდ X-XI საუკუნეთა მიჯნაზე აგებული შატბერდის ეკლესია გვაქვს (დაახლოებით ამავე დროის ეკლესია ანჩში თითქმის მთლიანად განადგურებულია). აღნიშნული ეპოქა ერთ-ერთი ყველაზე ღირშესანიშნავია საქართველოს ისტორიაში. ამ რამდენიმე ათწლეულში განვითარებულ მოვლენებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის შემდგომი ბედისათვის. საფუძველი ჩაეყარა ერთიან ქართულ სახელმწიფოს, რომლის ფარგლებშიც

ბაგრატ III-მ ისტორიული ქართული მიწების დიდი ნაწილი გააერთიანა. ეს უაღრესად გაცხოველებული მშენებლობის ხანაა. ქვეყნის ყველა რეგიონში მრავალად იგება დიდი ტაძრები, რომლებიც არქიტექტურული ჩანაფიქრის სირთულითა და მასშტაბურობით შესამჩნევად აღემატება წინა ხანის ნაგებობებს. ხუროთმოძღვრების სტილისტური ევოლუციის თვალსაზრისით აღნიშნულ ეპოქას მკვლევარები ახასიათებენ, როგორც ცხოველხატული სტილის ადრეულ ეტაპს („ადრეულ ბაროკოს").

როგორ აისახა სიახლეები შატბერდის ეკლესიის ხუროთმოძღვრებაში? მისი კომპოზიცია მოწმობს, რომ დამატებითსათავსებიანი croix libre კლარჯეთში კვლავ წამყვანი არქიტექტურული თემაა. საქართველოს სხვა რეგიონებში აგებულ თანადროულ ტიპოლოგიურად მონათესავე ეკლესიებთან შედარებით შატბერდში თვალშისაცემია დასავლეთის მკლავის დაგრძელება – თავისებურება, რომელიც კლარჯეთის IX საუკუნის ნაგებობებიდან მომდინარეობს. ცხოველხატულობისა და დეკორაციულობის ზრდა განსაკუთრებით ძლიერად იჩენს თავს ეკლესიის გარე სახეში. გარედან შენობას კვლავ თლილი ქვის მთლიანი პერანგი უკეთდება. ფასადებს თაღნარი შემოწერს. სარკმლები მდიდრულად არის გაფორმებული არა მხოლოდ თავსართებით, არამედ უხვად მოჩუქურთმებული საპირეებითაც. მაგრამ ამასთანავე შატბერდის არქიტექტურას არ ახასიათებს ხახულის, ოშკისა და იშხნისათვის სპეციფიკური „ლუქსურიული" დეკორაციულობა, რომელიც შენობის არაჩვეულებრივად უხვად, მრავალფეროვნად მორთვას გულისხმობს. ეს თვისება – ტაოსთან შედარებით მეტი თავშეკავებულობა ქვაზე კვეთილი სამკაულის ხმარებაში, ნაკლები მდიდრულობა – ზოგადად კლარჯეთისათვის უნდა იყოს ნიშანდობლივი. როგორც ჩანს, საეკლესიო შენობის გაფორმების ტაოურ კონცეპციას, რომლისთვისაც XIX საუკუნის ევროპული ხელოვნებათმცოდნეობის ტერმინოლოგიური ტრადიციით შეიძლებოდა გვეწოდებინა „დავით კურაპალატის სტილი", კლარჯეთში თავშეკავებულად შეხედნენ, ყოველ შემთხვევაში, აქ მისი გავლენა ნაკლები იყო, ვიდრე, ვთქვათ იმერეთში. ამის მიზეზი, ვფიქრობ, ისაა, რომ კლარჯეთში ძლიერი იყო გრიგოლ ხანძთელის დასის სამონასტრო აღმშენებლობიდან მომდინარე არქიტექტურული ტრადიცია, რომელიც კვეთილი დეკორის გამოყენებაში ზომიერებას მოითხოვდა და ვერ იგუებდა „ორნამენტულ ფუფუნებას" ეკლესიის კედლებზე. ტაოში ამ დროს ენერგიული დავით კურაპალატის ღვაწლით რამდენიმე დიდი ახალი მონასტერი შენდება – ხახული, ოშკი, ოთხთა ეკლესია, პარხალი და თითოეული მათგანი თითქოს ბაგრატიონთა აღმავალი დიდების დემონსტრაციაა. კლარჯეთში ახალი მონასტრები აღარ არსდება – „საქართველოს სინა" თავისი სახელგანთქმული თორმეტი

უდაბნოთი ახალ მონასტრებს აღარ საჭიროებდა, ძველები კი უფრო გრიგოლ ხანძთელის სახელთან ასოციირდებოდა, ვიდრე საერო დიდებულებისა. ნიშანდობლივია, რომ კლარჯეთში არსად ჩანს ტაოში ესოდენ გავრცელებული დამოუკიდებელი ზოომორფული გამოსახულებები, რომლებიც საერო ხელისუფლების ძლევამოსილების, ხელმწიფებრივი სიდიადის სიმბოლოებს წარმოადგენდნენ.

XI საუკუნიდან სამშენებლო აქტივობა კლარჯეთში, როგორც ითქვა, მკვეთრად კლებულობს. დიდი ხუროთმოძღვრების ეპოქა ამ რეგიონში საქართველოს გაერთიანების თანადროულად დასრულდა. ამის მერე არქიტექტურულ შემოქმედებას უწინდელი მწვერვალებისათვის აქ აღარასოდეს მიუღწევია.

დანართი:
შავშეთის ეკლესიები

შავშეთის ისტორიული პროვინცია, რომელიც მოიცავს მდ. შავშეთისწყლის ხეობას და გეოგრაფიულად უშუალოდ აგრძელებს კლარჯეთს (იმერხევს), ყოველთვის უმჭიდროესად იყო მასთან დაკავშირებული. ეს კავშირი ხუროთმოძღვრებაშიც აისახა: შავშეთის ეკლესიები ბევრი ნიშნით ძლიერ ახლოს დგას კლარჯეთის არქიტექტურული სკოლის ნაწარმოებებთან.

დიდი ეკლესიები შავშეთში ნაკლებია, ვიდრე კლარჯეთში. მათ შორის თავისი სულიერი, კულტურულ-ისტორიული და არქიტექტურული მნიშვნელოვნებით გამოირჩევა ტბეთის კათედრალი. ის ახლანდელ სოფ. ტბეთის (თანამედროვე სახელწოდებაა ჯევიზლი, Cevizli, თურქულად ნიშნავს „კაკლიანს") შუაგულში დგას, გაშლილ ადგილას და დღესაც, დანგრეული და გაძარცული, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

სიძველეთმცოდნეობით ლიტერატურაში ტბეთი XIX საუკუნეში გახდა ცნობილი. უადრესი ცნობები ტბეთის ტაძრის შესახებ აქვთ გ. ყაზბეგს[493], დ. ბაქრაძეს[494] და პრ. უვაროვას[495]. ა. პაელინოვმა, მოკლე აღწერასთან ერთად, გამოაქვეყნა ტაძრის გეგმა, ჭრილი, სამხრეთ ფასადის ნახატი, არქიტექტურული დეტალების ნახატები და ოთხი ფოტოსურათი[496]. ეს მასალა უძვირფასესი წყაროა ტაძრის არქიტექტურის შესასწავლად. ასევე განსაკუთრებით ღირებულია ნ. მარის ძალზე დეტალური აღწერა (არა მხოლოდ თვით ტაძრისა, არამედ მის ირგვლივ ნანახი სიძველეებისაც) და ფოტოსურათები[497].

ტბეთი ძველი საეპისკოპოსო ცენტრია. სუმბატ დავითის-ძის მიხედვით, „აშოტ ერისთავთა-ერისთავმან, ძმან გურგენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოელითა განგებითა, და დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე"[498]. ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ასევე „მატიანე

---

[493] გ. ყაზბეგი, *სამი თვე თურქეთის საქართველოში*, გვ. 78-81.

[494] Д. Бакрадзе, Об археологической поездке совершенной в 1879 году по поручению Академии Наук в Чорохский бассеин, Батум, Артвин и Артанудж, *ЗИАН, т. 37, кн. 1*, გვ. 49-51.

[495] П. Уварова, *Путевые записки*, გვ. 285-292.

[496] А. Павлинов, Экспедиция на Кавказ, გვ. 71-74, ნახ. 44, ტაბ. XLI-XLVII.

[497] Н. Марр, Дневник, გვ. 11-25, ტაბ. 2-6.

[498] *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 380.

ქართლისა“: „...აშოტ კუხი, რომელმან აღაშენა ტბეთი საეპისკოპოსო“[499]. მოგვიანებით ამასვე ადასტურებს ვახუშტიც[500]. აშოტ კუხი 918 წელს გარდაიცვალა და, შესაბამისად, ტბეთის საეპისკოპოსო კათედრის დაარსებისა და პირველი ტაძრის აგების დრო X საუკუნის დასაწყისით უნდა განისაზღვროს. ტბეთის ეპისკოპოსთა შორის არაერთი თვალსაჩინო მოღვაწე იყო: ჰაგიოგრაფი სტეფანე მტბევარი (პირველი ეპისკოპოსი), ჰიმნოგრაფი იოანე მტბევარი, ბაგრატ IV-ის აქტიური მხარდამჭერი, ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი საბა მტბევარი და სხვანი. კათედრალს ჰქონდა თავისი სკრიპტორიუმი – ცნობილია სახარება, რომელიც 995 წელს გადაიწერა „საყდარსა შინა ტბეთისასა“[501]. აქ არსებობდა მდიდარი წიგნთსაცავიც: XII საუკუნის ერთი ოთხთავის ანდერძის მიხედვით, „საყდარსა ტბეთისასა აქუნდა ძუელნი წიგნნი მრავალნი“[502].

X საუკუნის დასაწყისში აგებული ტაძარი შემდგომ რამდენჯერმე აღდგა თუ გადაკეთდა. საბოლოო სახით ის წარმოადგენდა ჯვრული გეგმის დიდ ნაგებობას ოთხ ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით. ამ შენობამ კარგ მდგომარეობაში მოატანა XX საუკუნის დასაწყისამდე და, როგორც ჩანს, შუახანებამდეც. 1961 წელს შავშათის კიმაკამის წაქეზებით ნაგებობა სოფლელებმა ააფეთქეს, რის შედეგადაც ჩაინგრა გუმბათი და მთელი გუმბათქვეშა კონსტრუქცია ბურჯებითურთ, დასავლეთის მკლავი მთლიანად, ჩრდილოეთის მკლავის კამარა, პატრონიკე და კედლების ზედა მონაკვეთები, სამხრეთის მკლავის კამარის ნაწილი, საკურთხევლის აფსიდის კონქის ზედა ნაწილი. ყოველივე ეს ჩაქცეულია ინტერიერში, ნამსხვრევების გროვის სიმაღლე შუაში 3-4 მ-ს აღწევს. ჩრდილოეთის მკლავის შემორჩენილ კედლებზე შიგნით და ალაგ-ალაგ ფასადებზეც შემოძარცულია პერანგი. საკურთხევლის აფსიდი სარკმლის ქვემოთ უხეშად არის გარღვეული. ნგრევა გრძელდებოდა აფეთქების შემდეგაც: ჩამოიშალა აღმოსავლეთის მკლავის კარნიზის დიდი ნაწილი, 1968-1970 წლებში ჩაიქცა ჩრდილოეთის სამლოცველო და სხვა. სოფლის მოსახლეობა, რომელიც შავშეთის მცხოვრებთა შორის რელიგიური შეუწყნარებლობით გამოირჩევა, განსაკუთრებით ერჩის ჯვრებისა და ადამიანთა გამოსახულებებს. 1970-იან წლებში გაქრა რელიეფური ჯვარი აღმოსავლეთ ფრონტონის კეხიდან, 1980-იან წლებში – წმინდანის ფიგურა სამხრეთ ფასადზე. 1993 წელს ამოტეხეს დიდი ფილა ჯვრის გამოსახულებითა და წარწერით ჩრდილოეთის მკლავის აღმოსავლეთ ფასადზე. ბოლო ათწლეულებშივე დიდწილად მოისპო კედლის მხატვრობა.

---

499 იქვე, გვ. 260.

500 *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, გვ. 679.

501 ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I*, ნაკე. II, გვ. 472.

502 იქვე, გვ. 474.





სურ. 41. ტბეთის ტაძარი. გეგმა

ტბეთის ტაძრის ნანგრევებსა და მის ძველ ფოტოსურათებზე დაკვირვებით თვალნათლივ ჩანს, რომ შენობა რამდენიმე ქრონოლოგიურ ფენას შეიცავს. მის უძველეს ნაწილს წარმოადგენს მოზრდილი ფრაგმენტი, რომელიც ჩართულია ჩრდილოეთის მკლავში და მისი ჩრდილოეთ და ნაწილობრივ დასავლეთ კედლების ფუნქციას ასრულებს. ეს ნაშთი შეიცავს მეტ-ნაკლებად შემონახულ სამ წახნაგს. ამათგან შუა მიემართება ეკლესიის აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძის პარალელურად, გვერდითები კი მასთან დაახლოებით 157-158°-იან კუთხეებს ქმნიან. შუა, ყველაზე სრულად დაცული წახნაგის ცენტრში გაჭრილია დიდი სარკმელი (ის მოგვიანებით ამოუვსიათ, მაგრამ ამოვსების საპირე წყობა ჩამოცვენილია და ჩანს მხოლოდ შიდა დუღაბი, ასე, რომ სარკმლის მოხაზულობა იოლად იკითხება). მას აქვს წახნაგის თითქმის მთელ სიგანეზე გადაჭიმული თავსართი დიდი რკალითა და შედარებით მოკლე გადანაკეცებით. თავსართს ორი სახის წნული ჩუქურთმა ამკობს. ამ სარკმლის ქვეშ უნდა იყოს კარი, რომელსაც ახსენებს ნ. მარი, მაგრამ ახლა ის მთლიანად დაფარულია ნაყარი მიწით.

შუა, ჩრდილოეთზე ორიენტირებული წახნაგის მარჯვნივ შემოინახა ნაშთი მეორე წახნაგისა, რომლის ორიენტაციაა ჩრდილო-ჩრდილო-დასავლეთი. მისი მეტი ნაწილი უკავია სამკუთხედად შეჭრილ მაღალ და ღრმა ნიშას, 70°-იანი შიდა კუთხით. ნიშას ხურავს ნახევარკონუსური კამარა, რომლის შიდა ნაწილი ერთ დიდ ქვაშია ნაკვეთი და გაფორმებულია მარაოსებრ გაშლილი 12 რადიალური ღარით, რაც ნიჟარის ზედაპირის მსგავს სურათს იძლევა (ნიშაზე მოგვიანებით მიუშენებიათ ირეგულარული მოყვანილობის დაბრტყელებულკამარიანი სათავსი. ის დაბალია და ახლა თითქმის მთლიანად დაფარულია ნაყარი მიწით). შუა წახნაგის მარცხნივ ჩანს ჩრდილო-ჩრდილო-აღმოსავლეთ წახნაგის ვიწრო ზოლი – კედლის სიბრტყე ნიშამდე. დანარჩენს ფარავს ჩრდილოეთის მკლავზე მიდგმული ეკვდრის აფსიდი.

წახნაგების ზღვარზე შექმნილ წიბოებს მსუბუქი შეწყვილებული ნახევარსვეტები აუყვება. მათ აქვთ საერთო მაღალი კაპიტელები, რომელთა ნატიფი, ჰაეროვანი ფორმა შორეულად ეხმიანება კორინთულ ორდერს. ფოთლოვან ნაწილს აგვირგვინებს ცერობი და თაროს სახის აბაკა. კაპიტელებზე გადადიოდა ფართო სარტყლით გამოყვანილი თაღნარი, რომელიც მთელ შენობას შემოწერდა. თაღი თითქმის სრულად შემორჩა ჩრდილოეთის წახნაგზე და დაახლოებით ⅓ – ჩრდილო-ჩრდილო-დასავლეთისაზე.

უადრესი შენობის ამ ნაშთს გარედან მოსავს მეტწილად მოწითალო-მონარინჯისფრო (ალაგ-ალაგ უფრო ღია ქვიშისფერი და მუქი მოშავო-წითელიც ურევია) ქვიშაქვის დიდი კვადრების პერანგი.

წყობა მაღალხარისხიანია, მისი ჰორიზონტალური რიგები მკაცრადაა დაცული და, როგორც წესი, წახნაგიდან წახნაგზე გადადის. შიდა პერანგი ჩრდილოეთის მკლავში მთლიანად შემოძარცულია. რამდენადაც აწ გამქრალი ქვების ბუდეებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, წყობა აქაც სუფთა და აკურატული უნდა ყოფილიყო.

შემორჩენილი ფრაგმენტი საშუალებას გვაძლევს ზოგადად წარმოვიდგინოთ ნაგებობა, რომელსაც ის ეკუთვნოდა – ეს იყო ცენტრული სტრუქტურა რადიალურად განლაგებული მკლავებით. მკლავების განლაგება უეჭველად მოწმობს, რომ მათი რიცხვი რეა უნდა ყოფილიყო. ამასვე ადასტურებს წახნაგების ურთიერთმიმართების კუთხეც – რვამკლავიანი ნაგებობა გარედან 16-წახნაგას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო რეგულარული 16-წახნაგას კუთხე სწორედ 157,5°-იანია, რაც შეესაბამება შემორჩენილი კუთხეების ზომას. მიახლოებით შეიძლება განისაზღვროს ამ რვამკლავიანი ეკლესიის ზომაც. სიგანე სამხრეთ-ჩრდილოეთ ღერძზე 18,5-19 მ-ს აღწევდა. რაც შეეხება აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძს, საფიქრელია, რომ აქ ძირითად პოლიგონალურ კორპუსს ემატებოდა ძლიერშევრილი საკურთხეველის მოცულობა. როგორც ჩანს, ის ემთხვეოდა ახლანდელ აფსიდს და ბემას. ამგვარ რეკონსტრუქციას საფუძველს უმაგრებს ახლანდელი პასტოფორიუმების არასწორი კონფიგურაცია – მათი აფსიდთან მომიჯნავე კედლები ირიბად მიდის, თითქოს აფსიდის წრიული მოხაზულობის ანგარიშგაწევით. ეს კედლები ალბათ თავიდან წარმოადგენდა აფსიდის გარე კედლებს. შემდგომ, როცა გაკეთდა პასტოფორიუმები, ისინი ამ უკანასკნელთა ინტერიერში მოექცა.

ამრიგად, თავისი არსებობის ადრეულ ეტაპზე ტბეთის კათედრალი იყო მოზრდილი რვამკლავიანი შენობა, ცენტრში დიდი გუმბათით, რომელიც კედლების კუთხეებს ეყრდნობოდა. გარედან მკლავებს ერთმანეთისგან ჰყოფდა სამკუთხა ნიშები. აღმოსავლეთის მკლავს ეკაროდა ღრმა ბემიანი საკურთხეველი. დანარჩენი მკლავები, როგორც ჩანს, მართკუთხა უნდა ყოფილიყო, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მათ აფსიდები ჰქონოდა[503]. მართალია ახლანდელი ტაძრის ჩრდილოეთ მკლავი უაფსიდოა, მაგრამ შესაძლოა მისი აფსიდი რეკონსტრუქციისას გაქრა – წრიული კედელი მართკუთხად ამოთალეს და ხელახლა მოაპირკეთეს. ამ საკითხის საბოლოოდ გარკვევა შენობის გაუწმენდავად შეუძლებელია.

---

[503] ასეთ მოსაზრებას ემხრობა გ. მარსაგიშვილი, რომელმაც გეგმის რეკონსტრუქციის საკუთარი ვარიანტი წარმოადგინა გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXX სამეცნიერო სესიაზე 1984 წლის 16 იენისს.





სურ. 42. ტბეთის რვამკლავიანი ეკლესია.
ზემოთ – გეგმა; ქვემოთ – ჩრდილოეთ ფასადი (რეკონსტრუქცია)

ამ ტიპის ეკლესიები საქართველოში ძალიან იშვიათია. ცნობილია სულ ორი შენობა, რომლებიც ტბეთის უშუალო კომპოზიციურ პარალელებს წარმოადგენს – ტაოსკარის ეკლესია რეა მართკუთხა მკლავით (IX-X საუკუნეთა მიჯნა)[504] და ნოჯიხევის რეაფსიდიანი ეკლესია (X-XI საუკუნეთა მიჯნა)[505]. ტაოსკარი ზომითაც ახლოს დგას ტბეთთან, მაგრამ განსხვავდება მისგან საკურთხეველის ნაწილის გადაწყვეტით – აქ იგი ერთიან 16-წახნაგა კორპუსშია მოქცეული. ნოჯიხევი უფრო პატარაა. სავარაუდოა, რომ საკურთხეველის არქიტექტურული მოწყობა ტბეთში სწორედ ნოჯიხევის მსგავსი უნდა ყოფილიყო.

ტბეთის რვამკლავიანი ეკლესიის დასათარიღებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის დეკორაციულ შემკულობას. დიდი თავსართების ჩუქურთმით დაფარვა ტაო-კლარჯეთის არქიტექტურაში 950-60-იანი წლებიდან იწყება (დოლისყანა, ხახული, ოშკი), მანამდე ისინი ყოველთვის გლუვია, უორნამენტო (სვეტის ბაზილიკა, სათლე, ხანძთა). ამავე ხანებიდან, კერძოდ, უფრო 960-იანი წლებიდან ამუშავებენ სამკუთხა ნიშების ნახევარკონუსურ კამარებს ნიჟარისებრი კვეთილობით (ოშკი, ჯალა, ფექრაშენი, ურთა, ხახულის დარბაზული ეკლესია, შატბერდი და სხვა), ამასთან ის ფაქტი, რომ ტბეთში კამარის მხოლოდ შიდა ნაწილია გაფორმებული, მოტივის გავრცელების ადრეულ ეტაპზე უნდა მიგვანიშნებდეს. X საუკუნის შუახანებით ფარგლავს ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს ტბეთის ეკლესიის საფასადო თაღნარიც, ხოლო თაღებისა და ლილვური სვეტების სადა, დაუნაწევრებელი ფორმა არსებითად გამორიცხავს X-XI საუკუნეთა მიჯნის შემდგომ ხანას – უფრო გვიანდელ არქიტექტურაში (იშხანი, იმავე ტბეთის მოგვიანო რეკონსტრუქცია) თაღები და მათი საყრდენები დასაფეხურებულია.

ამ თავისებურებების გათვალისწინებით ტბეთის რვამკლავიანი ეკლესიის აგების ხანა X საუკუნის II ნახევრით, უფრო კი 960-70-იანი წლებით უნდა განისაზღვროს. ამდენად, ის არ შეიძლება გაიგივდეს აშოტ კუხის თაოსნობით აგებულ პირველ ტაძართან[506], რომელიც, როგორც ჩანს, აშენების შემდეგ მალევე დაინგრა და

---

[504] *ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი*, ტაბ. 12. დათარიღებისათვის იხ.: В. Беридзе, *АТК*, გვ. 173-175

[505] პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, *ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება*, თბილისი, 1991, სურ. 87, გვ. 241-254

[506] ადრე მე ეფიქრობდი, რომ რვამკლავიანი ეკლესია აშოტ კუხისდროინდელია (ნ. ალექსიძე, დ. ხოშტარია, ახალი ცნობები ტაო-კლარჯეთის სიძველეთა შესახებ, *ლიტერატურა და ხელოვნება, №1*, 1991, გვ. 134-135). ამ მცდარ აზრს ბოლოხანს მიემხრნენ ნ. და ჟ.-მ. ტიერი (N. et J.-M. Thierry. La cathédrale de T'beti. Nouvelles données, *Cahiers Archéologiques, 47*, 1999, გვ. 82-83).

რვამკლავიანი ეკლესიით შეიცვალა. შესაძლოა, ეს იყო ნაწილობრივი რეკონსტრუქცია, რომელიც მხოლოდ ფასადებს შეეხო და პირველი (ე. ი. X საუკუნის დასაწყისის) ტაძრის სივრცობრივ-მოცულობითი სტრუქტურა არც დაურღვევია, მაგრამ ეს არაფრით მტკიცდება. დღესდღეობით ტბეთში აშოტ კუხის მშენებლობის რაიმე უეჭველი კვალი არ იძებნება.

მოკლე ხანში, უკვე X საუკუნის ბოლოს ტბეთში მორიგი ფართომასშტაბიანი მშენებლობა ჩატარდა, რის შედეგადაც რვა-მკლავიანი ტაძრის ადგილას ახალი, განსხვავებული ტიპის ნაგებობა აღიმართა. მისი ზოგადი კომპოზიცია ტაძარმა დღემდე შეინარჩუნა, მომდევნო აღდგენა-გადაკეთებებს ის არსებითად არ შეუცვლია.

მესამე ტაძრის გეგმას საფუძვლად დაედო ჯვარი ერთი აფსიდიანი (აღმოსავლეთის) და სამი მართკუთხა მკლავით. ვრცელი ცენტრალური კვადრატის კუთხეებში იდგა ოთხი მსხვილი გუმბათქვეშა ბურჯი. მათზე გადადიოდა ოდნავშეისრული თაღები. გუმბათქვეშა გარდამავალ კონსტრუქციას შერეული აფრულ-ტრომპული სახე ჰქონდა (ბურჯები, თაღები და გუმბათი ახლა ჩანგრეულია, მაგრამ კარგად ჩანს ა. პავლინოვის ფოტოსურათზე[507]). სამხრეთის მკლავის სიგრძე მესამე ტაძარში დაახლოებით ახლანდელის ნახევარს შეადგენდა. ჩრდილოეთისა შიგნით იმავე სიგრძისა იყო, რაც დღესაა – ის მთავრდება რვამკლავიანი ეკლესიიდან შემორჩენილი ზემოთაღწერილი კედლით, მაგრამ გარედან ეს მკლავი დაგრძელებულია ზედ მიდგმული ეგვტრით, რომელიც მესამე ტაძარს არა ჰქონია, ის მოგვიანებით აშენდა. შესაბამისად, მესამე ტაძარს არც პატრონიკეები ჰქონდა განივ მკლავებში, იმხანად პატრონიკე მოწყობილი იყო მხოლოდ დასავლეთის მკლავში. შენობის ეს ნაწილი აღარ არსებობს და წარმოდგენა მის შესახებ მხოლოდ ძველ ავტორთა აღწერებით, ნახაზებითა და ერთი ფოტოსურათით შეიძლება შევიქმნათ.

დასავლეთის მკლავი სხვებთან შედარებით უფრო გრძელი იყო. მისი გრძივი კედლები შიგნით პილასტრებით იყოფოდა ორ-ორ მონაკვეთად, რომლებზეც გადაყვანილი იყო კედლის თაღები. აღმოსავლეთის მონაკვეთებში მათ ღრმა თაღოვანი უბეების სახე ჰქონდათ. პილასტრებს ეფუძნებოდა კამარის საბჯენი თაღი.

როგორც გვამცნობენ ძველი ავტორები, დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთის პილასტრში ჩადგმული იყო დიდი ფილა ქტიტორის რელიეფური გამოსახულებით[508]. უეჭველია, რომ ეს ფილა თავის ადგილას არ „იჯდა“ და რომ თავიდან ის ფასადზე იქნებოდა

---

[507] А. Павлинов, Экспедиция, ტაბ. XLIII.

[508] Д. Бакрадзе, Об археологической поездке совершенной в 1879 году, გვ. 50; П. Уварова, *Путевые записки*, გვ. 290; Н. Марр, Дневник, გვ. 15-16.

მოთავსებული. შემდგომ ის თბილისში გადმოიტანეს და ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება. დამკვიდრებული შეხედულებით, რომელიც პირველად ა. ბაქრაძემ გამოთქვა, რელიეფი წარმოგვიდგენს აშოტ კუხს და, შესაბამისად, შექმნილი უნდა იყოს X საუკუნის დასაწყისში[509]. ბოლოხანს ნ. და ჟ.-მ. ტიერიმ გამოთქვეს აზრი, რომ რელიეფი უფრო გვიანდელია, X საუკუნის ბოლოსი ან სულაც XI საუკუნის დასაწყისისა, და გამოსახავს ტაძრის ერთ-ერთი განახლების ქტიტორს[510]. რელიეფს ჰქონდა წარწერა, რომელიც, ნ. მარის ცნობით, გულმოდგინედ ჩამოუტეხავთ ჩაქუჩით[511].

დასავლეთის მკლავის ბოლო ეკავა 2,8 მ-ის სიღრმისა და 8,0 მ-ის სიგანის (მკლავის მთელი სიგანე) პატრონიკეს. ის მთლიანად გახსნილი იყო ძირითადი სივრცისაკენ. პატრონიკეს ქვეშ შექმნილ დაბალ კომპარტიმენტს მკლავისაგან ჰყოფდა ორთაღედი, რომელიც შუაში ფართო ბაზისზე დადგმულ მრგვალ სვეტს ეყრდნობოდა, კიდეებში – გრძივ კედლებს აყოლებულ პილასტრებს. წინა კედელს ამ თაღებს ზემოთ აგვირგვინებდა ფოთლოვანი ჩუქურთმით შემკული მაღალი მდიდრული კარნიზი. მესამე თაღი სვეტიდან გადადიოდა დასავლეთისაკენ და პატრონიკეს ქვეშა სივრცეს ორ ნაწილად ჰყოფდა. თითოეულ ნაწილს ჰქონდა თავისი ნახევარ-ცილინდრული კამარა აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძით. პატრონიკეს დონეზე დასავლეთის მკლავში გამოყვანილი იყო სამი ბრტყელი თაღი, ამათგან შუა, უფრო მაღალი – სრული, გვერდითები – მეოთხედწრიულები (ნახევართაღები). ა. პავლინოვის შენიშვნით, ეს ნახევართაღები მოგვიანო გადაკეთების შთაბეჭდილებას ტოვებდა, რაც სწორი უნდა იყოს. შესაძლოა, იყო ზოგიერთი სხვა გვიანი ცვლილება თუ დანამატიც, მაგრამ, როგორც ჩანს, დასავლეთის მკლავის შიდა არქიტექტურული სახე ძირითადად ამ მშენებლობის დროს უნდა ჩამოყალიბებულიყო.

ა. პავლინოვისა და ნ. მარის ტბეთში ეიზიტების დროს ტაძარს ჰქონდა ერთი პატარა შესასვლელი დასავლეთის მკლავის დასავლეთ კედელში. ფოტოსურათზე ჩანს მისი ყორეთი ამოყვანილი წირ-თხლები, მაღალი ზღურბლი და ხის ფიცრის არქიტრავი. უეჭველია, რომ თავდაპირველი შესასვლელი დაავიწროვეს და დაადაბლეს გვიან პერიოდში, როცა ტაძარში ჯამე

---

[509] კ. მაჩაბელი, რელიეფი ტბეთიდან აშოტ კუხის გამოსახულებით, *საქ. მეცნ. აკადემიის საზ. მეცნიერებათა განყოფილების მაცნე*, 5, 1968, გვ. 150-162; Н. Аладашвили, *Монументальная скульптура Грузии*, Москва, 1977, გვ. 87-88; W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 224.

[510] N. et J.-M. Thierry, La cathédrale de T'beti, გვ. 87-89.

[511] ნ. მარმა მასში მხოლოდ რამდენიმე ასოღა გაარჩია (Дневник, გვ. 16).

ფუნქციონირებდა. ნ. მარის ეარაუდით, ამავე კედელში მეორე კარიც უნდა ყოფილიყო, პირველის სამხრეთით[512]. გარდა ამისა, იყო შესასვლელი ჩრდილოეთის მკლავის ჩრდილოეთ კედელში, კერძოდ, მასში ჩართული რვამკლავიანი ტაძრის ნაშთში. სანამ ამ კედელს ეგეტერი მიშენდებოდა, კარი გარეთ გამოდიოდა.

საკურთხევლის აფსიდმა, როგორც ჩანს, მესამე ტაძარშიც შეინარჩუნა მეორე (რვამკლავიანი) ტაძრიდან მომდინარე გარე წახნაგოვანი მოყვანილობა, მიუხედავად იმისა, რომ მას დაემატა პასტოფორიუმები. ეს სათავსები მაშინ უფრო მოკლე იყო, ვიდრე დღესაა (შიდა სიგრძე დაახლოებით 2,2-2,5 მ-ს შეადგენდა, ნაცვლად ახლანდელი 4,1 მ-ისა) და აფსიდი მათი აღმოსავლეთ კედლების ხაზიდან წინ გამოდიოდა. პასტოფორიუმებს რამდენიმეგზის საფუძვლიანი გადაკეთების კვალი ატყვია და აქ ქრონოლოგიური ფენების განშრევება ძალიან რთულია.

გუმბათქვეშა ბურჯების შესახებ მსჯელობისას კელავ ძველ ავტორთა მასალებს უნდა დავეყრდნოთ. ბურჯების აღმოსავლეთ წყვილი თავისუფლად იდგა, თუმცა კი ძალიან ახლოს კედლებთან (დაცილება არაუმეტეს 0,4 მ-ისა). დასაელეთის წყვილი მიდგმული იყო შესაბამისი კუთხეებიდან განივად გამოშვერილ პილონებზე, მაგრამ არ ებმოდა მათ – ახლა, როცა ბურჯები აღარ არის, ჩანს, რომ სამხრეთის პილონს პირითა მხარეს თლილი ქვის პერანგი აქვს. ბურჯები რვაწახნაგა ფორმისა იყო, იდგა მაღალ მრგვალ კვარცხლბეკებზე, რომლებიც სხვადასხვაგვარად იყო გაფორმებული პროფილირებული სარტყლებით. აღმოსავლეთის წყვილი ბურჯის კვარცხლბეკებს მთლიანად ფარავდა ნატიფი ფოთლოვანი ჩუქურთმა. სამხრეთ-დასავლეთ ბურჯის კვარცხლბეკში ნ. მარის ცნობით, მოწყობილი იყო ადამიანის სიმაღლის ნიშა – ნაწილობრივ გამოღებული ბურჯში, ნაწილობრივ ზედ მიშენებული[513]. ნ. მარი არ აზუსტებს, რომელი მხრიდან იყო ეს ნიშა, მაგრამ ვფიქრობ უეჭველია, რომ ის აღმოსავლეთიდან უნდა ყოფილიყო, ოშკის ტაძრის შესაბამისი ბურჯის მსგავსად. ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯის კვარცხლბეკი თავისი ბაზისიანად იდგა უფრო ვიწრო, დაახლოებით 65 სმ სიმაღლის რვაწახნაგა საყრდენზე. ვ. ჯობაძის აზრით, ეს კვარცხლბეკსქვედა მონაკვეთი ტბეთში – ისევე, როგორც ანალოგიური დეტალი იშხანში – შეიძლება წარმოადგენდეს ნაშთს ძველი ბურჯისა, რომელსაც ის სავარაუდოდ X საუკუნის შუახანებით ათარიღებს[514]. ვფიქრობ, უფრო სარწმუნოა, რომ აღნიშნული ნაწილი მთელი ბურჯის თანადროული იყოს

---

[512] იქვე.

[513] Н. Марр, Дневник, გვ. 13.

[514] W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 225.

(მითუმეტეს, რომ იშხანში, რომელსაც ე. ჯობაძე ასახელებს ტბეთის პარალელად, მას ბურჯის კვარცხლბეკთან ერთად მხატვრულად სავსებით გააზრებული სახე აქვს). ყოველ შემთხვევაში, ის ვერ იქნება ნაშთი რვამკლავიანი ეკლესიისა, რომელსაც ბურჯები საერთოდ არ უნდა ჰქონოდა.

ბურჯების რვაწახნაგა ტანს ასრულებდა მაღალი, რთულად პროფილირებული კაპიტელები, რომელთა ზემოთ გუმბათქვეშა საყრდენები ჯვრისებრ ფორმას იღებდა. ჯვრის მკლავებს შორის კუთხეებში მსხვილი ლილვები იყო აყოლებული. ამ მოკლე მონაკვეთების დამაგვირგვინებელ იმპოსტებს ეყრდნობოდა გუმბათქვეშა თაღები.

ინტერიერში შემოინახა ზოგიერთი კვეთილი დეტალი, რომლებიც მესამე მშენებლობის დროინდელი, ე. ი. X–XI საუკუნეთა მიჯნისა უნდა იყოს. ასეთია სატრიუმფო თაღის იმპოსტები ხვეული ჩუქურთმით დაფარული ქვედა ნაწილითა და მის თავზე გამოწეული ლილვითა და თაროთი, რომელსაც დისკოების მწკრივი ამკობს. ნატიფი დამუშავებით გამოირჩევა ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავების წინა თაღების მაღალი, მდიდრული იმპოსტები. მათი ძირითადი სიბრტყე აღმოსავლეთის წყვილზე ენისებრი ორნამენტითაა გაფორმებული, დასავლეთისაზე – წნულით.

ტბეთის ტაძრის ექსტერიერში მესამე მშენებლობის კვალი ნაკლებად ჩანს. აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავების შესაბამისმა ფასადებმა, რომლებიც დომინირებენ შენობის გარე მხატვრულ იერში, თავიანთი არქიტექტურული სახე მოგვიანებით მიიღეს. მესამე ტაძარს უნდა ეკუთვნოდეს აღმოსავლეთის მკლავის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფასადთა ახლანდელი დასავლეთ ნაწილები და განივი მკლავების აღმოსავლეთ ფასადთა შიდა (ე. ი. აღმოსავლეთ მკლავის მიმდებარე) ნაწილები მათზე შემორჩენილი დეკორაციული ელემენტებითურთ, როგორიცაა ჩრდილოეთის მკლავის აღმოსავლეთ სარკმლის ხვეული ჩუქურთმით შემკული დიდი თავსართი და სამხრეთის მკლავის აღმოსავლეთ სარკმლის წრიული საპირე, გამოყვანილი ეაზის მტევნებისა და ფოთლების მოტივით (მოგვიანებით მრგვალი სარკმელი ქვემოთკენ ჩამოაგრძელეს, რასაც საპირის ქვედა ნაწილი შეეწირა). ფასადთა აღნიშნულ მონაკვეთებზე დეკორაციული თაღები არ არის. მესამე ტაძრიდან შემოინახა საკურთხეველის აფსიდის დიდი სარკმლის საპირე (აკლია ქვედა ნაწილი) და რელიეფური თავსართი, რომლის გადანაკეცების ბოლოებსაც მოგვიანებით მიდგმული საფასადო თაღნარი ფარავს. საპირეს წნული ორნამენტი ამკობს, თავსართს – ფოთლოვანი. საფიქრელია, რომ ამავდროინდელი უნდა ყოფილიყო დასავლეთის მკლავის ფასადებიც, რომლებზეც, როგორც ა. პავლინოვის ნახაზითა და ნ. მარის აღწერით ჩანს, თაღნარი ასევე

არ ყოფილა. ამ მკლავის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადები გლუვი იყო, სრულიად მოურთავი; დასავლეთ ფასადზე ნ. მარი აღნიშნავს რელიეფურ ჯვარს ფრონტონში, პატრონიკეს დიდი სარკმლის თავსართსა და მცირე წრიული სარკმლების საპირეებს და ქვედა დიდი სარკმლის თავსართს. ყველა შემკული იყო სხვადასხვა სახის წნული ან ხვეული ჩუქურთმით; მარჯვენა მრგვალი სარკმლის საპირეზე ურთიერთგადახლართულ წრეებში ვარსკვლავები იყო ჩაწერილი.

მომდევნო რეკონსტრუქცია ტბეთის ტაძარმა კვლავ მცირე დროის შემდეგ – XI საუკუნის II მეოთხედში განიცადა. ეს რიგით მეოთხე მშენებლობა ტაძრის ნაწილობრივ გაფართოებასა და მის ფასადთათვის უფრო მდიდრული იერის მინიჭებას ისახავდა მიზნად. მისი კვალი ცხადად ატყვია ჩრდილოეთის მკლავს – მასზე მიშენდა ეგვტერი, რომლის თავზეც მოეწყო პატრონიკე. შემორჩენილი ფრაგმენტებით ირკვევა, რომ პატრონიკე სამი თაღით იხსნებოდა ძირითადი სივრცისაკენ. ამ ღიობების ქვემოთ ჩრდილოეთის მკლავის ჩრდილოეთ კედელს გაუყვებოდა პროფილირებული კარნიზი, რომელიც მონიშნავდა პატრონიკეს იატაკის დონეს (შემორჩა კარნიზის ორი განაპირა ქვა კუთხეებში). ეგვტერი წარმოადგენს მომცრო დარბაზულ სამლოცველოს აღმოსავლეთის აფსიდით. მასში ერთი სარკმელია. მეორე იყო ჩრდილოეთის კედელში. ერთი კარი – ზემოთნახსენები, ახლა მთლიანად მიწით დაფარული – ეგვტრიდან გადიოდა ჩრდილოეთის მკლავში, მეორე – ეგვტრის დასავლეთით მოგრძო სათავსში, რომლისგანაც აღარაფერი დარჩა (ის დანგრეული იყო უკვე ა. პავლინოვის მოგზაურობის დროს). ჩანგრეულია აგრეთვე ეგვტრის გადახურვა, დასავლეთის კედელი მთლიანად და ჩრდილოეთის კედლის დასავლეთ ნაწილი.

სამხრეთის მკლავში ამ პერიოდში ჩატარებული სამუშაოს შესახებ რისამე თქმა შეუძლებელია – ტაძრის ეს ნაწილი თითქმის მთლიანად განახლდა მომდევნო, რიგით მეხუთე მშენებლობის დროს. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ჩრდილოეთის მკლავის სიმეტრიულად ეს მკლავიც უკვე ამ პერიოდში უნდა დაეგრძელებინათ (შესაძლოა, აქაც დამატებითი სათავსის მიშენებით) და რომ მასშიც მოაწყობდნენ პატრონიკეს.

ცვლილება მოხდა საკურთხევლის ნაწილშიც. პასტოფორიუმები აღმოსავლეთისაკენ დააგრძელეს აფსიდის გარე კედლის პირამდე, რის შედეგადაც დაიკარგა აფსიდის გარე შვერილობა და გაჩნდა ერთიანი ფართო აღმოსავლეთ ფასადის სიბრტყე, რომელზედაც გაკეთდა ღრმა თაღნარი. სამი საფასადო თაღიდან შუა უფრო ფართოა და მცირეოდენ უფრო მაღალი, ვიდრე გვერდითები. ანალოგიური თაღნარით გაფორმდა სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავების შესაბამისი ფასადებიც. თაღები საფეხუროვანია და

ეყრდნობა ასეთსავე პილასტრებს, რომლებზედაც დამატებით მსხვილი შეწყვილებული ლილვებია აყოლებული. თაღნარი ანაწევრებს ფასადებს და მკვეთრად ზრდის მათ პლასტიკურ გამომსახველობას.

XI საუკუნის II მეოთხედში ჩატარებული რეკონსტრუქციის დროინდელი კვეთილი საფასადო დეკორის გარჩევა წინა სამშენებლო პერიოდის მორთულობისაგან რთულია. დროითი ინტერვალი ამ სამშენებლო პერიოდებს შორის ძალიან მცირეა და ჩუქურთმებიც პრაქტიკულად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან არც შესრულების მანერითა და არც ორნამენტულ სახეთა რეპერტუარით. ქრონოლოგიურ ფენათა საერთო განშრევებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უთუოდ მეოთხე მშენებლობის დროინდელია:

1. სამი პატარა მრგვალი სარკმლის (ისინი კონქის ზემოთ მოწყობილ სამალავებს ანათებენ) მოჩუქურთმებული საპირეები აღმოსავლეთ ფასადის ზედა ნაწილში და განედლებული ჯვრის აწ გამქრალი რელიეფი იქვე, შუა სარკმლის თავზე, ზედ ფრონტონის კეხში;

2. აღმოსავლეთის მკლავის კარნიზები, რომელთა მოზრდილი ფრაგმენტები მკლავის სამსავე ფასადზე შემოინახა. აღმოსაელეთ ფასადზე კარნიზი შედგება ფოთლოვანი ორნამენტით დაფარული ძირითადი სიბრტყისაგან, მის ზემოთ გრეხილი ლილვისა და სულ ზემოთ პაწია ნახევარდისკოების მწკრივისაგან. სამხრეთ ფასადზე კარნიზს კონცენტრულად დაღარული სამკუთხა ფოთლების რიგი გაუყვება. ჩრდილოეთ ფასადზე კელავ განსხვავებული ფოთლოვანი ჩუქურთმაა. სამივე ორნამენტი ძალიან დახეულია;

3. ჩრდილოეთის ეგვტრის აფსიდის სარკმლის თავსართი, შემკული იმავე პალმეტებით, და 1993 წელს ამოტეხილი განედლებული ჯვრის გამოსახულება თავსართს ზემოთ. ეს ჯვარი — ისევე, როგორც ჯვარი აღმოსავლეთ ფასადის წვერში — გამოყვანილი იყო ღარდაყოლებული ლენტის 8-ისებრი ხლართით, ძალზე ფაქიზად და ნატიფად. მისი ზედა მკლავის აქეთ-იქით იმავე ფილაზე ამოკვეთილი იყო წარწერა[515]:

ქ(რისტ)ℳ	ი . . .
ა(დი)დე	თა
ი(ო)ვ(ან)ე	ცხ(ოვრე)ბ(ათ)ა

მესამე და მეოთხე სამშენებლო პერიოდების კვეთილი შემკულობა მაღალი მხატვრული ხარისხითა და ტექნიკური

---

[515] ეს ფილა ჯვრითა და წარწერით ნ. ალექსიძემ და მე ადგილზე ენახეთ 1990 წელს და ექსპედიციის ანგარიშში მისი ფოტოსურათიც გამოქვეყნეთ (ახალი ცნობები, სურ. 3 გვ. 133-ზე). 1994 წელს ფილა ადგილზე უკვე აღარ დაგვხვდა. როგორც სოფლელებმა გვითხრეს, ის ერთი წლის წინ ამოეტეხათ.

შესრულების ვირტუოზული ოსტატობით X–XI საუკუნეების ქართული ჩუქურთმის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. იგივე ითქმის ზოგადად მშენებლობის ხარისხის შესახებაც. ორსავე პერიოდში კედლების როგორც გარე, ისე შიდა პერანგისათვის ხმარობდნენ მხოლოდ სუფთად თლილ დიდ კვადრებს.

ამის შემდეგ ორი საუკუნის განმავლობაში ტბეთის ტაძარი ხელუხლებლად იდგა. XIII საუკუნის შუახანებში აღადგინეს მისი სამხრეთის მკლავი. როგორც ჩანს, ამ რემონტის შემდეგ გაქრა პატრონიკე, რომელიც ჩრდილოეთის მკლავის მსგავსად, ალბათ სამხრეთისაშიც უნდა ყოფილიყო მეოთხე მშენებლობის შემდეგ. აღდგენილი ნაწილი მკვეთრად გამოირჩევა ინტერიერში – ის ძველი წყობის კვადრებთან შედარებით ბევრად უარესად დამუშავებული მუქი მორუხო ქვით არის მოპირკეთებული. სარკმლები შიგნიდან დაბრეცილია, მათ ფორმებს დიდად აკლია გეომეტრიული მკაფიოება. ფასადზე ხარისხობრივი განსხვავება ნაკლებად თვალშისაცემია. მშენებლებმა იზრუნეს ტაძრის ექსტერიერის მხატვრული მთლიანობის შენარჩუნებაზე და აღადგინეს (ჩანს, ჩრდილოეთ ფასადის ანალოგიურად) ღრმა, პლასტიკური საფასადო თაღები – XIII საუკუნისათვის უკვე უცხო ელემენტი[516]. შუა თაღში მოქცეულ შეწყვილებულ სარკმლებს ლილვური სვეტებითა და დეკორაციული კვადრატებით შედგენილი მართკუთხა საპირეები მოსავს. ჩუქურთმის სახეები გეომეტრიულია (ორღარდაყოლებული ლენტით გამოყვანილი სხვადასხვაგვარი წნულები და ხლართები). შესრულების ხარისხი მაღალია, მაგრამ მთლიანად მორთულობას არტისტიზმთან და პროფესიონალიზმთან ერთად ერთგვარი დაუდევრობაც ეტყობა (ერთ-ერთი კვადრატი ირიბად ზის, არკატურის აღმოსავლეთ თაღი დაბრეცილია), რაც დამახასიათებელია XIII საუკუნის შუახანებისა და შემდგომი დროისათვის. ალაგ-ალაგ სამხრეთ ფასადის წყობაში ჩასმულია უფრო ადრინდელი ჩუქურთმიანი ქვები. ხელმეორედ არის გამოყენებული მარცხენა მრგვალი სარკმლის საპირე პლასტიკური ფოთლოვანი ორნამენტით და შუა თაღს ზემოთ მოთავსებული რელიეფური გამოსახულება წმინდანისა (აწ დაკარგული).

ტბეთის ტაძრის უკანასკნელი მნიშვნელოვანი შეკეთება – რიგით მეექვსე მშენებლობა – XIV საუკუნეს განეკუთვნება. ამ დროს აღადგინეს გუმბათი, რომელიც დღეს აღარ არსებობს, მაგრამ კარგად ჩანს ა. პავლინოვისა და ნ. მარის ფოტოსურათებზე. აღდგენა შეეხო გუმბათის ყელს, საკუთრივ გუმბათსა და მის გარე სახურავს. X-XI საუკუნეთა მიჯნაზე გაკეთებული გუმბათქვეშა კონსტრუქცია და ყელისძირა სარტყელი ხელუხლებელი დარჩა.

---

[516] ჯ. ჯობაძე აღნიშნავს, რომ აღდგენისას მშენებლებმა ძველი ჩუქურთმიანი ქვებიც გამოიყენეს (W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 230).

გუმბათის ყელი გარედან 16-წახნაგას წარმოადგენდა. მასში წახნაგგამოტოვებით რეა ძალიან ვიწრო და მაღალი სარკმელი იყო გაჭრილი. მათ ჰქონდათ მოჩუქურთმებული საპირეები, რომლებსაც გარედან ორმაგი ლილვით გამოყვანილი თაღოვანი ჩარჩოები შემოწერდა. ლილვი შემოუყვებოდა საპირეთა შიდა კონტურსაც. ანალოგიური მოჩარჩოება გაკეთებული იყო უსარკმლო და, შესაბამისად, უსაპირო წახნაგებზეც. ზემოთ, ჩარჩოების ნახევარწრიულ დაბოლოებებს შორის ჰორელიეფური გირჩები თავსდებოდა. გუმბათის ყელს აბოლოებდა მაღალი კარნიზი. სახურავს კონუსის ფორმა ჰქონდა.

ტბეთის გუმბათის არქიტექტურული გადაწყვეტა მოკლებულია გამომსახველობას, დუნეა და მშრალი. საპირეების წნული ჩუქურთმა (ჩანს ნ. მარის ერთ ფოტოსურათზე) დაწვრილმანებულია. როგორც შენიშნავს პ. ზაქარაია, შესრულების ტექნიკით, პროპორციებით, მხატვრული გაფორმების ზოგადი პრინციპითა და ცალკეული დეტალებით ტბეთის ტაძრის გუმბათი ყველაზე ახლოს დგას გერგეტის სამების გუმბათთან და დაახლოებით მისი თანადროული უნდა იყოს[517]. შესაძლოა, ამავე ხანებში ან კიდევ უფრო გვიან იყოს ჩაშენებული დამატებითი სათავსი ტბეთის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. მისგან დღემდე შემორჩა მომცრო აფსიდი აღმოსავლეთ მხარეს. აფსიდის თავზე, კედლის სისქეში ვიწრო და გრძელი საიდუმლო ოთახია მოწყობილი.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან გამოჩნდა, ტბეთის ტაძარმა საუკუნეთა მანძილზე რამდენიმე მნიშვნელოვანი აღდგენა-გადაკეთება განიცადა. სამწუხაროდ, თითქმის არ მოიპოვება წერილობითი ცნობები კათედრის დაარსების შემდეგ, სხვადასხვა დროს აქ ჩატარებულ მშენებლობათა შესახებ. ტაძრის ისტორიის რეკონსტრუქციის ჩემი ცდა არსებითად მთლიანად არქიტექტურულ მონაცემებს ემყარება და ამდენად, ცხადია, უეჭველი ვერ იქნება. ბევრი რამ შეიძლება დაზუსტდეს მომავალში, თუ მოხერხდა შენობის გაწმენდა და არქეოლოგიური შესწავლა.

ტაძრის ინტერიერი მოხატული იყო. საკურთხეველის აფსიდის ზედა რეგისტრში ახლაც განირჩევა აღსაყდრებული მაცხოვრის გამოსახულების ფრაგმენტები. მის ორსავ მხარეს წარმოდგენილნი არიან ანგელოზები და ქერობინები. აფსიდის შუა რეგისტრში, სარკმლის აქეთ-იქით გამოსახულნი იყვნენ წმ. ღმრთისმშობელი და წმ. იოანე ნათლისმცემელი, მათ გაყოლებაზე – მოციქულები (შემორჩა რამდენიმე ფიგურის თავები)[518]. ამჟამად მოლიანად

---

[517] П. Закарая, *ЗТК*, გვ. 99. იხ. აგრეთვე: ვ. ბერიძე, *სამცხის ხუროთ-მოძღვრება*, თბილისი, 1955, გვ. 221.

[518] ნ. ალექსიძე, დ. ხოშტარია, ახალი ცნობები, გვ. 135-136; N. et J.-M. Thierry, La cathédrale de T'beti, გვ. 89-95.

განადგურებული ქვედა რეგისტრი ტრადიციისამებრ ეკავა ეკლესიის მამათა რიგს (ნ. მარმა გაარჩია ერთ-ერთი მათგანის წარწერა – წმ. ათანასე[519]). აფრა-ტრომპეებზე გამოსახულნი იყვნენ მახარებლები თავიანთი სიმბოლოებით (პრ. უვაროვას აღნიშნული აქვს ანგელოზისა და ხარის ფიგურები[520]). დასავლეთის მკლავში, ნართექსის ქვეშ წარმოდგენილი იყო წმ. გიორგის ცხოვრების სცენები შესაბამისი წარწერებით („აქა სცემდეს შოლტითა წმიდასა გიორგის", „აქა განჯღო სიმდიდრე მისი წმიდამან გიორგი", „აქა ურმის თვალსა გააკრეს წმიდაჲ გიორგი")[521]. ნ. და ჟ.-მ. ტჲერი ტბეთის მოხატულობას XII-XIII საუკუნეთა მიჯნით ათარიღებენ[522]. დასავლეთის მკლავის მოხატულობა ალბათ უფრო გვიანდელია. ნ. მარის მიერ აღნიშნული უწიგნურობანი წარწერებში (კერძოდ, ჲ-ს არასწორი ხმარება) გვიანი თარიღის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს. საფიქრელია, რომ ეს მხატვრობა უნდა უკავშირდებოდეს ტაძრის ხელახლა კურთხევას წმ. გიორგის სახელზე XV-XVI საუკუნეებში.

ტაძრის სამხრეთით, რამდენიმე მეტრის მოშორებით, ნ. მარმა ნახა დიდი ზომის ფილა ძლიერ დაზიანებული ექვსსტრიქონიანი წარწერით[523]:

ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ო ღ(მრთის)მშ(ობელო)
თ(ა)ენო მ(ო)ც(ი)ქ(ულ)თ(ა)ნო
. მქ მნ თქ გ
კე . ი
ᲗᲔ ᲑᲭᲔ ᲔᲡᲔ
და კუბ(ო)ჲ დედისა ღ(მრთისა)ჲ

ამჟამად წარწერა, რომელიც სავარაუდოდ XII-XIII საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს, დაკარგულია. დასანანია, რომ ნ. მარის მონაცემებით მისი სრულად აღდგენა ვერ ხერხდება. შინაარსობრივად წარწერა უაღრესად საინტერესო ჩანს. განსაკუთრებით ბევრ საფიქრალს აღძრავს მისი ბოლო სტრიქონი. „კუბო" შეიძლება გულისხმობდეს ღმრთისმშობლის ხატის ჩასასვენებელს, მაგრამ მაშინ ასახსნელია, თუ რატომ არის ის მოხსენიებული ბჭესთან ერთად. ამ კონტექსტში ის ასევე შეიძლება აღნიშნავდეს საფლავზე

---

[519] Н. Марр, Дневник, გვ. 18.

[520] Пр. Уварова, *Путевые записки*, გვ. 290-291.

[521] Н. Марр, Дневник, გვ. 18-19.

[522] N. et J.-M. Thierry, La cathédrale de T'beti, გვ. 96.

[523] Н. Марр, Дневник, გვ. 24. ეს წარწერა უფრო ადრე უნახავს და გადაუღია პრ. უვაროვას. მისი გაკეთებული პირიდან წარწერა ნაწილობრივ გაარჩია ა. ხახანაშვილმა (იხ. А. Павлинов, Экспедиция, გვ. 72).

მდგარ ნაგებობას – ერთგვარ ჩარდახს თუ ბალდახინს[524]. მაგრამ მაშინ რა იგულისხმება წარწერაში – ღმრთისმშობლის საფლავი იერუსალიმში თუ მისი იმიტაცია თვით ტბეთის ტაძარში? შესაძლოა აქ არსებობდა ცალკე სათაესი ან შენობა, რომელიც „ღმრთისმშობლის საფლავად“ იწოდებოდა – ისე, როგორც სვეტიცხოველის ტაძარში არსებობდა „უფლის საფლავი“[525]. ასეა თუ ისე, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ნ. მარი[526], წარწერა აშკარად მიუთითებს ღმრთისმშობლის კულტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ტბეთში.

ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით იდგა ქვის დიდი სტელა. ის კარგ მდგომარეობაში ნახეს პრ. უვაროვამ და ა. პავლინოვმა (ჩანს მის ფოტოსურათზე)[527]. ნ. მარს სტელა უკვე წაქცეული და ორად გატეხილი დახვდა[528]. ამჟამად ორივე ნატეხი დაკარგულია. არ ჩანს არც სტელის კვარცხლბეკი, რომელიც ნ. მარის მოგზაურობის დროს ჯერ კიდევ ადგილზე იყო.

მოწითალო ეულკანური ჯიშის ქვისაგან დამზადებულ 4,25 მ-ის სიმაღლის სტელას რვაწახნაგა ფორმა ჰქონდა და ზემოთკენ ეიწროვდებოდა. ქვემოთ გამოყოფილი იყო 67 სმ-ის სიმაღლის მთლიანად მოჩუქურთმებული ოთხწახნაგა ძირი (წახნაგთა სიგანე 70 სმ). სტელა იდგა კვარცხლბეკზე, რომელსაც ფართო (5,0 × 4,7 მ) და მაღალი (1,25 მ) პლატფორმის სახე ჰქონდა. სტელის თაეზე გამოღებულ მრგვალ ფოსოში თაეის დროზე ალბათ ჯვარი იქნებოდა ჩამაგრებული.

ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით, ათიოდე მეტრის მოშორებით იდგა სამრეკლო. ის ჩანს გ. ყაზბეგის სქემატურ ნახატზე და ტექსტშიც არის მოხსენიებული[529]. უფრო სრულია პრ. უვაროვას

---

524 შეადარე: „ქმნა ზედა კერძო მისსა (ლუსკუმისა) კუბოჲ“ (ილ. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, თბილისი, 1973, გვ. 204). „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკა და ლეონტი მროველი „კუბოს“ უწოდებენ დამცავ ნაგებობას, რომელიც რეე მირიანის ძემ აუშენა მცხეთის ჯვარს (*ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963, გვ. 91; *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 123). იმავე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ჩართულ გრიგოლ დიაკონის თხზულებაში ამ ნაგებობას „გუნბადი“ ეწოდება (*ძველი ქართული აგიოგრაფიული..*, გვ. 156).

525 А. Натросв, *Мцхет и его Собор Свэти-Цховели*, Тифлис, 1901, გვ. 184.

526 Н. Марр, Дневник, გვ. 24.

527 Пр. Уварова, *Путевые записки*, გვ. 291; А. Павлинов, Экспедиция. ტაბ. XLV.

528 Н. Марр, Дневник, გვ. 23-24.

529 გ. ყაზბეგი, *სამი თვე..*, გვ. 80, ნახ. გვ. 78-ზე.

აღწერა[530]. ა. პაელინოვს სამრეკლოს ადგილას უკვე ნანგრევიღა დახვდა. სამრეკლო დაინგრა (დაანგრიეს?) 1887 წელს, დროის მოკლე პერიოდში პრ. უვაროვასა და ა. პაელინოვის მოგზაურობებს შორის. ეს თარიღი მიაწოდა ნ. მარს ერთ-ერთმა სოფლელმაც[531].

ტბეთის სამრეკლო ტრადიციული სტრუქტურის ორიარუსიან ნაგებობას წარმოადგენდა. ქვედა, გეგმით კვადრატული კორპუსი ოთხსაევე მხარეს თაღებით იხსნებოდა. მასზე იდგა რვაწახნაგა ფანჩატური, შესაბამისად რვამალიანი თაღნარით. გ. ყაზბეგიცა და პრ. უვაროვაც აღნიშნავენ შენობის სიტლანქეს და მისი ორნამენტული შემკულობის უხარისხობას

სამრეკლოს ჰქონდა ორი წარწერა: ერთი, როგორც ჩანს ქვედა კორპუსზე, მეორე — ფანჩატურზე, კარნიზის ქვეშ. გ. ყაზბეგმა და პრ. უვაროვამ ეს წარწერები ნახეს, მაგრამ არ წაუკითხავთ. ნ. მარმა ერთი ამ წარწერათაგანი აღმოაჩინა ერთ-ერთი სოფლელის სახლში, სადაც ის ღუმელში იყო ჩადგმული სამრეკლოს ნანგრევიდან წამოღებულ სხვა ქვებთან ერთად[532]. შვიდსტრიქონიანი წარწერის ზედა სამი სტრიქონი მთლიანად და მეოთხე-მეშვიდე სტრიქონების დასაწყისი გადაშლილი იყო. დანარჩენი (მეოთხე სტრიქონიდან) ასე იკითხებოდა:

. . . რ მოს(ა)ვსა
იტოს მტბევ
სამრეკლო ესე
ქ(ო)რ(ო)ნიკ(ო)ნსა სიე

ამ ფრაგმენტით დასტურდება, რომ წარწერა ნამდვილად სამრეკლოდანაა და დგინდება მისი აგების თარიღი — 1527 წელი (215 + 1312), რაც სავსებით შეესაბამება მისი არქიტექტურის დაბალ მხატვრულ და ტექნიკურ დონეს.

ნ. მარმა ნახა სხვა, უკეთ შემონახული წარწერაც, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, ასევე სამრეკლოს ნანგრევებიდან იყო ამოღებული[533]. მასში იკითხებოდა:

ქ(რისტე) ამ(ი)სა ზედა მდე-
გსა თათუხაძესა
შ(ა)ხბუზას შ(ეუ)ნ(დო)ს ღ(მერთმა)ნ

ნ. მარმა ეს წარწერიანი ქვა საფლავის ქვად მიიჩნია. დ. თუმანიშვილის სამართლიანი შენიშვნით, რომელიც კერძო

---

[530] Пр. Уварова, *Путевые записки*, გვ. 291.
[531] Н. Марр, Дневник, გვ. 23.
[532] იქვე, გვ. 25.
[533] იქვე.

საუბარში გამიზიარა, შახბუზა თათუხაძე უნდა იყოს სამრეკლოს სამშენებლო სამუშაოთა „ზედა მდგი“. ოშკის ცნობილ წარწერაში, რომელიც ტბეთის სამრეკლოს ზემოთმოტანილ წარწერაზე ხუთნახევარი საუკუნით ადრეა ამოკვეთილი, „საქმეთა ზედა მდგომს“ უწოდებს თავის თავს ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი გრიგოლი[534].

ყველა ძველი ავტორი აღნიშნავს დიდ შენობათა ნანგრევებს ტაძრის ირგვლივ[535]. ტაძრის სამხრეთით, ცოტა მოშორებით იყო გრძელი კამაროვანი მიწისქვეშა გალერეა. ამჟამად რაიმე ნაგებობის კვალი არსად ჩანს.

ტბეთის ტაძარში წირვა-ლოცვა ტარდებოდა თურქების მიერ შავშეთის დაპყრობის შემდეგაც. საეპისკოპოსო კათედრა აქ XVII საუკუნის II ნახევრამდე მაინც არსებობდა. 1637 და 1650 წლებში იხსენიება მტბევარი გედეონ საფრიძე[536]. მოგვიანებით კათედრა გაუქმდა და შენობას მუსლიმები დაეპატრონნენ. ჯამე ტაძარში 1880-იან წლებამდე ფუნქციონირებდა. რაიმე არსებითი რემონტი თურქებს არ ჩაუტარებიათ, შენობა მათ უცვლელად დატოვეს, მაგრამ დიდად დააზიანეს მისი მოხატულობა – 1860-იან წლებში შიგნით თივა მოაგროვეს და დიდი ცეცხლი დაანთეს, რათა ისინი გამოსახულებებს „არ ეცთუნებინა“[537]. მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ტაძარში ამის შემდეგაც მოუსვენრად გრძნობდნენ თავს და 1889 წელს სოფელში ჯამესთვის ახალი შენობა ააგეს. მისი ფასადები თითქმის მთლიანად ტაძრიდან ჩამოცვენილი ქვებით არის ამოყვანილი[538]. 1961 წელს, როგორც ითქვა, ტაძარი ააფეთქეს, რამაც სოფლელებს მზა საშენი მასალის უზარმაზარი მარაგი შეუქმნა. დანგრეული ტაძრის პერანგის ქვები – მათ შორის ბევრი ჩუქურთმიანი – მათ საკუთარი სახლების მშენებლობაში გამოიყენეს. ასეთი ქვები მრავლად იყო აგრეთვე ტაძრის ეზოს შემომფარგლავ ზღუდეში.

შავშეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკლესიის ნაშთი შემოინახა სოფელ სინკოთში, რომლის ახლანდელი სახელწოდებაა ქიუფლიუჯე (Küplüce, თურქული სიტყვიდან küp – ქვევრი).

წერილობითი ცნობები სინკოთის შესახებ პრაქტიკულად არ მოიპოვება. ნასყიდობის ერთ სიგელში, რომელიც გ. ყაზბეგმა იპოვა

---

[534] W. Djobadze, *Monasteries*, გვ. 133.

[535] გ. ყაზბეგი, *სამი თვე..*, გვ. 81; Пр. Уварова, *Путевые записки*, გვ. 291; А. Павлинов, Экспедиция, გვ. 72; Н. Марр, Дневник, გვ.. 23-24.

[536] ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I*, გვ. 469-470.

[537] Н. Марр, Дневник, გვ. 16.

[538] O. Aytekin, *Ortaçağ'dan Osmanlı Dönemi Sonuna Kadar*, გვ. 191-195, ტაბ. 120.

ტბეთში და დ. ბაქრაძემ გამოსცა, საქართველოს სხვა ცნობილ სიწმინდეებთან ერთად ნახსენებია „მეოხებითა ცხრათა ნაწილთა სინაქოტისათა“[539]. დ. ბაქრაძის სამართლიანი შენიშვნით, აქ უნდა ვიგულისხმოთ სწორედ გვიანდელი სინკოთი[540], სადაც, როგორც ჩანს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წმ. ნაწილები ინახებოდა.

სოფლის განაპირას, პატარა ბრტყელ ბორცვზე მდგარი ეკლესია ძლიერ დაზიანებული იყო უკვე 1904 წელს, როცა ის ნ. მარმა ნახა[541]. მას შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ამჟამად მთლიანად ჩანგრეულია გუმბათი, გუმბათქვეშა თაღები და გარდამავალი კონსტრუქცია, კამარების დიდი ნაწილი, აფსიდის კონქი, დასავლეთის კედლის ნაწილი და სამხრეთ-დასავლეთ კუთხე. საფასადო წყობა შემორჩა მხოლოდ ჩრდილოეთ მხარეს, სხვა სამ ფასადზე ის მთლიანად შემოძარცულია. ინტერიერი ამოვსებულია ნამსხვრევებით, რომელზეც უხვი მცენარეულობა ამოსულა.

სინკოთის ეკლესია ნაგებია შერეული მასალით. კედლის ძირითადი წყობა როგორც შიგნით, ისე გარეთ შედგება 20-25 სმ სიმაღლის სწორ რიგებად დაწყობილი ქვებისაგან. ქვები კლდოვანი ჯიშისაა, სხვადასხვა ფერისა (რუხი, მოვარდისფრო, მომწვანო, მოყვითალო). ისინი დამუშავებულია ძალიან ზოგადად, მიცემული აქვთ მხოლოდ მიახლოებითი ფორმა, წიბოების გამოყვანის გარეშე. პირითი მხარე გათლილია, მაგრამ არა გლუვად. დიდრონი ღრეჩოები ქვებს შორის კენჭებითა და კირის ხსნარით არის ამოვსებული. საპირე წყობის ქვები კედელში 15-20 სმ-ის სიღრმეზე სხედან. ალაგ-ალაგ გეხვდება კედლის გარდიგარდმო დადებული გრძელი ქვები, რომლებიც ფასადზე ვიწრო წახნაგით გამოდის. კუთხეებზე ქვები უფრო უკეთაა გათლილი, მაგრამ არა სუფთად. შემორჩენილი კამარები ამოყვანილია დუღაბით (ქარგილებზე), თაღები — ზოგი დუღაბით, ზოგიც აგურით. ერთი-ორგან აგურის თაღებში შერეულია აგურის ზომაზე დატეხილი ქვაც.

---

539 დ. ბაქრაძე, *არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში*, ბათუმი, 1987, გვ. 165.

540 იქვე.

541 Н. Марр, Дневник, გვ. 86-88. ნ. მარი იძლევა შენობის დეტალურ აღწერას, მაგრამ არ მოაქვს არცერთი ფოტოსურათი. ეკლესიის მოკლე აღწერა აქვს გ. ყაზბეგსაც (გვ. 88). 15 წლის წინ, ჯერ კიდევ ტაოკლარჯეთში ნასელამდე, მე შევეცადე გამომეხაზა სინკოთის ეკლესიის გეგმა და ჭრილები ნ. მარის აღწერის მიხედვით (იხ. დ. ხოშტარია, ბერთისა და სინკოთის ტაძრების ხუროთმოძღვრული სახისათვის, *მაცნე, ისტორიის სერია*, 1990, №1, გვ. 157-158). მოგვიანებით, როცა შენობა ენახე და ჩემი ძველი რეკონსტრუქცია ზუსტ ანაზომს შეეადარე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ნ. მარის მონაცემების სანდოობაში.





სურ. 43. სინაოთის ეკლესია.
ძირითადი გეგმა და გეგმა პატრონიკეს დონეზე

ეკლესია გეგმით წაგრძელებულ მართკუთხედს წარმოადგენს. შუაში იდგა ოთხი ბურჯი, რომლებსაც ეფუძნებოდა გუმბათი (ახლა ბურჯების დასავლეთ წყვილი დანგრეულია). ცენტრალურ კვადრატს ერთვის ოთხი მკლავი, ამათგან აღმოსავლეთისა ბოლოვდება საკურთხეველის აფსიდით. მის ორსაე მხარეს მოწყობილია დამხმარე სათავსები. ასეთი გეგმა VII საუკუნიდან მოყოლებული კარგად არის ცნობილი საქართველოში – ის საფუძვლად უდევს „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის რამდენსამე შენობას (წრომი, იყალთო, ბარცანა, ოზაანი). მაგრამ სინკოთი მათთან შედარებით უფრო რთულად არის აგებული. შუა ბირთვის (მას შეადგენს ცენტრალური კვადრატი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მკლავებთან ერთად) ირგვლივ შენობა ორ სართულად არის გაყოფილი. მეორე სართულზე იქმნება ვრცელი სამმხრივი პატრონიკე, სამივე მხრიდან თაღებით გახსნილი შუა სივრცისაკენ. პატრონიკეს გრძივი ფრთები ხუთ-ხუთი მონაკვეთისაგან შედგება, ამათგან შუა მონაკვეთები, რომლებიც გუმბათქვეშა კვადრატს შეესაბამება, სხვებზე განიერია და შესამჩნევად მაღალი. განსხვავებით დანარჩენი მონაკვეთებისაგან, რომელთაც ჯვაროვანი კამარები ხურავს, შუა მონაკვეთები ცილინდრული კამარებით არის გადახურული განივ (SN) ღერძზე. ამის წყალობით გარედან ისინი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მკლავებთან ერთად ქმნიან „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის შენობებისათვის დამახასიათებელ მოცულობას მასათა საფეხუროვანი განაწილებით.

გუმბათის არქიტექტურის შესახებ რისამე თქმა შეუძლებელია – ის უკვე ნ. მარის მოგზაურობის დროს მთლიანად განადგურებული იყო. გადახურვის ნანგრევებში არის გუმბათქვეშა კვადრატის კუთხის ფრაგმენტი, რომელზეც შემორჩენილია დუღაბით ამოყვანილი გარდამავალი კონსტრუქციის მცირე ნაწილი – აფრის სფერულად შეზნექილი სიბრტყე. ეს ფრაგმენტი მოწმობს, რომ შენობაში ან წმინდა აფრული სისტემა იყო, ან აფრა-ტრომპული.

პატრონიკეს ქვეშ გვერდითა ნაწილებს ერთიანი გრძივი ცილინდრული კამარები ხურავს. პატრონიკეს დასავლეთ მონაკვეთის ქვემოთ არის თავისებური ნართექსი, რომელიც ძირითად სივრცეს ერთი ფართო თაღოვანი გასასვლელით უკავშირდება.

მოაკარი შესასვლელები ეკლესიას ჰქონდა სამხრეთიდან (ეს კარი ახლაც ჩანს) და, როგორც ჩანს, დასავლეთიდან (ეს კედელი ახლა მთლიანად დანგრეულია). კიდევ ორი დამატებითი პატარა კარი არის ჩრდილოეთ კედელში.

ჩრდილოეთის – ერთადერთ ასე თუ ისე შემორჩენილ – ფასადზე კვეთილი დეკორი არ ჩანს, მაგრამ შეიძლება ყოფილიყო პატარა თავსართები. ახლა თავი ყველა სარკმელს მორღვეული აქვს.

სინკოთის ეკლესიის რთული, მრავალწევრი სტრუქტურა თავისი ხასიათით გარდამავალი ხანის, მეტადრე კი IX საუკუნის არქიტექტურას უკავშირდება. განვითარებული სამმხრივი პატრონიკე, რომელიც აღმოსავლეთით საკურთხეველამდე მიდის, ახლო კომპოზიციურ პარალელებს პოულობს გურჯაანისა და ეაჩნაძიანის ყველაწმინდის ეკლესიებში (საერთოდ, შენობას ერთგვარად „კახური" იერი დაჰკრავს, რაც საშენ მასალად აგურისა და ნატეხი ქვის ხმარებითაც არის განპირობებული). თლილი ქვის გამოუყენებლობა კუთხეებსა და მრუდხაზოვან კონსტრუქციებზე ასევე მიგვითითებს X საუკუნის წინა ხანაზე.

ალბათ მხოლოდ უცნაური შემთხვევითობის გამო ვერ მოხვდა ბოლო დრომდე მკვლევართა ყურადღების სფეროში სათლეს ეკლესია — ის გზასთან ახლოს დგას და კარგად არის ცნობილი ადგილობრივ მცხოვრებთათვის. სათლე ამჟამად წარმოადგენს ქალაქ შავშათის (Şavşat) გარეუბანს, რომლის თანამედროვე სახელწოდებაა სოღიუთლიუ (Söğütlü, თურქული სიტყვიდან Söğüt — ტირიფი). უფრო ადრე თურქები მას სათლელს (Satlel) უწოდებდნენ. ასევე მოიხსენიება ქალაქი XIX საუკუნის ქართველ კათოლიკეთა ნაწერებში[542] და რუსულენოვან ავტორთა (გ. ყაზბეგი, ჰ. უვაროვა, ა. პავლინოვი, ნ. მარი) თხზულებებში. ეს ფორმა დამკვიდრდა XVIII საუკუნის შემდეგ ადრინდელი „სათლე"-ს ნაცვლად. ეოზეფ ნიკოლა დე ლ'ისლის 1766 წლის რუკაზე პუნქტი ჯერ კიდევ აღნიშნულია როგორც „სათლე".[543].

სათლე ძველი დროიდან ცნობილი პუნქტია. ქართული ტრადიცია მას უკავშირებს IV საუკუნის დასაწყისის წმ. მოწამეებს ორენტიოსსა და მის ექვს ძმას[544]. შუა საუკუნეებში სათლე კარგად გამაგრებული ქალაქი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, უკვე

---

[542] შ. ლომსაძე, *გეიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები*, თბილისი, 1979, გვ. 174, 188, 189, 200, 207. ეს ქართველები, სომხურენოვანი რიტის კათოლიკეები იყვნენ და XIX საუკუნის ავტორები მათ, როგორც წესი, სომხებისაგან არ ასხვაევებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ როგორც საოჯახო, ისე სამწერლობო ენად ბევრი ქართულს ინარჩუნებდა.

[543] Iliazd, *Lettres a Morgan Philips Price*, Paris, 1990, გვ. 21.

[544] მ. თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*, თბილისი, 1995, გვ. 188-189. სინამდვილეში, როგორც ჩანს, წმ. ორენტიოსი და მისი ძმები პირველად აწამეს ქალაქი სატალაში, რომელიც მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და იმხანად პონტოს დიოცეზში შედიოდა (კ. კეკელიძე, ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV*, თბილისი, 1957, გვ. 293-325, ამ საკითხზე - გვ. 299).

ადრეულ შუა საუკუნეებში აქ აშენდა დიდი ციხე, რომელსაც ახლა შავშათ-ქალესის (Şavşat-Kalesi) უწოდებენ[545]. ქალაქში ქართველებთან ერთად საკმაოდ ადრე გაჩნდა სომხური მოსახლეობაც, რომელიც ეაჭრობას მისდევდა. უკვე XVI საუკუნეში სომხებს სათლეში საკუთარი ეკლესია ჰქონდათ – ამას ადასტურებს ერთი სომხური სახარების მინაწერი, რომლიდანაც ჩანს, რომ სახარება 1551 წელს შეუძენია სათლეს მკვიდრ ვინმე მასუროს და შეუწირავს სომხური ეკლესიისათვის[546]. ვახუშტის მიხედვით, „... არს სათლე, ქალაქი მცირე, და მოსახლენი ვაჭარნი მას შინა"[547]. 1820-იან წლებში სათლეში აბდი-ბეგ ხიმშიაშვილი დამკვიდრდა და ქალაქი თავის საგვარეულო რეზიდენციად აქცია[548]. 1850-იან წლებში აბდი-ბეგის ვაჟის სელიმ-ბეგის ხელშეწყობით ქალაქის მახლობლად გაჩნდა სომეხ ვაჭართა ახალი დასახლება, რომელმაც სათლელ-რაბათის სახელწოდება მიიღო (ახლანდელი შავშათი)[549]. ის სწრაფად იზრდებოდა და მალე იტვირთა მთელი მხარის საქალაქო ცენტრის ფუნქციები, ხოლო ძველი სათლე თანდათან დაკნინდა და სოფლად იქცა. 1980-90-იან წლებში აქ მაღლივი სახლები გაშენდა და სოფელი პრაქტიკულად გაქრა.

ეკლესია სათლეს ძველ სასაფლაოზე დგას. მას ერთხანს ჯამესთვის იყენებდნენ და ალბათ ამან იხსნა განადგურებისაგან. ახლა შენობა უპატრონოდ არის მიტოვებული, მაგრამ მოსახლეობა მაინც გარკვეული მოკრძალებით ეპყრობა და არ აზიანებს. მნიშვნელოვანია, რომ ნაგებობამ თითქმის სრულად შეინარჩუნა კედლების პირითი წყობა.

---

[545] R. Edwards, გვ. 174-176, ტაბ. 31-43.

[546] Ч. Кучук-Иоаннссов, Древне-армянские рукописи, снимки с которых вывезены с Кавказа ученой экспедицией 1888 г., *Материалы по археологии Кавказа, вып. III*, Москва, 1893, გვ. 94. ეს მინაწერი საინტერესოა ბაგრატიონთა ქვეშევრდომი სომხების ცნობიერების გასაგებად – მასურო ლაპარაკობს საქართველოზე, როგორც თავის ქვეყანაზე, რომელსაც დიდი განსაცდელი დაატყდა (იგულისხმება შაჰ-თამაზის გამანადგურებელი ლაშქრობა), ხოლო მინაწერის გაკეთების თარიღად ხაზგასმით უთითებს ლუარსაბ I-ის („დიდი მთავარი იოჯსაფტის") მეფობას. იგი აღფრთოვანებულია, რომ „მართლმორწმუნე ქრისტიანმა" ლუარსაბმა ბალეასის სანჯაყი დაიმორჩილა (იგულისხმება ლუარსაბის მიერ მცირე ხნით სამხრეთ-ქართული პროვინციების მიერთება 1550 წლის ახლოს).

[547] *ქართლის ცხოვრება, ტ. IV*, გვ. 679.

[548] გ. ყაზბეგი, *სამი თვე..*, გვ. 68.

[549] გ. იქვე, გვ. 84. პრ. უვაროვა, რომელიც აქ 1889 წელს იყო, წერს: „სათლელ-რაბათი სხვა არაფერია, თუ არა დაბა სათლეს გაგრძელება, ერთგვარი სომხური უბანი თურქულ დასახლებაში (как бы квартал турецкого местечка, заселенный армянами)" (*Путевые записки*, გვ. 296)



სურ. 44. სათლეს ეკლესია. გეგმა



სურ. 45. სათლეს ეკლესია. ზემოთ – განივი ჭრილი, ხედი აღმოსაელეთისაკენ; ქვემოთ – აღმოსავლეთ ფასადი





სურ. 46. სათლეს თაღაპირველი ბაზილიკა. ზემოთ – გეგმა;
ქვემოთ – განიკი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ (რეკონსტრუქცია)

ეკლესია რთული აგებულების მოზრდილი შენობაა. ის შედგება ხუთი – ორი დიდი და სამი პატარა – გრძივი ნავისა და მეორე სართულის სათავსისაგან. ყველაფერი გარედან საერთო ორფერდა სახურავით არის გადახურული. ნაგებობა რამდენიმე სამშენებლო ფენას შეიცავს. მის უძველეს ნაწილს წარმოადგენს სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც დღევანდელი ნაგებობის ფართო კორპუსის ჩრდილოეთ ნახევარს მოიცავს. ეს ნაწილი ყველაზე ცუდად არის შემონახული – ჩანგრეულია ბაზილიკის შუა და ჩრდილოეთ ნავების კამარები და ჩრდილოეთ მხარის ბურჯები ზედ გადაყვანილი თაღებითურთ. როგორც ჩანს, ეკლესიის ჯამედ გადაკეთებისას აქ დაზიანება უკვე დიდი იყო, ვინაიდან ბაზილიკის შუა და ჩრდილოეთ ნავები ჯამეში არც ჩაურთავთ – უკეთ შემონახული სამხრეთის ნავი და მოგვიანო ორნავიანი მინაშენი მათგან კედლით გატიხრეს, ბაზილიკის ჩანგრეულ ნაწილს კი ხის სახურავი გაუკეთეს და წინკარის ფუნქცია დააკისრეს.

თავდაპირველი ბაზილიკის კედლები შიგნითაც და გარეთაც ამოყვანილია უხეშად დამუშავებული თანაბარზომიერი ქვებით. ისინი სწორ ჰორიზონტალურ რიგებად ლაგდება, მაგრამ ერთმანეთს მჭიდროდ არ ერგება, ქვებს შორის რჩება დიდი ღრიჭოები, რომლებიც კენჭებითა და კირის ხსნარით არის ამოვსებული. ასევეა გამოყვანილი აფსიდის კონქიც. ზოგიერთი ნაწილისათვის (თაღები, იმპოსტები, ღიობთა წირთხლები, ბურჯების კუთხეები) სუფთად თლილი ქვა უხმარიათ.

ბაზილიკა დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე მცირეოდენ არის წაგრძელებული. მას ჰქონდა ორი წყვილი ბურჯი (შემორჩა ორი ცალი სამხრეთ მხარეს, ისინი ახლა თურქების მიერ ჩაშენებულ კედელში სხედან). ბურჯები გეგმით მართკუთხაა, მსხვილი და მასიური. მათზე გადადის ფართო თაღები. გვერდითი ნავები ძალიან ვიწროა – 1,0-1,1 მ-ის სიგანისა. აღმოსავლეთ ბოლოში მათ აფსიდები არ გააჩნიათ. ჩრდილოეთის ნავს ჩრდილოეთ კედელში სამი სარკმელი აქვს. ანალოგიური სურათი იქნებოდა ალბათ სამხრეთითაც (სამხრეთის კედელი მთლიანად აიღეს ჯამედ გადაკეთებისას). შუა ნავის გრძივ კედლებში, გვერდითი ნავების სახურავების ზემოთ, სარკმლები საერთოდ არ არის. ზედა განათების ნაკლებობას შუა სივრცეში შესაძლოა ნაწილობრივ მაინც ანაზღაურებდა საკურთხეველის დიდი სარკმელი (მისი სიგანე შიგნით 124 სმ-ია, ფასადზე – 45 სმ). ბაზილიკას შესასვლელები აქვს ჩრდილოეთიდან (ამჟამად მოქმედი) და დასავლეთიდან (ამოქოლეს თურქებმა). კიდევ ერთი კარი ალბათ იქნებოდა სამხრეთის კედელში.

იმპოსტები და კაპიტელები ეკლესიის ინტერიერში მარტივად არის დამუშავებული. პროფილი ყველგან ერთია – ზემოთ თარო, ქვემოთ ცერობი, ვარირებს მხოლოდ მათ სიმაღლეთა შეფარდება.

ფასადები სრულიად სადაა, არავითარი დეკორაციული ელემენტები არ გააჩნიათ. ეს თვისება მკაფიოდ მიგვანიშნებს IX საუკუნეზე. მეორე მხრივ, აფსიდის უზარმაზარი სარკმელი და ინტერიერის სუფთად პროფილირებული ელემენტები თარიღს უფრო X საუკუნისაკენ წევს. ამ ნიშნების გათვალისწინებით სათლეს ბაზილიკა IX-X საუკუნეთა მიჯნით უნდა დათარიღდეს. ზოგადი კომპოზიციითა და გეგმის პროპორციებით ის ახლო დგას კლარჯეთის ბაზილიკებთან – პარეხთან და სვეტთან, აგრეთვე ორნავიან ნუკა-საყდართან.

ბაზილიკის აგებიდან გარკვეული დროის გასელის შემდეგ არსებულ შენობას სამხრეთიდან კიდევ ორი – დიდი და პატარა ნავი მიადგეს, რის შემდეგაც მან უჩვეულო ასიმეტრიული სახე მიიღო. ახალი ნაწილის საფასადო წყობა ნაკლებ ხარისხიანია, ვიდრე ძველისა. სხვადასხვა ზომის ცუდად დამუშავებული ქვები არათანაბარ, არეულ რიგებად არის დალაგებული. შიდა წყობა უკეთესია (აქა-იქ ჩანს თურქების მიერ ჩატარებული რემონტის დროინდელი შელესილობის ქვეშ). კამარები ნატეხქვანარევი დულაბითაა დასხმული ქარგილებზე. ბურჯები და თაღები თლილი ქვით არის გამოყვანილი.

ნავები ახალ ნაწილშიც ორი ბურჯითაა გაყოფილი. ბურჯები მართკუთხა გეგმისაა, აქვთ სხვადასხვანაირი კაპიტელები. ორივე ნავის კამარებს ორ-ორი საბჯენი თაღი აქვთ ბურჯების ღერძებზე. დიდ ნავში ისინი ორსაფეხუროვანია და ეყრდნობა ბრტყელ პილასტრებს, რომლებიც სამხრეთ მხარეს იატაკამდე ჩამოდის, ხოლო ჩრდილოეთით (ე. ი. მცირე ნავის მხარეს) წაკვეთილია და შედგმულია ბურჯებს ზემოთ ჩასმულ კრონშტეინებზე. პილასტრების კაპიტელები ახლა გადალესილია, მაგრამ ჩანს, რომ პროფილი თაროსა და მის ქვემოთ გამოყვანილი ¾-წრიული ლილვისაგან შედგება. დიდ ნავს სამი სარკმელი აქვს, თითო-თითო აფსიდში და სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში, მცირე ნავს – ერთი, აღმოსავლეთის კედელში (აფსიდი აქ არ არის). თვალშისაცემია ყველა სარკმლის უჩვეულო სიპატარავე.

აღმოსავლეთ ფასადზე დიდი ნავის აფსიდის სარკმელს მძლავრი რელიეფური თავსართი აქვს, რომელიც მის ზემით ფართო ნახევარწრეს შემოწერს და ქუსლებთან ძალიან მოკლე გადანაკეცებს იკეთებს. თავსართსა და სარკმელს შორის გამოკეთილია მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი. დასავლეთის სარკმლის ასეთსავე დიდ თავსართს გადანაკეცები საერთოდ არ გააჩნია. მის ქვეშ სამი ჯვრის კომპოზიციაა. ეს ჯვრები უფრო სქემატურად და ზედაპირულად არის ნაკვეთი, ვიდრე აღმოსავლეთ ფასადისა. სამხრეთ ფასადზე თავსართები აქვს კარსაც (ესაა ორნავიანი მინაშენის ერთადერთი გარე შემოსასვლელი, ახლა ამოქოლილია) და სარკმელსაც. კარის თავსართი ზღუდარის უზარმაზარი ქვის ზემოთაა გაკეთებული, კარისგან ერთგვარად მოწყვეტილად.

ზღუდარის ქვის შუაგულში ორი ღარისაგან შემდგარი ჩარჩოთი მოფარგლულია მართკუთხა არე, რომელშიც ბუნდოვნად განირჩევა ორი ჯვრის მოხაზულობა (გამოსახულება გადაფხეკილია). ოთხივე თავსართი თაროს მარტივი პროფილისაა, გლუვია, უჩუქურთმო. მათი ფორმა ტაო-კლარჯეთის X საუკუნის I ნახევრის არქიტექტურისთვისაა დამახასიათებელი (ხანძთა, სვეტი). 950-იანი წლების მერე თავსართის პროფილი რთულდება, ხოლო ზედაპირი ჩუქურთმით იფარება (დოლისყანა, ტბეთის რვამკლავიანი და ჯვარგუმბათოვანი ეკლესიები, ოშკი, ოთხთა ეკლესია). ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ სათლეს ეკლესიის მინაშენის ხუროთმოძღვარი საშუალო დონის ოსტატია, ე. წ. ხელოსნური მიმართულების წარმომადგენელი, რომელიც თავის შემოქმედებაში ალბათ არ ასახავს ეპოქის არქიტექტურული აზროვნების უახლეს ტენდენციებს. ამდენად, მინაშენი შეიძლება X საუკუნის შუახანებით დათარიღდეს.

მოგვიანებით სათლეს ეკლესიაზე კიდევ ერთი მშენებლობა ჩატარდა. ორ დიდ ნავს შორის, თავდაპირველი ბაზილიკის სამხრეთის ნავისა და ახალი კორპუსის მცირე (ჩრდილოეთის) ნავის თავზე ჩაშენდა მეორე სართულის სათავსი, რის შედეგადაც შენობა ერთ მასივად შეიკრა. სათავსი გეგმით მართკუთხაა, გადახურულია ცილინდრული კამარით. მის აღმოსავლეთ კედელში არის უსისტემოდ განლაგებული ხუთი ვიწრო სარკმელი (ამათგან სამი ამოუქოლავთ) და ერთი დიდი (113 × 61 სმ ზომის) მართკუთხა ღიობი, დასავლეთისაში – ორი სარკმელი და ასეთივე ღიობი. საფიქრელია, რომ მეორე სართულის სათავსი საცხოვრებელს წარმოადგენდა და მასში ამ ღიობებიდან ხედებოდნენ მისადგმელი კიბის მეშვეობით. ეკლესიის ჯამედ გადაკეთებისას ოთახს მინბარის ფუნქცია დააკისრეს და ორი დიდი ფანჯრითა და ერთი კარით გახსნეს სამხრეთის დიდი ნავისაკენ.

ჩაშენებული სათავსის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადები მოპირკეთებულია თლილი ქვით, მაგრამ წყობა უხეიროა. ქვები სწორი მართკუთხა მოყვანილობისა არ არის, რიგები ზოგან ირევა. აღმოსავლეთ ფასადზე სამ სარკმელს პატარა წარბისებრი თავსართები ამკობს. საფიქრელია, რომ მეორე სართულის ჩაშენება სათლეს ეკლესიაში XIV-XV საუკუნეებში უნდა მომხდარიყო.

შავშეთის სოფლების ეკლესიათა უმეტესობა სრულიად მარტივი მომცრო დარბაზული შენობებია. ეს ტიპი აქ იმდენად ფართოდაა გავრცელებული, რომ ნ. მარმა მას თავის დროზე „შავშურ-იმერხევული“ უწოდა. მრავალრიცხოვან დარბაზულ ნაგებობათაგან შეიძლება აღინიშნოს ოქრობაგეთის ეკლესია, ზუსტად დათარიღებული 935 წლის სამშენებლო წარწერით[550].

---

[550] Н. Марр, Дневник, გვ. 8-9, ტაბ. I.

შემოკლებების სია

ე. თაყაიშვილი, *კოლა-ოლთისი* – ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938.

დ. თუმანიშვილი, *„თაეისუფალი ჯვრის“ კომპოზიცია* – დ. თუმანიშვილი, *„თაეისუფალი ჯვრის“ კომპოზიცია შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში*, სადისერტაციო ნაშრომი ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოეებლად, თბილისი, 1982.

ქართლის ცხოვრება – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955; ტ. II, თბილისი, 1959; ტ. IV, თბილისი, 1973.

ცხორება გრიგოლ ხანძთელისა – [გიორგი მერჩულე], შრომაი და მოღუაწებაი ღირსად ცხორებისაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაი ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაი, და მის თანა ჴსენებაი მრავალთა მამათა ნეტართაი, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963, გვ. 248-319.

O. Aytekin O. Aytekin, *Ortaçağ'dan Osmanlı Dönemi Sonuna Kadar: Artvin'deki Mimarı Eserler*, Ankara, 1999.

DAA - Documenti di architettura armena.

W. Djobadze, Monasteries - W. Djobadze, Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klardjeti and Šavšeti, Stuttgart, 1992.

АК - Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959.

А. Павлинов, Экспедиция на Кавказ - А. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года, *Материалы по Археологии Кавказа, вып. III*, Москва, 1893, гз. 1-91.

АТК - В. Беридзе, *Архитектура Тао-Кларджети*, Тбилиси, 1981.

АЭЮПГ - Е. Такаишвили, *Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии*, Тбилиси, 1952.

ВИИ - Г. Чубинашвили, *Вопросы истории искусства*, т. I, Тбилиси, 1970; т. II, Тбилиси, 2002.

Г. Чубинашвили, *Разыскания* Г. Чубинашвили, *Разыскания по армянской архитектуре*, Тбилиси, 1967.

Е. Такаишвили, Экскурсия 1902 года - Е. Такаишвили, Христианские памятники. Экскурсия 1902 года, *Материалы по археологии Кавказа, вып.XII*, Москва, 1909, гз. 1-117.

ЗТК - П. Закарая, *Зодчество Тао-Кларджети*, Тбилиси, 1990.

Н. Марр, Дневник - Н. Марр, Дневник поездки в Шавшию и Кларджию, წიგნში: Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра, *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн.VII*, С.-Петербург, 1911.

Пр. Уварова, *Путевые записки* - Пр. Уварова, *Путевые записки. Кавказ: Аджария, Шавшетия, Посховский участок*, ч. II, Москва, 1891.

ბიბლიოგრაფია

(2005 წლამდე)

ბიბლიოგრაფიაში შეტანილია ჩემთვის ცნობილი ყველა სამეცნიერო ნაშრომი „თურქეთის საქართველოს" (არა მხოლოდ კლარჯეთის!) სიძველეთა შესახებ, აგრეთვე უმთავრესი წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, მოგზაურთა ჩანაწერები, რომლებიც სამეცნიერო თვალსაზრისით საყურადღებო ინფორმაციას შეიცავენ, და ძირითადი გზამკვლევები.

1. ალადა'შვილი ნ., ფიგურული რელიეფების ადგილი დოლისყანის ეკლესიის ფასადების დეკორში, *ქართული ხელოვნების ნარკვევები, II*, თბილისი, 2002, გვ. 9-10.
2. ალადაშვილი ნ., შუა საუკუნეების ქართული ქანდაკების სხვადასხვა დარგის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, *ლიტერატურა და ხელოვნება, №1-6*, 1995, გვ. 122-132.
3. ალადა'შვილი ნ., ოშკის ტაძრის ვედრების რელიეფი და მისი მიმართება ბიზანტიურ სკულპტურასთან, *საქართველოს სიძველენი, 4-5*, 2003, გვ. 63-76.
4. ალადაშვილი ნ., ქართული სკულპტურის ბიზანტიურთან მიმართების საკითხი (ოშკის ტაძრის „ვედრების" რელიეფი – X ს.), *ქართული ხელოვნების ნარკვევები, I*, თბილისი, 2001, გვ. 34-35.
5. ალადაშვილი ნ., ხახულის ტაძრის სამხრეთი პორტალი, *ქართული ხელოვნების ნარკვევები, III*, თბილისი, 2004, გვ. 10-12.
6. ალექსიძე ნ., ოთხთა ეკლესიის მოხატულობის თეოლოგიური საფუძვლები, *ლიტერატურა და ხელოვნება, №4*, 1991, გვ. 103-123.
7. ალექსიძე ნ., ხოშტარია დ., ახალი ცნობები ტაო-კლარჯეთის სიძველეთა შესახებ (1990 წლის ექსპედიცია), *ლიტერატურა და ხელოვნება, №1*, 1991, გვ. 117-161.
8. ამირანაშვილი შ., *ბექა ოპიზარი*, თბილისი, 1956.
9. ამირანა'შვილი 'შ., *ქართული ხელოვნების ისტორია*, თბილისი, 1971.
10. ბაგრატიონი გ., მოგზაურობა თურქეთში, *ძეგლის მეგობარი, №1/92*, 1996, გვ. 37-41, *№2/93*, 1996, გვ. 54-56.
11. [ბასილ ზარზმელი], ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963, გვ. 319-347.
12. ბაქრაძე დ., *არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში*, ბათუმი, 1987.
13. ბერიძე ვ., *ძველი ქართველი ოსტატები*, თბილისი, 1967.
14. ბერიძე ვ., *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება*, თბილისი, 1974.
15. გენგიური ნ., ფარნაკის ეკლესია, *საქართველოს სიძველენი, 3*, 2003, გვ. 31-40.

16. გიეიაშვილი ი., ზეგანის (იგივე ზაქის) ეკლესია (რეკონსტრუქციის ცდა), *საქართველოს სიძველენი, 3*, 2003, გვ. 41-58.
17. გიეიაშვილი ი., ისტორიული ტაო-კლარჯეთის ძეგლები, *ძეგლის მეგობარი, №3/94*, 1996, გვ. 24-30.
18. გიეიაშვილი ი., კურდღლის სიმბოლური მნიშვნელობა ზეგანის რელიეფზე, *ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, ხელოვნებათმცოდნეობა, №2*, თბილისი, 2001, გვ. გვ. 37-49.
19. გიეიაშვილი ი., კოპლატაძე ი., *ტაო-კლარჯეთი*, თბილისი, 2004.
20. [გიორგი მერჩულე], შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ, და მის თანა ჴსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963, გვ. 248-319.
21. თაყაიშვილი ე., *1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში*, თბილისი, 1960
22. თაყაიშვილი ე., *არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს*, პარიზი, 1938.
23. თაყაიშვილი ე., სამუსულმანო საქართველო, *ქართლოსი*, №№19-23, პარიზი, 1939.
24. თაყაიშვილი ე., შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, №1*, 1919, გვ. 105-124.
25. თუმანიშვილი დ., *„თავისუფალი ჯერის“ კომპოზიცია შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში*, სადისერტაციო ნაშრომი ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1982.
26. თუმანიშვილი დ., *VIII-IX საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრება: მხატვრულ-ისტორიული პრობლემები*, სადისერტაციო ნაშრომი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1990.
27. თუმანიშვილი დ., სიმბოლურობა შუა საუკუნეების ქართულ სტაძრო ხუროთმოძღვრებაში, *ლიტერატურა და ხელოვნება, №2*, 1993, გვ. 117-136.
28. კეკელიძე კ., *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, მეხუთე გამოცემა, ტ. I, თბილისი, 1980.
29. კლდიაშვილი დ., კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის სათაეეებთან: გუნათლეს ვანი, *ლიტერატურა და ხელოვნება, №4*, 1998, გვ. 162-180.
30. კლდიაშვილი დ., სინას სულთა მატიანე (მარკოზი – ხანცთას სამრეკლოს მაშენებელი და სინას სულთა მატიანის ბოლო შემავსებელი), *ლიტერატურა და ხელოვნება, №3*, 1999, გვ. 47-77.
31. კონსტანტინე პორფიროგენეტი, De administrando imperio, *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ნაკ. II*, გამოცემა, თარგმანი და განმარტებები ს. ყაუხჩიშვილისა, თბილისი, 1952, გვ. 224-289.

32. *ლაპიდარული წარწერები I: აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.)*, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1980.

33. მარსაგიშვილი გ., ოთხთა ეკლესიის მონასტრის ზედა (არსენისეული) ეკლესია, *საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, V*, 1999, გვ. 89-95.

34. მაჩაბელი კ., აშოტ კუხის რელიეფი ტბეთიდან, *საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სახ. მეცნიერებათა განყოფილების მაცნე*, 5, 1968, გვ. 150-162.

35. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვეთი II, თბილისი, 1962.

36. მეტრეველი ე., *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, თბილისი, 1996.

37. მეფისაშვილი რ., თუმანიშვილი დ., *ბანას ტაძარი*, თბილისი, 1989.

38. პრიეალოვა ე., ზოგი რამ ტაო-კლარჯეთის მოხატულობის შესახებ, *საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები*, თბილისი, 1998, გვ. 314-336.

39. რუდიგერი ე., *მოგზაურობის ქრონიკა თურქეთის ქართულ რეგიონებში, 1980-1990*, თბილისი, 1991.

40. *სამი ისტორიული ხრონიკა*, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ, ტფილისი, 1890.

41. *სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.)*, ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბილისი, 1961.

42. *სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს.)*, ტექსტები და გამოკვლევები მომზადებულია ქრ. შარაშიძის მიერ, თბილისი, 1982.

43. სანიკიძე თ., ფექრაშენი (ტაო-კლარჯეთის ერთი უცნობი ძეგლი), *ძეგლის მეგობარი, №29*, 1972, გვ. 71-79.

44. სხირტლაძე ზ., ახიზის ეკლესიისა და მისი მოზაიკის გამო, *ლიტერატურა და ხელოვნება, №3*, 1991, გვ. 154-160.

45. სხირტლაძე ზ., უცნობი ეპიგრაფიკული მასალები საქართველოს სამხრეთი ისტორიული პროვინციებიდან, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2*, 1993, გვ. 90-102.

46. ტიერი მ., თურქეთში ქართული ძეგლების დღევანდელი მდგომარეობა – შესწავლა და დაცვის პრობლემები, *ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებათა თეზისები*, თბილისი, 1989, გვ. 114-116.

47. *ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა და კედლის მხატვრობა: გრაფიკული დოკუმენტაცია, გამოფენის კატალოგი*, შემდგენელები: დ. ხოშტარია, მ. დიდებულიძე, ნ. ვაჩეიშვილი, თბილისი, 1996.

48. *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955; ტ. II, თბილისი, 1959; ტ. IV, თბილისი, 1973.

49. *ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი*, შედგენილი პროფ. ე. თაყაიშვილის მიერ, ტფილისი, 1924.
50. ყაზბეგი გ., *სამი თვე თურქეთის საქართველოში*, ბათუმი, 1995.
51. ჩუბინაშვილი გ., *ქართული ხელოვნების ისტორია*, ტფილისი, 1936.
52. ჩუბინაშვილი გ., სვეეროვი ნ., *ქართული არქიტექტურის გზები*, ტფილისი, 1936.
53. ჩუბინაშვილი გ., ტაოსა და კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები და მათ მიერ წამოჭრილი პრობლემები, *საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ-ბის XXII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები*, თბილისი, 1946, გვ. 8-10.
54. ციცხვაია ლ., ზოომორფული თემა ქართულ საფასადო დეკორში (იშხნის მცირე ეკლესიის მაგალითზე), *რელიგია, №7-8-9*, 2002, გვ. 59-63.
55. ციცხვაია ლ., *იშხნის მცირე ეკლესია*, თბილისი, 1998.
56. ციცხვაია ლ., ოთხთა ეკლესიის მონასტრის ზედა სამლოცველო, *იოანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, ხელოვნებათმცოდნეობა, №2*, თბილისი, 2001, გვ. 209-222.
57. ციცხვაია ლ., ხახულის მონასტრის აშოტ კურაპალატისეული სამლოცველო, *ხელოვნება, №3-4*, 2002, გვ. 39-43.
58. ციცხვაია ლ., ხახულის მონასტრის სამლოცველო, *ძეგლის მეგობარი, №3*, 2000, გვ. 10-17.
59. ცხორება გიორგი მთაწმინდელისა, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II*, თბილისი, 1967, გვ. 67-132.
60. ხოშტარია დ., ბერთისა და სინკოთის ტაძრების ხუროთმოძღვრული სახისათვის, *მაცნე, ისტორიის სერია*, 1990, №1, გვ. 149-159.
61. ხოშტარია დ., კლარჯეთის IX-XI საუკუნეთა სამონასტრო ხუროთ-მოძღვრება, *საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები*, თბილისი, 1998, გვ. 436-452.
62. ხოშტარია დ., მიძნაძორის მონასტრის ეკლესია, *კაკაასიის მაცნე (სპეციალური გამოცემა)*, 2002, გვ. 67-70.
63. ხოშტარია დ., ნუკა-საყდარი – IX საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი კლარჯეთში, *ძეგლის მეგობარი*, 1988, №4, გვ. 16-23.
64. ხოშტარია დ., ოპიზის მონასტრის დაარსების თარიღისათვის, *ძეგლის მეგობარი*, 1999, №2 (105), გვ. 31-33.
65. ხოშტარია დ., სათლეს ეკლესია, *ძეგლის მეგობარი*, 1998, №2(101), გვ. 12-23.
66. ხოშტარია დ., ტბეთის ტაძრის ისტორიიდან, *საქართველოს სიძველენი 4-5*, 2003, გვ. 77-99.
67. ხოშტარია დ., უცნობი სამნავიანი ბაზილიკა კლარჯეთის სოფელ სვეტში, *არქიტექტურა და დიზაინი*, 1, 1994, გვ. 50-51.
68. ხოშტარია დ., ქალაქი არტანუჯი და მისი სიძველენი, *არტანუჯი*, 5, 1996, გვ. 60-75.

69. ხოშტარია დ., შავშეთ-კლარჯეთის ეკლესიები, *ლიტერატურა და ხელოვნება*, 1998, №2, გვ. 53-80.

70. ხოშტარია დ., შატბერდის (ენი-რაბათის) ეკლესიის ზოგი თავისებურება, *ლიტერატურა და ხელოვნება*, 2001, №1, გვ. 115-144.

71. ხოშტარია დ., შენიშვნები გოგუბნის (გოგიუბის) ეკლესიის თაობაზე, *ლიტერატურა და ხელოვნება*, 1999, №3, გვ. 128-133.

72. ხოშტარია დ., წმ. სტეფანეს ეკლესია ვაჩეძორის მონასტერში, *ძეგლის მეგობარი*, 1997, №4(99), გვ. 23-35.

73. ხუსკივაძე ლ., ოშკის სკულპტურულ „ვედრებათა" თავისებურებების შესახებ, *საქართველოს სიძველენი, 3*, 2003, გვ. 59-90.

74. ჯიქია ს., *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I: ტექსტი*, თბილისი, 1947; *წიგნი II: თარგმანი*, თბილისი, 1941; *წიგნი III: გამოკვლევა*, თბილისი, 1958.

75. ჯობაძე ვ., *ოშკის ტაძარი*, თბილისი, 1991.

76. ჯობაძე ვ., შენიშვნები ოთხთა ეკლესიაში სიონის ალეგორიული გამოსახულების სიუხვის რქების შესახებ, *ლიტერატურა და ხელოვნება*, №1, 1999, გვ. 69-78.

77. ჯობაძე ვ., ხანძთის წმ. გიორგის მონასტერი (მოკლე მიმოხილვა), *არტანუჯი, 4*, 1995, გვ. 55-73.

78. Akşit I., *Guide de l'Anatolie Orientale*, Istanbul, 1989.

79. *Ardahan ili: Kultur ve dayanişma dernegi*, Ardahan, 1992.

80. *Artvin Ili Çevre Koruma Vakfi Başkanliği*, Ankara, 1990.

81. Ayliffe R., Dubin M. and Gawthrop J., *Turkey. The Rough Guide*, The Rough Guides, London, 1998.

82. Aytekin O., *Ortaçağ'dan Osmanlı Dönemi Sonuna Kadar: Artvin'deki Mimari Eserler*, Ankara, 1999.

83. Baumgartner B., Die Festung Kalmaxi und Byzantinische Landgüter in der georgischen provinz Tao, *Jahrbuch der Österreichischen Byzantinistik*, B. 43, 1993, გვ. 315-327.

84. Baumgartner B., Drei Fergessene Georgische Klöster in der Nordosttürkei: C'q'arostavi, Nuka Kilise, Miɜnaɜori, *Revue des études géorgiennes et caucasiennes, no 8-9*, 1992-1993, გვ. 193-221.

85. Baumgartner B., Eine Bischer Unbekannte Georgische Kirche aus dem Jahr 984 im Tal von Dörtkilise (Otxta Ek'lesia) / Nordosttürkei, *Revue des études géorgiennes et caucasiennes, no 8-9*, 1992-1993, გვ. 223-232.

86. Baumgartner B., Mittelalterliche Baudenkmäler im Tal des Çoruh bei Ispir, *Jahrbuch der Österreichischen Byzantinistik*, B. 40, 1990, გვ. 365-381.

87. Baumgartner B., *Studien zur historischen Geographie von Tao-Klarženi*. Dissertation zur Erlangung des Doktorgrades der Philosophie eingereicht an der Geistes wissenschaftlichen Fakultät der Universität Wien, Wien, 1996.

88. Beridse W., Newbauer E., *Die Baukunst des Mittelalters in Georgien*, Berlin, 1980.

89. Beridze V., L'architecture de Tao-Klardjétie, *Studien zur spätantiken und byzantinischen Kunst, Friedrich Wilhelm Deichmann Gewidmet, Teil I*, Bonn, 1986, გვ. 87-108.

90. Beriże V., Les monuments d'architecture du T'ao-K'larjeti, *Revue des études géorgiennes et caucasiennes, no 5*, 1989, გვ. 169-202.

91. Blake R. P. and Der Nersessian S., The Gospels of Bert'ay: An Old-Georgian MS. of the Tenth Century, *Byzantion, vol. XVI*, 1942-1943, გვ. 226-285.

92. Bock U., Karmir Wank, Bagnair, Çala und Urta, *Die Karavane: Kaukasische Reise, Christliche Erbe im Kaukasus*, Ludvigsburg, 1983, გვ. 60-82.

93. Brosset M., Description de l'ancienne Géorgie turke, comprenant le pachalik d'Akhaltzikhé et le Gouria; traduit de l'armenien du docteur Indjidjian, *Journal asiatique, t. XIII*, 1834, გვ. 445-497.

94. Brosset M., Inscriptions géorgiennes et autres, recueillies par le Père Nersès Sargisian, *Memoires de l'Academie Imperiale des Sciences, VII-e serie, t. VIII, №10*, S-Petersbourg, 1864, გვ. 1-24.

95. Brosset M., Notice concernant les inscriptions géorgiennes, recueilles par le P. Nersès Sargisian, *Mélanges Asiatiques*, t. 5, S-Petersbourg, 1863.

96. Brosset M., *Voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécute en 1847-1848, XIIe rapport*, S.-Petersbourg, 1851.

97. Bruhchaus G., Katalog christlicher Baudenkmäler Südkaukasiens: Tao-Klardschetien, *IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Сборник докладов, II*, Тбилиси, 1989, გვ. 200-206.

98. Cantacusino Sh., Georgian Churches in North East Turkey, *The Architectural Review, January, 1975, vol. CLVII, no 935*, გვ. 55-60.

99. Djobadze W., A Brief Survey of the Monastery of St. George in Hanzt'a, *Oriens Christianus, Bd. 78*, 1994, გვ. 145-176.

100. Djobadze W., *Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klardjeti and Šavšeti*, Stuttgart, 1992.

101. Djobadze W., Four Deesis Themes in the Church of Oški, *Oriens Christianus* 72, 1988, გვ. 168-182.

102. Djobadze W., Observations on the Architectural Sculpture of Tao-Klarjet'I Churches around One Thousand A. D., *Studien zur spätantiken und byzantinischen Kunst, Friedrich Wilhelm Deichmann Gewidmet, Teil II*, Bonn, 1986, გვ. 81-100.

103. Djobadze W., The Donor Reliefs and the Date of the Church at Oški, *Byzantinische Zeitschrift, B. 69*, 1976, გვ. 39-62.

104. Djobadze W., The Georgian Churches of Tao-Klarjet'i: Construction Methods and Materials, *Oriens Christianus*, 62, 1978, გვ. 114-134.

105. Edwards R., Medieval Architecture in the Oltu-Penek Valley: A Preliminary Report on The Marchlands of Northeast Turkey, *Dumbarton Oaks Papers* 39, 1985, გვ. 15-37.

106. Edwards R. W., The Fortifications of Artvin: A Second Preliminary Report on the Marchlands of Northeast Turkey, *Dumbarton Oaks Papers 40*, 1986, გვ. 165-182.

107. Eid V., *Ost Turkey: Völker und Kulturen zwischen Taurus und Ararat*, Köln, 1990.

108. Freely J., *The Black Sea Coast of Turkey*, Redhouse Press, Istanbul, 1996.

109. Gutschow N. und D., Kirchen in Tao-Klardjetien in der Nordöstlichen Türkei, *Archäologische Mitteilungen aus Iran (Deutsches Archäologisches Institut), 4*, 1971, გვ. 237-247.

110. Gündoğdu H., *Tarihi kalıntıları ile Çıldır*, Ankara, 2001.

111. Gündoğdu H., *Tarihi ve kültürel yönleriyle Oltu*, Ankara, 2002.

112. Hell V. und H., Türkey II: *Nordtrükey, Osttürkey, Südtürkey. Kunst- und Reiseführer mit Landeskunde*, Verlag W. Kohlhammer, Stuttgart-Berlin-Köln-Mainz, 1981.

113. Hills D., *My Travels in Turkey*, London, 1964.

114. Iliazd, *Lettres a Morgan Philips Price*, Paris, 1990.

115. Kadiroğlu M., Tao-Klardjeti, *Dictionary of Art*, Oxford, Macmillan, 1996.

116. Kadiroğlu M., *The Architecture of the Georgian Church at Işhan*, EUS - XXVIII, vol. 121, Frankfurt am Main, 1991.

117. Kadiroğlu M., Untersuchungen am mittelalterlichen georgischen Baudenkmälern in Nordost-Anatolien, *Georgica, Zeitschriften für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens*, H. 22, 1999, გვ. 8-19.

118. Kadiroğlu M., Karaca Z., Yazar T., Ortaçağ Gürcü mimarisi 1996 yılı yüzey araştırması, *XV Araştırma Sonuçları Toplantısı*, t. 1, Ankara, 1998, გვ. 97-125.

119. Kadiroğlu M., Karaca Z., Yazar T., Ortaçağ Gürcü mimarisi 1997 yılı yüzey araştırması, *XVI Araştırma Sonuçları Toplantısı*, t. 1, Ankara, 1999, გვ. 129-142.

120. Kadiroğlu M., Karaca Z., Yazar T., 1995 yılı Tao-Klardjeti yüzey araştırması, *XIV Araştırma Sonuçları Toplantısı*, t. 1, Ankara, 1996, გვ. 397-421.

121. Khatchatrian A., Les églises cruciformes du Tayq, *Cahiers Archéologiques, 17*, 1967, გვ. 203-208.

122. Koch K, *Wanderungen im Oriente während der Jahre 1843 und 1844, II, Reise im pontische Gebirge und türkischen Armenien*, Weimar, 1846.

123. Mepisašvili R., Artistic aspects of the 6th-7th Century Georgian Architecture: the Church of Bana, *Georgica, II, Materiali sulla Georgia Occidentale*, Bologna, 1988, გვ. 109-118.

124. Mepisaschwili R., Zinzadse W., *Georgien. Wehrbauten und Kirchen*, Leipzig, 1986.

125. Nişanyan S., Nişanyan M., *Black Sea: A Traveller's Handbook for Northern Turkey*, Istanbul, 2000.

126. Panayotova D., Bana, temple du VIIe siècle, *The Fourth International Symposium on Armenian Art*, Erevan, 1985, გვ. 297-300.

127. Pereira M., *East of Trebizond*, London, 1971.

128. Piguet-Panayotova D., L'église d'Iškhan: patrimoine culturel et création architecturale, *Oriens Christianus*, 75, 1991, გვ. 198-253.

129. Salia K., La Tao-Klardjéthie et ses monastères, *Bedi Karthlisa, Revue de karthvélologie, vol. XI-XII*, 1961, გვ. 41-62.

130. Scarcia G., Su un rilievo di Xaxuli con l'"ascensione di Alessandro" e su qualche problema connesso, *Georgica, II, Materiali sulla Georgia Occidentale*, Bologna, 1988, გვ. 97-101.

131. Sinclair T. A., *Eastern Turkey: An Architectural and Archaeological Survey*, vol. II, London, 1989.

132. Skhirtladze Z., The Mother of All the Churches: Remarks on the Iconographic Programme of the Apse Decoration of Dört Kilise, *Cahiers Archéologiques, 43*, 1995, გვ. 101-116

133. Thierry M., A propos de quelques monuments chrétiens du vilayet de Kars (Turque), *Revue des études arméniennes, nouvelle série, t. III*, Paris, 1966, გვ. 79-90.

134. Thierry M., Çengelli-kilise, *Bedi Karthlisa, Revue de karthvélologie, vol. XXIII-XXIV*, Paris, 1967, გვ. 177-183.

135. Thierry M., L'église de Čengelli-köi (vilayet de Kars), *II-e symposium international sur l'art géorgien*, Tbilisi, 1977.

136. Thierry M., Notes sur les monuments de la valleé du Karçkal, *Revue des études géorgiennes et caucasiennes, 8-9*, 1992-1993, გვ. 233-235.

137. Thierry M., Topographie et état actuel des monuments géorgiens en Turquie orientale, *Revue des études géorgiennes et caucasiennes, 5*, 1989, გვ. 129-167.

138. Thierry N., Apropos des Déisis d'Ösk'i, *Oriens Christianus, 76*, 1992, გვ. 227-234.

139. Thierry N., Peintures géorgiennes en Turquie, *Bedi karthlisa: Revue de karthvélologie, vol. XLII*, 1984, გვ. 131-167.

140. Thierry N., Peintures historiques d'Ošk'i (T'ao), *Revue des études géorgiennes et caucasiennes, 2*, 1986, გვ. 135-171.

141. Thierry N. et M., La cathédrale de T'beti. Nouvelles données, *Cahiers Archéologiques, 47*, 1999, გვ. 77-100.

142. Thierry N. et M., L'église géorgienne de Pekreşin (Turquie), *Bedi karthlisa: Revue de karthvélologie, vol. XXVI*, 1969, გვ. 93-101.

143. Thierry N. et M., Notes d'un voyage en Géorgie turque, *Bedi karthlisa: Revue de karthvélologie, vol. VIII-IX*, 1960, გვ. 10-29.

144. Thierry N. et M., Notes d'un nouveau voyage en Georgie turque, *Bedi Karthlisa: Revue de karthvélologie, vol. XXV*, 1968, გვ. 51-65.

145. Thierry N. et M., Peintures du Xe siècle en Géorgie méridionale et leurs rapports avec la peinture byzantine d'Asie mineure, *Cahiers Archéologiques, 24*, 1975, გვ. 73-113.

146. Toumanoff C., *Studies in Christian Caucasian History*, Georgetown, 1963.

147. Winfield D., Some Early Medieval Figure Sculpture from North-East Turkey, *Journal of the Warburg and Courtauld Institutes, vol. 31*, 1968, გვ. 33-72.

148. Zdanevič I., Una lettera a M. Philips Price, a cura di M. Marzaduri, *Georgica, II, Materiali sulla Georgia Occidentale*, Bologna, 1988, გვ. 77-96.

149. Zdanevitch I., *L'Itineraire géorgien de Ruy Gonzales de Clavijo et les églises aux confines de l'Atabegat*, Paris, 1966.

150. Аладашвили Н., Восьмигранная колонна южной галереи храма Ошки, *ქართული ხელოვნება, 10*, 1991, გვ. 69-80.

151. Аладашвили Н., *Монументальная скульптура Грузии*, Москва, 1977.

152. Аладашвили Н., Рельеф из Опизы с изображением Ашота Куропалата, *Сообщения АН Грузинской ССР*, т. XV, №7, 1954, გვ. 473-478.

153. Бакрадзе Д., *Археологичкское путешествие по Грузии и Аджаре*, С-Петербург, 1878.

154. Бакрадзе Д., Заметка о Батумской области, *Известия Кавказского отделения Императорского русского географического общества*, т. VI, 1879-1981, გვ. 153-167.

155. Бакрадзе Д., Историко-этнографический очерк Карской области, *Известия Кавказского отделения Императорского русского географического общества*, т. VII, №1, 1882-1883, გვ. 192-202.

156. Бакрадзе Д., *Кавказ в древних памятниках христианства*, Тифлис, 1875.

157. Бакрадзе Д., Об археологической поездке совершенной в 1879 году по поручению Академии Наук в Чорохский бассеин, Батум, Артвин и Артанудж, *Записки Императорской Академии Наук, т. 37, кн. 1*, С.-Петербург, 1880.

158. Беридзе В., *Архитектура Тао-Кларджети*, Тбилиси, 1981.

159. Беридзе В., *Некоторые аспекты грузинской купольной архитектуры*, Тбилиси, 1976.

160. Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. Введение, издание, перевод Н. Марра, *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн.VII*, С.-Петербург, 1911.

161. Джанашия С., *Об одном примере искажения исторической правды*, Тбилиси, 1947.

162. Закарая П., *Зодчество Тао-Кларджети*, Тбилиси, 1990.

163. Казбек Г., Три месяца в Турецкой Грузии, *Записки Кавказского отделения Императорского русского географического общества, кн. X, ч. I*, Тифлис, 1876, გვ. 1-140.

164. Кучук-Иоаннесов Ч., Древне-армянские рукописи, снимки с которых вывезены с Кавказа ученой экспедицией 1888 г., *Материалы по археологии Кавказа, вып. III*, Москва, 1893, გვ. 92-105.

165. Марр Н., Дневник поездки в Шавшию и Кларджию, წიგნში: Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра, *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн.VII*, С.-Петербург, 1911.

166. Марутян Т., *Архитектурные памятники - Звартноц, Аван, Собор Анийской богоматери..*, Ереван, 1989.

167. Мнацаканян С. Х., *Звартноц*, Москва, 1971.

168. Павлинов А., Экспедиция на Кавказ 1888 года, *Материалы по Археологии Кавказа, вып. III*, Москва, 1893, გვ. 1-91.

169. Северов Н., *Памятники грузинского зодчества*, Москва, 1947.

170. Такаишвили Е., *Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии*, Тбилиси, 1952.

171. Такаишвили Е., *Археологические экскурсии, разыскания и заметки*, вып.II, Тифлис, 1905.

172. Такаишвили Е., Христианские памятники. Экскурсия 1902 года, *Материалы по археологии Кавказа, вып. XII*, Москва, 1909, გვ. 1-117.

173. Токарский Н., *Архитектура древней Армении*, Ереван, 1946.

174. Токарский Н., *Из истории средневекевого строительства в Тайкском княжестве*, Ереван, 1988.

175. Туманишвили Д., О некоторых особенностях композиции храма в Бана, *IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Сборник докладов, II*, Тбилиси, 1989, გვ. 54-65.

176. Уварова П., *Путевые записки. Кавказ: Аджария, Шавшетия, Посховский участок*, ч. II, Москва, 1891.

სურათების სია

1. ახიზის ციხე. გეგმა. რ. ედეარდსის მიხედვით.
2. კლარჯეთის ეკლესიებისა და მონასტრების რუკა.
3. წყაროსთაევის მონასტერი. გეგმა.
4. წყაროსთაევის ეკლესია. გეგმა (რეკონსტრუქცია).
5. წყაროსთაევის ეკლესია. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდილოეთისაკენ (რეკონსტრუქცია).
6. სამი სამლოცველო წყაროსთაევის მონასტრის მიდამოებში. გეგმები.
7. მიძნაძორის ეკლესია. გეგმა (რეკონსტრუქცია).
8. მიძნაძორის ეკლესია. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდილოეთისაკენ (რეკონსტრუქცია).
9. არტანუჯის ციხე. გეგმა. რ. ედეარდსის მიხედვით.
10. არტანუჯი, ციხის სამლოცველო. გეგმა. ვ. ჯობაძის მიხედვით.
11. არტანუჯი, ქალაქის ეკლესია. გეგმა (რეკონსტრუქცია).
12. ოპიზის ეკლესია. გეგმა.
13. ხანძთის მონასტერი. გეგმა. ვ. ჯობაძის მიხედვით.
14. ხანძთის ეკლესია. გეგმა.
15. ხანძთის ეკლესია. განივი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ.
16. ხანძთის ეკლესია. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრეთისაკენ.
17. ხანძთის ეკლესია. გრომპის სქემა. ვ. ჯობაძის მიხედვით.
18. ხანძთის ეკლესია. სამხრეთ ფასადი.
19. დოლისყანის ეკლესია. გეგმა.
20. დოლისყანის ეკლესია. განივი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ.
21. დოლისყანის ეკლესია. განივი ჭრილი, ხედი დასავლეთისაკენ.
22. დოლისყანის ეკლესია. გრძივი ჭრილები: ზემოთ — ხედი ჩრდილოეთისაკენ, ქვემოთ — ხედი სამხრეთისაკენ.
23. დოლისყანის ეკლესია. აღმოსავლეთ ფასადი.
24. დოლისყანის ეკლესია. ზემოთ — სამხრეთ ფასადი, ქვემოთ — ჩრდილოეთ ფასადი.
25. მაგბერდის ეკლესია. ძირითადი გეგმა და გეგმა გუმბათის ყელის დონეზე.
26. მაგბერდის ეკლესია. განივი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ.

27. შაგბერდის ეკლესია. განიეი ჭრილი, ხედი დასავლეთისაკენ.

28. შაგბერდის ეკლესია. გრძიეი ჭრილები: ზემოთ – ხედი ჩრდილოეთისაკენ, ქვემოთ – ხედი სამხრეთისაკენ.

29. შაგბერდის ეკლესია. აღმოსავლეთ ფასადი (რეკონსტრუქცია).

30. შაგბერდის ეკლესია. დასავლეთ ფასადი.

31. შაგბერდის ეკლესია. სამხრეთ ფასადი.

32. შაგბერდის ეკლესია. ჩრდილოეთ ფასადი.

33. დამატებითსათავსებიანი ჯერული ეკლესიები. გეგმები.

34. პარეხის ეკლესიები. ზემოთ – გეგმა; ქვემოთ – განიეი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ

35. ნუკა-საყდარი. ზემოთ – გეგმა; ქვემოთ – გრძიეი ჭრილი, ხედი ჩრდილოეთისაკენ.

36. ნუკა-საყდარი.. ზემოთ – აღმოსავლეთ ფასადი; ქვემოთ – განიეი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ.

37. სვეტის ბაზილიკა. ზემოთ – გეგმა; ქვემოთ – აღმოსავლეთ ფასადი.

38. სვეტი, ქაფიზი-ქილისე. ზემოთ – გეგმა; ქვემოთ – განიეი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ. ა. პაელინოვის მიხედვით.

39. სვეტი, ქაფიზი-ქილისე. ზემოთ – ჩრდილოეთ ფასადი; ქვემოთ – გრძიეი ჭრილი, ხედი სამხრეთისაკენ. ა. პაელინოვის მიხედვით.

40. მამაწმინდის ეკლესია. ზემოთ – აღმოსავლეთ ფასადი და განიეი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ; ქვემოთ – გეგმა. ა. პაელინოვის მიხედვით.

41. ტბეთის ტაძარი. გეგმა.

42. ტბეთის რვამკლავიანი ეკლესია. ზემოთ – გეგმა, ქვემოთ – ჩრდილოეთ ფასადი (რეკონსტრუქცია).

43. სინკოთის ეკლესია. ძირითადი გეგმა და გეგმა პატრონიკეს დონეზე.

44. სათლეს ეკლესია. გეგმა.

45. სათლეს ეკლესია. ზემოთ – განიეი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ; ქვემოთ – აღმოსავლეთ ფასადი.

46. სათლეს თაღდაპირველი ბაზილიკა. ზემოთ – გეგმა; ქვემოთ – განიეი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ (რეკონსტრუქცია).

ტაბულების სია

1. წყاროსთავი. მონასტრის საერთო ხედი.
2. წყاროსთავი. ეკლესიის აფსიდის მიმდებარე ჩრდილოეთ სათავსის აღმოსავლეთ ფასადი.
3. წყاროსთავი. ეკლესიის ხედი ჩრდილოეთიდან. ნ. მარის ფოტო (1904).
4. წყاროსთავი. ეკლესიის აფსიდის მიმდებარე ჩრდილოეთ სათავსის სარკმელი მიგნიდან.
5. წყاროსთავი. სამლოცველო მონასტრის მახლობლად.
6. წყاროსთავი. საგრაპეზოს სარკმელი მიგნიდან.
7. მიძნაძორი. ეკლესიის დასავლეთის მკლავის ნაშთი.
8. მიძნაძორი. არქიტექტურული ფრაგმენტები.
9. არტანუჯი. ქალაქის ეკლესია. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტო (1907).
10. არტანუჯი. ქალაქის ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ნ. მარის ფოტო (1904).
11. არტანუჯი. ქალაქის ეკლესიის ნაშთი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან (1995)
12. არტანუჯი. ციხის ეკლესია. ხედი აღმოსავლეთიდან.
13. ოპიზა. მონასტრის საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტო (1907).
14. ოპიზა. საგრაპეზოს შიდა ხედი. ა. პავლინოვის ფოტო (1888).
15. ოპიზა. ეკლესიის გუმბათი. ნ. ტაერის ფოტო (1959).
16. ოპიზა. ეკლესიის ინტერიერი. ა. პავლინოვის ფოტო (1888).
17. ხანძთა. მონასტრის ხედი სამხრეთიდან.
18. ხანძთა. მონასტრის ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.
19. ხანძთა. ეკლესიის გუმბათის ყელი.
20. ხანძთა. ეკლესიის გუმბათქვეშა კონსტრუქცია.
21. ხანძთა. სამრეკლო.
22. დოლისყანა. ეკლესიის ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.
23. დოლისყანა. სამხრეთის მკლავის სარკმლის საფასადო შემკულობა.
24. დოლისყანა. სუმბატ მეფის გამოსახულება გუმბათის ყელზე.
25. დოლისყანა. მზის საათი სამხრეთ ფასადზე.
26. დოლისყანა. შიდა ხედი გუმბათის ყელსა და გუმბათქვეშა კონსტრუქციაზე.
27. დოლისყანა. აფრა-ტრომპი.

28. შაგბერდი. ეკლესიის ხედი სამხრეთ-აღმოსაელეთიდან. ა. პაელინოეის ფოტო (1888).
29. შაგბერდი. შეწყვილებული სარკმელი სამხრეთ ფასადზე.
30. შაგბერდი. სარკმელი და პატრონიკეს კარი დასავლეთ ფასადზე.
31. შაგბერდი. ეკლესიის გუმბათის ყელი.
32. შაგბერდი. ინტერიერის ხედი დასავლეთიდან.
33. შაგბერდი. ხედი გუმბათსა და გუმბათქვეშა კონსტრუქციაზე.
34. პარეხი. მონასტრის ხედი დასავლეთიდან (მარცხნივ – დარბაზული ეკლესია; მარჯენივ, ქვემოთ – ბაზილიკა).
35. პარეხი. ბაზილიკის აღმოსავლეთ ფასადის ნაშთი.
36. ნუკა-საყდარი. ხედი ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე მდ. კარჩხალის მარცხენა ნაპირიდან.
37. ნუკა-საყდარი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან (ზემო ფორთის გზიდან).
38. ნუკა-საყდარი. ხედი დასავლეთიდან.
39. ნუკა-საყდარი. საკურთხეველის ჩრდილოეთ ნაწილი.
40. სვეტი. ქაფიზი-ქილისე და კოშკი. ა. პავლინოვის ფოტო (1888).
41. ტბეთი. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ა. პაელინოვის ფოტო (1888).
42. ტბეთი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ნ. მარის ფოტო (1888).
43. ტბეთი. აღმოსავლეთ ფასადი.
44. ტბეთი. სარკმლის თავსართი და წარწერიანი ჯვარი ჩრდილოეთის მკლავის აღმოსავლეთ ფასადზე (1990).
45. ტბეთი. მრგვალი სარკმლები აღმოსავლეთ ფასადზე.
46. ტბეთი. სამხრეთ ფასადის შუა ნაწილი.
47. ტბეთი. ინტერიერის ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ა. პავლინოვის ფოტო (1888).
48. ტბეთი. პატრონიკე დასავლეთის მკლავში. ა. პაელინოვის ფოტო (1888).
49. სინკოთი. ჩრდილოეთ ფასადი.
50. სინკოთი. სამხრეთ ფასადი.
51. სათლე. სამხრეთ ფასადის შუა ნაწილი.

საკუთარ სახელთა საძიებელი

ძიების გასამარტივებლად, შენიშვნებში მოხსენიებული საკუთარი სახელებიც საერთო წესით, გვერდებით არის მითითებული. საძიებელში არ შევიდა ნაშრომთა (წიგნების, სტატიების) ავტორების სახელები და გეოგრაფიული სახელები, რომლებიც ამ ნაშრომთა სახელწოდებებში ფიგურირებს, აგრეთვე ორი გეოგრაფიული სახელი (საქართველო და კლარჯეთი), რომლებიც წიგნის ათეულობით გვერდზე გეხვდება.

აბესალმა კლდელი, კალატოზი – 109
აბრაამ სომეხთა კათალიკოსი – 206
აბულის ციხე – 25
აგათანგელოსი – 25
აგარა ურაელისა – 27
აგარა შავშეთისა – 35
ადარნასე, აშოტ კურაპალატის მამა (VIII ს.) – 49
ადარნასე, აშოტ კურაპალატის ძე (IX ს.) – 50, 71
ადარნასე ერისმთავარი (VII ს.) – 38
ადარნასე ქართველთა მეფე – 86, 87, 90, 123
ადაქალე (Adakale) – 72, 75, 79
ადერკი – 15
ადიშის ოთხთავი – 126
აზონ პატრიკი, აზო – 14-16
ათინა – 21
ათონი – 127; იეირონი – 128
აკილისენე – იხ. ეკლეკი
აკურის მამადავითის ეკლესია – 61
ალაბალიქი (Alabalık) – 64
ალანები – 25
ალაქილისე (ალაჯა-ჰაილა) – 171
ალბანეთი – 48
ალექსანდრე მაკედონელი – 14, 15
ალექსანდრიის აბუ-მინას ეკლესია – 186
ალვანის სამება – 192
ალ-მამუნი, არაბთა ხალიფა – 48
ალფ-არსლანი, სელჯუკი სულთანი – 221
ამაზასპი – 15
ამასტრა – 171
ამიანე მარცელინე – 19
ამონა, ოპიზელი ბერი – 34

ამონა, ხანძთის ხუროთმოძღვარი – 97, 98, 106, 109, 229
ანაკოფია – 178-180
ანატოლია – 37, 94
ანბერდი – 168, 170-172
ანგ'ულემის კათედრალი – 197
ანდრია, კონსტანტინოპოლის წმ. გიორგის მონასტრის ბერი – 26
ანდრია მოციქული, წმ. – 18
ანდრია, ოპიზელი ბერი – 34
ანისი: კათედრალი – 153, 154; ამენაპრკიჩი – 153; ტიგრან ჰონენცის ეკლესია – 153; წითელი ეკლესია – 192
ანტიოქე I სოტერი – 14
ანტონ კათალიკოსი – 80, 93
ანტონე, ხანძთის მონასტრის დეკანოზი – 109
ანჩი – 32, 94, 133, 134, 225, 230
ანჩის სახარება – 53
აიდინი (Aydın) – 222
აპიანე – 16, 17
არაბები – 42-44, 48, 50, 51
არაქსი – 15, 165
არგვეთი – 44
არდანუჩი (Ardanuç) – 72
ართვინი – 54, 129, 130, 202, 206, 214, 222
არიან-ქართლი – 14, 15
არიჭი – 153
არმაზი ქსნისა – 185
არმენები – 21. იხ. აგრეთვე სომხები
არმენია – 15, 16, 19. იხ. აგრეთვე სომხეთი
არსენ I, კათალიკოსი – 93
არსიანის ქედი – 13, 19
არტაანი – 19, 42, 227
არტავაზი – 27, 29, 33-35, 49, 70, 80
არტანი თიანეთისა – 70
არტანისა – 17, 70
არტანუჯი – 70-72, 130-135, 222, 226; ციხე – 13, 17, 20, 27, 29, 34, 43, 48, 70, 73, 74, 227; წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია – 70, 73, 75; ქალაქის ეკლესია – 60, 75-78, 167-169, 173-177, 180, 227, 228
არტანუჯისწყალი – 13, 72, 73, 75, 133, 135, 223
არქაბე – 21
ასურელი მამები – 33
ასფაგ'ური – იხ. ეარაზ-ბაქარი
ატენი: სიონი – 183, 197; მცირე გუმბათიანი ეკლესია – 179, 180
აფსაროსი – 21
აფხაზეთი – 107, 187, 201
აქ-ქალეს მონასტერი – 171
აშაღი ფორთა (Aşağı Porta) – იხ. ქვემო ფორთა
აშოტ კისკასი – 71

აშოტ კუხი, ერისთავთ-ერისთაები – 97, 108, 230, 233, 234, 239-241
აშოტ I კურაპალატი – 43, 45, 48-51, 70, 71, 75, 86, 87, 89, 126, 132
აშოტ IV კურაპალატი – 87-90
აწყური – 179, 180
აჭარა – 17, 19
ახალთა – 54, 64
ახალი შუამთა – 192
ახალქალაქი თრიალეთისა – 179, 180
ახალქალაქი ჯავახეთისა – 179, 180
ახალციხე – 128
ახატელის ღვთაება – 192
ახიზა – 27, 29-32
ახტალა – 158
ბაგრატ არტანუჯელი, სუმბატ ერისთავთ-ერისთავის ძე – 71
ბაგრატ კურაპალატი, აშოტ I-ის ძე – 50, 51, 126, 131, 132, 202
ბაგრატ მაგისტროსი, ადარნასე ქართველთა მეფის ძე – 88, 90, 123,
ბაგრატ მამფალი არტანუჯელი – 71
ბაგრატ IV, მეფე – 65, 128, 234
ბაგრატ III, მეფე – 65, 71, 221, 231
ბაგრატიონები – 27, 37, 70, 72, 86, 221, 226, 228, 230, 231, 256
ბაზარი – იხ. ზაგემი
ბაკური – 37
ბალეასის სანჯაყი – 256
ბარდაები – 48
ბართლომე მოციქული, წმ. – 65
ბარცანა – 107, 178-180, 183, 254
ბარეთელთა – 51, 52, 133, 226
ბასილი II, იმპერატორი – 163
ბასილი, პარეხელი ბერი – 202, 203
ბაღჯილარი (Bağcılar) – 82
ბახთალი – იხ. ზაგემი
ბაჰჩელი-ქიშლაქი – 179
ბედია – 157
ბეთანია – 191
ბერექეთ-ქოი (Bereket köy) – 13
ბერი ეგნატაშვილი – 225
ბერთა, ბერთის ღმრთისმშობლის მონასტერი – 38, 39, 51, 52, 95, 131-133, 202, 226
ბერთის ოთხთავი – 26
ბერძნები – 19, 22, 29
ბექა ოპიზარი – 53, 81
ბეშქენ ოპიზარი – 81
ბეშქენ ჯაყელი – 27
ბზიფი – 178-180, 186
ბიზანტია, ბიზანტიის იმპერია – 21, 22, 37, 38, 44, 48, 71, 156
ბინ ბირ ქილისე – 171

ბიჭვინტის ღმრთისმშობლის ტაძარი – 190
ბჲუჲუკადას ეკლესია – 171
ბობისგერი – 179, 193
ბოდბე – 27
ბოლნისი – 25
ბოლოკ ბასილი – 81
ბორჩხა – 223
ბოჭორმა – 191, 198, 200
ბოხები – 15
ბულანიქი (Bulanık) – 135
გაბრიელ დაფანჩული – 48, 49, 92, 97, 110
გაბრიელ დიაკონი / დეკანოზი, მოძღვარი – 121, 122
განძასარის სურბ ოვანეს მარტიჩი – 172
გარადაცი – 161
გედეონ საფრიძე, მტბევარი – 251
გელათი: აკადემია – 128; დიდი ტაძარი – 191
გერგეტის სამება – 157, 191, 192, 247
გეღარდის კათოღიკე – 172
გიორგი კედრენე – 37
გიორგი II, აფხაზთა მეფე – 185
გიორგი II, საქართველოს მეფე – 65
გიორგი III, საქართველოს მეფე – 191
გიორგი მერჩულე – 44, 47, 49, 51, 52, 71, 86, 93-95, 97, 98, 110, 130, 132, 202
გიორგი მთაწმინდელი – 128
გიორგი-პროხორე – 53
გიორგი ჩორჩანელი – 92
გიორგი, წმ. – 26, 27
გოგა – 54
გოდერძი – 16
გოგუბანი (გოგჲუბა) – 191, 193-195, 198
გოჯიბორეთი – 30. იხ. აგრეთვე ახიზა
გრიგოლ ოშკელი – 251
გრიგოლ პატრიკიოსი – 163
გრიგოლ ხანძთელი – 38, 40, 44-46, 49, 51, 52, 80, 81, 93, 109, 126, 131, 132, 174, 181, 202, 226, 227, 229, 231, 232, 251
გრემის მთავარანგელოზი – 192
გუარამ კურაპალატი – 22, 37, 38
გუარამ მამფალი – 50, 87, 88, 92
გურგენ ერისთავთ-ერისთავი – 65, 71, 97, 230
გურგენ კურაპალატი – 233
გურგენი, ბაგრატ მამფლის ძე – 71
გურგენი, მეფეთ-მეფე – 62, 221
გურგენი – 38. იხ. აგრეთვე გუარამ კურაპალატი
გურჯაანი: ყველაწმინდა – 183, 255; ქეაშვეთი – 192
გ'ენათლე (გურნათელი), გუნათლის ვანი – 49, 92, 207, 226
დაბა – 29, 35, 36, 51, 52, 132, 133, 226

დადაშენი – 60, 78, 167, 169, 173, 174, 176, 180
დავით აღმაშენებელი – 72, 221, 222
დავით კურაპალატი – 106, 108, 170, 193, 221, 231
დავით მაგისტროსი, ქართველთა მეფე – 86, 90
დავითი, იოანე-თორნიკეს ანდერძის შემდგენელი – 127
დავითი, მიძნაძორის მონასტრის დამაარსებელი – 51, 68
დავითიანის ორმოცი მოწამის ეკლესია – 183
დარიოსი – 15
დახატულა – 94
დემეტრე II, აფხაზთა მეფე – 51
დვინის საეკლესიო კრება – 30, 31, 206
დიგერის ასტვაცაცინი – 172
დიდვაკა – 54
დიდყენახი – 54
დოლისყანა, დოლისყანის მონასტერი – 42, 51, 52, 60, 62, 78, 84, 95, 97, 106, 111-125, 128, 133, 167-169, 173, 174, 176-178, 180, 182, 187, 188, 193-195, 197, 199, 201, 202, 226, 230, 239, 262
დუგანალა (Duganala) – 38, 202
ეგნატი ხუცეს-მონაზონი – 53
ეგრისი – 19
ევროპა – 44
ევფრატი – 15-17, 37, 94, 129
ეზრა, კისდადის ეპისკოპოსი – 30
ეკლეცი (ეკეღეაცი, აკილისენე) – 37
ერელაანთ საყდარი – 183, 197
ერზერუმი – 72
ერთაწმინდა – 151
ერუშეთი – 25
ერწო-თიანეთი – 31
ესბეკი – 216
ეფრემ მაწყვერელი – 93
ექექი – 162-166, 168, 173, 174, 176-181, 189, 198, 200, 201
ექვთიმე გრძელი – 53
ვალე – 179, 180
ვარაზ-ბაქარი – 19, 25, 29
ვაშდენი, ივერთა მთავარი – 21
ვაჩეძორის წმ. სტეფანეს ეკლესია – 178-180, 185, 193, 198
ვაჩნაძიანის ყველაწმინდა – 186, 198, 255
ვახტანგ გორგასალი – 20, 25-27, 29-31, 33-35, 37, 49, 70, 80
ვახუშტი ბატონიშვილი – 24, 72, 81, 234, 256
ვეზირ ქოი (Vezir köy) – 213
ვერანაბაღი – 54, 206
ვერტაში – 151
ზაგემი (ბახთალი, ბაზარი) – 170
ზამანაზი (ძამანარძე) – 37
ზანავი – 92

ზარზმა – 157
ზაქარია ანჩელი – 132, 133
ზაქარია, ბარეთელთას მონასტრის დამაარსებელი – 51
ზაქარია მხარგრძელი – 153
ზეგანი კახეთისა – 151
ზეგანი ჯავახეთისა – 178, 188, 198
ზედგზითი – 172, 179, 180
ზღუდერი – 164
თალინის კათედრალი – 196
თამარ მეფე – 191
თარგამოსი – 13
თარგმანჩაც-ვანქი – 196
თბილისი – 45, 192
თელოვანის ჯვარპატიოსანი – 166, 183, 197-199
თეოდორე, ნექვის მონასტრის დამაარსებელი – 47, 52, 80, 93, 227
თეოდოროსი, ფორთის ეპისკოპოსი – 31
თეოფანე ჟამთააღმწერელი (ბიზანტიელი) – 37, 38
თიანეთის სიონი – 213
თორი – 227
თუბალ-ქაინები, თუბალ-ქაინური მოსახლეობა – 20
თურქ-სელჯუკები – 72, 221
თუხარისი (თუხართა): ციხე-ქალაქი – 14, 19, 24, 26, 27, 29, 70; ციხის ეკლესია – 25; წმ. გიორგის ეკლესია – 27; წმ. მოციქულთა ეკლესია – 27, 28
თხოთი – 179, 180
იბერია, იბერიის სამეფო – 14, 15, 17, 18, 20, 21. იხ. აგრეთვე ქართლის სამეფო
იბრიქლი (Ibrikli) – 223
იდლეთის ნათლისმცემელი – 183, 197
იერუსალიმი – 26, 46; წმ. ჯვრის მონასტერი – 53; ღმრთისმშობლის საფლავი – 249
ივირონი – იხ. ათონი
იკვი – 162-164, 166, 168, 173, 177, 180, 181, 190, 198, 200
იკორთა – 191
ილარიონ პარეხელი – 202
ილარიონი, კონსტანტინოპოლის წმ. გიორგის მონასტრის ბერი – 26
ილარიონი, წყაროსთავის მონასტრის დამაარსებელი – 51, 53, 62
იმერეთი – 187, 201, 227
იმერხევი – 13, 36, 43, 54, 131, 133, 223, 233
იოანე ბერაჲ – 127
იოანე ზედაზნელი, წმ. – 162
იოანე-თორნიკე – 127
იოანე მალალა – 37
იოანე მტბევარი – 234
იოანე ნათლისმცემელი, წმ. – 45, 80, 81, 176
იოანე პეტრიწი – 80
იოანე ჯიბისძე – 159
იოვანე, ტბეთის წარწერაში მოხსენიებული – 245

იოვანე, ხანძთის მონასტრის წინამძღვარი – 108
იორდანე – 26
ისი – 178, 179, 183
ისქენდერ ფაშა, ერზერუმის მმართველი – 72, 79
იუდეის უდაბნო: წმ. გიორგი ქოზიბელის მონასტერი – 92
იუსტინე II, იმპერატორი – 38
იყალთო: ეკლესია – 107, 178-180, 254; აკადემია – 128
იშხნის ტაძარი – 40, 41, 52, 88, 93, 167, 178, 181, 190, 191, 193-195, 198, 201, 231, 239, 242, 243
კაბენი ქსნისა – 183, 197, 199
კავთურის ლავრა – 179, 180, 198
კავკასია – 14, 15, 21, 22, 43, 221
კალარძენე – იხ. კატარძენე
კალმახი – 129
კაპადოკია – 221
კარმირვანქი – 172
კარჩხალა, კარჩხალას ხეობა – 31, 32, 36, 54, 64, 65, 68, 95, 206
კასპი – 24
კასპიის კარები – 25
კატარძენე – 15-17
კაცხი – 191, 193, 195, 198
კახაბერი – 54
კახეთი – 37, 44, 46, 164, 174, 187, 192, 193, 200, 201, 221
კესარია კაპადოკიისა – 221
კვეტერა – 198, 200
კვირიკე, მიძნაძორელი ბერი – 65
კვირიკეწმიდა – 52, 93, 227
კიალეთის მონასტერი (Kiyalet Manasturı) – 206. იხ. აგრეთვე ნუკა-საყდარი
კიაღმის-ალთი – იხ. ქამპისი
კინეპოსი – 179, 187, 193, 198, 230
კირიონ ეპისკოპოსი – 162
კირონ კათალიკოსი – 206
კიროსი – იხ. მტკვარი
კისდადი – 30
კისისხევის ყველაწმინდა – 185
კლავდიოს პტოლემაიოსი – 15, 16, 70
კლარჯები – 13, 20
კლარჯეთი, სოფელი – 13
კოლა – 19, 42, 227
კოლხეთი – 17, 19
კონსტანტი პატრიკიოსი, ბერძენი მხედარმთავარი – 71
კონსტანტინე III, აფხაზთა მეფე – 107
კონსტანტინე VII პორფიროგენეტი, იმპერატორი – 71, 72
კონსტანტინე V, იმპერატორი – 107
კონსტანტინოპოლი: წმ. გიორგის მონასტერი – 26; წმ. სოფიოს ტაძარი – 186; სენატის სახლი – 186; მანგანა – 80

კორაძენე – იხ. კატარძენე
კოშის სურბ სტეფანოსი – 166, 168
კუმურდოს ტაძარი – 191
კუნთურის საყდარი – 162, 164, 166, 168, 173, 174, 176, 177, 180, 181
ლაზარ ფარპეცი – 22
ლაზეთი – 19, 21
ლარგვისის წმ. თევდორე – 192
ლარისა – 163
ლეონ IV, იმპერატორი – 107
ლეონ III, აფხაზთა მეფე – 107
ლეონტი მროველი – 13, 14, 19, 23, 25
ლიკანი – 151
ლიხნე – 178-180, 186
ლუარსაბ I, მეფე – 256
მაისიანის ტირანაეორი – 166, 168
მანზიკერტის ბრძოლა – 221
მაკარი ლეთელი – 93
მაკარი, ოპიზელი ბერი – 34
მაკედონია – 163
მამაწმინდა – 223
მანგლისი – 25, 191, 198, 200
მარვან-იბნ-მუჰამადი – იხ. მურვან ყრუ
მარკოზი, ხანძთელი მღვდელ-მონაზონი – 109, 110
მარმაშენის მონასტერი – 153
მარტვილის მონასტერი: დიდი ეკლესია – 81, 185; მცირე ეკლესია – 201, სვეტი – 220
მასლამა, არაბთა სარდალი – 43
მასურო, სათლეს მკვიდრი – 256
მატანი: „გუმბათიანი საყდარი“ (ქაჩალაური) – 178-180, 185, 197, 199; წმ. ნიკოლოზი – 192
მახმუდჯუქი (პემზაშენი) – 196
მელიქ-შაჰი, სელჯუკი სულთანი – 221
მერე – 29, 35, 36, 49, 52, 54, 226
მესოპოტამია – 221
მესხები – 21
მესხეთი – 20
მითრიდატე I – 15
მითრიდატე II – 15
მილეშევო – 161
მირდატი – 25, 26
მიქაელ მოდრეკილი – 127
მიქაელი, ოპიზელი კალატოზი – 81
მიქაელი, პარეხელი ბერი (IX ს.) – 39, 202, 203
მიქაელი, წმ. შიოს მოწაფე – 38, 39
მიძნაძორი, მიძნაძორის მონასტერი – 23, 36, 39, 40, 51, 52, 64-68, 95, 133, 162, 168, 169, 173-177, 180, 202, 207, 213, 226, 227, 230

მიხრდატი – იხ. მითრიდატე I
მონღოლები – 207
მოსე ხორენელი – 15, 25
მოსე სუცესი – 93
მოსხები – 17
მოსხური მთები – 15
მოქვი – 186
მრავალძალის წმ. გიორგი – 167
მსახურა, კალატოზი – 110
მტკვარი – 15, 19, 178
მუკუზნის სვეტიცხოველი – 213
მურვან-ყრუ (მარვან-იბნ-მუჰამადი) – 43-45
მუღლაქ-ქილისე (მუხლაჯიგილისა) – 179
მუჰამედ იბნ ხალილი, თბილისის ამირა – 51
მცირე აზია – 14, 29, 34, 221, 255
მცხეთა – 18, 19, 24, 25, 28; მცხეთის ჯვარი (წმ. ჯვრის ეკლესია) – 171, 183, 185, 197; სვეტიცხოველი – 179, 180, 249; სამთავრო – 152, 157, 179, 180, 191
მცხეთოსი – 14
ნეკრესი – 25, 185, 197, 199
ნერსე ერისთავი – 47
ნერსე კათალიკოსი – 42
ნეძვი – 52, 93, 227
ნიგალი – 19
ნიგალის ეკლესია – იხ. სვეტი, ბაზილიკა
ნიკორწმინდა – 152, 198, 200
ნინეიის ბრძოლა – 38
ნინო, წმ. – 25
ნიქოზის მთავარანგელოზი – 190, 198, 200, 201
ნოეი-პაზარის წმ. გიორგის ეკლესია („ჯურჯევი სტუპოვი") – 197
ნოჯიხევი – 239
ნუკა-საყდარი (ნუკა-ქილისე, Nuka-Kilise; კიალეთის მონასტერი, Kiyalet Manastırı) – 32, 49, 61, 63, 95, 206-212, 216, 227, 228, 261
ყენი-რაბათი (Yeni Rabat) – 42, 130-132, 134, 135, 166, 178, 223
ყენიქოი (Yeniköy) – 64
ოვანაკანქი – 153, 172
ოზაანის ამაღლება – 107, 178-180, 185, 198, 199, 254
ოთხთა ეკლესია – 42, 152, 156, 231, 262
ოლთისი – 179
ოპიზა, ოპიზის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი -- 20, 27, 29, 33-35, 38, 40-42, 45, 47, 52, 62, 68, 78, 80-92, 95, 106, 129, 132, 133, 162, 168, 169, 173-178, 180, 182, 187, 188, 193, 197, 199, 201, 202, 207, 222, 225, 227, 230
ორენტიოსი, წმ. – 255
ორთაქოი (Ortaköy) – 202
ორთული – 179
ოსმალები – 27, 81, 225

ოსმალეთის იმპერია – 93
ოქრობაგეთი – 223, 262
ოქუმუშლარ ქოი (Okumuşlar köyu) – 135
ოშკი, ოშკის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი – 42, 86, 122, 127, 156, 163, 178, 189, 193, 194, 198, 200, 201, 231, 239, 262
ოშკური ბიბლია – 207
ოძრჯე, ოძრხე – 24, 44
ოძრჯოსი, ოძრხოსი – 14, 24
პაელე, არტანუჯელი დიაკონი – 72
პალესტინა – 37
პარეხი, პარეხის მონასტერი – 38-40, 51, 52, 97, 202-206, 213, 214, 216, 226, 227, 230, 261
პარხალი – 42, 152, 231
პარხლის ოთხთავი – 127, 128
პემზაშენი – იხ. მახმუდჯუქი
პერსარმენები – 21
პეტრე, ოპიზელი ბერი – 34
პონტო, პოლემონის პონტო – 15, 30, 255
პროკოპი კესარიელი – 21, 22, 37
ჟამთააღმწერელი – 81, 207
ჟიჩა – 161
რაეენის გალა პლაციდიას მაეზოლეუმი – 160
რანი – 44
რაქაელ დედოფალი – 37
რაჭა – 193, 201
რეე მირიანის ძე – 249
რიმინის სან ანდრეა – 171
რომაელები – 19
რომანოზ IV, იმპერატორი – 221
რომანწმიდის წმ. ძელი ცხოვრებისას ეკლესია – 159
რომეტას მაცხოვრის ეკლესია – 171
რომი, რომის იმპერია – 19, 30
რუსთაეი – 24, 25
საბა იშხნელი – 47, 52, 80, 93, 181
საბა მტბეეარი – 24, 234
საბა სულაფსძე თუხარელი – 27
საბაწმინდა – 93
საბერეები – 61
საბერძნეთი – 34
საერომაკი (საურმაგი) – 19
სათლე (სათლელი, Satlel) – 205, 213, 216, 223, 239, 255-262
სათლელ-რაბათი – 222, 256
საიმდაელე კალმახელი – 222
საინგილო – 170, 172
სალიჯეარი – 26
სალონიკი: პაგიოს დაეითი – 171; პანაგია ქალკეონი – 155

სამეგრელო – 192, 193
სამთავისი – 152, 179, 180
სამთავრო – იხ. მცხეთა
სამშვილდე: ქალაქი – 24; სიონი – 107, 155; ბაზილიკა – 213
სამცხე – 18, 19, 43, 49, 128
სამწევრისი – 27, 160, 183
სამწყალი – 94
სანაპინის მონასტერი: ასტვაცაცინი – 171, 192; ამენაპრკიჩი – 153, 154
სარკინე – 24
სარკის წმ. გიორგის ეკლესია – 164
სასანიდები – 22
სასუნიკის სურბ გრიგორი – 166, 168
სატალა – 255
საურმაგი – იხ. საერომაკი
საფარა – 191
საფრანგეთი – 197
საღმოსავანქი – 172
„საქართველოს სინა“ – 46, 51, 52, 86, 97, 126, 132, 174, 199, 222, 225, 228, 229, 231
სვეტი: სვეტის „უდაბნო“ – 213; ბაზილიკა (ნიგალის ეკლესია) – 62, 205, 213-217, 239, 261, 262; ქაფიზი ქილისე (Kapisi-Kilise) – 217-219; კოშკი – 220.
სვეტიცხოველი – იხ. მცხეთა
სივრეის სენ-ნიკოლა – 197
სიმონდიდი – 54
სინას მთა – 65, წმ. ეკატერინეს მონასტერი – 37, 110
სინური მრავალთავი – 93
სინკოთი (სინაქოტი) – 180, 251-255
სოლომონკალა – 188, 193
სომხები – 21-23, 40, 41, 72, 107, 159, 165, 223, 256
სომხეთი – 15-17, 22, 41, 42, 129, 153, 154, 156, 164-166, 171, 195
სომხითი – 44
სოფრონი, შატბერდის მონასტრის წინამძღვარი – 126, 131, 159
სოღეუთლეუ (Söğütlü) – 255
სპარსეთი – 19, 22, 34, 38
სპერი – 17
სპერის ზღვა – 14. იხ. აგრეთვე შაეი ზღვა
სტეფანე დიაკონი, ხანძთელი ბერი – 93
სტეფანე მტბევარი – 170, 233, 234
სტეფანოზი, გუარამის ძე – 38
სტრაბონი – 15-17
სულეიმან ფაშა, არტანუჯის მმართველი – 79
სუმელას მონასტერი – 223
სუმბატ არტანუჯელი – 71
სუმბატ დაეითის-ძე – 37, 43, 44, 48, 50, 70, 72, 75, 233
სუმბატ ერისთავთ-ერისთავი – 71, 108
სუმბატ მამფალი – 71

სუმბატ კურაპალატი, მეფე – 121, 123
სუმბატ პატრიკიოსი – 163
სუხბეი – 183
სუჯუნის წმ. გიორგი – 192
ტაიკი – 165, 178. იხ. აგრეთვე ტაო
ტამბური – 21
ტანიგარა (ტანიგორა) – 26
ტანძოთის წმ. მარინეს ეკლესია – 222, 223
ტაო – 15, 17, 20, 22, 24, 41, 42, 44, 47, 52, 106, 152, 156, 163, 165, 178, 179, 188, 193, 200, 201, 227, 229, 230
ტაოსკარი – 179, 197, 239
ტასისკარი (ტაშისკარი) – 14, 52
ტაშირ-ძორაგეტი – 165
ტბეთი – 24, 27, 42, 87, 158, 178, 189, 190, 225, 233-252, 262
ტრაპეზუნტი – 30, 223
ტრიესტის სან-ჯუსტო – 197
უბე (უბისი) – 51, 220, 227
ურბნისი – 24
ურთა – 239
უფლისციხე – 24
უხტანესი – 30
ფანასკერტი – 27, 71
ფარნავაზი – 14, 15, 18
ფარნაკი – 183
ფარსმან II, მეფე – 18, 20
ფებრონია – 36, 49
ფერათლი ქოი (Ferhatli köy) – 30
ფექრაშენი – 239
ფირნალი (Pırnalı) – 95
ფლავიუს არიანე – 14, 20
ფორთა (Porta) – 31, 94, 130, 206
ფხიკიური – 223
ქაიხოსრო II, ათაბაგი – 72
ქალკედონიტი სომხები – 23, 40-42, 163
ქამირი, კალატოზი – 110
ქამპის-ქიშლაქი (ჩამხუსი) – 179
ქამპისი (კიაღმის-ალთი) – 179, 193
ქართველთა საკურაპალატო – 51
ქართლი, ქართლის სამეფო – 13-15, 19, 22, 29, 30, 37, 38, 43, 44, 46, 51, 164, 174, 187, 192, 193, 201, 205, 221
ქართლოსი – 14
ქარკოფი – 171
ქაფიზი ქილისე (Kapisi-Kilise) – იხ. სვეტი
ქაჩალაური – იხ. მატანი
ქვაბისხევის მარიამწმინდა – 216

ქეემო ფორთა (აშაღი ფორთა, Aşağı Porta) – 95, 129, 130. იხ. აგრეთვე ფორთა
ქილდა – 213
ქილისალარი (Kilisalar) – 64
ქიოსელერი (Köseler) – 130
ქიუფლიუჯე (Küplüce) – 251
ქრისტეფორე, კვირიკეწმიდის მონასტრის დამაარსებელი – 47, 52, 80, 93, 227
ქსანი – 48
ქუთათისი (ქუთაისი) – 222
ქუჯი, ეგრისის ერისთავი – 14
ღადონი – 43
ღართა – 213
ყაზანი, კალატოზი – 110
შაგორა – 130
შავი ზღვა – 13, 21
შავი მთის მონასტერი – 80, 128
შავშათი (Şavşat), ქალაქი – 206, 234, 255, 256
შავშათ-ქალესი (Şavşat-Kalesi) – 256
მაშეთი – 15, 17, 19, 24, 42-44, 49, 54, 110, 178, 189, 203, 223, 227, 233, 234, 251, 262
შავშეთისწყალი – 233
შაორის ციხე – 25
შარბეთ შეჰრი, შარბიიეთ შეჰრი (Şarbet Şehri, Şarbiyet Şehri) – 135
შატბერდი, შატბერდის ღმრთისმშობლის მონასტერი – 23, 40, 52, 68, 124, 126-159, 162, 168, 173, 174, 176-178, 180, 182, 190, 193-197, 199-202, 222, 225, 226, 230, 231, 239
შატბერდის კრებული – 127
შახბედი – 129, 130
შახბუზა თათუხაძე – 251
შაჰ-თამაზი – 256
შინდობა, შინდობანი – 29, 35
შიო მღვიმელი, წმ. – 38, 39
შიომღვიმის ლავრა – 160; წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია – 161, 183, 197
შიხიანის აღდგომა – 192
შუა ფორთა – 32, 206. იხ. აგრეთვე ფორთა
ჩამლიქი (Çamlik) – 135
ჩამხუსი – იხ. ქამჰის-ქიშლაქი
ჩანგლი – 153, 154, 156, 165-168, 173, 174, 176, 177, 180, 192
ჩელეთი – 32
ჩიმენლი (Çimenli) – 68
ჩიხორი – 54
ცაიშის წმ. გიორგი – 192
ცადაცქარის სურბ კარაპეტი – 172
ცხუმრი – 54
ძამანარძე – იხ. ზამანაზი
ძეგლის წმ. გიორგი – 207
ძველი შუამთა – 185, 197

ძიდრიტები – 18, 20
წეროს ღმრთისმშობლის ეკლესია – 178-180
წილკანი – 25
წირქოლი – 185
წრომი – 106, 107, 151, 154, 183, 254
წუნდა – 25
წყაროსთავი კლარჯეთისა, წყაროსთავის მონასტერი – 36, 52-56, 59-65, 95, 133, 167, 169, 173-177, 180, 181, 202, 213, 226-228, 230
წყაროსთავი ჯავახეთისა – 188, 198
წყაროსთავის სახარება – 53
ჭანები, ჭანური მოსახლეობა – 20
ჭარები – 213
ჭედილი – 54
ჭიკაანის კეირაცხოველი – 192
ჭოროხი – 13, 17, 18, 84, 129, 214
ხალილ იბნ იაზიდი, არაბთა სარდალი – 51
ხანძთა (ხანცთა), ხანძთის წმ. გიორგის მონასტერი – 39, 40, 44, 47, 49, 51, 52, 62, 68, 78, 81, 92, 93-110, 126, 129, 130, 134, 174, 178-180, 182, 184, 197-199, 201, 202, 206, 213, 222, 225, 226, 229, 239, 262
ხარბერდი – 129
ხარიჭავანქი – 172
ხახული, ხახულის ღმრთისმშობლის მონასტერი – 42, 122, 163, 169, 170, 178, 188, 189, 193, 195, 198, 200, 231, 239
ხერსი – 24
ხერსისწყალი – 24
ხერსონესი ყირიმისა (ტავრიდისა) – 162
ხიმშიაშვილი, აბდი-ბეგ – 256
ხიმშიაშვილი, სელიმ-ბეგ – 256
ხირსის სტეფანწმინდა – 183
ხიშამი, არაბთა ხალიფა – 43
ხობი – 157
ხოჟორნი – 164-168, 173, 174, 176, 177, 180, 181
ხორძენე – 16, 17
ხოსრო (ხუასრო), სპარსეთის მეფე – 34, 37
ხოტენე – 16, 17
ხუედიოსი – 47
ხცკონქის სურბ სარქისი – 153
ჯავახეთი – 19, 22, 53, 179, 193, 221
ჯალა – 239
ჯევიზლი (Cevizli) – 233
ჯმერკი, ჯმერკის ღმრთისმშობლის მონასტერი – 36, 51, 52, 68, 69, 95, 132, 133, 226, 230
ჯრუჭის ოთხთავი – 127, 128
ჯუანშერი – 19, 20, 27, 29-31, 33, 34, 36-38, 44, 70
„ჯურჯევი სტუპოვი" – იხ. ნოვი-პაზარის წმ. გიორგის ეკლესია
ჰაგარცინის სურბ გრიგორი – 171

ჰამამაშენი – 21
ჰამამლი ქოი (Hamamli köy) – 111
ჰანძითი – 94
ჰერაკლე, იმპერატორი – 38
ჰერეთი – 19, 172
ჰოვან მამიკონიანი – 21
ჰუნები – 34

ტაბულები



I. წყალხოსეი. ძინსხვრეის ხაგრთო ხვდი.

2. წეროხოვა. ეკლესიის აფსიდის მიმდებარე ნრდილოეთი სათავსის აღმოსავლეთ ფასადი.

წეროხოავი. ეკლესიის ხვდა ნრდილოეთიდან. ნ. მარის ფოტო (1904).

4. წეროხოავი. ეკლესიის აფსიდის მიმდებარე ნრდილოეთ სათაესის სარკმელი შიგნიდან.



5. ᲬᲔᲠᲔᲗᲮᲝᲜᲯᲘ. ᲮᲐᲛᲓᲒᲝᲪᲕᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲘᲗᲐᲜ.

6. წყნეთხიანგი.
ხეოვანგენის ხანგამდელი
შიგნიდან.

7. ძიძისძეები. ქვლევის დახვდეთის ქვლევის ნაწილი.

8. ბიჩანაძირი. არქიტექტურული ფრაგმენტები

9. ნიკანჭუა. ქალაქის ეკლესია. ხედი ხაჩხრეთ-ადიხაფლეთიდან. ეროსფლეთის ფოტო (1907).



10. ანიანჭუა. ქალაქის ეკლესია. ხედი ხაჩხრეთ-ადიხაფლეთიდან. ნ. ჭარის ფოტო (1904).



11. ანტანეული. ქვაფენილის ეკლესიის ნაშთი. ხედი ხაჩმაზეთ-ფასანაურიდან (1995).

12. ანტანეული. ციხის ეკლესია. ხედი ანტიხაფლეთიდან.

13. ოპიზა. ქიახსტერის ხეკეთილი ხელი ხაჩქარეთა-ფაღლიხეველეთისა. ეროსკოპეს ფიცარი (1907).

14. ოპიზა. ხატრაპეტრის "ბიდა ხელი. ბაგეთიხეველ ფიცარი (1888).

15. ოპიზა. ეკლესიის გუმბათი. ნ. ტყვრის ფოტო (1959).

16. ოძეზნ. ამგაბეის ეკლესიის ნანგრევები. ბაგინეთის ფოტო (1888).

17. ხანძთა. ძეხსტეფის ხეკი ხაჩხეთიდან.

18. ხანძთა. ძეხსტეფის ხეკი ხაჩხეთ-ოფლეხეკეთიდან.



19. ხანძთა. ეკლეზიის ეკვლესიის ფასადი.

20. ხანძთა. ეკლეზიის აღმოსავლეთი კედელი.



21. ხანძთა. ხიმნეკლური.

22. ფიფლიანი. ეკლეზიის ხედი ჩაჩხეთი-აფძახაფლეთიდან.

23. დოლისყანა. ხამხრეთის მკლავის ხარკმლის ხაჯახადო შემკულობა.

24. ფიგურებისგან. ხელმარცხ. მეფეის გამოსახვეფები ბაქმაზიის ეკლესიაში.



25. ფიგურებისგან. მრეხილ ხაზით ხატმბრძანი ფეხთაგან.

28. შატბერდი. ეკლეზიის ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ბაგლინიოზის ფოტო (1888).



29. შატბერდი. შეწყვეტილებული ხარკმული ჩრდილო ფასადზე.

30. შიერბერდი. ხარკმელი და პეტროსიეკლეს ტაძრი დასავლეთ ფასადზე.



31. შიდებენდი. ეკლეხიის გუმბათის ყელი.

32. შაგბერდი. ინტერიერის ხედი დასავლეთიდან.

33. შიტბერდი. ხედი გუმბათი და გუმბათქვეშა კონსტრუქციაზე.



34. ბაზეხი. ძველი ხელოვნური ტბა
(ცალკე ტბაც — ფაბრიკა ელექტრონული ძალოვნებისა — ბაზეხელებს).



35. ბაზეხი. ბაზეხელების ადმინისტრაციული ფაბრიკის ნაშთი.

36. ნუქეა-ხიდარი. ხედი ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე მდ. ჯრუხალის მარცხენა ნაპირიდან.

37 ნაკეთხელაური. ხელი ხამბოელი-გახაგლეთიდან (ხეკლი ფიროსის გზიდან).

38. ნეკეტ-ხევსანი. ხევი დახვდეთიდან.

39. ნიკაფ-ხევსანი. ხაკრიფოლელების ხმოდგილები ნასეიები.



40. ხევში. ქალაქი-ქალაქის და ციხე. ბაგანიანების ციხე (1888).



41. ტბეთი. ხევი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან. ბაგეთხევის ფოტო (1888).

42. ტბეთი. ხევი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ნ. მარის ფოტო (1904).

43. ტბეთი. აღმოსავლეთ ფასადი.

44. ტბეთი. ხარეკმლის თაღსართი და წარწერიანი ჯვარი ნრდილოეთის მკლავის აღმოსავლეთ ფასადზე (1990).



45. ებეთი. ქრისტეანული ხანაქრიანი ფასადური ფიცრები.

46. ებეთი. ხაჩხრული ფასადის შიგა ნაწილი.

47. ტბეთი. ანტონიერთის ხელი ხაჩხრეთ-ადმოსავლეთიდან. ბაგლინიეთის ფოტო (1888).

48. ტბეთი. პატრიარქ დახვდილოთის შკლოვში. პაკლინიოზის ფიცარი (1888).

49. ხინკოთი. სხვითელელი ფასადი.

50. ხინკოთი. ხიმხეთი ფასადი.



51. ხათეგე. ხამხრეთ ფასადის შეა ნაწილი.

SOUTH CAUCASUS AND ANATOLIA

3

David Khoshtaria

CHURCHES AND MONASTERIES IN KLARJETI

ARTANUJI Publishers

Tbilisi 2005

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ გაიდოშვილი

ვიოლა ტულუში

ილია ხელაია

გარეკანზე:

ხანძთის ნმ. გიორგის მონასტერი. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ბუბა კუდავას ფოტო. 2003.

გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17ª. 25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22.

artanuji@telenet.ge

სერია „სამხრეთ კავკასია და ანატოლია“

გამოიცა:

1. ზაქარია ჭიჭინაძე. ქართველთა გამუსლიმება სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში (ზეპირი გადმოცემების მიხედვით). მასალები შეკრიბა და წინასიტყვაობა დაურთო ზ. ნინიკაშვილმა. თბ. 2004.

2. ევგენი ვეიდენბაუმი. ბათუმიდან ართვინამდე (მგზავრის ჩანაწერები). თარგმნეს მზია ჩხაიძემ და გოჩა საითიძემ. შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გოჩა საითიძემ. თბ. 2005.

3. დავით ხოშტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები. თბ. 2005.

გამოსაცემად მზადდება:

1. ვილი რიკმერ-რიკმერსი. ლაზეთი და აჭარა. გ. სტრატილ-საუერი. ბაიბურთიდან ისპირის გავლით ლაზეთისკენ. ინგლისურიდან თარგმნა მარიამ ზალდასტანიშვილმა. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს გოჩა საითიძემ და ზურაბ ჯანელიძემ.

2. სოლომონ ასლანიშვილი (ბავრელი). წერილები მესხეთის შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს გოჩა საითიძემ და ლელა ქურდაძემ.

3. თეოდორე უსპენსკი. ნარკვევები ტრაპიზონის იმპერიის ისტორიიდან. რუსულიდან თარგმნეს ვლადიმერ კეკელიამ და ნესტან ჯიოევმა.